# ᲛᲝᲐᲛᲯᲔ

ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

**№ III**

ᲛᲐᲠᲢᲘ, 1895

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ
ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲢᲘᲞ. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, №
1895

# შინაარსი


I რას მერჩით, მეც ადამიანი ვარ!—ამბავი იასონ ნიკოლაშვილისა . . . . . გვ. 1

II თუშური სიმღერები.—შეკრებილი დ. როსტომაშვილის მიერ . . . . . 14

III ვარიპანიძიანთ ნინო.—მოთხრობა საქართველოს ცხოვრებიდან არტურ ლეისტისა, თარგმანი გერმანულით (გაგრძელება). . . . . 16

IV გოგია.— მოთხრობა კანდეგილისა (დასასრული). . 67

V განთიადი.—მოთხრობა ეჟისა, თარგმანი თ. სახოკიასი . . . . . 117

VI მოხუცის ანდერძი.—ლექსი თ. სვიმონ გუგუნავასი 147

VII ცეცხლითა და მახვილითა.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ე—ძისა (გაგრძელება). . . 149

VIII მთიულეთი 1804 წელსა.—ისტორიული ამბავი ს. ფროანელისა . . . . . 1

IX სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა.—V.—მ. კელ—სა. 23

X რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება.—II.—რძის მოკლა და შენახვა.—პროფესორის გ. ბეტრიაშვილისა (გაგრძელება). . . . . 59

XI ბიბლიოგრაფია. —A. Цагарели.—Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности. Томъ I. Выпускъ третій. Съ портретомъ профессора Д. I. Чубинова. С.-Петербургъ, 1894. სამ. დოდობერიძისა. . . . . 105

XII სალიტერატურო შენიშვნები.—ახალი მოძღვარი მესამე დასისა—ყარიბი.—პოეტი რუს-იმერელი.—«კვალის» კვეხნა-ბაქიობა.—«კვალის» ორი წლის ნაღვაწი გ. წერეთლისა.—სააზნაურო სკოლები და «წერა-კითხვის» საზოგადოება.—გ. წერეთელი და მოკლე-ვადიანი კრედიტი.—სამეურნეო თანხა.—«კვალი» და სამეურნეო სწავლა-ცოდნა.—ი. როსტომაშვილის წერილები.—აკაკის «განცხადებასავით».—მესამე დასის ისტორიკოსები.—გ. წერეთელი, ძალად ბელადი მესამე დასისა და ბ-ნი ჯიბლაძე.—პასუხი ცრუ-მოწამეს—ბ-ნ სიკო მუხიანელს. ა. ნა—ლისა . . . . . 129

8(05)
ᲐᲐᲝ

# მ ო ა მ გ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეორე

P-23824

№ III

მარტი, 1895

ტფილისი
ᲑᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲘᲡᲘᲡ ᲢᲘᲞ. ᲒᲠᲣᲖ. ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ.
1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Марта 1895 года.

# შინაარსი


I რას მერჩით, მეც ადამიანი ვარ!—ამბავი იასონ ნიკოლაიშვილისა . . . . . 1

II თუშური სიმღერები.—შეკრებილი დ. როსტომაშვილის მიერ . . . . . 14

III ვარიპანიძიანთ ნინო.—მოთხრობა საქართველოს ცხოვრებიდან არტურ ლეისტისა, თარგმანი გერმანულით (გაგრძელება). . . . . 16

IV გოგია.— მოთხრობა განდეგილისა (დასასრული). . 67

V განთიადი.—მოთხრობა ეჟისა, თარგმანი თ. სახოკიასი . . . . . 117

VI მოხუცის ანდერძი.—ლექსი თ. სვიმონ გუგუნავასი 147

VII ცეცხლითა და მახვილითა.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ე—მისა (გაგრძელება). . . 149

VIII მთიულეთი 1804 წელსა.—ისტორიული ამბავი ს. ფრონელისა . . . . . 1

IX სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა. — V.—მ. კელ—სა. 23

X რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება.— II.—რძის მოგება და შენახვა.—პროფესორის ვ. ბეტრაიშვილისა (გაგრძელება). . . . . 59

XI ბიბლიოგრაფია.—А. Цагарели.—Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности. Томъ I. Выпускъ третій. Съ портретомъ профессора Д. I. Чубинова. С.-Петербургъ, 1894. სიმ. დოდობერიძისა. . . . . 105

XII სალიტერატურო შენიშვნები.—ახალი მოძღვარი მესამე დასისა—ყარიბი.—პოეტი რუს-იმერელი.—«კვალის» კვეხნა-ბაქიაობა.—«კვალის» ორი წლის ნაღვაწი გ. წერეთლისა.—საგზნაურო სკოლები და «წერა-კითხვის» საზოგადოება.—გ. წერეთელი და მოკლე-ვადიანი კრედიტი.—სამეურნეო თანხა.—«კვალი» და სამეურნეო სწავლა-ცოდნა.—ი. როსტომაშვილის წერილები.—აკაკის «განცხადებასავით».—მესამე დასის ისტორიკოსები.—გ. წერეთელი, ძალად ბელადი მესამე დასისა და ბ-ნი ჯიბლაძე.—პასუხი ცრუ-მოწამეს—ბ-ნ სიკო მუხიანელს. ს. ნა—ლისა . . . . . 129

## ქრონიკა:

XIII **ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.—ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ.**— დაგვიანებული მსჯელობა.—მრუდე ხეს რა გაასწორებს?—რა გვღუპავს?—რა ურჩია ნოტარიუსმა ადვოკატს.—ქიშპობა ურთიერთშორის.—სხვაგან როგორ მოიცილეს ეს სენი.—საფედერაციო პრინციპი.—შვეიცარიაში სამის ტომის ხალხი როგორ სცხოვრობს ერთად, ძმურად.—სურათი ჩვენის ქვეყნის მდგომარეობისა. — ზოგიერთი რამ ჩვენის თაობის წარსულისა.—მორიგება და ღალატი.—კვლავ ერთობა და ხელმეორე ღალატი.—განსვენებულ იზმაილოვის როლი ამაებში.—მისი დროშა განკერძოვებისა.—მიზეზი მისის მოქმედების უნაყოფობისა.—წინასწარგაფთხილება ბათუმელებისა. —ნ. **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔᲡᲐ. 160**

XIV **ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.**

# რას მერჩიო, მეც ადამიანი ვარ!

ამბავი

მარტის გასული იყო, მაგრამ ჰაერში ჯერ კიდევ ზამთრის სუნი ტრიალებდა. №-ში სახარებო ბაზრობა გათავებულიყო და ვაჭრები გაფაციცებით საქონელს ალაგებდნენ. რამდენისა-მე დღის წინად მღელვარე, სიცოცხლით სავსე ქალაქი დღეს სრულიად მიყუჩებულიყო და სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეკარგა. აქა-იქ მხოლოდ საქონლით დატვირთულ ურმების ჭრიალი მოისმოდა. ყველა შორიდან მოსული ვაჭრები წასვლას ეჩქარებოდნენ. არა ჩქარობდა, როგორც ეტყობოდა, ერთი პატარა ებრაელი, რომელსაც წვრიმალ საქონლით გატენილი ბოღჩა მხარზე გადაეკიდა და წამ-და-უწუმ ცივად გაჰკიოდა: „ნემსი, მახათი, კოჭა, ლარები!...“ მაგრამ ამაოდ, მის „კოჭა-ლარებს“ კაცი ყურადღებას არ აქცევდა.

— ელო, მოდი, ურემზე შემოჯექ და შინ წამოდი!—გადმოსძახა ურმიდან ერთმა მოხუცმა ებრაელმა.—მუქთად წაგიყვან.

— რა ვქნა, ერთი კვირაა, აქ ვაგდივარ და თუ ერთი-ორი მანეთი მაინც არ წავიღე შინ, მამა-ჩემი ცოცხალს არ დამარჩენს.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მაგრამ, რომ წამოსულიყავ კი, აჯობებდა.

მოისმა შოლტის ტყლაშუნი და ურემი ჭრიალით გზას გაუდგა. პატარა ელომ მიმავალს მოხუცს თვალი გააყოლა.

— ბედნიერი!...—ფიქრობდა მოხუცზე. — ჭრელა-ჭრელა ჩითებით ძღაბებს თვალები დაუბნელა, ორ-სამ შაურიანი ჩითები სულ აბაზად და ხუთ-ხუთ შაურად გაჰყიდა! აი, ვაჭრობაც ამისთანა უნდა! ნეტავი რამდენს მოიგებდა? ოჰ, ბევრს, რასაკვირველია, ბევრს! ხუთ-ექვს თუმანს მაინც მოიგებდა. მე კი... ამ ოხერმა ბოღჩამ მხარი ჩამომაგლიჯა და სულ შვიდი აბაზი ავიღე. ამ ფულიდან კიდევ ექვსი შაური საჭმელში დამეხარჯა!... ღმერთმა უშველოს ყობოიას, იმას რომ ამ ყინვებში დუქანში არ დავეწვინე და სახურავად მაზარა არ ეთხოვებინა, ნამდვილად გავფიჩხდებოდი. ყობოიაც წავიდა. რაღა მეშველება ამ-ღამ? ნეტავი იმ მოხუცს გავყოლოდი. მაგრამ, ეჰ! რაც მომივა, მოვიდა!... მამი-ჩემისაგან გამიგონია: „წერას კაცი ვერ წაუვაო“. თურმე კაცი რომ დაიბადება, მისი ბედ-ილბალი, სიკვდილ-სიცოცხლე ყველა შუბლზე დაეწერება. თუ კაცს სიკვდილი არ უწერია, ცხელი ტყვიაც ვერას ავნებს და, თუ სიკვდილი უწერია, საბან-ბუმბულშიაც რომ გაეხვიოს, თავს მაინც ვერ უშველის. ალბად ისიც წერაა, რომ შაბათა ორპირაშვილს ორ-ორ სართულიანი სახლები აქვს გამოჭიმული და მის დუქნებში ოც და ათი ნოქარი დატრიალებს და ჩვენ კი, დღეს არა ხვალ, თავზე ქოხი ჩამოგვენგრევა. რა უჭირდა იმ დალოცვილს, ვინც ბედსა სწერდა, ყველასათვის შაბათასავით კარგი ბედი დაეწერა!...

ნაშუადღევს ზენამ დაუბერა, ბნელი ზეწარი ზეცას შემოახია და ყომრალი ღრუბლები მალე აქეთ-იქით გაჰფანტა. ფირუზ კამარიდან მზემ თავის ცხოველ-მყოფელი სხივები დედამიწას უხვად მოჰფინა და სახლების სახურავებზე გადმოკიდებული ყინულის ლოლუები ათას-ფერად ააბჟყვრიალა. უცებ ზარის რეკა მოისმა და სკოლიდან შეგირდები ჟრიამულით გამოცვივდნენ.

— ნემსი, მახათი, კოჭა, ლარები,
კალმები, კალმის ტარები,
ღინჭილები და დანები!...

შაირით მიაძახა ელომ პატარებს.

მაგრამ მათ იმისთვის სად ეცალათ, შიშშილისაგან კუჭი ეწვოდათ და შინისაკენ მიეშურებოდნენ. მხოლოდ რამდენიმე ცელქი ყმაწვილი გარს შემოეხვია და აჯავრებდნენ: „ურია, აჰა ღორის ქონი!“ „დაიწერე ჩქარა პირჯვარი!“ „რატომ აწვალეთ ქრისტე, ა?“ ზედიზედ ეუბნებოდნენ ელოს ცელქები, მაგრამ დაინახეს თუ არა მომავალი მასწავლებელი, მაშინვე გაშორდნენ და შინისაკენ საჩქაროდ გასწიეს. ყმაწვილების ხმაურობისაგან ერთ წამს გამოღვიძებული ქუჩა ხელახლა მიწყნარდა.

ყველაზე უფრო გვიან სკოლიდან ორი ყმაწვილი გამოვიდა, დავით ბენდელაია და სიკო ბრელიძე. დავითი იყო ცამეტ-თოთხმეტის წლისა, ქერა, თავის წლოვანობაზედ ბევრად მომატებულის ტანისა, მსხვილ-ძარღვიანი ყმაწვილი. სიკო კი შავგვრემანი, სუსტი აგებულობისა, ხშირის ავადმყოფობისაგან მეტად გამხდარი. დავითის მუდამ მოღუშულ წარბებს ქვემოდ ბოროტებით სავსე ჭრელი თვალები მრისხანედ გამოიცქირებოდა. გაშმაგებით იქნევდა თავის მელნით გათხუპნულს ტლანქს ხელებს და თავის ამხანაგს გაცხარებით ელაპარაკებოდა.

— უსადილოდ კი დამტოვა იმ ჭლექიანმა, მაგრამ იმის ჯავრს ამ ურიაზედ ამოვიყრი. სიკო, იცი რა? ეს ურია ჩვენ ქალაქის ბოლოში გავიტყუოთ დანგრეულ დუქანთან და გავცარცვოთ. ტანისამოს ჩამოფლეთილს რომ ხედავ, არ იფიქროს; მართლა ისე ღარიბი იყოს, იმ ნაფლეთებში, ვინ იცის, რამდენი მანეთიანები აქვს გამოკრული. ამ იარმუკობაზე ოც მანეთს მაინც ივაჭრებდა. ფიქრი ნუ გაქვს, ვერავინ შეგვიტყობს. თუ მაინცა და მაინც ყვირილი დააპირა, ამას ხედავ?

დავითმა სახელოდან სიკოს მსხვილი ჯოხის თავი დაანახვა.

— ამას რომ დავცხებ, უსულოდ გავაგორებ. სხვაც დიდი სიხარულით წამომყვებოდა, მაგრამ მე შენ აგირჩიეა ამხანაგად. ვიცი, პირიანი ხარ, სხვასავით არ გამცემ. შენ მხოლოდ თვალყური გეჭიროს, არავინ მოგვასწროს, სხვა ჩემი საქმეა. აბა, გავაჩქაროთ!

— დავით, თუ ღმერთი გწამს, თავი დაანებე! რას ერჩი, რა დაგიშავა საწყალმა? ცოდვაა.

— ცოდვაა? ცოდვა კი არა, მადლია. რა დაუშავებიაო! როგორ თუ რა დაუშავებია!... განა დაგავიწყდა დღეს რომ მასწავლებელმა გვიამბო? მაშ ვინ აწვალა ქრისტე? რა დაუშავა იმათ ქრისტემ? ჰო, რა დაუშავა, რა დაუშავა? აღარ მეტყვი? სიკეთის მეტს რას უშვრებოდა, ა?..

— ეს მართალია, მაგრამ, როგორცა სჩანს, დაგვიწყებია, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ თითქმის ორი ათასი წელიწადი გავიდა და მაშინდელი ურიების ძვალიც კი აღარ არის ახლა და ამ საწყალს ქრისტეს წვალებაში რა ბრალი უნდა ედოს?!

— როგორ თუ რა ბრალი უნდა ედოს! რა ბრალი ჰქონდა ჩვენი მეზობლის პატარა ბავშს, ურიებმა რომ მოიტაცეს და აწვალეს? შენ ეს უთუოდ არ გაგიგონია, თორემ „რა ბრალი აქვსო?“ აღარ მეტყოდი. შარშან წინ ჩვენი სოფლიდან ერთმა მეფართლე ურიამ პატარა ბავში მოიტაცა. მშობლებმა კარგა ხანს ძებნის შემდეგ საწყალი ბავში მდინარის პირას სილაში იპოვეს ჩაფლული. ტანი სულ ნემსებით ჰქონდა საწყალს დაჩხვლეტილი. ურიები ზიარებაშ თურმე ქრისტიანის სისხლს ხმარობენ. ღვინოსაც ისე არ დალევენ, თუ შიგ ქრისტიანის სისხლი არ ურევია. ამიტომ ურიები სოფელ-სოფელ დაწანწალებენ, ვითომ-და ფართლის გასაყიდად და რაწამს პატარა ბავშს დაიმარტოხელებენ, მაშინვე პირში ბურთს ჩასჩრიან, რომ არ დაიყვიროს და მოიტაცებენ. მოტაცებულს ბავშს პირდაპირ სინაგოგაში მიიყვანენ და სასიხარულო ამბავს ყველა ურიას აცნობებენ. მოხუცებული ურიები მაშინვე სინაგოგაში შეიკრიბებიან. სინაგოგის იატაკს თურმე სულ წმინდა გაპენტილი ბამბით მოჰფენენ. ებრაელები ირგვლივ დასხდებიან და ხელში სადგისებს მოიმარჯვებენ. ახლა უფროსი ხახამი გატიტელებულ ქრისტიანის ბავშს შუაზედ გამოიყვანს და სადგისსა სჩხვლეტს. ბავში რომ „ვაის“ შეჰყვირებს, ერთ-ერთი ურია დაუძახებს: „აქ მო, აქ მო, მე გიშველიო!“ ბავში რომ იმასთან მიირბენს,

ისიც სადგისსა სჩხვლეტს; ახლა მეორესთან გაიქცევა, შესამესთან, მაგრამ ყოველ მხრივ წვეტიანი სადგისი ხვდება. ბავში რომ „ვაის“ დაიძახებს, ურიები ხარხარს მოჰყვებიან. დარბის საწყალი, სიმწარისაგან გაშმაგებული ბავში წრეში და თეთრი ბამბა წითლად იღებება. სჩხვლეტენ და სჩხვლეტენ უღმერთოდ, სჩხვლეტენ სანამ სისხლისაგან არ დაიცლება და უსულოდ ძირს არ დაეცემა. მიცვალებულს მაშინვე გაგზავნიან და ჩუმად იმ სოფლის ბოლოში დააგდებენ, საიდანაც მოიტაცეს. სისხლიან ბამბას ვერცხლის ჭურჭლებში დასწურავენ, ზოგს ზიარებაში და ზოგს ღვინოში ურევენ. ოჰ, ნეტავი ერთი შენ ჩაუვარდებოდე იმათ ხელში, ვნახავ, მაშინაც თუ იტყვი, „მათ რა ბრალი აქვთო?“ ნეტავი იმათი სისხლით გამაძღო, სხვა არა მინდა-რა.

დავითმა რომ სიკოს ყოყმანი შეატყო, უთხრა:

— შენ რა გაწუხებს, კაცო? აკი გითხარ, შენ მხოლოდ თვალყური გეჭიროს, არავინ მოგვასწროს, სხვა ჩემი საქმეა-თქო. იმისი ცოდვაც ჩემს კისერზედ იყოს, თუ კი ეს მართლა ცოდვაა.

სიკო მაინც ყოყმანობდა და პასუხს არ აძლევდა.

— რაღა დროსია, ტყუილა ყოყმანობ. ჩემი განზრახვა შეიტყე და ახლა უარს აპირობ? არ წამოხვალ და თავს შუა გაგიხეთქ!...

სიკოს ძალიან ეზიზღებოდა ასეთს საზიზღარ საქმეში დავითის ამხანაგობა, მაგრამ რა ექნა?! არა ერთხელ გამოეცადა დავითის მუშტების ძალა თავის ზურგსა და ფერდებზედ და მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა ამ ბოროტს ბავშვს.

— ნემსი, მახათი, კოჭა, ლარები!... მოისმა პატარა ებრაელის ხმა.

— ელო, ელო! აქ მო, რაღაც უნდა ვიყიდო,—დაუძახა დავითმა.

ელო სიხარულით ყმაწვილებისაკენ გამოეშურა.

— საყიდელი კი მაქვს, მაგრამ, რა ვქნა, ფული არ მაქვს.

— ელო, იცი რა? თუ ორ კალამს მაჩუქებ, ორი-სამი აბაზის საქონელს გაგასაღებინებ.

— მართლა? ოღონდ კი გამასაღებინე და შერცხვენილი ვიყო, თუ ხუთიც არ გაჩუქო.

— აბა, წავიდეთ! აქვე ბაზრის ბოლოში ვცხოვრობ. მასპინძლის ცოლი შემეხვეწა: „მეწვრიმალე თუ შეგხვდეს, წამოიყვანე, რალაც სავაჭრო მაქვსო.“

ელო ყმაწვილებს სიხარულით გაჰყვა.

ყმაწვილები მალე ბაზარსაც გასცილდნენ და დანგრეულს დუქანს მიუახლოვდნენ, მაგრამ დავითს ეს ადგილი აღარ გამოადგა თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, რადგანაც მის მახლობლად გლეხი საყანეს ღობეს ავლებდა. ამიტომ დავითმა მარჯვნივ ჭალისაკენ გადაუხვია. კარგა ხანს სიარულის შემდეგ ელომ დავითს საყვედური უთხრა:

— უჰ, რა შორს მდგარხარ! ასე რომ მცოდნოდა, არც კი წამოვიდოდი.

— ნუ გეშინია, ათიოდე ნაბიჯი კიდევ და შინ ვიქნებით.

გაიარეს კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ყმაწვილები ხშირს ბუჩქნარში შევიდნენ. დავითმა მიდამოს თვალი გადაავლო და, როცა დარწმუნდა, მახლობლად არავინ მოსჩანსო, ელო შეაჩერა და მრისხანედ უთხრა:

— აბა, ამოალაგე ჩქარა, რაც ფული გაქვს!

— კაია, რა დროს ხუმრობაა! ვინ მომცა ფულები.—სიცილით უთხრა ელომ.

— ხუმრობაო?! ვინ გეხუმრება? შენ გგონია, ისე შეგარჩენ ქრისტეს წვალებას, შე ურჯულო, შენ?

თვისის სიტყვების დასამტკიცებლად დავითმა პირისახეში ისე ღონივრად ჩაჰკრა მუშტი, რომ საწყალს ელოს ცხვირიდან სისხლი წასქდა.

— არა გრცხვენიანთ? თქვენ ნასწავლი ყმაწვილები არა ხართ, როგორ გეკადრებათ ამისთანა შარები? რას მერჩით, ურია რომ ვარ, მეც ადამიანი ვარ.

მდუღარე ცრემლებით აბრალებდა თავს საწყალი ელო, მაგრამ ამაოდ. დავითმა ბოღჩიდან რამდენიმე ნივთი ამოსტაცა და უბეში ჩაილაგა. ხვეწნა-მუდარით რომ არაფერი გაუვიდა, ელომ ყვირილი დააპირა, მაგრამ, სწორედ იმ დროს, როცა მან დასაყვირებლად პირი დააღო, დავითმა თავში კეტი სთხლიშა და ძირს გააგორა. ბავშვებმა რომ მიწაზე უსულოდ დაცემული ურია დაინახეს, შიშისაგან თავზარი დაეცათ და შინისაკენ საჩქაროდ მოჰკურცხლეს.

— ღმერთი არ გაგიწყრეს, სიტყვარ არ წამოგცდეს, თორემ მალე შენც უკან გაგადევნებ იმ ურიას!—მიაძახა სიკოს დავითმა, როცა თავის ბინას დაუახლოვდა.

პატარა ებრაელის გაცარცვის ამბავი მალე მთელს სოფელს მოედო. ყველამ შეიტყო, რომ გამცარცვავნი სკოლის შეგირდები იყვნენ და დიდად შფოთავდნენ. ყველაზე მეტად შეწუხებული იყო ამ ამბით, რასაკვირველია, სკოლის მასწავლებელი, რომლის წინაშეც იდგა ცხვირპირ-დასისხლიანებული ელო და თავის გაცარცვის ამბავს ეუბნებოდა. მაგრამ მასწავლებელი იმას ყურს არ უგდებდა. იგი დაჟინებით მიშტერებოდა ერთს წერტილს და რაღაც მწვავე ფიქრებს გაეტაცა.

— ვაი, სირცხვილო! ვაი, გაცრუებულო იმედო! ამისათვის შევალიე ამ საქმეს ჩემი ჯანი და ღონე, რომ ავაზაკები გამომეზარდა?! „ბავშვის სული სუფთა ფიცარია (tabula rasa), რაც უნდა იმას დააწერს ზედ აღმზრდელიო“, ამბობს ერთი ცნობილი ფილოსოფოსი ლოკი. კარგი, დავიჯეროთ, მაგრამ რას გვეუბნება ეს უბედური მაგალითი? ნუ თუ გამიწყრა ღმერთი და მე ვარ იმ ბოროტ-მოქმედების მიზეზი, რაც ახლა ჩემმა შეგირდებმა ჩაიდინეს? არა, კეთილი მაგალითის მეტი რა უნახავთ სკოლაში? განა ოდესმე გადამიხვევია სიტყვით ან საქმით ქრისტეს მცნებისათვის? არა და არა! აქ სხვა მიზეზია. დიაღ, სხვა! არა ბატონო ფილოსოფოსო, არც ისე „სუფთაა“, თქვენ რომ ფიქრობთ. ბევრი რამაა ამ „სუფთა ფიცარზე“ ამოსაფხეკწასაშლელი. ბევრი რამ სიავეა ზედ უჩინარის ასოებით წარწერილი.

— რას მიბრძანებ, ბატონო, გიახლო?

მასწავლებელი უცებ გამოერკვა ამ მწარე ფიქრებიდან.

— არა, არა, მოიცა! აბა, ჩემო კარგო, შეგირდებში ვერ გამოიცნობ შენს მცარცველებს?

— რა ვიცი, ბატონო, ბავში ბავშსა ჰგავს, ზოგი ქერაა, ზოგი შავგვრემანი. შეიძლება შეცდომით ხელი უდანაშაულოს დავადვა და ცოდვა მოვიკიდო. სჯობია, თავი დავანებო. თუ ჩემს სისაწყლეს მიხედავთ და, რაც წამართვეს, არ დამიკარგავთ, ღმერთი დაგიმადლებთ, თუ არა და თქვენი ჭირი წაუღია.

— როგორ ფიქრობ, რა ეღირებოდა მაინც, რაც წაგართვეს?

— ბევრი არაფერი, ბატონო, ასე ერთი-ორი მანეთი.

მასწავლებელმა ელოს ცხვირპირიდან სისხლი მოაბანინა, მერე ჯიბიდან სამ მანეთიანი ამოიღო და მიაწოდა.

— აჰა, ჩემო პატარა, დაიჭი! ამ საქმეს მე უყურადღებოდ არ დავტოვებ და, თუ როგორმე აღმოვაჩინე, შენს ნივთებსაც უკან დაგიბრუნებ.

გახარებულმა ელომ საჩქაროდ ბაზრისკენ გასწია. მართალია, თავი საგრძნობლად სტეხდა და წუთი-წუთზე ისვამდა ხელს ნატკენზე, მაგრამ მასწავლებლის ნაჩუქარი ფული მის წყლულს თითქო მალამოდ დასდებოდა და ტკივილი მთლად გაექარვებინა.

— ნემსი, მახათი, კოჭა, ლარები!..

ზარივით გაიწრიალა კვლავ ჰაერში ელოს მხიარულმა ხმამ.

საღამომაც მოაწია და დედამიწა ბნელს ჩადრში გაეხვია. ყოველივე მიწყნარდა. გაზაფხულის სტუმრებმა ჭიკჭიკ-გალობა შესწყვიტეს, თავი ფრთის ქვეშ ამოიდეს და ტკბილს ძილს მიეცნენ. სიკომ ეახშამი გაათავა და, ის-იყო დაწოლას აპირობდა, რომ უცებ ძაღლებმა გამწარებული ყეფა ასტეხეს. მასპინძელმა კარი გააღო და ძაღლებს შეუტია.

— აქეთ, თქვე საცოფევ! ვინა ხარ, მობძანდით!

— სიკოს უთხარი, ერთწამს გამომხედოს, თუ შინაა!

სიკომ წულებში ფეხი ჩასდგა და ჭისკართან მივიდა.

— სიკოს გაუმარჯოს! შეგირცხვა ვაჟკაცობა! რა იყო, კაცო, მუხლები რომ მოგეკეცა და პირისახე ლაინივით გაგიხდა, დაცემული ურია რომ დაინახე? სწორედ გითხრა, ძალიან შემეშინდა. ვიფიქრე, ვაი თუ გაუწყრა ღმერთი და გული შეუწუხდა, ხომ დავიღუპეთ-მეთქი. რა მხდალი ყოფილხარ!.. ასე რომ მცოდნოდა, არც კი წაგიყვანდი.

— ნეტავი მართლა! ღმერთო ჩემო, რა კაცი ხარ?!.. ნუ თუ მცირეოდენი სიბრალულის გრძნობაც აღარ არის შენს გულში?

აღელვებით უთხრა სიკომ.

— სიბრალული? მერე ისიც ურიის სიბრალული?! არცა მაქვს და არც მინდა მქონდეს. რა ვაჟკაცის საქმეა სიბრალული. ზოგიერთი კაცი ცრემლს ვერ დაიჭერს, როცა ქათამსა ჭკლავენ, შემწვარს ჩიჩიას კი, ნუ გეშინია, კარგა მიირთმევენ. აი შენი სიბრალული! მე კი კიდეც დავკლავ და კიდეც ვჭამ, შენსავით ზლუქუნს არ მოვყვები.

— სიკო, რას შვრები მანდ ამდენ ხანს, აღარ მოხვალ? — მოისმა ხმა სახლიდან.

— აჰა, სიკო, ნადავლი მოგიტანე! ეს დანა და საპონი შენა გქონდეს. მაგრამ იმ პიროპით კი, რომ ღმერთი არ გაგიწყრეს და სიტყვა არ წამოგცდეს, თორემ ხომ იცი ჩემი ამბავი! ეს დანა და საპონი ჯერჯერობით ფრთხილად შეინახე, არავის უჩვენო! ახლა კი ღამე მშვიდობისა!

— მოიცა! მოიცა! დავით, იმ ურიის ამბავი ხომ არაფერი შეგიტყვია? ხომ არ მომკვდარა, თუ იცი?

— მომკვდარა? რა მოჰკლავს ძაღლს?! გაჰკივის და გაიძახის თავისებურად: „ნემსი, მახათიო“...

ამ ამბით გახარებული სიკო ამხანაგს გაშორდა და დასაძინებლად წავიდა.

წკრ-წკრ-წკრ-წკრ-წკრ! — მოისმა გათენებისას სკოლის ეზოდან ზარის ხან-გრძლივი წკარუნი შეგირდების შესაკრებად.

სიკო საჩქაროდ ლოგინიდან წამოხტა, დანა და საპონი უბეში ჩაიდო და პირის დასაბანად მდინარესკენ გაიქცა. იგი სიამოვნებით დასცქეროდა თავის ხელებზე მზის სხივებისაგან ათასფერად აბრჭყვიალებულს საპნის ქაფის ბუშტებს, მაგრამ უცებ გუშინდელი საზიზღარი ამბავი მოაგონდა და გამოღვიძებულმა სვინიდისმა ქენჯნა დაუწყო. „რას მერჩით, მეც ადამიანი ვარ!“ ჩასძახოდა ყურში რაღაც იდუმალი ხმა. საპნის ქაფი პირსა და ხელებზე გენიასავით მოედო და უბეში ჩადებულმა დანამაც ათასი შუბის წვერებივით დაუწყო გვერდებში ჩხვლეტა. გამწარებულმა ბავშვმა უბეში ხელი იკრა და დანაც და საპონიც ორივ მდინარეში გადაისროლა. ამ ნივთების მოშორებით დამშვიდებულმა სიკომ საწიგნე გადაიკიდა და სკოლაში წავიდა. ჩამოჰკრეს მეორედაც ზარი და მოსწავლენი კლასში შეიკრიბნენ. ცოტა ხანს შემდეგ შემოვიდა უძილობით სახე გაფითრებული მასწავლებელი. მოსწავლეებმა სული განაბეს და თავის ოსტატს თვალებში შეაშტერდნენ. იგი კარგა ხანს დადიოდა თავჩაკიდული ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდის. მერე ერთბაშად შუა ალაგას გაჩერდა და მოსწავლეებს აღელვებით უთხრა:

— ყმაწვილებო, გუშინდელი საზიზღარი ამბავი უთუოდ ყველას შეტყობილი გექნებათ! თქვენს შორის ზის ორი ავაზაკი, ისინი სწამლავენ ამ ოთახის ჰაერს. თქვენი სწავლება მე არ შემიძლია, სანამ ისინი აქა სხედან. ავაზაკო, აიხადე პირბადე! დაგვანახვე შენი მანკიერი, ადამიანის სისხლში გასვრილი ხელები!

— მე... მოისმა სიკოს სუსტი, აკანკალებული ხმა და გულშემოყრილი იატაკზე დაერეხვა.

მასწავლებელი სიკოსთან მიიჭრა, გულშემოყრილი ყმაწვილი ბუმბულივით ხელში აიტაცა და თავის ოთახში გაიყვანა. იქ იმან ძმრითა და ცივი წყლით სიკო მალე მოაბრუნა. მერე გვერდში მოისვა და მშობლურის მზრუნველობით დაუწყო გამოკითხვა, თუ რა მიზეზით შეუწუხდა გული.

— ბატონო, მე თქვენთან ჯდომის და ლაპარაკის ღირსი არა ვარ! მე ვარ იმ საზარელი საქმის ჩამდენი...

მასწავლებელი უცებ ეკალ-ნაჩხვლეტივით ზეზე წამოიჭრა.

— როგორ? შენ? რას ამბობ, ხომ არ შეიშალე?...

— დიაღ, მე! დამჩეხეთ, დამკეპეთ, ჩამომარჩვეთ!... ყველაფრის ღირსი ვარ.

მასწავლებელი ისე გააშტერა ამ ამბავმა, რომ რამდენსამე ხანს გაქვავებული იდგა.

— მეორე რომელი-ღა იყო შენთან?—აღელვებით ჰკითხა მასწავლებელმა.

— სხვა არავინ, მარტო მე ვიყავი.

— სტყუი! მე ვიცი, რომ მეორეც იყო. დავით ბენდელაია ხომ არ ყოფილა?

— არა, მარტო მე ვიყავი.

— მასწავლებელი დიდ ხანს ემუდარა სიკოს მეორე ამხანაგიც გაემეღავნებინა, მაგრამ მისი სახელი ვერას გზით ვერ წამოაცდევინა.

მასწავლებელმა სიკო თავის ოთახში დასტოვა და თვითონ მოსწავლეების შეუტყობინებლად დავით ბენდელიას ბინაზე წავიდა. იქ სახლის პატრონს დაწვრილებით გამოჰკითხა, თუ რა დროს დაბრუნდა დავითი სკოლიდან. მასპინძლის ჩვენებამ მასწავლებელი სრულიად დაარწმუნა, რომ ამ საქმის ჩამდენი დავითი იყო და სახლის ჩხრეკას შეუდგა. კარგა ხანს ძებნის შემდეგ ლოგინზე, ზანდუკის უკან მასპინძლის დახმარებით იპოვა ჩვრებში გახვეული ახალი დანები და კალმის ტარები.

დავითი, რასაკვირველია, სკოლიდან მაშინვე გამორიცხეს, სიკოს კი, რადგანაც თავისი დანაშაული თვითონ აღიარა, მცირე სასჯელი მიუსაჯეს.

გავიდა რამდენიმე დღე და ეს ამბავი ყველას გადაავიწყდა. არ დავიწყებია მხოლოდ დავითს, იგი დარწმუნებული იყო, რომ სიკომ უღალატა და შურის საძიებლად დროს ეძებ-

და. ერთს საღამოს დავითი სიკოს ბინის ჭისკარს მიადგა და გამოცვლილის ხმით მასპინძელს დაუძახა:

— სიკოს უთხარი, მასწავლებელი გხმობილობს-თქო!

სიკოს ძალიან ეოცა ამ დროს დაბარება, მაგრამ რა უნდა ექნა, საჩქაროდ ქუდი დაიხურა და სკოლისაკენ გასწია. კარგა მოშორებული იყო თავის ბინას, რომ უეცრად ბუჩქიდან თავი ამოჰყო რაღაც შავმა აჩრდილმა და წინ გადაეღობა. სიკოს ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა და მუხლებმა კანკალი დაუწყო.

— ჰა, ჩამივარდი თუ არა ხელში, შე მუხანათო, გაუტანელო! აბა მიჩვენე, რა ტემლაკები დაგაკერეს, რომ დამაბეზღე?

— დავით, ღმერთი არ გამიწყრეს, მე არა მითქვამს-რა, მასწავლებელმა თვითონ აიღო ეჭვი.

— ვიცი, ვიცი! შენ როგორ ეტყოდი! მასწავლებელი, რასაკვირველია, თვითონ მიხვდებოდა, ის ხომ სული-წმინდაა.

— დამერწმუნე, არა მითქვამს-რა, დედ-მამა არ დამეხოცოს, თავი არ მომიკვდეს!

— ნუ ფიცავ! ვიცი, რა შვილიც ბრძანდები. ახლა წადი და ესეც უთხარი!

ამ სიტყვებისათანავე დაეჯომა ისე სთხლიშა სიკოს თავში კეტი, რომ უსულოდ ძირს დასცა.

ამ საზარელის სურათის ნახვით დაღონებულმა ზეცამ ძაძა შემოიბურა და დედა-მიწას სხვილი ცრემლი დააფრქვია.

კარგა ხანს უცადა მასპინძელმა სიკოს, მაგრამ, როცა შეატყო, ნამეტარი დააგვიანდაო, ნაბადი წამოისხა და ამბის შესატყობად მასწავლებელთან წავიდა. გზაზე რაღაც რბილს საგანს ფეხი წამოჰკრა და კინაღამ წაიქცა. ელვის შუქზე კარგა გაარჩია, რომ ეს იყო თავ-გატეხილი სიკო. გრძნობა დაკარგული ყმაწვილი მასპინძელმა სახლში მიიყვანა და ეს ამბავი მასწავლებელს აცნობა. მასწავლებელიც მოვიდა. კარგა ხანს ცოდვილის შემდეგ, როგორც იქნა, სიკო გრძნობაზე მოიყვანეს. მაგრამ ძლიერ ხანმოკლე იყო მისი გამოფხიზლება. საბ

რალოს მაშინვე საშინელი სიცხე მისცა და თავში ანთება აუ-ვარდა.

— რას მერჩით, მეც ადამიანი ვარ! არა, ღმერთმანი, მა-სწავლებელისათვის მე არა მითქვამს-რა! დედავ! დედავ!

წამ-და-უწუმ ჰბოდავდა საწყალი სიკო.

მალე ექიმიც მოიყვანეს, მაგრამ ამაოდ. სიკოს მეორე დღის სინათლე აღარ უნახავს.

**იასონ ნიკოლაიშვილი**

# თუშური სიმღერები

(შეკრებილი დავით როსტომაშვილის-მიერ)

## I

მოდი, კაზუზი [1]), დაგვეხსენ, თუშებსა გვეყო ზიანი,
ახლა სვესურეთს გადადი, სმალნი იქ დგანან [2]) ფსიანი,
წინ თორღვა [3]) შემოგეყრება, ღვთისაგან დაულათიანი,
სმალსა ჭლესავდა თორღვაი, სანკალ წელთ ება ფსიანი,
გიფარა [4]) თორღომ, მაგაწვინ (ა), ნაბად დაგსურა ცხვრიანი,
თავით დაგისხა ყორნები, ძვალ ასხვრეგინა წვნიანი.
თორღვაო, კაზუზის მკვლელო, ნეტა რა ვქონდა ფარადა,
ქალაქს გიბარებს ბატონი [5]), ერთასელ ჩამოდი ბარადა,
სალათის გამოგიტვლი თორღვაკ, სვესურთ ბიჭების ჯარადა,
ტანსა აგეთსა გიბოძებ, შინ მოგიყვანოს ჩქარადა.
ემაგის მოშაირეი გომეწარს [6]) ქალ ვარ თმიანი,
შეიტყო, (თორღვაკ), გამომგზავნე სიყურე გუგუმიანი, [7])
იუ იმას ვერ გაიმეტებ, ტყავ-კაბა ნოჭიანი,
სატოლად არას მიკადრებ, აზნაური ხარ ხლმიანი,
ქებით კი თავს ნუ იდიდებ, მამა მეტ მეკანდა ხნიანი,
ჭარიდან მოუდიოდა ყოსნი და ვაცნი რქიანი.

---

[1]) ქისტის სახელია.
[2] არიან.
[3]) თუში.
[4] შემოგკრა.
[5]) ერეკლე.
[6] სოფ. თუშეთში.
ბუშტებიანი.

## II

შვიდ წელს ტუკედ ვიყავ, დედაო, შინათ კარს გამოუკალი,
შვიდის წლის გამომიყვანეს, ქალ-რძალი მოდგა მრავალი,
შუაში ჩამომიყენეს მარგალიტისა მრავალი[1].
კოჭლი ვეგონე, უფესო, ადარსად წამიმავალი,
ასეთს კი გადაუფრინდი, ადარსად ჭქონდათ საკალი,
ჯერ ბიჭი გამამიყენეს, ასალ-წკერ შემომაკალი,
ვირბინე, ვერ მომეწია, მუსლად მე კაობდი მაკალი,
მემრ ტხენი გამომიყენეს წინ-და-წინ დოღში მავალი,
ვირბიე, ვერ მომეწიკა, გზა მქონდა სახვეკანი,
მემრისას გამომაყოლეს თბე-წკრილი (ისარი) შორათ მავალი.
ზურგთა მერეს, ბეჭთა მიწია, მუსლი მამიხვნეს მავალი,
წყალსა აგეთსა მიკადექ, არსადა ჭქონდა საკალი,
გზანიცამ დაილოცება ცხვრისანი, მეცხვარისანი,
წყალს იმათ გამომიყვანეს, სიდნი დმისხნეს ხისანი,
ხისანი, არცა ხისანი, ნედლისა ჯიჯოტისანი[2].
აგეთსა მთასა მოკადექ, ყორან დაჭყეფდის მთისანი,
იმის ძირს ჩუხილაობდნენ[3] ქუნი არწივნი ცისანი.
დედამ შვილს გადაუძრახა: «სულ მამდის სორციელისანი».[4]
—ტუკეია,[5] დედავ, ბეჩავი, შიმშილით შეწუხებული.
«ცოტა ხანს შემომატადოს, შუნის[6] მოკართმეკ ციკანსა,
გზასაც მე გადავასწავლი მას თავის ადგილისასა».
ჰატას[7] ნუ ჩასვავალ, მთავრეო, ნუ ჩამიბნელებ გზათა,
შინ აგეკ ჩაუვიდოდე ჩემ თვალ-ცრემლიან დათა!

---

[1]) პური გაშალეს კარსახმობად და იმას დამიყენეს ყარაულად.
[2]) წვრილი წნელი.
[3]) ქუჩდებოდნენ.
[4]) ზორციელისა.
[5]) ტყვეა.
[6]) დედალი ჯიხვი.
[7]) პატარა ხანს.

# ვარიპანიძიანთ ნინო

მოთხრობა საქართველოს ცხოვრებიდან

## ერტურ ლეისტისა

თარგმანი გერმანულით

### VI*)

ლევან ჩაგანის სახლი შარელში არამც თუ უფრო დიდი და ლამაზი იყო, ვიდრე ექვსი სხვა თავადიშვილისა, რომელნიც იმავე სოფელში სცხოვრობდნენ, არამედ მთელს იმ მხარეში საუკეთესოდ ითვლებოდა. ეს სახლი იდგა ერთს მშვენიერ ხეობაში, გარშემო ვენახები და ბაღები ერტყა, რომელთაც აგრედვე ორივ მხარეს მთის ფერდობებზედ ატეხილი წიფლის ტყეები აკრავდა. შორიდან დიდებულ სასახლედ წარმოგიდგებოდათ, ისე ამაყად მოსჩანდნენ ამწვანებულ ხშირ ხეხილში მისი თეთრად ამართული კედლები, განიერი, გამწკრივებული თაღები იმის ბალკონებისა და მაღალი, მზეზედ მოელვარე ფანჯრები. ახლო კი რომ მიხვიდოდით, ამ დიდებულ სანახაობას ველარ ამჩნევდით, რადგან ეს სახლი მარტო ვრცელი და საოჯახოდ მოწყობილი შენობა იყო სოფლის მემამულესი და სხვა არაფერი. შიგნითაც ადამიანი სიამოვნებით შედიოდა: ოთახები და ზალები დიდი და ნათელი იყო და მებელიც, თუმცა ახალ-მოდობას ვერ დაიკვეხებდა, მაინც სუფთად და რიგიანად ჰქონდათ შენახული. სახლი ამ საუკუნის დასაწყისში

*) „მოამბე“ № II.

ლევანის პაპას აეშენებინა, შინა მოწყობილობა კი, რომელიც თითქმის სრულიად ევროპიულს წაგავდა, შვილის, ლევანის მამის, ნაღვაწი იყო; ამასვე გაეშენებინა ვენახები და ბაღები სახლთან და მათ უკან თავლები და სხვა საოჯახო შენობები აეგო. ეს იყო მშვიდი და მშრომელი კაცი, ეზიზღებოდა ქართველური მცონარეობა, და რაკი რიგიანობა უყვარდა და არადროს თავის სიტყვას არ გასტეხდა, მეზობლები დასცინოდნენ და „ნემეცს“ უძახდნენ-

— მართლა ნემეცი რომ ვიყო, მაშინ მე ვიცოდი რაებსაც გავაკეთებდი, ჰფიქრობდა ის ხშირად, რადგან თითქმის ყოველ კვირა გაუვლიდა ხოლმე გვერდით ერთს მეზობლად ჩასახლებულს ნემეცს, ლეოპოლდ კიუნეს, და რწმუნდებოდა, რომ აქ ყოველივეს უკეთესი ფერი ედო, ვიდრე იმის მამულში: არამც თუ ვენახები და მინდვრები უკედ იყო შემუშავებული, საქონელიც უფრო ღონივრად და ლამაზად გამოიყურებოდა. დიდ ხანს ეცადა და ძლივს მოახერხა თავის მამულ-დედულის გაუმჯობესობა, მაგრამ მაინც ნემეცს ბევრით უკან ჩამოურჩებოდა.

ამ დროსვე ლევანის მამამ განიზრახა თავისი შვილი გერმანიაში მეურნეობის სასწავლებლად გაეგზავნა. მეზობლები დასცინოდნენ ჩიგანის უცნაურს აზრს და იქნება თავიც დაენებებინა ამ განზრახვისათვის, ლევანს რომ გიმნაზიიდან დაბრუნების შემდეგ არ გამოეცხადებინა სურვილი უცხოეთში წასვლისა უმაღლესი განათლების მისაღებად. ეხლა კი მტკიცედ დაადგა თავის განზრახვას, აღარავის ყური არ უგდო და ლევან გერმანიაში გაისტუმრა, სადაც მან ოთხი წელიწადი დაჰყო. შინ რომ დაუბრუნდა, თვითონ ლოგინად ჩავარდა და იძულებული გახდა მამულის პატრონობა შვილისათვის ჩაებარებინა. ერთის წლის უკან სულიც განუტევა იმითი დამშვიდებულმა, რომ იმის მამა-პაპეულ განძს ეხლა რიგიანი პატრონი ეყოლებოდა. ლევან შეუდგა დაუცხრომელს მუშაობას, საუკეთესოდ მოაწყო თავისი მამული და მალე მიზეზიც მოესპო კიუნესთვის შურით ეცქირა, რადგან საშურველი მართლა აღარა იყო-

P-23824

მამულსაც ისეთივე შემუშავების ფერი დაედო, როგორც ნემეცისას და ამასთანავე მას ნემეცზე ერთი-ათად მეტი შეძლება ჰქონდა. ლევან რომ გარედ, მინდორ-ვენახში შრომობდა, იმის დედა და და ქეთევან შინ ოჯახს აგრედვე გულმოდგინედ და მხნედ უვლიდნენ და ასე სიტკბოებით, მყუდროდ მიმდინარეობდა მათი ცხოვრება.

როცა ლევანმა ნინო გაიცნო და შინ გამოაცხადა ვარიპანიძის ქალი მომწონს და მინდა, ცოლად ვითხოვოო, დედამ ეს აზრი მოუწონა.

— დიდებული ჩამომავლობისაა და თვითონაც, უეჭველია, დიდებული და კეთილი იქნება,—სთქვა მან.—იმის პაპას ვიცნობ, მამასაც, დედასაც კარგად ვიცნობდი,—სამაგალითო ქალი იყო და იმისთანა დედის შვილი ბედნიერებას მოგვიტანს შენცა და ჩვენც.

სიხარულით შეუდგა დედა მზადებას, რომ თავისი მშვენიერი რძალი კარგად მიეღო და მეფე-დედოფლისათვის ზემო სართულში საუკეთესო ოთახები მოაწყობინა. თავის სახლში ხელმეორედ ქორწილის გადახდაც მოინდომა და განიზრახა განსაკუთრებული სტუმრის-მოყვარეობა გამოეჩინა. აქ უფრო დიდებული ნადიმები გაიმართა, ვიდრე ვარიპანიძიანთსა და ყველა დამსწრენი ერთხმად ამბობდნენ, რომ ამ სახლში ყოველისფერს ჩინებული მეოჯახის თვალი და ხელი ეტყობოდა. სამი დღის განმავლობაში სუფრაზედ ასორმოც და ათზედ მეტი სული იჯდა, მაგრამ თან-და-თან უფრო ძვირფასი და გემრიელი საჭმელი მოჰქონდათ და თუმცა ხმაურობა და მხიარულება არ შეწყვეტილა, ყოველგან გასაშტერებელი წესი და რიგიანობა მეფობდა.

დედამთილი და მული რძალს ისე ტკბილად მიეგებნენ და შეგობრულად მიიღეს, რომ ნინოს გული სიამოვნებით აუტოკდა და ამისთანა ოჯახში შესვლით ბედნიერადა რაცხდა თავსა. აქ ყოველისფერი დაუხვდა, რაც ენატრებოდა: საზოგადოება, მხიარულება, გართობა და ამასთანავე უფრო მეტი კეთილ-მოწყობილობა, ვიდრე იქ, ტფილისში, თავის ძალუასთან.

პირველი დღეები მთვრალსავით გაატარა,—დილიდან საღამომდე კმაყოფილის სტუმრებით იყო გარშემორტყმული, რომელნიც ლაპარაკით დროს ატარებინებდნენ და როცა ეს შეწყდებოდა, მუსიკა და ცეკვა-თამაშობა ართობდა.

ლევანიც აღტაცებული იყო; ის ეხლა მხოლოდ სიამოვნებასა და დროს-გატარებაზე ჰფიქრობდა და ერთი სიტყვითაც არ აგონებდა ცოლს, რომ მალე ჩვეულებრივი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ჩვეულებრივს შრომას უნდა შესდგომოდნენ. იმისი გრძნობა-გონება სრულიად აწმყოს ეკუთვნოდა, არაფერი არ უშლიდა მთლად ამ აწმყოს დამორჩილებოდა, განუწყვეტლივ ერთობოდა, სიამოვნებდა და დროც კი არ გააჩნდა, რომ რაიმეს ჩაჰფიქრებოდა.

რუსუდან ლომიძის ცოლიც მათ თან მოჰყვა, მთელი კვირა დარჩა ნინოსთან და არა მცირედს მონაწილეობას იღებდა საზოგადოების გამხიარულებაში, მაგრამ მაინც აქ უფრო თავ-დაჭერილად იქცეოდა და გარსევან ერეკლიძე, რომელიც აგრედვე სტუმართა შორის იყო, თითქო სრულიად დაივიწყა. მოსვლის უმალვე მიხვდა, რომ მისს მეტის-მეტს თავისუფალ ქცევას აქ მკაცრად შეჰხედავდნენ. ამიტომ თავი შეიმაგრა და ერეკლიძესაც კი თვალთათვის ისე გულ-გრილად ექცეოდა, რომ ფრთხილ მეთვალყურესაც ადვილად დაუმალავდა თავის ნამდვილ გრძნობას. ერეკლიძის გაუთავებელი ხუმრობა და ოხუნჯობა თითქო რუსუდანს ისევე ართობდა, როგორც სხვებს, მაგრამ ნამდვილად კი ცდილობდა, არც ერთი სიტყვა ერეკლიძისა არ გამოჰპაროდა და სხვების ლაპარაკის დროსაც მარტო იმის სიტყვებისათვის მიეპყრა ყური, მარტო იმისი ხმა გაეგონა. მხოლოდ მაშინ არ აქცევდა ყურადღებას და არავითარს შთაბეჭდილებას არა ჰგრძნობდა, როცა ერეკლიძე სუფრაზედ სიტყვას ამბობდა რასმე, ან დარბაისლურ ლაპარაკში შეეხებოდა რაიმე მძიმე საგანს, მაგალითად, ხალხში განათლების გავრცელებას, ან ქალების აღზრდას და ამ საზოგადო საკითხავთ მჭერმეტყველურის აღტაცებითა სჯიდა. რუსუდან გულ-ციავად ეკიდებოდა მისს მაღალ აზრებს, მისგან ცხოვრებაში მი-

ღებულ ზნეობრივს კანონებს და მოსწონდა იგი, მხოლოდ როგორც მშვენიერი, მხიარული ყმაწვილი-კაცი. ნინომ მალე შეატყო ეს გულგრილობა, მაგრამ რაკი ჰხედავდა, რომ რუსუდან ცდილობდა ამ საგნისთვის გვერდი აექცია, მიზეზი აღარ უკითხავს. რცხვენოდა ეკითხა თავის მეგობრისათვის და სინიდისიც ნებას არ აძლევდა ამ საგანზედ ლაპარაკი ჩამოეგდო, რადგან ეს თითქო ქმრის ღალატისადმი წაქეზება გამოეიდოდა. მაინც თავის მეგობრის მსუბუქი ქცევა მას ართობდა და თითქმის სწყინდა კიდეც, რომ ერეკლიძეზედ გული აიყარა და უცბად აპილპილებული გრძნობა უეცრადვე დააყუჩა. დაიწყო მიზეზის ძებნა და თუმცა მალე მიაგნო, მაინც გულს არ აჯერებდა და ცდილობდა უფრო სხვა მიზეზი ეპოვნა; მაგრამ მალე რუსუდანმა ნამდვილი მიზეზი თვითონვე შეატყობინა.

— შენი დედამთილი მეტად მკაცრი დედაკაცი სჩანს,— უთხრა მან ნინოს გამოსალმების დროს.

ნინომ რომ ეს სიტყვები გაიგონა, შეკრთა და უცბად ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მოპოებული მხიარულება აემღვრა: თითონაც შეჭჩნეული ჰქონდა, რომ ლევანის დედა მკაცრი ხასიათისა იყო, მაგრამ საკუთარმა დაკვირვებამ ისე ვერ ააღელვა და შეაწუხა, როგორც მეგობრისაგან კვერის დაკვრამ. დარდები კვალად აეშალა და მისს მომავალს ჩრდილი მიაყენა. ამას გარდა ჩუმი ცხოვრება დაუბრუნდა იმის ქმრის ოჯახს, რაკი სტუმრები ყველანი წავიდ-წამოვიდნენ; შინაურებმაც თავ-თავიანთ საქმეს მიჰყვეს ხელი და თითქო უხაროდათ, რომ ამ ბოლო ხანების არეულობა დაწყნარდა. ამ ცვლილებამ ნინო სრულიად გამოაფხიზლა, გამოიყვანა პირველ ოცნებიდან, თუმცა ყველანი ცდილობდნენ სიტკბოება-ფუფუნებაში ჰყოლოდათ და საზრუნავი არაფერი გაეჩინათ მისთვის. ლევანს მართლა უყვარდა ნინო და რაც კი შეეძლო, ნაზად და ტკბილად ექცეოდა. იმის და ქეთევან საუკეთესო მეგობრობას უწევდა და დედაც თავის დანაპირებს პირველად ოჯახში ფეხის შემოდგმის დროს,—შვილსავით შეგიტკბობ და შეგიფერებო, სიამოვნებით ასრულებდა. ამ სახით არაფერი საზრუნავი და სამ-

წუხარო მას არა ჰქონდა-რა და რამდენიმე დღის შემდეგ მათ-თან ერთად ცხოვრებამ კვალად კარგს გუნებაზედ დააყენა, შეეჩვია თავის ყოფა-ცხოვრებას და დარწმუნდა, რომ გარშე-მო გულითადი მეგობრები ერტყა. მხოლოდ ათასში ერთხელ უსიამოვნობა ერეოდა და ეს მაშინ, როცა სხვანი საოჯახო საქმეებში ერთობოდნენ, ან იმის თანადასწრებით ამ საქმეებზედ ლაპარაკობდნენ და თითქო იმის გართობას საჭიროდ აღარა ჰხედავდნენ. ამ დროს ნინო უკმაყოფილებას, მოწყენილობასა ჰგრძნობდა, მაგრამ მაინც თავის გულის-პასუხ ვერ ამხელდა, რადგან მოვალე იყო იმ სიკეთისა და თანაგრძნობისათვის, რო-მელსაც შინაურები მისთვის არ იშურებდნენ, სამაგიერო გადა-ეხადა.

მალე გაიარა ერთმა თვემ ამ მყუდრო ცხოვრებისამ. ნი-ნო გულ-დამშვიდებული შეიქნა და არც გათხოვებასა ნანობდა. ხშირად, როცა ღევან, ან ქეთევან მათის სიყვარულის ნიშნად ახალს რასმე სიამოვნებას აგრძნობინებდნენ, ნინო ჰფიქრობდა, მე ბევრ სხვა ქალებზე ბედნიერი ვარო და ცდილობდა კიდეც თავისი მხიარულებისა და დროს-გატარებისადმი მისწრაფება დაეყუჩებინა და რაიმე საქმეში გართულიყო. ერთხელ უშვე-ლა კიდეც ქეთევანს ყვავილების მოვლაში, მაგრამ მალე მოს-წყინდა და წინანდელსავით უქმობა ირჩია. რთველის დროს სტუმრიანობა კიდევ გაჩნდა, მეზობლები ეწვივნენ, სახლს მხია-რული ფერი დასდეს და ყოველდღიური ცხოვრება ცოტაოდ-ნად შესცვალეს. ყველანი ქეიფიანად და კმაყოფილნი იყვნენ და თუმცა დიდებული ნადიმები არ გამართულა, მისვლა-მოსვ-ლა და დროს-გატარება მაინც საკმაო იყო.

დადგა შემოდგომის ტკბილი და მხიარული დღეები; მო-ვიდა დრო, როცა ყველა მხიარულების მონატრენი ტფილი-სისკენ მიისწრაფვიან. ნინოს ძალუაც მისულიყო და სწერდა მას, რომ ჩემი საღამოები ეს ერთი კვირაა ისევ შემოვიღეო. რუსუდან და პოეტი ვანო გარელიც იქ იყვნენ და კითხულობ-დნენ თურმე ნინოს, როგორ არის, ან ამ ზამთარს ტფილისში ხომ არ ჩამოვაო. ორნივ გულითადს მოკითხვას უგზავნიდნენ,

რომ მოაგონდა უწინდელი მხიარულება და დროს-გატარება, რასაც ეხლა ნება-უნებურად უნდა მოჰკლებოდა, მეტად შეწუხდა და გულმა ტფილისისკენ დაუწყო წევა. ჯერ ესეთი მისწრაფება არ ეგრძნო ნინოს მას აქეთ, რაც მაჰის სახლში პირველად დაბრუნდა. იმას მარტო ერთის ვისმეს ნახვა კი არა სწყუროდა, ყველანი უნდოდა ენახა, ვისაც კი როდისმე მისთვის დრო გაეტარებინა, გაემხიარულებინა, გარელზედ ხშირად არა ჰფიქრობდა და მხოლოდ გაახსენდებოდა მაშინ, როცა რომელიმე მისი სასიმღერო ლექსი მოაგონდებოდა.

ხანდისხან განიზრახავდა ხოლმე, ყოველივე ღონე შემოეკრიფა და ლევან დაეჯერებინა, ტფილისში წასულიყვნენ, მაგრა ამ განზრახვის გამოცხადებას ვერა ბედავდა. თვალ-წინ წარმოდგენილი ჰქონდა, ეს რომ ეთქვა, ქმარი როგორ გაოცებული შეჰხედავდა. მართლაც, მას შინ ათასი საქმე ჰქონდა და ნინოც სრულიად კმაყოფილი ეგონა, რაკი, ყოველისფერს უსრულებდა, რასაც მოისურვებდა. მერე ამის დედამთილი რაღას იტყოდა! ეს რამდენიმე ხანი იყო, რაც ნინოს კვლავ მიეცა შიში თავის დედამთილის სიმკაცრისა, თუმცა მიზეზი არა ჰქონდა-რა. იგი ისევ ისე ტკბილად და მეგობრულად ეპყრობოდა, როგორც პატარძლობის პირველ დღეს. ახალწლის შემდეგ ნინოს რუსუდანის წერილი მოუვიდა, რომელშიაც ატყობინებდა, რომ ტფილისში დროს ჩინებულად ვატარებო.

„გარსევან ერეკლიძეც აქ არის,—იწერებოდა რუსუდან სხვათა-შორის,—და გამოტეხით უნდა გითხრა, უწინდელზედ ბევრად უფრო მომწონს ეხლა. მხოლოდ მისმა გაუთავებელ მა სიტყვებმა თავი მომაბეზრეს მეცა და მგონი სხვებსაც. მაგრამ როცა თავის სიტყვების თქმის სურვილს მოიკლავს, ძალიან სასიამოვნო ყმაწვილი კაცია და იმასთან ყოფნა მრავალს ტკბილს წუთს გამატარებინებს ხოლმე.“

— რუსუდანს უყვარს ერეკლიძე,—ფიქრობდა ნინო და არა ჰკიცხავდა თავის ვეგობარს, ასე სიამოვნებით დროს გატარებისათვის. გულში უხაროდა კიდეცა, რომ რუსუდან ასეთი მტკიცე ხასიათისა გამოდგა, თავის ნებაზედ დადიოდა და ცოლ-

ქმრობის ბორკილს არ ემორჩილებოდა. მაინც წერილი რუსუდანისა ცეცხლში ჩააგდო, რადგან უეცრად შიშმა მოუარა, რომ იპოვნოს ვინმე, ვაი თუ ჩემს გულის-პასუხს მიხვდესო. ამ დროს ლევან გაჩნდა და ჰკითხა, რუსუდან ახალს რას იწერებაა ტფილისის ამბავსაო; ნინო ამ კითხვაზედ მთლად გაწითლდა და ლევანმა მხოლოდ იმიტომ ვერ შეამჩნია შეკრთომა, რომ ცოლს ხელებს უკოცნიდა და მის ალერსში იყო გართული.

შიშს სირცხეილიც მიემატა, მაგრამ ნინოს უფრო სხვებისა რცხვენოდა, ვიდრე თავის თავისა და ხშირად დიდი შეკრთომაც უგრძვნია, როცა სხვების წმინდა და ზნეობიან ლაპარაკს ყურს უგდებდა და თავის ფიქრებს უდარებდა. თანდათან უფრო ცხადადა ჰხედავდა, რომ ლევანის დედა და და ბევრ საგანში დიდად იმაზედ მაღლა იდგნენ, ჰქონდათ ყოფა-ქცევისათვის ერთხელვე დადებული კანონი და თითონ ნინოს კი არავითარი სახელმძღვანელო წესი არ გააჩნდა, ცხოვრებაში ტოკავდა და თავის ვნებათ-ღელვას ყურ-მოჭრილ ყმასავით ემორჩილებოდა. უწინ არ მოსვლია აზრად, თავის თავს ჩაჰკვირვებოდა, მაგრამ ეხლა, რაკი სამს მტკიცე-ხასიათიან ადამიანთან შეხვდა ცხოვრება, თავის გულშიაც ჩაიხედა და უნდა დათანხმებულიყო, რომ ზნეობრივი საფუძველი აკლდა და მსუბუქად უყურებდა ცხოვრებას. ქეთევან და რუსუდან რომ ერთმანეთს შეადარა, უანგარიშო ნაკლულევანება უპოვა ამ უკანასკნელს და ბოლოს ეჭვიც შეიტანა, განა რუსუდან ჩემს მეგობრად უნდა ითვლებოდესო. ვერა მოეგონა-რა იმისთანა, რასაც შეეძლო რუსუდანის უანგარო მეგობრობა დაემტკიცებინა და ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ რუსუდან მარტო მხიარული ამხანაგი იყო. ამ მოსაზრებისა და დაკვირვების შემდეგ ქეთევანს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა, შესძლო იმის კეთილშობილური გულის დაფასება და თანდათან შეიქნა ქეთევანის ერთგული, განუშორებელი მეგობარი. ლევანიც ეხლა უფრო მოსწონდა. მისმა კეთილმა ხასიათმა და მეგობრულმა ქცევამ გული გაუთბო ნინოს და როცა, მოკლე ზამთრის შემდეგ, გაზაფხულის

სუნი დატრიალდა, ნინოს აღარ ენანებოდა ის ქეიფი და მხიარულება, რომელიც ამ ზამთარს მას წილად არ შეხვდა. ნინო ეხლა სრულიად დამშვიდებული და კმაყოფილი იყო.

## VII

თავად ვანო გარელის სახლში, ტფილისში, ერთ მარტის საღამოს იმავე წლისას დიდი ამბავი იყო. ვანო გარელს, ანუ პოეტს ვანოს, როგორც მეგობრები უწოდებდნენ, გადეწყვიტა ტფილისიდან დიდი ხნით წასვლა და თავის ამხანაგებისათვის გამოსალმების სადილი გაემართა. სამის დღის წინად თეატრში მისი ახალი პიესა „ჭკუის-კოლოფი ქართველი ქალები," წარმოედგინათ, მაგრამ ეს ნაღვაწიც იმის წინანდელ პიესებსავით სრულიად უვარგისი გამომდგარიყო და ამიტომ „პოეტი" აპირობდა რამდენიმე ხნით ტფილისისთვის ზურგი შეექცია და სოფლის მყუდროება მოენახა. იქ, ქვეყნის ვაი-ვაგლახს განშორებული ფიქრობდა ახალი ქმნილების შეთხზვას, რომელსაც არამც თუ მეგობრები, მტრებიც კი უნდა გაოცებაში მოეყვანა. „ჭკუის კოლოფებისაგან"—აც ამასვე მოელოდა, ყველას წინდაწინვე აღტაცებით უქებდა და მისს „ჩაფუჭებას" მხოლოდ თავის მოწინააღმდეგეთ აბრალებდა, თუმცა თვით მეგობრებიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ ეს პიესა მეტად სუსტი და ნაკლულევანებით საესე იყო.

— რამდენიმე კარგი ფრანგული კომედია წაიღე თან და გულმოდგინედ იკითხე,—ურჩია მას ილიკო ლეონიძემ, ახალგაზდა ექიმმა, რომელიც ყველასაგან დაწუნებულს და ცუდად შედგენილს „ჭკუის-კოლოფებში" რაოდენსამე ღირსებას მაინც პოულობდა და იმ აზრისა იყო, რომ გარელმა თუ საფუძვლიანად გაიცნო სასცენო ლიტერატურა, უკეთესის დაწერასაც მოახერხებსო. დღესაც იმიტომ მოსულიყო, წასვლის წინად რამდენიმე კეთილი რჩევა მიეცა და სალიტერატურო მოღვაწეობისათვის გამეხნევებინა.

— მე გადაწყვეტილი მაქვს, არაფერი არ ვიკითხო,—მიუგო გარელმა.—როცა სხვის ნაწერებს კითხულობ, ნებაყენებურად მათი წამბაძავი ჰხდები და მე ეს არ მინდა; მე მინდა ჩემი თავისებურობა შევირჩინო და ღმერთმა დამიფაროს ჩემს საკუთარს შემოქმედების ძალას ბორკილები დავადო. ყოველ დიდებულს მწერალს თავისი გაკვალული გზა უნდა ჰქონდეს და არც საჭიროობს სხვას დაესესხოს სამწერლო ხელოვნებას. იმისი ერთად ერთი მასწავლებელი თვით ცხოვრებაა. მე წიგნებში კი არა ვსწავლობ იმას, რაც მინდა, მე ვსწავლობ ადამიანთა ჭრელს, ცვალებადს ცხოვრებაში. და ეს ცხოვრებაა ჩემი წიგნი. ჰაჰაჰა!

ეს „ჰაჰაჰა“ სიცილს არა ნიშნავდა. ამითი გარელს უნდოდა ეთქვა: „რა თქვენი საქმეა მაგ საგანზეტ ლაპარაკი, ან რა გესმით მაგისი? განა გაგება კი გაქვთ, რა არის შემოქმედებითი ძალა დიდებულის პოეტისა?“

ამ მაღალ-ფარდებიანს სიტყვებზედ ექიმმა არა მიუგო-რა, იმანაც გაიღიმა, მაგრამ მაინც ეს სამწუხარო ფიქრი თავიდან არა შორდებოდა:

— ჩვენი მოკალმენი სულ ესეთნი არიან; არავის-რა უსწავლია და თავისი თავი კი ყველას გენიოსი ჰგონია.

მხოლოდ ორი თუ სამი იქ დამსწრე გამოდგა ექიმის აზრისა, დანარჩენნი გარელს დაეთანხმნენ; ერთი მათგანი წამოდგა კიდეც და მათ სიტყვებს რამდენიმე შენიშვნა დაუმატა, საიდანაც აგრედვე ის გამოდიოდა, რომ ის არცერთს წიგნს ხელში არ იღებდა და მხოლოდ ცხოვრება მიაჩნდა თავის მასწავლებლად.

— შენი აზრი თუმცა მართალია, მაგრამ ყოველთვის არ გამოდგება,—გააწყვეტინა სიტყვა ერთმა სასიამოვნო სახის კაცმა, ასე ოც და თხუთმეტის წლისამ, გვარად გელაძემ.—წარსული ცხოვრებაც ხომ მნიშვნელობით სავსეა და მისი გაცნობა მხოლოდ წიგნებიდან შეიძლება. არა, კაცმა ბევრი უნდა იკითხოს, ბევრი-მეთქი. რომ კითხვა საჭიროა, ჩემზე კარგად არავის გამოუცდია.

ეს რამდენიმე წელიწადი იყო, რაც გელაძისათვის „ისტორიკოსი“ დაერქმიათ, რადგან უნივერსიტეტიდან დაბრუნების უმალვე თვიურ ჟურნალში დაჰბეჭდა თარგმანი მაკოლეის რამოდენიმე ესკიზისა და, როგორც დროგამოშვებით გაზეთები მკითხველებს ატყობინებდნენ, ერთს დიდს ისტორიულს თხზულებას ამზადებდა გამოსაქვეყნებლად. პირველად დააპირა რომელიმე მსოფლიო ისტორიის ქართულად გადათარგმნა, მაგრამ რაკი გაიგო, რომ ერთი იმის ნაცნობთაგანი ამზადებდა წიგნს თამარ მეფის დროებაზედ, მაშინვე გამოაცხადა, ერთ დიდ თხზულებას ვიწყებ, რომელშიაც ამ დიდებულის მეფის ეპოქა საფუძვლიანად იქნება მოთხრობილიო. გელაძეს არ უნდოდა, რომ საზოგადოებას ყურადღება სხვა ვისთვისმე მიექცია და რამდენიმე კვირა მტკიცედ ადგა იმ აზრს, რაიმე დიდი ისტორიული თხზულებისათვის ხელი მიეყო. ბევრი წიგნები გადაიკითხა, შესავალიც შეთხზა, რომელშიაც იპოვიდით მხოლოდ უცხო მწერლების ერთმანეთში უხეიროდ გადაბმულ აზრებს. მაგრამ ამ პირველმა წახალისებამ მალე გადაუარა, ჩვეულებრივს სიზარმაცეს მიეცა და მასუკან აღარა უკეთებია-რა.

— აბა ვის ატყუებ!—ფიქრობდა თავისთვის ლეონიძე, როცა ისტორიკოსი ცდილობდა სწავლულობით თავი გამოეჩინა. ორმა-სამმა კი ამავე აზრისამ მათი გულის-პასუხი ხმა-მაღლა წარმოსთქვეს.

— ეს ექვსი, თუ რვა წელიწადია სულ შენს თხზულებაზედ ლაპარაკობ და აღარა გვეშველა-რა, პირველ ნაწილსაც ვერ მოვკარით ჯერ თვალი,—შენიშნა ერთმა.

— ნეტა ვიცოდე, რომელ წიგნებსა კითხულობ აგრე გულმოდგინედ? მე, ჩემო ძმაო, შენს შკაფში წიგნი ვერა ვნახე-რა!—გადაჰკრა სიტყვა მეორემ.

ამ დაცინვას ცხარე კამათი მოჰყვა, რომელსაც ბოლო მხოლოდ მაშინ მოეღო, როცა სუფრაზედ რამდენიმე ბოთლი ღვინო გაჩნდა. „ისტორიკოსი“ გაჯავრდა და გამოაცხადა, თუ გინდათ, ეხლავ ჩემს ორი გოჯის სისქე ხელ-ნაწერს მოგიტანთ და წაგიკითხავთო.

— დასავლეთში ბევრი სწავლული მთელ თავის სიცოცხლეს ერთად ერთს თხზულებაზედ აღამებს და ვერავინ ეჴვს ვერ შეიტანს მასში, რადგან იქ ყველამ იცის, რომ დიდს თხზულებას დიდი და ნელი მუშაობა უნდა.—წამოიძახა მან მოტრაბახე კილოთი,—დიაღ, იქ ყველამ იცის, რომ დროა საჭირო, თუ კაცს მართლა ნიჭიერად დაწერილი წიგნის შექმნა განუზრახავს.

ამ სიტყვების შემდეგ თვით გელაძეც დარწმუნდა, რომ ის მართლა სწავლული იყო და იმ დიდებულ წიგნსაც შეჰქმნიდა, რომელზედაც ასე ცხარედ ლაპარაკობდა.

გელაძემ დაისხა ერთი ჭიქა ღვინო, უცბად გადაჰკრა და გულიც ერთბაშად დაულბა, დაუმშვიდდა. აღარც იმაზე გაწყრა, როცა გარელმა წასჩურჩულა, თუმცა აგრე გვეფიცები, მაინც შენი სიტყვები ყველა არა მჯერაო.

— არა, ჩემო ძმაო, — ეუბნებოდა გარელი,—მე, მართალია, იმას ვერ ვიტყვი, ვითომ სულ ტყუილი იყოს, რომ შენ დიდ ისტორიულ თხზულებასა სწერ, მაგრამ არც აგრე შორსა ხარ წასული, როგორც გვარწმუნებ; არა, ძმაო, მე ვერ მომატყუებ.

— პატიოსანს სიტყვას გაძლევ, პირველი ნაწილი თითქმის მზად არის,—შეჰფიცა გელაძემ და მეორე ჭიქა გამოსცალა.—ბევრი, ბევრი ორ თვეში ბეჭდვასაც შეეუდგები.

— ორი წელიწადია, ეგ მესმის,—გაიცინა გარელმა.—მაინცა და მაინც ჩინებული ბიჭი ხარ, ტრაბახში ვერავინ შეგედრება.

ეს რომ სთქვა, გადაეხვია გელაძეს და ორივემ ერთმანეთი ტკბილად გადაჰკოცნეს.

ღვინომ ყველანი კარგ გუნებაზედ დააყენა. მწარე, გაბოროტებულ დაცინვაზედ ხელი აიღეს და დაიწყეს მუსაიფი თავიანთ მომავალ ნაშრომებზედ: რომანებზედ, სამეცნიერო თხზულებებზედ, რომელნიც თავში გამოსახული ჰქონდათ და მხოლოდ ქაღალდზედ გადაღება-ღა აკლდათ. თავის თვალში ყველა გადიდდა, გაძლიერდა, ყოველ ახალ ჭიქას ახალი აღტა-

ცება მოჰყვა და უცხო ვინმე რომ შემოსულიყო და მათის ლაპარაკისთვის ყური დაეგდო, უეჭველად წარმოიდგენდა, რომ ყოველს ამ მაღალ-ფარდებით მობაასე კაცში მომავალი დიდება იყო გამოსახული. გარელის მსახური, ლუკაც, ამაზედ დარწმუნებული იყო, გულხელ-დაკრეფილი კარებთან იდგა, მოწიწებით შეჰყურებდა მონადიმეთ და თან ჰფიქრობდა, ამისთანა განათლებულმა ხალხმა ხანდისხან რომ ასე იქეიფოს და იხმაუროს, ამითი რა დაშავდებაო. ლუკამ იცოდა, რა ღირსეული კაცის მსახურიც იყო, თითონაც ღირსებით ეჭირა თავი და ეს გარელს ძალიან მოსწონდა. ყოველ ბრძანებას ის თავაზით და ხალისიანად ასრულებდა, და ლაპარაკშიაც ცდილობდა, არჩეული სიტყვები ეხმარა.

— ბატონი ჯერ მოსვენებაშია,—ეუბნებოდა ხოლმე ლუკა, თუ ვინმე სადილ შემდეგ შევიდოდა გარელთან, რომელიც ამ დროს სერთუკითა და ჩექმებით თავის გაცვეთილ ტახტზე იწვა და ხვრინავდა.

გარელი ორ ოთახში სცხოვრობდა და ერთს მათგანს, რომელიც უფრო დიდი იყო და რომელშიაც ერთი უბრალო სტოლი იდგა, თორმეტი სკამი, ერთი ძველი სავარძელი და ზემოხსენებული ტახტი, ლუკა ზალას ეძახდა, თუმცა ამ ზალაში ყოველ დილა თავის ბატონის ჩექმებსა სწმენდდა და ხანდისხან, როცა იმის პატარა ოთახში, ეგრედ-წოდებულ „დერეფანში“ ბნელოდა, ჭურჭელსაც რეცხდა. ყოველთვის მარჯვე, შესაფერი სიტყვა ტუჩებზედ ეკერა, რადგან ექვსი წელიწადი იყო, რაც თავადს ვანო გარელს ემსახურებოდა და როგორ ვერ ისწავლიდა ღირსეულად თავის-დაჭერას, ან დარბაისლურს ლაპარაკს.

„თუ თქვენი წინააღმდეგი არ იქნება“, „თუ ნებას მიბოძებთ კითხვისას“, „ინებეთ“ და კიდევ სხვა ზრდილობიანი სიტყვები მრავალი მოიპოვებოდა იმის ლექსიკონში და ამ ფრაზებს ისე ხარჯავდა, როგორც იმის ბატონი ფულს, როცა კი დროგამოშვებით იშოვიდა საიდანმე. ლუკამ გარელთან არამცთუ ზრდილობიანი ლაპარაკი და თავაზიანობა ისწავლა, ცოტა ლიტე-

რატურაც გაიცნო და ზოგიერთა სხვა ცნობებიც შეიძინა. ყველა საგნებში, რაც კი გარელსა და იმის მეგობრებს საყურადღებოდ მიაჩნდათ, ის ჩახედული იყო, რადგან ყოველთვის გულმოდგინედ ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს და რასაც იმათგან ვერ გაიგებდა, გაზეთიდან შეიტყობდი, რომელსაც ყოველ დღე ხარბად კითხულობდა. ლიტერატურას ის ძალიან პატივსა სცემდა, ყველაფერზედ მაღლა აყენებდა და მხოლოდ პოეტი და გაზეთის მწერალი მიაჩნდა დიდებულ პირებად. როცა რომელიმე არა-მწერალი იმის ბატონის „ზალაში“ რაიმე მძიმე საგანს შეეხებოდა, ის გაოცებით შეხედავდა ხოლმე და გაიფიქრებდა,—რა შენი საქმეა, რომ ლაპარაკში ერევიო.

იმის აზრით, ექიმი ლეონიძეც ამ მწერალთა გუნდში მატრაკვეცად სჩანდა და თავისი ჯეროვანი ადგილი მაშინ ეჭირა, როცა ჩუმად იყო და სხვების ლაპარაკს ყურს უგდებდა. თვითონ ექიმიც სრულიად არ საჭიროობდა, რომ ამ წრეში ყოფილიყო. გარელთან ამ ბოლოს დროს იმიტომ დაიწყო სიარული, ეგება მეგობრულის ჩაგონებით რიგიანს შრომას შევაჩვიოო, მაგრამ მალე შეატყო, რომ იმისი ცდა ამაო იყო. როცა ურჩევდა რასმე გარელს, ეს უკანასკნელი იმის რჩევას ამაყად თავიდან იცილებდა, ან ერთ-ერთს ხალხში სიმღერად გადაქცეულს თავის ლექსს დაიღიღინებდა და თან ფიქრობდა:

— ჯერ აბა ამისთანა ლექსი შეთხზე და მერე მობრძანდი შენის რჩევა-დარიგებით.

მაგრამ გარელი დიდ ხანს არა ჯავრობდა ხოლმე ლეონიძეზე, მალე ივიწყებდა იმის საყვედურსა და დარიგებას და თუ რამდენიმე ხნის შემდეგ გაახსენდებოდა, ხუმრობაში გაატარებდა. დღესაც აღელვებამ ჩქარა გადაუარა, მხიარულ ნადიმში გაერთო, თვითონაც გამხიარულდა და ლეონიძესაც ამასვე ეხვეწებოდა. მაგრამ ლეონიძე სულ სხვა ხისაგან იყო გამოჭრილი და თავიდან ვერ იშორებდა იმ უსიამოვნო შთაბეჭდილებას, რომელიც გარელმა და მისმა თანამოაზრეებმა აგრძნობინეს. ცუდ გუნებაზე დამდგარი ის მალე წავიდა და სხვანი კი გვიანო-

ბამდის ღვინოს უსხდნენ და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ თავიანთ დიდისა და ძლიერის აზრების წარმოთქმას.

მეორე დილას გარელი ტფილისიდან გავიდა და თავის მსახურ ლუკასთან ერთად გაემგზავრა იმერეთს, საკუთარს მამულში, რომელიც ლევან ჩიგანისას მხოლოდ ცამეტ-თოთხმეტი ვერსით შორავდა. იმის ესრედ-წოდებული „მამული“ ეხლა ოთხასის დღისა მეტისა არ იქნებოდა და ისე გაოხრებული იყო, რომ თითქმის არაფერი არ შემოჰქონდა. გარელის მამის სიკვდილის დროს ერთი-ოცად მეტი ყოფილიყო, მაგრამ ყოველ წელს ისე ეკვეცნათ, რომ ეხლა ერთ დიდ სახნავს მინდორს-ღა წარმოადგენდა და ერთ პატარა ვენახს. სხვა ყველაფერი, აგრეთვე როგორც დიდი ვენახი მეზობელ გლეხ-კაცებს სულ მცირე ფასად შეესყიდნათ, რადგან გარელი ყოველთვის ფულსა საჭიროებდა და რასაც მიუტანდნენ, იმითი კმაყოფილდებოდა. როცა კი შინ მოვიდოდა, მაშინვე რომელსამე ნაჭერს თავის სამკვიდროსას ფულად აქცევდა ხოლმე და თავის სახლსაც კი გაჰყიდდა, ეს რომ უკანასკნელი თავშესაფარი ჭერი არ ყოფილიყო. დიდი მშვენიერი შენობა, რომელშიაც ტკბილად და უზრუნველად ეცხოვრა იმის წინაპართა სამს თაობას, ეხლა ნაოხარსა ჰგავდა. სახლის სახურავი რამდენგანმე წამხდარიყო და წვიმა ჩადიოდა, ზემო სართულში ფანჯრები თითქმის სულ ამოემტვრიათ და რომელიც გადარჩენილიყო, ჭუჭყისა და წვიმა-ავდრისაგან მწვანედ და ლურჯად გამოიცქირებოდა. შიგნით კიდევ უფრო გული მოუკვდებოდა კაცს,—ოცის ოთახიდან მხოლოდ ოთხში შეიძლებოდა დგომა, დანარჩენებში მოურავს იატაკები აეყარა და ზოგი უშეშობის გამო დაეწვა, ზოგი სხვაფრივ მოეხმარა. ყოველ კუთხესა და კედელს აოხრების კვალი ეტყობოდა და არც იმ ოთახებსა ჰქონდათ მიმზიდავი შეხედულობა, რომლებშიაც კიდევ დგომა შეიძლებოდა, თუმცა სხვადა-სხვა მებელით აევსოთ, რაც კი ძველს დიდებას გადარჩენოდა. გარეთ, შიგა და შიგ მინგრეულ ღობით შემოვლებული კარმიდამო ბალახს წაეღო, სადაც პირველი ადგილი მკლავის სიმსხო ნარიკალას ეჭირა, რომელსაც სწორედ ეხლა აყვავების

დრო დასდგომოდა. ეს იყო გარელის ყვავილების „წალკოტი“, სხვა არცა ჰქონია და არც სურვილი მოსვლია გაკეთებისა. როცა „პოეტი“ თავის ბალკონზე ტახტზე წამოწვა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ერთ წამსაც უსიამოვნობა არ უგრძვნია, რომ იმისი მამულ-დედული ამისთანა საძაგელ ყოფაში იყო. ეს გავერანება თითქო უფრო კარგ გუნებაზე აყენებდა და სრულებითაც არა ჰხედავდა საჭიროდ სახლში ან ვენახში რაიმე შეეცვალა, რაიმე გაუმჯობესობა მოეხდინა. ამისთანა წვრილმანზედ როგორ მოსცდებოდა, როცა ბევრად უფრო მძიმე საქმე ჰქონდა გასაკეთებელი და ოჯახის მოვლა არც ეხალისებოდა. ის უვლიდა და პატრონობდა სხვა წალკოტს, რომელშიაც სუნნელოვანი გონების ნაყოფნი იზრდებოდნენ და ყვაოდნენ. ესმაღალი მიწოდება, როგორც ამბობდა, ერთად-ერთი საგანი იყო იმის სიამაყისა, მაგრამ ამასთანავე, როცა კი შემთხვევა ჰქონდა, თავის თავს მამულებით იქებდა და ლექსებს უეჭველად ასე აწერდა ხელს „თავადი ვანო გარელი“. თავის მოურავს ის ზრდილობიანად და თავაზით ელაპარაკებოდა, მაგრამ თან კი აგრძნობინებდა ხოლმე, რომ ჩემი მსახური ხარ და ჩემს პურსა სჭამო; ეს მოურავს სრულიადაც არ აწუხებდა, რადგან არამც თუ ამ პურს მაძღრადა სჭამდა, ჯიბეებსაც საკმაოდ ივსებდა. ამისგამო მოურავი კიდევ უფრო აქებდა თავის ბატონს, არწმუნებდა, შენ სხვა ღირსებისა და დიდების პატრონი ხარო, პირში აქებდა, ცდილობდა, როგორც კი შეეძლო, ყოველივე იმის სურვილი შეესრულებინა და მეზობლების ამბავს ყველაფერს ატყობინებდა ყოფილსაც და მოსალოდნელსაც. რაკი იცოდა, რომ იმის ბატონი აღტაცებული თაყვანის-მცემელი იყო მშვენიერის სქესისა, არც ერთ ახალ ამბავს მეზობლებისას, რაც კი არშიყობას შეეხებოდა, მოუთხრობლად არ დასტოვებდა და თუ რომელსამე ქალს მასზედ საქებური რამე ეთქვა, უეჭველად განიმეორებდა. ეხლაც, გარელის დაბრუნების უმალვე, მოწიწებით უამბო ყოველისფერი და ისიც მოახსენა, ჩიგანის ცოლმა ნინომ გიკითხათ, აქ ხომ არა ბრძანდებაო.

— ძალიან უნდოდა ამ მშვენიერს ქალს თქვენი ამბის გაგება,—დაუმატა მან ღიმილით, მაგრამ გარელმა იმის სიტყვები გულ-გრილად მოისმინა და ცნობის-მოყვარეობას ნიშანიც არ დასტყობია.

მაგრამ იმ წამსვე ჩაფიქრდა, იგრძნო წადილი ნინოს ნახვისა და თუმცა კარგად ახსოვდა, რომ ერთხელ ნინო იმის საარშიყო სიტყვებს ცივად მოექცა, მაინც იმედეულობდა, ეხლა იმის გულს ადვილად მოვიგებო.

— ერთი კვირის უკან წავალ,—გაიფიქრა მან,—ამაზე ადრე არ იქნება, შეიტყობენ, როდესაც მოვედი და ამ აჩქარებას სხვაფრივ ახსნიან, მერე ქმარსაც კარგად არ ვიცნობ.

ჯერ სხვა ახლო მეზობლები მოიარა, რომ თავის სურვილი ნინოსთან დაახლოვებისა უფრო კარგად დაემალა.

— შარშან გავიცან ტფილისში, თავის ძალუასთან, ვიზირიძის ცოლთან,—ამბობდა ის ვითომ-და გულ-გრილად, როცა მეზობლები ლამაზ ნინოზედ დაელაპარაკებოდნენ.

— იმის ქმარიც ორჯელ თუ სამჯერ მინახავს, ყველანი აქებენ და ამიტომ ვფიქრობ სანახავად მივიდე,—დაუმატებდა ხოლმე იმავე უბრალო კილოთი პატარა ხანს უკან.—მინდა იმის მეურნეობაც გავიცნო, ამბობენ ამ ჩვენს მხარეში საუკეთესოაო.

— სწორედ ღირს ნახვად, მართლა სამაგალითო მეურნეობა აქვს,—მიუგო ერთხელ ილიკო გურაძემ, რომელსაც თავი ჩინებულ მეურნედ მიაჩნდა და ძალიან კმაყოფილი იყო, თუ იმისთანა ვისმე ჩაიგდებდა ხელში, რომელთანაც მეურნეობაზე ლაპარაკი მოხერხდებოდა.—თუ გინდა მეც წამოგყვები და როგორც მეურნეობის მცოდნე, ყოველიფერს დაწვრილებით აგიხსნი. გინდა ხვალვე წავიდეთ. სწორედ გიამება იმის მოვლილ სახლ-კარ მეურნეობას რომ დაათვალიერებ. გარელი დასთანხმდა და თუმცა გურაძის ლაპარაკი გულს უწვრილებდა, მაინც ისე აჩვენა თავი, ვითომ ძალიან ესიამოვნებოდა და ორთავ პირობა შეჰკრეს, მეორე დღეს ლევანისას წასულიყვნენ.

## VIII

გარელის მისვლამ ნინო თითქო უფრო გააოცა, ვიდრე გაახარა. სტუმარს მეტად დინჯად და თავდაჭერილად მოექცა და წარსულის შესახებ, რომელიც გარელის დანახვაზედ გაახსენდა, ისე დამშვიდებით და გულ-გრილად დაიწყო ლაპარაკი, თითქო ამ წარსულში სასიამოვნო მოსაგონარი არა იყო-რა. გარელს ის არ გაჰკვირვებია, რომ ნინოს ამაყად და ღირსეულად ეჭირა თავი, უფრო ნინოს სიდარბაისლემ გააოცა, რადგან კარგად ახსოვდა ამ ერთის წლის წინად, ნინო მხიარული, მეტის-მეტად მხიარული ხასიათისა იყო და რაკი იმის სიმსუბუქეს იცნობდა, შეუძლებლად მიაჩნდა, ასე ძლიერ გამოცვლილიყო. სახეზედ ნამცეცი კვალი არ ეტყობოდა არც მწუხარებისა, არც საიდუმლო ტანჯვისა, პირიქით, უწინდელზედ უფრო გამშვენიერებულიყო, აყვავებულიყო. გარელმა არ დაიწყო იმის მიზეზის ძებნა, თუ ასე ცივად რად მიიღო ნინომ, მხოლოდ დრო-გამოშვებით დაშტერებით უცქეროდა ხან მას, ხან იმის ქმარს და იმ აზრს დაადგა, რომ ლევან არ იყო ღირსი ამისთანა მშვენიერი ცოლისა. ეს კაცი სრულიად არ მოეწონა და სულ ნახევარ საათში ვინ იცის რა ნაკლულევანება არ უპოვა.

— მეტად მოსაწყენი კაცი უნდა იყოს ამისი ქმარი!—ფიქროობდა გარელი.—რამ აიძულა ნეტავი, რომ ამ რეგვენს მისთხოვებია?!

— გარელს არა სჯეროდა ნინოსაგან ქმრის სიყვარული, რადგან მასში სასიყვარულოს არასა ჰხედავდა და იმ აზრს დაადგა, რომ ლევან ქალს თუ შეაძულებდა თავს, თორემ თავის დღეში ვერ მიიზიდავდა. მერე წარმოიდგინა, ვითომ ფითონ არის ლევანის ადგილას და ჩვეულებრივზე მეტი სიამაყე იგრძნო. ამპარტავნად თავი მაღლა აიღო, მშვენიერს შავს წვერზედ თეთრი ხელები გადისვა და თან ჩუმ-ჩუმად დაუწყო ყურება ნინოს.—მერე ვითომ მართლა ნინოზედ ვერ იმოქმედა

იმისმა სილამაზემ? ეს აზრი აწუხებდა მას, თუმცა თვალთათვის გურაძისა და ლევანის ლაპარაკში მონაწილეობას იღებდა და მოსვლის მიზეზის დასამალავად, ხან ერთ საგანზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს, ხან მეორეზედ. მაშინაც კი, როცა ლევანის მეურნეობას ათვალიერებდნენ, რასაც ორი საათი დრო მოუნდა, გარელი ყურადღებას აპყრობდა ყველაფერს, განსაკუთრებულს ცნობის მოყვარეობას იჩენდა, მაგრამ საშინლად გაეხარდა, როცა ამ დათვალიერებას მორჩნენ და ნინოს ნახვა კიდევ ეღირსა. სადილად გვერდით უჯდა და თუმცა ნინო გულ-გრილად ელაპარაკებოდა, მაინც გარელს არ გამოეპარა, რომ იმის ახლო ყოფნა ქალს აღელვებდა. ორჯელ თუ სამჯერ ისე მიტრიალდა იმისკენ, რომ ორნივ ერთმანეთს სახეში ჩააცქერდნენ. ნინოს ეს უცბად მოუვიდა, თითქო უნებურად, თითქო რაიმე აზრის უქონლად, მაგრამ მაშინვე დინჯად დაიწყო წინ ყურება და მოჰყვა ისეთ მშრალს და უბრალო ლაპარაკს, თითქო გარელზედაც იმდენს ჰფიქრობდა, რამდენსაც იმის პირდაპირ მჯდომარე თავ-მომაბეზრებელ გურაძეზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაეთავებინა ბაასი მეურნეობას წარმატებაზე.

საღამოზედაც, როცა გარელმა შინ წასვლა დააპირა, ნინოს ქცევას არა დაეტყო-რა, გარდა უბრალო თავაზიანობისა და მხოლოდ ხელის ჩამორთმევამ აგრძნობინა გარელს, რომ ეს გულგრილობა ნაპერწკალს მხოლოდ ზედ გადაჰფარებოდა და ნინოს არ ეწყინებოდა ხელმეორედ იმისი ნახვა. ასე ახსნა გარელმა ნინოსაგან მაგრად ხელის-ჩამორთმევა და სიჩუმეც კი თავისთვის სასარგებლოდ მიიჩნია და როცა ჩაუკვირდა კარგად იმის ლაპარაკსა და ქცევას, ის დაასკვნა, უგუნურება იქნებოდა ნინოს მხრივ სიხარულით მომგებებოდა და ან წამოსვლის დროს ეთხოვნა კვალად მივსულიყავიო. გარელი სრულიად კმაყოფილი იყო და არა ნანობდა ნინოს სანახავად მისვლას.

— პირველი საკავშირო ნაბიჯი გადავდგი,—ბუტბუტებდა თავისთვის ნასიამოვნები და მხიარულად დაბრუნდა შინ იმ ფიქრით, თუ კიდევ როდის წასულიყო ნინოსთან. საარშიყო საქმეებში ის ყოველთვის გონებას დაეკითხებოდა ხოლმე და არა-

ფერს უანგარიშოდ არ მოიქმედებდა. ეხლაც თვალებ-ახვეული არ დამორჩილებია თავის წადილს და რაკი ჰგრძნობდა, რომ ხელმეორედ ჩიგანთან მისვლას შესაძლო იყო ფარული განზრახვა გამოეშკარავებინა, ჯერჯერობით შორს ყოფნა არჩია. მხოლოდ მეზობლებში დააპირა ხშირად სიარული. იქ სადმე შემთხვევით ნინოს ნახავდა და შესაძლო იყო ერთის წლის წინად მოკლე აღსარების შემდეგ დარღვეული მეგობრობა კვლავ განეახლებინა, განემტკიცებინა. რასაკვირველია, ეს გადაწყვეტილება აშფოთებდა, მოუთმენელ ყოფაში აყენებდა, რადგან ყოველისფერი შემთხვევისათვის უნდა დაეთმო, მაგრამ სხვა არა გაეწყობოდა-რა. ყოველ-დღე დადიოდა მეზობლებთან ნინოს შეხვედრის იმედით, მაგრამ ყოველთვისვე იმედ-გაცრუებული ბრუნდებოდა შინ; იმ დროს ლევანს ბევრი საქმეები ჰქონდა, არსად დადიოდა და ნინოც ოჯახს არ ანებებდა თავს. მართალია, ნინო ამ ერთხელვე გაზომილს და ერთფეროვანს ცხოვრებაში სასიამოვნოს ბევრს ვერასა პოულობდა, მაგრამ ეხლა უფრო ადვილად იტანდა, ვიდრე პირველ ხანებში და ლევანის გულკეთილობა და თავაზიანობა არამცთუ აკმაყოფილებდა მას, აშოშმინებდა კიდეც, ამშვიდებდა. როცა ხანდისხან გაეღვიძებოდა ხოლმე წადილი სიამოვნებით ცხოვრებისა, ცდილობდა ეს წადილი მაშინვე გულში ჩაეკლა, რადგან კარგად ხედავდა, რომ ამისთანა ცხოვრება იმის ქმრის მიმართულებას სრულიად არ შეეფერებოდა. აგრედვე აამებდა ნაზი მზრუნველობა დედამთილისა, ქეთევანის ტკბილი მეგობრობა და მოვალედ გრძნობდა თავს სამაგიერო გადაეხადა. ყველაფრით ცდილობდა მულ-დედამთილის სიამოვნებას, მაგრამ მაინც ვერ დამყარებულიყო მეოჯახობაზედ და თუ იმათგან შემოღებულ წესით იქცეოდა, არა იმისთვის, რომ გული ამას ეუბნებოდა, არამედ მხოლოდ იმათ საამებელად. მერე სხვაფრივაც არა გაეწყობოდა-რა. მთრთოლვარე მისწრაფება სხვა-რიგ, აღელვებულ ცხოვრებისადმი ნინოს გულში ნაცარში შენახულ ნაპერწკალივით ღვიოდა და მის ბუნებას ისევ ძველი ფერი ედო. ნინო ისევ წინანდელ ნინოდ დარჩენილიყო.

როცა გარელი ნინოსთან პირველად მივიდა და თავის დანახვით მოაგონა უქმი და ფუჭი დროს-გატარება იმის ყმაწვილ-ქალობისა, ნინოს თითქო რაღაც სევდამ გადურბინა სახეზედ, გამოურკვეველმა წადილმა სადღაც მისწრაფებისამ სრულიად შეიპყრო და მთელი დღე ამ წადილისაგან ველარ განთავისუფლდა. მეორე დილას ისევ დამშვიდდა და გარელზედ ფიქრს თითქმის თავი დაანება. ორმა კვირამ ისე გაიარა, რომ არ გახსენებია, კიდევ უნდა ჰქონოდა გარელის მოლოდინი თუ არა, მაგრამ მერე კი დაეკითხა თავის თავს, ნეტა რატომ აღარ მოდისო და ხანდისხან იმაზედაც კი ჩაფიქრდებოდა ხოლმე, ვუყვარვარ თუ არაო. ამ დღეებში ქეთევანთან ერთად ერთის მეზობლის სანახავად წავიდა და გარელსაც მოულოდნელად იქ შეხვდა.

ნინომ პირვანდელსავით ცივად თავი დაუკრა და გადასწყვიტა, ნაკლები ყურადღება მიექცია მისთვის და მასთან ლაპარაკსაც მორიდებოდა, მაგრამ გარელი მეგობრულად გამოეგებაასა და ნინოც წინ ველარ აღუდგა. ქალი გამხიარულდა, მისი სიდარბაისლე სადღაც გაჰქრა, გაერთო ლაპარაკსა და ხუმრობა-სიცილში და მხოლოდ როცა მოაგონდა, ახლა კი მეტად შორს გადავდგი ბიჯიო, ისევ გულგრილობის ფარდა გადაიფარა.

— სისულელეა ჩემი ასე ქცევა,—გაიფიქრა მან; — შეიძლება წარმოიდგინოს, რომ იმასთან ლაპარაკი მართლა ძალიან სასიამოვნო იყოს ჩემთვის.

გარელის სიმხიარულე თითქო სწყინდა ნინოს, მაგრამ რაკი ხედავდა, ყმაწვილ-კაცი თვალს ველარ აშორებდა და ყოველის ღონის-ძიებით ცდილობდა მის გამხიარულებასაც, ჩუმ-ჩუმად უხაროდა და თავი მოსწონდა, რომ მას თავისი გრძნობა ასე გამოაშკარავებინა. გამოსალმების დროს ხელი მეგობრულად მაგრად ჩამოართვა და გარელიც ასევე მოექცა, მაგრამ თან იფიქრა ნინომ, ხელის ჩამორთმევას რა მნიშვნელობა აქვს, ან ჩემს გულის-პასუხს როგორ გამოამჟღავნებსო! შინ წმინდა სინიდისით დაბრუნდა და თავის-თავს არწმუნებდა, უმა-

რთებულო არა მომიქმედნია-რა და ჯეროვანის თავდაჭერით ვიქცეოდიო.

აზრთა და გრძნობათა არევა მხოლოდ გამოურკვევლად წარმოუდგა ნინოს თვალ-წინ და ძლივს ამჩნევდა, რომ თავის თავს მალულობას ეთამაშებოდა.

—ჩემთან რა საქმე აქვს იმას! მე ვინ, ის ვინ! არა, შორს უნდა დავიჭირო თავი,—ხშირად იმეორებდა მეორე დღეს თავისთვის, მაგრამ მაინც ნატრობდა გარელის კვლავ ნახვას და ვადასწყვიტა კიდეც, შემდეგში ისე მკვახედ და ცივად აღარ მოჰქცეოდა. მეორე კვირას ერთ ნაცნობთან შეხვდა და მას უკან კიდევ მალე თავის მამის სახლში, რომლის დაბადების დღესასწაულის გამო ბევრი სტუმრები შეკრებილიყვნენ. აქ დიდი ჩვეულებრივი მხიარულება იყო, რადგან ვახტანგ ვარიპანიძეს არ უყვარდა, რომ იმისი სტუმრები ცარიელს ჭიქებს მისხდომოდნენ და მაგალითის საჩვენებლად თითონ ყველაზე მეტსა სვამდა. სადილ-შემდეგ ტანცაობა დაიწყეს და სწორედ ეხლა იპოვა დრო გარელმა ნინოსთან მისულიყო, თავის აღტაცებული ტრფიალება გამოეცხადებინა და სამაგიეროდ იგივ მოეთხოვა.

— ან დღეს, ან არასოდეს,—გაიფიქრა მან და სატანცაოდ გაიწვია, მაგრამ ნინომ მიუგო,—დაღალული ვარ და თუ შეიძლება, მერე იყოსო.

— იქნება მერე უფრო შევიძლო,—უპასუხა მან და მარაოს ქნევით მიუბრუნდა გვერდით მჯდომარე ქალს, რომელიც რაღაცა თავ-მომაბეზრებელს ისტორიას უამბობდა.

უარმა გარელი ცივად გააბრუნა და ნინო ისევ თავის მეზობელს სახეში შესცქეროდა, თითქო ყმაწვილი კაცისათვის ყურადღება არ მიექციოს. მაგრამ ნამდვილად კი ერთი სიტყვაც არ ესმოდა ნაამბობისა, სავსე იყო მხიარულის კმაყოფილებით, რომ უარის თქმა მოახერხა და თითქმის კანკალით ელოდა, ხელ-მეორედ მოვა თუ არაო. გარელმა ქეთევანთან დაიწყო ტანცაობა და ეს ნინოს არ ეწყინა: იმის აზრით ქეთევანს არ შეეძლო ყმაწვილი კაცის გულის მიზიდვა, სილამაზით მას ბევრად უკან ჩამორჩებოდა, იყო მორცხვი და არც

ხერხი იცოდა, თავი როგორ მოეწონებინა. ნახევარ საათ შემდეგ გარელი კვალად ნინოს წინაშე წარსდგა და ქალიც აღარ გაუჭირვეულდა. ღიმილით ხელი მხარზედ დაადო და როცა ყმაწვილმა კაცმა მკლავი წელზედ მოხვია და მსუბუქის რხევით შუა ზალაში გაიტაცა, ნინოს ნეტარებით გული აუტოკდა და თავის მღელვარება ვეღარ დამალა. გარელმა შენიშნა, რამდგომარეობაშიაც იყო ნინო და უფრო მეტად წასაქეზებლად ცხარედ ხელი ხელს მოუჭირა და აღტაცებით, თამამად, თვალი-თვალში გაუყარა. თითქმის გულ-შემოყრილი დაეშვა ნინო თავის სკამზე, სისხლი აუჩუყჩუყდა და დიდ ხანს გონებაზე ვეღარ მოვიდა. ყურადღებით მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ იმის აღელვება ვერავის შეემჩნია: ლევან მეორე ოთახში იჯდა და ჭანდრაკს თამაშობდა, ქეთევან ქალებს ელაპარაკებოდა და სხვანი ან ტანცაობაში იყვნენ გართულნი, ან ზალაში ლაპარაკით წინა და უკან დადიოდნენ.

— რა სიბავშვე მომიეიდა!—ფიქრობდა ნინო.—გონება ისე როგორ დამებნა, რომ თავ-დავიწყებამდე მივედი!

ცდილობდა თავისი თავი დაერწმუნებინა, ვითომ აღელვების მიზეზი სულელური შეკრთომა იყო და არა ღრმა გრძნობათა გავლენა, მაგრამ ნახევარ საათ შემდეგ კიდევ რომ შეხვდა მასთანვე ტანცაობა და იმის ხელის მიკარება იგრძნო, კვალად აღელდა და თბილმა ჟრუანტელმა ძარღვებში ელვასავით დაურბინა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა მომდის!—გაიფიქრა ნინომ და მთლად მისი არსება ჯერედ უცნობმა შიშმა აიტანა.—ლევანმა რომ ამ ყოფაში მნახოს, რას იფიქრებს ჩემზედ?

ჰგრძნობდა, სახეზედ ალმური ასდიოდა და როცა გარელმა თავის ადგილას მიიყვანა, მაშინვე ზალიდან გავიდა, რომ მიფარებულიყო სადმე და აღარავის დანახვებოდა. საჩქაროდ ჩაირბინა კიბე და მონახა თავის პაპის საყვარელი სკამი დიდ კაკლის ხის ქვეშ. აქ ჩამოჯდა ნინო დასამშვიდებლად:

— რა სულელი ვარ, რა ბავშვი ვარ!—ბუტბუტებდა თავისთვის, მაგრამ საყვედურთან ერთად სიამოვნებით იგონებდა

ყოველ იმ სიტკბოებას, რაც ეს არის ეხლა გამოევლო. აქ ის მარტო იყო, ღამის წყვდიადით გარემოცული და ადამიანის თვალს დაშორებული. აქ იმის სახეში ვერაფინ რას ამოიკითგავდა ნაფიქრს და ნააზრევს. ამიტომ გრძნობა-მოშვებული მიეცა სანეტარო ოცნებას და ამ ოცნებით იკლავდა წყურვილს უზომო ვნებათ-ღელვისას.

— ეს ხომ ოცნებაა, მარტო ხორც-შეუსხმელი ოცნება,— ინუგეშა თავი, როცა წარმოიდგინა, რომ ჩემმა გრძნობამა და ქცევამ მეტად სახიფათო ბილიკზედ დამაყენაო.

ცოტა ხანს უკან წამოდგა სახლში შესასვლელად, მაგრამ უეცრად მის წინ გარელი გაჩნდა. ნინო რომ ზალიდან გამოსულიყო, ისიც თან დასდევნებოდა და დაეძებდა.

— ღვთის გულისათვის, წადით აქედან, მომშორდით,— შეშფოთებით ეუბნებოდა ქალი გარელს.

— ნუ მკლავ, ნუ მირისხდები,—მიუგო მან და ხელი ხელს სტაცა.—განა ვერა ჰხედავ, რომ გაგიჟებით მიყვარხარ, რომ შენი სახე მოსვენებას აღარ მაძლევს.

— წადით, წადით!—ევედრებოდა ქალი ვნებით აღელვებულის ხმით და ხელი გამოაცალა.—წადით მეთქი, თქვენ ნება არა გაქვთ ჩემის სიყვარულისა.

— რას ამბობ, ნინო, გინდა ჩემი ტანჯვა დაუსრულებელი გაჰხადო, გინდა მომისპო ყოველივე ნუგეში, მომისპო სიცოცხლე?

— წადით, წადით, გევედრებით, დამანებეთ თავი!—შეევედრა კიდევ ნინო და ეხლა იმის ხმას თითქო ცრემლები აღრჩობდა.

გარელი ადგილიდან არ დაიძრა, იდგა მის წინ და ელაპარაკებოდა თავის სიყვარულზედ, მაგრამ ნინომ აღარ დაუგდო ყური, ყოველი თავისი ღონე შემოიკრიფა, ხელიდან გაუსხლტა საჩქაროდ და ზალაში ავარდა.

თითქმის ვერავინ შეამჩნია ნინოს იქ არ-ყოფნა, ყველა თავის საქმეში იყო გართული, ზოგნი ტანცაობდნენ, ან მუსაიფობდნენ, ზოგნი თამაშობდნენ რასმე, მხიარულობდნენ და

ვინც ზალაში შესული დაინახა, იმათაც კი ყურადღება არაფერი მიუქცევიათ.

ქეიფი და დროს-გატარება დილამდე გაგრძელდა, მაგრამ ნინოს გარელთან აღარ უტანცავნია; პირიქით, ცდილობდა შორს ყოფილიყო მასთან და წინანდელივით ღირსეულად და სიდარბაისლით დაეჭირა თავი, რადგან გადასწყვიტა საქმე ისევ გაესწორებინა, გულის-თქმა დაეცხრო და გარელს ისე გულგრილად და მკაცრად მოჰქცეოდა, რომ ის თავისითვე განშორებოდა. შიშს სირცხვილის გრძნობაც ზედ დაერთო. ნინოს რცხვენოდა თავის სისუსტისა, რცხვენოდა, რომ ქმრის ჩუმად, იმ ქმრის ჩუმად, რომელიც მას სრულიად ენდობოდა, სხვას ეარშიყებოდა. მერე ვის სხვას? ყველასაგან ცუდის ყოფა-ქცევისათვის ძაგებულს, ყველასაგან ყბად-აღებულს. ნინო უნდა გამომტყდარიყო, რომ თავისივე ბრალი იყო ყველაფერი, რომ თითონ მან მისცა ნება გარელს ასეთი თავხედობისა. სწორედ ამ თავის თავის ბრალეულად ცნობაში ცდილობდა ეპოვა ძალა გულის-თქმის დასაშოშმინებლად, ეს იყო ერთად-ერთი ღონე, რომელსაც ცეცხლსავით გახურებულ გრძნობათა დაყუჩება შეეძლო.

მეორე დღეს ისე მშრალად და გულ-ცივად დაუკრა თავი გარელს, რომ მან მთელი დღე მიახლოებაც კი ვერ გაუბედა. გარელმა კარგად იცოდა, რომ ეს წყრომა ხანგრძლივი არ იყო, მაგრამ მაინც არშიყობას ველარ მიჰყო ხელი, ვიდრე ნინოს ასე განრისხებულს ჰხედავდა.

— ქალებს კარგად გიცნობთ,—გაიფიქრა მან;—შენი ბუტიაობა დიდ ხანს არ გასტანს. მანამდე კი ვეცდები მამა-შენს დავუმეგობრდე.

დღეს განსაკუთრებით დაუწყო ლაქუცი ნინოს მამას, ვახტანგს და არწმუნებდა კიდეც, ჩემზედ უკეთესი პოეტი ხარო და რომ წერაზედ ისე ადრე ხელი არ აგელო, შენისთანა პოეტი მთელ საქართველოში არ იქნებოდაო.

— მე მაგასთან მხოლოდ უბრალო მჯღაბნელი დამერქმის!—ამბობდა ის მორჩილად და თან აქეთ-იქით კი გაფაციცებით იხედებოდა, რომ ამის წინააღმდეგი ეთქვა ვისმე რამ.

მაგრამ ყველანი ჩუმად იყვნენ და მასპინძლისა და მისის სტუმრის მორიდებით მათ ბაასში არ ერეოდნენ. მხოლოდ ვახტანგ არ დაეთანხმა და გრძელი სიტყვით დაუმტკიცა შეცდომა და მისის ნიჭის უსამართლოდ დამცირება. სახეზე კი ეტყობოდა, რომ სიტყვები იმის აზრებს არ შეეფერებოდა, მაგრამ მაინც ტკბილად უღიმოდა გარელს და სიტყვა რომ დაასრულა, მეგობრულად მხარზედ ხელი დაჰკრა. სადილად ორნივ ერთად ისხდნენ და მათი მეგობრობა ეხლა სრულიად განმტკიცდა. მეექვსე ჭიქის შემდეგ ერთმანეთს ღვინისაგან გაწითლებული ლოყები დაუკოცნეს და მეათე რომ დალიეს, „შენ“-ობითაც დაიწყეს ლაპარაკი.

— შენს სიტყვაში მეტის-მეტად შემაქე,—უთხრა გარელმა ახალ მეგობარს.—და გაგიტყდები, ეგ ქება მე არ მეკუთვნის. მართლაც, რა ვარ მე, ერთი უბრალო „გზა-დაბნეული ნიჭი“.

— „გზა-დაბნეული ნიჭი“! ოჰ, რა მოსწრებული სახელია, რა მშვენიერი, მნიშვნელობიანი სიტყვაა!—ჰფიქრობდა ვახტანგ თავისთვის.

ამ სიტყვებმა მართლაც აღტაცებაში მოიყვანა და თითონაც გულში იფიქრა, მეც სწორედ „გზა-დაბნეული ნიჭი“ უნდა მერქვასო.

## IX

საქართველოში მაისის თვე უფრო ზაფხულს ეკუთვნის, მაგრამ გაზაფხულის სიტურფე კიდევ ბევრი აქვს შერჩენილი და ეი ამ მშვენიერმა მაისმაც სიხარული ვერა მოუტანა-რა ნინოს: მასში გაღვიძებული ჰგრძნობა გულს დარდითა და საზრუნავით უესებდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, გარელი სითამამისათვის დაეტუქსა, მაგრამ თანა გრძნობდა, რომ იმდენი ღონე არ შესწეოდა, გულგრილად გამოლაპარაკებოდა და ამიტომ როგორც კი შეეძლო, შორს ეჭირა თავი. გარელმაც ჯერჯერობით ნინოსა და იმის მახლობელთა რიდით ხელი აიღო არშიყობაზედ, ქალის აღელვებულ გრძნობათ ცეცხლს აღარ უკეთებდა და მარჯვე

შემთხვევას მოთმინებით ელოდა, თუმცა ეს მოთმინება ფრიად სამძიმო იყო მისთვის. ის დარწმუნდა, ნინოს ხასიათი საკმაოდ გავიცან და ხანგრძლივს წინააღმდეგობას ველარ გამიწევსო.

მაგრამ გარელის იმედი ისე მალე ვერა სრულდებოდა, როგორც პირველში ეგონა: ნინო, მართალია, ჰგრძნობდა მიმზიდველ ძალას მისდამი, მაგრამ სინიდისის მხილებას ვერ მოუყრია ყური და ამ სინიდისს, როცა კი ჩაჩუმდებოდა იგი, მახლობელთა სიყვარული და ზრუნვა კვალად აღვიძებდა. ქმარი სრულიად არ უყვარდა, მაგრამ იმისი კეთილი გული და განუზომელი სიყვარული ალმობიერებდა. ხედავდა, რომ ის ყოველ ღონეს ხმარობდა სრული, ბედნიერი გაეხადა და როცა სხვა დარდი რამ აწუხებდა, მაშინაც კი ცდილობდა მასთან დამშვიდებული სახე მიეღო და როგორც კვლავ, ისე ეხლაც მეგობრულად, ტკბილად მოჰქცეოდა.

— არა, მე მაგას ვერ მოვატყუებ,—ხშირად ამბობდა თავისთვის, როცა გარელზედ გაიფიქრებდა რასმე;—არა-მეთქი, ეს შეუძლებელია. ხომ მოვკალ მაშინ, გული გავუპე, მთელი სიცოცხლე მოვუწამლე!

ამ თავის თავთან გამობაასებისა და მოფიქრების შემდეგ ნინოს თითქო ღონე ემატებოდა, ქმარსა და მულს აღარ ერიდებოდა, პირიქით, ცდილობდა მათთან ახლო ყოფილიყო. ქეთევან მეტადრე ამ გრძნობათა ბრძოლაში მტკიცე საყრდნობი გამოდგა მისთვის,—მასთან ლაპარაკის დროს, ან მისს ყოფა-ქცევას რომ უკვირდებოდა, კარგად ამჩნევდა მკვიდრს ზნეობრივს საფარველს, რაც მას აკლდა და რასაც ეხლა ისე საჭიროობდა. ქეთევანმა არა იცოდა-რა ნინოს ლტოლვილებისა გარელისადმი, მაგრამ რაკი ამ ყმაწვილი კაცის ყოფა-ქცევა არ მოსწონდა, ხანდისხან ლაპარაკში ცუდად იხსენიებდა და ესე უცაბედად ნათქვამი ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა ნინოზე. ეს უფრო აფხიზლებდა, ვიდრე საკუთარი სინიდისი და ამ სახით ტოკავდა იგი გულგრილობისა და მღელვარე გრძნობათა შორის: ვერც მტკიცე გარდაწყვეტილებას დასდგომოდა, რომ ჩაექრო მის გულში აღგზნებული ცეცხლი და ვერც იმასა

ჰბედავდა ამ აღტყინებულ გრძნობას თავდავიწყებით დამორჩილებოდა.

მშვენიერმა მაისის დღეებმა თავიანთ ბრწყინვალე მზითა და გაკაშკაშებულის ცით ნინოსთვის მოღრუბლულ შემოდგომასავით გაიარა და სიხარული მას არა უგრძვნია-რა. მხოლოდ ივნისის დამდეგს, როცა ექიმი ლეონიძე და იმისი და კატუტია შარელში სტუმრად მოვიდნენ და ერთფეროვანს ცხოვრებაში ცვლილება და ხმაურომა შემოიტანეს, ნინო თითქო ძილისაგან გამოერკვა და ცოტა დამშვიდდა, გამხიარულდა. ლეონიძემა და იმისმა დამ მოაცოცხლეს და გაამხიარულეს იქაურობა და თუმცა აქა-იქ სიარულით და სტუმრობა-ნადიმობით ამ ოჯახის მყუდრო ცხოვრება არივ-დარიეს, მაინც ლევანს ეს არა სწყინდა. ლეონიძე ლევანის დიდი ხნის მეგობარი იყო და ყოველ ზაფხულს რამდენიმე კვირით ესტუმრებოდა ხოლმე, რომ თავის სამკურნალო საქმეებს მოშორებოდა და დაესვენა. ეხლაც პირველში ისე სჩანდა, თითქო იმის მოსვლას დასვენების მეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა-რა, მაგრამ მალე გამოაშკარავდა, რომ მას ლევანის და უყვარდა. ერთი წელიწადი იყო, ქეთევან არ ენახა და ამ ხანში უწინდელი პატარა ქეთევან მოწიფულიყო, გასათხოვარი შექნილიყო და თუმცა დიდ მშვენიერებას ვერ დაიკვეხებდა, მაინც საკმაო ეშხი ჰქონდა და კაცს გულში ღრმა გრძნობას ადვილად აღუძრავდა. ქეთევანსაც მოსწონდა ლეონიძე, უწინაც უხაროდა იმის მოსვლა, მეგობრულად დაუხვდებოდა ხოლმე და ეხლა ეს მეგობრობა ნელ-ნელა სიყვარულად გადაიქცა. მაგრამ ეს გრძნობა გულში მორცხვად დაიმალა, ჩუმად მოისმინა ლეონიძის აღსარება და არც კი გაუგებინებია, თუ ეს გამჟღავნება როგორ აბედნიერებდა. დედასა და ძმასაც კი დაუმალა თავის გულის-პასუხი და მხოლოდ ნინოს უთხრა ყველაფერი. ამ წუთიდან ნინო შეიქნა იმის მოძღვარი, ყველაფერს მას ატყობინებდა და ნინოც ქეთევანის სიხარულსა და მღელვარებაში არა-მცირედს ნუგეშსა პოულობდა თავისთვისაც. ნინოს ის ამშვიდებდა, ჩემს გარდა სხვასაც ჰქონია გულში საიდუმლო და ისიც კი არ უსპობდა ამ

ნუგეშს, რომ იმის საიდუმლო სულ სხვა იყო და ქეთევანისა სულ სხვა.

გარელი ლეონიძესთან შეხვედრას ერიდებოდა და ამიტომ ნინოს ხშირად ვეღარა ჰხედავდა. იცოდა, ლეონიძეს მარჯვე თვალი ჰქონდა და ეშინოდა უმართებულობაში არაში დამიჭიროსო. არც ძალიან სწუხდა, რომ ნინოს ვეღარა ჰხედავდა, სამაგიეროდ იმის მამა კვირაში რამდენჯერმე თავისთან იწვევდა და იქ სმა და ქეიფით დროს გატარება ჯერჯერობით საკმაოდ ართობდა. ორნივ ერთმანეთს ძალიან დაუმეგობრდნენ და თუმცა სათითაოდ იქნება რაიმე ფარულს განზრახვას ატარებდნენ გულში, მაინც გარეგნობით ტკბილად ეპყრობოდნენ და არავითარი უსიამოვნობა არას დროს არ მოსვლიათ. როცა ვახტანგ თავის სტუმარს მიეგებებოდა ხოლმე, პირველად იმას მიაძახებდა, ზოგიერთს მძიმე და კარგს საგანზე უნდა მოგელაპარაკოო, მაგრამ ნამდვილად ანეგდოტების მეტს არას უამბობდნენ ერთმანეთს და მხოლოდ როცა გადაჰკრავდნენ, მაშინ მოჰყვებოდნენ ბაასს სიცოცხლის მნიშვნელობაზედ, ვითომდა ფილოსოფოსურ კვლევა-ძიებას და სამდურავს უცხადებდნენ წუთი-სოფლის ჩარხის ტრიალს.

— სიცოცხლე წარმავალია! — ჩაურთობდა ხოლმე ან ერთი ან მეორე ამ ლაპარაკის დროს, რომ ეჩვენებინა,—თუ ამდენ ღვინოსა ვსვამ, ფილოსოფოსური საფუძველი მაქვს, თორემ სიმსუნაგითა და ლოთობით კი არ მომდისო.

ამისთანა წამებში ვახტანგ ვარიპანიძე ივიწყებდა აუარებელ ვალებს, თავისი მდგომარეობა ისე სამძიმოდ აღარ ეჩვენებოდა და წარმოიდგენდა ხოლმე კიდეც, ჩემი საქმე სულაც ისე ცუდად არ არის და კიდევ დიდ ხანს შემიძლიან გაღარიბების შიშის უქონელად ჩემის ქვევრების ღვინოს ვუჯდე და შევექცეოდეო.

— ვის არა აქვს ვალი!—ფიქრობდა იგი.—აბა მივიხედ-მოვიხედოთ, თუ უვალო იყოს ვინმე, მაგრამ მაინც მხიარულებასა და კარგ დროს გატარებას არავინ იშლის და ჩემზედ მეტი ხარჯიცა აქვთ.

ასე ინუგეშებდა თავს და რომ მოფიქრებისა და ზრუნვისათვის დრო აღარ დარჩენოდა, მარტოობას ერიდებოდა და თითქმის ყოველ დღე მეზობლებს პატიჟობას უმართავდა.

მოხუც ვარიპანიძეს ეს ამბები თავის შვილისა არ მოსწონდა, ისიც დიდი ხანია იცოდა, ვალები ჰქონდა აღებული, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს ვალები მთელი მამულ-დედულის ნახევარ ფასზედ მეტს შეადგენდა. ვახტანგ მამას ამ საგანზედ არაფერს უმხელდა და მოხუციც ამ ვალებიდან განთავისუფლების იმედს არა ჰკარგავდა. იმას უფრო შვილის უსაქმურობა და გალოთება აწუხებდა. ზოგჯერ უსაყვედურა კიდეც ეს ვახტანგს, მაგრამ მან მამის დარიგებას ყურადღებაც არ მიაქცია. გარელი თითქმის მუდმივი სტუმარი იყო ვარიპანიძიანთი და მაშინაც კი არ მოშორებია, როცა ვახტანგის სიდედრი ავად შეიქმნა და ნინო ავადმყოფის მოსავლელად აქ მოვიდა. პირველს კვირას თავის ბებიას თითქმის არა შორდებოდა, სულ იმის ზრუნვასა და მოვლაში იყო გართული, მაგრამ ცოტა კარგად რომ გახდა, მაშინ ნინომ თავისუფლად იგრძნო თავი, დაემორჩილა თავის გულის-ძგერას და ვნებათ ღელვის დამშვიდებას აღარა ცდილობდა. დღეში ათჯერ და ოცჯერ მოუთმენლად დაივლიდა ოთახებს, ზალას, ბალკონს, რომ გარელს შეჰხვედროდა და მასთან ყოფნით გულის-ძგერა დაეცხრო. თან ყოველის ღონით ცდილობდა, თავი დამშვიდებული ეჩვენებინა, მაგრამ იძულებული იყო, მაშინვე გასცლოდა, როცა ის ლაპარაკს დაუწყობდა და თავის გაბრწყინვებულ თვალებს სახეში დააშტერებდა. თუმცა გაშორდებოდა ხოლმე, მაგრამ ერთის საათის შემდეგ კიდევ და კიდევ იმას დაეძებდა და ვერ ამჩნეედა, რომ თანდათან უფრო ხშირად მიდიოდა მასთან, თანდათან უფრო ხანგრძლივ რჩებოდა იმის ახლო.

წინანდელი განზრახვა ყველა გაჰქრა, გრძნობათა სიმთვრალემ აიტაცა ნინო და თუმცა ცდილობდა მტკიცედ ყოფილიყო, მაგრამ თან უზომოდ სურდა, გარელს კიდევ დაეწყო სიყვარულზედ ლაპარაკი, ბარემ დაესრულებინა და გაებედნიერებინა. იმის მოთმენა და აუჩქარებლობა სრულიად ეუცხო-

ვებოდა, ზიზღით იგონებდა წარსულ დროს, როცა თავის გრძნობანი უნებლიედ უნდა გაენელებინა და თრთოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ მალე შინ უნდა დაბრუნებულიყო და წინ მხოლოდ მწუხარე გაყრის დღეები ელოდა. ამ ფიქრმა სრულიად ძალ-ღონე გამოულია, და როცა ერთ საღამოს გარელმა ხელი გამოართვა და გადაუკოცნა, უკან წაღება ვეღარ შესძლო და ერთ ადგილას მიჯაჭვულსავით უძრავად დარჩა.

— დიდ ხანს უნდა მაწვალო ასე?—დაეკითხა გარელი თითქო მწუხარე, დასევდიანებულის ხმით.

— აკი წინადვე გითხარით, რომ ნება არა გაქვთ ჩემის სიყვარულისა-მეთქი,—ათრთოლებით მიუგო ნინომ მხოლოდ იმიტომ, რომ ეთქვა რამე.

— რატომ არა მაქვს ნება ვითომ? რატომ? განა სიყვარული ცოდვაა?

შეშინებული ნინო კანკალმა აიტანა, უცბად გამოსტაცა ხელი და დაეშვა სკამზედ.

— მე სხვისა ვარ, სხვას ვეკუთვნი!—შესძახა შემკრთალმა ქალმა, რადგან უცებ ლევან მოაგონდა და უნდოდა უკანასკნელი ღონე ეხმარა თავის დაცვისათვის.

— შენ სხვას ეკუთვნი, მაგრამ ის სხვა არც გიყვარს და არც როდისმე გყვარებია, მიუგო გარელმა,— დაეშვა მის წინ მუხლებზედ და ხელი კვლავ გამოართვა.—არა-მეთქი, ის შენ არასდროს არა გყვარებია და ვერც შეიყვარებ. შენ მე გიყვარეარ და არა ისა. დიდი ხანია მე ეს შევამჩნიე. შენც იტანჯები და მეცა მტანჯავ! რაო, რისთვის? განა სიყვარული ცოდვაა?

ნინომ ამ სიტყვებში ცხადი სიმართლე ამოიკითხა და ზარდაცემული ზეზე წამოხტა.

— წადი, წადი-მეთქი აქედან! შეეეედრა ქალი.—გინდა გამაუბედურო.

— არა და არასოდეს! მე მინდა ბედნიერი გაგხადო, წასჩურჩულა გარელმა და წელზედ მაგრად ხელი მოჰხვია.

ნინო აღარ გასჭირვეულებია, ვნებათ-ღელვამ ყოველივე ლონე მოუსპო. ნეტარებით აკანკალებულმა თავის მშვენიერი გულ-მკერდი ყმაწვილ-კაცის გულს გააკრა და კოცნასაც აღარ მოერიდა. ჯერ თავის დღეში ნინოს ამისთანა სიამოვნება არ გამოევლო. თავდავიწყებით დაეწაფა სიტკბოებისა და ბედნიერების წამებს და როცა გარელი ჩააცივდა, მითხარ ყოველი შენი გულის-პასუხიო, გამოუტყდა, რომ დიდი ხანია რაც მიყვარხარ და უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლიანო.

ტრფიალებით მთვრალმა ყოველისფერი დაივიწყა, რაც ამ ტრფიალებას არ შეეხებოდა და ერთის საათის შემდეგ, როცა თავის ოთახში იჯდა, იქაც კი მარტო გარელზე და იმის ტკბილს ალერსზე ფიქრობდა. მხოლოდ პატარა ხანს უკან გამოფხიზლდა, საშინლად შეკრთა, თავის მდგომარეობა რომ წარმოიდგინა, მაგრამ ისევ მალე გაიტაცა სიყვარულის აღტაცებამ, გაუქარწყლა სხვა ზრუნვა და ფიქრი და გულში შიშიც ჩაუქრო. ამ ღამეს თითქმის სულ არა სძინებია, მაგრამ მეორე დღეს მაინც ჩვეულებრივზე ადრე ადგა, რადგან გარელის ნახვის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა. სახე გადაჰფითრებოდა და მშვენიერს შავს თვალებზედ ბინდი გადაჰკროდა, როცა დილით თავის საყვარელს შეხედა და ხელი გაუწოდა.

— ანგელოზის მსგავსი შვენება ხარ სწორედ!—წასჩურჩულა გარელმა ტკბილის, მოალერსე ხმით. მართლაც, მას ასე ლამაზი და დამშვენებული ჯერ არ ენახა. მკირეოდენი სიფერმკრთალე და მიბინდებული თვალები იმის სახეზედ ვნებათ-ღელვის ბეჭედს აჭდიდნენ და ვინც კი ნახავდა, თავბრუ-დასხმული იმის მშვენებას წინ ვერ დაუდგებოდა. გარელმა თითონაც დაიჯერა ეხლა თავისი გუშინდელი სიტყვები, რადგან ნინოს სახემ მოუსპო ყოველივე თვით-მფლობელობა და აღელვებულ გრძნობათ დაუმონავა. ოთხი დღე ფეხ-მოუცვლელად დარჩა ვარიპანიძიანთსა და თუმცა შიშობდა, ასე ხანგრძლივმა ყოფნამ არ გამცესო, მაინც წასვლას ვერ ახერხებდა.

მეორე დღეს საღამოზედ ლევან მოულოდნელად მოვიდა და იმისმა დანახვამ ნინო მეტის-მეტ ტანჯვაში ჩააგდო. შე-

შინდა კიდეც, ვაი თუ გამც ვინმე და ლევან იმიტომ მოვიდა, გუშინდელი ჩემი შეცოდება თვალწინ დამიყენოსო.

ქმარს ისე აღელვებული მიეგება, რომ ლევანს შეეშინდა და ჰკითხა, ბებია როგორ არის, ხომ უფრო ავად არ შეიქნაო.

— არა, უკეთ არის,—მიუგო მან საჩქაროდ.—ამ რამდენიმე დღეში სრულიად კარგად შეიქნება.

ამ პასუხის დროს ლევან გაშტერებით ჩასცქეროდა სახეში, მაგრამ არა ეჭვიანობით, რადგან ეჭვიანობა სრულიად არ იცოდა. იმას ეშინოდა ავადმყოფს ხომ ცუდი არა დაემართა-რა და მიმალამსო. როცა დარწმუნდა, რომ ცოლის სიტყვები მართალი იყო, თვით ნინოსაც შიშმა გადაუარა, ჩვეულებრივად დაუწყო ლაპარაკი ქმარს და ისიც სრულიად დამშვიდდა. ლევან მიმნდობი და საღა გულის პატრონი იყო, და იმაზედაც კი აღარ უფიქრია, მისვლის დროს ისე შემკრთალი რად დამხვდაო.

გარელის აქ ყოფნამაც არ გააკვირვა: იცოდა ნინოს მამის დიდი მეგობარი იყო და ხშირად დადიოდა მასთან. ის კი არ მოეწონა, მეორე დღეს რომ ნახა, ორნივ ღვინოს მეტად ეწყობოდნენ და ჯერორვანზედ მეტსა სვამდნენ. ამ ამბავმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება იქონია მასზედ და როცა ერთ საღამოს ნინოსთან ეთად შინისკენ გაემგზავრა, ვერ დაუმალა, რომ მამი-შენის ქცევა სრულებით არ მომწონსო.

— მე არ მესმის, ისე უღირს კაცს, როგორიც გარელია, მამა-შენი როგორ მეგობრობს, ან ძმობილობს!—წარმოსთქვა მან ისეთი კილოთი, რომ წყენა თვით ამ კილოზედვე ეტყობოდა.—ის არამც თუ ცრუ-კვეხნია და სხვის თეფში-ლოკიაა, სრულიად გარყვნილი კაცია და ზნეობის ნიშან-წყალი არა აქვს.

ამ უწყალო სიტყვების მოსმენაზე ნინო სირცხვილით ჭარხალივით გაწითლდა, მაგრამ მის ბედად ისე ბნელოდა, რომ ლევანმა ეს სირცხვილი და შეკრთომა ვერ შეამჩნია. თითქმ. მდუღარე წყალი გადაასხესო, ისე აიტანა ალმურმა ნინო. პირველ წამს რაღაც სევდა მოაწვა, მასუკან გულში დაემდურა ლევანს და თითქმის ჰკიცხავდა კიდეც, რომ ასე ზიზღით მოიხსენა ის კაცი, რომელიც გაგიჟებით უყვარდა და რომელმაც იმდე-

ნი სიამოვნება აგრძნობინა, იმოდენა ერთგულება აღმოუჩინა. ვნებათ-ღელვამ ისე დააბრმავა, რომ წარმოიდგინა, ლევანს ასე ცუდი ლაპარაკი გარელზე შურით მოსდისო; გარელს მართლაც იმდენი ეამბნა თავის პოეტურ მოღვაწეობაზედ და წინაალმდეგთა მტრობაზედ, რომ ნინომ ლევანიც იმათ რიცხვში ჩასთვალა, რომელთაც გარელის დიდება და სახელი შურდათ. მერე იმისი შეეშინდა, ვაი თუ გამიგო გარელის სიყვარული და ეს ლაპარაკი ეჭვით მოსდისო. გზა და კვალი სრულიად დაებნა და გამორკვეულს აზრს ველარას დაადგა. მტკიცედ შერჩა მხოლოდ ახლად გაღვიძებული გრძნობა: ლევანზედ გული მოსდიოდა და გარელი უყვარდა.

ნინოს ბებია სრულებით მორჩა და მარიამ გონელის ცოლი, რომელმაც მთელი კვირა იმის ქვეშსაგებთან გაატარა, შინ დაბრუნდა.

— რატომ აგრე მოგიწყენია?—ჰკითხა ქმარმა, მოხუცმა ვასილმა, როცა ცოლი და იმის მოახლე მაიკო ოთახში შევიდნენ.—ამბობ, კარგად არისო და თან აგრე შეწუხებული გამოიყურები; მითხარ, რა მოხდა?

— ოჰ, ჩემო საყვარელო, იქ, ვარიპანიძიანთ სახლში, ბევრი კიდევ სხვა მიზეზია მწუხარებისა,—მიუგო ცოლმა.—იქ ყველანი ავად არიან, დამიჯერე. ვახტანგ გალოთებულა. სანამ ამხანაგი არავინა ჰყავდა, კიდევ არა უჭირდა-რა, მაგრამ რაც ის საძაგელი გარელი აუტყდა და აღარ შორდება, სადილ შემდეგ ფხიზელს ველარა ნახავ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ცუდი კაცი რა კარგ მაგალითს აჩვენებდა! არ ვიცი, რა ბოლო ექნება. ვალები ემატება და ვახტანგ კი ქეიფსა და განცხრომაზედ ხელს არ იღებს. საწყალი გრიგოლ! რამდენჯერ შეეხვეწა, ჩაუფიქრდი შენს მდგომარეობას, გონებაზედ მოდიო, მაგრამ ვითომ კედლისათვის ცერცვი შეგიყრია. კარგ მთქმელს კარგი

გამგონე უნდა. ვახტანგ მეტად დაცემული და ველარ მორ-ჯულდება. ერთ მშვენიერ დღეს სახლი თავზე დაექცევა და მთელ ქონებას მოვალენი წაიღებენ. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ის საბრალო მოხუცი ამ უბედურების დღეს მოესწროს, თორემ ეს ამბავი მოჰკლავს, მიწასთან გაასწორებს! საცოდავო გრი-გოლ! გეგონა შენს ოჯახს სამოთხესავით აყვავებულს დასტო-ვებდი, გადასცემდი სამკვიდროდ მესამე და მეოთხე თაობას და შენმა შვილმა კი ეს სამოთხე ლამის შენ თვალ-წინ გაანად-გუროს. გული მტკივა, ამ დაღუპულ ოჯახს რომ ვუცქერი. უწინ ისინი ღარიბებს აცმევდნენ და ასაზრდოებდნენ და მალე იძულებულნი იქნებიან, თითონვე მშიერ-მწყურვალნი სხვას შე-ეკედლონ, სხვის ჭერ-ქვეშ დალიონ სული. ვინ იცის, იქნება ვახტანგმა ქვეყნის სამარცხვინოდაც დაასრულოს თავისი დღე-ნი; ან რა კეთილს დააყრიან, მართლა, გარელისთანა გარყვნი-ლი ნაცნობები. მეშინიან, იმ წყეულმა გარელმა ნინოსაც უბე-დურება არ მოახვიოს თავზე. უნდა გენახა, როგორ თვალს უშ-ვებოდნენ და ერთმანეთს ეარშიყებოდნენ; როგორც ეტყობა, ნინოს ის გაგიჟებით მოსწონს და ისიც, რასაკვირველია, ამ შე-მთხვევას თავისთვის ცუდად არ გამოიყენებს. განა პირველი იქნება იმისაგან ქმრიანი ქალის შეცდენა! ხომ შენც გაგიგო-ნია იმის ამბები?

მარიამის ნაამბობმა მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახ-დინა ვასილზე: იცოდა, რომ მარიამ უმიზეზოდ არავისზედ ცუდს არ იტყოდა და ამიტომ ყოველი იმისი სიტყვა სჯეროდა. მე-ორე დღესვე ჩიგანისას წავიდა, რომ ნინო გაეფრთხილებინა. ნებაცა ჰქონდა ამისი: ჯერ ერთი ჯვარ-დაწერილნი ამის და-ლოცვილნი იყვნენ და მერე იმის პაპისა საუკეთესო და უერ-თგულესი მეგობარი იყო. თუმცა მოხუცი გულ-მოდგინედ ადე-ვნებდა თვალ-ყურს, მაინც ნინოს ყოფა-ქცევაში საეჭვო ვერა შეამჩნია-რა: ის ისევ წინანდელსავით ერთგული სჩანდა ქმრი-სა და ვერავინ შეატყობდა, რომ ამ ქალს თავისი გული სრუ-ლიად სხვა კაცისათვის დაემორჩილა.

მართალია, ნინო თვალთ-მაქცობაში დახელოვნებული არ იყო, მაგრამ იმას კი ახერხებდა, მტკიცედ დაეჭირა თავი და თავის ნამდვილ გრძნობათათვის ფარდა გადაეფარებინა. ნინომ წარმოიდგინა, ლევან ეჭვიანობს და გარელზედ ჩუმად გულში ჯავრობსო და, ამ ეჭვის გასაქარწყლებლად, ქმარს უწინდელსავით ტკბილად და ნაზად დაუწყო მოპყრობა. ეს უეცარი განაზება სრულიადაც არ აკვირვებდა ლევანს; ის იმისთანა არ იყო, თავის საყვარელ არსების გრძნობათა მიმდინარეობისათვის თვალი ედევნა და ყოველი მოძრაობის მიზეზი ეკვლია. ამისთანა თავ-მომაბეზრებელ ძიებისათვის არ ეცალა და არც ბუნებით ეჭვიანი იყო. მერე ეხლა თავის დის სიხარულში იმისთანა მონაწილეობას იღებდა, რომ ბევრს რასმეს ვერ ამჩნევდა, რაც იქნება კვლავ არ გამოჰპაროდა. მართლაც, ამ დროს უეცრად მოხდა ნიშნობა ქეთევანისა და ლეონიძისა და ერთ დღეს ნინო სრულიად გაშტერებული დარჩა, როცა ზალაში შევიდა და დაინახა, რომ ლევანის დედა ორთავეს ლოცავდა. პირველ წუთს ბედნიერ ახალგაზდათა დანახვამ ააღელვა, მივარდა ქეთევანს, ყელზე მოეხვია და ხარბად კოცნა დაუწყო, მაგრამ მაშინვე ამ კეთილშობილურმა გრძნობამ გადაუარა და თავის თავზედ ზრუნვამ შეიპყრო ისევ მთლად მისი არსება; ქეთევანის სიხარულში მან მონაწილეობა ვეღარა მიიღო-რა და მხოლოდ იმასა ჰფიქრობდა, მეც შემეძლო გარელთან ასევე ბედნიერი ვყოფილიყავიო. ენით-უთქმელი სევდა მოაწვა გულზედ, მოუარა უძლეველმა სურვილმა, ხელ-შეუშლელის სიყვარულით დამტკბარიყო, რაც მხოლოდ ცოტაოდნად ეგემა და სატირლად განმზადებული გავიდა გარეთ და ბაღში მიყრუებული კუთხე მონახა, რომ მთლად თავის მწუხარებას მისცემოდა. უცაბედად მაღლა აიხედა და რა ჩააცქერდა მშვენივრად მოკრიალებულს ცას, მოაგონდა თავის ნიშნობის დღეს სიცხისაგან ბუღ-მორეული ჰაერი. დღეს ბუნება თითქო უფრო მხიარულობდა, ვიდრე მაშინ. მზე ეს არის ეხლა ჩასულიყო, მისი ოქროთ ქსოვილი შარავანდედი დასავლეთისკენ ცის კიდეს ამშვენებდა და აღმოსავლეთით კი მაღალ მთებიდან მოწითანო ბადრი მთვა-

რე მკრთალ ლაჟვარდ ნათელში ამოდიოდა. დიდებულად ამ-
წვანებულ ხეობას თხელი ნისლი გადაჰკვროდა და ზემოდან
გადმოსცქეროდა ჯერედ კიდევ ნათელი, ვარდისფერ ზოლე-
ბით აჭრელებული ცა. გარშემო დაურღვეველი მყუდროება
სუფევდა და მხოლოდ შორიდან კლდეებში მომწყვდეულის
ყვირილას ხმა მოისმოდა.

დიდ ხანს იჯდა ნინო ამ მიფარებულს ალაგს დარდი-
საგან გატაცებული და ყველას საყვედურობდა, ვინც კი თა-
ვის ბედის გადამჭრელად მიაჩნდა, ვინც იგი ლევანს დაუ-
კავშირა.

— მაინც გული მეუბნებოდა, იმასთან ბედნიერი არ იქ-
ნებიო,—ამბობდა იგი და თან წარმოიდგინა, რომ არც ერთი
იმედი, რომელსაც ლევანთან შეუღლებაზედ ამყარებდა, არ გაუ-
მართლდა; რომ, აი, რამდენიმე თვემ განვლო და სიხარული,
ან სიამოვნება არა უგრძვნია-რა, ატარებდა ასე უგემურს ცხოვ-
რებას და არც იმედი ჰქონდა, საქმე სხვაფრივ მოწყობილიყო,—
წარმოიდგინა ეს ყველა და წყენისა და ჯავრისაგან გული აუ-
ჩუყდა, ტირილს მოჰყვა. ეხლა იმას აღარა კმარობდა, რომ გა-
რელი უყვარდა, რადგან მხოლოდ იშვიათად შეხვდებოდა მას-
თან ახლო ყოფნა და ყოველს მოკლე ნახვას უნდა მოჰყოლო-
და მთელი უშველებელი დღეები და იქნება კვირეებიც განშო-
რებისა და წვალებისა. თვალთ დაუბნელდა, თავისი მომავალი
რომ წინ დაინახა, ციებიანსავით მოჰყვა კანკალს, მაგრამ მაინც
ვერ გაჰბედა რაიმე ძირითადს ცვლილებაზედ ფიქრი გულში
გაევლო. გაიფიქრა, ეს რა წყვდიადში მიეყევარ ჩემს ბედსაო
და მთლად შიშის ზარმა აიტანა.

პატარა ხანს უკან რომ წამოდგა, მთვარეს გაჰქონდა კაშ-
კაში ნაცრის-ფრად მოელვარე ცაზედ, ხეობის მშვენიერს სუ-
რათს ბინდი გადაჰკვროდა და დაბლობიდან ბრწყინავდა მხო-
ლოდ გველსავით დახლაკნილი მდინარე ყვირილა.

— სად იყავ?—ჰკითხა ლევანმა, როცა ნინო ზალაში შე-
ვიდა, სადაც ყველას ერთად მოეყარა თავი და მხიარულობ-
დნენ. ლევანს გაუკვირდა, რაღა სწორედ დღეს მოუნდა ნი-

ნოს მარტოობა, როცა საერთო სიხარულში მონაწილეობა უნდა მიეღოო, მაგრამ ცოლმა უპასუხა, განგებ ბაღში წავედი, რომ ქეთევანისა და ლეონიძისათვის ერთად ყოფნა და ერთმანეთის აღერსი არ დამეშალაო. ამ პასუხმა სრულიად დააკმაყოფილა ლევან და ისევ განაგრძო სხვებთან დაწყებული ლაპარაკი.

ჯერ ლევანს ცოლის ერთგულებასა და წრფელს სიყვარულში ეჭვი არასდროს არ შეეტანა, რადგან თუმცა ნინო ძვირად მოჰქცევია ქმარს განსაკუთრებულის აღერსიანობით, მაინც ყოველთვის ცდილობდა მის მხიარულებას და რაც კი მშვიდ მყუდროებას დაურღვევდა, თავიდან აცილებდა. თითონ ლევანსაც არა ჰქონდა ჩვეულებად სიყვარულის ქარტეხილით გატაცება და ცოლსაც ამას ვერ მოსთხოვდა; თან თავის დღეში ვერ გაიფიქრებდა, ვითომც ნინოს ეს გარეგანი გულგრილობა უსიყვარულობით მოსვლოდა. ამიტომ ცოლის მორიდებასა და განმარტოებას მცირეოდენი ეჭვიც არ აღუძრავს მასში. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ლეონიძე რომ შარელიდან ტფილისს დაბრუნდა და ცხოვრება თავისს ჩვეულებრივს კალაპოტში ჩავარდა, ლევანმა შეამჩნია, რომ ნინო გამოცვლილიყო და ხშირად ლაპარაკის დროს რაღაც შეკრთომა ეტყობოდა. მაინც მაშინაც კი ეჭვი არ შეეტანა, როცა შეეტყო, რომ გარელი შარელში ერთ თავის ნათესავ გაბაშვილთან დიდი ხნით მოსულიყო. ეს იყო ლევანის გვერდის მეზობელი, იმისი სახლი იდგა ერთ დიდ ბაღში, რომელიც ლევანის ხილის ბაღს აკრავდა და მხოლოდ დაბალი ღობე ჰყოფდა.

ნინო ათრთოლდა ნეტარებით, რა შეეტყო, რომ ის, ვისაც მხოლოდ შეეძლო მისი გაბედნიერება, აქვე, იმის ახლო იყო და ეხლა ყოველსავე გამოვლილ ტანჯვა-წვალებას მოაშორებდა. მაგრამ ამ სიხარულთან ერთად არა მცირედი შიშიც გაუცხოვლდა: ჰფიქრობდა, ვეღარ შევძლებ ჩემის გულის-პასუხის დამალვასაო და თუ ეს იდუმალი სიყვარული გამიმჟღავნდა, როგორ მოვიქცეო. ამ შიშმა, მართალია, შეიპყრა, მაგრამ მაინც მოსწყურდა გარელის ნახვა, ვეღარას გზით ვერ მოიშორა სურვილი ხორციელის დატკბობისა, რომელიც შიშზე უფრო ძლიე-

რი გამოდგა. მესამე დღეს საღამო ჟამზე გადასწყვიტა ხილის ბაღში ჩასულიყო არა იმისთვის, რომ გარელს დალაპარაკებოდა, არამედ დაენახა როგორმე. ასე ხსნიდა თავისთვის მაინც იქ ჩასვლის მიზეზს. ნახევარ საათზე მეტი ხეებში აღელვებული დადიოდა, მაგრამ გარელი არა სჩანდა. მთელი დღე თურმე ეთვალთვალა და მხოლოდ საღამოზედ შინ დაბრუნებულიყო. მეორე დღეს ნინომ საღამომდე მოცდა ველარ შესძლო, დილითვე ჩავიდა ბაღში და გარელიც იქ გაჩნდა. მეტის-მეტმა სურვილმა აიტანა მთლად ქალის არსება, როცა გარელი დაინახა, მაგრამ მაინც ძალა დაატანა თავის თავს, გაჰკიცხა გაბედულობისათვის და წასვლა ურჩია.

— მართალს ამბობ, შეიძლება დაგვინახონ. ეხლავე წავალ, მაგრამ ჯერ დამპირდი, რომ საღამოზე აქ ჩამოხვალ. უნდა დღესვე უეჭველად გნახო. შენმა სიყვარულმა ლამის გამაგიჟოს, ამაზე მეტი აღარ შემიძლიან! ჩემო ძვირფასო, ჩემო მშვენიერო ნინო, შემისრულე ეს ერთად-ერთი თხოვნა.

გარელი სრულიად მიუახლოვდა ქალს და ამანაც ვერ შესძლო განშორება. ის იდგა გულ-აძგერებული გარელის წინაშე და დაჰპირდა კიდეც დაბრუნებას, როცა დაღამდებოდა. დაჰპირდა სრულიად ძალ-დაუტანებლივ, და მღელვარებისაგან ათრთოლებული ნელის ნაბიჯით შინისკენ წავიდა.

ჯერ არას დროს მოუთმენლობას ისე არ დაუტანჯნია ნინო, როგორც დღეს. ბავშვიც კი შეამჩნევდა, რომ რაღაც აწუხებდა. სადილ წინად ქეთევან დაეკითხა, ხომ არაფერი გტკივაო და რადგან ეს კითხვა მოულოდნელი იყო ნინოსთვის, ის გაწითლდა, მაგრამ მალე თავი შეიმაგრა და ავადმყოფობა მოიმიზეზა. ლევანიც გამოელაპარაკა იმის უცნაურ ქცევის მიზეზზე, მაგრამ ეხლა უფრო მომზადებული იყო საპასუხოდ, თითქმის აღარ გაწითლებულა და დაარწმუნა ქმარი, ეს რამდენიმე დღეა თავი მტკივა და ცოტა გულის ტკივილიც დამჩემდაო. პატარა ხანს უკან გაახსენდა თავის სიცრუე, მეტად შერცხვა, მაგრამ მაინც უხაროდა, რომ ლევანს ეჭვებიც ამით გაუფანტა.

დაპირებისამებრ, როცა ჩამობნელდა, ბაღში გაეშურა და იქ გარელი ელოდა კიდეც. იმისმა ალერსმა სრულიად დაათრო ქალი და აღუთქვა, ხვალაც მოვალ, ზეგაც, ყოველ დღე, მთელი კვირეები, თვეები, წელიწადებიო.

— მე სამუდამოდ შენი ვარ!—ეუბნებოდა ამოხვრით ქალი.

გარელმაც შეჰფიცა საუკუნო ერთგულება და დაარწმუნა, შენის გულისთვის ყოველსავე უსიამოვნობას, ყოველსავე ტანჯვას ავიტანო.

ერთმა კვირამ ისე გაიარა, რომ მათი ფარულად ერთმანეთის ნახვა ვერავინ შეამჩნია. ქეთევანიც კი, რომელიც უფრო ხშირად იყო ნინოსთან, სრულებით ვერაფს მიმხვდარიყო და მხოლოდ შემთხვევით გაიგო მიზეზი თავის რძლის ბაღში ყოველდღიურ სეირნობისა. როცა ერთხელ ნინომ იქ წასვლა დააპირა, ქეთევან კარებთან იდგა. მას უნდოდა მაშინვე უკან გაჰყოლოდა, მაგრამ დედამ რიღასთვისაც შეიხმო და მხოლოდ თხუთმეტის წამის შემდეგ წავიდა ბაღში. სწორედ ის გზა აირჩია, საითკენაც ნინო წასულიყო და შეუმჩნევლად მიაღწია იმ ადგილს, სადაც შეყვარებულნი ერთმანეთს ელოდნენ ხოლმე. ჯერ დაინახა მხოლოდ ნინოს თეთრი ტანისამოსი და დააპირა კიდეც დაძახება, მაგრამ უეცრად თვალი მოჰკრა მეორე ჩრდილსაც. შეშინებულს ქალს ელდა ეცა და უკან დაიწია: იცოდა, ეს ლევან არ იქნებოდა, რადგან ეს არის ეხლა ის წიგნით ხელში ზალაში დასტოვა. მღელვარებისაგან გაფითრებულმა და თავზარ-დაცემულმა ორი ნაბიჯი კიდევ გადასდგა და კინაღამ შეჰკივლა, როცა გარელი იცნო და დაინახა, რომ ნინო მას ყელზე გადაეხვია. თითქმის სულ-შეგუბებული და გონმიხდილი ქეთევან შინ დაბრუნდა და ბნელს დერეფანში ქანცმოწყვეტილი სკამზე დაეშვა. ცოტა ხანს უკან ისევ წამოდგა და დააპირა ქეთევანის მისაგებებლად წასვლა, რომ ღალატისათვის საყვედური ეთქვა; მაგრამ იგრძნო, რომ დღეს მეტად სამძიმო იქნებოდა იმის შეხვედრა და ამის ასაცილებლად თავის საწოლ ოთახში წავიდა. როცა იქ მოისაზრა, რა ბოლოც უნდა მოჰყოლოდა ნინოს ფარულ სიყვარულს, გულზედ სა-

შინელი ბოლმა მოაწვა და ტირილს მოჰყვა. მეტადრე ის სტანჯავდა, რომ იმის ძმის ბედნიერება თურმე მოტყუებასა და თვალთმაქცობაზედ იყო დამყარებული; კინაღამ სიამაყემ და და-ძმურმა სიყვარულმა გააბედვინა მას ნინოს მარტოდ-მარტო სეირნობის მიზეზი ძმისთვის შეეტყობინა, მაგრამ შიშმა ენა დაუბა, როცა წარმოიდგინა, რა თავ-ზარს დასცემდა ეს ამბავი ლევანს. ნინოც საშინლად ებრალებოდა, დასავით უყვარდა და მეტად ემძიმებოდა ისე დაებეზღებინა, რომ წინად ერთი გაფრთხილების სიტყვა მაინც არ ეთქვა. თან ის აშფოთებდა, რომ იმის ძმა მოტყუებული იყო, ოჯახის თავმოყვარეობა შელახული და ამ მწარე ფიქრებით ჩაწვა ქვეშსაგებში, მაგრამ მოსვენება კი აღარა უგრძვნია-რა.

## XI

ქეთევანმა რომ მეორე დღეს ხან-მოკლე ძილის შემდეგ გამოიღვიძა, გულის წყრომა ცოტა დასცხრომოდა და ვეღარ გაბედა, ძმა მიეხვედრებინა, ან ეჭვი რამ აღეძრა; ეჭვი, რომელიც იქნება ისევე გულ-გასაგმირი ყოფილიყო, როგორც ნამდვილის გამჟღავნება; და როცა ლევან თავისთვის დამშვიდებით ბაღში მჯდომარე დაინახა, გაბედულობა სრულიად მოესპო. ნინოსაც დღეს ისე მკვახედ და უკმეხად ვერ მოექცეოდა, როგორც გუშინ განიზრახა. ნინო ეხლა ებრალებოდა და როცა თვალ-წინ გარელს წარმოიდგენდა, ქალის დანაშაული მის თვალში მცირდებოდა; მართლაც ქეთევანი დიდი ხანია მიხვდა, რომ გარელი საშიში, ქალების შეცდენაში დახელოვნებული კაცი იყო და ნინოც უთუოდ ეშმაკობითა და თვალმაქცობით მიიბირა. იმის მშვენიერი, მუდამ აბრიალებული თვალები პირველ დღიდანვე ქეთევანსაც საიდუმლო შიშსა ჰგვრიდა. მას ეშინოდა გარელისა, ერიდებოდა, სძულდა კიდეც, რადგან კარგი არაფერი გაეგონა მასზედ, მაგრამ თავიდან ვერ იცილებდა იმ მომხიბლავ შთაბეჭდილებას, რომელსაც ხშირად იმის დანახვაზედა ჰგრძნობდა. ეხლა ნინოს ყოფა-ქცევას ისე

მკაცრად აღარა სჯიდა, მაგრამ როცა საღამო დადგა და მოაგონდა, რომ შესაძლოა, კიდევ გარელთან წავიდესო, სევდა კვლავ შემოაწვა და მოსძებნა ნინო, რომ ამ ფარულ ნახვისათვის ხელი აეღებინა.

მზე სქელ-ღრუბლებ დაფარული ჩასულიყო კიდეც და მკრთალი ვარდის-ფერი ზოლი-ღა ანათებდა დასავლეთს; მაგრამ ესეც რომ გაჰქრა, ბნელი გადაეკრა ცას და ხანდისხან ამ მწყვდიადს მხოლოდ ელვა არღვევდა და რამდენიმე წუთით მთის წვერებს ანათებდა. ავდარს აპირობდა. ჰაერი სიცხისაგან დამძიმებულიყო; ფოთოლიც კი ხეზედ არ იძროდა და მთელი ბუნება შეეპყრა უსიამოვნო გულის შემაშფოთებელს მყუდროებას. იმ ხეივნის ქვეშაც, სადაც ქეთევან და ნინო ეხლა ისხდნენ, ისეთივე უსიამოვნო მყუდროება სუფევდა, როგორც მთელ ბაღში, მთელ ხეობაში. ნინო მოუთმენლად ელოდა დაღამებას, რომ თავის საყვარელს მიყდრნობოდა გულზე და რაც ეს წამი ახლოვდებოდა, მით უფრო მოუსვენრობასა ჰგრძნობდა, რადგან ქეთევან დალურსმულსავით იჯდა მის გვერდით. ორნივ ჩუმად იყვნენ: ნინო ლაპარაკს ერიდებოდა, რომ ქეთევანისათვის მიზეზი არ მიეცა დარჩენისა და ქეთევანსაც ეშინოდა ლაპარაკში თავის გულის ტკივილი არ გამოემჟღავნა.

სრულიად დაღამდა; სიბნელე ხეობიდან ზემოდაც ამოეფინა და მთებიდან წამოსულმა შავმა ღრუბლებმა ცაზედ სინათლის უკანასკნელი კვალიც წაშალა.

— ეხლა დროა წასვლისა; ის იქ იქნება,—გაიფიქრა ნინომ და ადგომა დააპირა, მაგრამ თან ჰხედავდა, რომ ქეთევანისაგან შეუმჩნეველად ვერსად წავიდოდა.

მოუთმენელმა გულის ფანცქალმა ისე დააღონა ნინო, რომ კინაღამ ტირილს მოჰყვა. ტანჯვით გატარებულ ცოტა ლოდინის შემდეგ წამოდგა და შინისკენ წავიდა, რომ ჯერ ქეთევანს მოშორებოდა და მერე საჩქაროდ ისევ ჩუმად ბაღში დაბრუნებულიყო.

— რას მიეშურები? — ჰკითხა ქეთევანმა, როცა ნინომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— განა მიეშურები?—დაეკითხა ნინო შეკრთომით.

— დიაღ, მიეშურები და ისიც ვიცი, სად მიეშურები,— ამოიკვნესა ქეთევანმა აკანკალებულის ხმით.

— რას ამბობ, მე არ მესმის შენი ლაპარაკი.

— შესაძლოა. მეც შენი აღარა მესმის-რა. არ მესმის-მეთქი, როგორ იკადრე იმ გარელთან...

მეტი ველარა სთქვა-რა და ნინომაც მეტის თქმა აღარ დააცალა.

— რას ამბობ, რასა!—გაიმეორა ნინომ ქვითინით და სირცხვილისაგან მთლად გაწითლდა.

— ნინო,—განაგრძო ქეთევანმა,—მე ყოველისფერი ვიცი, გუშინ იმასთან ერთად ბაღში გნახე. მაგრამ ნუ იფიქრებ, განგებ უკან დაგდევნებოდე; არა, მე ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი იმას, რაც იქა ვნახე.

ნინო გაქვავებულსავით იდგა, მერე მივარდა ქეთევანს, მაგრად ხელები მოჰხვია და ტირილით შეევედრა:

— ჩემო ტკბილო, ჩემო საყვარელო ქეთევან, ნუ გამიცხავ, ნუ!—სისუსტით მომივიდა და არა სიცუდით: ყოველ ნაბიჯზედ უკან დამდევდა, სანამ გონება არ დამეგნა და ძალა არ გამომელია.

ქეთევანს სჯეროდა ნინოს სიტყვები, ებრალებოდა კიდეც და დასამშვიდებლად დაჰპირდა, არავის რას ვეტყვიო და სიტყვაც კი არ ჩამოართვა, გარელთან ამას იქით შორს ყოფილიყო. ნინომ ეს თითონვე ჩუმად განიზრახა, გადასწყვიტა, დაევიწყა იგი და თავის დღეში აღარ ენახა; ძალაც დაატანა თავის თავს სხვებსავით მკაცრად განესაჯა მისი ყოფა-ქცევა, იმის ღირსება დაემცირებინა, მაგრამ ცდა ამაო გამოდგა; ნინომ ვერ შესძლო, ვერ მოიშორა გონებიდან იმის მომხიბლავი ზედ-მოქმედება: როცა წარმოიდგენდა გარელის ხვევნა-კოცნას, ვნებათ-ღელვა კანკალსა ჰგვრიდა და თავი კვალად ნეტარებაში ეგონა; თან ჰგრძნობდა, რომ ჰკარგავდა წინააღმდეგობის ძალას. მაინც ორი დღე არ წასულა მასთან, თუმცა სურვილი საყვარლის ნახვისა სტანჯავდა და გულს უწიწკნიდა; მაგრამ

თან სტანჯავდა სინიდისიც, რცხვენოდა, რომ ქმარს სიყვარულს და ერთგულებას ასეთის უმადურობით და ღალატით უხდიდა. მესამე დღეს ველარ შესძლო თავის წადილთან ბრძოლა, უნდოდა შეეტყო, გარელსაც ისე სწყუროდა იმის ნახვა, როგორც თითონ გარელისა, თუ არა; რადგან თუმცა სიტყვით ბევრს არწმუნებდა, მაინც აქამომდე გულდაჯერებული არ იყო და ხშირად იმის გრძნობათა გულ-წრფელობაში ეჭვი შეჰქონდა. მხოლოდ ნახვა უნდოდა მისი და დაკმაყოფილდა კიდეც მარტო ამ ნახვით: როცა სურვილით ატაცებული საყვარელი დაინახა და სიმსუნაგით აბრიალებული თვალები კრთომით განიცადა, იმდენი ძალა კიდევ შერჩენოდა, რომ ალერსის ნებაც არ მისცა. მთელი ღამე არ მოასვენა ეჭვმა, ვუყვარვარ თუ არაო, მაგრამ მეორე დღეს ერთი-ღა ფიქრი შერჩა: ის ფიქრობდა მხოლოდ გარელთან ახლო ნაგრძნობ ნეტარებაზედ, მოუთმენელმა წადილმა იმის ნახვისამ კიდევ უფრო შეიპყრა იგი და ყოველივე შიში გაუქარწყლა. ვნებათ-ღელვამ თავბრუ დაასხა და მოსაზრება მოუსპო: ერთი-ღა საზრუნავი შერჩა, ეს ერთი აზრი ართობდა მხოლოდ იმის ჭკუა-გონებას, გარელს მართლა ვუყვარვარ, თუ არაო. ხან ზედ შევარდებოდა თავის საყვარელს, ხან განზედ გაუხტოდა; ხან ებუტებოდა, ხან ბოდიშს ხდილობდა, რადგან ხანგრძლივ განშორებისათვის ღონე არ შესწევდა. მთელი კვირა ასე ტოკავდა: მწუხარება სიხარულსა სცვლიდა, ალერსი გულის-წყრომას და აღარ აქცევდა ყურადღებას, რა ხდებოდა იმის გარშემო. მართალია, ერთ დილას შეამჩნია, რომ ლევან ჩვეულებრივზე უფრო მოწყენილი იყო, მაგრამ ნინო მიზეზის ძიებას სრულებითაც არ შესდგომია; ის ვერა ჰხედავდა, რომ ლევანის გულში ჩავარდნილიყო კიდეც ეჭვიანობის ნაბერწკალი, რომელიც მალე სახმილად გადაიქცეოდა.

რამდენიმე საათის წინად ლევანისათვის მოურავს შეეტყობინებინა, რომ წუხელის გარელი თქვენს ბაღში ვნახეო.

— რა უნდოდა იმას ჩემს ბაღში? ვის ეძებდა?—გაუელვა თავში ლევანს და უსიამოვნოდ შეიქნა.

— არა, რას აკეთებდა ბნელაში ჩემს ბაღში? ათჯერ თუ ოცჯერ დაეკითხა იმ დღეს თავის თავს, მაგრამ თითქო ეშინოდა პასუხისა, საკითხავს საკითხავადვე სტოვებდა და არცერთ ეჭვს, არცერთ მოსაზრებას ბოლოს არ ადევნებდა. მხოლოდ ნელ-ნელა შეეჩვია იმ აზრს, ალბად გარელს ქეთევანს ან ნინოს გაარშიყება სწადიან და იმიტომ მოსულა ბაღში, რომ ენახა ისინი, ეთვალთვალა, ან გამოლაპარაკებოდაო. ორი დღე მოუნდა, ვიდრე ეს აზრი მომწიფდებოდა, მაგრამ როცა სრულიად დაიჯერა იგი, მაშინაც კი საჭიროდ არ დაინახა ან ერთი, ან მეორე გაეფრთხილებინა. დარწმუნებული იყო, რომ ორთავ საკმაოდ მტკიცე ხასიათი ჰქონდათ და არც ღირსება მისცემდა ნებას, ვილაც მეტიჩარასთვის თავი გაეყადრებინათ და ჯეროვანის სიმკაცრით არ დახვედროდნენ. მაინც ჩხრეკა-ძიებაზედ ხელი ვერ აიღო და მხოლოდ ეხლა გაიხსენა, რომ როცა ნინო ბარულში წავიდა ბებიას ავადმყოფობის გამო, გარელიც მაშინ იქ იყო.

— იქნება იქ შეუყვარდა ნინო!—ჰფიქრობდა ის თავისთვის.—ეს შესაძლოა. ამას ვერც თვითონ ნინო დაუშლიდა. ბევრი ამისთანა ქალს შეიყვარებს ხოლმე, რომელსაც ეს ამბავი ფიქრადაც არ მოუვა და არც იოტის ოდენს მიზეზს აძლევს ამისას.

მერე გაიფიქრა,—გარელი რატომ თავის მამულში არ არის და აქ ნათესავთან რად ჩამოსახლებულაო.

— არა, არა, სწორედ რაღაც განზრახვა აქვს!

ჩვეულებისამებრ დღესაც შემოუარა თავის ვენახს და მინდვრებს, მაგრამ მალე უკან დაბრუნდა. როცა ნინოს სასადილო ოთახში შეხვდა, მოეხვია და გადაჰკოცნა და ამდროს ცოლის კოცნა. უგულოდ მოეჩვენა. ძალიან შესწუხდა ლევან, დაჯდა ცოლის გვერდით და რამდენსამე ხანს ხმა აღარ ამოუღია. უნდოდა ყური ეგდო და დარწმუნებულიყო, იმის ეჭვი მართალი იყო, თუ არა. ნინოც ჩუმად, როგორღაც შემკრთალი იჯდა და ამან უფრო გაუცხოვლა დარდი ყმაწვილ კაცს, ნდობა შეურყია.

— დღეს ავად ხომ არა ხარ?—ჰკითხა მან ბოლოს.

— სრულებითაც არა,—მიუგო მან მოკლედ და შეხედა ისე, თითქო გულში ჩახედვა უნდაო. ეს კიდევ ახალი მასალა იყო ეჭვისათვის.

ლევან რწმუნდებოდა, რომ ნინოც ყურს უგდებდა იმის ქცევას, თითქო პირის-სახეზედ გულის-პასუხის ამოკითხვა სწადდა. მალე წამოდგა და წასვლა დააპირა, მანამდე კი ერთი კიდევ შეჰხედა, რომ იმის მშვენიერი, ნარნარი ტანი გრძნობა-მორეული თვალებით განეცადა. დღეს ის კვლავინდელზედ მეტად მოეწონა და ისეთი ვნებათა-სახმილი გაუღვიძა გულში, რომელიც ჯერ სრულიად უცხო იყო მისთვის. ამაოდ ცდილობდა ამ სახმილის ჩაქრობას, მთელი ჭკუა-გონება დაუტყვევა და მოსვენებას აღარ აძლევდა.

საღამომდე განგებ ცდილობდა, ნინოს არ შეხვედროდა: არ უნდოდა ეჩვენებინა, გულში რა ალიც უტრიალებდა; ეშინოდა თავის ეჭვის გამომჟღავნებისა, რადგან ეს ეჭვი ჯერ კიდევ უსაფუძვლო ეგონა და ჩუმჩუმად თავისთვის ლაპარაკში თავადან იშორებდა, თავის თავს დასცინოდა კიდეც. დასცინოდა კი, მაგრამ მაინც ხშირად იმეორებდა:—რატომ, შესაძლოა, რომ იქ შეჰყვარებოდეს!

ვახშმის შემდეგ რომ საწოლს ოთახში შევიდნენ, ლევან ისე მაგრად და გულიანად მოეხვია ცოლს, რომ მან შეჰკივლა და გააფრთხილა, მატკენ რასმეო. ნინოს სიტყვებმა ლევან გამოაფხიზლა, ცოტა არ იყოს, შეკრთა კიდეც, რადგან იგრძნო, რომ აღელვებული იყო და ამ აღელვებისაგან მოსდიოდა ეს გაცხარება. მერე კი იფიქრა, ეს ალერსი, თუნდაც რომ ცოტა ცხარე იყოს, სიყვარულს ამტკიცებს და რად უნდა მრცხვენოდეს ღრმა გრძნობათა გამოცხადებისაო. ჯერ არასდროს თავისი ქცევა და გრძნობა ასე დაწვრილებით არ გაუჩხრეკია, როგორც დღეს, მაგრამ ის კი ვერ გაბედა ამ ჩხრეკის შედეგისათვის პირდაპირ შეეხედა, ვერ გაბედა იმისი თქმა, რომ გულს საზარელი ეჭვი ულრღნიდა. მთელი იმისი სიამაყე

წინააღუდგა ამ გრძნობის გამხელას,—მეტის-მეტი დამცირება იყო მისთვის გარელისთანა სალახანაზედ ეჭვი შეეტანა.

— არა, არ შეიძლება ნინოს ის უყვარდეს, იმისთანა ულირსს კაცს ნინო ვერ შეიყვარებს! მაშ რა ხელი უნდა ჰქონდეს ჩემთან ეჭვს?!—ჰფიქრობდა ის ღამე და ძილი არ ეკარებოდა.

რა აზრიც კი მოუვიდა თავში, ყველა იმას ჩასჩიჩინებდა, ნინო გარელს ვერ შეიყვარებდაო.

— ნინოს ის კაცი უნდა ეზიზღებოდეს, დიაღ ეზიზღებოდეს, რადგან ყველას ეზიზღება,—ბუტბუტებდა თავისთვის.

ამ შენიშვნის შემდეგ სევდა მოეშვა, თითქო იპოვნაო ის დაბრკოლება, რაც ნინოს ნებას არ მისცემდა გარელისადმი მცირედიც არის მიმზიდველობა ეგრძნო და ესრედ ცოტა დამშვიდებულს ძლივს ჩაეძინა.

დილით რომ თვალი გაახილა, წუხანდელი დამამშვიდებელი ფიქრები სადღაც გამქრალიყო და სრულიად სხვას შეეპყრო: მძინარე ნინოს რომ გადაჰხედა, კვალად ეჭვიანობამ გაჰკრა თავისი კლანჭი. ეხლა კი კარგად მიხვდა, რაცა ყოფილიყო ეს გრძნობა და ველარ შესძლო მისი განდევნა: რაც მეტს უკვირდებოდა, მით უფრო საშინელი ცეცხლის ალი ედებოდა მთლად მისს არსებას. ქვეშსაგებიდან დიდ ხანს ალარ ადგა და ხარბად დაუწყო ყურება ნინოს. ლოყები სიცხისავან ცოტა დასწითლებოდა და ჩვეულებრივზედ მეტი სინაზე ეტყობოდა; მშვენიერი ტუჩები ღილის ვარდივით გადაფურჩქვნოდა და საკოცნელად იწვევდა ადამიანს.

ოჰ, როგორ უყვარდა ეს არსება, როგორ ცხარედ მოხვევდა ხელს წერწეტ წელზე და გულზედ ჩაეკონებოდა, როგორ ხარბად დაეწაფებოდა იმის ტკბილ სუნთქვას! ყოველთვის უყვარდა, მაგრამ გუშინდელს აქეთ სხვარიგად შეიყვარა, გუშინდელს აქეთ იმის დანახვაზედ გული უძგერდა, ვნების ალი სწვავდა.

უწინ დილით რომ წამოდგებოდა, ჩვეულებრივ შუბლზე აკოცებდა და მეორე ოთახში ტანისამოსის ჩასაცმელად გადიოდა. დღეს შუბლზე კოცნა ალარ იკმარა. დღეს დაუწყო კოც-

ნა ლოყებზე, თეთრ ყელზე, მშვენიერ ნიკაპზე, მერე ტუჩებზე, სანამ არ გამოაღვიძა. სისხლი აუდუღდა, როცა ჯერ არ გამოფხიზლებულმა ქალმა თავის მორგვალებული მკლავები კისერზე მოხვია და მაგიერი კოცნა დაუბრუნა. დიდ ხანს ეალერსებოდა ლევან, რადგან ძალა აღარა ჰქონდა თავის სულის-ჩამდგმელ არსებას მოშორებოდა: ველარ შესძლო ამ ნეტარების დათმობა; ვნებათ-ღელვის ნეშტარი აქეზებდა ახალის ალერსისთვის და მხოლოდ მაშინ განშორდა, როცა შეეშინდა, თავბრუ არ დამესხას და გონება არ დავკარგოო.

ლევანმა საჩქაროდ ჩაიცვა და ბაღში გავიდა, ეგება დილის ჰაერმა გამაგრილოს და დამამშვიდოსო. ხეობაში ნისლი გაფანტულიყო და მზის სინათლეზედ ყოველივე ოქროს-ფრად ელვარებდა. თვით მთებიც ცის დასავალზედ გარკვევით მოჩანდნენ, არც ერთი ღრუბელი მათ არა ჰფარავ და, ბურუსის ნასახიც კი არ არღვევდა ბუნების მშვენიერ სურათს; ლაჟვარდს, მოკაშკაშებულ ჰაერში ტოროლები გალობდნენ და შორიდან მოისმოდა ყრუ ხმაურობა ვერცხლებრივ ბრწყინვალე ყვირილასი.. ლევან რომ ბაღში შევიდა, სადაც ყოველისფერი მწვანედ ხასხასებდა და ვარდები საამოდ გადაფურჩქნილიყვნენ, გული დაუმშვიდდა და წარმოიდგინა, რომ გუშინდელს აქეთ ნაფიქრი და ნაგრძნობი ყოველივე სიზმარი იყოო.—ტყუილად ვიწუხებდიო თავს,—გაიფიქრა—ტყუილად გავები სხვა-და-სხვა მოსაზრებაში. ნამდვილად ეს ვიცი მხოლოდ, რომ გარელი ჩემს ბაღში ყოფილა და დანარჩენი სულ ჩემის ეჭვიანობის ნაყოფიაო.

მთელი ნახევარ საათი დადიოდა ბაღში, ხარბად სუნთქავდა დილის გამაგრილებელს ჰაერს და ხარბადვე ეწაფებოდა დღის ნათელს, რომელიც თვალსა სტაცებდა და თავის შუქით გულის სიღრმემდე სწვდებოდა.

მართლაც, დღეს ბევრად უფრო დამშვიდებული იყო, გუშინდელსავით ფიქრები აღარ ერეოდნენ და გულზედაც დარდი მოეშვა. ბაღიდან გამოვიდა, რომ ვენახში წასულიყო დასათვალიერებლად და კარებს უკან თავის მოურავს შეხვდა.

მოურავის დანახვაზედ უსიამოვნო ფიქრმა გაუარა გულში, რადგან მას აქეთ, რაც მან გარელის ღამ-ღამე ბაღში სეირნობის ამბავი შეატყობინა, ყოველთვის შიშობდა იმ სეირნობის შესახები კიდევ არა მითხრას-რაო. ეხლა უწინდელსავით ტკბილად აღარ მოექცა მოურავს, თვალი მოარიდა და ისიც კი გაიფიქრა, ნეტავი ამასაც ჩემისთანა აზრები მოუვიდა, თუ არაო.

ისე გახდა, თითქო ლოდი აართვეს გულიდანაო, როცა მოურავი ჩვეულებრივის კილოთი მოუყვა მამულების ამბავს, და ლაპარაკსა და მიხვრა-მოხვრაზედაც შეატყო, რომ მეტი სათქმელი არა ჰქონდა-რა. ლევან კაი გუნებაზე დადგა და საუბარი გაუბა, მერე ვენახში წავიდა, მასუკან სათიბზე, სადაც თივას ამზადებდნენ და შინ მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როცა მზე კარგა მაღლა იყო ასული.

ნინო მეგობრულად წინ მიეგება, ნაზად აკოცა და ტანისამოსზე მტვერი გადუწმინდა. ამ გვარმა მიღებამ სრულიად დაამშვიდა ლევან, დაამშვიდა ისე, რომ ყურადღებით შეუდგა კითხვას ახლად მოსული გაზეთებისას და რამდენიმე ანგარიშიც გადაათვალიერა. სადილს შემდეგ ორ საათამდე ეძინა და მერე ცხენით გაემგზავრა ერთ თავის ნათესავთან ახლო სოფელში რაღაც საერთო მამულის საქმეზედ მოსალაპარაკებლად. მშვენიერი ივლისის საღამო იყო, დედამიწა და ცა მზის განმაცხოველებელ სინათლეზედ ბრწყინავდნენ, მთებიდან გამაგრილებელმა ნიავმა დაჰბერა და უკვდავებასავით მოედო ლევანის აღელვებულს გულს. ის თან-და-თან გამხიარულდა, ნაღველი გულიდან სრულიად გადაეყარა და თავის თავს დასცინოდა კიდეც, უცნაური ოცნება მცოდნია, რომ ასე ყოველისფერი შავადა და ბნელად წარმომიდგაო.

უკან მაშინ დაბრუნდა, როცა კარგა ჩამოღამდა. მოდიოდა ნელა, რადგან დამშვიდებული იყო და უნდოდა ხანგრძლივ დამტკბარიყო მთვარის შუქ-მოფენილის სურათით. ბუნებას ჩასძინებოდა, სიო არ იძროდა და თვით ყვირილა გვალვისაგან დაპატარავებული ოდნავ-ღა ხმაურობდა, თითქო ისიც აპირობს ძილს მისცეს თავიო. გზაზედ ზლაზნვით მოჭრიჭინე ურემს

წამოეწია. შორიდანვე მოესმა ურმული სიმღერა და ამ მწუხარე ხმამ მასში სასიამოვნო მოგონებანი აღძრა. მას მეტად უყვარდა ეს უბრალო, ნაღვლით მოთქმული სიმღერა, ბევრჯელ გაუგონია იგი მუშაობის დროს, თავის მამის მუშებს ტყეში რომ გაჰყვებოდა, ან კიდევ ყვირილაზედ წისქვილში ბებერ მოურავს გიგოს და ეხლაც სიამოვნებით წაიზუზუნებდა ხოლმე ამ ხმებს, როცა ვენახში ან მინდვრებზე მარტო დადიოდა. ნელის ნაბიჯით გაჰყვა უკან ურემს, რომ ხანგრძლივ ეგდო ყური და ხანგრძლივ უგრძნა ამ სიმღერისაგან აღძრული სიამოვნება:

რომ დაღამდება, კვნესითა
გიგონებ ზედი-ზედაო,
ნეტავი შენთან შორს ყოფნა
რა ღმერთმა დამიბედაო!

—

მაღლა ზეციდან ვარსკვლავნი
ბრწყინავენ, დამხარიანო,
მაგ შენ თვალებს რომ ვერ ვხედავ,
აბა, რა მიხარიანო.

—

ზაფხულის ღამე ილევა,
გათენდა მტრედის ფრადაო.
მტერს უნდა მტრულად დავუხვდეთ,
მოყვარეს—მოყვრულადაო.

ვინ იცის, რამდენჯერ გაეგონა ლევანს ეს გლეხის გოდება! ეს ლექსები აგონებდნენ მხიარულს, საამო წარსულს. მეტადრე მოეწონა შემდეგი სიმღერა, რომლისათვისაც ერთ ქორწილში მოეკრა ყური:

მზე ჩავიდა, დამყუდროვდა,
აგერ ჩადგა ქარიშხალი,—
მოდი ჩემთან, საყვარელო,
დამიშრიტე ცეცხლის ალი.

—

აბა, მაღლა აიხედე,
ერთი ბრწყინავს იქ ვარსკვლავი,

თუმც გარშემო ახვევია
ფნათოგბთ გუნდი ცას ურდავრ;

—

მეც ერთს ვხედავ, სხვას არავის,
ქვეყანაზედ არ გყავს ცალი,
რაც ამ გულმა აგირჩია,
დამიბრმავდა სხვისთვის თვალი.

ლევან რომ შინ დაბრუნდა, ყველას ეძინა და თვითონაც მალე დაიძინა. ეხლა იმას თითქმის არაფერი არ აწუხებდა და უწინდელი დარდი გულში სადღაც მიმალულ ნაბერწკალივით ოდნავ-ღა ბეჟუტავდა.

(დასასრული შემდეგს ნომერში)

# ᲒᲝᲒᲘᲐ

მოთხრობა

*)

ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲗᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲝᲒᲘᲐᲡᲐᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲙᲐᲢᲘ ᲛᲘᲒᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲐᲙᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲓᲐ ᲨᲔᲙᲢᲧᲝᲑᲘᲜᲐ ᲒᲝᲒᲘᲐᲡ ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲒᲔ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲮᲕᲐ ᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲡᲕᲘᲓᲔᲗᲝᲗ.

ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲐ ᲛᲝᲡᲣᲢᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲚᲘ ᲗᲐᲕᲐ-ᲖᲐᲠᲘ ᲓᲐᲡᲪᲐ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐᲛ. ᲣᲛᲘᲡᲝᲓᲐᲪ ᲐᲗᲐᲡ-ᲜᲐᲘᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲠᲘᲗ ᲒᲣᲚ-ᲐᲨᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲐᲙᲜᲙᲐᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲠᲐ ᲥᲛᲜᲐ, ᲒᲘᲗᲝᲛᲪ ᲡᲩᲥᲐᲠᲝᲑᲓᲐ, ᲗᲣᲡᲛᲣᲡᲔᲑᲓᲐ, ᲬᲐᲡᲐᲡᲙᲔᲚᲔᲚᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲔᲓᲐᲠᲪ ᲡᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲘᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲓᲐᲠᲪ ᲗᲐᲕᲨᲐᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲝᲠᲘᲘᲒᲔ ᲚᲝᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲚᲝᲡ ᲘᲧᲝ, ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲝᲡᲣᲢᲘ ᲚᲐᲛᲐᲠᲔ ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲝᲓ ᲘᲪᲕᲐᲛᲓᲐ ᲫᲘᲠ-ᲒᲐᲛᲝᲒᲚᲔᲯᲘᲚ ᲥᲚᲐᲛᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲢᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲬᲣᲡᲐᲠᲝ ᲗᲘᲗᲥᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲪᲔᲚ ᲗᲔᲡᲖᲔ ᲣᲬᲘᲜᲓᲝᲓ ᲩᲐᲘᲪᲔᲒᲐ ᲥᲚᲐᲛᲜᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲔᲡᲖᲔ ᲩᲐᲪᲛᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲓᲐᲪ ᲨᲣᲐ ᲢᲔᲠᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ-ᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲚᲔᲯᲘᲚᲘᲡ ᲥᲚᲐᲛᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲣᲩᲜᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲔᲗᲥᲘᲚᲘ ᲥᲣᲡᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲘᲡᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲬᲣ ᲒᲝᲨᲢᲐ-ᲒᲝᲨᲢᲐᲓ ᲛᲘᲭᲙᲠᲝᲓᲐ ᲖᲔᲓ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲡᲛᲐ ᲒᲐᲕᲙᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲒᲘᲐ ᲛᲝ-ᲛᲐᲒᲕᲓᲐᲕᲘ ᲛᲝᲣᲒᲕᲐᲜᲘᲐᲗᲝᲗ. ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲡ, ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲡᲘᲡᲮᲐᲓᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲙᲘᲠᲔᲑᲐᲠ.

---

*) «ᲛᲝᲐᲛᲑᲔ» № II.

იკანიკამ მთელ სოფელში გავრცელა ის სმა, რომ, თუ გოგიას ამ ორ დღეში ყვავილ-ბატონები არ გამოაჩნდა, ექიმმა სთქვა, საორმოცო სნება იქნებაო. ამ ამბავმა ისე დააფრთხო სოფელი, რომ გოგიას ძმები, მისი პატარა შვილი და ასლო მცხოვრები მეზობლებიც შორს გაისიზნენ, მხოლოდ კიკოლა და იმისი ცოლი არსად წასულან.

დარჩა სატოდავი გოგიას დედ-მამა, რომლის ანაბარადაც იყო გოგია. ერთად-ერთი ადამიანი იყო კიკოლა, რომელიც მოდიოდა და იმედს აძლევდა სიბერისა და ჯავრისაგან წელ-მოწყვეტილს მოხუცებულებს. რაც შეეძლო, ნამდვილ მეზობლობას უწევდა კიკოლა, მოსარეშა და გამოცხობა არ შეიძლება «ბატონებიანს» ავადმყოფთანაო, და გამზადებულ საჭმელს უზიდავდა თავისის ასლიდგან ავადმყოფის პატრონთ.

კიკოლას ცოლი ყვავილის მოუსდელი იყო და გოგიასას მისვლა ეშინოდა, მაგრამ შორიდან, რაც შეეძლო, დიდად ესმარებოდა ლაზარე მართალაძის ოჯახს. გათენდებოდა თუ არა, პირველად იმას ჰფიქრობდა, რა უნდა გაეგზავნა ამათთვის. დარეჯანი სშირად ეტყოდა თავის ოჯახში მყოფთ, რომ მეზობელი გაჭირვების დროს უნდა ადამიანს, თორემ ღმერთი უკელა სიამოვნებით მოვაო.

— ნათქვამია, «მეზობელს რომ მუტელი სტკიოდეს, შენც სელი უნდა მოისვა, კითომც შენა გტკივა», თორემ სსვისი მკვდარი რომ ჯირკი გეგონოს, შენი მკვდარიც სსვისთვის ჯირკი იქმნება. საწყალი ლაზარე ადალ-მართალი კაცია, ყველას პატივის მცემელი და რითაც შეგვიძლია უნდა მოვეხმაროთ. ეგ ბიჭი მართალია დედ-მამას კი არას არგოდა, მაგრამ კარგი ბატონის კარად ყოფნაც კარგია: რომ რამე სამქმე შესვდეს, ციმბირიდან დაიხსნის, მისი ბატონი იმისთანა შეძლებული კაცია.

როგორც კი გაიგონა ყვავილის სასელი დარეჯანამ, მაშინვე ხონჩა გაუგზავნა, რომელზედაც ლამაზად აცმული ფერად-ფერად ნაჭრები, წითლად შეღებილი კვერცხები, მანდვრის სსვა-და-სსვა ყვავილები, შაქარი და დარჩეული ნიგოზი ეწყო.

— კაცო,—უთხრა ქმარს დარეჯანამ,—ეს ხონჩა «ბატონებს» მიართვი. ღვთის წინაშე, რაგი კი არა, რომ მოუსდელმა «ბატონებს»

ხონჩა მიართვას, მაგრამ ის საწყალი დედა-კაცი ტკინ-დაბნეულია ასლა და უსონჩოთ «ბატონებიანი» აკადმყოფი რაკა იქმნება? მიართვი, მოუბოდიშე და ეს ნიგოზიც ბაზმად დასწვი. დღეს კერ დაიტირე ის სატირე ქათამი, სვალ დაიტირ, შეგდებაკ და იმის და ის ფაფაკას კიდეე გაკატან—ძალიან იამება ბატონებს ის ფაფა.

— ჭო, დასწუეკლე ქათამი და ძალიან კი იამება «ბატონებს», სატზე გადაცემული ქათამი რომ მიართვა!—მიუგო კიკოლამ და ხონჩას სელი დაკვლო.

— უი, მართლა, ეს რა წამომცდა მე გამოტეკინებულს,—შეიოტცა დარეკანამ,—ღმერთო, ნუ მიწყენ, შენი სასელის ჭირიმე. არა, იმ დალოტეკილ ქათამს მიკართმეკ ბატონებს, მასი მუსლ-კალთის ჭირიმე!—უთხრა ქმარს და სარტყელში ჩარჭობილი კაბის კალთები ჩამოიშალა.

მართლაც, მეორე დღეს ეკელესეერი მოამზადა დარეკანამ, მაგრამ რადგან კიკოლა ანის სამარგელად იყო წასული და დაიგვიანა, დარეკანამ იფიქრა, ეს ია ძალიან მოკმენნე და კიკოლას მოსკალას რომ კუტადო, მერე ფაფა გატიკებული იქმნება და ბატონებს აღარ იამებაო; ამიტომ თუმცა ეშინოდა კი, მაგრამ მაინც გაჭბედა და თითონ წაიღო «ბატონების» ძღვენი. დარეკანა დიდის სიფრთხილითა და ფეს-აკრებით მიადგა ლაზარეს ჭისკარს და ისეთის სიფრთხილით დაკაკუნა ჭისკარზე ქვა, თითქო ეშინიაო, «ბატონებმა» არ გაიგონონ და თამარას სატკლად თითონ არ გამომეგებონ ძღვენის ჩამოსართმდვადაო. მაგრამ რაკი სასლის კარებში თამარამ გამოჭყო თავი, დარეკანას გული დუმშვიდდა, საჩქაროდ შემოდგა შესარზე ქოთანი, ტოტა მოშორებით ფეს-შეკრული ქათამი ჩამოდო და ისე მარდად მოტრიალდა, რომ, თამარამ დერეფნის სამირკველზედ გადმობიკებაც ვერ მოასწრო.

ასე ტანჯვა წვალებით გასტარეს გოგიას დედ-მამამ რამდენიმე დღე და ღამდენ, ან დღეს გამოაჩნდება «ბატონების» ნიშნები, ან სვალაო; მაგრამ დღე დღეს მისდეკდა, მთელი კვირაც გავიდა და ეკვალის ნიშანი კი არა ეტყობოდა-რა ავად-მყოფს. საწყალ თამარას თვალს ძალი არ მიჭკარებია: უკდა შვილს ლოგინის წინ და, რაც კი რამ სელში მოსკდებოდა, ეკელაფერს ასურავდა და ეფუთნიდა,

იქნება ოთელი მოუკიდესო, ძაგრამ სიცხისაგან გათანგული გოგია სასურვაგს არ იეენებდა ტანზე. დილიდან დაწეებული სალამომდინ, და ბეკრჯელ ღამეც, სულ იმის სეეწნაში იეო თამარა, რომ სეპამე რამეო; დარეკანასაგან მოტანილი ფაფაც კი მიუტანა გოგიას, იქნება იამოსო, მაგრამ არ იქნა და არა. სანამდი ღონე ჭქონდა, შეგოთაგდა და ბორგაგდა საწეალი გოგია, კინ იცის რაებს არ ბოდაგდა, უფრო სშირად თავის გაზრდილების ხსენებაში იეო და ერთსელ-ორჯელ იანიკას სასელიც კი ასსენა. მაგრამ ბოლოს სიცხემ და შამშილმა ისე დაასუსტა, რომ უძრაგად მდებარეს თვალების გასელის ღონეც აღარა ჭქონდა.

ახლა კი მორჩენის იმედი გადაწეიტეს გოგიას დედ-მამამ და საბრალო ლაზარემ სოფლის ერთად-ერთს საშუალებას, «მარჩიელს» მიჭმართა, საიდგანაც დაიმედებული დაბრუნდა სასლში.

— მეც ვიცოდი, რომ სატის მიზეზი უნდა ეოფილიეო მაგ ბიჭის ავადმეოფობა,—სთქვა ლაზარემ სახლში შემოსვლისათანავე და ათას ნაირად დაკონკილი ჩოხის კალთები, რომელიც ღვედში ჭქონდა ჩარჭობილი, ჩამოიშალა.

— რა გითხრა ტასიამ, სატის ბრალიაო თუ?—საჩქაროდ ჭკითხა თამარამ და სასე გაუბრწეინდა, რაკი შვილის ავად-მეოფობის მიზეზს მიაგნო.

— რასაკვირველია!..—ამოოსერით მიუგო ლაზარემ: «ბატონები» კი არა, სატი შესაწირს თხოულობს, და მისის მიზეზით არის ავადო. «სამლვთოო» გქონებიათ შეპირებული და უნდა მოიხადოთო. გარდა ამისა წმინდა გიორგის რქა-მოჭედილი ვერძი უნდა მიართვათო.

— ვაი ნეტავი კი მომირჩებოდეს, შენი ჭირიმე, თორემ გულზე ქვას დავიკიდებ და უველაფერს კიშოვნი! მისმა მადლმა, წმინდა გიორგის ოქეს-შიშველა ვაასლო ჩემი გოგია, სამლვთოც მოვისადო და ვერძიც მივართვა!—ავანკალებულის სმით სთქვა საბრალო თამარამ და სიბერისაგან დაბრანჭულ ლოეებზე თავშლის ეურით ცრემლები მოიწმინდა.

— უნდა მოვასერსოთ რამე, აბა რა ვქნათ? ის ბიჭები სომ გადამეკარგენ საწეალები, ეშინიანთ, და საიდან რა ღონეს გავსდეარ ვიცი?—დაღონებულის სმით სთქვა ლაზარემ.

— «მარჩიელის» მისტეში თუ ვის გამოართვი?

— ვისთვის უნდა გამომერთმია: კეკოლა ყანაში წასულიყო, ნაღი ჭყვეს თურმე, და ისევე უფულოდ წაეყვანა. ანა რა მექნა, ღმერთმა აკურთხოს მისი გამზრდელის სული, ისე უფულოდ მენდო. როგორც კი გუთხარი, ასლა არ დამესწრო ფული და სამ ბათმანი სამიდის მოგვართმევ-მეთქი, მაშინვე თავისი ფული მოიტანა და მიარჩია. სომ იცი, თუ ხელის გულზე ფული არ დაიდვა და არ შეუღოცა, ისე ვერ არჩევს.

— ოჰ, ღმერთმა უშველოს, რა ღვთისნიერი ადამიანი ისაა! მეც რამდენჯერ მნდობია მასე ის დალოცვილი,—სთქვა თამარამ.

— ასლა, ქალო, რა ვქნათ! სომ იცი ცხვარი უნდა ვიშოვნოთ სადმე და უნდა შემოვაკლოთ თავზე. მოცდა კი ადარ უნდა ამ საქმეს.

— კეკოლას უნდა მოვესაუბროთ მუსლზე, მეტი რა გზა გვაქვს. ბიჭები რომ შინ მყავდეს, რამეს მოვასერხებდი, მაგრამ, სანამდის ჩემ თავის სასლს იმათ შევატყობინებდე, მანამდი ვინდა: სომ იცი, ზატის კალი დროზე უნდა მოვიასლოთ, თორემ დაიღუპებით შე უბედურო,—მიუგო თამარამ და კიდევ გადმოყარა ტრემლები.

— ეჰ, ბლესი კატის ბაჩენაში ღმერთი არ რეულა!... რომელ კერთს უნდა გავუძღოთ ჩვენ უბედურებმა: სელმწიფეს, ბატონს, მღვდელს, სატს, თუ მტერ-მოყვარეს და ათას ს

რას უნდა გაწყდეს ორი კვალი ადგილით! მაგ უუდურმა თავისი სიცოცხლე ბატონს ჩაალია, მაგრამ თუ რამეს გვარგოდა, არ იცი?

— კიდე და კიდე!—გულ-მოსულად უთხრა თამარამ ქმარს.— მერე რა გინდა ასლა? მაგ ლაპარაკით სიზინას მოგცემენ, თუ როგორაა შენი საქმე? ასლა კი ნუ სჩიგი, წადი და სადაც იქნეს კიკოლა ნახე და შეეხვეწე, ნუ მომიკლავს ამ შვილს, და სანამდი სული მიდგია, გვიმსახურობს. წადი, რადას გაჩერებულხარ, შე უუდურო!

— წავალ, მაგრამ რა?.. ნაღვლიანად სთქვა ლაზარემ და გავიდა.

სალამოს ყმაი იყო მოტანებული, როდესაც კიკოლა და ლაზარე მოვიდნენ და ცხვარიც მოიქვანეს. თამარამ და ლაზარემ მაინცვე შემოაყენეს ცხვარი ავად-მყოფს გოგიას, მოსცვრეს ცხვარს ყურის ბატარა ნაწილი და მაჯაზეგ შეაბეს ნიშნად. წმინდა გიორგისაც რქა-მოტეხილ ვერძს შეეწირდნენ.

მთელი ის ღამე გულ-დამშვიდებით გაატარეს გოგიას დედამამამ და ყოველ წამში ელოდნენ, ან აგერ მოიითხოვს გოგია საჭმელს და ან აგერო, მაგრამ გოგია უფრო უარესად შეიქმნა. მეორე დღე, სწორედ მეცხრე დღე იყო გოგიას ავად გახდომის შემდეგ და ესრედ-წოდებული «კრიზისიც» ამ დღეს უნდა მომხდარიყო, რადგან გოგია თვალტკენის ანთებით იყო ავად. დაღამდა და გოგიაც საკვდილის პირად მიდგა. სამარადო დედ-მამა სტიროდნენ, თმასა და წვერ-ულვაშს იგლეჯდნენ, ჩასმასოდნენ, მაგრამ ავად-მყოფს სრულიად არაფერი ესმოდა, ან თუ ესმოდა—პასუხის გაცემის ღონე აღარა ჰქონდა: თავით ბოლომდე ოფლში გაწყურული გოგია ძლიანად ჰფეთქავდა. კოკოლა ამ დროს იმათთან იყო და ნუგეშს აძლევდა, მაგრამ რანაირის სიტყვებით ენუგეშებია, თითონაც არ იცოდა. ისიც ატყობდა, რომ გოგიას მოსარჩენი პირი აღარა ჰქონდა. კიკოლა მთელი ღამე არ მოშორებია ამ სატოლვაკებს და ყოველი იმათის ტანჯვა-კაების მოწამე მსოლოდ ღმერთი და ეს ერთი ადამიანი იყო.

მეათე დღე ბედნიერად გაუთენდათ გოგიას მშობლებს. ავადმყოფმა მოისვა და ჩაი მოითხოვა. სიხარულისაგან აღტაცებულმა დედამ სასჭალოდ მიადგა ტეტლზე თუნგი და ადგულებაც არ დაუცადა, მოიტანა პირ-ჩამოტეხილი, მეწვრტლისაგან გაყვითლებული ჩაი-

ნიკი, გამოსსნა ათას ნაირად ჭინჭში გამოკრული ჩაი, ჩაჭყარა ჩაიწიგში და ცხელი წყალი დასხა.

ბატარა ხანს უკან გოგიას ლოგინთან იჯდა თამარა და სელში ეკავა ხან ჯამი, რომელზედაც სალვინე ჭიქით ჩაი იდგა და კოგზის ნატვლად ლამაზად გაფსეკილ და გასუფთავებულ ბოლის ტოტის სამტვრეველით ურეკდა შაქარს.

რაკი, ღვთის მადლით, უკვე შეიქმნა გოგია, თითქმის დღეში რამდენჯერმე თსოულობდა საჭმელს და სატოდავი თამარა, რაც კი რამ მოქებნებოდა, სისარულით მიურბენინებდა სოლმე.

ლაზარე მეორე დღესვე წავიდა თამარას სამშობლოში, რომ თავის გასიზნულის კუკებისათვის შეეტეობინებია, გოგიას ავადმყოფობა სტის მიზეზით ყოფილა და ტსკარი შემოკვლეთ თუ ორა, მაშინვე მოისედაო. გასარებული ძმები იმ საღამოსვე დაბრუნდნენ და გოგიას ბატარა ბიჭიც თან მოიყვანეს.

სიკვდილს, როგორც იყო, გადაურჩა გოგია, მაგრამ ასალ ნავად-მყოფარს ისეთი ნოყიერი სასმელ-საჭმელი არა ჭქონდა, როგორიც საჭირო იყო და ამიტომაც, თუმცა ლოგინიდან კი ადგა, მაგრამ ძალიან სუსტად იყო. როგორც გოგია, ისეც იმისი შინაურები, სულ იმის მოლოდინში იყვნენ, რომ ბატონისაგან ამბის შემტეობი მოვა კინმე და თავის ერთგულ გოგიას გამოუგზავნიან რასმეო, მაგრამ თითქმის თვე გავიდა და ბატონისაგან გამოგზავნილი არავინა სჩანდა. ყველას ძალიან უკვირდა ეს ამბავი, მაგრამ, რასაკვირველია, იმას ჭფიქრობდნენ, რომ სასადის მორიდებით ვეღარავინ გამოგზავნესო.

— თქვენ მაინც წადით ერთ-ერთი და შეატეობინეთ ბატონს, რომ სასადით არ ვყოფილვარ ავად,—უთხრა გოგიამ ერთსელ მამასა და ძმებს, როცა ვახშმად იჯდნენ. მარტო ბავშვების ყავრა მელავს, ხან-და-ხან იმათთანა სურვილი მომეკვა ჩემი გაზრდილების ნახვისა, გადრეულიყით გადაკვარდები,რომ შემეძლოს,—მამუსტებულის ხმით თქვა გოგიამ.

— რა შეტეობინება უნდათ: დღეს სწორეს იკანიკას ეუთხარი და ის ეტეოდა შენს ამბავს,—მიუგო ლაზარემ.

— ეჰ, შვილო,—ამოოსვრით სთქვა თამარამ:—სანამდი კარგად სარ, მანამდის უნდისარ ყველას, ოორემ ავად-მყოფი არც ბატონს უნდა და არც სხვას. ვითომ-და რა უწყირდათ, ერთი შენი ამბავი ეკითხათ და ერთი გირვანქა შაქარი გამოეგზავნათ. ხომ იცი-ან ნაავადმყოფარი სარ და ასლა გინდა ხელის შეწყობა. ეს სული არ წამიწყდეს, მე რომ გაწირვებული ვარ, მე არ მომი-თმენს გული, რომ ერთი ჭუჭული მაინც არ გავუგზავნო ავად-მყოფს, თორემ იმათ რა უწყირსთ, დღეს და ზვადმოდის იმათი ოჯა-ხი და თავისს ერდგულ ემას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხ-ლე იმათ ოჯახს შესწირა, ტოტაოდენი რომ გამოუგზავნონ, ვი-თომ რა დიდი დასაკლისი იქნება!..

— ასლა დაიწყე!..—წყენით უთხრა გოგიამ.—როგორ არ გა-მომიგზავნიდნენ, რომ ნასადის არ შინებოდათ. თქვენი ბრალია, რატომ არ შეატყობინეთ ჩემი ამბავი, გულდ-მისანი ხომ არ იყვნენ, რომ გაეგოთ.

— მამა-შენს უთხრობია შვილო ივანიკასათვის და ბოქაულს ხომ ველარ მივუყვანდით! მათი ნებაა, შენ ნურავერი გეწყინება, შვი-ლო, და მე რაგორც ავქმდინ არავერი მითქვამს, ისე არც ავწი ვიტ-ყვი,—გულ-დაწყვეტით მიუგო თამარამ.

— ივანიკა, თქვენ გგონიათ, წალმართი იყოს! ჩემი სისხლი რომ დალიოს—არ ენაღვლება და ჩემს ამბავს ეტყოდა ბატონს? იმას კიდეც გაესარდება, თუ არ მომსდავენ!—სთქვა გოგიამ.

— რას გერჩის, რა დაგიშავებია მისთვის?—თითქმის ყველა ერთხმად შეეკითხა გოგიას,

— ხმას მერჩის, რომ მის ნებაზე არ ვთარეშებ ბატონის სა-სლში. მაგისთანა სელ-ტიკი კაცის სასლში შემოშვება ძალიან ძნე-ლია. ვინ იცის, რა სელით წაიღებს რამეს და ჩემი ბატონის ოჯა-ხის სვაკი რომ მაგ წუნკალის სელს გადაყვეს, ჩემი სირცხვილი და სიკვდილია, რადგან ყველაფერი ჩემს ხელშია. აბა სხვა რა მტრობა აქვს ჩემთან: ყანა არა მაქვს, იმესი ზაარი და ბოსტანი,—სთქვა გოგიამ.

— მართალია, შვილო,—ერთხმად მიუგეს დედ-მამამ გოგიას, რომ მეტის ლაპარაკით არ შეეწუსებინათ ნაავადმყოფარი შვილი, მაგ-რამ გულში რას ფიქრობდნენ, ვინ იცის.

— ძალიან მოსურსებული კაცი კია ის იცინიკა!—დაიწყო გოგიას უმცროსმა ძმამ.—გუშინასწინ, მარიამობას რომ ჯარში გიყავი, კისლამ გადმრია იმისი ცოლის შესადგამ!.. სწორედ ერთი ფუთი გამოვიდოდა, იმისთანა რასტი ედგა მის ცხენს და ისე დაჯინჯილებულ ცხენზე შესაგუებულიყო. შენც არ მომიკვდე, ფესით სიარულს კი ადარ ჭკადრულობს თურმე, ის დოფსოჯი დადაკაცი! სადაც ჯარი, ან თეძია, სულ ჯინჯილებიანის ცხენით მიჭყვეს იკანიკასო. გადაირეკა, ბბა რა კეთილი დაემორთება, კნიაზის ქალი ეგონება თავის თავი და ჩვენ როგორღა გვიკადრებს,—სიცილით დაუმატა მოამბემ.

— რასტიანი ცხენით იყო?!... გაკვირვებით ჰკითხა გოგიამ ძმას.

— რასტიანით და მერე როგორ ყოყოჩობდა, არ იტყვით!.. ხან ამ თავში გამოაჩაჩაგებდა ცხენს და ხან ამ თავში, კისლამ ცხენის ფესებს გასარესინა ხალხი. საწყალი ბასიდას გოგო ხელგაშლილი ტეკვავდა, გარშემო ჯგუფად გეხვეთ და ამ დროს შამოძუნძულა ცხენი: იქ მედიარეს დაატკაკა, აქ მოტეკვავი წაიქცია და კითომც არაფერი... წაბძანდა და თავისი ჯოროსანი ქმარიც თან გაჰყვა.

— ჭკი დედასა!—სთქვა ლაზარემ.—ტყუილად კი არ არის სათქვამი: «ჯინჯილას რომ ფრთები გამოესმის, ლმერთი მაშინ გაუწყრებაო». რა ჩვენი დედა-კაცების საქმეა იქით-აქეთ ძუნძული: ის არა საკობიან, შინ იჯდნენ, ორიოდე წიწილა გამოზარდონ და სასლა მოჭესედონ? მაგრამ ეჭ, წასდა დრო, წასდა, გაფოლორტდა ქვეყანა და ეს არის!

— კარგს შეება და გვარიანს, თუ ქალი ვარ! ბბა ჩემსაკით კი არაკის ჩაუკლავს კერასთან თავი,—გულ-დაწყეტით სთქვა თამარამ.

— აგაშენდება გამომტემლის ოჯახი, მე შენ ახლა ჯინჯილებიანი ცხენი მოგართვა. წადს არ მოგწყვეტდი, დედა-კაცო, ახლა ჯი არა სიეძაწვილეში რომ მაგისთანა სისულელე მოგენდომებიან! —ღიმილით უთხრა ლაზარემ ცოლს.

თამარას უნდოდა რაღაცა ეთქვა მაგრამ შეიდეებმა არ დაატაცლეს, დაიწყეს სიცილ-ხარხარი, რომ დედა-ჩვენმა ამ სიბერის დროს ჯინჯილებიანი ცხენით სიარული მოინდომაო.

— უსათუოდ ქალბატონის რასტი იქნებოდა ის,—სთქვა გოგიამ.—ამას წინადაც,—არ კიცი კი სად მიჭეკვდა თავისი კნეინა იკანიკას,—მოვიდა და ქალბატონს სთხოვა რასტი: «დაგშვენე შენი ნათლის-დედა, მტრის თვალის დასადგომად გამოაჩინე ქვეყანაშიო». ქალბატონი უარს როგორ ეტყოდა ასულ ნათლი-მამას—ათხოვა, მგრამ ორი კვირის შემდეგ ძღვეს მოუტანა.

— აბა თუ მგრეა, რა უშვირს, სულელიც იქნება რასტით კი არა, ასალითაც რომ არ ატარონს თავისი ტოლი იკანიკამ!—სთქვა გოგიას დედამ.

— თუ ღმერთმა ინება და გადაგრჩი, ძე თუ ამას ან ფესი არ ამოგაკვეთინე, კაცი არ ვიქმნები!—სთქვა გოგიამ.—მგისთანა კაცებს ჩემი ბატონის სასლში არ გატარებ. მართალია, ჩემი ქალბატონი როგორღაც ძალიან ეკომაგება, მგრამ ბატონი ამისთანა კაცია, ტოტათი იცის იკანიკას კუდა-მელობის ამბავი, და თუ სულ შეიტყო, მაშინ ფესს აღარ დაადგმეინებს თავისს სასლში. ერთსულ ძალიან გამიწყრა ქალბატონი, რატომ ნაირ-ნაირები არ გადაულაგე და არ მიართვი იკანიკასაო, მგრამ მე სულაც არ მოგრიდებიკარ, პირში გუთასარი, მგისთანა კაცების არაფერი მწამს-მეთქი. ძალიან უალუზე შედგა, ქმართანაც დამაბეზღა, მგრამ ბატონმა კარგად იცოდა ჩემი ამბავი და ერთი საუკეთურიც არ უთქვამს.

— შეიღო, შენზე უფრო ის შეაუკარებს თავს უკელას. ეშმაკი კაცი მოგებულია ამ დროში და მართალი კი უკელასაგან დაჩაგრულია,—ამოოსვრით სთქვა თამარამ და სუფრას დაუწყო ალაგება.

— რას მიზამს! შენი ჭირიმე, ჩინები არ ამსადაა იკანიკამ,—მიუგო გოგიამ და ლოგინისკენ წავიდა.

მეორე დღეს კვირა იყო და, რადგან ლაზარეტა და იმისი შეიღებიც მოსლილები იყვნენ, ამიტომ აიჩემა გოგიამ, ტანი მიშოკეთ და ბატონისას წამიყვანეთო. დედ-მამამ ბევრი ურჩიეს, ნუ წასკვალ, ჯერ კიდევ სუსტად სარო, მგრამ კერა შესმინეს-რა: წავალ, სადამოდის დაკრჩები და სალამოს ისევ მოკალო, ამბობდა გოგია. რა კი კედარ დაშლეკანეს ბატონისას წასვლა და თავის გაზდილების ნასვა, ლაზარემ აითხოვა მეზობლისაგან ტანი და გაისტუმრა გოგია, მგრამ მარტო გაშვება კერ გაბედეს: უმტრესი ძმა გაატანეს

და დაუბარეს სალამოზედის მოეცალნა გოგიასათვის, რომ ღამე მარტო არ წამოსულიყო ასლად ნაჯვალმეოფარი კაცი.

თუმცა იკანიკა მ—ძე გოგიასაგან კარგა მოშორებით სცხოვრობდა, მაგრამ ქაისოსროსას მიმაკალნი იკანიკას ჭისკარს კერ ასცდებოდნენ, რადგან სულ სოფლის ბოლოს სასოფლო გზას ბირად ესასლა. დაინახა თუ არა ცხენით მიმავალი გოგია იკანიკამ, კერარეგრად ეჭაშნიკა, მაგრამ თავი შეიკავა და მსიარულის სასით მოადგა ჭისკარს.

— გამარჯობა გოგია! მადლობა ღმერთს რომ კარგად ხარ!

გოგიამ იგრძნო, რომ ეს სიტყვები წრფელის გულით არ იყო იკანიკასაგან ნათქვამი, მაგრამ მაინც მაგიერი სალამი მისცა. იკანიკამ გამოჭკითხა გოგიას და, როცა შეიტყო, რომ ის ბატონისას მიდის და სალამოს ისევ დაბრუნდებაო, ერთი სასკანიარად ჩასაკელა და სასლისკენ გაბრუნდა.

ბავშვების სიასრულს სასალკარი ალარა ჭქონდა, როდესაც გოგა დაინახეს. ცხენიდან გადმოსტომა ალარ დაცალეს, ისე შემოესვენ და სამინელი წიკილ-კიკილი ასტესეს. ზოგი კისერზედ ასტეზოდა, ზოგი ჩოხის კალთაში ჩაჭეერენოდა და ზოგი რას უშვრებოდა. ელისაბედს ძალიან გაუკვირდა, როდესაც გაიგო გოგიას «ბატონები» არა სჭირებიაო, საკვედური უთხრა, თუ სასადაიით არ იყვი აკად, რატომ არ შეგვატყობინეო.

გოგიას მისვლის შემდეგ, ერთი საათი არ გასულა, ქაისოსროც მოვიდა. ბავშვებმა, რაკი წირვიდან დაბრუნებული მამა დაინახეს, ასლა სელ-მეორედ ასტესეს ერთი ამბავი, გაექანენ მამისაკენ და რომელი რომელს ასწრებდა, ალარ იცოდა, ისეთის სასრულით შესძასოდნენ მამას, გოგია მოვიდაო.

ქაისოსროს ძალიან გაესარდა გოგიას ნახვა, მამა-შვილურად გადაეხვია და გადაჭკოცნა ძმასაკით თან-შეზრდილი საბაზი, და როდესაც გაიგო, სასადით არა ყოფილა კვლაო, თავი უმადურად გაიქნია და თითქმის ნასკვარ საათის განმავლობაში ამა არ ამოუღია, ისე იყო ჩაფიქრებული. საღილობის დროს ძალიან უარობდა გოგია, თქვენს სუფრაზე არ დაკკდებიო, მაგრამ მაინც გკერდით მოისვა ქაისოსრომ და განსაკუთრებულის უურადღებით აწკდიდა თავი-

სის კერძიდან საუკეთესო ნაწრებს. ემაწვილებსაც ცალი ხელი გოგიასაგან ჰქონდათ, ყველა ტდილობდა იმის სიამოვნებას, ზედ-ზედ უსხამდნენ ღვინოს და დაუწყნარებლად შესტიტინებდნენ თავიანთ საყვარელ გოგიას. ელისაბედმა როგორღაც ცხვირი ჩამოუშო, როდესაც ქაისოსრომ გოგია სუფრაზედ მიიწვია, რადგან ელისაბედი ამისთანეებს არ იყო დაჩვეული, მაგრამ ქმარის მორიდებით თქმით არა გაუბედნია-რა.

— ეჰ, ჩემო გოგია, რამდენი სანია შენი გამომცხვარი ლავაში აღარ გეიწყამია! ძალიან მოგვაკლდი, ძალიან სწორედ: უშენოდ აღარაფერს აქვს შნო,—უთხრა ქაისოსრომ.

ელისაბედის სახე ამ სიტყვებმა ერთი-ორად მოღურბლა და ეს ცვლილება, როგორც ქაისოსრომ, ისე გოგიამაც კარგად შენიშნეს.—«ნეტა რამ შეუცვალა ქალბატონს ჩემზე გული, რომ წინანდელად აღარ მექცევა და ეტყობა, ესეც არ ესიამოვნა, ბატონმა რომ ტკბილად მომიხსენია. სწორედ ეს ეწყინა, იმათ სუფრას რომ მოგუჯექი, ანა რა მიზეზი უნდა იყოს»?!—გაიფიქრა გოგიამ და ეს გაფიქრება, ქაისოსროს თვალებს არ გამოეპარა, შეამჩნია გოგიას მოწყენა და ალერსიანად უთხრა:

— რას მოგიწყენია, ჩემო გოგია! დალიე ეგ ღვინო, როგორ გასათოსავარ ქალიკით მორცხვობ, ბიჭო, დასცალე, რაღას უყურებ.

— ბევრი გიასელი, შენი ჯირიმე,—ზრდილობიანად უპასუხა გოგიამ.—მეტი რომ დავლიო, დავითვრები და ცხენი კისერს მომამტვრევინებს სადმე.

— როგორ, წასვლას აპირობ თუ?

— უნდა გიასლო, ანა რა ვქნა? ჯერ ძალიან სუსტად გასლავარ და ტყვიალად რომ დავრჩე, რას გავაკეთებ. ახლაც ამ ბოგშების სურვილმა გადმომაგდო, თორემ ისე სუსტად გასლავარ, ბატონო, კერასთან რომ ჩამოვალ, ლოგინთან მიბრუნება მიჭირს, ძალიან ავად ვიყავი, ბატონო ნათლია, ძალიან.

— ბიჭოს! ძლივს არ გავიგონეთ შენგან ნათლიობის სასელი! მამა-ჩემი აღ წამიწყდეს, აღარც კი მახსოვდა ნათლი-მამა იყავი ჩემი თუ არა,—სიცილით სთქვა ქაისოსრომ.

— მამა! გოგია ნათლი-მამაა ჩვენი?—ჰკითხა კოწიამ.

— ჰო, შვილო, ნათლი-მამა არის,—ქაიხოსროს მაგიერად უპასუხა ელისაბედმა შვილს.

— მართლა, ჩემო დედაა!... გაუჭიანურა სიტყვა პატარამ.—მე მეგონა მარტო ივანიკა იყო ჩვენი ნათლი-მამა.

ივანიკას სსენებაზე გოგიამ უთხრა თავის ბატონებს, რომ ივანიკას პირით შამოთვალა მამა-ჩემს თქვენთვის ჩემი ამბავიო, მაგრამ არ ვიცი, ვითხრათ, თუ არა.

— ივანიკა თითქმის ორი კვირაა არა ყოფილა აქ. მგონი საჩალვაღრო ცხენი უყიდია და სხვის ღვინოებს ეზიდება,—მიუგო ელისაბედმა გოგიას.

— ჩალვარდობა კი არა, ჯარსა და თემს არ აკლდება თურმე. ასლა სასლში იყო, მე რომ მოვდიოდი, ჭისკართან იდგა. რა უჭირს, ვისაც ტანი მრთელი აქვს, ყველამ უნდა იმსაარულოს,—გულ-დაწყვეტით სთქვა გოგიამ.

ტოლ-ქმარმა ერთმანეთს გადასედეს.

სალამოდის დარეა გოგია და სალამოს კი ყველა ბავშვები გადაჰკოტნა, ბატონებს გამოემშვიდობა და შინ წავიდა. ერთი კვირის შემდეგ მოვალ, თუ, ღვთის მადლით, კარგად ვიქნი,—დაუბარა ყველას.

— ჩემო გოგია,—უთხრა წასვლის დროს ქაიხოსროამ,—რაც დაგჭირდეს, გამომიგზავნე შენი ძმა და გამოგიგზავნი. შენ ასლა კარგი საჭმელ-სასმელი გინდა, ნაავადმყოფური სხარ და რაც მადე მოეობინდება, ჩვენთვის ისა სჯობს, სომ იცი უშენოდ არ ვარგიავართ!

გოგიამ მადლობა გადაუხადა და წავიდა.

## VI

ბიანკა ერთი კვირის შემდეგ მივიდა ქაიხოსროასას და ერთი სელასოტი საკსე მიუტანა მშვენიერის ყურძნითა და ატამით.

— ძალიან დანაშაული ვარ თქვენთან, ჩემო ნათლია,—მოკითხვის შემდეგ დაიწყო ივანიკამ.—რას იფიქრებდით ჩემზე, იმდენს სანს რომ რასტი ვერ მოგართვით, მაგრამ ძალიან ბევრი საქმე შემსვდა, სომ მოგესსენებათ საწყალი კაცის საქმე. შეველოს ღმერთ-

მა გოგიას, იმას გადამარჩინა სიკვდილს, რომ წამოიღო ის რასტი, თორემ აქამდისაც კერ მოგართმევდი და სამუდამოდ პირ-შეკვნილი დავრჩებოდი თქვენთან.

— როგორ, გოგიას გამოატანე რასტი? მერე იმას რომ არ მოუტანია!—შეშფოთებით ჭეითა ელისაბედმა.

— დიღ, ნათლია, იმას გამოვატანე. სომ იყო აქ წასულ კვირას? გამოვატანე კი არა, ღმერთიკით შეკვეკეწე და, რას ბრძანებ, როგორ არ მოუტანია?... გაიოცა ივანიკამ.

— არა, ჩემი შეიღები არ მომიკვდეს,—დაიფიცა ელისაბედმა და გოგოს დაუძახა.

— გოგო, ციცია, რასტი სომ არ მოუტია გოგიას შენთვის? ივანეს გამოუტანებია და შენ სომ არ შეგინასავს.

— არა, ბატონო, გოგიას ჩემთვის არაფერი არ მოუტია.—რა დრეს იყო ეს? იქნება აქედან დაბრუნებული რომ შინ მიდიოდა, მაშინ მიეცი?—ჭეითა ელისაბედმა ივანიკას.

— არა, ნათლია, კვირა დიღს, ჩემ ჯისკართან ვამოიარა და შეკვეკეწე: რადგან ბატონისას მიდიხარ, ეს ვალი დამდეკი, რომ ქალბატონის რასტი მაქვს და წაიღე-მეთქი. კარგიო, გამომართვა და, ნეტავი კიცოდე, დავარგა სადმე, თუ როგორ არის ეს საქმე!—სთქვა ივანიკამ და აშფოთებით რიღასაც ბუტბუტი დაიწყო.

— ნეკსი სომ არ იყო, იმოდენა რასტი რანაირად უნდა დაჭკარგოდა, არ კიცი! მერე ამაც თან ახლდა და რანაირად მოსდა! არა, სწორედ დაჭკარგა, დამლუპა, ამომაგდო,—ლაპარაკობდა ივანიკა.

ელისაბედი საშინლად აშფოთა ამ ამბავმა. მოსკალისათანაკე ქმარს უამბო ყველაფერი.

— თუ გამოატანა, მოიტანს, კი არ შესჯამს,—მიუგო ქაიხოსრომ

— როდის მოიტანს, ადამიანო! კვირას რომ აქ ბრძანდებოდა, მაშინ წამოუღია. თითონაც ბრძანა, ივანიკა ვანასეო, მაგრამ რა მაფიქრებინებდა, თუ ჩემი რასტი იმას ჭერნდა წამოღებული, შენ, შე დალოტკილო, ოგია ანგელოზი გეგონია, მაგრამ რასტი თუ დამიკარგა, იტოდე ქვესკნელში ჩავმარსავ,—მიუგო ელისაბედმა.

— მე ესლაკე უნდა წავიდე, სიკლია: გავიგებ, რა მიყო იმ კაცმა,—მწუსარეს სმაო სთქვა ივანიკამ.

— რა დროს წასვლა, კატო, სადილი სჯამე და მერეც მოასწრებ წასვლას. გოგია რასტს რომ არ დაჭკარგავდა—ეს ნამდვილია; თუ იმას გამოატანე—მოგვიტანს, ნუ სწუსართ,—დაიმედებულად დადინჯად უთხრა ქალისოსრომ ივანიკას და ტოლსაც გადაჭყედა ამ სიტყვის თქმის დროს.

— რა მესადილება, ნათლია,—მიუგო ივანიკამ:—სადილი კი არა, დანა რომ დამჭრას კატმა, წვეთი სისხლი არ გამომდინარეს, ისე კარ,—სთქვა ესა და წასასვლელად აუბარგა.

ბეკრს ესვეწნენ, მოიცადეო, მაგრამ არა გაუგიდათ-რა. ყაბალასის დასურვაც კი გეღარ მოიგონა ივანიკამ, იქვე დასტოკა სკამ-ლოგინზედ, და თავ-შიშველა დიდად აღშფოთებული და გულ-გაბოროტებული ჩაგიდა კიბეზე. სასე ათის ნიორად დაელმიჭა, მკვდრის ფერი დაედო და ასე გადაფითრებული სულების შალითა და ბუტბუტით გაუდგა გზას.

## VII

ჯასშმობა იყო, როდესაც ლაზარე მართალაძისას სოფლის «სუდია» და «კეთილ სინიდისიანი» მოწმეები მიეიდნენ. ლაზარეს ძალიან გაუკვირდა ამ დროს იმათი მოსვლა, მაგრამ გაიფიქრა, უთუოდ სასემწიფო გადასასადია ჩემზე დარჩენილი და იმიტომ მოვიდნენო. სწუსდა, რომ ამ სასად უარით უნდა გაესტუმრებინა ეს პატივ-სანემი კაცები.

— ლაზარე, გოგია შინ არის?—ჰკითხა «სუდიამ».

— შინ გასლავს, შენი ჭირიმე, ვერ ვერ ჭბედავს ბატონისას წასვლას: სომ მოგესსენებათ ასალი საავადმყოფოარია,—მიუგო ლაზარემ:—მობრძანდით, სასლში შემობრძანდით,—შეეპატიჟა ლაზარემ, იმ იმედით, რომ ვასშმად სადილის ნარჩენი სარშო და ცხელი მწადი ეგულებოდა. «ღვინო კი არა მაქვს, მაგრამ ჩვენები არიან და არ დამმრცხავენ»,—გაიფიქრა ლაზარემ და შინ შეუძღვა სტუმრებს.

გოგია ტეტსლის პირას იჯდა და თუმცა ძალიან გაუკვირდა ამ დროს იმათი მოსვლა, მაგრამ ერთის მსრით გაუსარდა კიდეც, რადგან კარგა სანი იყო, რაც ისინი არ ენახა.

— კაცმარჯობა გოგია! ბიჭო, როგორ დაგვიდო მოწიფული კაცი ჯვან-მეოთხეობამ, არა გრცხვენია?—უთხრა «სუდიამ»

— მამუკა მიცოცხლოს ღმერთმა! რას ვიზამ, ძმაო, ბარემ მეც კი მინდა, რომ მალე გამოკრჩე, მაგრამ რომ არ იქმნა? ეს ოსერა რაღაცაა ნამეტნავად მომძაღლა. სამღვთოდ მომსადეს, სუდარშიაც წამიყვანეს და რა არ მცოდვიღეს, ვინ იცის, მაგრამ ჯერ კი ასე კარ-და, რა ვიცი!—ნაღვლიანად მიუგო გოგიამ.

— ასლა არა გეკითხავ, რისთვის მოვედით ამ შუალმასას?—წამოიწყო მამუკამ.

— რაღა კითხვა უნდა: ვიცი რისთვისაც მოხვიდოდით, მაგრამ ცოტა სანი კიდევ უნდა მადროვოთ, ნაზარალეკი კაცი კარ, სომ იცით. ეს შვილები ნუ დამესოცება, ცალი სარი გამოვსესენი ულელში, გვეყიდე და ისე მოვისადე სატის ვალი, თორემ გასა მე კი არ ვიცი, სელმწიფეს თავისი უნდა?—მიუგო ლაზარემ.

— არა, ლაზარე, ჩვენ მაგისთვის არ მოვსულვართ,—ერთსმად უპასუხეს მოსულებმა.

— აბა რისთვის, მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე,—ჰკითხა ლაზარემ და სასე გაუბრწყინდა, რაკი გაიგო, ვალის სათხოვრად არ მოსულანო.

— კაცო, ივანიკა მოკარდა ჩვენთან გულ-გასეთქილი: რაღაც რასტი გაუტანებია გოგიასთვის და მაგას ბატონისთვის არ მიუტანია. ასლა ისკეწება, ნუ ჩამაგდებს სიბრცხვილში, რასტი გამოიგზავნოსო. ჩვენ კიდეც გუთხრით, რა ჩვენი საქმეა, შენ თითონ მადი და გამოართვი-მეთქი, მაგრამ საშველი აღარ დაგვაყენა, მაინცა და მაინც თქვენ გამეგზავნეთო ეს ამიტომ მოვედით,—სთქვა მამუკამ.

— რა რასტი?—წამოიძახა გოგიამ და სასეზედ ალმური აენთო.

— შენი ქალბატონის რასტი ჰქონია და ის გაუტანებია. ღვთის წინაშე, ჩვენ ივანიკასი არაფერი გეწამს, რადგან ის სხვანაირი კაცია, მაგრამ გული აგვიდეს ამისმა სიტყვიერებამ: სულ თმასა და წვერს იგლეჯს. სტიბრის და მოთქვამს ნათლია და მიბრძანა დამეკარგებაო. ტოლშვილი დასთვიცა, ოღონდ ეს რასტი დამიბრუნოს გოგიამ და ერთი ულელი სარისა და ერთი ცხენის მეტი არაფერი

გამახსნია, ესენი მან მიირთვას, ღმერთმა მოასმაროს, ოდონდ ქვეყანაში ნუ გამოშეგეტსო,—მიუგეს მოტიქულებმა.

— ოი, დალალვრონ ჩემმა წმიდა გიორგიმ იმისი სასსენებელი!—საშინელის აღელვებით წამოიძახა გოგიამ.—ღმერთმა თქვენგან დაუტირალი მომკლას, თუ იმას ჩემთვის რასტი გაუტანებინოს. მერე მაგ წუწკს როგორ არა რცხვენია ამისთანა სიცრუე; თუ გაუტანია, გერ მივიტანდი? თუ მაგასავით ქურდი კარ? გაუტანეია კი არა, არც კი უსესენია ჩემთან რასტი, მაგ მაწანწალას მაგას. როგორ ამბობს გოგიას გაკატანე რასტიო. ბატრონი კაცი რომ იყოს, ჩასაკერავი ეგ აკაზაკი, ჩასაკერავი!

— რას ამბობ, კაცო, ახა მოგვატყუე? კითომ რა უნდა ამისთანა სიცრუის მოგონებით!—გაიკვირეს მოტიქულებმა.

— მისი ამოგდება და, მისი დაკესებ! რა კაცი, რა უნდა! ალბად უნდა, რომ რასტი შეარჩინოს და მე ქურდად და წუწკად გამომიყვანოს, მაგრამ ჩემი წმიდა გიორგი დიდი კაცია, რას მაპირებს, რას, ეგ თითონ ქურდი და წუწკი! ძლიეს ასლად ლოგინიდან აკანკალებული კაცი ბატონისას წაკედი, ბაკშებას სიყვარულმა აღარ დამაყენა, და თუ გაუტანებია რამე იკანიკას, ქურდი კიყავი, რომ არ მივიტანდი? კაი დედაო, რომ სალამი მიეკეცი იმ უსირცხვილოს და ასლა რალა დროს!—სიბრაზით ამბობდა გოგია.

გოგიას დედამამა ძალიან გაკვირვა ამ ამბავმა. უმცროსი ძმა ჭეოტულობდა, რომ იკასიკას ჩვენთვის არაფერი მოუტანია.

— რა კაცი, თუ ამდენს ამბავს კაცი ტყუვად დაუწყებს, ესეც აღარ კიცი...—გაკვირვებით სთქვა მამუკამ.—მე, ძმაო, გითხარი იმისი არ იყოს, გული ამიდუღა მისმა ტირილმა და თუ ეს იმან მოასწრა, ღმერთმა მშვიდობა მისცეს... ჩვენ ამ ქვეყნად აღარ გვედგომელება...

—ახა!..—დაემოწმა ამხანაგი მაძუკას.—მე და ჩემმა ღმერთმა აღარ კიცი, რა კოქვა.

— დაგბერდი, ძმაო, ბატონის ოჯახში და ყველა დაიფიცებს, რომ ერთი თვრის სალიერალი არა დამიკლია-რა იმათთვის; ასლა რა ღმერთი გამიწყრებოდა, ჩემი ქალბატონის რასტს გამატანდა და არ მივიტანდი. ასე რომ მეეშმაკებია, უფრო სულ-მომბარი

ვიქნებოდი და სოფელ-ქვეყანას არ შევაწუხებდი ჩემ ავად-მყოფობის დროს.

— ღმერთმა დაგიფაროს, შვილო,—უთხრა თამარამ.—ნაუშმაკარი და ნაკარი რად გინდა რამე. ღარიბი იყავი, და ღმერთთან სიმართლე მიგიძღოდეს, ისა სჯობია.

— სიმდიდრე და სიღარიბე ღვთის ნებაა. რა ვქნათ, ყველაფერს ვერ გავწვდით. მე ადარაფერი შემიძლია, გოგია ბატონთან არის და ეს ორი ბიჭი ველარას გასწვდა. ნეტავი ქურდათ არ გამოვეყენეთ იმ კაცს, თორემ სიღარიბეს კი ნაღვლობს,—სთქვა ღარბამ.

— ოი, იმდენი აშენდა იმის ოჯახი, რამდენი მე ქურდობის რამე კეტოდე! თითონ რომ არის ეშმაკი და უსიტყვი, სხვაც ისე უნდა, რომ იყოს, მაგრამ ვერ მიგართვი. სვალვე წავალ ბატონთან და კრიანოსანიკით ჩავუთვლი მაგის კაი კაცობას, თუ კაცი კარ!—სთქვა გოგიამ.

გაკვირვებული მამუკა და მისი ამხანაგი ბატარა ხანს უკან წავიდნენ. ლაზარე ისე გაოცა ამ ამბავმა, რომ ალარც კი მოჭგონებია, კასშიად დაეპატიჟა ისინი.

მეორე დღეს ძალიან ადრე წავიდა გოგია ბატონისას, მაგრამ იმის განძრახვას თვრთა შეაკვეცა ელისაბედის განრისხებულმა სასემ. ქაიხოსრო შეუძლობისა გამო სამსახურში არ წასულიყო ამ დღეს, მთელი დღე შინ იყო, და ცოლს ამშვიდებდა, მაგრამ ვერა გაუწყო-რა.

ელისაბედი უფრო გაბრაზა გოგიას გაბედულმა ლაპარაკმა, რომლითაც იგი იკანიკას უსინიდისობას ამტკიცებდა.

— უსინიდისო და ქურდი ის კი არაა, შენა ხარ. ამდენი ხანია შენ შესწავლე ჩემი ოჯახი და იკანიკა იმიტომ გძულს, რომ შენი კაი კაცობა გამოაჩინა. ყოჩაღ ერთგულო ყმაო, ასე უნდა ბატონის ერთგულება და სამსახური!—გაცხარებით ეუბნებოდა ელისაბედი გოგიას.

— კარგია, ბატონო,—უთხრა ცოლს ქაიხოსრომ.—ხომ გესმის ჭეშიტულობს ეს ბიჭი, არ გამოუტანებია და რატომ არა გეკერა? იქნება იკანიკა თითონ არ განებებს, თორემ ამას რად უნდა შენი რახტი?

— გულზე დაგზიდებს, შენმა მზემ, არა?—დაცინვით მიუგო ელისაბედმა ქმარს.—შენ მიქნია ეს საქმე, შენ აგლეგბინე მგ არამზადას ჩემი ოჯახი, თორემ მე ამისთანა საქმეს ვერ გამიბედავდა! თავზე დაგვასვი მგ წინწლიანი და დღეს, რასტი კი არა, საცხოვრებელიც რომ წაგვართვას, ასია ჩვენზედ! გოგია არის ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი ცხოვრებაო, რომ ბრძანებდი—ესეც შენი გოგია! შენ ეველაფერის ღირსი ხარ, მაგრამ მე რას მემართლება, რომ დედა-ჩემისაგან დაცოცებულ რასტს მართმევს ეგ ქოფაკი? ქალი არ ვიქნები, თუ მე მაგას ციმბირს გზა არ ვუჩვენე.

— თუ მე შენი ოჯახისათვის რაძე დამეკლოს, ასე თავი დამაქციოს ღმერთმა!—სთქვა გოგიამ და ქუდი იატაკზე დაარტყა, და თუ არა—ვინც მე ტყუილს მიგონებდეს, იმისი ოჯახი დაქციოს ჩემმა წმიდა გიორგიმ. ჩემი სიყმაწვილის ჯანი ამ ოჯახს შეეკალიე, ღმერთმა სომ იცის, სიმწრის ოფლი მიღვრია და ისე მიშრომია და სამგალერად ციმბირში გაგზავნას მპირდებით, ეს არის თქვენი სამართალი?—სთქვა გოგიამ და კრიალით გადმოსცვივდა ცრემლი.

ქაისოსრო სიშინლად შეაწუხა ამ ამბავმა. პატარა ბავშვები მისცვივდნენ გოგიას, მოესვივნენ და თითონაც სიშინელი ტირილი მოართეს. განსაკუთრებით კოწია ვერარ დაუჩუმეს, სიშინლად გულამომჯდარი სლოკინებდა და ეკვროდა სასე-გამოთრებულს გოგიას.

— ნუ სტირი, შენი ჭირიმე, ნუ,—ესვეწებოდა გოგია და უფოცნიდა პატარა სელებს კოწიას.

— გოგია, შენ მოკვდები და მე რაღა მეშველება, ჩემო გოგია! ჩემო გოგია, ნუ იტირებ და მე მოგცემ ფულს, ოამეს გამოვართმევ და მოგცემ,—ტირილით ეუბნებოდა პატარა ბავშვი და არ იცოდა კი, რა ამბავი იყო.

— არ მოკვდები, შენი ჭირიმე, რა მომკლავს,—უთხრა გოგიამ და უფრო ამოუჯდა გული, რადგანაც თავის გაზრდილი ბავშვის ასეთი ყოფა ნახა.

— არა, კითომ რა მოსდა, ჭკვიანა. სომ არ დაქცეულა. ამ ერთ რასტს გინდა ქმარ-შვილი გადაეყოლო, თუ რაგორაა შენი საქმე! ბოვშები მაინც აღარ გეცოდება, რომ გული აგვაგებთ ტირილით?—გაკვირებით შესძახა ქაისოსრომ ელისაბედს.

— ნუ ბეშინია, არ ამოწყდებით, კარგი ბვარისა სართ! მე ვიკითხო, რომ მე გადამიეოლეთ თან, თორემ როგორიც მამა სარ, შეიდებიც იმისთანები ბუკვს. ბოგიას ეკლებით თავზე, თორემ მე რომ მაგ ბოგიამ ტეტსლი მომიგიდა ეს—არაფერია!—მიუგო ელისაბედმა და საშინელის წყრომით უბრძანა შვილებს, ბოგიას მოშორებოდნენ.

— ნუ წუწუნებთ, თორემ, ტსონება მიეცა მამა-ჩემს, მე თქვენ გაგწკეპლოთ! თქვა ეშმაკებო, თქვენა, აქ მოდით, ასლაგე წამოეთრიეთ, თორემ მანც კი კარ გულზე! გაგონილა ქმარი და შვილი ასე მტრად გაუსდეს ქალს?!—ეანჩსლებით სოქვა ელისაბედმა, მაგრამ კოწია კარგა სანს არ მოშორდა ბოგიას და არც გული დამშვიდებია, ისეკ სდოკინებდა.

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა ამბავია ესა,—სოქვა ქაისოსრომ, როდესაც გაკაბასებული ელისაბედი მეორე ოთახში გავიდა და თანაც დაუტსრომლად ლანძღავდა ბოგიას.—ასე სად გაჭქრა ეს რასტი, არ ვიცი? ის ამბობს, ბოგიას გამოკატანეო და შენ ამბობ, არ გამოუტანებიაო. კამტუუნებ ჩემ ტოლს, მაგრამ რომ დაფიქრდეს კაცი, ბასამტუუნარიც არ არის: დედის ნახუქარია და, სომ იცი, მეირფასად უღირს. კინ იცის, კაცნი ვართ: იქნება რამე გაწყენია ივანემ და სამაგიეროს უსდი, მაგრამ ამით ჩვენ დაგეკარგაკ. ღმერთმა იცის, ძმასაკით მიუკარსარ და ორი რასტის თასიც რომ მთასოო, არ დაგიკაკებ, მაგრამ, სომ ჭსედავ, რანაირად სწუსს ელისაბედი და, თუ შენ გაქვს, მოიტანე და დაკამშვიდოთ ეს ადამიანი,—უთარა ქაისოსრომ ბოგიას.

— მიბრძანე, ბატონო, რომელ სატზედ გინდა შემოგფიცო, რომ მე ამ საქმეში მართალი კარ. ღმერთმა სომ იცის, შენი ოჯახის ღალატი და დასაკლისი გულში არ გამიტარებია, კეფიცავ შენს მიროსა ნათლია, თუ დამიჯერებ, და თუ არა—შენი ნებაა: ჩემის დაკარგვით არც არაფერი მოგაკლდებათ და არც შეგეძინებათ. მაგრამ ამას არ მოკელოდი თქვენგან, თუ მე ივანიაში გამტკლიდით და ჩემს ამაგს უქმად ჩამიტარებდით. თქვენგან მოკელოდი ბატრონობას, ღმერთს სულ იმაა ვეხვეწებოდი, ჩემი გაზდილების სელით მელირსოს მიწის დაყრა-მეთქი და თქვენ კი ქურდობას მაბრალებთ.

— ბიჭო, შე უბედურო, რა ბრიყვი სარ!—სიბრალულით უთხრა ქაისოსტრომ:—მე კი არ გაბრალებ, სსკა გაბრალებს და მე რომ გკითხო, რა საწყენია! სომ ჭსედაკტოლი ამას მეუბნება, გოგიას მსარე გიჭირავსო. მე შენ ქურდობას როგორ დაგაბრალებ, მაგრამ ის კაცი ასე ამბობს და როგორ ეჭქნათ?!..

— ტყუილს ამბობს, ბატონო, ტყუილს!

— შენმა სიტყვასლემ ტყუილს!—შემოსძახა მეორე ოთახიდგან მოძაველმა ელისაბედმა:—ტყუილს რისთვის ამბობს, შე არა წმინდავ: თუ თითონ უნდოდა წართმევა, ამის მეტად არ წაუღია ჩემი რასტი, თუ როგორ ამბობ, ისლა მოიფიქრა, არა? იმდენი ღმერთი უშველის შენს თავს, რაც შენ მართალი იყო, შე ქოფაკო, შენა! მე შენ გეუბნები, ბეკრს ნუ ყბედობ, რასტი მოიტანე, თორემ შაი დღე დაგაბდებს!

— ამაზე მეტი რაღა დამესრთება: განა სირცხვილს სიკვდილი ჰრა სჯობია! დაებერდი კაცი და ქურდი სარო—არავის ეთქვამს ჩემთვის. ესლა რა დღეს შეეკესწარი ამას!..—ქვითინით სთქვა გოგიამ და რეტ-დასსმული ჩავიდა კიბეზედ.

ქაისოსტრომ თუმცა კარგად იცოდა გოგიას ამბავი, მაგრამ იგანიკას სასოწარკვეთილებამ იმასაც კბილი დაუბადა გოგიას დანაშაულობისა. დაღონებული და წელ-მოწყვეტილი მოვიდა იგანიკა და ერთი უდელი სარი და ერთი ცხენი მოუყვანა ქაისოსტრომს.

— რა ვქნა, ნათლია, მე შენი პირობის ღალატი არ შემიძლია და კერძ დაგაკლებ რასმე. ეს საქონელი გასალი და დაიტოკეთ. რასტი სომ წამართვა იმ კაცმა და ეს არის, მაგრამ იქნება ღმერთმა არ მოასმაროს ჩემი ნაძარცი. როგორ მეგონა, თუ ამას მიზამდა, თორემ რა ღმერთი გამიწყრებოდა ვინდობდი?.. ისლა გთხოვთ შენცა და ქალბატონსაც, რომ იმ რასტის სამაგიეროდ ეს საქონელი დაიტოვოთ და ნუ დამიკარგავთ ამ ოჯახში მოსულს,—უთხრა ტრემლ-მორეულმა იგანიკამ.

— რამ გადაგრია, კაცო, მარიდა ისე ღარიბი კი არა ვართ, რომ საამაგიერო გადაგასდეკინოთ. არ დაკარგულიყო—სომ კარგი, და რადგანაც დაიკარგა, რა გაწყობს!.. საქონელს როგორ გამოგარ-

თმეკეთ, როგორ დაგაკვლებთ მოსასლე კაცს, სიმისო რა გვიკეთრს, ჩემო ივანე,—უთხრა ქალოსტრომ.

— შენ რაზე უნდა გადასადო, ჩემო ივანე—ლმობიერად უთხრა ელისაბედმა:—მართალია, შენ ინთხოვრე, მაგრამ შენის ბეგეთ სანდო კაცს გამოატანე და რა იცოდი, თუ ის ჩვენი დამღუპველი იყო. მე რომ არ კიცოდი აქმდის იმის ეშმაკობის ამბავი, შენ სიდგან ეგეცოდინებოდა, როდესაც თქვენგან დიდი სანია მოშორებული ყოფ. მე რასტის დაკარგვა იმატომ მწყინს, რომ ედა-ჩემისაგან დატოვებული მქონდა, თორემ მაინცა და მაინც კი არ დაგაკვლებს იმისი დაკარგვა. გოგიას არ შეკარჩენ ამ საქმეს, თუ ქალი კარ და ეს ლუბაქი მსურავს,—სთქვა ელისაბედმა და ლუბაქის ყურზე მოიკიდა სელი.

— არა, შენი ბარიმე, ჩემი ბრალია და კიდეც მე უნდა გსლო, შენი მირონის მადლი ნუ გამიწყრები. უფრო მადლობელი ვიქნები, თუ ამ საქონლებს დაიტოვებთ: უფრო ბულ-დამშვიდებით შემეძლება თქვენს სასლში მოსვლა. საწყალი შენი ნათლის-ედა თავს იკლავს, ამისიანა სირცხვილი დაგვედო. სომ მოგესსენებათ სოფელ-ქვეყანა: ისედაც ყველას ებად-ადებული ვყავარ და, თუ რამე ცუდი გაიგონეს ჩემზე, მაშინ სომ სელი ცეს მიუწვდებათ. ყველას თავლები უბნელდება, ჩემო პატრონო, თქვენ რომ მიკადრეთ და შვილი მომანათლეთ, ასლა ნუ გამომწყვეტთ ქვეყანაში, მაირთვით ესენი და სიმუდამად მიმსასურეთ.

— რას ამბობ, რას?—ეთხოვა შესძახეს ტოლ-ქმარმა...—ჩვენ კიდეკვე უნდა შეგეწეოთ, თორემ როგორ დაგაკლებთ რასმე. ნუ სწუსარ, ჩემო ივანე, როგორც აქმდინ გიყლია ჩვენთან, ისე იარე, სსვის ლაბარაკს ნუ აყვები, უცაბედი შემთსვევა, რა კაეწყობა... იმას არ უნდა ექნა, იმ შერცხვენილ გოგიას, თუ მართლა ასე შეირცხვინა თავი, თორემ ჩვენ წელანც გითსარით, არც ისე ღარიბი ვართ, რომ თან გადავეკეთ ამისთანა საქმეს,—უთხრა ქალოსტრომ შეწუხებულ ივანიკას.

— ისე ღმერთმა მიტოტსლოს ჩემი მწყალობელი შენი თავი, ჩემო ნათლია, როგორც იმან მე ამ სირცხვილში ჩამაგდო, მაგრამ შენი მირონის მადლი გიმიწერეს, საცხოვრებლიდგანაც რომ გამცალოს ამ

სქმემ, თუ მე იმას ეს შეკერჩინო. კიბიეღლებ და ისე ამოგიღებ, თუ ნებით კერას გაგსდი.

— ბიეიდი როგორ იქნება, კაცი ჩვენთან დაბერდა და ჩვენი რასტისთვის შენ იმას უბიეღლო, სწორედ არ მაამება. მე არ გასდეკინებ და შენ რა გაწუსებს?—უსიამოვნოდ მიუგო ქაისოსრომ.

— არა, ბიეიდი როგორ შეიძლება, შეწუსდება შენი გოგია,— დაცინვით წამოიღაბარაკა ელისაბედმა.

— ჩვენი სიერცსვილია, ელისაბედ, ერთგულებისა და სამსახურის მეტი არაფერი გვასოგს იმისგან და ახლა ჩვენი რასტისათვის რომ იმას უბიეღლო, ჩვენ დაგძრასავს ქვეყანა, თორემ გოგიას ორგულობას ვრავინ არ დაიჯერებს. დღემდის თუ კარგი იყო, დღეს რა დაემართოო, ასე იტყვის სოფელ-ქვეყანა და არ იკარგებს.

— დღეს შეიტყვეს მისი კარგი კაცობაო, იტყვიან,—მიუგო ელისაბედმა.

— თქვენ რა შუაში ჭსართ, ნათლია, მე წამართვა და მე ვუბიეღლებ,—უთხრა იანიკამ ქაისოსროს.

— შენ იბიეღლებ, მაგრამ მაინც არ კარგა, სიერცსვილია, ჩვენი სიერცსვილი.

— იმისი სიერცსვილია, იმ ქურდისა და წუწკის. ჩვენ რა შუაში კართ!—გაანჩხლებით უთხრა ელისაბედმა და თანაც დაატანა:— იანიკა თუ არ უბიეღლებს, მე ვუბიეღლებ იმ არამზადას. შენ კი არა გწკვავ გულს, მე მწკავს; მე, დედა-ბემისაგან ნაჩუქარი რასტი და ნურც იფიქრებ, რომ შენ ჭაჩალ გოგიას ეს საქმე შეკერჩინო.

ელისაბედის სიტყვებმა იანიკას სასე გაუბრწყინა, მაგრამ ქაისოსრო კი მეტად დაღონა. არ იცოდა ბოლო როგორ უნდა მოეღო ამ საქმისათვის. თავის დღეში ურიგო სიტყვა არ უკადრებია ტოლისათვის და ძალიან ერიდებოდა, რომ ამ საქმის გამო უსიამოვნება გაემწვავებინა ოჯახში. ამიტომაც საჩუქე ამჯობინა გაანჩხლებულ დედა-კაცთან კამათს.

## VIII

ერთი კვირის შემდეგ იანიკას საჩიერის უწყება ჩაბარეს გოგიას. უიმისოდაც შეწუხებული გოგია და იმისი მშობლები ამ ამბავმა ერთი-ორად შეაწუხა, მაგრამ რაღა უნდა ექმნათ.

საქმის გარჩევის დღეს მოვიდა. გოგია და ლაზარე გულის კანკალით ავიდნენ სასამართლოს კიბეზედ. სასამართლოს აივანზედ დიდ-ძალი სალხი ადგა და ლაპარაკობდნენ. აქა-იქ რამდენსამე კაცს მოეყარათ თავი და ჩუმად რაღაცაც ჩურჩულებდნენ. ერთი ეკრობილად ჩაცმული კაცი ტიბრუტიანით ტრიალებდა ამოდენა სალსში: სან ერთთან მივიდოდა, რაღაცას ეტყოდა, და სან მეორესთან. აგერ კარებს მოადგა შავ-ჩოხიანი კაცი და დაიძახა: მოშა ტიტიაშვილი, ელო თეთრუაშვილი, თომია ბერაძე. «სერთუკოსანი» სწრაფად მივიდა ორს ებრაელთან და ხელების შლითა და თავის ქნევით უთხრა რამდენიმე სიტყვა. ებრაელები წავიდნენ იმ ოთახისაკენ, რომლიდანაც შავ-ჩოსიანი ეძახოდა. აგერ მიდის სატოდავათ წელში მოხრილი მოხუცი გლესი, რომელსაც ათას ნაირად დაფლეთილ-დაკონკილი ჩოხა ძლივს ამაგრდება ტანზე, ახალუსის ღილები გასხნილი აქვს, გულიდგან ჭაღარა თმა მოუჩანს და კისერიც ნაუღლი კმესიავით ზოლ-ზოლად დაღარული აქვს.

— «ეტყობა თომია ბერაძე ეს უნდა იყოს,—გაიფიქრა გოგიამ, როდესაც მოხუცი გლესი კარებს მიუახლოვდა, თავიდგან მოხდილი ყაბალახი იღლიაში ამოიდგა და კრძალვით სასამართლოს დარბაზში შეავიდა.

ბატარა ხანს უკან გასარეული ებრაელები გამოვიდნენ, «სერთუკოსანს» მდაბლად თავი დაუკრეს და მადლობა უთხრეს.

— სომ გითხარით,—ჩურულაპარაკა «სერთუკოსანმა»,—იმედი რომ არა მქონოდა, არც გავერეკოდი თქვენს საქმეში. ასეა... სამი და ოთხი თუმანი რომ მუქთად გაშოკინო, ერთი თუმანი ალალი უნდა იყოს ჩემთვის,—სიცილით დაუმატა და მარდად მიუბრუნდა სხვებს.

სატოდავი გლესი გამოვიდა, მწარედ დაღონებული ჩამოვიდა კრძელ კიბეზე და ტრემლ-მორეული მისჩერებოდა სასამართლოს კარებს, თითქო რაღაცას გამოელოდა იქიდან.

— სად არის სამართალი!—ამოოხვრით სთქვა მოხუცმა: სამართალი რომ იყოს, ტეტსლმა უნდა ჩანთქას ჩემი წანართმეები. ეჰ, ღმერთო, იკურთხა შენი სახელი: რა ტოდვიდი ვიოფილვარ მე უბედური!

— რა დაგემართა, ძმაო, რა გაწუხებს? — თანაგრძნობით ჰკითხა ლაზარემ თვალ-ცრემლიან გლეხს.

— რაღა რა მაწუხებს, ჩემო ბატონო, დაგიღუპე და ეს არის!

— წადგე, რაც საქმე გქონდა, თუ რა დაგემართა? — გაუკვირდა ლაზარეს.

— წავალ, შენი ჭირიმე: ერთხელ ნასესხებ ფულს ორჯელ მასესხებენ და მეტი უსამართლობა იქნება? სიკეთილი შენი მტრის კარად მიდგა, ამ ორის წლის წინად ღმერთი გამიწყრა, სატოლო კაი მომიკვდა და ფულის მოსასესხებელი ღონე კი არსაითა მქონდა. მღვდელს თავისი უნდა და მტერ-მოყვარეს: სად მოგესესხებათ, სიარტსვილს კერ წაუვა კაცი. მეტს რაღას მთხოვდა ჩემი საწყალი ბიჭი, რომ ერთი ორმოცი მანათი მაინც არ დამესარჯა იმის გასვენებაზე. აი, ეს ტიტაშვილი ქედამ ჩვენს სოფელში იყო, აჭკიდებდა ტანსს სავალნე ჩითსა და სარმას და ჩვენს სოფელში ასაღებდა. ჩემის ოჯახიდანაც ბევრი ბატიკანისტემა ჭქონდა: წელიწადი ისე არ გაიკლიდა, ერთი სუთი მანათის მაინც არაფერი გეეუდა მაგისაგან. ჩვენც ვენდობოდით და ეგეც გვენდობოდა. მართალია, ნაღდს ფულს კი კერ კაძლევდით, მაგრამ ყველაფერი ფულია: სიმიდი, ბური, ქათმი და ინდოური. ამას აღარ დაავიერებდა ჩემი დედა-კაცი და ოტ-ოტ და ათს კვერცხს ისე უფეშქაშებდა. დაიღ, იმას მოგასსენებდი: როცა ღმერთი გამიწყრა, ეგ ურია იმ დროს ჩვენში იყო, და რადგან სესვაგან კერ კიშოვე, ისეკ მაგისაგან კისესსე ორმოცი მანათი. ოცი მანათი სატოდაკვის გადასასურავიდან შეიგროვდა და იმ კვირაშიეე მიეეცი; ოცი მანეთიც ჩემზე დარჩა. შარშან ჩამოვიდა და მითხრა: ის დანარჩენი ოცი მანათი მომეციო. რასაკვირველია, კალს გასტუმრება უნდა, ბევრი ეცალა, მაგრამ კერას ცაუსდი და შეეესვეწე, მადროვე-მეთქი. კარგიო, მითხრა, მაგრამ სარგებელში, რაც ამ შენს ვენასში ეურძენია, ის მომეციო. რაღა უნდა მექნა, ამ მზის მადლი გამიწყრეს, თუ ერთი ქტეკა ვენასის ეურძენი სულ ერთიანად არ მიმეცეს. საზედაშე რაა, საზედაშე ღვინო სხვისაგან ვითხოვე, ისე დაკრჩი. ამაღ წრეულს მოვიდა კადეკ და მითხრა, წრეკანდელი მოსავალიც მომეცი სარგებელშიო. უნდა გამოვტუდე, კერ მიეეცი. რა მექნა: ჩვენისთანა მოსუცებულს ერთი ჭიქა ღვინო თუ

არ მოსვლა გულზე, რომ უნდა გაძღებინოს. დედა-კაცმაც ეირჩია, ბარემ მოვიშორეთ მაგისი კვლიო. მეც ავდექი და, რადგან მეტი არა მომეძეოდარა, მაგე ირეთსა გავუიდე ოტ და სუთ მანათად და მიგეცი ოცი მანეთი თავანი და ოტ და ოსი აბაზი ერთი წლის სარგებელი. თამასუქი არ დამიბრუნა,—დამეკარგაო, მითხრა, და რისა გეშინიან, შენი ცოდვა რად მინდაო. მეც დავიჯერე, ძმაო, რა ვიცოდი თუ მიჩიკლებდა და სელმეორედ გადამსდეინებდა. ესლა სასამართლომ მიუსაჯა ორმოცი მანათი თავის სარგებლიო და კიდე მეტი უნდა გადავისადო: არ კიცი ჯარიმაა, თუ რა არის,—ამოოხვრითა სთქვა მოსუცმა და სელი ამოიისვა ცრემლიან თვალებში.

ბოგია გაჩუმებული იყო ამ ლაპარაკის დროს, თუმცა გულში კი სულ იმას ჭვიქრობდა—კაი თუ მეც ასე უსამართლოდ მომექცნენო. შემდეგ, როცა მოსუცმა ლაპარაკი გათავა, ბოგიამ ერთი ძმიმედ ამოიოხრა და რიღასიც თქმა უნდოდა, რომ ამ დროს შავ-ჩოსიანი მოადგა კარებს და ბოგიას სასელი და გვარი დაიძახა.

ივანიკა, თუმცა ცრემლის ღვრიო ესვეწებოდა მოსამართლეს, ნუ დამავსებთ და ნუ დამიკარგავთ სიმართლესაო, მაგრამ ბოგია მაინც გამართლა სასამართლომ, რადგანაც ივანიკას არაკეთარი საბუთი არა ჭქონდა იმის დასამტკიცებლად, რომ რასტი ბოგიასათვის მიეცეს. მოწამეც არა ჭყავდა და, რასაკვირველია, ბოგიამ გაიმარჯვა.

ივანიკა თუ სასამართლოში დამარცხდა, სამაგიეროდ ქაისოსროს ოჯახში იყო გამარჯვებული. რაკი ელისაბედის გასაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა, მთელს ოჯახს, როგორც უნდოდა ისე ატრიალებდა. ბეგრჯელ თითო კვირობით დარჩებოდა ქაისოსროსას ივანიკა და ბოლოს საქმე ისე მოასერხა, რომ მთელი თავისის მამულის მოურაობა ივანიკის ჩაბარა ქაისოსრომ. ეს ამბავი მესიეთ დაეცათ ქაისოსროს ყმებს, მაგრამ რას გაბედავდნენ!

— მეტი რა ვანიაო,—ამბობდნენ ბლესები:—«დათვი რომ მოკერიოს, მამა უნდა დაუძახო»: ესლა მაგის სელთა ვართ და ყურომით ვერას დავაკლებთ, ისევ უნდა ვაამოთ რამე, თორემ კეთილს არას დაგვაყრისო.

მართლაც, დიდ ამბავში იყო ივანიკა: დღემდი თუ ის სასვეს ესვეწებოდა შვილი მომინათლეთ და მოყვრად მომეკიდეთო, დღეს

იმას ესეკუბოდნენ გაგვაბედნიერე, ჩვენს შეიდს მიერთი სტესეთ, და რითაც შეგვეძლოს, გვიმსახურეთ.

ამ რიცხად იანიკამ ისე მოაწყო თავისი საქმე, როგორც თვითონ უნდოდა, აგრედგე არც ქალსოსრეს ოჯახის ნდობა და პატიკისტემა დაუკარგავს, მაგრამ პატარა უმაწვილების გული კი ვერას გზით ვერ მოიგო და ვერა.

ნასვეარი წლის განმავლობაში იანიკას ეზო-გარემოს ცვლილება დაეტეო. ისლით დასურული ქოხი—ფაცრით გადაწყდა და ჩინებული ოთახიც მიაშენა სახლს. მისი ცოლი ხომ სალამსაც ადარავის აძლევდა, ისე გაამპარტავნდა. დიდის მოწიწებით მეგობებოდნენ მეზობლის ქალები, როდესაც ის ეკლესიაში შეგიდოდა და თარეზის კაბას შრიალ-შრიალი გაჭქონდა. «ქალი ესაა და პირველიც იმას უწერიაო», ამბობდნენ სიდარიბისგან ვულ-დაჩაგრული დედა-კაცები.

## IX

ვერ სიდილი არ გაეთავებინა იანიკას, რომ დათიკამ შემოაღო კარები და შემოვიდა. დათიკა ბიანიკას მოგვარე იყო, მაგრამ მთელი სოფელი მართალ და პატიოსან კაცად იცნობდა. ისერთ დროს კარგი შეძლებული კაცი იყო, მაგრამ ოთხი ქალიშვილის გათხოვებამ და გამზითვებამ, ტოტა არ იყოს, უკან დასწია იმისი ოჯახი; მესუთე ქალიც თხუთმეტ-თექვსმეტის წლისა ჭაბუკდა, რა კი ამ ერთსაც მოიშორებდა, მერე ერთი კაეის მეტი აღარავინ ეყოლებოდა საზრუნველად. კაეი ტოლქმარს თითქმის სანში შესვლის დროს მიეცათ და დათიკამ ეს ერთად-ერთი თვალის ჩინა იანიკას მოანათვლინა.

— მობრძანდი, ნათლი-მამ,—მიიწვია სუფრასე იანიკამ და მისმა ტოლმა დათიკა.

— გასლავარ, შენი ჭირიმე,—თავაზიანად მიუგო დათიკამ და კერასთან ჩამოჯდა.

— ასლოს მოდი, კაცო, დაგვეწვეე, რას მოგიწეენია?—ჰკითხა იანიკამ.

— დასაწყვეტლად არა მცალია, ნათლია, ძალიან გაჭირვებული საქმე მაქვს და, თუ რამეს მომესმარები, აბა შენ იცი! სომ იცი, შენ არ შეგაწუხებ, რომ არ მიჭირდეს?—მიუგო დათიკამ.

— რა ამბავია?!—გაოცებით იკითხა იანიკამ.—ავად სომ არავინა გყავს?

— ღმერთის გებრალები, ავად არავინა მყავს, მაგრამ რაღა თავი შეგაწუხინო ბევრის ლაპარაკითა, ქოროწილს ვეზირები, ქალს ვათხოვებ, და საქმე სულ სუთ თუმანზე მიფერდება. მერე კარგი სასიძოა, თორემ კი არ ვინალვალი: რა დროს გადასაყალი შვილი მყავს, მაგრამ არ მინდა სელიდან გავუშვა ის ბიჭი. სხვები ათ თუმანს ალაგებენ და მე კი სუთს მაკერდება. თუ სელზე მიგტემ—ამ ადებ-ალამეს ვკარს დაიწერს და თუ არა, სხვას შეირთავს, ისეა საქმე.

— ვინაა, რა კაცია, მითხარი?—ჰკითხა იანიკამ.

— მედუქნეა, ნათლია, მედუქნე, მარა ძალიან ბიჭია; ანგელოზია ის დალოცვილის შვილი. ახლა შენთან ამიტომ მოველი, უნდა მიშველო რამე და უნდა სელი გამიმართო ამ გზობისად, სომ იცი ჩემთან არაფერი დაგეკარგება!..

— ტოლ-შვილი არ დამესოტოს, მე ესლა ფული არა მქონდეს, მაგრამ კეტდები მოგისერხო რამე,—მიუგო იანიკამ.

— აბა, შენი ჭირიმე, მიშველე რამე და, თუ კაცი კარ და ეს ულვაში მასხია, მეც გასიამოვნებ სამაგიეროდ.

— სოფეო, ბატარა ხანს თავი დაგვანებე.—უთხრა ტოლს იანიკამ. სოფეომ სიჩქარით ასრულა ქმრის ბრძანება.

— ჩემო დათიკა,—უთხრა იანიკამ ნათლი-მამას:—მე ამისთანა კაცი კარ, მოუერთისათვის თავს დავდებ, მაგრამ შენტ უნდა მიმოუარო, თუ ჩემი თავი გინდა.

— მითხარი, შენი ჭირიმე, და რაც შემძლება ჩემს თავს არ დავიშურავ შენი გულისათვის, შენი მიერთი მიმიღია და უკეთესს კიდეს ვასიამოვნებ, თუ არა შენა,—ლმობიერად მიუგო დათიკამ.

— მე თიეთან მინდოდა შენთან მოსვლა და, რა კი შენ აქა ხარ, ბარემ გეტყვი. სოფეოსთან კერ გითხარი, სომ იცი ქალია და არ ვარგა. შენ ერთის საქმეში უნდა მომესმარო და სუთი თუმანი კი არა, ათი თუმანიც ჩემს თავს იყოს, აბა შენ იცი, ჰა!

— შენ სომ იცი ქაისოსროსთან რასაირად შეესრცსვანა გოგიას, რასტი რომ გაკვტანე და წამართვა?

— დიახ, კიცი, მაგრამ... რაღაც ეჭვიანად მიუგო დათიკამ.

— ჰო და ისიც სომ იცი, რომ მე კუჩიკლე, მაგრამ რადგან კერ დაკუმტკიცე გამართლდა?

— დიახ, კიცი.

— ძალიან კარგი და კეთილი. ახა ჩემო საყვარელო ნათლისამაკ და მესობელო, უნდა მომესწრო და უნდა მიმოწმო, სომ იცი სამართლე რომ არა მქონდეს, გული არ დამეწვის, მაგრამ მე იმ რასტის ოვსად სამსი მანეთი დაკუთვალე ნათლია-ჩემს. ღვთის წინაშე, სიმართლე უნდა კთქვა, ის კი არ მასდეკიანებდა, მაგრამ მე ჩემი სიერცსვილ-ნამუსი მაქვს. ნათლია და მიერონი, როგორ მომედურებიან!.. ის ქურდი გოგია ნაშენის-მოგებით მიელავს გულს, რაკი საქმე წავაგე. ახლა შენი იმედი მაქვს ამოამგებინებ სამას მანეთს და თუ კერ ამოვაგე ის რასტი, დასკვიან მაინცა და ამით ჩემს გულს მოვიოსებ.

— რასაირად გიმოწმო, ნათლია, რომ არ შეიუერებია, როცა მიეცი?

— არ გიუერებია, მაგრამ ისე უნდა მიმოწმო. სიტუვის თქმით რა დაგაკლდება! სომ იცი დამლუპა იმ შეჩვენებულმა და, თუ მიერონი გწამს, ნუ დაიჩაგრინებ ჩემს თავს იმ წუპაკს, იმას; მეტ კაცი კარ და იმედი გქონდეს კაცურად დავთვასებ შენს მოუკრობას.

— რა ვქნა, არ კიცი ღმერთმანი!—უოუმანით მიუგო დათიკამ.—შენი გულისთვის ცეცხლში ჩავდგები, მაგრამ ამისთანა სიცრუე რასაირად კთქვა? წავწუდები, ნათლია ჩემო, წავწუდები.

— ტუეილი რომ თქვა წაწუდები, მაგრამ მართალი რომ არის?

— სადაა მართალი? რომ მკითხავენ, შენ უეურე მიცემაზეო, სომ უნდა კთქვა, მე კუეურე-თქო და ეს ტუეილი იქნება, ახა მართალია?

— რასაკვირველია, არ გიეურებია, მაგრამ შენ არავინ არას გკითხავს, მხოლოდ რაგორც მე დაკარიკო ისე მოიქეცი და საქმე გაჩარდება.

— ახა, რაგორ მოვიქცე?—ამოოსვრით მიუგო დათიკამ.

— როგორ მოიქეცი, ჩემო დათიკო-და, მე მოგცემ რაძდენსა-მე ვერცხლის ბალთას, შენ ეს რასტის ბალთები წაიღე და იჩიკლე.

— ვის ვუჩიკლო?—შეშფოთებით ჰკითხა დათიკამ.

— ბოგის, ქალალდს მე გაკაკუეებინებ და სასამართლოში შენ მიეცი.

— ვერ გაკიგე, ნათლია, რას მეუბნები, სწორედ ვერ მიგსვდი.

— როგორ ვერ მისვდი, შე კაცო, უჩიკლე ბოგის, რომ ვერ-ცხლიი მოგვედილი თოფი მქონდა, ბოგამ წაიღო და სამაგიე-როდ ეს ვერცხლის ბალთები დამიტოვა-თქო. ასლა ვთხოვე, მა-გრამ ჩემს თოფს არ მანებებს და ეს ბალთები მე რად მინდა, რა-ში გამომადგება, ვთხოთ ეს ბალთები მას ჩაბარეთ და მე ჩე-მი თოფი დამიბრუნოთ-თქო.

— მერე ტყუილი რომაა, რალა ბირიი გამოგსხდე ქვეყანაშა. არა ნათლია, მე მაგას ვერ ვიზამ, რა ვქნა, სხვაფერიგ დამასახელე, რაც გინდა ოთ და მზათ ვარ შენი ბულიისთვის, მაგრამ მაგისთანა ეშმაკობის თავი არ მაქვს და რა ვქნა.

— რა ეშმაკობის,—მწყრალად მაუგო ივანიკამ,—შენი სიტ-ყვიდან ის გამოდის, ვითომ მე კი მესიამოვნება სასიკვარი. ვის ოჯახ-დასაქცევს უნდა, მაგრამ რომ არაფერი გამიგიდა! თუ მეტი მოუგ-რობა არ შეგიძლია, ჩემო დათიკა, რალაზე იმასი ტეტალში ჩავდგე-ბი შენთვისაო. ამისთანა უბრალო საქმეზედ თუ უარს მეტყოდა, ეს ეკ არ მეგონა სწორედ. ეჰ, ბედი უნდა ყველაფერს, ბედი!..

— რა ვქნა, ნათლია, დაგბერდი კაცი და სასამართლოს კარზე არ მიესულვარ, ასლა მიგიდე და ისიც ამისთანა სიტრეით! არ იკარ-გებს, არც ღმერთი მომიწონებს და არც კაცი, თორემ ჩემს თავს არ დავზოგავ, ღმერთმა ხომ იცის.

— არაფერი სიტრეე არა, თუ დაიჯერებ, და თუ არა, ძალას ვერ დაგატან. მადლობა ღმერთს, მომრჩენია ის კაცი და რა გაეწყო-ბა!.. სთქვა ივანიკამ და წკერებზე სელი ჩამოისვა.

— სირცხვილია, ნათლია, სირცხვილი, ქვეყანაში ვეღარ გაძო-ვინდები, რა ბირიი უნდა შეგვედო საწყალ ლაზარეს და იმისს ტოლ-შეილს. ის საწყალი ბიჭია და ტუდი არაფერი მასსოვს მისგან და-

ასლა თუ ღმერთი გაუწყრა და შენ რაიმე გაწყენია, ისეეე თქვენ მორიგდებით და მე ნუ გაძრეკ მაგ საქმეში.

— არა, დათიკა, მე გიოსარი და გაკვთავე: თუ ჩემი თავი გინდა, ეს საქმე უნდა მომასერხებიო. სვილ ქალლდს გაკვკეთებინებ, ზეგ სასამართლოში შეიტანე და მაზეგ ქორწილი გაკაჩალოთ; ფულის დარდი ნუ გაქვს: რამდენიც გინდა, იმდენი მომთხოვე. შეისმინე ჩემი რჩევა და არ წაგებ, იმ კარგ სიძესაც იშოვნი და ჩემი გულიც სამუდამოდ მოგებული გექმნება, ნუღარ ეოუმანობ. მე შენ დაგეხმარები და შენ მე დამეხმარე, თუ ერთმანეთის მოყვრობა გინდა. შენ დარდი ნუ გაქვს, ოღონდ ქალლდი მიეცი და სხვა არაფერი მოგეკითხება.

დათიკას ათასმა ფიქრმა გაურბინა თავში, არ იცოდა, რა ექმნა. ბოლოს, დიდის სნის ფიქრისა და ეოუმანის შემდეგ გუბედავდ სთქვა:

— კარგი, მიეცეთ ქალლდს, მაგრამ, თუ მიარონობა გწამს, მეტს ნუღარაფერს მომკითხავ. როგორც გინდოდეს, ისე იმოქმედე.

— შენ ოღონ ქალლდი მიეცი და მეტს კინ შერცხვენილი მოგთხოვს რასმე.

— ტუდად კი არაფერში გამხვიო, სათლიანშვილობას, არ წამწყმიდო ბერი-კაცი.

— ნუ გეშინია, ჩემო დათიკა, ნუ. მე სხვა კაცი კარ, აბა ასლა ქორწილის საქმეს შეუდეგ და ფულს სვილ ჩაგაბარებ,—უთხრა ივანიკამ და დათიკა გაისტუმრა.

მეორე დღეს ფულიანად მიეიდა ივანიკა დათიკასთან და ქალლდიც გამზადებული მიუტანა.

— ესეც შენი სუთი თუმანი, ჩემო სიყვარულო სათლი-მამავ. ეს ქალლდი სვილ დილით სასამართლოში მიიტანე და ეს კერცხლის ბალთებიც,—უთხრა ივანიკამ და გადასცდა დათიკას ცხვირსახოცში გამოკრული ოცი კერცხლის ბალთა.

დათიკამ გამოართვა, მაგრამ სელი ისე უკანკალებდა, თითქო ეშინოდა, ტანცლი გაუჩნდება და სელს დამწკვასო. იმის სასეს სიამოვნების ნიტამალიც არ დასტყობია, რომ ფული ისე უზრუნველად იშოვა და «ანგელოზს» ამლეკდა თავისს ქალს.

## X

გოგიას გაოცებას საზღვარი აღარა ჰქონდა, როდესაც სელ-ასალი უწყება ჩაბარეს დათიკას სახიერისა გამო, რომლის გარჩევის ვადა ორი თვის შემდეგ იყო დანიშნული. მას ვერ მოეფიქრებინა, რისთვის შესთხზა ასეთი სიცრუე დათიკამ და, ან რა მტერობა ჰქონდა გოგიასთან. როგორც გოგიას უკვირდა ეს ამბავი, ისეც მთელს სოფელს, მაგრამ გოგიასა და სხვების გაოცებას შუა დიდი სამზღვარი იყო. ყველა ამბობდა: არ გეგონა, თუ გოგია ამისთანა კაცი იყოო. ივანიკას კამტუუნებდით, მაგრამ ესლა კი გამოჩნდა, რომ ივანიკა სამართლიანად უჩიოდა რასტის წარმოშობასო. ეს ამბავი, რასაკვირველია, ქაისოსროს ყურამდინაც მიეიდა, რამაც დიდად გააკვირვა და შეაწუხა კიდეც. «ტყუილად კი არ არის სათქვამი: «გველი გარეულნაა ჭრელია და კაცი შიგნიდანო» — ამბობდა ქაისოსრო, როდესაც გათამამებული ელისაბედი საყვედურით ეტყოდა სოლმე, შენს საქმეს გოგიას თავისი კაი კაცობა გამოაჩნდაო.

ივანიკამ საქმის გარჩევას აღარ მოუცადა. გამომძიებელს ქაღალდი მისცა იმის შესახებ, რომ ამა და ამ რიცხვში ანანამარდომ უარი მითხრა ჩემს სახიერზე, რადგან დამამტკიცებელი საბუთი არა მქონდა-რა. ესლა, როგორც აღმოჩნდა, ჩემის სადაო რასტის ბალთები გოგია მართალაძეს დაუგირავებია ამა და ამ კაცისათვის, რომელიც უჩიგან კიდეცაო და, გაასლებთ რა ამასთანავე საქმის ნომერს, გთხოვთ საქმე გამოიძიოთ და, თუ ის ბალთები ჩემგან გატნეულის რასტისა აღმოჩნდეს, უფლება მომანიჭოთ, რომ ჩემი სიმართლე და ზარალი აღვადგინოო.

გამომძიებელი ფიცხლად შეუდგა ამ საქმის გამორკვევას: დაიბარა დათიკა და საქმის ვითარება გამოჰკითხა.

ივანიკამ გამომძიებელთან წასვლის დროს ისე დარიგა დათიკა, როგორც საჭირო იყო.

— შენ კი ნურაფერისა შეგეშინდეს, — უთხრა ივანიკამ დათიკას. იქნება ისიც კი გითხრას გამომძიებელმა, ფიცით გეკითხება ეს სა-

ქმელ, მაგრამ გამოსაცდელად გეტუკის და არ შეგეშინდეს. კი ბატონო, დამაგიცე-თქო, ასე გაბედულად უპასუხე და დარწმუნდება, რომ ნამდვილს ამბობ.

— მერე, რომ დამაგიცოს?

— დაგაგიცებს კი არა დაგამტკიცებს! განგებ გკითხავს, აბა რას იტუკის ფიცზეო, თორემ როგორ დაგაფიცებს? აბა შენ იცი, არ დაგაკიწყდეს, რაც გითხარი, ეზიადად იუკვი, თორემ არ იკარგების.

— სიტუკის თქმას არ დაგამადლი, მაგრამ ფიცის ბიჭობას კი ვერ მოგცემ, არ შეიძლება, რომ დაგიფიცო და რაკქნა; თუ გინდა, დამარჩეკ, კარ დაგიფიცებ, ნეტავი ღმერთი გამწყრომოდა და მე ამ საქმეში არ გაბმულიყავ,— მიუგო დათიკამ და სიშინლად ასე-დაღგრემილი გაუდგა გზას.

— შენ მართალი ბნდა სთქვა,— ეთხრა გამომძიებელმა დათიკას ზოგიერთის ჩვენების ჩამოართმეკის შემდეგ.— ამისთანა საქმე სუმრობა კი ნუ გგონია, ძარცვა-გლეჯვა, უპატიოსნება; სად გაგონილა, რომ კაცმა კაცს ეერაფერი ანდოს. როდის დაგიგირავა, ან რა ბიჭობით გოგია მართალაძემ ეერცხლის ბალთები?

— დამიგირავა, შენი ჭირიმე, დამიგირავა,— ძლივს წამოიღუღ-ღუღა დათიკამ.— დამიგირავა, მაგრამ არ კიცი, კისი იეო და არც არას კედაკება, ოღონდ გამათავისუფლეთ.

— გაგათავისუფლოთ რომელია! ის შენი გირავი ასეთი ნამარცვი აღმოჩნდა და ასე ადვილად კი ნუ გგონიათ ასეთი საკუთრების მითვისება!.. არა, შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი, გინდ მოუსეე საქმე და გინდ არა, მხოლოდ სიმართლე მითხარი, როგორ იეო საქმე, და იმ შენს გოგიას, თუ კაცი კარ, ამ ორს დღეში ციხეში ამოგაყოფინებ თავს მაგისთანა საქმისათვის.

— ციხეში?! მერე რას ერჩი, შე დალოცვილო, ერთი საწყალი ბიჭია,— გულ-მოკლულად ჭკითხა დათიკამ.

— საწყალი ბიჭია!— დაცინეთ გასიმერა გამომძიებელმა.— საწყლები კი არა, ეშმაკები და «რაზბონიკები» ყართ უველანი, არც კი გრცხვენიათ ასეთი სიასამაღლის ჩადენა: აქ შენთვის თოფი გამოურთმევია და აღარ განებებს, იქ სხვისთვის რასტი წაურთმევია

და უარი უთქვამს; და ამას საწყალი კაცი იისამს? მთელს გლეხობასაც სასლს უტესავთ და ჩვენც გვაწუსებთ თქვენის არამზადობით და კიდევ იძახით, ტისეში ჩასმას რას ერჩიო? აბა როგორ გგონიათ, ძარცვა-ქურდობისთვის «კამერაში» დაგაბრძანებთ, თუ როგორაა თქვენი საქმე! არც ერთი არა სართ წალმართი, არც ერთი!—განრისსებით სთქვა გამოძიებელმა.

დათიკას უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ გამოძიებელის ასეთმა გაცსარებამ ენა ჩაუგდო: იდგა უძრავად და გაშტერებული მისჩერებოდა გამოძიებელის სელს, რომელიც კალამს მარდად მიაცურებდა ქაღალდზედ და მშვენიერი ბრილიანტის ბეჭდის ციმციმი თვალ-ნაირად გამოჭკრთოდა თითიდან.

— როცა ამ გირაოს გაძლევდა გოგია, შეგესგეწა თუ არა, არ გამამსილოო?—ჭკითხა გამოძიებელმა დათიკას.

— არა.—მოკლედ მიუგო დათიკამ.

გამოძიებელმა ესეც ჩაწერა, კიდევ რამდენისამე სიტყვით ჭკითხა და ბოლოს უთხრა: ესლა წადი, ჯერ-ჯერობით თავისუფალი სარო. დათიკა რეტ-დასსმული გამოვიდა გამოძიებელის ოთახიდან. მთელი გზა იმასა ფიქრობდა, რომ რა მახეში გამბა იგანიკამაო... ნათლია კი არა, იმისი სათლულიც რომ დამეკარგოს, მაინც კერ დავეფიცებ,—გაიფიქრა დათიკამ,—კაცი რომ მოვატყუო, ღმერთს ხომ კერ მოვატყუებ?!...

ამ ფიქრსა და მწუსარებაში გაატარა დათიკამ მთელი ერთი თვე. ესლა ფიცის შიში კი ადარ აწუსებდა, იმასა სწუსდა, რომ «უბრალო სული» დაპატიმრებული იყო მისის მიზეზით და «ვინ იცის, როგორ წავიდოდა საქმე».

— არა, თუ მე ეშმაკის სული არ მედგა, რა მრჯიდა, რომ ამ ეშმაკს შვილი მოკანათვლინე,—ფიქრობდა დათიკა,—რატომ არ გიცოდი, ტალასიანი ჯოსის სელის მოკიდება გამსვრიდა და რა წერამ ამიტრია, მე უბედური, რომ სულის წასაწყმედი საქმე ჩამადენინა!...

დათიკა ასე სჯიდა თავის გულში, მაგრამ შინაურებთან კი ვერ ამსელდა თავისს მწუსარებას; როცა მისმა ტოლ-შვილმა გაიგო, დათიკას უჩივლია გოგიასთვის და ამიტომ იგი დაუპატიმრებიათო, ყველამ ერთსმად ჭკითხა, რასთვის უჩივლე გოგიასაო. ასა-

ლი სიძეც კი ჩაერია ამ ლაპარაკში და სასიცილოდ გაუკეთრდა, როგორ საქმის გარემოება შეიტყო.

— გოგიასთანა ალალ-მართალი არაკინ მეგულებოდა. დიდი ხანია მე იმას გიცნობდი, ბევრჯელ უკაცრია ჩემთან და რა ღმერთი გასწყრომია, რომ ამისთანა საქმე ჩაუდენი, ან არა და იმ უბედურმა, თუ იკანიკას რასტი წაართვა, კელარ დამალა?—ჭკითხა სიმამრმა ასალმა სიძემ.

— არა, როდის მოიბუმაოთ ეს საქმე ასე, რომ ჩვენ არაფერი გაგეიგია?—დაუმატა დათიკამ ტოლმა.

— არა, რას ჩამატიგდით, რა თქვენი საქმეა,—გაბრაზებით მიუგო დათიკამ.—ჩემ საქმეში თქვენ არაკინ გირეკვსთ, თავი დამანებეთ, ეგელას გთხოვთ თავი დამანებეთ.

— მშვიდობიანი დათიკას ასე გაკაკვრება ეგელას ეუცხოვა და მით უმეტეს ასალ სიძეს; ამ წამიდან კრინტიც ალარავის დაუძრავს დათიკასთან ამ საქმის შესახებ.

## XI

სატუსაღოს დიდი დარბაზი საკენე იყო პატიმრებით, მაგრამ რომ კისმე უცხოს შეესედა, კერ იფიქრებდა, თუ ესენი ტუკეები არიანო. ზოგი ნარდს თამაშობდა, ზოგი ბანქოს, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რასა შკრებოდა. ისმოდა ხაშინელი სიცილ-ხარხარი, უწმაწური სიტყვები და ოხუნჯობა.

— რას მოგიწყენია, ძმობილო, მოდი ბანქო კითამაშოთ,— ეთხრა ერთმა პატიმარმა ასალად მოყვანილს ტუსაღს.

— არა, მე ბანქოს თამაში არ კიცი,—ნაღვლიანად მიუგო ასალად მოსულმა.

— აბა, იმღერე მაინცა, მე წკრიალს კიტყვი, ნესტორი ბანს და შენ მოიასიალი ან რომელი სმაც უფრო კარგად იცი. ჩვენ ადვილად შეგიწყობთ სმას, შენ დარდი ნუ გაქვს,—განუმეორა იმანკე.

— არც სიმღერა კიცი.

— აბა ოკერხულს დაკაბამთ და შენც ააკეთე.

— არც მაგისი გული მაქვს,—წარბ-შეყრილი უპასუხა ასალად მოყვანილმა პატიმარმა.

— რას ჩაცეიდი, კაცო, იქნება მგლოვიარედ არის,—გადმოსძახა ამსანაგმა ტუსაღს და უმარილოდ გაიღრიჭა.

— კაცო, მინდა გავამსიარულო რითიმე. ასალ სტუმარს პატიკისცემა უნდა,—სიცილით მიუგო ამსანაგს პირველმა, მერე გაბრუნდა და რეინებით აჭედილს ფანჯარას მიადგა.

— ბიჭო, ბიჭო, ნესტორ, აქ მოდი, ერთი შესედე, როგორ მედიდურად გადაწოლილა ეტლში სპირიდონ შრომაძე, აი დედასა!... თუ ღმერთმა ჭქმნა და გამოვედი, იცოცხლე მე მაგის ფულებს დავაძღე!...

— რა გიშავს, ძმაო, კაცი შენა ხარ, ორი წელიწადი ბატონურად იცხოვრე, ქუდს ჭერშა აგდებდი ჭონთაძის ფულებით და ესლა თუ მაგის ფულებიც სელთ იგდე, შენს ბედს ძაღლი არ დაჭეეფს. არა, მე რა ღმერთი გამიწყრა, რომ ორი ცხენი მოეპარე და იმის ფულიც ვერ აეიღე,—უთხრა ნესტორმა თეოფილეს.

— მაშ არა-და, მე არ მომეტოლო, აი!...

— რა ამბავში ხართ,—შემოსძახა მესამე ამსანაგმა ფანჯარასთან მდგომთ.—თუ მართალი გინდათ, ჩემსავით ეოჩაღად ერთიც არ მოქცეულხართ: შეადღის დროს აშკარად გზაზედ დახვდრა და ხახემწიფო ფულის წართმევა ადვილი კი ნუ გგონიათ, მაგრამ გახლდით, მე, ეს ბიჭი, აი!—თავმომწონედ—სთქვა მესამემ და თითი შეიდო გულზედ.

— სადილი, სადილი,—წამოიძახეს ტუსაღებმა და გაქანნენ ერთ მხარეს.

— რისა გრცხვენია, ძმაო, ჩვენ ეველა შენი ამსანაგები ვართ, სჭამე, ნუ მოგიწყენია,—ერთხმად უთხრეს ჩუმად მჯდომს ტუსაღს სხვებმა.

— არა მშიან,—წყნარად მიუგო პატიმარმა.

— თუ არა გშიან, ეს შენი კერძი მე მქონდეს. შენი ხასელი?

— გოგია მქვიან.

— ბა, ჩემო გოგია, გვიამბე რამე, გამსიარულდი. ცოლ-შვილი გყავს?—ჭკითხა ნესტორმა.

— შვილი მყავს, ცოლი არა!

— დედა, ან სხვა ვინმე?

— დედ-მამა მყავს. რად გინდათ, რომ მკითხავთ?

— იმად გვინდა, რომ მოსაკითხს მოგიტანს და ჩვენც გეიზიარებ,—ურცხვად მიუგო ნესტორმა.

— რა მიზეზისთვის დაგიწერეს, გოგია, გვითხარი,—ჰკითხა თეოფილემ და ამ კითხვაზე უკელამ ყურები აცქვიტეს, აბა რას იტყვის გოგია ისეთს, რომ ჩვენზე უფრო ვაჟკაცობა გამოეჩინოსო.

— რისთვის დამიწერდნენ! მეც არ ვიცი, რისთვის დამიწერეს,—ამოოხვრით მიუგო გოგიამ და თვალები ცრემლით აევსო.

— როგორ არ იცი, ჩვენ ყველამ ვიცით, რა დანაშაულისთვისაც შემოგვაბმანეს აქ, და შენ არ იცი, რისთვის მოგიყვანეს?!..— გაკვირვებით ჰკითხა სხვა ბატიმარმა.

— თქვენ კი იცით, მაგრამ მე არ ვიცი.

— სიზმარში ვიაკვაცებია, ჩემო გოგია, და ცხადად დაუწერისართ.... არა, რას მალავ, ისეთს რას ჩაიდენდი, რომ ჩვენთვის გასაკვირველი იყოს,—დაუმატა მეოთხემ.

— სიზმარში, სიზმარში, სწორედ რომ სიზმარში ვიყავი, და ახლაც სიზმარში კარ,—ასშინელის მწუსარებით სთქვა გოგიამ.

— აცალეთ, კაცო, ჯერ ასალი კაცია, რცხვენია, რაცა მოგვეჩვევა, თითონ ვეიამბობს ყველაფერს,—წამოიძახეს სხვა ტუსაღებმა.

— უკაცრავად! მე სასიერცხო არაფერი ჩამიდენია,—გაბედულად წამოიძახა გოგიამ და წელში გაიმართა.

— მაშ არა და შენის ფულით ეკლესია აგიშენებია და იმიტომ მოგიყვანეს აქ, არა?!.. რას ფიცავ, შვილოსან, დღეს იქნება, თუ ხვალ, ხომ გაგიგებთ.

— მე სრულიადაც არა ვფიცავ, ესლაკე ვიტყვი, მაგრამ მე თვითონ რომ კარგად არაფერი ვიცი, რა ვიამბოთ,—მიუგო გოგიამ და, რა ბრალსაც სდებდნენ, უამბო ტუსაღებს.

— არა, სულს ქვეშა სთქვი, რამდენი აიღე იმ რასტში?—ჰკითხა ნესტორმა გოგიას.

— რამდენს აკიღებდი; რომ გეუბნებით სრულიად მართალი კარ ამ საქმეში-მეთქი, არა გეკერთ?

— კაცო, იქნება ჯერ არ გაუსაღებია,—ჩაერია მეორე.

— ნეტარვი მართლა მაგრე იქმნებოდეს, ჩვენც გვერგება რამე,— არა, გოგია?

— უღმერთოები სართ, უსჯულოები და ის არის!... ქურდს, ეველა ქურდი ჭკონია, თორემ დაიჯერებს, რასაც ეუბნებიან.—საშინელის აღელვებით შესძახა გოგიამ ტუსაღებს და კიდეც გაშორდა იმ ადგილს, სადაც ეს უდარდელი ვაჟბატონები სადილობდნენ და ლაზღანდარობდნენ.

— რას გეკიჟვრდები, შეიღოსან, რასტი გიშოგნია— ისიც დატეუებიი, თორემ სსვა სომ არა გაქვს-რა?!.

— გოგია, მე ჩქარა გავალ ცისიდან, ცოლი უნდა შეეირთოდ, თუ ძმა სარ, შენი რასტი მათხოვე. ჩემ სატოლეს რასტით შეკაზმულ ცხენს მაგუეკან,—დაიწყო ერთმა ბირ-ტიტეველ ბატიმარმა.

— შენ როგორ გესდობა, ბიძაშვილს დუქანი გაუტეხე და ფული მოაპარე! არა, მე მათხოვე, ჩემო გოგია, გაგუიდი და როცა იმ ფულიი კიქეიფებ, შენც დაგბატიეებ, — დაუმატა სხვა ბატიმარმა.

— არა, რას ჩაცეიდიი, მაგ საწყალ კაცს,—უთხრა სხვებს ერთმა ხანში შესულმა ბატიმარმა, რომელიც აქამდინ ჩუმად იყო.— ჩვენ კი ღირსად ვართ აქ, მაგრამ მაგ კაცის სიმტეკენ-სიმართლე რომ არ იცით, რას აუსიარდით და გულ-საკლავ სიტეკებს ეუბნებით? სომ სედაეი ადამიანის ფერი აღარა აქვს, ვინ იცის მაგის ბულში რა ვარამი ტრიალებს, დაეთხოვეთ.

— ეჭვი, ბებერო, შენც მაგრე იკატენებდი თავს, როცა ბირველად აქ შემოკაბრძანეს, მაგრამ ასლა შენის ბირით ამბობ, რა შეიტა სარ. ეგეც ისე იზამს, დაიცადე,—მიუგო თეოფილემ და-ულვაშები გადიგრიხა.

ამასობაში სადილიც გათავდა. ზოგი დასასვენებლად წავარდა თავის ლოგინზე, რომელსაც ავეარის იატაკი და ზედ დაგებული ძველი სალიჩა და მეთაქა შეადგენდა და ზოგმა ისევ ბანქოს თამაში დაიწყო.

გოგია მიმჯდარიყო კუთხეში, შუბლზე ხელი შემოედო და მდეღარებს ათვრქვევდა.

— სიკვდილი! სიკვდილი ესლა ჩემთვის სსნა არის. ვანა შერცხვენილს სიტოცსლეს. სიკვდილი არა სჯობია: უბედურო ჩემო თავო, რას ელოდი და რა შეგსვდა!.. გაიფიქრა გოგიამ და ტირილს მწარე სიცილიც თან მოაყოლა.

— რას იტირი, გოგია? გაგესარდა ერთი ბოთლი ღვინო რომ მოგიგე?—ჭკვითსა ჩოფურა ბატიმარმა, რომელმაც მსოლოდ გოგიას სიცილს მოჭკრა თვალი და ტრემლები კი არ დაუნახავს.

გოგიამ ბასუსი არ მისცა ამ სიტყვაზე და არც მეიოსველს უთქვამს მეტი რამ, რადგან სასე-გაბრწყინვებული ჩქარ-ჩქარა ისვლებდა თითს და ისე ითვლიდა ბანქოს, რომელიც მეტის ჭუჭუისაგან ისე გასქელებული იყო, რომ ძალვის-ლა შორდებოდა ერთმანეთს.

სამის დღის მიეკანილი იყო სასტიმროში გოგია, როდესაც მას ზედამსედველმა უთხრა, მშობლები მოგიყიდა და შენი ნასვა უნდათო...

— უბედურებო! რა მოარბენინებდათ ამ სიცივეში,—გაიფიქრა გოგიამ და გულში საშინელი სიბრალული იგრძნო თავისის დედმამისა.—მე რომ იმათი რჩევა დამეჯერებინა, დღეს ამ ყოფაში არ ჩავვარდებოდი. მე გავუმწარე ამ უბედურებს მოსუცებულობა, ჩემის ყინიანობაო, მაგრამ ესლა რაღა დროს...

გოგია წყნარად წამოდგა და თავ-დასრილი გაჭყვა სტუსაღოს დარაჯს.

სტოდაგს ლაზარეს და თამარს სიტოცსლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდათ: ლაზარეს გულზე სელები დაეკრიბა და ტანის კედელს ასტუსოდა. თამარაც იქვე ჩამომჯდარიყო და ცალის სელით თავშალს იმაგრებდა, მეორე სელში სელსასოცში გამოსვეული რაღაც ეჭირა. ბატარა ნიტრით ღვინო კუთსეში მიედგათ და უცდიდნენ გოგიას გამოსელას.

ბევრ გამოჩნდა ფერ-მისდილი გოგია, თავ-ჩაკიდული ისეთის წყნარის ნაბიჯით მოდიოდა, თითქო მიცვალებულს მისდევსო. სამის დღის ტუსაღობას თავისი ძალიერი კვალი დაეტოვა ამის სასესედ: თვალები ღრმად წასულოდა კვინისში, ყურის ბიბილეობი და ტანერის წვერი ბაიას-ბიეგავდა და თმა-წვერ-ულვაში

ისე აბურძგნოდა, თითქო თავისს სიტყვასლეში საკარცხელი არ მიჭკარებია.

— შვილო, შენ გენატვალოს შენი უბედური დედა,—წამოიძახა თამარამ და უნდოდა, რომ გოგიას გადასვეოდა, მაგრამ სატუსაღოს დარაჯმა მრისხანედ რაღაც უთხრა და შვილისაკენ გაშეერილი ხელები მოწყვეტილივით ძირს დაეშო თამარას.

— მოიცა, დედა, ეს აღკრძალულია, რომ ტუსაღებს მიკარონ ვინმე,—მწუხარედ უთხრა გოგიამ დედას.

სატოდავი ლაზარე გაოცებული იდგა: მან კარგად დაინახა ის განრისებული ხახე და სისხლივით დაწითლებული თვალები, რომელიც თამარას გაფითრებულს ხახეს დარაჯმა დაეშტერა, და ამათთვის გაუგებარის ენით რამდენიმე სიტყვა მკაცრად და ბრძანების კილოთი წარმოთქვა.

— შვილო, ჩემს ნაწკაკ-ნადაგ შვილს მე აღარ მიმაკარებენ?! უცხო სომ არა ვარ შენი, დედა კარ, დედა, დედა ღვთისა გაუწყრეს ჩემი სიბერის გამმწარებელს,—ქვითინით თქვა თამარამ.

— მაგრე შორიდან მაინც გვითხარი, შვილო, როგორა ხარ?—ძლივს წამოიღელღელა გულ-მოკლულმა ლაზარემ.

— როგორ ვიქმნები, სომ მხედავთ, როგორცა ვარ!—ნაღვლიანად მიუგო გოგიამ.

— ნუ გეშინია, შვილო, ღმერთი მოწყალეა,—ანუგეშა შვილი ლაზარემ.

— რისა მეშინია, ამაზე მეტი რაღა უნდა დამემართოს,—ამოოხერით მიუგო გოგიამ და თვალები ტრემლით აევსო.

— ასლა გმართებს, შვილო, სიმარჯვე, ჭირს უნდა გაუძლო, ოორემ ღხინშა უველა კარგია! შენი წმიდა გიორგი არ დაგიკარგავს, შვილო, შენს სიმართლეს, დედა-შვილობამ, ქვას დაეკიდებ გულზე, ქვეყანას შეეძრაკ და ისე გიშველი და გაგანთავისუფლებ ამ დასაქტეკიდან. ნუ სტირი, შენ გენატვალოს შენი დედა, ნუ დამანასკებ შენს ტრემლებს, ჩემო ბიჭო.

— ჩემი საქმე სატირალი კი არა, მეტიცაა, მაგრამ უღვთოდ არ ამოვა თურმე დასჯილი სული. რა არის ასლა ჩემი სიტყვასლე: ქურდებსა და ეშმაკებში გარეული, შერცხვენილი, გამწარებული და,

რისთვის, რა დასაშულისთვის კი—არ ვიცი! ეჰ! თქვენ მაინც ნუ იჯავრებთ და მე რაც მომივა, ღვთის ნებაა. გეფოთ, რაც შეგაწუხეთ ჩემის სისულელითა,—უთხრა გოგიამ მშობლებს და ცრემლები მოიწმინდა.

— ნუ სწუხარ, შვილო, შენ ჩვენი დარდი ნუ გაქვს. ოღონდ შენ გვეყავდე და სხვა გასაჭირს ჩვენ არ შეეშინდებით.,—ერთსმად მიუგეს მშობლებმა.

— ის საწყალი ბიჭი როგორ არის?—იკითხა გოგიამ თავისი შვილი.

— კარგად არის, შვილო, ყოველივის გვითხულობს და თვალი გზისაკენა აქვს, როდის მოვა მამაო.

— შენი ძმები, დედა-შვილობამ, თავს ეკლებიან,—მიუგო ია-მარამ.

— იტოტლოს საწყალმა, ჩემს მაგიერად იქნება იმან მაინც გასიამოვნოსთ. ჩემი ძმების იმედი კი მაქვს, საცოდავს ობოლს მიჭსედავენ,—ნალვლიანად სთქვა გოგიამ.

— ობლობა ღმერთმა აშოროს, შვილო, უთხრა ლაზარემ.

— ობოლია, აბა რა არის, მაგრამ თქვენ იცით.....

— შვილო, ეს საჭაპურები და მოსარშული ქათამი მოგიტანე, ეს ღვინო კარგი არ არის, მაგრამ შენც კარგად იცი, თუ რამ მოგეძეგება, ჩვენ არ ვიღირსიებთ. ჭამე, შვილო, და დალიე, შენ გენა-ცვალოს შენი დედა. ორჯელ დავამზადე შენთან წამოსაღები საჭმელი და ორჯელვე ტუულად გამიარა, ბილეთი არ მოგვცეს, შვილო, ეს შემოსასვლელი და ასლატ ისე წამოვიღე, იმედი არ მქონდა თუ გნასაკდი!.. რატო გამსდარხარ, ბიჭო, მაგრე, საჭმელს არ გაჭმეკენ თუ რა დაგემართა, მითხარი, შენი ჭირიმე,—მდუღარების ფრქვევით შეეკითხა თამარა შვილს.

— საჭმელის მეტი რა არის, მაგრამ ჭამა არ უნდა?!..

— ჭამე, შვილო, ჭამე და ყველაფერს გამოგიგზავნით. შენმა ღორმა გოჭები მოიგო, დღეის სწორისთვის ივარგებს დასაკლავად და შემწვარს გამოგიგზავნი მამა-შენის სელით, შენი ჭირიმე.

— რად მინდა, დედა-ჩემო, ტუულად გამომიგზავნი, მაგრამ ჭო, გამოგზავნე, სხვებს ვაჭმევ, მადლია. საცოდავები დასტრუელებული არიან ჩვენებურ საჭმელს.

— უნდა ჭამო, ბიჭო, აბა შამშილით რომ თავი მოიკლა, რა გაგიკეთდება. ნუ გეშინია, მტოდნე კაცებთან კიოკი, ყველამ დამიამედა და რაღა ჩვენთვის გაწყრება ღმერთი, შვილო,—უთხრა ლაზარემ გოგიას.

— რა კიცი, ასე კია-და!...

— დედა-შეილობამ, ამ საწყალ მამა-შენს არ შეუსვენია ეს ერთი კვირაა, ოტ კაცთან მაინც იყო და ყველამ ასე თურმე სთქვა, არაფერი უწერია, მხოლოდ ფულია საწერია, და ფულს სადაც იქნება დავეწინდებით და ვიშოვნით.

— თავი დანებეთ, ნურაფერს ნუ ცდილობთ, თუ ღმერთს უნდა, უფულოდაც მეშველება. ბატონი რას ამბობს, თუ იცით, ისიც ესმარება ჩემ მტრებს?

— რა კიცი, შვილო, ის ჩვენს ამაკვს არ კითხულობს და ჩვენ რომ მივიდეთ, რა მოხელე კიქნებით,—მიუგო ლაზარემ.

— ბავშები, ბავშები, ნეტავი ერთხელ კიდეკ მაჩვენა და მერე რაც მომიკა, ადარ კინადგლი,—გულ-დაწყვეტით სთქვა გოგიამ.

— იკინიკა, შვილო, ახლა იმათი ატარ-ბატარი. რა უწერს, ჩვენ დაგვლუბა, თორემ თავისი საქმე, როგორც უნდოდა, ისე მოაწყო. თუ ღმერთმა მოჭკითხა, კარგია, თუ არა-და, რა გაწყობა!..

— თუ გაიგეთ, ნიკოლოზს ხომ არ მოულიან ქალაქიდან?—ჰკითხა გოგიამ ქაიხოსროს უფროსი კაკის შესახებ.

— რა კიცით, შვილო.

— ერთი წელიწადია არ მინახავს და მგონი ადარც მეღირსება იმისი ნახვა; ნეტავი კიცოდე, რას იტყვის, როცა ჩემს ამბავს გაიგებს!..

— რა კიცი, შვილო, რას იტყვის! რაც ერჩიოთ, ისა სთქვან. ამაზე მეტს რაღას გვიზამენ,—მიუგო თამარამ.

გოგიას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მშობლების სანახავად დანიშნული კადა გაკიდა, დარაჯმა რაღაც უთხრა და რადგან გოგიამ კერა ჯაიგო-რა, თავის გადაქნევით და თვალით ანიშნა წამოდიო.

— მიდისარ, შვილო?—შეეკითხნენ გოგიას გულ-დაშსმული მშობლები.

— ახა რა ვქნა, სომ სედავთ დროა უნდა წავიდე, ჩემს ნებაზედ კი არ გამხერებენ.

— მშვიდობიით, ახა თქვენ �ით... გოგიას კიდეკ უნდოდა რამდენისამე სიტყვის თქმა, მაგრამ გული ეელში მოებეკინა, და ტრემლები, ეს ერთად-ერთი შკება ტანჯულის გულისა, მისის მსხვილ წვიმასავით გადმოედინა თვალებზე. სტიროდა როგორც გოგია, ისე მისი დედ-მამა. თვითეული მათგანი ცდილობდა ეთქვა რამ, მაგრამ, თითქო მოულოდნელად დამუნჯდნენო, კერც ერთმა სმა კერ ამოიღო, თუმცა კი ერთი-მეორის გულის-თქმას ეს სამი ადამიანი უსიტყვოდაც ძალიან კარგად ჭვრეტობდნენ...

გოგია და იმისი მშობლები გაშორდნენ ერთმანეთს. საბრალო შვილმა სანამ კარებს მიუახლოვდებოდა, რამდენჯერმე მოიხედა უკან, რომ კიდეკ დაენახა თავისი მშობლები, რომელნიც, მწარეს ტრემლის მღვრელნი, უძრავად იდგნენ, თითქო ელოდნენ, გოგია ისეკ მობრუნდება ჩვენკენაო, მაგრამ გოგია მალე მიეფარა კარებს და გულჩათუთქული ლაზარე და თამარა რეტ-დასხმულები მოშორდნენ სატუსაღოს მაღალს გალავანს.

## XII

საქმის გარჩევის დღე მოახლოვდა. უმაღლესს სასამართლოს, ეიტით უნდა ეკითხა დათიკასათვის ამ საქმის კითარება.

დათიკას ტოლ-შვილი მსაჯულად შემოსხდომოდნენ გაჩაღებულ კერას და კასშამსა სჯამდნენ. დათიკა განაბირას იჯდა და ჩიბუხსა სწევდა.

— კატო, კასშამი არ გინდა? სკალ ადრე უნდა წასვიდე და უკასშამოდ რომ დაწკე, არ იკარგებს.

— რას ჩამატიკდი, არ მინდა!—მწყრალად მიუგო დათიკამ ტოლს.

— ბატონო, სკალ ძალიან ადრე წასასვლელი სარ, საუზმის გაკეთებასაც კერ მოასწრებენ, კინ იტის «ზასედანია» როდის გათავდება და მიირთვით რამე, თორემ მოგშიდებათ და ლაბარაკის თავი აღარ გექმნებათ,—თავაზიანად უთხრა სიძემ დათიკას.

ამ სიტყვებზე დათიკას ჰასუსი აღარ მიუტია, წამოდგა და კარში გავიდა.

— საკვირველია ამ კაცის საქმე! ამ ბოლოს დროს ისე გამოიცვალა, რომ გულარ ვცნობ; ნეტავი რა დაემართა ვიცოდე!—ნაღვლიანად სთქვა დათიკას ცოლმა.

— რაც მეტი დრო გავა, უფრო მოუმატებს სიავეს, დედა-ჩემო, კაცი რომ დაბერდება, ერთი-ორად გაუგულდება, არ იცი!—მიუგო უფროსმა ქალმა.

— შე დალოცვილო, რაღა ამ ერთ თვეში დაბერდა ასე! მაინცა და მაინც არც ისე მოსუცებულია მამა-შენი, რომ სიბერის მიზეზი იყოს იმისი ასე ცვლილება. არა, უთუოდ რაღაც აწუხებს, რომ ასე გველ-ნაკბენივით წიწმატობს ყველაფერზე.

ამ დროს დათიკა შემოვიდა და სმა-ამოუღებლად წავიდა საწოლისაკენ.

მთელი ღამე უძილოდ გაატარა დათიკამ.

— სვალ ფიცით უნდა მეითხონ, დაიღ, ფიცით და მერე რა უნდა ვთქვა! ის, რომ ეოგია დამნაშავეა-თქო? არა, ამის თქმა არ შეიძლია, მაგრამ იკანიკამ რომ მითხრა ციმბირში დაგაგზავნენ, თუ ჩვენება შესცვალეო!... ღმერთო, რა ტანჯვაში ჩამაგდო ამ ოჯახ-დასაქცევმა, რა მტრობა ჭქონდა ჩემი? განა ამისთვის ვწვალობდი და ვშრომობდი, რომ ამდენის ხნის ნაწვალ-ნადაგ ოჯახს მომაშორონ და აგვისკენით მსრეს-წაგრული გამაგზავნონ ციმბირში?!. და თუ სიმართლე არა ეთქვი, სომ დაიკარგა ის საწყალი ბიჭი!.. მერე ჩემი სული! სომ წაგწყდი!—გაიფიქრა დათიკამ და უეცრად თვალ-წინ წარმოუდგა ეოგენოსეთი: აგერ თვალ-უწვდენელი სრამი! ღმერთო, ეს ორთქლი რაღაა? ეუბრია, ეუბრია, ადულებენ. აგერ რქებიანი ეშმაკები, როგორ უკეთებენ ცეცხლს! მერე რას იჩქარიან ასე, ვისთვის ამზადებენ ამ საშინელ ვენიას?—«შენთვის»—ჩამოსძახა იდუმალმა ხმამ. ოჰ! ღმერთო დიდებულო,—დაიძახა დათიკამ და მსწრაფლად გადაბრუნდა კედლისაკენ.

— რა დაგემართა, კაცო, კიდევ არა გძინავს?—ჰკითხა ცოლმა, მაგრამ მეგიერი ჰასუსი კარ მიიღო დათიკასაგან.

— ღმერთო ჩემო, რა უნდა შეედარო ესლა ჩემს მდგომარეობასს!—გაიფიქრა დათიკამ.—ნუ თუ უსაშველოა ჩემი საქმე?!. დიდ უსაშველოა, უნდა წავწყდე, ეს ჯოჯოხეთი ჩემთვის არის გამზადებული და არც ამცდება, რაც უნდა ვეცადო... რა ძნელია! საწყალი ბიჭი! რა დაუშავებია ჩემთვის? განა ვერაფითარის სინანულით ვერ მოვინანებ ამ საქმეს?!.

— «ვერაფერით»—ჩამოსძახა იმავე ხმამ.

— ვერაფერით!—განიმეორა დათიკამ.—მეტ კიცი, რომ ვერაფერით. კიცი, ჯოჯოხეთი მომელის, მაგრამ ტიმბირი საშინელებაა... მერე ჩემი ტოლ-შვილი? ჩემი სამშობლო? არა, ისევ ჯოჯოხეთი, და ტიმბირი კი არა,—გულ-გაშფოთებული დათიკა კიდევ გადმობრუნდა მეორე მხარეს.

კერა უკვე ჩანელებულიყო, მხოლოდ რამდენიმე ნაკვერჩხალი შკრთალად მობყუტავდა დადრიდან და ისიც ისე მინელებული და დაფერფლილი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ სრულიად გაჩქრებოდა.

— ეველას ტკბილის ძილითა სძინავს. ტეტლამაც კი მოისვენა: აგერ როგორ მინელდა, მაგრამ ჩემი გული კი ვერ ისვენებს და ვერა... რა ქნა, რა მიშველის, რა გამომისწორებს ამ საშინელის მდგომარეობიდან.—«სიმართლე»—ჩამოსძახა იმავე ხმამ ისე უცბად, რომ დათიკამ ამ თქვენის დათვებაც ვერ მოასწრო.

— სიმართლე, დიაღაც რომ სიმართლე,—გაიფიქრა დათიკამ და თითქო გულზე დიდი ღიდი ედო და უეცრად მოესსნა, ისე თავისუფლად ამოისუნთქა.

დიღას ისე ადრე ადგა დათიკა, რომ იმის ოჯახში მეოთი ისევ ეძინათ. მან სათითოოდ გაადვიღო თავლი ტოდ-შვილს, ბერჯვარი გადაისხა და გაუდგა გზას.

კარგად გათენებული იყო, როდესაც დათიკა მიეიდა სასამართლოში, სადაც მას ეგონა დაუხვდა და თავისებურად დაუწყო რნეკა-დარიგების მიცემა. დათიკაც ეთანხმებოდა ეგონიკას აზრსა და იმისს სიტყვებს იზეპირებდა, რომ ჩვენების მიცემა არ შეშლოდა.

დათიკა შეეიდა სასამართლოს დარბაზში, რომლის მარცხენა მხარეს დამნაშავის სკამზე იჯდა გოგია და სატუსაღოს ორი და-

რაკი თოთებზე დაყრდნობილები ასლოს მოსდგომოდნენ მას. რამდენისამე თვის წინად წითლად მოღაღადუე ლოუები ესლა უკითლად ჩამოსწყნობოდა, სელის თითები დასწკრილებოდა და ნატრის-თეერ თვრაკაში გასკეული გოგია ისეთს სანასაკს წარმოადგენდა, რომ გულ-ქკათაც სიბრალულს მოჭგრიდა იმისი მკვდრის მსგავსი, მაგრამ სათნოების გამომეტყველი სასე და მშვიდობიანი გამოსედკა.

დათიკა შეჭკრთა, ტანში საშინელმა ყრუანტელმა დაუარა და ისე გაბრუკდა, რომ არც კი გაუგონია მსაჯულის სიტყვები, რომლითაც იგი სიქმის მნიშვნელობას უსნიდა. დათიკა მაშინ გამოირკვა ამ ბურანისაგან, როდესაც შემოსილი მდგელი იმ სტოლს მიუსლოკდა, რომელზედაც ჯვარი და სასარება ეწო და ფიცის აღსრულებას შეუდგა.

დათიკა დასფიცეს და ჩვენების ჩამორთმეკა დაიწო მსაჯულმა. თარჯიმანი აეუდა «ეტაყერკას», აიღო სელში კალამი და მოსამართლისა და მოპასუსის სიტყვებს გადაფიცებით უგდებდა ყურს.

— შენ დაგიგირაკა გოგია მართალძეს რასტის ბალთები?

— არა, ბატონო,— უპასუსა დათიკამ. თარჯიმანმა გადაუთარგმნა მსაჯულს.

— არა?!..— გაკვირვებით წარმოსთქკა მსაჯულმა.—აბა, ეს ბალთები კინ წარადგინა «სუდში», კინ უჩიკის გოგიას, თუ არა შენ?!..

— დიალ, მე წარკადგინე და მე კიჩიკალ, მაგრამ...

— რისთვის უჩიკალ, თოფისათვის განა?

— დიალ, მაგრამ ტყუილად კიჩიკალ, იმას არც ბალთები მოუტანია ჩემთვის და არც თოფი წაულია ჩემგან.

— აბა კინ მოგცა ეს ბალთები, და ან რისთვის უჩიკალ, თუ არას ედაკებოდი?

— კიცი, ბატონო, დაკიკარგები ამ საქმისთვის, მაგრამ სიმართლე უნდა კსთქკა: მოყვარემ შემაცდინა, სულის წასაწყმედი საქმე იმან ჩამადენინა. ღმერთმა სომ იცის, მე მაგასთან არაფერი სახიკალი საქმე არა მქონდა, წაგწყდი მოხუცებული კაცი და რაღა გაეწყობა...—ტრემლის ღერით ამბობდა დათიკა.

— კინ მოყვარემ, ან როგორ იყო, სთქკი ბარემ,— ჭკითხა მსაჯულმა.

— ივანიკა მელაძემ, იმ ჩემის ტოდვით სავსემ, იმან...

— ისე ღმერთი უშველის მაგ შენს თავს, შე უტვინო შენ!.. ისე უცბად წამოიძახა სასეზედ აღმურ-ანთებულმა ივანიკამ, რომ სიტუვის დასრულებაც აღარ დაუცალა დათიკას და წინ წამოდგა საღაპარაკოდ.

— ბატონო მსაჯულო! ეგ ტუვლს მოგასსენებსთ. გოგიას დედ-მამამ თვალი მისცა მაგას, უნდათ თავისის შვილის დანაშაული გაამართლონ, ამიტომ გთხოვთ....

— შენ კინ მოგცა დაპარაკის ნება!—შეუტია თარჯიმანმა ივანიკას.

— სიმართლეს მოგასსენებთ....

— დაჩუმდი-მეთქი!...—ბრძანების კილოთი განიმეორა თარჯიმანმა.

ივანიკას სმა ჩაუწყდა, ჩარბები ჩაულურჯდა, სასეზე მკვდრის ფერი გადადგა და გაქვავებულივით მდგომა, ვიდარც დაჯდომას ასერსებდა და ვიდარც სასამართლოს დარბაზიდან გასვლას.

დათიკა გულ-სავლავად ჭქვითინებდა.

— მერე, განაგრძე როგორც იყო სიქმე,—უთხრა მსაჯულმა დათიკას. სანრალო მოსუტი ისე იყო აღელვებული, რომ თითქმის ნახევარ წამს სმა ვერ ამოიღო; შემდეგ ცრემლები მოიწმინდა, გულზე ხელები დაიკრიბა და მწუსარეს სმით განაგრძო:

— დიაღ, ივანიკამ მომცა რასტის ბალთები, თსოგანაც იმანვე დაწერინა და მე კი მაჩიკლა. ეხლა კი მიგსვდი, რა განზრასვითაც გამბა ამ მასეში, მაგრამ ღმერთი და ჩემი ტოდ-შვილის ტოდვა არც ამ სოფელს და არც იმ სოფელს არ მოასვენებს მაგას. ჩემი წმინდა მირონის წინაშე შეიქმნეს ბასუსის-მგებელი, ჩემის ასე შეცდენისათვის და ამ მოსუტებული თავის შერცხვენისათვის,—ცრემლის ღვრითა სთქვა დათიკამ და ხელი წაიკლო სირმასავით თეთრს თმაზე.

— თუ იტი, რა განზრასვით ჩაგადენინა ეს სიქმე მელაძემ?—ჭვითსა მსაჯულმა დათიკას.

— ჩემს რასტს ამოვიგებო,—უპასუსა დათიკამ და ზემოდ მოყვანილი ივანიკას სიტყვები, რომლითაც მან დათიკა დაარწმუნამ, ყველაფერი უამბო და თანაც დასძინა;

— ტიმბირის ღირსი კარ, ტიმბირისა; არაკითარი ბატიკისადა-ბი მიზეზი არა მაქვს, რომ გამამართლოს და, რომ კიდეც გამამარ-თლოთ, მე არ დაკთანხმდები ასეთს განაჩენს: შერცხვენილს, ტოლ-ამსანაგში გამოწყეტილს და აკაზაკის ამოლს სამშობლოს ცის ქვეშ არ ედგომება და არც მამა-ბაბაია საოგლაკის ღირსია, ბატონო მსაჯულო, — ამაკად წარმოსითქვა ეს თავისი განაჩენი დათიკამ.

მსაჯულმა და სასამართლოს წევრებმა ჩურჩული დაიწყეს, მერე ადგნენ და შეორე ოთახში გავიდნენ. ნახევარ საათის შემდეგ ისევ გამოვიდნენ და განაჩენიც წაიკითხეს.

სასამართლოს დარბაზში მყოფთა დიდგრემილი სახე მსია-რულების ღიმილმა მოიცვა. ეოგია გამართლდა და სალხიც წრფე-ლის გულით მსიარულობდა ამ საწყალი კაცის გამარილებას. დათი-კასა და იკანიკას რას მიუსაჯიდა სასამართლო, იმის განაჩენს კი ალარ ჯაუცადა სალხმა...

## XIII

სოფლის საყანე ტრიალ ველებზე დაფალული ცხენები ძლივს მოაბრეკდნენ ტროიკას, რომელშიაც ორი კაცი იჯდა. ერთი მათგა-ნი, კარგა ხანში შესული კაცი, გაფაციცებით ჩასცქეროდა თავისს გვერდით მჯდომს ყმაწვილს.

— რაგორა ხარ, შვილო, ხომ არა სწუსარ?

— არა, მამილო, ძალიან კარგად გგრძნობ ჩემს თავს. სამ-შობლოს რომ მოგუსალოვდი, ასე მგონია, სრულიად აკად არა ვყო-ფილვარ-მეთქი. ძალიან კარგად ჭქონი, რომ წამომიყვანე, თორემ ერთი კვირა რომ კიდე კორბუსში დავრჩენილიყავ, მე მგონია, ალარ მო-ვრჩებოდი. ძნელი კია ასლა წამოსვლა, ეგ ზამენები მოასლოვებუ-ლია, მაგრამ რა გაწყობა, — გულ-დაწყეტით სთქვა ასალგაზდა კადეტმა.

— კარგად იყავი, შვილო, და ყველაფერს მოესწრები.

— რასაკვირველია, იმიტომ წამოვიდე ეს წიგნები, რომ კიმე-ცადინო და ეს წელიწადი არ მოკაცდინო. მგონი ასლამდინ ტოტა-ლა დაგრჩა, განა? — ჭკითხა ყმაწვილმა მამას.

— აი, შვილო, ამ მინდვრებს რომ გაკვლებით, მერე სოფელი იწყება, სულ სამი კერსი აღარაა ჩვენ სასლამდინ.

— რასაირად მეჩქარება ყველა ჩვენების სასკვა... შენთვის კი არაეკერი მეკითხავს სასლის ამბავი, მაგრამ მიკვლთ და...—მსიარულად სოქვა ფერ-მისდიდმა ყმაწვილმა და ჩაფიქრდა.

მამასაც აღარა ფოქვამს-რა გაჩუმდა, ეტყობოდა, რაღაც ფიქრმა მოიცვა ძმისი გონება.

მამაშვილი ასეთის სიჩუმით გაიარეს მინდორი; ტროიკამ შეუსვია მარჯვნივ, შეკიდა ტყეში და სასოფლო გზას დაადგა.

— ჩვენს სოფელს რომ გუასლოვდები, როგორღაც ორგვარი გრძნობა მებადება: სიხარული და მწუსარება. სთქვა, მამა-ჩემო, სომ ყველანი კარგად არიან? —გაუბედავის სმით ჰკითხა შვილმა ქაიხოსროს.

— ყველანი კარგად არიან, შვილო, ავადმყოფობა ღმერთმა გვაშოროს,—თამამად მიუგო მამამ.

—კარგი დაგეძართოს...—წყნარადა სთქვა ყმაწვილმა და კიდეგ აბიერობდა რაღაცას თქმას, მაგრამ ამ დროს მარცხენა მსარეს, სოფლის კიწრო ბილიკზე ომმავალი სალხის გროვა გამოჩნდა და ყმაწვილის ყურადღებაც იმან მიიქცია.

— ეს სალხი სად მიდის, რა ამბავია,—გაკვირვებით სთქვა ყმაწვილმა,—სედავ, მამა, აგერ მარცხნით რამოდენა სალხი მოდის? ეს დროშები რაღაა, ეთუოდ მიტკალებულს მოასვენებენ! ნეტა ვინაა სიტოდავი!... უჰ, რამოდენა სალხი მოჰყვება!...

— ვინ უნდა იყოს!—გაკვირვებით სთქვა ქაიხოსროვ და მომავალ სალხს გულ-მოდგინედ დაუწყო თვალიერება.

— მოიცა, მამიდო, ტროიკა დავაყენოთ და გავიგოთ, ვინ არის,—წარბ-შეყრითა სთქვა ყმაწვილმა და ქუდი მოისადა.

ტროიკა გაჩერეს და უცდიდნენ სალხის მიასლოვებას. აგერ მოასლოვდა კიდეცა, გარკვეით ისმის «წმიდაო ღმერთო» და მასთან სიერთო ქვითინში მოისმის დედაბრის გულ-სიკლავი მოთქმა.

— ღმერთო, ეს რა ამბავია!.. ჩემი პატარა შვილები სანთლით მოუძღვებიან მიტკალებულის ცხედარს! ნუ თუ ის, ის საწყალი მოკვდა!..—აღშფოთებით წამოიძახა ქაიხოსროვ და საჩქაროდ გადასტა ტროიკიდან.

— ვინ, მამა, ვინ, რა ამბავია?!— გაოცებით ჭკვითსა შვილმა, მაგრამ მამამ ჰასუხი აღარ მისცა, საჩქაროდ გაერია სალხში. უმაწვილმაც მარდად მოიხსნა ჰალტო, მიაგდო ტროიკაში და თან გაჰყვა მამას.

— ვინ მოკვდა, მიოსარეთ?—ჭკვითსა სალხს გულ-გასეთქილმა უმაწვილმა.

— გოგია მარეთალაძე. სატოდავი ნაავადმყოფევარი იყო და სატუსალოში ჯდომამ ერთიანად ბოლო მოუღო,—მიუგო სალხმა.

— გოგია?! ჩემი გოგია!—წამოიძახა კადეტმა და გიყივით გაექანა კუბოსაკენ.

ცხედარი დასვენეს. ქაიხოსრო და ნიკოლოზი დაემსვენენ გოგიას ცხედარს და გულ-ამოსკვნით დასტიროდნენ. ჰატარა ბავშვები გვერდით მოუსკუჰდნენ მამასა და ძმას და იმათაც საცოდავი ღრიალი მორთეს, თითქო ახლა გაიგეს გოგიას სიკვდილიო. საბრალო გოგიას დედ-მამამ ერთი ყოფა დაიწყეს გოგიას გაზრდილ ნიკოლოზის დანახვაზე და სალხში საერთო ქვითინის ხმა გაისმა, როდესაც ნიკოლოზმა მდუღარეს ტრემლის ღვრითა სთქვა: «ჩემო გოგია, რითი უნდა გადაგისადო შენი ამაგი»-ო.

ქაიხოსრო და ნიკოლოზი ძლივს მოაშორეს ცხედარს მღვდელმა; სალხი მიუასლოვდა კუბოს ასაწყვად, მაგრამ მამა-შვილმა ორი კაცი ჩამოაშორეს ცხედარს და კუბოს ასაწყეი ტილოები თვითონ გადიგდეს მხარზე. ნიკოლოზი თუმცა აკად იყო, მაგრამ მაინც სხვის შეუნაცვლებლად მიიტანა თავისის საყვარელის გოგიას კუბო სამარემდე, სადაც ქაიხოსრომ და იმისმა ოთხმა კაცმა გულ-ადუღებით უამბორეს იმათი ოჯახისათვის მშრომელს გოგიას გაცივებულს სელს და მდუღარე ტრემლებთან ერთად დაეყარეს თითო მუჭა მიწა...

**განდეგილი**

# გ ა ნ თ ი ა დ ი

მოთხრობა ეჟისა

ჩვენი მოთხრობა გვიხატავს ბოლგარეთის განთავისუფლების ხანას. ამიტომ მისი დამწერი იძულებული იყო, ორში ერთი აერჩია: ან ხელი აეღო ნამდვილ ისტორიულის ამბების აღწერაზე, ან არა-და სცენაზე გამოეყვანა ისეთნი, რომელნიც, შეიძლება, დღესაც ცოცხალნი იყვნენ. განსაკუთრებით ამას მოვერიდენით, ისტორიისა მხოლოდ სურათის ელფერი ავიღეთ და ვეცადენით: ზედმიწევნილის სინამდვილით დაგვექარგა ამ სურათის საზოგადო ადგილზედ ვითარება ჩვენთვის საინტერესო ისტორიულის წამისა. ზოგიერთნი მომქმედნი ისტორიული ტიპნი არიან, გარემოების-მიერ დაბადებულნი, იმ გარემოების-მიერ, რომლის წყალობითაც დიდის ხნის მივიწყებული ერი უცბად საპოლიტიკო ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა. მომქმედთაცა და თვით ადგილებსაც ჩვენს მოთხრობაში სახელები გამოვუცვალეთ. ავტორს უნდოდა მხოლოდ იმ ქვეყნის ელფერი დაეტოვებინა ხელუხლებლად, დაეხატა შინაგანი ვითარება მთელის ისტორიულის პერიოდისა. და ამ ისტორიულ პერიოდის გაცნობა კი ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, იმიტომ რომ აქ ლაპარაკი ჩვენს მონათესავე ერს შეეხება.

ავტორმა საჭიროდ დაინახა ეს ორიოდე სიტყვა თვის მოთხრობისათვის წინ წაემძღვარა მკითხველის საუწყებლად, რომ მან ამ მოთხრობაში არც ისტორია ეძებოს და არც ფანტაზია; ავტორი მხოლოდ საზოგადო სურათს ჰხატავს იმ მოძრაობასა, რომელმაც ბოლგარელთ საზოგადოებაში იჩინა თავი მაშინ, როცა ის-ის იყო გარიჟრაჟდა, და რომელიც მოჰყვა ერის ღრმა ძილს, ხუთის საუკუნის განმავლობაში.

———

## I

ერთს დროს სვიატოსლავ იგორევიჩს მეტად შეუყვარდა ბოლგარეთი,—ეს უუმშვენიერესი მხარე მთელს ევროპაში. ეს ქვეყანა გადაფენილია ბალკანეთის მთების ორსავ კალთებზე, რომელთა შორისაც ერთი ეგეის ზღვისაკენ დააწყდება, ხოლო მეორე—დუნაისაკენ. ეს კალთები უსწორ-მასწოროდ ეფინება აქეთ და იქით და ამიტომ ხან სერებივით არის ამაღლებული, ხან კიდევ ფართო მთა-ვაკეა, ღელე-ხეობათა-მიერ სავსე; მათ შორის მრავლად მირბიან და მიჰქშუიან პატარა ხევნი და მდინარენი. წყარონი ჩუხჩუხებენ, მთის წყალნი აქაფებულნი მისწრაფებიან, თითქო ხტიან კლდიდან კლდეზედაო, და ასე შფოთვენ, ვიდრე დამშვიდებულ მდინარებად არ გადაიქცევიან. ერთ ამისთანა პატარა მდინარეს იანტრა ეწოდება, სათავე მისი შიპკას გასავალ კართანაა, რომელმაც ამ უკანასკნელ ომის დროს ასეთი სახელი გაითქვა, და აი სწორედ ამ მდინარის ნაპირებზედა დევს ორი ქალაქი,—ორივეს ბოლგარეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ტირნოვო—ერთ დროს ბოლგარეთის სახელმწიფოს დედა-ქალაქი, და ტირნოვოს ცოტა ზევით, მთებში,—გაბროვო, დედა-ქალაქი და ბუდე გონებრივის მოძრაობისა; პირველად აქედან დაიწყო ერის გამოღვიძება ხანგრძლივის ძილისაგან. იანტრას ჯერ მარცხნივ და მარჯვნივ ბევრი სხვა წყლები უერთდება და სისტოვოს ქვემოდ დუნაიას ერთვის. აქედან რუშჩუკამდე ორი მესამედი გზაა იმისი, რაც სისტოვოსა და რუშჩუკ შუა არის.

იმ მიდამოს, სადაც იანტრა მიმდინარეობს, დიდი მნიშვნელობა აქვს. მის დაყოლებად გზა მიდის, რომელიც ბალკანეთის მთებზედ გადადის და რომელსაც ყაზანლიყსა, ესკი-ზაგრუსა და შემდეგ ანდრიანოპოლში მიჰყავს მგზავრი. ხოლო იქ, სადაც იანტრა დუნაიას ერთვის, საფოსტო შარა-გზაა; დუნაიას ნაპირებზე მდებარე ქალაქებს—რუშჩუკს, სისტოვოს, ნიკო-

პოლს, რაგოეოს, ორსავე პალანკებს და ვიდდინს ეს გზა აერ-თებს. აქ ოსმალებს მდინარეზე ქვის ხიდიც აუგიათ; ვიღაც ცინცარს მის ახლო „მექანე“ (ბაკები) გაუმართავს; კიდევ რა-მდენსამე კაცს ქოხები მოუხუხულავებია, და ამ გვარად პატ-არა სოფელი გაშენებულა,—კრივენა. ეს სახელი როგორღაც თავის-თავად გამომტყვრალა, ალბად იმიტომ, რომ ამ ალა-გას გზა მრუდდება და სხვა მხრივ უხვევს, ან, შეიძლება, იმიტომ, რომ აქ მთები, თითქო რაღასაც დაუმახინჯებიათ, ოკრო-ბოკროდა სდგას, ან, შეიძლება, იმატომაც დარქმეოდეს ეს სახელი, რომ თვით იანტრა ხიდს ქვემოდ მარჯვნივ უხვევს და თითქო ყოყმანობსო—დუნაის შევუერთდე, თუ მის გვერ-დით, მხარ-და-მხარ ვიდინო და პირ-და-პირ ზღვისაკენ გავსწიო-ვო. მაგრამ, თუ ვინიცობაა კრივენა ოდესმე დიდ ქალაქად იქ-ცა, გამდიდრდა და სახელი გაითქვა, მაშინ, ათასის წლის შე-მდეგ, უეჭველია, ისტორიკოსებიც გამოჩნდებიან და საინტერე-სოდ ექმნებათ ამ სოფლის გაჩენის ამბავი. ეს ადვილად შესა-ძლებელია. აიღეთ თუნდა ოდესა. ამ ასის წლის წინად განა უბრალო მეთევზეთა სოფელი არ იყო ეს ქალაქი? მაგრამ ეს მომავალის საქმეა. ეხლანდელი კრივენა კი არც მდიდარია, არც არავინ იცნობს და არც ქალაქია. ყოველივე მისი ღირ-სება—მექანეა, რომელიც მართლ-მორწმუნეთათვის—ყავახანაა, ხოლო ურჯულოთათვის—სამიკიტნო. ეს ორნაირი ხასიათი ამიტომა აქვს, რომ მისი პატრონი ცინცარია,—რომელიც თი-თქო რუმინელიაო, მაგრამ რუმინელი არ არის, თითქო ბო-ლგარელი არისო, მაგრამ არც ბოლგარელია, თითქო ფადი-შაჰის ქვეშევრდომიაო, მაგრამ არც ესაა. ლაპარაკობს რუმი-ნულად, ბულგარულად, ოსმალურად, რამდენიმე სხვა ენაც კი-დევ იცის, თავისი საქმე მშვენივრად ესმის და კარგადაც მი-ჰყავს, და, გარდა ამისა, კიდევ რაღაცეებს აკეთებს. მაგრამ ამის შესახებ არც რუშჩუკის გუბერნატორმა, არც სისტოვოს ქაიმაქანმა და არც ერთმა ზაფთიმ არაფერი უნდა იცოდეს და არც იციან. ფიქრადაც არ მოუვიდოდა არავის, თუ ის რაიმე სა-ეჭვო „მისთიშულს“ აკეთებდა. ყველანი „მექანჯის“ ეძახდნენ,

ვითომ-და მექანეს პატრონიო, თუმცა მისი სახლი მექანე, ე. ი. ბაკები სრულებით არ იყო, რადგან არც თავლა ჰქონდა და არცა რამ მიშენებული ფარდული. ჩალით დახურული სახლი ორ თანასწორ ნაწილად განიყოფებოდა. მოაჯირის მარჯვნივ კარგად მოზრდილი ბუხრიანი ოთახი იყო,—შიგ რამდენიმე ხის სკამი იდგა და ხისავე დაზგა, რომლის უკან, რათა ოსმალოთ არ დაენახათ, თაროზე ჭიქებს გვერდით არაყით და მასტიკით სავსე ბოთლები ელაგა. ოსმალნი დაზგას უკან ცნობის-მოყვარეობით იჭყიტებოდნენ ხოლმე, თუმცა რჯული მხოლოდ ბუხრის ყურების ნებას აძლევდათ, სადაც დილიდან საღამომდე ნახშირი ღვივოდა, ხოლო ბუხრის რაფაზედ გამწკრივებული იყო ფინჯნები, ლანგრები, ხის ყავადანები, რძიანის ყავით, და რამდენიმე ნარგილე, ყელიან ბოთლების მსგავსი, რომელთაც თავზე თიხის ყალიონები ჰქონდათ დაცობილი და ტყავის ტარები მიბმული. ფანჯრების მაგივრად კედელში ოთხ-კუთხი გამოჭრილები ჰქონდა, საიდანაც სინათლესთან ერთად ჰაერიც შემოდიოდა, რადგან მის შემოსვლას არც შუშა უშლიდა და არც სხვა რამ, ზამთარში ხარის ბუშტებ გადაკრულ ჩარჩოებს ჩაუსვამდნენ, ზაფხულში კი ისევ გამოიღებდნენ და სხვენში შეინახავდნენ. ღამ-ღამობით ფანჯრებს შიგნიდან დარაბებით ჰხურავდნენ.

ჩვენის მექანჯის პეტოს თავი-და-თავი მუშტარი მგზავრები იყვნენ. კრიკენის მცხოვრებნიც აძლევდნენ თავის წილ ღალას, სულ უკანასკნელს, ორასს პროცენტს მაინც იმ თანხისას, რომელიც ერთს დროს დაჰხარჯვია ამ დუქნის გაკეთებაზე. მაგრამ ყველაზე მეტი ფული მექანჯის დახლში სიტოვის ბაზრობას ჩადიოდა. ყველა მუსლიმინი, ყველა ქრისტიანე ქკევითი, თუ ცხენით მიმავალნი სისტოვოში იანტრის მარჯვნივ, ან შინათკენ დაბრუნებულები, უეჭველად მექანეში შეუხვევდნენ,—ზოგი ყავას მოითხოვდა, ზოგი ერთ-ორ არაყს გადაჰკრავდა,—საბაზროდ მხნეობა და ძალა მოიკრიბოთო. ბაზრობას პეტო დილიდან საღამომდე საქმეში იყო გართული, მდულარეში ჩავარდნილ ბუზსავით ფუსფუსებდა და ციბრუტივითა ტრია-

ლებდა. კრივენელი ბიჭიცა ჰყვანდა, დღიურად დაქირავებული, ამ დროს. სხვა დროს-კი ყველაფერს თვითონვე უძღვებოდა. ხანდისხან კიდევ ისეთი დღეც გამოერეოდა, რომ დუქანში კაცი არ შეიხედავდა. მაშინ პეტო სთვლემდა, ოცნებობდა და, როგორც ვესტალებს, ბუხარში გაუქრობელი ცეცხლი ენთო, ამასთანავე ყურები დაცქვეტილი ჰქონდა და ისე განიმახვილა სმენა, რომ მუშტრის მოახლოვებას შორიდანვე შეიტყობდა ხოლმე; მთის გადაღმა ურმის ჭრიალს ყურს მოჰკრავდა თუ არა, წამოხტებოდა, ბუხარში ნახშირს შეჰყრიდა, აიღებდა საბერველს და ქვეშიდან ბერვას დაუწყებდა.

იმ დღეს, რა დღიდანაც ჩვენი მოთხრობა იწყება, პეტოს საქმე არა ჰქონდა-რა. დაჯდა სკამზე, ხელები გულზე დაიკრიბა და ხანდისხან ხელს იქნევდა. ხელის ქნევის მიზეზი ბუზები იყო, რომელთაც მექანჯი თავისს პირისახეზე თავისუფლად მოგზაურობის ნებას აძლევდა; მხოლოდ არ უნდა მიჰკარებოდნენ ცხვირის იმ მიდამოს, სადაც ცხვირი ზედა ტუჩთან ერთდება. ბუზი ცხვირის ნესტოებს მიუახლოვდებოდა თუ არა, პეტო გამოიღვიძებდა და გაჯავრებით უქშევდა; ხანდისხან ილანძღებოდა კიდეცა და თავის გულში ამბობდა: ნეტავ ვიცოდე, ამ ბუზებს რა უნდათ, რომ ცხვირში მიძვრებიან და უეჭველად უნდათ შეიტყონ, რა ამბავია იქაო?—წარმოიდგინეთ, ბუზებსაც კი დასწამა ჯაშუშობა!

„ფეზევენქ!“...—დაიბუზღუნა პეტომ და ცხვირის ნესტოები მოიფხანა.

ფანჯრის წინ რაღაც გამოჩნდა. პეტო წამოდგა და ბუხარს მიუახლოვდა. ოთახში ჯერ ერთი კაცი შემოვიდა, იმას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე. სახლის პატრონს ზურგი ისევ შექცეული ჰქონდა, თითქო მთელი მისი ყურადღება ცეცხლის გაჩაღებაზეა მიქცეულიო, ის კი არა თუ, შემოსულები არამცთუ დათვალა, ყველასი შეხედვაც კი მოასწრო. შემოსულები ოსმალოს პოლკის ნიზამები იყვნენ, დუნაის პირად მდებარე ქალაქებში განაწილებულნი. პირველს ნიზამს აფიცრის მუნდირი ეცვა, გულზე აფი-

ცრისავე ნიშანი ჰქონდა, გვერდზე მოკლე ხმალი ეკიდა, ქამარში რევოლვერი გაერჭო, თავზე ფორმის ფოჩიანი წითელი ფესი ეხურა, ფეხებზე კიდევ ზონრებით შესაკრავი ფაჩუჩები ეცვა. დანარჩენებს მდაბალ ჯარის-კაცთა ტანისამოსი ეცვათ, მხოლოდ ერთს მხარზე ნიშანი ჰქონდა, ეტყობოდა, ათისთავი ან ონბაში უნდა ყოფილიყო. მათის აფიცრის ჩინი ევროპიელ მხედრობის სულ დაბალ ხარისხის აფიცრის ჩინს უდრიდა,— ერთის სიტყვით, მილიაზიმი იყო. პირდაპირ შევიდა ოთახში, გაჩერდა სკამთან, დაჯდა და მოიკეცა ზედ. ასევე მოიქცა ონბაშიც, მხოლოდ ჯერ ზურგიდან აბგა მოიხსნა და თოფი კარებთან მიაყუდა. სხვებმაც ონბაშს მიჰბაძეს. ჩამომწკრივდნენ ასე, ყველამ უბიდან ამოიღო ქისა-სათუთუნე და აუჩქარებლივ ყალიონის ვსებას შეუდგნენ.

— ათეშ (ცეცხლი)!—დაიძახა, ვინც პირველად მოასწრო ყალიონის გავსება თუთუნით.

მექანჯიმ ცეცხლი გააჩაღა და გაღვივებულ ნახშირზე წყალით სავსე ყავადანი დასდგა. მერე ქამრიდან მაშა გამოიძრო, დასწვდა ანთებულს ნახშირს და ოსმალოს მიაწოდა. ამავე სახით მიაწოდა მეორეს, მესამეს, მეოთხეს—სულ უკანასკნელამდე. შვიდნიენ ყალიონიდან თამბაქოს ბოლს ბოლქვა-ბოლქვად უშვებდნენ.

— ბირ აზ ყავე,—უგულოდ წამოიძახა მილიაზიმმა.

ერთი ყავე მოიტაო, ესე იგი, უფროსმა ერთი ფინჯანი შავი ყავა მოითხოვა. მექანჯიმ დიდ თუნუქის ყავადანიდან ცოტაოდენი წყალი პატარა ყავადანში გადაასხა და ცეცხლზე შემოსდგა; როცა წყალი ცოტათი წამოდუღდა, ერთი კოვზი დაფქული ყავა ჩაჰყარა და ხელახლა ცეცხლზე შემოსდგა; წამოადუღა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ; მერე აიღო ლანგარი, ზედ პაწაწინა ფინჯანი დადგა თუნუქის ლამბაქზე, მეორე ხელით კიდევ ყავადანი აიღო, მივიდა მილიაზიმთან, დაასხა და შესთავაზა სასმელი, რომელსაც ზოგიერთნი ნეკტარს უწოდებენ, თუმცა მთლად გასქელებული იყო. ოსმალომ ფინჯანი ფრთხილად აიღო, დასწვდა ტუჩებით და ჰაერთან ერთად სას-

მელზე გადაფენილი სისქეც შეისუტა. ლექის ზემო ნაწილი შეხვრიტა თუ არა, გამოცდილ გასტრონომსავით, თითქო რასმე გემრიელ საჭმელს პირში ვიდებო, პირი ჩაიტკბარუნა, მერე გულზე ხელი დაისვა და თან ბოლს უშვებდა, თან ყავას შეექცეოდა.

ხელქვეითთაც უფროსს მიჰბაძეს და სათითაოდ ყველამ მოითხოვა ყავა. მექანჯიმ ყველა დააკმაყოფილა, მერე ბუხართან აიტუზა, ხელები გულზე დაიკრიბა და სხვა ბრძანების ასრულებას ან ლაპარაკს ლოდინი დაუწყო. მეტი არაფერი უბრძანებიათ. მაგრამ ცოტა ხნის უკან პეტოსა და მილიზიმს შორის ლაპარაკი ჩამოვარდა. ჯერ კი ჩვეულებრივი ჭაშ გელდი და სიფოთ გელდი სთქვეს. მერე მილიაზიმმა ჰკითხა:

— ნე ვარ, ნე ექ (თქვენში რა ამბავია)?

— სევ ბილირ, ეფენდიმ (შენ თვითონ მოგეხსენება, ბატონო),—უპასუხა პეტომ.

მილიაზიმმა ჩიბუხი პირში ჩაიდო, მოსწია, პირიდან ბოლი გამოუშვა და ხელახლა ჰკითხა:

— ამ შენს ყავახანაში ბევრი ხალხი შემოდის?

— ასე, ხან ბევრი, ხან ცოტა.

— არ იცი, სადაურები არიან?

— უფრო ხშირად ა იმ...—და რამდენიმე ახლო-მახლო სოფლები დაუსახელა.

— არ იცნობ შენს მუშტრებს?

— ზოგს ვიცნობ, ზოგს არა.

— არ იცნობ... ჰა?

პეტომ მხრები შეიშმუშნა,—უცნობებზე არაფრის თქმა არ შემიძლიანო.

— კარგი და...—ჩააცივდა მილიაზიმი.

— განა იანტრა, რაც ცხვარი მის სასმელად მიდის, ყველასა ჰკითხავს მათს ამბავსა?

— მართალია,—დაეთანხმა მილიაზიმი,—მაგრამ შენ ხომ იანტრა არა ხარ?

— აქაც ისეა. ხალხი ჩემთან ხომ არ მოდის, — ყავის სასმელად მოდის.

— არაყისთვისაც ხო შემოდიან?

— მართლ-მორწმუნენი ყავისათვის მოდიან, რაიები*) კი— არაყისათვის.

— მერე, რაიაც ჩუმადა სვამს, არას ამბობს?

— ხან ჩუმადაა, ხან არა.

— ჰო-და, როცა ჩუმად არ არის, მაშინ რაო!

— მაშინ ლაპარაკობს, ეფენდიმ.

— შენ ხომ სულელი არა ხარ...—გააწყვეტინა სიტყვა მილიაზიმმა, რომელსაც უნდოდა რაღაც შეეტყო.—შენ ჭკვიანი კაცი ხარ და ყურისგდებაც შეგიძლია.

— რა თქმა უნდა,—უპასუხა პეტომ კმაყოფილის ღიმილით.

— მაშ, რა გაიგონე?

— ეჰ, ეფენდიმ!—უპასუხა მექანჯიმ და ხელი გაიქნია:— იმდენი ფარა (წვრილი ფული) რო მომცა, რამდენი სიტყვაც ჩემს ცალს ყურში შედის და მეორე ყურიდგან გადის, მაშინ ჩემისთანა მდიდარი კაცი მთელს დედა-მიწის ზურგზე არავინ იქმნებოდა.

— ჰმ...—ოსმალომ თავი გააქნივ-გამოაქნია.

— ყურს ვუგდებ, მაგრამ არ მესმის... ეგ ჩემი საქმე არ არის.

— ჰმმ...—ბურტყუნებდა მილიაზიმი:—მაგრამ... ხომ უყურებ?

— რა თქმა უნდა...

— როგორ?..—განაგრძო გამოკითხვა ოსმალომ.

მექანჯიმ მხრები ისევ შეიშმუშნა.

— „კომიტა“ ხომ არ გინახავს?

— ეგ რაღაა?..—ჰკითხა პეტომა.

— კომიტა... ჰმ... არც მე ვიცი კარგად,—უპასუხა მილიაზიმმა და თვალებით სალდათებს დაეკითხა.

— კომიტა...—სთქვა ერთმა და მოსწია ნაფაზით ნარგილიდან.

---

*) რაია—ურწმუნო; ოსმალები კერძოდ ბოლგარელთ ეძახდნენ ამ სახელს.

— კომიტა...—განიმეორა მეორემ, დაიხარა და სკამს ჩიბუხით კაკუნი დაუწყო...

— კომიტა...—წარმოსთქვა მესამემ და ჩაფიქრდა.

— ერთგვარი ესნაფი (ხელობა) უნდა იყოს,—ბრძნულად განმარტა მილიაზიმმა.

სალდათებმაც კვერი დაუკრეს. თანხმობის ნიშნად, თავის კანტურს მოჰყვნენ; მექანჯი ვერ მიხვდა და ვერცა სთქვა რამე, სახეზე გულგრილობა ეტყობოდა, აცა კიდევ რას იტყვიანო.

— ერთგვარი ესნაფია,—განიმეორა მილიზიამმა და პეტოს მიუბრუნდა.

— შეიძლება ესნაფიც იყვეს...

— ახლა იცი?

— თვითონ უკეთ იცი, ეფენდიმ.

— სს...—წაიჩურჩულა ოსმალომ და თავი გაიქნია.

— ამისთანა ესნაფისათვის კაცს ოფსუში (სატუსაღოში) ამწყვდევენ, ახრჩობენ და თავსაცა სჭრიან... ახლა იცი?

— ფიეე!..—გაიკვირვა პეტომ და თავის ქნევა დაიწყო,—მე კი რამ ალაფრანკა (უცხოური) ხელობა მეგონა.

— არა, ეს ის არ არის.

— მაშ რაა?

— ალბად რამე ა-ლა-ფრანკაა... რაღაც მისტიშუდია... ერთის სიტყვით, კომიტაა...

— ჰმმ...—ამოიოხრა მექანჯიმ.

— ჩვენც ამისთვისა ვართ გამოგზავნილები და შენს მექანეში დავრჩებით, კომიტას თვალყური უნდა ვადევნოთ.

პეტომ არა უპასუხა-რა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მეორე მილიაზიმი ონბაშს მიუბრუნდა.

— გეთაყვა, ღარაჯი დააყენე და აუხსენი, როგორ უნდა მოიქცეს.

— ეჰე?..—ორჩოფობდა ონბაში:—რა ავუხსნა, რაც არ ეიცი?

— ხიდს უყურეს, და, როცა კომიტას მსგავსს რასმე დაინახავს, გააჩეროს და სხვებსაც დაუძახოს... გაიგე?

— მესმის, ეფენდიმ,—უპასუხა ონბაშმა და წამსვე ერთს სალდათს დაუძახა. ესეც წამოდგა, ჩაიცვა ფოსტლები, ხელში თოფი დაიჭირა და ბრძანებას უცდიდა. ონბაშმა გარედ გაიყვანა, ხმა-მაღლა დარიგება მისცა კომიტას შესახებ და მერე უკანვე დაბრუნდა.

— ამბავი?..—ჰკითხა მილიაზიმმა.

— ყველაფერი რიგზეა, ეფენდიმ. ხიდი აქ არის და დარაჯი კიდევ იქა დგას,—სთქვა ესა და ხელით ანიშნა, სად და როგორაო.—თაგვიც კი ვერ გაირბენს ისე, რომ დარაჯმა ვერ შეამჩნიოს.

— თაგვს ვინ დაეძებს, თაგვმა კი არა, ძაღლმაც გაიაროს, კატამაც გაიაროს და კაცებმაც, ოღონდ კომიტა კი ხელიდან არ წაგვივიდეს-და...

— სად წაგვივა!—უპასუხა ონბაშმა და სკამზე ჩამოჯდა:—თუ სხვა გზით არ გაგვეპარა.

— დარაჯები ყველგან დააყენე, ჩემო კარგო.

ამის შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა და ოსმალონი ფიქრს მიეცნენ. ამათსავით არავის ეხერხება ფიქრი, გარინდება და ფიქრი. ყველანი კედლის გასწვრივ ისხდნენ. მექანჯიმ-ფინჯნები თავის ალაგას დააწყო, ცეცხლი გაჩხრიკა, ნაკვერცხლები ნაცარში გაახვია, წყალით სავსე თუნუქის ჭურჭელი ისე დადგა, რომ ცხელი ყოფილიყო წყალი შიგა, მერე გარედ გაიხედა, ფეშტემალით ცხვირი მოიხოცა, ჩიბუხი თამბაქოთი გატენა, მილიაზიმის გვერდთ დაჯდა და ამოიოხრა.

— ვაი ჩვენი ბრალიცა, ეფენდიმ.

— რა იყო?

— ცუდი დრო დადგა.

— როგორა?

— როგორა და ისე, რომ ისეთს ხელობას დაადგნენ, რისთვისაც საპყრობილეში ამწყვდევენ, ახრჩობენ და თავებსაცა სჭრიან.

— მართალია.

— წინედ ასე არ იყო.

— მართალია.

— საპყრობილეში მხოლოდ ავაზაკებსა სხამდნენ, მარტო იმათ თუ ჩამოახრჩობდნენ.

— მაშ!

— შეიძლება, კომიტა და ავაზაკობა ერთი და იგივე იყოს?

— სსს...—უთხრა მილიაზიმმა:—ერთი და იგივე არ არის.

— თუ ერთი და იგივე არ არის, საპყრობილეში რად ამწყვდევენ, ან რად ახრჩობენ?

— ფადიშაჰი ასე გვიბრძანებს, ჯანემ... და, რასაც ის გვიბრძანებს, უნდა ავასრულოთ, არ შეიძლება.

— ოღონდაც,—დაეთანხმა მექანჯი.

— შენის თავის მოჭრა რო მიბრძანონ, ჯანემ, მეც ცულს ავიღებდი და თავს გაგაგდებინებდი, გესმის?

— რა თქმა უნდა... მაგრამ ჩემი თავი ვის რად უნდა?

— ამას ნუ იტყვი, ჯანემ.

— ფადიშაჰი ხომ მე სრულებით არ მიცნობს?

— როგორ არ გიცნობს?—შეეპასუხა მილიზიმი.

— თვალითაც არ უნახვივარ.

— ყური მიგდე, გითხრა. ზაფთი (ჟანდარმი) ხო გიცნობს?

— მიცნობს,—უპასუხა პეტომა.

— ახლა მიყურე: წარმოიდგინე, ზაფთიმ შენი ამბავი აღას უთხრა, აღამ—მუდირს, მუდირმა—ქაიმაქანს, ქაიმაქანმა—ფაშას, ფაშამ—დიდ ვეზირს, და დიდმა ვეზირმა კიდევ—ფადიშაჰს. ამ გვარად, ფადიშაჰმა ყველაფერი იცის და ყველას იცნობს, და შენი სიკვდილი რომ მოინდომოს, ერთს კი ეტყვის დიდ ვეზირს: „კრიეენელ მექანჯის თავი მომიტანეთო“, და შენი თავი მაშინადვე, ტომარაში ჩადებული, პირდაპირ სტამბოლში გაგორდებოდა. ბილირ სენ (გესმის)?

— ბილერამ...—უპასუხა პეტომ და ადგომა დააპირა.

— მოიცა,—უთხრა მილიაზიმმა:—წადი სოფელში და ჩოტ-ბაჯს (მამასახლისს) უთხარი, მილიაზიმი ექვსის ნიზამითურთ მო-

ვიდა, და კრივენელებმა უნდა ასვან-აჭამონ-თქო; ფადიშაჰს იმიტომ კი არ ვემსახურებით, რომ მშივრები ვიყვნეთ.

— ბატონი ბრძანდები,—უპასუხა მექანჯიმ.

ოსმალოების ბატონობის დროს ჩვეულება იყო, ყველა გამვლელს, რა კი მამასახლისს „თესქერს“ (პასპორტს) წარუდგენდა, ნება ჰქონდა საზოგადოების ხარჯით სამი დღე ეცხოვრა: საზოგადოება ვალდებული იყო ბინა და სასმელ-საჭმელი უსასყიდლოდ ეძლია. ოსმალების სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი ამ ჩვეულებით ყოველთვის სარგებლობდნენ. ჯარს მხოლოდ ყაზარმებში ეძლეოდა სურსათი; სოფლად გაგზავნილ რაზმებს კი საზოგადოება არჩენდა რიგ-რიგით,—ერთ დღეს ერთის გლეხის ხარჯი იყო, მეორე დღეს—მეორესი და სხვ. ამ გვარად, მილიაზიმმა პეტოს, მამასახლისთან რომ გზავნიდა, ისიც გააგებინა,—იცოდე, შენც კრივენელი ხარ, სხვებთან ერთად რიგში შენც უნდა ჩადგე და, როგორც სახლის უფროსი, რომელთანაც სტუმრები ჩამოვხდით, უნდა გვარჩინოვო. მექანჯი მიხვდა, საქმე რაშიაც იყო, მამასახლისთან აღარ წავიდა, მხოლოდ მეორე ოთახში გავიდა და ცოლს უთხრა—სალდათებისათვის საჭმელი უნდა დავამზადოთო. მისი ცოლი და ქალი მაშინვე საქმეს შეუდგნენ.

ის ნაწილი სახლისა, სადაც მექანჯის სახლობა ცხოვრობდა, ყავახანასაგან ცოტათი განსხვავდებოდა თავისის მორთულობით. ოთახი დიდი იყო, შიგ არც სელები იდგა, რასაც მდიდარ კაცის სახლში ნახავთ, არც სკამები, არც სხვა რამ დასაჯდომი. ერთად-ერთი ნივთი, ღურგლის ხელით გაკეთებული,—დაბალი და რგვალი მაგიდა იყო, კედელთან მიყუდებული, და თაროები, სადაც ჯამჭურჭელი ელაგა. დაფლეთილი ჭილობები იატაკს ძლივსა ჰფარავდა, კედელთან მუთაქები ელაგა, დაგრეკვილი მატყლ-შერეულ ბუჩოთი გატენილები, ზედ ერთის მხრით ალისფერ ზოლებიანი ჩითი ეკრა, საეკვო სისუფთავისა. ერთ კედელთან განიერ ქვაზედ ბუხარი იყო და შიგ გასაყრელები ჰქონდა ჩატანებული, რაზედაც ჯაჭვები იყო მობმული და ზედ სპილენძის ქვაბები ეკიდა. კართან ხის მსხვილ ლურსმანზე

წყალით სავსე ქვაბი და თუნუქის ტოლჩა იყო დაკიდული. აი ასეთი სახე ჰქონდა იმ ოთახს, რომელიც ერთსა და იმავე დროს სამზარეულოც იყო, საწოლიცა, პურის საჭმელი ოთახიცა და სასტუმროც.

შიგ სამი სხვა-და-სხვა ასაკის ქალი იყო: დაბერებული, მოწიფული და ახალ-გაზდა. ბებერი ძირს იჯდა და მატყლს ართავდა; სიყმაწვილის ღირსეული წარმომადგენელი, ცხრამეტისა თუ ოცის წლის ქალი, ღონიერი და ჯან-მრთელი, დედაბრის გვერდთ იყო მოკალათებული და შალსა ჰქარგავდა წითელის ქაღალდით; მოწიფული დედა-კაცი დიასახლისობდა. როცა ნიზამები შემოდიოდნენ, ოთახის კარი ღია იყო, და დიასახლისმა საჩქაროდ მიხურა.

— რა იყო?—ჰკითხა დედა-ბერმა.

— **ასქერლიარები** (სალდათები) არიან.

დედაბერმა ნაღვლიანად გადაჰხედა ახალგაზდა ქალს. სამივე ქალი გულ-დასმით ყურს უგდებდნენ და შეშინებით უყურებდნენ საიდუმლო კარს, უკანა კედელში დატანებულს; მაგრამ როცა მოაჯირზე ფეხის ხმა მისწყდა, ესენიც დამშვიდდნენ.

— ალბად, სისტოვოდან რუშჩუკში მიდიან, ან რუშჩუკიდან სისტოვოში,—შენიშნა დიასახლისმა,—ყავას დალევენ და წავლენ.

— ღმერთმა ინებოს!—სთქვა დედაბერმა.—მაგრამ...

— რა იყო, დიდედა?—დაეკითხა ქალი, რაკი შენიშნა, რომ დედა-ბერი სიტყვას ვერ ათავებდა.

— ასქერს ყოველთვის უბედურება მოაქვს...

— ესე იგი, როცა ძარცვავს, არა?

— ასქერს ყოველთვის უბედურება მოაქვს...—განიმეორა დედაბერმა.

— აქ ხომ არ დარჩებიან? წავლენ.

— წავლენ!... შეიძლება, წავიდნენ კიდეცა... ნეტავი არ იქმნება, წავიდნენ!.. მაგრამ მათი დანახვა, როგორც საფლავიდან წამოადგარ და ცოცხლებთან მიმავალ მკვდარისა,—ცუდი ნიშანია.

— დიდედავ, დიდედავ!..—იმეორებდა შეშინებული ქალი.

— აქ რაღა უნდათ, ნეტავ ვიცოდე, რუშჩუკსა და ან სისტოვოში ვერ დადგებიან, თუ კი იქ კარგად ეცხოვრებათ!

— ხომ იცი, შვილო, სისტოვიდან რუშჩუკში მიმავალი გზა ჩვენს წინ გაივლის.—შენიშნა დიასახლისმა. ეტყობა, მიხვდა, ნიზამებისთვის საჭმლის კეთება დაგვჭირდებაო, და ბუხართან ფუსფუსებდა.

— ასქერს ყოველთვის უბედურება მოაქვს,—დაატანა დედაბერმა და გაჩუმდა. იმას პასუხიც კი არ გაუცია დიასახლისისათვის, როცა მან, ფეხის-ხმის გაგონებაზე, ფანჯარაში გაიხედა და სთქვა, მექანის წინ დარაჯი დაუყენებიათო. დედაბერმა ამოიოხრა მხოლოდ.

პეტო დერეფანში შემოვიდა და ცოლს მიუბრუნდა:

— აბა, ჩქარა შვიდის კაცის სუფრა. მარიიკა სალამოზე დრაგანიცაში წავიდეს.

დიასახლისს ყოველივე სანოვაგე მზადა ჰქონდა; მაშასადამე, მჭადის ცხობას უნდა შესდგომოდა, მხოლოდ ამასაც მალე გამოაცხობდა. სანამ სხვა საჭმელები კეთდებოდა, ქალმა ცომი მოზილა, დიასახლისმა კოვზის ტარით კიდევ კარგად დაზილა, კერა გაწმინდა, შესდო შიგ, ზედ ნაცარი მოაყარა და სუფრის გაშლას შეუდგა. ხონჩას სუფრა გადააფარა, ზედ სუფრის ოდენივე ლანგარი დადგა, და ლანგარზე კიდევ: სამარილე, საპილპილე, რამდენიმე პატარა თეფში,—ერთზე შემწვარი მუხუდო ეყარა, მეორეზე კიდევ ზეთის-ხილი; გარდა ამისა დააწყო ხის კოვზები, შუაში კიდევ ერთი სინი თავ-მოდგმული ფლავი დადგა. როცა ყველაფერი დაამზადა, დიასახლისი დედას მიუბრუნდა:

— დედა!

დედაბერი წამოდგა, თითისტარი გადასდო, ხელში ხონჩა დაიჭირა და აივანზე გამოვიდა; აქ მექანჯი მიეგება.

— გარედა სჭამენ,—უთხრა პეტომ.

დედაბერი გაჩერდა და უცდიდა, სანამ მთელმა რაზმმა წინ არ გაუარა. სულ ბოლოს მიმავალი მიალიზიმი დედაბერს დააცქერდა და პეტოსა ჰკითხა:

— კაცო-და, არც ყმაწვილი ქალი გყავს და არც ქალიშვილი?

— არა, ეფენდიმ.

— ჯანემ, შენ ხო ცოლიანი ხარ?—დაეკითხა ოსმალო, როცა მექანის გვერდთ მდგარ კაკალს დაუპირდაპირდა.

— ევეთ (დიახ), ეფენდიმ,—უპასუხა პეტომ.

— მაშ რატომ შენს ცოლს არ მოაქვს საჭმელი?

— ჩემი ბებერი უქეიფოდ არის.

და სიტყვა „ბებერი“ მკაფიოდ წარმოსთქვა, რომ მილიაზიმი მიეხვედრებინა—ჩემი ცოლი ახალგაზდა არ არისო, ამიტომ რომ ოსმალები გათხოვილს ქალებს უფრო ეტანებიან, ვიდრე გასათხოვრებსა. მას შემდეგ, რაც აბდულ-მეჯიდის თანზაჩათი გამოიცა, კანონი გასათხოვარ ქალებს მფარველობდა, და, მაშასადამე, ისეთის დაბალ ხარისხოვან აფიცრისათვის, როგორიც მილიაზიმი იყო, მათთან საქმის დაჭერა ისე ადვილად ჩასაფარცხი არ იყო. მაღალ ხარისხოვან მოხელეთ, რა თქმა უნდა, კანონის დარღვევა შეეძლოთ, მაგრამ მილიაზიმს კი ამისთანა საქციელისათვის დაუსჯელად არ გაუშვებდნენ. ზოგიერთ ამისთანა ვაჟბატონების სამაგალითო დასჯამ მათს თავგასულობას აღვირი ამოსდო, და მას შემდეგ გასათხოვარ ქალებს მაინც ფრთხილად ეპყრობოდნენ. ეს კანონი გათხოვილებს არ შეეხებოდა, ისინი, გაბატონებულ ხალხის აზრით, საზოგადო საკუთრებად ითელებოდნენ.

მილიაზიმმა და ნიზამებმა შუაში სუფრა გაიშალეს და გარს შემოუსხდნენ კაკლის ჩეროს ქვეშ; მექანჯიმ დედაბერს ხონჩა გამოართვა და შუაში ჩაუდგა. დედაბერმა ხელსახოცში გახვეული მჭადი მიუტანა, მექანჯი კი საპნისა, წყლისა და ტასტის მოსატანად წავიდა. დაიბანეს ხელები. მჭადი მილიაზიმს გადასცეს. ამანაც გასტეხა და ყველას ცხელ-ცხელი ნაჭრები წინ დაუდო. ოსმალონი თითების ბერვით სტეხდნენ მჭადსა, ასორსოლავებდნენ და ჰყლაპავდნენ. ამისთანა გუნდები ერთმა ორი ჩაყლაპა, მეორემ—სამი. ბოლოს, მილიაზიმმა ხელით ფლავის ჭამა დაიწყო და ამით თავისს ხელ-ქვეითებს ანიშნა, აბა

თქვენც შეექეცითო. ესენიც მადიანად საჭმელს შეუდგნენ. ყველანი ჭამაში იყვნენ გართულნი. ხანდახან წყალს დააყოლებდნენ ზედ ფლავს და დოქსაც ერთმანერთს აწვდიდნენ.

## II

კრივენას მექანეს გვერდით, კაკლის ჩეროს ქვეშ, ხონთქრის მხედარნი მადიანად ილუკმებოდნენ. პეტო გულუხვობდა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ყველა ამისათვის გროშსაც ვერ მიიღებდა. დიასახლისმა მარტო ფლავი იმდენი გააკეთა, რომ შვიდს კაცს შეეძლოთ ყელამდე გამაძღარიყვნენ. მაგრამ ფლავი მხოლოდ პირველი კერძი იყო. იმის შემდეგ სუფრაზე „ჩორბა“ გაჩნდა: ეს გახლდათ მეავე წვენი, ნალბიანი, რომელშიაც ხორცის ნაჭრები ტივტივებდა; ჩორბას სოუსი მოჰყვა, თათრულ პილპილ მოყრილი; კვერცხებს შემწვარი თიკნის ხორცი მოჰყვა. ოსმალებმა გაიხსნეს მუნდირები და ყველაფერი, რის გახსნაც კი შეიძლებოდა; დინჯად, სვენებ-სვენებით, მაგრამ გულმოდგინედ. აქრობდნენ ღვთის მოწყალებასა, სცდილობდნენ ჯამებში არა დარჩენილიყო-რა. ოხრავდნენ, ქშინავდნენ, მუცლებს იბრუნებდნენ, საქმეს კი მაინც კეთილ სვინდისიერად ასრულებდნენ. თავ-დგომად დედაბერი და თვითონ მექანჯი იყვნენ: დედაბერს ჯამები მიჰქონდა და მოჰქონდა, ხოლო პეტო ცარიელებს აცლიდა და სუფრაზე სავსეებსა სდგამდა.

პურის ჭამის დროს ხიდზე უცბად რამდენიმე კაცი გამოჩნდა. ყველაზე უწინ ონბაშმა დაინახა; მილიაზიმს ფრთხილად იდაყვი წაჰკრა.

— შეხედე!

— რა იყო, ჩემო კარგო?—დაეკითხა მილიაზიმი და ხიდს გადაავლო თვალი:—ვიღაც კაცებია...

— კომიტა ხომ არ არის?—წასჩურჩულა ონბაშმა.

— იმასაცა ვნახავ... ჩვენს პირდაპირ არ უნდა გაიარონ?

მგზავრებიც მალე მიუახლოვდნენ. თორმეტიოდე კაცი იქნებოდა, ორისავე სქესისა. სამი ბავშვი თვითონვე მოდიოდნენ;

ორი ულულური, მსხვილ ტილოს ნაჭრებში გახვეული, დედაკაცებს ზურგით მოჰყავდათ; კიდევ სამი ქალი რის ვაივაგლახით მოათრევდნენ ჭუჭყიან ფოტებში გახვეულ ბარგსა. ერთ მოხუცებულ დედაკაცს ხელში გრძელი ჯოხი დაეჭირა, და, იმაზე დაყრდომილი, ძლივას ადგამდა ფეხებს; ერთი კაცი სახედარს მოერეკებოდა, და ორი სხვა კიდევ გვერდთ მოსდევდნენ.

— ჩანგონდაარ (ბოშები), — სთქვა ონბაშმა.

— ნახე, აბა კომიტას რა მიუგავს, — უპასუხა მილიაზიმმა.

ბოშები ახლოს მივიდნენ და გაჩერდნენ. დედაკაცებმა ბარგი მოიხსნეს და ძირს დასდვეს. ოსმალების წინ გამოიჭიმნენ, რაზმად დაეწყვნენ; კაცმა მართალი უნდა სთქვას, რომ რაზმს არც წეს-რიგი რამ ეტყობოდა, არც რიგიანი დარაზმულობა, მაინც ყველამ — ქალმა თუ კაცმა, დიდმა თუ პატარამ, ერთის სიტყვით, ყველამ, იმ სუფრას მიაპყრა თვალები, რომელსაც ხონთქრის მხედარნი უსხდნენ.

— ბიჭოს? — წამოიძახა განკვირვებით ონბაშმა.

ამ დროს მილიაზიმი ძვალსა ხრავდა, ბოშების დანახვაზე ძვალი პირიდან გამოიღო და გადუგდო. ესენიც გაშმაგებით ეძგერნენ ძვალსა, ძვალს პირველად ერთი ბავშვი დააცხრა, მაგრამ ქალი მივარდა და ხელ-დან გამოჰგლიჯა. კაცმაც თავი გამოიდო, ქალს ხელი დაუჭირა და უნდოდა გემრიელ ლუკმას დაჰპატრონებოდა. ახლა ონბაშმა გადისროლა ძვალი. ერთმა სალდათმა თიკნის თავი გადუგდო. ბოშებს ერთი ტკრციალი შეუდგათ. მათი ყურება ოსმალოებს ძალიან ართობდა: უცქეროდნენ და იცინოდნენ. ბოშები დამშვიდდებოდნენ თუ არა, ისევ გადაუგდებდნენ ძვალსა და ხელ-ახლა ბრძოლა შეიქმნებოდა. ბოშების ქალი და კაცი მიწაზე ჰგორაობდნენ, ოსმალოები კი სიცილით ფერდებს ვერ იჭერდნენ და მებრძოლთ „ვაშა, ვაშას“ ძახილით აქეზებდნენ.

— აი, ყოჩაღ ქალო, აბა, ვინძლო, არ გაჯობოს!.. სარმა მაგას... აი მაგრე... ჰჰ... ყელში წასწვდი, ყელში.

— არიქა, კაცო!... ქალმა არ გაჯობოს!.. დააზილე...

ამ ბღლაძუნსა და გორაობაში ბოშები არამც თუ ზრდილობის წრეს გადადიოდნენ, ზნეობასაც კი ფეხ-ქვეშ სთელავდნენ. ამ შემთხვევაში სალდათები გონებასა ჰკარგავდნენ! აფიცერი და მისი ხელ-ქვეითნი იმდენს იცინოდნენ, რომ ცრემლებს ვერ იმაგრებდნენ და ყვირილი დაიწყეს:

— არიქა!.. კიდევ... კიდევ...

მათს სიუხვეს სამზღვარი აღარა ჰქონდა. მექანჯიმ ტკბილი მოიტანა: მურაბა, ჰალვა, რახათლუქუმი. მურაბის გადაგდება ვერ ეხერხებოდათ, სამაგიეროდ ჰალვა და რახათლუქუმი გემოდაც არ უნახავთ,—სულ ბოშებს გადაუყარეს.

ბოლოს, მექანჯიმაც შესწყვიტა საჭმელების მოტანა. ბოშები შეჯგუფდნენ და თითქო რაღაცას ელოდნენო.

ვინც კარგად დააკვირდებოდა ამ ამბავს, მიხვდებოდა, ეს აურ-ზაური, ბოშების-მიერ ატეხილი, უფრო მასხრობა იყო და შიგ სამართლის ნატამალიც არ ერია. ამდენი ამბავი იმიტომ დააწიეს, რა არი —ეგებ ცოტა რამ გადმოგვიგდონ ბატონებმაო. ჭამაც გათავდა და იმათაც ხმა ჩაიწყვიტეს. ბებერი ბოშა დედაკაცი ჯგუფიდან გამოერჩია, მიუახლოვდა სუფრას, მილიაზიმის წინ გაჩერდა და რაღაც ტუტუნს მოჰყვა.

— ჰმ.... ალბად ფარა მოგინდა, ბებერო,—შეჰნიშნა აფიცერმა.

— გამიკითხეთ, თქვენის მუხლის ჭირიმე, მოწყალება მოიღეთ... საიქიოს ალლაჰი მოგაგებსთ სამაგიეროს.

— ამდენი საჭმელი რომ მოგეცით, რით არ გეყოთ?

— მე არაფერი მრგებია, ჩემო კარგო... არა, ღმერთმანი... აბა მოხუცებულს სად შემიძლია... სულ ახალგაზდებმა წამართვეს... გაიკითხეთ მოხუცებული და მონლიაირი და ნანქირი ყველაფერს დასწერენ, და, თუნდაც თქვენ დაგავიწყდეთ, ისინი გაიხსენებენ თქვენს სიკეთესა.

— რას მიჰქარავ, მუქთად რაში უნდა მოგცეთ?—შეუტია ერთმა სალდათმა.

— არა, გენაცვა, მუქთად არც მე მინდა: ისეთი რამ ვიცი, პირიქით შემომეხვეწები... რა სნეულება გინდა, არ განვკურ-

ნო, მკითხაობაც ვიცი.—ოსმალებს მკითხაობა ბევრ არაფრად ეპიტნავებათ, ბედისწერა ისე სწამთ, რომ მომავალის შესატყობად თავს არ იცხელებენ; ის მოხდება,—ამბობენ ისინი,—რაც წიგნში სწერია, და, რაც არა სწერია, არც იქნებაო.—ამიტომ მილიაზიმი ბოშა დედაბერს გულგრილად უყურებდა, მერე ამხანაგებზე მიუთითა და ჰკითხა:

— რამე დასაკრავი ხომ არა აქვსთ?

— როგორ არა, ჯანემ,—უპასუხა დედაბერმა.

— კარგი...—შეჰხედა მილიაზიმმა სალდათებს და უთხრა: —მოდი, არაყი დავლიოთ.

ონბაშმა ამოიოხრა, სალდათებმაც ამოიოხრეს, ერთმა თითქო დაიკვნესა კიდეცაო.

— რა იყო? რას იტყვი?—დაეკითხა მილიაზიმი.

— ცუდი არ იქმნებოდა,—უპასუხეს ყველამ.

— არაყი ხომ შაროფი (ღვინო) არ არის,—ბურტყუნებდა ბოშა.—მაჰმადმა მართლმორწმუნეებს მარტო ღვინის სმა აუკრძალა, არაყზე კი ყორანში არაფერია ნათქვამი.

— მაშ,—დაიწყო მილიაზიმმა.—მექანჯიმ არაყი მოგვიტანოს და ბოშებმა დაუკრან, იმღერონ და ითამაშონ... მაშინ,—დაუმატა მან, რა დაინახა, რომ დედაბერი აღარა შორდებოდა,—შეიძლება, ფულიც გამოგვაჩნდეს.

— კარგი, გენაცვა... დაუკრავენ და ითამაშებენ,—სთქვა დედაბერმა და განშორდა.

— რა არაყი მოგართვათ?—ჰკითხა პეტომ.

— მასტიკა,—უპასუხა მილიაზიმმა. სხვებმაც, თანხმობის ნიშნად, არა სთქვეს-რა. რამდენისამე წამის შემდეგ მაგიდაზე გაჩნდა ბოთლი, დოქით წყალი და ყველასათვის სათითაოდ პატარა ჭიქები; მექანჯიმ ბოთლი ხელში აიღო, ჭიქები წმინდა სასმელით გაამესამედა, მერე წყალით გაავსო; სასმელი აიმღვრა და რძესავით გათეთრდა. ამ სასმელს—ჩვენს შორის კი დარჩეს—მეტად გემრიელს და ფისის სუნიანს — აღმოსავლეთის ხალხი ძალიან ეტანება და ულმერთოდა თვრება იმითი. თეთრი ფერი, უმანკოების სიმბოლო, უფრო საშიშროდა ხდის. ოსმალოებს უფრო ძლიერ უყვართ მისი სმა.

გამოჩნდა თუ არა მაგიდაზე მასტიკა, ბოშების საკრავის ხმაც გაისმა. მაგრამ უნგრელ ბოშების მუსიკა კი არ იყო, რომ-ლის დაკვრის დროსაც ხშირად ესმის კაცს სხვა-და-სხვა მარ-შები, ჩარდაშები, და თვით ლისტის თხზულებათაგან ამოღე-ბული საგალობლები,—არამედ პირვანდელი მუსიკა იყო; ერთ-სა და იმავე ნირ-შეუშლელს ჰანგს იმეორებდნენ ერთ-კილრვა-ნებით, საკრავებად კიდევ დიპლიპიტო და სტვირი ჰქონდათ. ერთმა ბოშამ სტვირი პირში ჩაიდო, მეორემ დიპლიპიტოს დაუწყო ბრაგუნი და ყურთათვის აუტანელი ხმები გაისმა. ცო-ტა ხანს ამაზე უკრავდნენ, მერე სევდით სავსე სიმღერა დაი-წყეს. ყოველს სტრიქონს იწყებდნენ და ათავებდნენ „ამან-ამან“-ის რამდენჯერმე გამეორებით.

„ამან, ამან, ამან!...—ჰკვნესოდა მომღერალი:—შავთვალა ქალი... ამან, ამან, ამან!... ამან, ამან, ამან, შავი, ეუეუნა თვა-ლები! ამან, ამან, ამან“... და სხვ. როცა შავს თვალებს ხოტ-ბას ასხამდნენ, გამოვიდა ერთი ბოშა ქალი, დაუარა და ისევ თავისს ალაგს გაჩერდა; ახლა მეორე გამოვიდა, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე, და ყველამ ერთი და იგივე განიმეორეს. ამ ხუთს ქალში მარტო ორსა ჰქონდა გასათხოვარ ქალის სახე. ყველა გამხდარი, მოუძლურებული იყო, შავგვრემანი, თეთრ კბილება, გაფითრებულის ტუჩებითა, ცეცხლის მფრქვევის თვა-ლებითა და შავის, გაწეწილის თმებითა. როცა გამოვიდნენ, ყვე-ლა ხტომას მოჰყვა, ფეხებს ატყაპუნებდნენ და ტანს უსირ-ცხვილოდ არხევდნენ. ოსმალები ყოველსავე ამას განუსაზღრე-ლის სიამოვნებით უყურებდნენ, განსაკუთრებით, როცა ქალე-ბი ტრიალებდნენ და შიშველ ფეხებით ერთმანეთსა სცემდნენ ტიტველ ადგილას. ამ ტყაპუნის ხმა ლოყაზე გაკრულ სილის ხმასავით გაისმოდა და მაყურებელნი აღტაცებაში მოჰყავდა. სალდათები მასტიკას მიირთმევდნენ და მხიარულობდნენ. რო-გორც იყო, წარმოდგენაც გათავდა და დედა-ბერი ბოშა ისევ მაგიდასთან მივიდა.

— ფული გინდა, განა?—ჰკითხა მალიაზიმმა:—ფული, არა? კარგი-და, დათვი რატომ არა გყავსთ?

— გვყავდა, მაგრამ მოგვიკვდა, ჯანემ,—უპასუხა ამოოხვრით დედა-ბერმა.

— დათვი რო გყოლოდათ, მაშინ ყურუშსაც მოგცემდით.

— მეც მოგცემდი,—წამოიძახა ერთმა ალდათმა.

— მეც მოგცემდი,—განიმეორეს ყველამ სათითაოდ.

ერთბაშად ონბაშმა ჭილიაზიმს ხელახლა იდაყვი წაჰკრა გვერდში და ხიდზე მიუთითა.

— ვილაც კაცია... კომიტა ხომ არ იქმნება?

მილიაზიმმა შეჰხედა, მერე ერთს ნიზამს ანიშნა და უბრძანა, დარაჯად დამდგარიყო. ნიზამმა ბრძანება აღასრულა: წამოდგა, მუნდირის ღილები შეიკრა, თოფი ხელში დაიჭირა და ის-იყო დადგა დარაჯად, რომ ამასობაში მგზავრიც მექანეს დაუახლოვდა. მისი გარეგნობა დარაჯს საეჭვოდ სრულებით არა სჩვენებია. ფეხთ ტყავის ქალამნები ეცვა, წვივებზე საცვეთები გაეკეთებინა, ტანთ გლეხური ჩოხა ეცვა, თავზე კი ციკნის ქუდი ეხურა. მისი ზანტი მიხვრა-მოხვრა კაცს აოცებდა, თანაც განგებ მოჩვენებული ეგონებოდა; ტუტუცურად სახის დაღრეჯა სრულებით არ ეთანხმებოდა მისს აზრიანსა და ჭკვიანს თვალებს.

როცა მგზავრი, იხვსავით, ბაჯბაჯით მოახლოვდა, დარაჯმა შესძახა:

— **დურ** (გაჩერდი)!.. აქ მოდ!

მგზავრი გაჩერდა, შეჰბღვირა დარაჯს და ისე იდგა, თითქოს თვითონაც არ იცის, რა ჰქმნასო.

— **გიაურ ბურდა** (აქ მოდი!)—ხელ-ახლა შესძახა დარაჯმა.

გლეხი დაემორჩილა, დარაჯმა საყელოში წაავლო ხელი, მიიყვანა სუფრასთან და გააჩერა. მილიაზიმმა აათვალიერ-ჩაათვალიერა და, მასტიკა რომ არ ჰქონოდა დალეული, რა თქმა უნდა, შეჰნიშნავდა, გლეხმა როგორ გადაჰხედა მექანჯის და ან მექანჯიმ გლეხსა. ორივენი კითხვა-პასუხის მაგივრად ამ ურთერთის შეხედვით დაკმაყოფილდნენ; მაგრამ ეს არავის შეუნიშნავს, და, ბოშა დედა-ბერის გარდა, არც არავის შეეძლო

ამის შენიშვნა. ის კი მხოლოდ გლეხს უყურებდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ბევრი არაფერი შენიშნა.

— სადაური ხარ?—ჰკითხა მილიაზიმმა.

გლეხმა ერთი ნაბიჯი წინ წასდგა, დააქნია თავი და დაიწყო:

— მე პ-პ-პ-პოიან-ნ-ნ-იდანა ვარ.

— რა ხელობისა?

— მწ...მწყემ...სი ვარ.

— კომიტას ხომ არ მისდევ?

— ბბბ... ppp... ბბბ...

ვერაფერი სთქვა.

— იცი, კომიტა რასა ჰქვიან?

— არ....არა.

როცა პასუხს იძლეოდა, ისე იჭყანებოდა და ტანი ისე ეჭირა, რომ მისმა მაყურებელმა ონბაშმა წამოიძახა:

— აი დათვი!

— მართლაც რომ დათვია,—განიმეორა მილიაზიმმა.

გლეხმა ამ დროს ამოიოხრა, მაგრამ ამ ამოოხვრაში რაღაც ნადირის ხმა მოისმა.

— აი დათვიც!—უთხრა მილიაზიმმა ბოშა დედაბერს:—ათამაშეთ... თქვენთვის მიჩუქებია... —ითამაშე!—უთხრა მილიაზიმმა გლეხს:—თორემ კომიტად გაგხდი და ციხეში ამოგაყოფინებ თავსა...

როცა მილიაზიმმა ეს სიტყვები წარმოსთქვა, მექანჯიმა და გლეხმა ხელახლად შეხედეს ერთმანერთს; გლეხმა ყრუდ დაიბურტყუნა.

— მოჰკიდეთ ხელი... ითამაშოს! ითამაშე, დათვო! ითამაშეთ, ბოშებო! აბა, ჩქარა!—ჰყვიროდა მილიაზიმი, გამხიარულებული მასტიკით, რომელსაც მექანჯი უხვად სთავაზობდა სტუმრებს.

ეს მკაფიოდ თქმული ბრძანება მაშინადვე სისრულეში იქმნა მოყვანილი. ერთი ბოშა გლეხს მიუახლოვდა, ხელში ჯოხი მისცა, შემდეგ კისერზე თოკი მოაბა, და ორი სხვა ბოშა,

საკრავებით, წინ წამოდგნენ: სტვირმა ჭყვიტინი დაიწყო, დიპლიპიტომ დამაყრუებელი ხმა ამოიღო; ქალები ერთიერთმანერთზე, წინანდელსავით, გამოდიოდნენ და ხელახლა დაიწყეს ველური თამაშობა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წრის შუა ალაგას, რომელსაც ქალები უვლიდნენ, ხტოდა და ბურდღუნებდა ბოლგარელი გლეხი, დათვურად მოთამაშე. სალდათებს სიცილით ცრემლები მოერიათ და დროგამოშვებით, დიპლიპიტოს ბრაგა-ბრუგსა და სტვირის ჭყვიტინში, სახელოვან მხედრობის წრიდან წამქეზებელი ძახილი გაისმოდა. ყვიროდა მილიაზიმი, ბანს აძლევდნენ ხელქვევითნი. მხიარულება მთელი ნახევარი საათი გაგრძელდა. ბოლოს, ოსმალებმა თავიანთი სიტყვა აასრულეს და ბოშები დააჯილდოვეს. ეს დაჯილდოვებაც სასაცილო იყო. ბებერი ბოშა ხელახლა სუფრას მიუახლოვდა, მილიაზიმმა ჯიბიდან ქისა ამოიღო, აიღო ფული და ბოშას დაუძახა; დედაკაცი დაიხარა, და ოსმალომ კი ფული ცალმხრივ ნერწყვით კარგად დაასველა და შუბლზე მიაკრა. იმ გვარადვე მოიქცნენ ონბაში და სალდათებიც. დედაკაცმა ფული შუბლიდან ხელზე ჩამოიბღერტა და ერთს კაცს მისცა. ბოშები წასასვლელად მოემზადნენ. წასვლის წინ კი მექანჯის კარებთან შეგროვდნენ და წყალი მოითხოვეს. მექანჯიმ ერთი სათილი წყალი და ტოლჩა გამოიტანა; პურიც მისცა. ბოშებმაც მადლობა გადაუხადეს, ქება შეასხეს მისს გულკეთილობას, უსურვეს ყოველივე კეთილი და საჩქაროდ გზას გაუდგნენ; ჩქარობდნენ, იმიტომ რომ ტოლჩის მოპარვა უნდოდათ და ცდილობდნენ მექანჯის არ დაენახა, მაგრამ ამაოდ. სანამ ტოლჩას დამალავდნენ, პეტო დათვურად მოთამაშე გლეხს მიუბრუნდა,—უნდოდა ნიზამების თვალთაგან როგორმე დაემალა. წავიდნენ ბოშები—დაიმალა გლეხიცა. მხოლოდ ნიზამები დარჩნენ კაკალ ქვეშ, მაგრამ ისინიც წასულებად უნდა გვეგულისხმნა, რადგან მასტიკამ გონება, მეხსიერება და, საზოგადოდ, გრძნობიერების ყველა ორგანოები-დაუხშო, მოუდუნა. მექანჯიმ სახლიდან ბალიშები გამოუტანა, და იმათაც ხვრინვა ამოუშვეს; თვით დარაჯსაც კი დაეძინა და ყარაულობა მიატოვა. შვიდს

ცხვირის საყვირს ბანს აძლევდა კოღოთ ბზუილი, მწერთა ჭრიჭინი, ბაყაყთ ყიყინი, ძაღლთა ყმუილი და პირუტყვთა ბღავილი. გაიმართა ძილის საგალობელი. ამასობაში დაბნელდა და მდინარე თავისებურის დუდუნით მიდუდუნებდა.

გამაძღარ და გალეშილ მხედართ მდევურის ძილით ეძინათ. ვერც ზარბაზნის ხმა შესძლებდა მათს გამოღვიძებას და ვერც გაბრიელ მთავარ ანგელოზის საყვირი. უფრო ღრმად იმ დროს დაეძინათ, როცა აღმოსავლეთის ცისკიდურზე სინათლის ზოლი გამოჩნდა—განთიადის წინამორბედი. მაშინ ერთი სქელტყავიანების ჯიშის წარმომადგენელი მილიაზიმის თავთან მივიდა ღრუტუნით, პირსა და ცხვირზე დასუნა, დინგითაც ეამბორა, შემდეგ მილიაზემის თავს ქვეშ რაღაცას ძებნა დაუწყო და დინგით აქეთ-იქით აგორებდა მის თავსა. ოსმალო მხოლოდ ბურტყუნებდა, და, ძილშივე მყოფი, იძახდა:

— დაუკარ... ითამაშე... ითამაშე...—ბოლოს ხელი გაიქნია, და ღორიც მოშორდა.

ამ სურათის მოწამენი იყვნენ: მექანჯი, დიასახლისი, მისი მოხუცებული დედა, ახალ-გაზდა ქალი და ვიღაც ყმაწვილი, რომელსაც პალტო ეცვა, თავზე ფესი ეხურა, შარვალი და წაღები ა-ლა-ფრანგული ჰქონდა. საკვირველია, ეს ყმაწვილი საიდგან-ღა გამოსტყვრა?

ამ ამბავსაც მოგახსენებთ.

დათვის ზეპოალწერილ თამაშობის შემდეგ, სანამ ბოშები ტოლჩის მოპარვასა ცდილობდნენ, დათვურად მოთამაშე გლეხი ჩუმად მექანეში შეიპარა და, ყავახანის მაგივრად, პირ-და-პირ სახლის პატრონის ოთახში შევიდა. შევიდა თუ არა, დიასახლისმა გულში ჩაიკრა; დიასახლისი სტოიანს ეძახდა, და ის კიდევ დედას. დედა-ბერსაც დედას უძახდა, მხოლოდ „დიდ-დედას“. როცა დედაბერმა ჰკითხა ასე დაგვიანების მიზეზი, ახლა კი ენა-დაუბმელად უთხრა:

— ბევრი საქმეები გამომაჩნდა, დიდედო... განა ერთგან ვიყავ!..

— აგერ ნახევარ წელიწადია, შვილო, რაც არ მინახევხარ!

— მართალია, მაგრამ ამ ნახევარ წელიწადში გასაკეთებელი კიდევ ბევრი დამრჩა...

— მერე სად იყავ?—ჰკითხა გასათხოვარმა ქალმა.

— ვინ იცის, სად არ ვიყავ... რუმელიაში, მაკედონიაში, სერბიაში, რუმინიაში... ბოლგარეთიც სიგრძე-სიგანეზე გადავთელე.

— ხომ დაღლილი და მშიერი იქნები, შვილო,— შენიშნა დიასახლისმა.

— ისიცა ვარ და ისიცა,—უპასუხა ყმაწვილმა:—დღეს დილიდან მოყოლებული სიარულით მუხლებში წყალი ჩამიდგა, და, დასვენების მაგიერ, ოსმალების წინ მასხარაობა უნდა დამეწყო... ყველაზე მეტად ესა მწყინდა.

— ჩემო შვილიკო, ჩემო ნუგეშო!—წუწუნებდა დიასახლისი და თან ბუხრის წინ მუთაქა დასდო.—აი მანდ ჩამოჯექი, შვილო, დაისვენე, გენაცვალოს დედა-შენი.

— არა, დედი, ჯერ ტანისამოსს გამოვიცვლი.—და სთქვა თუ არა ესა, ქუდი მოიხადა: გარეგნობა სულ ერთიანად გამოეცვალა. მატლი პეპელად იქცა. ლამაზიაო, ვერ იტყოდა კაცი, მაგრამ არც ისე უშნო იყო: შავგვრემანი იყო, სურათი სახე ჰქონდა, და, რაც უფრო პირველია, ჭკვიანური მეტყველება ეტყობოდა სახისა. ასეთი მეტყველება თვით უშნო კაცსაც მიმზიდველობას უმატებს. თმა მოკლედა ჰქონდა შეკრეჭილი, ხოლო ულვაშები მოწმობდა, რომ არც ისე ახალგაზდა უნდა ყოფილიყო. გარეგანის შეხედულებით ასე ოც და ხუთის ან ოც და რვა წლისა თუ იქნებოდა.

— შვილო, ტანისამოსი უნდა გამოიცვალო?—ცოტა არ იყოს, შეშინებითა ჰკითხა დედამ.

— ჰო, უნდა გამოვიცვალო, თორემ მეტად დავიღალე.

— სალდათებმა რომ დაგინახონ?

— აქ რა უნდათ?

—არა, შვილო, მეშინიან... ვინ იცის... ჯერ მამასა ვკითხოთ, რას ეტყვის... მოიკა,—მიუბრუნდა დედაბერს,—წადი, ჰკითხე.

დედაბერი გავიდა, და ცოტას ხანს უკან პეტოც შემოვიდა. დიასახლისმა ყველაფერი უთხრა და თანაც თვის შიშის მიზეზიც დაასახელა.

— რისა, რა ვქნა!...—არხეინად უთხრა პეტომა:—ახლა მილიაზიმს კომიტა ცხვირზედაც რომ დაუსვა, მაინც ვერ შეამჩნევს.

— მაშ ესენი აქ კომიტეტის საძებრად მოვიდნენ, განა?—ჰკითხა სტიანმა.

— ჰო, მაგრამ თვითონაც არ იციან, რა ხელობაა კომიტა.

— ხელობააო?

— ხელობაა, მაშ! ხელობას ეძახიან.

— დარაჯი რიღასთვის დაუყენებიათ?

— როგორც იმათის ლაპარაკიდან გავიგე, ეტყობა, სისტოვოს ქაიმაქანს რუშჩუკიდან მოწერილობა მოსვლია, იანტრის ხიდებზე ყველგან დარაჯები დააყენეო; და, აი, აქაც მოვიდა მილიაზიმი შვიდის სალდათითა... მაგრამ ახლა კი დროა, ოსმალებს მივხედო... ის ერთი ბოთლი მასტიკა მთლად უნდა გამოვაცლევინო, მაშინ უფრო გულდამშვიდებულად ვიქნები. მაშინ თუნდა მთელი კომიტეტი მუსიკით გავატაროთ მათ წინა, მაინც ვერაფერს დაინახვენ. ტანისამოსი გამოაცვლევინე!—უთხრა პეტომ ცოლსა და წავიდა.

სტოიანი მუთაქაზედ ჩამოჯდა და ტანისამოსის ცვლა დაიწყო.

— მეც გიშველიდი,— უთხრა დამ და მიუახლოვდა.

— კარგი, მხოლოდ საცვეთები ფრთხილად გამხადე: ბევრი სხვა-და-სხვა ბარათები მაქვს და არ დამეკარგოს.

ქალმა კანაფები და თასმები შემოხსნა და ფრთხილად გაჰხადა საცვეთები; შიგ კონვერტში ჩადებული წერილებიც იყო და დაწერილ ქაღალდის ნაკუწებიცა. როგორც კონვერტები, ისე ქაღალდები დიდები არ იყო და სულ წვნიკის ხელით იყო დაწერილი. რაც იპოვნა, ყველაფერი ძმას გადასცა. ამ გვარად შემოხსნა ცალის ფეხის საცვეთი და მერე მეორესი; იმაშიც

ქაღალდები იყო. ამ საქმეს რომ მოჰრჩა, ძმის ორივე ფეხი ხელ-ში დაიჭირა, ძირს დაიხარა და აკოცა.

— რას ჩადი, მარიიკა!—შესძახა ახალგაზდა კაცმა და ფეხე-ბი ხელიდან გამოაცალა.

ქალმა ხმა არ გასცა. ადგა და ბუხრისაკენ ყურება დაიწყო.

— ქალო, რა დაგემართა, ხომ არ გაგიჟდი?—მიუბრუნ-და ძმა.

— არა, გენაცვა, მე ვიფიქრე, რომ შენი ფეხები... შენ გატარებენ.

— სულელო, ყველა კაცს ფეხები ატარებენ.

— კი, მაგრამ ყველას იქითკენ კი არა, საითკენაც შენი ფეხები—შენ... ეჰ, სტოიან!—ამოიოხრა ქალმა.

— მერე, რა იყო?.. ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

— მოვალეობაო?— გაიკვირვა დედა-ბერმა და გვერდთ მოუჯდა.—შენ ხომ ბოლგარელი არა ხარ!

— შენ-კი, დიდედო, ბოლგარელი არა ხარ?

— მე?.. ვარ, მერე?

— დედა-ჩემი?

— დედა-შენიც ბოლგარელია.

— მეცა, მამა-ჩემიცა ბოლგარულის რძითა, ბოლგარულის პურითა ვართ გამოზრდილნი, ჩვენ აქ გავიზარდენით, და, რა-კი აგრეა, ნუ თუ იმ მხარეს, რომელმაც ღვიძლ შვილებსავით შეგვითვისა, არაფერი ამაგი მიუძღვის ჩვენს წინაშე?

— უნდა გვიყვარდეს...—უპასუხა ბებერმა.

— შენს პირს შაქარი!—ვსთქვათ, სახლს ცეცხლი წაეკი-და, და ის კაცი, რომელიც ამ ოჯახმა შეიფარა, გულ-ხელ-და-კრებილი შესცქერის აგიზგიზებულ ცეცხლსა და თავისს სიყვა-რულზე ლაპარაკობს. ამისთანა კაცზე შენ რაღას იტყოდი? არა, დიდედო, შენ ასე არ მოიქცეოდი!

— მეშინიან, შვილო, არაფერი მოგვიდეს-და.—უპასუხა ბებერმა ამოოხვრით.

— ეგ სხვა საქმეა, და ახლა კი ამას ვეტყვი, რომ არა-ფრის შიში არ უნდა გქონდეს.

— განა არ იცი, რომ შენისთანებს ოსმალოები სჯიან?

— ის კი არ იცი, რომ სიკვდილი სიცოცხლესა ჰბადავს? ამისთანა სიმკაცრით ოსმალოები თავიანთს თავსავე აძლევენ ზიანსა.

— მე რომ მკითხავდე, ის გერჩივნა, ეაჭრობა დაგეწყო.

— დიდის სიამოვნებით ვივაჭრებდი, მაგრამ უძლეველი ძალა მაერთებს ამ ახალგაზდობასთან, რომლის სიცოცხლე ბეწვზედა ჰკიდია, და მაინც ხალხში თავისუფლების თესლსა სთესავს: დარწმუნებული ვარ, რომ ამ ახალგაზდობის მიერ გაწეული ჯაფა დიდს სამკალს გვიქადის.

— ღმერთმა ქმნას!.. ქრისტემ გაკურთხოთ და მკლავში ღონე გაგიძლიეროთ!—დაუმატა დედაბერმა და გაჩუმდა.

— მარიკა, ჩემი ტანისამოსი მომიტა!—უთხრა დას სტოიანმა.

ქალი განჯინასთან მივიდა, გააღო და ძებნა დაიწყო ტანისამოსისა. ამასობაში სტოიანმა გლეხური ტანსაცმელი გაიხადა და ქვეშიდან რევოლვერი გამოაჩოჩა; როცა დამ, რაც საჭირო იყო, ყველაფერი მოუტანა, ტანისამოსი გამოიცვალა, და მალე მზად იყო კიდეცა. დათვურად მოთამაშე გლეხი ახლა სტოიანს არაფრადა ჰგავდა. ევროპიულად გამოეწყო. ფეხებზე საცვეთები გაიკეთა, პალტო წამოისხა, და მხოლოდ ფესი უმტკიცებდა, რომ ოსმალების ქვეშევრდომი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ფესს ოსმალეთში მცხოვრები ევროპიელებიცა ხმარობენ. უხერხულია, მზისგან თავს ვერ იფარავს, მაგრამ... ხმარებაში შემოვიდა, და ყველანი ჩვეულებას მისდევდნენ.

სტოიანმა ტანისამოსი გამოიცვალა, ჩამოჯდა მუთაქაზედ და სთქვა:

— ახლა კი, მგონი, შევისვენე.

დედა ვახშმის მზადებაში გაერთო და მხოლოდ ხანდისხან გადაჰხედავდა სიყვარულით თავისს შვილსა.

— ასე მგონია, თითქო ცოტა სიმაღლე მოგმატებია, შვილო!

— რა დროს ჩემი ზრდაა, დედა,—უპასუხა შვილმა.

— მართალია, მაგრამ თვალში ასე მეჩვენება...

— არა, რაც იყო, ისევ ის არის,—ჩაერია ლაპარაკში, დედაბერი.

— არა, გაზრდილია, გაზრდილია!—სთქვა დამა.

— რას ამბობ... რას?.. ისევ ის არის-მეთქი...—ამბობდნენ დედა და დიდედა.

— გაზრდილა!—დაიჟინა ქალმა, და ძმას ისეთნაირად დააცქერდა, რომ ყველა მიხვდებოდა მისის სიტყვების მნიშვნელობას. თვითონაც გაუჭირდებოდა სიტყვებით გამოხატვა იმისა, რასაც ჰხედავდა, მაგრამ ჰგრძნობდა, ძმა ზნეობრივ ამაღლებულაო.

— ეჰ!..—დაიძახა ოთახში შემოსულმა პეტომ,—ახლა კი **ასქერები** (სალდათები) მთელს ღამეს ვერ გამოიღვიძებენ. თვითონ ხონთქარიც კი ვერ წამოაყენებს ფეხზე;—აი რა ძალა აქვს ღვთისაგან კურთხეულ მასტიკასა!—ბუხართან დაჯდა და რამდენსამე ხანს ისე აქნევდა თავს, თითქო ეტლში შებმული ცხენიაო, მერე დამშვიდდა, უბიდან ქისა ამოიღო, ყალიონი თამბაქოთი გაავსო და ქისა კი შვილს მიაწოდა.

— არ მინდა,—უთხრა სტოიანმა.

— პაპიროსის ქაღალდიც შიგაა.

— არა ვსწევ.

— რატომ? აკი წინადა სწევდი?

— ვსწევდი, მაგრამ ახლა თავი დავანებე.

— ბიჭოს...—გაიკვირვა პეტომ. აიღო ანთებული ნაკვერჩხალი, ყალიონს მოუკიდა და ჰკითხა მიზეზი:

— გამოვიანგარიშე და გამოვიდა, რომ იმ ფულით, რაც თამბაქოში სამს თვეს მეხარჯებოდა, წიგნის ან რევოლვერის ყიდვა შეიძლებოდა.

— წიგნის ან რევოლვერისაო...—განიმეორა მექანჯიმ:—განა ეს ორივე ერთია?

— სწორედ, ორივეს ერთი-და-იგივე საზოვადო თვისება აქვს: ერთიცა და მეორეც იარაღია ოსმალების წინააღმდეგ

საბრძოლველად... რევოლვერი სულ თან დამაქვს და ზაფთიებისაგან იმით დავიფარავ თავსა, თუ, ვინიცობაა, ჩემი დაჭერა მოინდომეს; წიგნით კიდევ ოსმალოების ბატონობას ნიადაგს ვაცლით.

— იმედიცა გაქვსთ, რომ გამოაცლით?

— ჰაი, ჰაი, რო იმედი გვაქვს! მაგრამ, თუ არ ვეცდებით, ვერაფერს დავაკლებთ,—უპასუხა ახალგაზდა კაცმა.

— მართალია... მართალია, — უპასუხა მექანჯიმ.—გულხელ დაკრებით ვერას მოვესწრებით. მართალია.

— ოსმალები წიგნის წინააღმდეგ უიარაღონი არიან.

— რევოლვერების წინააღმდეგ ხომ აქვსთ იარაღი?

— ჯერჯერობით აქვსთ.

— მე მხოლოდ ეს ვერ გამიგია,—შენიშნა პეტომ,—ისინი თქვენს წიგნებს რატომ თავიანთის წიგნებით არ ებრძვიან?

— წიგნები კი აქვსთ, მაგრამ შიგ რა ჩაჰყარონ, არ იციან. რევოლვერის გატენა ტყვიითა და თოფის წამლით შეიძლება, წიგნის გასატენად კი — სიმართლიანობა და ჭეშმარიტებაა საჭირო.

— ბიჭოს... — ლუღლუღებდა მექანჯი. ის შედარება, რომლითაც შვილს თავისის აზრის აღსნა უნდოდა, იქმნება, ვერც კი გაიგო მამამა.

ახალგაზდა ქალი, ეტყობოდა, ძმის ნათქვამს მიხვდა, დაშტერებით უცქეროდა ძმას და ყოველს მისს სიტყვას გულმოდგინედ ყურს უგდებდა. დავიწყებას მიეცა და, ვინ იცის, რამდენს ხანს დარჩებოდა ამ ყოფაში, რომ დედას, რომელმაც ერთი და იგივე სიტყვა ორჯერ განუმეორა, ხელი არ წაეკრა და მესამეჯერაც არ ეთქვა:

— ტრაპეზი! (სუფრა).

ქალს თითქო გამოელვიძაო, მაშინადვე ჭიქისათვის გაიქცა და სუფრას შლა დაუწყო. რამდენსამე წამში სუფრა გაშალეს, მთელი ოჯახობა გარს შემოუსხდა და ვახშმის ჭამა დაიწყეს.

**თ. სახოკია**

(შემდეგი იქნება)

# მუხუსის ანდერძი

მეფე ერეკლე მეორის დროს

უკაკლოკანს დრონს კიგონწე, მის გამო სეგდით გუმუნდები,
ორმოტ და ათს წელს გაკსტილდი, ფკრი მაკლდება, გუნდები,
რაც ანა მრწამდა სიკრმეში, ესდა ზოგშია კრწმუნდები,
მაკრამ რა მეთქმის წარსულზედ? მს კელარ დაკუბრუნდები.

—

ის კელარ მათბობს, რაც წინედ უტეტსლოდ სასმილს მიდებდა,
კერ ამხქარებს იგიცა, რაც იმ დროს გამაგიკებდა,
კისაც კუკარდი,—მოკსძულდი, მაძაგებს, კინც მადიდებდა,
მიკეირს, რად მშობა სწუთრომ, თუ ამ დროს გარდამკიდებდა!...

—

ესდა ის ლიმილს ალარ მგრის, რაც წინედ მაკისკასებდა,
ალარ მეტრფიან კეკლუტნა, იმ დროში კინც მიფასებდა,
დღეს იგი მტანჯავს, რაც წინედ სიასრულს მიათასებდა,
რად ამყოკა ბუნებამ, თუ ასრე დამახავსებდა!

—

ძალა მერთმეკა, გასუსტლები, კაეშნით გული ფრიალებს,
კანკალი მომდის, სული სწუსს, რალაც ძრღვებში ურიალებს,
ფერხმა მიმტუნა ტეკკაში, წინასებრ კელარ სრიალებს,
ხმამ სიტკბოება დაჭკარგა—საწკი მომედგა, სრიალებს.

—

კელავ ურესსაც მოკელი, რაცა მწირს მე ამ ყამადა,
რაც სსკა დროს სულსა მიტკბობდა, ის დღეს შემეჭნა შსამადა,
სწუთრო მუსთლობს ეოკელსა და მეც შემძულდა ამადა,
ტანჯულთა დღე წლად ეძცეკათ, ბედნიერთ უწანთ წამადა.

—

არ მინდა მომტენ სამეფოდ ჩინ-მაჩინ-ინდოეთია,
შურით შეკეურებ სპარსეთსა, ზიზღსა მგვრის ოსმალეთია,
სხვა სატრეიალო აღარ მყავს, მოწამე არის ღმერთია,—
მხოლოდ მშთენიეს საყვარლად სამშობლო ჩემი ერთია.

—

ულირსი შეილი სამშობლომ აღმზარდა, შეილად მიწამა,
ღირსი კინტ იყო, სეულისთვის სარკინოზთაგან იწამა,
ზოგმა ოქროზედ გასყიდა, მშობლად ის აღარ იწამა,
მე თუ მემუხთლოს ოდესმე—ნული მიმიღოს მიწამა.

—

რაცა კიჩიკლე წარსულზედ, არ მითქვამს ნამალავადა,
სამშობლოს ვსტოკებ სპარსთაგან დარბეულს გულ-საკლავადა,
მე კერა კარგე საბრალომ, მიკდიკარ აწ საფლავადა,
მაგრამ ენუგეშობ—თვით უზღვენ, გაძლიერდება კვლავადა.

—

სიკვდილის წინედ ასრე კგრძნობ: დრო დგება საზღვეველისა,
სპარსეთს დაიპყრობს ინგლი ერეკლე უძლეველისა,
ათრიალდება ირანში დროშა მეფისა ქველისა,
ამას მიქადის იდუმალ ხმა ანგელოზის მტკველისა!...

თ. სვიმონ გუგუნავა

# ცეცხლითა და მახვილითა

## რომანი

### გენრიკ სენკევიჩისა

### XI *)

ჰასსან-ფაშის განაპირა უბანში, სეჩს, ურიადნიკის ქოხში უსხდნენ სტოლს ორი იმიერ-ჭორომელი და შეექცეოდნენ ფეტვის არაყს; არაყს იღებდნენ პატარა ხის ბოჭკიდან, რომელიც სტოლზედ ედგათ. ერთი იყო მოხუცი, ძალზედ დაჩაჩანაკებული, ფილიპე ზაქარი, ურიადნიკი, ხოლო მეორე ანტონ ტატარჩუკი, ატამანი ჩიგირინის კურენისა, ესე ორმოცის წლის კაცი, მაღალ-მაღალი, ღონიერი, განადირებულის ადამიანის შესახედაობისა და აცა-ბაცა წასულ თათრულის თვალებითა. ორიენი ხმა-დაბლა ლაპარაკობდნენ, თითქო ეშინიანთ, ყური არავინ დაგვიგდოსო.

— მაშ დღესა?—ჰკითხა ურიადნიკმა.

— თუნდ ამ წუთსვე,—უპასუხა ტატარჩუკმა.—ელიან მხოლოდ კაშევოისა და ტუღაი-ბეის, რომელიც თვით ხმელნიცკისთან ერთად წავიდა ბაზავლუკს, საცა ურდოა დაბანაკებული. ყაზახნი უკვე შეიკრიბნენ მოედანზედ, ხოლო კურენის ატამანები საღამოჟამზედ მოიყრიან თავს სათათბიროდ. დაღამებისას ყველას ეცოდინება საქმის გარემოება.

— ჰმ! შესაძლოა, ძალიან ცუდი საქმე მოხდეს!—წაიბუტბუტა მოხუცმა ფილიპე ზაქარმა.

---

*) «მოამბე» № 2.

— გამიგონე, შენ იცი რომ ჩემთვისაც მოეწერათ წერილი?

— ვიცი, მე თვითონ მივუტანე წერილი კაშევოის და მეხომ წერა-კითხვა ვიცი. პოლონელს სამი წერილი უპოვნეს. ერთი კაშევოისთან იყო, ერთი შენთან, მესამე ახალგაზდა ბარაბაშთან. მთელმა სეჩმა იცის ეს ამბავი.

— ვინ იწერებოდა, ის კი არ იცი?

— კაშევოის თავადი სწერდა: მისის ბეჭდით იყო დაბეჭდილი, თქვენ კი ვინა გწერდათ, ეგ არავინ იცის.

— ღმერთო, შენ დამიფარე.

— თუ პოლონელთა მეგობრად არა ხარ პირ-და-პირ დასახელებული იმ წერილში, ფიქრი არ არის.

— ღმერთო, შენ დამიფარე!—განიმეორა ტატარჩუკმა.

— გეტყობა, დანაშაული რამ მიგიძღვის.

— რა სათქმელია, არავითარი დანაშაულიც არ მიმიძღვის!

— იქნება კაშევოიმ სულ დაფხრიწოს ის წერილები, იმიტომ რომ იმასაც უჭირს საქმე... ხოლო თუ ფიქრი გაქვს რისამე, შეიძლება...

ურიადნიკმა ხმა უფრო დაუდაბლა:

— წადი!

— სადა და როგორ?—შეშფოთებითა სთქვა ტატარჩუკმა.—კაშევოიმ ყველა კუნძულზედ დარაჯნი დააყენა, რომ არავის არ შეეძლოს პოლონელებთან წავიდეს და შეატყობინოს რამე. ბაზავლუკს კიდეე თათრები სდგანან დარაჯად. თევზი ვერ წავა ცურვითა, ფრინველი ვერ გადავა ფრენითა.

— თვით სეჩში დაიმალე, საცა შეიძლება.

— მიპოვნიან. შენ თუ დამმალავ სადმე, თორემ... მერე ნათესავად მომხვდები.

— ღვიძლ ძმასაც ვერ დავმალავ. ან აი რა გითხრა: თუ საკვდილისა გეშინიან, დათვერი კარგად; მთვრალი ვეღარას იგრძნობ.

— იქნება წერილებში საიმისო არაფერი სწერია?

— ეგეც შეიძლება...

— აი ხათაბალა! აი ხათაბალა!—იმეორებდა ტატარჩუკი.—ან კი რისა მეშინიან. ნამდვილი ყაზახი ვარ, მტერი პოლონელებისა. წერილებშიც რომ არა ეწეროს-რა, ეშმაკმა იცის, თვით ის პოლონელი რას იტყვის ბჭობაზედ! შეუძლიან სულითხორცით დამღუპოს.

— ბრაზიანი ლიახია; არაფერს არ იტყვის.

— იყავ დღეს იმასთანა?

—ვიყავ; წყალულსა და ჭრილობაზედ კუპრი წავუსვი, ნაცარარეული არაყი ჩავასხი ყელში. მორჩება. პირ-გამეხებული ლიახია! ამბობენ, ვიდრე შეიპყრობდნენ, სულ ღორებივით აჭყვიტინა თათრები ხორტიციანაო. ლიახისა ნურა გეფიქრება-რა.

საკაშევოე მოედანზედ დაუწყეს ცემა ქვაბებსა. ტატარჩუკი, გაიგონა თუ არა ხმა ქვაბთა ცემისა, შეშფოთდა და ზეზედ წამოხტა. შიშისაგან პირი-სახე დაეღმიჭა.

— განგაშსა სცემენ და ხალხს უწოდებენ თავ-მოსაყრელად,—წაიბუტბუტა ათრთოლებულის ტუჩებითა.—ღმერთო, შენ დამიფარე! შენ ეი, ფილიპე, არსად არა სთქვა-რა, რაც აქ გიამბე. ღმერთმა ნუ ჰქმნას!

წაავლო ხელი ხის ჯამსა, რომელშიც სასმელი იყო და დაუწყო სმა. ისე სვამდა, თითქო უნდა გონება დაჰკარგოს ამდენის სმითაო.

— წავიდეთ!—სთქვა ურიადნიკმა.

ორივენი გარედ გამოვიდნენ. ჰასსან-ფაშის უბანსა და მოედანს შორის თხრილი იყო მხოლოდ და ალაყაფის კარი მაღალის კოშკით, რომლის სათოფურებიდან ზარბაზნის ტუჩები იცქირებოდა. უბნის შუაგულ ადგილას იდგა სახლი ურიადნიკისა და ბაზრის ატამანების ქოხები; მოედნის გარშემო დამარცხული იყო ფანჩატურები და სწორედ აქ სწარმოობდა ვაჭრობა. შენობანი სულ უბრალო ქოხ-მახები იყო, მუხის ძელებისაგან ახუხულავებული და ლელითა და ჩალით დახურული. მთლად სახლები ურიადნიკის სახლითურთ უფრო ალაჩუხებსა ჰგვანდა; გარჩევა მხოლოდ ის იყო, რომ ბანად ჩალა და ლელი ეხურა. ბანები მთლად გამჭვარტლული იყო ბოლისაგან; როცა

ცეცხლს დაანთებდნენ, კვამლი მარტო მაღლა კი არ ადიოდა; კედლების ყველა ჭუჭუტანაშიაც სტვირივით გადიოდა. სახლი ამ დროს ცეცხლ-წაკიდებულ ნახშირის ხორა გეგონებოდათ. სახლებში გამუდმებული სიბნელე იყო და ამიტომ ყველგან ბლომად ინახავდნენ მკვარს. დუქნები კურენებისაც იყო, ესე იგი საკუთრება ამა თუ იმ კურენისა და სასტუმრონიცა, რომელიც თათრებსა და ვლახელებს ჰქონდათ აღებული მშვიდობიანს დროს; პირველნი ჰყიდდნენ თავიანთ დუქნებში ტყავეულს საქონელსა, აღმოსავლეთის ქსოვილებს, თოფ-იარაღს, ხოლო მეორენი—უფრო ღვინო-არაყს. მაგრამ სასტუმრო დუქნები მუდამ არ იყო დაჭერილები: წესიერი ვაჭრობა როგორღაც ვერა ჰხერხდებოდა ამ ავაზაკობისა და ძალმომრეობის ბუდეში. დუქანსა და დუქანს შუა სამიკიტნოები ერია, რიცხვით ოც და რვამდე. იმათი ცნობა ადვილი იყო. მათს კარ-მიდამოზედ დუჟინობით ეყარნენ მუდამ ძირს უგონოდ დამთვრალნი ყაზახნი. უფრო ფხიზელნი გაჰკიოდნენ ყაზახთა სიმღერებს, ჩხუბობდნენ, ჰკოცნიდნენ ერთმანერთს, სწყევლიდნენ ყაზახის ბედს, ანუ მოსთქვამდნენ ყაზახის გაჭირვების ამბავს და თან მოურიდებლად სთელავდნენ ფეხ-ქვეშ ძირს გართხმულ მთვრალს ყაზახებსა. მხოლოდ ომის დაწყების წინად იყო ხოლმე სასტიკად აღკრძალული სმა; ვინც მაშინ დაითვრებოდა, სიკვდილით დასჯიდნენ ხოლმე. სხვა დროს კი ყველანი ლოთობდნენ: ურიადნიკიცა, ბაზრის ატამანებიცა, ვაჭარნიცა და მათი მუშტრებიცა. არაყის სუნი, კვამლი, თევზისა და ცხენების ტყავების სიმყრალე ჰშხამავდა მთელის უბნის ჰაერს. თვით უბანიც ისე იყო აჭრელებული, რომ თათრულს ან ოსმალურს ქალაქს უფრო ჰგვანდა. ამ სავაჭრო უბანში იყიდებოდა ყოველივე, რაც დავლად და ალაფად იყო წამოღებული ყირიმიდან, ვლახეთიდან და ან ანატოლიიდან. მხიარული აღმოსავლეთის ქსოვილები, აბრეშუმეული ფარჩეულობა, მაუდი, ატლასი, მომხო ტილო, უვარგისი ზარბაზნები და თოფები, ტყავები, ბეწვეული, ხმელი თევზი და ოსმალური ხილეულობა, სპილენძის მთვარის-ნახევრები, ჩამოგლეჯილები მეჩითიდან და მოოქროვილი ჯვრები, ჩამოღებული ქრისტეანე-

თა ეკლესიებიდან,—ყოველივე ერთად იყო ალუფხული *). და ამ აჭრელებულ, ყოველსავე ერთმანეთში ალუფხულ მიდამოთა შორის დალაღუნობდნენ აბრანძულ-დაბრანძულნი, ზაფხულობით თითქმის სულ შიშველ-ტიტველნი, ნახევროობით განადირებულნი, ტალახითა და კუპრით მოთხვრილნი, მუდამ მთვრალნი კაცნი, რომელთაც პირში ენა არ ედოთ.

ამ ჟამად ჰასსან-ფაშის უბანში ბუზივით ირეოდა ხალხი; დახლიდარ-ვაჭარნი აჩქარებითა ჰკეტავდნენ დუქნებსა და სამიკიტნოებს და მიეშურებოდნენ მოედნისაკენ, საცა უნდა შეკრებილიყვნენ სათათბიროდ. ფილიპე ზაქარი და ანტონ ტატარჩუკი სხვებს უკან მისდევდნენ; ტატარჩუკს როგორღაც ფეხები უკანა რჩებოდა და თითქო განგებ ცდილობდა, რომ სხვებს გაევლოთ წინა. თან-და-თან უფრო და უფრო მეტს მოუსვენრობასა ჰგრძნობდა. გაიარეს ხიდი, გასცდნენ ალაყაფის კარებს და გაჩნდნენ უშველებელს მოედანზედ, რომელსაც გარშემო ოც და თვრამეტი ხის სახლი ჰქონდა შემორტყმული. ეს სახლები იყო კურენები—ყაზარმების მსგავსნი სადგომნი, რომელშიაც იდგნენ ყაზახები. კურენები იმითი განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, რომ სხვა-და-სხვა სახელ-წოდება ჰქონდათ, უკრაინის ქალაქების სახელ-წოდებათა მიმსგავსებული. მოედნის ერთს კუთხეში ამართული იყო სათათბირო სახლი; იქ ისხდნენ ხოლმე საბჭოდა და სავაზიროდ ატამანები კაშევოის თავსმჯდომარეობით; დანარჩენი ბრბო, ესრედ-წოდებული „ამხანაგობა“, კარში რჩებოდა და ყოველ საათში ერთხელ უგზავნიდნენ დეპუტაციას უფროსთ, ხოლო ხანდისხან ძალით შეიჭრებოდნენ ხოლმე სათათბირო სახლში და, რაც სურდათ, იმას გადააწყვეტინებდნენ მოვაზირეთა.

მოედანი სავსე იყო ხალხითა. ატამანს მოეწოდებინა სეჩს იმას წინად მხედრობა; აანთეს რამდენიმე კუპრით სავსე ბოჩკა

*) იმიერ-ბორომელნი, როცა დათარეშობდნენ და თავს-ესხმოდნენ ვისმე, არაფერსა და არავის არა ჰზოგავდნენ. ხმელნიცკიმდე ეკლესია არ იყო სეჩსა; პირველი ტაძარი იმან ააშენა. სეჩში არავის არ ეკითხებოდ ნენ, ვინ რა სარწმუნოებისა იყო.

და გამოაგორეს მოედანზედ და რამდენიმეჯერ ბოჩკა, არაყით სავსე, თვითეულმა კურენმა თავისთვის ცალკე. წესიერებას იცავდნენ იასაულნი, შეიარაღებულნი მუხის ბერკეტებით, რომელიც საჭირო იყო საბჭოდ დამსხდართა მოსაჭკვიანებლად, და დამბაჩებით, დასაცველად საკუთარის სიცოცხლისა, რომელსაც ხშირად ელოდა განსაცდელი.

ფილიპე ზაქარი და ტატარჩუკი პირდაპირ სათათბირო სახლში შევიდნენ; ერთს, როგორც ურიადნიკს, ხოლო მეორეს, როგორც ატამანს კურენისას, ნება ჰქონდათ უფროსთა შორის მსხდარიყვნენ საეაზიროდ. სათათბირო ოთახში იდგა პატარა სტოლი, რომელსაც უჯდა ჯარ-მხედრობის მწერალი; ატამანები და კაშევოი კედელთან ისხდნენ და ქვეშ ცხენის ტყავები ეგოთ. ბჭობა ჯერ არ დაწყებულიყო. კაშევოი ბოლთასა სცემდა ოთახში, კურენების ატამანები ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყვნენ და ჩურჩულითა ლაპარაკობდნენ. ტატარჩუკმა შეჰნიშნა, რომ მის ნაცნობებსა და მეგობრებსაც კი ისე ეჭირათ თავი, თითქო ვერც კი ვამჩნევთო და ამიტომ მივიდა ახალგაზდა ბარაბაშთან, რომელიც ასევე განაპირებული იყო. ბარაბაშს სრულებით არ ეყურებოდა, რა ამბავი იყო მის გარშემო. კალმით ნახატის სილამაზის კაცი იყო და კურენის ატამანობა მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ ძალიან დიდი ღონე ჰქონდა, თორემ ისეთი ტუტუცი იყო, რომ მისი სიტუტუცე საანდაზოდ იყო გამხდარი. თვითეული მისი სიტყვა დიდს ხარხარსა და სიცილს იწვევდა.

— მალე მოგვაბმენ კისერზედ ქვას და წყალში გადაგვიძახებენ!—ეჩურჩულა ბარაბაშს ტატარჩუკმა.

— რისთვისაო?

— წერილებისა არა იცი-რა?

— რა წერილებისა? მე არა დამიწერია-რა.

— აბა, შეჰხედე, როგორ გვიბღვერიან აქეთ-იქიდან...

ტატარჩუკმა ველარ გაათავა თავისი სათქმელი. უეცარმა გარედან შემოვარდნილმა ხმაურობა-ჟრიამულმა აუწყა ყველას, რომ რაღაც განსაკუთრებული ამბავი მოხდარიყო. კარი ეუ-

რამდე გაიღო და სათათბირო ოთახში შემოვიდა ხმელნიცკი ტუღაი-ბეისთან ერთად. ამათ თურმე მიეგება ხალხი სიხარულის ჟრიამულითა. რამდენისამე თვის წინად, ტუღაი-ბეი, მურზებ შორის ყველაზედ გულადი და საშინელი რისხვა ქვემოურებისა, ჭირივით ეზიზღებოდა სეჩს, ახლა კი, დაინახა თუ არა „ამხანაგობამ“, ქუდებს ისვრიდა მაღლა და სალამ-ქალამით ეგებებოდა ხმელნიცკისა და იმიერ-ჭორომელთა მეგობარს.

ტუღაი-ბეი პირველი შევიდა ოთახში; იმას უკან მისდევდა ხმელნიცკი, რომელსაც, როგორც გეტმანს იმიერ-ჭორომეთის მხედრობისას, კვერთხი ეჭირა ხელში. ეს ღირსება მიითვისა მას შემდეგ, რაც ყირიმიდან დაბრუნდა. ბრბო შევარდა მაშინ, ხელში აიყვანა, გასტეხა მხედრობის სახასო ყუთი და მიართვა კვერთხი, დროშა და ბეჭედი, რომელიც ჩვეულებრივ გეტმანების წინაშე დაჰქონდათ. ძლიერ გამოცვლილიყო. ეხლა ეტყობოდა, რომ მთლად იმიერ-ჭორომეთის საშინელი ძალლონე იმის ხელთ იყო. ახლა ის შეურაცხ-ყოფილი ხმელნიცკი კი აღარ იყო, ლტოლვილი, საიდუმლოდ გაქცეული სეჩს, არამედ ხმელნიცკი გეტმანი, ბუმბერაზი, მზად-მყოფი მილიონებისათვის ედინებინა ძმარი, ცხვირიდან თვისის შეურაცხყოფისათვის.

გარნა ხმელნიცკიმ არ მოიშორა მძიმე ჯაჭვნი მონობისა; ახლა სხვა ბორკილნიც დაედო ფეხზედ. იმიერ-ჭორომეთის გეტმანს: თვით იმიერ-ჭორომეთის შუა-გულ პირველი ადგილი დაეთმო თათრისათვის, ითმენდა მის გულ-ზვიადობას და გათამამებულს ლირფობას. ისე ექცეოდა თათარს, როგორც დიდებული და ერისთავი მოექცეს უზენაესს თვისსა ბატონსა და მეფეს, ბაგრამ სხვაფრივ არც შეიძლებოდა. სახელი გაითქვა და მოიხვეჭა მით, რომ თათრებისა და ყეენის გული მოიგო; ხოლო ამ ჟამად ყეენის წარმომადგენელი იყო ველური და სისხლის მსმელი ტუღაი-ბეი. ეს კია, რომ ხმელნიცკის ბუნებაში ისევე თავსდებოდა ერთმანერთს შორის გულ-ზვიადობა და მორჩილება, როგორც ვაჟკაცობა და ცბიერობა. ლომი და მელა იყო, არწივი და გველი... ყაზახობის გაჩენის დღიდან პირვე-

ლად ჰბედავდა ახლა სეჩში ასე თავისუფლად ქცევას თათარი, მაგრამ, სჩანს, ახლა სხვა დრო იყო მოსული. ახლა „ამხანაგობა“ მაღლა ისვრიდა ქუდებს ურჯულოს პატივ-საცემლად. დიაღ, ასეთი დრო იყო დამდგარი.

თათბირი დაიწყო. ტუღაი-ბეი დაჯდა შუა ადგილას ყველაზედ უფრო სქლად შეკრულ ცხენის ტყავებზედ, მუხლთ მოიკეცა და დაუწყო ჭამა მზეუჭვრიტას; თან მისის ქერქით აჩეჩქიანებდა ოთახის შუა გულს ადგილსა. იმის მარჯვნივ დაჯდა ხმელნიცკი, მარცხნივ კაშევოი, ხოლო ატამანები და დეპუტაცია „ამხანაგობისა“ მოშორებით, მეორე კედლის მახლობლად. ლაპარაკი მიწყდა და მხოლოდ მოედნიდან მოდიოდა კიდევ განურკვეველი ხმაურობა ბრბოსი. ხმელნიცკიმ დაიწყო: *)

— წყალობითა მის უდიდებულესობისა, ყირიმის ყეენისათა, რომელიც არის მბრძანებელი მრავალთა ერთა, ნებართვითა პოლონიის მეფისა ვლადისლავისა, ჩვენისა ხელმწიფისათა, კეთილისა სურვილითა იმიერ-ჭოროომეთის მამაცის ჯარმხედრობისა, გვწამს-რა მტკიცედ უბრალოებაი ჩვენი და ღვთისა სამართლიანობაი, მივდივართ, რათა შური ვიძიოთ და გადავუხადოთ სამაგიერო იმ საშინელისა, აუტანელის შევიწროებისა და შეურაცხყოფისათვის, რომელსაც ვითმენდით, ვიდრე შეგვეძლო, უსამართლო ლიახთა, კომისართა, მოურავთა და ეკონომთაგან, მთლად შლიახტისა და ურიათაგან. მრავლად დააფრქვიეთ ცრემლი თქვენცა და მთლად იმიერ-ჭოროომეთის ჯარმაცა ამ უსამართლოების გამო და ახლა ჩამბარდა თქვენ მიერ კვერთხი, რათა დავიცვა უბრალოება თქვენი და მთელის ჯარ-მხედრობისა. ეს ამბავი დიდად სასახელო იყო ჩემთვის და ამიტომ წავედი მის უდიდებულესობასთან, ყირიმის ყეენთან, ვსთხოვე შემწეობა აღმოეჩინა და აღმითქვა კიდეც თვისი დახმარება. გარნა, მიუხედავად იმისა, რომ მზადა ვარ ვემსახურო ამ წმინდა საქმეს, ძალიან გული მატკინა იმ გარე-

*) წესი და რიგი თათბირის წარმოებისა აწერილია ერიკ ლიასოტის დღიურში. ერიკ ლიასოტი იყო პოლონიის სახელმწიფოს ელჩი, გაგზავნილი იმიერ-ჭოროომეთს 1594 წელს.

მოებამ, რომ ჩვენ შორის არიან მოღალატენი, რომელნიც ლიახებს ემხრობიან და ატყობინებენ, თუ რამ მზადებაშიაცა ვართ. თუ ეს მართალია, დაე დაისაჯნონ ამისთანანი თქვენისა სურვილისამებრ. აწ კი გთხოვთ მოისმინოთ წერილები, რომელიც მოუწერია ჩვენთვის ჩვენს მტერს თავადს ვისნევეცკისა. ეს წერილები მოიტანა არა ელჩმა, არამედ უფრო ჯაშუშმა, რომელსაც აზრადა აქვს აუწყოს ლიახთა, რა ყოფაშიაც არის დღეს ჩვენ შორის საქმე და რა შემწეობასაც გვპირდება მეგობარი ჩვენი ტულაი-ბეი. ახლა თქვენ განსაჯეთ, მსჯავრ-დადებულ უნდა იქმნას თუ არა ასეთი ჯაშუში და აგრეედვე ისინი, ვისაც იმან წერილები მოუტანა. ამ წერილების ამბავი კაშევოიმ, როგორც ერთგულმა ყმამ სრულიად ჩვენის ჯარისამ, მაშინვე გვაუწყა ჩვენ.

ხმელნიცკი გაჩუმდა. ჯარის მწერალი წამოდგა და დაიწყო კითხვა თავადის წერილისა კაშევოი ატამანთან: „ჩვენ, წყალობითა ღვთისათა, თავადი და ბატონი ლუბნისა, ხოროლისა, პრილუკისა etc., ერისთავი რუსეთისა etc., უფროსი etc.“ წერილი ისეთი იყო, როგორსაც სწერენ საქმიანი კაცნი. თავადს შესმენოდა, რომ ჯარებს ერთს ალაგას აგროვებენო და ამიტომ ჰკითხაედა ატამანს, მართალია თუ არა ეს ამბავიო, და თუ მართალია, გთხოვ, შეუშალო ხელი ამისთანა საქმეს ქვეყნის საკეთილდღეოდაო. თუ ხმელნიცკი მოვიდა და მოინდომა სეჩის აღელვება, უნდა მისცეთ ხელში კომისარებსაო. მეორე წერილი პან გროძიცკისაგან იყო, მესამე და მეოთხე—ზაცვალიხოვსკისაგანა და ჩერკასის მოხუც პოლკოვნიკისაგან ტატარჩუკთანა და ბარაბაშთან. არც ერთს წერილში არა იყო-რა ისეთი, რასაც შესძლებოდა ჩრდილი რამ მიეყენებინა იმათთვის, ვისთანაც იყო მიწერილი. ზაცვილიხოვსკი მხოლოდ იმასა სწერდა ტატარჩუკს, რომ ამ წერილის მომტანს ყოველ-გვარი შემწეობა აღმოუჩინეო და აუსრულე ყოველივე, რაც მოინდომოსო.

ტატარჩუკმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— რასა ბრძანებთ ამ წერილებისას?—იკითხა ხმელნიცკიმ.

ყაზახნი მდუმარებდნენ. ყველა თათბირი, ვიდრე არაყი არ ალაპარაკებდათ, იმითი დაიწყებოდა ხოლმე, რომ არც ერთს ატამანს არ უნდოდა პირველად თვითონ დაეწყო ლაპარაკი. ყველანი მოუხეშავნი და ბრიყვნი იყვნენ და თან ცბიერნი, ეშინოდათ უფრო იმისი, ისეთი არა წარმოგცდეს-რა, რაიცა საყოველთაო სიცილს გამოიწვევს და რის გამო მასხარად აგდებას ვერ ავსცდებითო. სეჩში ცეცხლისა და ნავთისა არ ეშინოდათ ისე, როგორც დაცინვისა და მასხარად აგდებისა.

ყაზახნი მდუმარებდნენ. ხმელნიცკიმ კვლავ დაიწყო ლაპარაკი.

— კაშევოი ატამანი ჩვენი მეგობარია, ისე ვენდობი, როგორც ჩემს თავს, და ვინც მაგის წინააღმდეგ იტყვის თუნდ ერთს სიტყვას, ის თვითონ იქმნება მოღალატე. ატამანი ხნიერი და ნაცადი ჯარის კაცია.

ხმელნიცკი ადგა და გადაეხვია კაშევოის.

— მე მხოლოდ ჯარს ვაგროვებ, გარნა გეტმანი დაე წინ წაუძღვეს,—სთქვა პასუხად ატამანმა.—რაიცა შეეხება ელჩს, ის ჩემია, რაკი ჩემთან არის გამოგზავნილი, ხოლო თუ ჩემია, მე თქვენთვის მიჩუქებია.

— ბატონო დეპუტატებო, მადლობა უთხარით ატამანსა, — ურჩია ხმელნიცკიმ,—ატამანი მართალი კაცია. უთხარით „ამხანაგობას“, რომ თუ არიან მოღალატენი, მათ შორის ეს არ ურევია: მან პირველმა დააყენა დარაჯნი, მან უბრძანა, შეიპყარით ხოლმე ყველანი, ვინც მიდიოდნენ ლიახებთანაო. ბატონო დეპუტატებო, სთქვით, რომ ეს კაცი მოღალატე არ არის, რომ იგი უკეთესია ჩვენ შორის.

ბატონმა დეპუტატებმა დაბლა თავი დაუკრეს უპირველეს ყოვლისა ტუღაი-ბეის, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სულ მზეუჭვრიტას სჭამდა დიდის გარინდებითა და აღუშფოთევლობით, მერე ხმელნიცკის, კაშევოის და გავიდნენ გარედ.

ერთს წუთს შემდეგ, მხიარული ჟრიამული შემოესმა გარედან და აუწყა ოთახში მყოფთ, რომ დეპუტაციას აესრულებინა თვისი მინდობილება.

— გაუმარჯოს კაშევოის, გაუმარჯოს ჩვენს კაშევოის!— ჰყვიროდნენ ხმა-გახრინწიანებულნი ისე, რომ კედლებს ზანზარი გაჰქონდა.

ბოლოს დეპუტაცია დაბრუნდა და თვისი ადგილი დაიჭირა ოთახის ერთს კუთხეში.

— ბრძნულად გადასწყვიტეთ, რომ ატამანი არაფერში დამნაშავე არ არის,—დაიწყო ხმელნიცკიმ, როცა სიჩუმე ჩამოვარდა.—ხოლო თუ ატამანი მოღალატე არ არის, ვინ არის მაშ მოღალატე? ვინ უწევს მეკობრობას ლიახებს? ვისა სწერენ ისინი წერილებს? ვის ანდობენ ელჩს? ვინ არის მოღალატე?

ხმელნიცკიმ აუმაღლა ხმას და ცეცხლ-მფრქეველის თვალებით გადიხედა იქით, საითაც ტატარჩუკი და ბარაბაში იდგნენ. ამით თითქო უნდოდა ენიშნებინა, რომ აი აქ არის დამალული ღალატიო.

ოთახში ხმაურობა ატყდა და მოისმა ყვირილი რამდენიმე სამე:

„ბარაბაში და ტატარჩუკი“! კურენების ატამანები წამოხტნენ ფეხზედ, დეპუტაციის კრებიდან მოისმა: „სიკვდილი მაგათაო!“

ტატარჩუკი გაფითრდა, ბარაბაშმა გაკვრვებით დაიწყო აქეთ-იქით ყურება, უცბად გადიხარხარა და მოჰყვა ტუტუცურს სიცილს; იმას სხვებმაც ბანი მისცეს, თუმცა კარგად კი არ ესმოდათ, რისთვის იცინოდნენ.

ფანჯრიდან უფრო და უფრო ხმა-მაღალი ლაპარაკი მოისმოდა; სჩანდა, რომ არაყს თან და თან გაეჭრა.

ანტონ ტატარჩუკი დინჯად წამოდგა, მიჰმართა გეტმანს, და დაიწყო:

— რა დაგიშავეთ, ბატონო გეტმანო იმიერ-ჭორომეთისავ? რად გინდათ ჩემი სიკვდილი? რა ბრალი მაქვს? წიგნი მომწერა ზაცვილიხოვსკიმ... ძალიან კარგი, მაგრამ რაო მერე? კაშევოისაც ხომ მოუვიდა თავადის წერილი! მივიღეკი მე წერილი? არა! თუნდაც რომ მიმეღო, რას ვიქმოდი? წავიდოდი მწერალთან და იმას წავაკითხებდი. იმიტომ რომ წერა მე არ

ვიცი და კითხვა. და თქვენც გეცოდინებოდათ, რა ეწერებოდა წიგნში. ლიახები კი თვალითაც არ მინახავს. მაშ, სჩანს, რომ მოღალატე ვარ? ეჰ, ძმანო იმიერ-ჭოროომელნო, ტატარჩუკი ლაშკრობდა თქვენთან ერთად ყირიმში, ვლახეთში, სმოლენსკთან... იბრძოდა თქვენთან ერთად, ვაჟკაცებთანა, სისხლსა ღვრიდა, შიმშილითა კვდებოდა... მაშ ლიახი არა ყოფილა, მოღალატე არ არის დღესაც, არამედ ყაზახია, ძმა თქვენი და, თუ გეტმანს უნდა მისი სიკვდილი, სთქვას, რადა? რა დაუშავე, რა ბრალი მაქვს? თქვენ კი, ძმანო, გთხოვთ შემიწყალოთ და სვინიდისით გამიკითხოთ!

— ტატარჩუკი კარგი ყაზახია! ტატარჩუკი ერთგული კაცია!—დაიძახა რამდენმამე.

— ტატარჩუკო, შენ ყოჩაღი ყაზახი ხარ,—სთქვა ხმელნიცკიმ,—და მე შენ არცა გმტრობ, იმიტომ რომ შენ ლიახი არა ხარ; ჩვენი მოძმე ხარ, ჩვენი მეგობარი და მოკეთე; შენ რომ ლიახი იყო და გვღალატობდე, არ ვიწუხებდი, ტირილს არ დავიწყებდი, ხოლო რაკი ყოჩაღი ყაზახი ხარ, ჩვენივე სისხლი და ხორცი გვღალატობს, მეც იმიტომა მტკივა გული. მერე თუ ყირიმშიაც იყავი, ვლახეთშიაც, სმოლენსკს ახლოცა, შენი დანაშაული ამით უფრო მეტია ახლა. შენა- გწერენ, ყოველივე შეასრულე, რასაც კი მოგთხოვს ელჩიო... ახლა მიბრძანეთ, ატამანებო, რას მოსთხოვდა ლიახი? ჩემსა და ჩემის ძლიერის ამხანაგის ტუღაი-ბეის სიკვდილს არ მოითხოვდა განა? დიალ, დამნაშავე ხარ, ტატარჩუკ და შენს უბრალოებას ვერ დაამტკიცებ. ბარაბაშს კიდევ სწერდა წიგნს მისი ბიძა, პოლკოვნიკი ჩერკასისა, მეგობარი ჩაპლინსკისა და ლიახებისა, ის, ვინც ჰმალავდა თავისს სახლში უფლება უპირატესობათა სიგელებს, იმიტომ რომ იმიერ-ჭოროომეთის ჯარმა არა გაიგოსრა ამ სიგელების არსებობისაო. თუ ასეა,—ხოლო ვფიცავ ღმერთს, რომ სხვაფრივ არც შეიძლება იყოს,—ორივენი დამნაშავენი ხართ. სთხოვეთ შეწყალება ატამანებსა, მეცა ვთხოვ თქვენთვის პატივებას, თუმცა დანაშაული თქვენი მძიმეა, ღალატი ცხადია.

ახლა კი გარედან არა მარტო ხმაურობა და ყვირილი მოისმოდა, არამედ გამძვინვარებული ღრიალი შემოდიოდა, „ამხანაგობას“ უნდა შეეტყო, რა ამბავია სათათბირო ოთახშიო და შემოჰგზავნა ახალი დეპუტაცია. ტატარჩუკი მიხვდა, რომ მისი სიკვდილი აუცილებელია. ახლა მოაგონდა, რომ ერთის კვირის წინად ძალიან თავგამოდებული იყო ატამანთა შორის და ამტკიცებდა, ნუ მივცემთ ხმელნიცკის საგეტმანო კვერთხსა და ნუ შევურიგდებით თათრებსაო. ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედა: ახლა კი ხსნა აღარ იყო. რაიცა შეეხება ახალგაზდა ბარაბაშს, ცხადი იყო, რომ ხმელნიცკის იმისი სიკვდილი უნდოდა მოხუცის პოლკოვნიკის ჯიბრითა, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი ძმის-წული. მაგრამ ტატარჩუკს სიკვდილი არ უნდოდა. ტატარჩუკი არ გაფიქრდებოდა ამოწვდილ ხმლის წინაშე, არ შეუშინდებოდა ცხელ ტყვიას, მარგილსაც კი, მაგრამ ის სიკვდილი, რომელიც იმას ელოდა, სწორედ რომ საშინელი რამ იყო. იგდო ხელთ ერთი წუთი დუმილისა ხმელნიცკის ლაპარაკის შემდეგ და ხმა მაღლა, განწირულის ხმით დაიძახა:

— ქრისტეს გულისათვის! ძმებო ატამანებო, მეგობარნო გულითადნო, ნუ მომკლავთ უბრალოსა: თვალით არ მინახავს ლიახი, არ დავლაპარაკებივარ! შემიწყალეთ, ძმანო! არ ვიცი, რას მომთხოვდა ლიახი, ჰკითხეთ თქვენ თვითონ! გეფიცებით ქრისტესა და მისსა ყოვლად წმინდა დედასა, უბრალო ვარ!

— შემოიყვანეთ ლიახი!—დაიძახა უფროსმა ჯარის ურიადნიკმა.

— ლიახი, ლიახი!—შეჰყვირეს კურენების ატამანებმა.

ზოგნი ეცნენ იქვე მეორე ოთახს, საცა პატიმარი ჰყვანდათ, ზოგნი კიდევ მუქარით მისცვივდნენ ტატარჩუკსა და ბარაბაშსა. მირგოროდის კურენის ატამანმა, გლადკიმ, პირველმა დაიძახა: „სიკვდილი ამათაო!“ დეპუტაციამ გაიმეორა მისი ნათქვამი. ატამანმა ჩარნოტამ გააღო კარი და აუწყა ბრბოს, რომელიც ქუჩაში შეკრებილიყო, რომ ტატარჩუკი და ბარაბაში მოღალატენი არიანო.

ბრბომ პასუხად მორთო ყიჟინი და შევარდა ოთახში.

— სიკვდილი ტატარჩუკსა და ბარაბაშს! სიკვდილი! მოგვეცით მოღალატენი! წავასხათ მოედანზედ! — ჰყვიროდნენ გამძვინვარებით ასნი და ორასნი და იწვდიდნენ ხელს საცოდავ მსხვერპლთა გასაგლეჯად.

ტატარჩუკი შეურიგდა თავისს ბედს, სამაგიეროდ ბარაბაში საშინელის ძალით წინააღმდეგობდა. ბარაბაში მიხვდა ბოლოს, რომ მოკვლა უნდათ ჩემო და სახე დაეგრიხა შიშითა და სასოწარკვეთილებით, გულიდან აღმოხდა მხეცური ღმუილი. ორჯელ გაეშვა ხელიდან ჯალათებს, მაგრამ ორჯელვე გაუკავეს ხელები, ეწეოდნენ მის წვერს, თმებს; ბარაბაში იკბინებოდა, ღრიალებდა, ძირს ეცემოდა და კვლავ ფეხზედ დგებოდა გასისხლიანებული, საშინელი. ჯალათებმა შემოაფხრიწეს ტანისამოსი, ამოაგლიჯეს საქოჩრეზედ დატოვებული თმა, ამოსთხარეს თვალი და გააკავეს. აქ კი დაეცა ძირს ბარაბაში. ჯალათებმა სტაცეს ხელი ფეხებში და ტატარჩუკი და ის ერთად წააწიალეს მოედანზედ. იქ კუპრით სავსე ბოჩკები ენთო და აქა-იქ დანთებულს ცეცხლს გაჰქონდა გიზგიზი. ამ განათებულს ადგილს დაიწყო ბარაბაშისა და ტატარჩუკის დასჯა სიკვდილითა. ათასი გამძვინვარებული კაცი ეცა მსჯავრ-დადებულთ, ჰფლეთდა ნაჭერ-ნაჭერ და ერთმანერთს ეცილებოდა ადგილს მსხვერპლთა ახლო ყოფნისათვის. საცოდავი ფეხითა სთელავდნენ, ნაჭერ-ნაჭრობითა ჰგლეჯდნენ ხორცს; სისხლით-შესვრილის ხელებით ხან მაღლა ასწევდნენ ორს გუნდად გადაქცეულს გვამს, ხან ისევ ძირს დაახეთქებდნენ; ცოტა მოშორებით მყოფნი კიდევ ორს ბანაკად განიყენენ: ზოგს უნდოდა მსჯავრ-დადებულნი წყალში გადაეგდოთ, ხოლო ზოგს — კუპრით სავსე ანთებულს ბოჩკებში ჩავყაროთო. ყველანი მთვრალები იყვნენ, ბოლოს წაიჩხუბნენ და წაუკიდეს ცეცხლი ორს არაყით სავსე ბოჩკას. სპირტის მოლურჯო, მოციმციმე ალმა გააშუქა ეს ჯოჯოხეთის სცენა, რომელსაც ზემოდან დაჰყურებდა მთვარე, მშვიდობიანი, მოვანებული, დისკო-გარდახრილი...

ასე სჯიდა „ამხანაგობა“ თვისთა მოღალატეთა.

სათათბირო ოთახში, იმ წუთს შემდეგ, რაკ ყაზახებმა ტატარჩუკი და ახალგაზდა ბარაბაში გაათრიეს, კვლავ ჩამოვარდა დუმილი, ატამანებმა კვლავ დაიჭირეს თავ-თავისი ადგილები და გულმოდგინებით სინჯავდნენ ის-ის იყო მეორე ოთახიდან შემოყვანილს პატიმარს.

მისი სახე კარგად არა სჩანდა; ოთახში თითქმის ბნელოდა; ღუმელში ცეცხლი გამქრალიყო, მაგრამ გლადკიმ შეაყარა ფიჩხი, ცეცხლი აპრიალდა და გაანათა მაღალი, ტანადი, თავგამოდებული ტყვედ-შეპყრობილი.

დაინახა თუ არა ხმელნიცკიმ, მაშინვე შეშფოთდა.

ეს ტყვე იყო პან სქშეტუსკი.

ტუღაი-ბეიმ გამოჰყარა პირიდან მზეუჭვრიტას ქერქები და წაიბუტბუტა რუსულად:

— მე ვიცნობ მაგ ლიახს; ყირიმში იყო.

— სიკვდილი მაგას!—დაიყვირა გლადკიმ.

— სიკვდილი!—განიმეორა ჩარნოტამ.

ხმელნიცკი გონს მოვიდა. გადაჰხედა მხოლოდ გლადკისა და ჩარნოტას, რომელნიც მაშინვე გაჩუმდნენ და სთქვა:

— მეც ვიცნობ.

— საიდანა ხარ?—ჰკითხა კაშევოიმ სქშეტუსკის.

— მე შენთან მოვდიოდი საელჩო კრებულით, ბატონო კაშევოი ატამანო, როცა ხორტიცს ახლო დამეხსნენ თავს ავაზაკნი და, მიუხედავად ჩვეულებისა, რომელიც განადირებულ ხალხშიც კი პატივდებულია, დამიხოცეს კაცები, ხოლო მეც, თუმცა ელჩი ვიყავ, დამჭრეს, შეურაცხმყვეს და, როგორც ტყვე, ისე მომიყვანეს აქ ხელებ-შეკრული. ყოველ ამისათვის პასუხს შენ გასცემ ჩემს ბატონს, თავად ერემია ვისნეველეცკის.

— შენ რაღად გაუპე თავი ცულით პატიოსან ყაზახსა? რად დაჰხოცე ოთხჯერ უფრო მეტი ხალხი, ვიდრე თქვენ იყავით? წერილებითაც იმიტომ მოდიოდი აქ, რომ გეწვრილნა ყოველივე და მერე შეგეტყობინებინა ლიახებისათვის. ისიც ვიცით, რომ წერილები მოგქონდა იმიერ-ჭორომეთის. ჯარის

მოღალატეებთან, რათა მათთან ერთად ჩვენი დაღუპვა მოგვეხერხებინა. ამიტომ ისე კი არ იქმნები მიღებული, როგორც ელჩი და დესპანი, არამედ, როგორც მოღალატე და სამართლიანს სასჯელსაც მიგცემენ.

— სცდები, ბატონო კაშევოი ატამანო, და შენც, ბატონო ძალად გეტმანო,—აქ დესპანმა მიჰმართა ხმელნიცკის.—თუ მე წერილები მომქონდა, ასევე იქცევა ყველა სხვა ელჩიც, რომელიც უცხო ქვეყანაში მიდის. აქ მოვდიოდი თავადის წერილით, იმიტომ რომ გამეფრთხილებინეთ და მეთხოვნა არ გაგებედნათ ისეთი საქციელი, რომელსაც შეეძლო შეერყია ძლიერება რესპუბლიკისა და თქვენთვისა და მთლად იმიერ-ჭორომეთის მხედრობისათვისაც საუკუნოდ ბოლო მოელო. განა ვის დასამხობად აღგიმართავთ აგრე უღვთოდ, აგრეთის ღვთისგმობით თქვენი ხელნი? ვის საწინააღმდეგოდ დაჰკავშირებიხართ ურჯულოებს თქვენ, რომელნიც ქრისტეანედ უწოდებთ თქვენს თავს? საწინააღმდეგოდ მეფისა, პოლონიის თავად-აზნაურობისა და სრულიად რესპუბლიკისა. მაშასადამე, მოღალატე მე კი არა ვარ,—თქვენა ხართ და გეუბნევით: თუ მორჩილებით არ შეინანებთ თქვენს შეცოდებას, ვაი თქვენდა! დიდი ხანია, რაც წარვიდნენ დრონი პავლიუკისა და ნალივაიკასი? ნუ უკვე განჰქრა ყოველივე კვალი მათის დასჯის ხსენებისა? გახსოვდეთ ერთი, რომ რესპუბლიკის მოთმინება გაწყდა და მახვილი ჰკიდია თქვენს თავზედ.

— სტყუი, მტრის ნასხლეტო, იმიტომ რომ იქნება როგორმე თავი დავაძვრინო და სიკვდილს გადვურჩე როგორმეო,— შეჰყვირა კაშევოიმ,— მაგრამ ვერა გიშველის-რა, ვერც შენი მუქარა და ვერც სხვა რამე!

ატამანებმა დაიწყეს კბილების კრაჭუნი და ხმლებზე გავლება ხელისა, ხოლო პან სქშეტუსკიმ უფრო მაღლა აიღო თავი და ასე განაგრძო:

— ნუ გგონია, ბატონო კაშევოი ატამანო, რომ ვითომ სიკვდილისა მეშინიან, ჩემს სიცოცხლეს ვიცავ, ან ჩემს უდანაშაულობას ფამტკიცებ. მე შლიახტიჩი ვარ და ჩემი განკით-

ხვა შეუძლიანთ მხოლოდ ჩემთა ტოლთა, და არც თუ მოსა-მართლეთა წინაშე ვდგევარ მე აქ, არამედ წინაშე ავაზაკთა, არა თავად-აზნაურობის წინაშე, არა წინაშე რაინდობისა, არა-მედ ბარბაროსთა წინაშე; და კარგადაც ვიცი, რომ სიკვდილი არ მცდება და ჩემის სიკვდილით დაასრულებთ კიდეცა თქვენს ქველობასა და მოღვაწეობასა. ჩემს წინაშე სიკვდილია, და წამე-ბა, ხოლო ჩემს ზურგთ უკან ძლიერება და შურის-ძიება სრუ-ლიად რესპუბლიკისა, რომლის წინაშე თრთის ყველა თქვენ-განი სათითაოდ.

პან სქშეტუსკის სიტყვებმა შიში და ძრწოლა მოჰგვარა ყველას. ატამანებმა დუმილით გადაჰხედეს ერთმანეთს. მათ წი-ნაშე იდგა არა ტყვე, არამედ საშიშარი ელჩი ყოვლად ძლი-ერის ერისა.

— ბრაზიანი ლიახია!—სთქვა ტუღაი-ბეიმ.

— ბრაზიანი ლიახია!—დაეთანხმა ხმელნიცკიცა.

კარებს ბრახუნი დაუწყეს და ამის გამო თათბირი შესწყ-და. ბრბოს აეგო ანდერძი ტატარჩუკისა და ბარაბაშისათვის და ახალი დეპუტაცია გამოეგზავნა.

ოთახში შემოცვინდნენ მრავლად ყაზახნი, სმით გალექე-ბულნი, სისხლით მოსვრილნი, გამძვინვარებულნი. გაჩერდნენ კარებს ახლოს, დაიწყეს ყაყანი და იწვდიდნენ წინ ხელებს, რომელსაც ჯერ ისევ თბილის სისხლის ოხშივარი ასდიოდა.

— ამხანაგობა თავს უკრავს ბატონთ უფროსთა,—აქ ყვე-ლამ თავი დაუკრეს,—და გთხოვთ, მოგვეცით ლიახი, რომ იმა-საც ვეთამაშოთ, როგორც ტატარჩუკსა და ბარაბაშს ვეთამა-შეთო.

— მივცეთ ლიახი!—დაიყვირა ჩარნოტამ.

— ნუ მივცემთ,—გამოესარჩლნენ სხვანი.—დაიცადონ ჯერ. ეგ კაცი ელჩია!

ბოლოს ყველანი გაჩუმდნენ და ელოდნენ, რას იტყვიან კაშევი და ხმელნიცკიო.

— ამხანაგობა გთხოვთ და, თუ ნება არ იქნება, თვითონ წაიყვანს ძალით!—განიმეორა დეპუტაციამ.

სქშეტუშსკი იღუპებოდა და ის იყო; მაგრამ ამ დროს ხმელნიცკი დაიხარა და უჩურჩულა ტუღაი-ბეის.

— ეგ შენი ტყვეა,—უთხრა მან.—თათრებმა შეიპყრეს და ამიტომ შენია. მისცემ მაგ კაცს თუ არა მოსაკვლელად? მდიდარი აზნაურშვილია, და ესეც რომ არ იყოს, თავადი იერემიჰ დიდს ფულს მოიღებს მაგის გამოსახსნელად.

— მოგვეცით ლიახი!—ჰყვიროდნენ მუქარით ყაზახნი.

ტუღაი-ბეი გაიზმორა და ზეზედ წამოდგა. სახე ერთს წუთს გამოეცვალა, თვალებმა გაუელვა, კბილებმა კრაჭუნი დაუწყეს. როგორც ვეფხვი, ისე იხტუნა და შიგ იმ შუა ბრბოში ჩაერია, რომელიც ითხოვდა, ტყვე მოგვეცითო.

— დაიკარგენით აქედან, თქვე ტეტიებო, თქვე ძაღლებო, თქვენა!—დაიღრიალა ტუღაი-ბეიმ და გამძვინვარებითა სწვდა წვერებში მახლობელს ორს იმიერ-ჭორომელს.—დაიკარგენით, თქვე ლოთებო, უწმინდურო პირუტყვნო, თქვე ჯოჯოებო! მოხვედით და გინდათ ჩემი ტყვე წამართვათ? მაშ, ესეც თქვენ, ესეც თქვენ!—ტუღაი-ბეიმ დასცა ძირს ერთი ყაზახი და დაუწყო თელვა ფეხითა. დაიჩოქეთ, მონებო! ყველას, მთელს თქვენს სეჩს ასე გავსთელავ ფეხ-ქვეშა!

დეპუტატები შეშინდნენ და უკან-უკან დაიწყეს წევა. საშინელმა მეგობარმა თავისი ბრჭყალები გამოიჩინა.

საკვირველია: ბაზავლუკს სწორედ ექვსი ათასი თათარი იყო დაბანაკებული. მართალია, მათ ზურგს უმაგრებდა ყეენი მთელის თვისის მხედრობითა, მაგრამ ეს სეჩიც ხომ სულ უძალო და ულონო არ იყო და მაინც არც ერთმა კაცმა კრინტი არ დასძრა ტუღაი-ბეის წინააღმდეგ. თითქო ამ საშინელმა მურზამ ეს ერთად ერთი ღონისძიება იპოვა, რომ დაეცვა სიცოცხლე ტყვედ შეპყრობილისა. დეპუტაცია დაბრუნდა მოედანზედა და გამოუცხადა ხალხს, რომ ლიახთან „თამაშობა“ არ შეიძლება, ტუღაი-ბეის ტყვეა და ტუღაი-ბეი ძალიან გაჯავრდაო. „წვერები დაგვაგლიჯა, გაწყრაო!“ „გაწყრა, გაწყრა!“ ღრიალებდა ბრბო, ხოლო რამდენსამე წუთს შემდეგ უკვე

მზად იყო სიმღერა ამ შემთხვევისათვის. ერთს ცეცხლა-პირას ვილამაც დაიწყო უკვე თქმა სიმღერისა:

ჰეი, ჰეი!
ტულაი-ბეი
განწყრა, განრისხდა ძალიან!
ჰეი, ჰეი!
ტულაი-ბეი,
აქ შენი ძმანი არიან!

მაგრამ მალე სიმღერაც მისწყდა. ალაყაფის კარებიდან, ჰასსან-ფაშის უბნისკენ გამოჩნდა ახალი ბრბო ხალხისა და გაემართა სათათბირო სახლისაკენ. ატამანები უკვე თავ-თავიანთ სახლში დასაბრუნებლად ემზადებოდნენ, რომ უცბად ეს ახალნი სტუმარნი ეწვივნენ.

— წერილი გვაქვს გეტმანთან.

— სადაურები ხართ?

— ჩიგირინიდანა ვართ. დღე და ღამე გზად ვიდექით და მოგვქონდა წერილი. აი, წაიკითხეთ.

ხმელნიცკიმ გამოართვა. ყაზახს წერილი და დაიწყო კითხვა. უცბად სახე სულ შეეცვალა; წერილი ძირს დაიღო და ხმა-მაღლა წარმოსთქვა:

— ბატონო ატამანებო! დიდი გეტმანი ჰგზავნის ჩვენს წინააღმდეგ თავისს შვილს სტეფანეს ჯარითა. ეს ომია!

გარშემო ყველამ შეჰყვირა, არც თუ სიხარულით, არც თუ შიშითა; ხმელნიცკი გამოიჭიმა ოთახის შუა-გულ ადგილას და შემოიყარა დონჯი; მისი თვალები სულ ცეცხლს აფრქვევდა, ხმა მისი მუქარითა და ბრძანებითა ჰქუხდა:

— კურენების ატამანებო, თქვენ-თქვენს კურენებს მიაშურეთ! დასცალეთ ზარბაზნები! გამოიტანეთ არაყით სავსე ბოჭკები! ხვალ ლაშკრად მივდივართ!

ამ წუთიდან ყოველივე უფლება ხმელნიცკის ეძლეოდა. პატარა წინად ცბიერობისათვის უნდა მიემართნა, რომ სიკვდილს გადაერჩინა ტყვე და ცბიერობითვე უნდა დაესაჯა სიკვდილით თვისი მტერნი; ახლა კი ხელთ ეპყრა მართვა-გამ-

გეობის საბლის ყველა წვერნი. ასე იყო მუდამ. ომის წინადა და შემდეგაც, თუმცა გეტმანი არჩეულიცა ყოფილიყო, ბრბოა ატამანებისა და კაშევოის შემწეობით აცხადებდა, რაც უნდოდა; ამ სურვილის აღუსრულებლობა არც ისე უშიშარი საქმე იყო; მაგრამ, რაღაი ომი გამოცხადდებოდა, „ამხანაგობა“ ჯარი იყო მხოლოდ, სამხედრო წესსა და რიგს დაქვემდებარებული, კურენების ატამანები—აფიცრები, ხოლო გეტმანი—განუკითხველი სარდალი და სპასპეტი.

აი ამიტომ ატამანები მაშინვე გაცვინდნენ, რომ აღესრულებინათ ბრძანება ხმელნიცკისა. თათბირი გათავდა.

ერთს წუთს შემდეგ ზარბაზნების სროლამ აუწყა მთელს სეჩს, რომ ომი უკვე დაწყებულიაო.

იწყებოდა ომი და იწყებოდა ახალი ხანა ორის ერის ისტორიაშიც, მაგრამ ეს არ იცოდნენ არც სეჩის მთვრალმა მცხოვრებლებმა და არც თვით იმიერ-ჭოროომეთის გეტმანმა.

## XII

ხმელნიცკი და სქშეტუსკი კაშევოისთან წავიდნენ ღამის გასათევად. მათ გაჰყვა ტუღაი-ბეიცა: დაგვიანებული იყო და ბაზავლუკს ვეღარ დაბრუნდებოდა. ველური ბეი ისე ეკიდებოდა დესპანს, როგორც ტყვეს, რომელსაც ბოლოს გამოისყიდდნენ და დიდს ფულს აიღებდა; უფრო მეტის პატივისცემითაც ეკიდებოდა, ვიდრე თავისუფალ ყაზახებსა: ტყუილად ხომ არა ჰყვანდა ნახული ეს კაცი ყეენის სასახლეში. რაკი ეს შენიშნა კაშევოიმ, თავისს სახლში მიიწვია დესპანი და ახლა სულ სხვა ნაირად დაუწყო მოპყრობა. მოხუცი ატამანი გულითა და სულით ხმელნიცკის მხარეზედ იყო, ხოლო ხმელნიცკის უსათუოდ უნდოდა, რომ ტყვე ცოცხალი გადარჩენილიყო. გარნა მის გაკვირვებას სამზღვარი აღარა ჰქონდა მაშინ, როცა ხმელნიცკი, მოვიდა თუ არა კაშევოის სახლში, მაშინვე ჰკითხა ტუღაი-ბეის:

— ტულაი-ბეი, რამდენის აღებას ჰფიქრობ ამ პატიშარის გაშოსახსნელად?

ტულაი-ბეიმ სქშეტუსკის შეჰხედა.

— შენვე სთქვი, რომ დიდი კაცია, ხოლო მე ვიცი, რომ ელჩია საშიშის თავადისა, გარნა საშიშს თავადს უყვარს თავისიანები. ბისმილლაჰ! ერთი მომცემს ფულს, მეორეცა, მაშასადამე...

თათარი დაფიქრდა.

— ორი ათას ტალერს ავიღებ.

— მე მოგცემ ორი ათასს ტალერს.

ტულაი-ბეი გაჩუმდა პატარა ხანს. თვისის ირიბის თვალებით ისე დაშტერებოდა ხმელნიცკის, თითქო იმის გულის პასუხი უნდა ამოიკითხოსო.

— სამი ათასსაც მომცემ,—სთქვა მან.

— რად უნდა მოგცე სამი ათასი, როდესაც შენ თვითონ ორი ათასი ითხოვე?

— შენ გინდა მაგისი თავი, მაშასადამე, ეგ კაცი საჭიროა, სამი-ათასსაც მომცემ.

— მაგან სიკვდილს გადამარჩინა.

— ალლაჰ! ეგ ხომ ათასის ტალერით მეტიცა ჰღირს.

ახლა კი სქშეტუსკიც გაერია ამ ეაჭრობასა და გარიგებაში.

— ტულაი-ბეი!— გაბრაზებით შეჰყვირა დესპანმა,—თავადის ხაზინიდან ვერას დაგპირდები და თვითონ მე კი მოგცემ სამი-ათასს, თუნდა ამისათვის ყველაფრის გაყიდვა მომინდეს, რაც კი რამ მაბადია. პატარა სოფელი მაქვს საკუთარი და დავიჯერო არა ღირს-რა? ამ ატამანისა კი არა მინდა რა. მაგისი ნაწყალობევი არც სიცოცხლე მინდა და არც თავისუფლება.

— მერე თქვენ რა იცით, რასაც გიპირებთ?—ჰკითხა ხმელნიცკიმ და შემდეგ ისევ ტულაი-ბეის მიჰმართა.—ომი დაიწყება. გაჰგზავნი კაცს ფულისათვის თავადთან, მაგრამ, ვიდრე შენი გაგზავნილი დაბრუნდებოდეს, ბევრი წყალი ჩაივლის დნეპრში, მე კი ხვალვე დილით ჩამოგიტან ფულს ბაზავლუკს.

— მომეცი ოთხი ათასი და ღიახს აღარ დავუწყებ ლაპარაკს,—სთქვა მოუთმენლობით ტულაი-ბეიმ.

— კარგი, თანხმა ვარ; შენი სიტყვა იყოს.

— ბატონო გეტმანო,—სთქვა კაშევოიმ,—თუ მიბრძანებ, ეხლავ დაგითვლი მაგ ფულს.

— დილაზედ წაუღე ბაზავლუკს, —დასთანხმდა ხმელნიცკი.

ტულაი ბეი გაიზმორა და დაამთქნარა.

— მეძინება... ხვალ ალიოონზედ უნდა წავიდე. აბა, სად უნდა დავიძინო!

კაშევოიმ უჩვენა ადგილი კედელთან: აიგერა ცხვრის ტყავები და იმაზედ დაიძინეო.

თათარი გაიშოტა სახელდახელო ლოგინზედ და მალე ამოუშვა ხვრინვა. ხმელნიცკი პატარა ხანს ბოლთის ცემას მოჰყვა.

— ძილი არ ეკარება ჩემს თვალებს,—სთქვა მან,—არ დავიძინებ. მოიტა დამალევინე რამ, ბატონო კაშევოი.

— არაყს მიირთმევ თუ ღვინოს?

— არაყი. არა, ვერ დავიძინებ.

— მამლებმა იყივლეს კიდეცა,—სთქვა კაშევოიმ.

— გვიანაა! წადი დაიძინე შენცა, ძველო შეგობარო. დალიე და დაიძინე.

— ღმერთმა გაცოცხლოს, კარგს ბედს შეგყაროს!

— ღმერთმა გადღეგრძელოს!

კაშევოიმ მოიწმინდა ტუჩები სახელოთი, მივიდა ოთახის ერთს კუთხეში და ჩაწვა ისიც ცხვრის ტყავებში.

მალე იმისი ხვრინვა ტულა-ბეის ხვრინვას შეუერთდა.

ხმელნიცკი მოუჯდა სტოლს და ღრმა ფიქრში წავიდა. უცბად გამოერკვია და შეჰხედა სქშეტუსკის.

— ბატონო დესპანო, თქვენ თავისუფალი ბრძანდებით.

— თავისუფალი? ოჰ, გმადლობთ, გეტმანო იმიერ-ჭოროძეთისავ, თუმცა არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ ბევრად მერჩივნა ეგ თავისუფლება სხვას ეწყალობებინა ჩემთვის და არა თქვენ.

— ნუ მეუბნევით მადლობას. მე სიკვდილისაგან დამიხსენით, ახლა სამაგიერო სიკეთე გადაგიხადეთ და ჩვენ ქვითნი ვართ. ამას გარდა, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ გაგიშვებთ აქედან, ვიდრე სიტყვას არ მომცემთ, პატიოსანის რაინდის სიტყვას, რომ შინ დაბრუნებისას არავის არას ეტყვით არც ჩვენის ძალ-ღონისასა, არც ჩვენის საომრად გზად ყოფნისასა და არც იმისას, რაც აქ, სეჩში, ჰნახეთ.

— თქვენ, მგონია, მეხუმრებით! მაგნაირს სიტყვას ვერ მოგცემთ, იმიტომ რომ ეგ სიტყვა რომ მოგცეთ, ჩემი საქციელი იმ მოღალატეთა საქციელს ემგვანება, რომელნიც მტრის მხარეზედ გადადიან.

— ჩემი სიცოცხლე და მთლად ამიერ-ჭორომეთის ბედი იმაზედა ჰკიდია, შემოგვიტევს დიდი გეტმანი მთელის თვისის ძალ-ღონითა თუ არა? ხოლო ის ერთს წუთსაც არ დაყოვნდება, თუ გაიგო თქვენის წყალობით საქმის ვითარება; ჰო და მაშ, მე ნუ დამემდურებით, თუ ვერ განგიტევებთ, ვიდრე სიტყვას არ მომცემთ, რომ გაჩუმდებით, და არას არ იტყვით იმისას, რაც აქა ჰნახეთ. ვიცი, რა ძალი დამესხმის თავს წვიმასავითა: ორივე გეტმანი, საშიში თავადი, რომელიც მარტოც რომ იყოს, ერთს ჯარადა ჰღირს, ზასლავსკი, კონეცპოლსკი და ყველა ეს მოურავ-ერისთავნი, რომელნიც კისერზედ ასხედან ყაზახებს! მართალია, ცოტა შრომა არ დამჭირდა, ცოტა წერილები არ მივიწერე აქეთ-იქით, რომ თვალი ამება მათთვის, მიმეძინებინა, მაგრამ მაინც ფხიზლობდნენ; ჯანდაბას იმათი თაეი, იფხიზლონ ახლა, რამდენიც უნდათ. როცა მდაბიონიცა, ქალაქის ყაზახნიც და ყველანიც, ვინც კი შევიწროებულია, ვისაც არც თავისუფლება აქვს და არც სარწმუნოება ხელ-უხლებელი, მოურიდებლად გადმოვლენ ჩემს მხარესა, როგორც გადმოვიდა ამიერ-ჭორომეთის ჯარი და მოწყალე ყენენ ყირიმისა, მაშინ აღარ შემეშინდება მტრისა, ხოლო მანამდე ღვთის იმედი მაქვს, რომელიც ჰხედავს ჩემს უბრალოებას და ჩემს მწარე შეურაცხყოფასა.

ხმელნიცკიმ გადაჰკრა არაყი და მოუსვენრად დაუწყო გარშემო ტრიალი სტოლს. პან სქმეტუსკიმ ააკლ-ჩაავლო თვალი და გაბედვით დაუწყო ლაპარაკი:

— ღმერთს ნუ ჰგმობ, გეტმანო ამიერ-ჭოროომეთისავ, ნუ ითხოვ ღვთის კურთხევას შენის საქმეებისათვის. განა თქვენ უნდა სთხოვდეთ შემწეობას უზენაესსა, თქვენ, რომელიც პირადის წყენისათვის ჰლამის აღანთოს სახმილი შინაურის, ძმათამკვლელობის ომისა და შეუერთდეს უსჯულოთა საქრისტიანოს წინააღმდეგ? იფიქრეთ, რა შეუდგება თქვენს განზრახვას. გაიმარჯვებთ, თუ გაიმარჯვებენ, სულ ერთია, მთელს ადამიანთა ზღვა სისხლსა და ცრემლს დაჰღვრით, კალიაზედ უარესად მოაოხრებთ მშობელს ქვეყანას, ტყვეობაში ჩაჰყრით მოძმე ხალხს, შეარყევთ რესპუბლიკის ძლიერებას, გააუწმინდურებთ ტრაპეზთა უფლისათა და ყოველივე ესე რადა, რისთვის უნდა მოჰხდეს? იმიტომ მხოლოდ, რომ ჩაპლინსკიმ მამული წაგართვათ! რა დავაბრკოლებთ და ან რის წინაშე-ღა შესდგებით, რას არ გასწირავთ, ოღონდ კი თქვენის გულის ბუხარი იყაროთ, ღმერთსაც უწოდებთ განა ამისთანა საქმისათვის? ხომ თქვენს ხელშიღარ, ხომ ყოველთვის შეგიძლიანთ წამართვათ თავისუფლება და თვით სიცოცხლეცა, მაგრამ მაინც გეტყვით: ღმერთს კი არა, ეშმაკს უნდა მოუწოდოთ საშველად; მხოლოდ ეშმაკს გამოგიწოდებთ ხელს თქვენს საშინელს საქმეში.

ხმელნიცკი გალურჯდა, იტაცა ხმალს ხელი და ისე დააბღვერდა დესპანს, როგორც ლომი, რომელიც მზად არის, თავს დაეცეს თავის მსხვერპლს, მაგრამ უცბად შესდგა. ჯერ კიდევ ძლიერ არ იყო მთვრალი. ვინ იცის, იქნება შიშმა რამ შეიპყრო უეცრად, იქნება სვინიდისმა გაიღვიძა და ქენჯნა რამ დაუწყო და ამბილა: შესდეგო! ხმელნიცკიმ თავი ჩაჰღუნა და ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქო ცდილობს თავისი თავი თვითონვე დააჯეროს, დაარწმუნოს როგორმეო:

— სხვას არ მოვუთმენდი მაგისთანა ლაპარაკს, მაგრამ თქვენც გაფრთხილდით, რომ თქვენი გაბედულობა არ აღემატოს ჩემს მოთმინებას. მაშინებთ ჯოჯოხეთითა, მაბრალებთ

ღალატსა, რომ ვითომ პირადის წყენისათვის შურსა ვძიობ, მაგრამ საიდან იცით, რომ მარტო ჩემის წყენისათვის მინდა მივაგო მტერს სამაგიერო? სად ვიშოვიდი ამოდენს თანაშემწეს, საიდან გაჩნდებოდა ეს ათასი და ათი ათასი ხალხი, რომელიც შემომიერთდა და კიდევ შემომიერთდება, თუ მარტო პირადის საქმისათვის ვცდილობდე? აბა, იფიქრეთ, რა ამბავია უკრაინაში. ეჰ, დედა-ქყეყანა, ჩვენო ნაყოფიერო მშობელო, ვინ არის, რომ უშიშრად ჰგრძნობს თავს შენთა სამზღვართა შორის, ვინ არის, რომ დარწმუნებული იყოს, ხვალინდელი დღე მშვიდობით გამითენდებაო? ვინ არის ბედნიერი, ვინ არის თავისუფალი, ვინ არა სტირის, არა ოხრავს? მხოლოდ ერთი ვისნევეცკები, პოტოცკები, ზასლავსკები, კალინოვსკები და ერთი მუჭა აზნაურშვილობა! იმათთვის არის უფროსობა, დიდება, ყმა და მამული! იმათთვის არის ბედნიერება და ოქროს თავისუფლება, ხოლო დანარჩენი ერი მდუღარებას აბნევს, ხელ აღპყრობილია ცად მიმართ და ღვთისაგან ელის შემწეობას, რადგან მეფის წყალობაც ვერასა ჰშველის! თვით აზნაურობაშიაც რამდენია, რომ ვეღარ გაუძლეს შევიწროებას და ივლტოდნენ სეჩს ჩემსავითა? მე ომი არა მწადიან არც მეფესთანა და არც რესპუ-ლიკასთან! რესპუბლიკა დედაა ჩვენი, მეფე მამაა; მეფე მოწყალეა, გარნა მისნი ერისთავნი... იმათი გაძლება ჩვენ არ შეგვიძლიან. იმათი ჩაგვრა, იმათი უღვთო გადასახადები, იმათი ღალა-იჯარები, იმათი მტარვალობა და ტვინის წოვა, იმათი გულ-ღვარძლიანობა,—ყოველივე ცას შეჰღაღადებს შურის ძიებად! რა მადლობა მიიღო ამიერ-ჭორომეთის მხედრობამ იმ ღვაწლისათვის, რომელიც მიუძღვის ქვეყნის წინაშე მრავალ ომსა და ლაშკრობაში? სად არის ყაზახთა უპირატესობანი? მეფემ უბოძა, ხოლო ერისთავებმა წაართვეს. ნალივაიკა ოთხად იქმნა გაჭრილი, პავლიუკი სპილენძის ხარის მუცელში შესწვეს! წყლულნი, რომელნიც დაგვაჩნია ჟულკევსკიმა და კონეცპოლსკიმ, ჯერ არ დაშუშულა. ცრემლნი დაღვრილნი მოკლულთა და აკეპილთა და მარგილზედ ჩამოცმულთათვის ჯერ არ შეგვშრობია და ახლა კი, აბა, შეჰხე-

ლეთ, რა ანთია ცაზედ?—ხმელნიცკიმ თითი გაიშკირა ცისაკენ, საცა კუდიანი ვარსკვლავი ბდღვრიალებდა.—რისხვაა ღვთისა! ცეცხლია ღვთისა!... და თუ მე ვარ ეგ ღვთის რისხვა, მოვლენილი ქვეყნად, დაე აღსრულდეს ნება ღვთისა! ვტვირთულობ ჯვარსა ჩემსა.

ხმელნიცკიმ, საშინელმა და თავ-პირ ჩამობნელებულმა ხელნი აღაპყრნა ცად მიმართ, ათრთოლდა და დაეშვა ძირს, თითქო ველარ აიტანა დიდი სიმძიმე თვისის მოწოდებისაო.

ჩამოვარდა მდუმარება, რომელსაც არღვევდა მხოლოდ ხვრინვა ტუღაი-ბეისა და კაშევოისა და კიდევ ოთახის კუთხეში გაბმული გულსაკლავი ჭრიჭინი ჭრიჭინასი.

დესპანი იჯდა ძირს თავ-ჩაღუნული. ეტყობოდა, თითქო პასუხს ეძებს ხმელნიცკის სიტყვებისასაო, რომელიც ისეთივე მძიმე იყო, როგორც დიდი ნატეხი სალის-კლდისა; ბოლოს სქშეტუსკიმ დაიწყო ლაპარაკი ნელის, მწუხარე ხმით:

— ოჰ, თუნდ რომ მართალიც იყოს ეგა, ვინა ბრძანდებით განა, რომ კისრულობთ მოსამართლისა და ჯალათის მოვალეობას? რა მძვინვარებასა და რა გულზვავობას შეუპყრიხართ? რატომ არ გინდათ ღმერთს მიანდოთ ეგ უფლება განკითხვისა და დასჯისა? ბოროტს კაცებს არ ვესარჩლები, წყენას არც მე ვაპატივებ ვისმე, ჩაგვრა-შევიწროებას არც მე ვსახავ უფლებადა, მაგრამ ერთი თქვენს გულშიაც ჩაიხედეთ, გეტმანო! უჩივით ერისთავთა მიერ ჩაგვრას და შევიწროებას; ბრძანებთ, რომ არ ემორჩილებიან არც მეფეს, არც კანონსაო, ჰგმობთ მათს გულზვაობას და მერე თქვენ თვითონ კი არა გჭირთ ეგევე სენი? თვითონ თქვენ კი არ მოგიღერებიათ მუშტი რესპუბლიკისა და კანონისათვის? პანებისა და შლიახტის მტარვალობას კი ჰხედავთ და ის კი არ გინდათ დაინახოთ, რომ თუ არ მათი მკერდი, მათი ჯავშან-ჩაჩქანი, თუ არ მათი ციხე-დარბაზნი, ზარბაზან-ზამბულაკნი და ჯარი, ეს დედა-მიწა, საცა მდინარენი რძესა და თაფლად გადაქცეულა, ათასჯერ უფრო აუტანელს გმინვაში იქმნებოდა დაჩაგრულობის გამო თათართა და ოსმალთა მონობის უღელ ქვეშ! ვინ დაიცავდა და დაიფა-

რავდა ამ ქვეყანას? ვის მზრუნველობისა და ძალ-ღონის წყალობითაა, რომ თქვენი შვილები იანიჩარებად არა მსახურებენ, თქვენი ასულნი სანთელივით არა ჰდნებიან საზიზღარს ჰარამხანებში? ვინ ასახლებს უკაცურს უდაბნოებს, ამაგრებს ქალაქებს, აგებს ტაძართა ღვთისათა?...

პან სქშეტუსკის ხმა თან და თან უფრო ძლიერდებოდა, ხოლო ხმელნიცკი თავ-ჩაქინდრული ჩაჰყურებდა არაყით სავსე ფიალას და მდუმარებდა პირ-ვამეხებული.

— მერე ვინ არიან ისინი?—განაგრძობდა თავისას პან სქშეტუსკი.—ნემენცების ქვეყნიდან არიან მოსულნი თუ ოსმალეთიდან? განა სისხლნი არ არიან ჩვენთა სისხლთაგან და ძვალნი ჩვენთა ძვალთაგან? თქვენივე შლიახტა არ არის და თქვენივე თავადნი არ არიან? ოჰ, თუ ეს ასეა, მაშ ვაი თქვენდა, რომ თქვენ ასისიანებთ უმცროსთა ძმათა უფროსთა საწინააღმდეგოდ! ვფიცავ დაუსაბამო მამასა, თუნდა საძაგელნი იყვნენ, თუნდ ყველანი სათითაოდ ფეხ-ქვეშა სთელავდნენ კანონსა, გვართმევდნენ უფლება-უპირატესობასა, მაინც თქვენი საქმე არ არის იმათი განკითხვა: დაე ღმერთმა განიკითხოს იგინი ცათა შინა, ხოლო სეიმებმა—ქვეყანასა ზედა და არა თქვენ, გეტმანო! შეგიძლიანთ სთქვათ, რომ თქვენ შორის ყველანი მხოლოდ სამართლიანები არიან, რომ თქვენ არაფერი არა დაგიშავებიათ-რა და ტვირთულობთ უფლებას, იარაღით ხელში უნდა ვეწიო ჩემსასაო? თქვენა მკითხავდით, სად არის ყაზახთა უფლებანიო? ახლა მე გიპასუხებთ: მოურავ-ერისთავებმა კი არ მოსპეს ეგ უფლებანი, არამედ იმიერ-ჰორომელებმა, ლობოდამა, სასკომ, ნალივაიკამ და პავლიუკმა, რომლისასაც ამბობთ, ვითომ სპილენძის ხარის მუცელში შესწვესო, თუმცა კარგად იცით, რომ ეგ აგრე არ იყო. დათრგუნა და მოსპო თქვენი უპირატესობანი თქვენმა მრავალ-გზის აჯანყებამა, მღელვარებამა და ძარცვა-რბევამ, რომელიც თათართა ძარცვა-რბევასა ჰგვანდა. ვინ შემოუშვებდა ხოლმე რესპუბლიკაში თათრებს, რათა შემდეგ, როცა დავლა-ალაფით დაბრუნდებოდნენ უკან, დასხმოდნენ თავს და წაერთვათ ნაალაფევ-ნადავლი? თქვენ! ვინ

იყო, რომ,—ღმერთო შეუნდე!—თავის სისხლსა და ხორცს, ქრისტიან ხალხს ტყვედა ჰყიდდა თათრებში? ვინ იყო თავი აჯანყება-ამბოხებისა? თქვენ! ვის წინაშეა, რომ უშიშრად ვერა ჭგრძნობს თავს ვერც შლიახტიჩი, ვერც ვაჭარი, ვერც გლეხკაცი? თქვენ წინაშე! ვინ აღანთებდა ხოლმე ცეცხლს ძმათა-ძმის მკვლელის ომისას, ამტუტებდა უკრაინის ქალაქებსა და სოფლებს, სძარცვავდა ეკლესიებს, აუპატიურებდა დედაკაცებს? თქვენა და მხოლოდ თქვენ! რაღა გინდათ ახლა? გინდათ, რომ მოგცენ უფლება, იაურ-ზაურეთ, იამბოხეთ, სძარცვეთ და ითარეშეთ, რამდენიც გნებავდეთო?! ღვთის-წინაშე, უფრო ბევრს გაპატივებდნენ ხოლმე, ვიდრე გსჯიდნენ! სენ-მორეული ასო უნდოდათ განეკურნათ და არა მოეკვეთათ*), და არ ვიცი, არის კიდევ მთელს ქვეყანაზედ ისეთი სახელმწიფო, რესპუბლიკას გარდა, რომელიც ასეთის მოთმინებით ითმენდეს ასეთს სნეულებას? ამის მაგიერ რითი უხდით მადლობას? აიგერა სძინავს თქვენს მოკავშირეს—დაუძინებელს მტერს ჯვარისა და ქრისტიანობისას, არა უკრაინელს მოურავ-ერისთავს, არამედ თათრის მურზას და აი მაგასთან ერთად მიდიხართ, რომ დასწვათ მშობელი მხარე, განიკითხოთ ღვიძლნი ძმანი! ახლა ეგ იქნება იქ ბატონი, მაგას დაუჭერთ იქ უზანგსა!

ხმელნიცკიმ კვლავ გადაჰკრა არაყით სავსე ფიალა.

— როცა მე და ბარაბაში ვიყავით თავის დროზედ მეფესთან, ჩვენ მოწყალე ბატონთან,—წარბ-შეჭმუხვნით და დაღვრემით წარმოსთქვა ხმელნიცკიმ,—ასე გვიბძანა: განა თოფიარაღი არა გაქვთ და ხმალი არ გარტყიათ წელზედაო?

— მეფეთ-მეფის წინაშე რომ დამდგარიყავით, ასე ეუბნოდათ: მიუტევე კი შენთა ბატერია, როგორც მე მივუტევე ჩემს მტრებსაო?

— მე რესპუბლიკასთან ომი არა მწადიან.

— მხოლოდ დანას აჭერთ ყელში, ჰა?

— მივდივარ, რომ ყაზახნი გავანთავისუფლო თქვენის მონობის ჯაჭვთაგან.

*) ბუტმან ჟულაევსკის სიტყვებია.

— რომ მერე თათართა ქამანდი ჰკრათ და უარესად გაჰბოჭოთ.

— მინდა დავიცვა სარწმუნოება.

— წართმართთან ერთად.

— მომშორდი თავიდან! შენ არა ხარ ხმა ჩემის სვინიდისისა! მომშორდი-მეთქი, გეუბნები!

— სისხლი, დაქცეული თქვენ მიერ, დაამძიმებს თქვენს სულს, ცრემლნი კაცთანი ჰღაღადებენ ღვთისა მიმართ, თქვენ მოგელით სიკვდილი, მოგელით მსჯავრი და განკითხვა....

ხმელნიცკიმ გააფთრებით დაიწყო ღრიალი და ამოწვდილის დანით ხელში ეცა დესპანს.

— მომკალით!—სთქვა პან სქშეტუსკიმ.

და კვლავ ჩამოვარდა მდუმარება, კვლავ მოისმოდა მხოლოდ ხვრინვა მძინარეთა და გულ-საკლავი ჭრიჭინი ჭრიჭინასი.

ხმელნიცკი გაჩერდა ერთს წუთს ასე ხელში დანითა, რომელიც სქშეტუსკისა ჰქონდა მოღერებული, მაგრამ უცბად გააჟრჟოლა, გონს მოვიდა, დანა ძირს დაუვარდა, სწვდა არაყის ჭურჭელსა და მოიწაფა. დალია სულ უსუნთქებლივ და დამძიმებული დაეშვა იქვე ტახტზედა.

— არ შემიძლიან დაკვრა,—ბუტბუტებდა მთვრალი,—არ შემიძლიან. გვიან-ღაა... რა ამბავია, გათენებაა?.. უკან დაბრუნებაც გვიან-ღაა გზად-გამდგარისათვის... რას მეუბნები სამართალისა და სამსჯავროსასა?

ისედაც ცოტა არა ჰქონდა დალეული და აბლად დალეული ხომ უფრო ძლიერ ეცა თავში; თან-და-თან უფრო და უფრო ეკიდებოდა სასმელი.

— რომელი სამართალიო? რაო? ყეენმა ალმითქვა შემწეობა, ტულაი-ბეის აქა სძინავს; ხოლო თუ... უკეთუ, ის... შე გამოგისყიდე ტულაი-ბეის ტყვეობიდან... ეს გახსოვდეს და ესა სთქვი... ოჰ, გულსა მჩხვლეტავს რალაცა, მტკივა!... გზიდან უკან დაბრუნება... გვიან-ღაა! სამართალი... ნალივაიკო... პავლიუკი...

უცბად გაიმართა წელში, შეშინებულმა დააჭყიტა თვალები და დაიყვირა:

— ვინ არის აქა?

— ვინ არის აქა?—განიმეორა ბურანში კაშეევიმ, რომელსაც ყვირილმა ოდნავ გაუკრთო ძილი.

ხოლო ხმელნიცკიმ კვლავ ჩაჰქინდრა თავი, წატორმანდა, წაიბუტბუტა:—„რა სამართალია?“—და მიეძინა.

პან სქშეტუსკი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაჰშუშებოდა ჭრილობა, გაფითრდა, საშინელი სისუსტე იგრძნო და იფიქრა: სიკვდილს ხომ არ უნდა გადამფაროს თვისნი ფრთენიო.

## XIII

დილა ადრიან ქვეითი და ცხენოსანი ყაზახთა ჯარი გაემართა სეჩიდან. სისხლს ჯერ არ მოეცხო ჩირქი მინდვრებისათვის, მაგრამ ომი კი დაიწყო. რაზმი რაზმს მისდევდა, თითქო გაზაფხულის მცხინვარე მზით გამოჩეკილი კალიაო, ჩერტომელიკის ლელიან მიდამოთა შორის და უკრაინის ყანებში შესასევადა დაძრულიო. ტყეში, ბაზავლუკს იქით, იდგნენ თათარნი, სალაშკროდ გამზადებულნი, ექვსი ათასი რჩეული მხედრობა, შეიარაღებული თავით ფეხამდე,—აი ის შემწეობა, რომელიც გამოუგზავნა ყეენმა იმიერ-ჭოროომელებსა და ხმელნიცკის. ყაზახებმა, მოკავშირენი რომ დაინახეს, დაიწყეს თოფების ცლა და ქუდების მაღლა სროლა. ხმელნიცკი და ტუღაი-ბეი ცხენებზედ ისხდნენ, თუღებით იყვნენ დაჩრდილულნი, საჩქაროდ გაეშურნენ ერთმანეთისაკენ და დიდის ამბითა და გამოჩინებით მიესალამნენ ერთმანეთსა.

ჯარნი დაეწყვნენ მწკრივ-მწკრივად ისეთის სისწრაფით, რომელიც სჩვევია ყაზახთა და თათართ, და გაუდგნენ გზას. ორდინცებმა დაიჭირეს აქეთ-იქითა ფრთენი, შუაში ჩადგა ხმელ-

ნიკკი თვისის ცხენოსნებითა, ხოლო ულან მიდიოდა იმიერ-ჭორომელთა საშინელი ქვეითი ჯარი*).

ჯარმა გაიარა ბაზავლუკის ტყე და გავიდა მინდვრად. კარგი დარი იყო, ლურჯად მოწმენდილს ცაზედ ნაჭერი არ-სადა სჩანდა ღრუბლისა. ჩრდილოეთის ნელი ნიავი სიგრილე-სა ჰფენდა. მზე სასიამოვნოდ აბჭყვრიალებდა შუბებსა და თო-ფის ლულებსა.

ჯერ წინ გაშლილი იყო ყრუ-მინდვრები ყოვლადის თვისის სამზღვარ-დაუდებელის თვალ-გადუწვდენელობითა, და სიხარუ-ლით აძგერდა ყაზახთა გულნი. მაყვლის ფერი დიდი დროშა, რომელზედაც იყო მხატვრობა მთავარ-ანგელოზისა, რამდენ-ჯერმე დაიხარა და მიესალმა მშობელს მინდორს, მასთან ერ-თად დაჰხარეს ყველა თოფნი და რაზმთა ალამნი.

რაზმნი თავისუფლად გაიშალნენ. აი წავიდნენ წინ მესა-კრავენი; დაიწყო გუგუნი სპილენძის ტოლჩებმა, ახმიანდა ბობ-ლანოები და მინდვრის მდუმარებაში გაისმა ათასგვარად შეწ-ყობილი ხმა რიცხვ-მრავალ ხოროსი:

ჰეი, მინდორო, მინდორო,
სასურველო გულისაო,
წითელ-ფერის ყვავილებით
უკუ-მყრელო სევდისაო;
ვრცელი ხარ და თვალთ-უწვდენი,
ვით ზედა-პირი ზღვისაო.

მესაკრავეთა მიუშვეს აღვირი ცხენებს, გადაეშვნენ უკან, თვალნი მიაპყრეს ცას და დაუწყეს კვრა საკრავთა; მებობლა-ნეთ აიღეს ხელნი მაღლა და სცემდნენ თავიანთ სპილენძის დაფ-დაფთა, და ყოველივე ესე, შეერია-რა ერთკილოვან ხმას სიმღერისას, გადაიქცა ერთს უშველებელ, ველურსა და უდა-

*) წინაადმდეგ დღევანდელის აზრისა, ბოპლანი ამტკიცებს, რომ იმიერ-ჭორომეთის ქვეითი ჯარი ბევრად სჯობდა ცხენოსანთა ჯარსაო. იმის ფიქრით, 200 პოლონელი ადვილად ამარცხებდა იმიერ-ჭორომეთის 2000 მხედარს, მაშინ როდესაც ასს ქვეითის ჯარის ყაზახს დიდ ხანს შეეძლო თავი გაემაგრებინა სანგალ-ხაფრებში, თუნდა ათასობით მიეტანათ იერიში პოლონელებსა.

ბნოსავით მოსაწყენს გრიალად. ყველა მოიცვა რაღაც სევდამ! მხედარნი ნება-უნებლიედ იხრიდნენ თავს სიმღერის ასაყოლებლად; თითქო ‚მინდორიცა მღერის და ბუბუნებს კაცებთანა, ცხენებთანა და გაფრიალებულ დროშებთან ერთადაო.

ჯართ წინამძღოლი და სპასპეტი იყო ხმელნიცკი, რომელიც თეთრს ცხენზედ იჯდა, ხელთ ოქროს კვერთხი ეპყრა და გვერდთ ახლდა მაყვლის ფერი დიდი დროშა და თუღი.

მთელი ლაშქარი ტაატით მიიწევდა ჩრდილოეთად; გზა-გზა გუნდნი ფრინველთა ფრთხიალით წამოიშლებოდნენ ხოლმე, მიჰფრინავდნენ შეშინებულნი და არღვევდნენ უდაბნოს დიდებულს მდუმარებას.

ხოლო ჩიგირინიდან, უდაბნოს ჩრდილო სამზღვართაგან, მოცურავდა სხვა, უშველებელი ზვირთი მხედრობისა ახალგაზდა პოტოცკის წინამძღოლობით. აქ იმიერ-ჭორომელნი და თათარნი ისე მიდიოდნენ საომრად, თითქო ქორწილში მიეშურებიანო, მუსიკის კვრითა და მხიარულის სიმღერითა; იქ გუსარნი, რაზმ-რაზმად დაწყობილნი, მდუმარებით მიაბიჯებდნენ წინ დალვრემილ-დაძმარებულნი, რადგან გული არ მისწევდათ ამ ლაშკრობაში, რომელსაც სახელი და დიდება არ მოჰყვებოდა. აქ, მაყვლის ფერ დროშის ქვეშ, გამოცდილი მეთაური მუქარით იღერებდა თავისს ოქროს კვერთხ-კომბალს, დარწმუნებული, რომ გამარჯვება მე დამრჩება და შურსაც ვიძიებო; იქ სპათა ჯარს წინ მიუძღოდა დაფიქრებული ჭაბუკი მწუხარე სახითა, თითქო წინდაწინვე ცხადადა სჭვრეტს თავისს სამწუხარო ბოლოსაო.

ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ამხედრებულ ჯართა შორის ჯერ კიდევ დიდი სივრცე იდო მინდვრებისა. ხმელნიცკი არა ჩქარობდა. იმისი ფიქრი ის იყო, რომ, რაც უფრო შორს წამოვა ამ უდაბნოში მტერი, რაც უფრო მეტად დაშორდება ორს გეტმანს, მით უფრო მალე დამარცხდებაო. ამასობაში ახალნი ლტოლვილნი ჩიგირინიდანა, პოვოლოჩიდანა და უკრაინის სხვა მოსამზღვრე ქალაქებიდან, ემატებოდნენ იმიერ-ჭორომელთა ჯარს და მოჰქონდათ თან ამბავი მოპირისპირე ბანაკისა. ხმელ-

ნიკიმ გაიგო ახლა, რომ მოხუცს გეტმანს გამოეგზავნა თვისი შვილი ხმელეთით ორი ათასის ცხენოსანის ჯარითურთ *), ხოლო ექვსი ათასი ქვეითი მეომარნი და ათასი ნემენცი წყალ-წყალ მიდიოდა დნეპრზედა. ორივე რაზმს ნაბრძანები ჰქონდა, ერთმანეთს ნუ განშორდებითო, მაგრამ ეს ბრძანება პირველ დღესვე დარღვეულ-იქმნა. ნავები მალე გაიტაცა დნეპრის ჩქარმა მდინარეობამ და შესამჩნევად წინ წავიდა ეს რაზმი, ვიდრე გუსარნი, რომელნიც ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ.

ხმელნიცკი იმის ლოდინში იყო, რომ უფრო გადიდებულიყო მანძილი, რომელიც ჰყოფდა რესპუბლიკის ჯარებს ერთმანეთისაგან. გალაშქრების მესამე დღეს მისმა მხედრობამ დაიბანაკა ლელიანების ახლოს.

ტულაი-ბეის თათრებმა ორი ლტოლვილი შეიპყრეს. ისინი იყვნენ დრაგუნები, რომლებიც პოტოცკის ბანაკიდან გამოქცეულიყვნენ. დღე-და-ღამე ეარნათ და ძლიერ გამოესწროთ წინ თავიანთ რაზმისათვის.

რაც იმათ უამბეს, სავსებით შეესაბამებოდა ხმელნიცკის ცნობას პოტოცკის ჯარის რაოდენობის შესახებ. ამას გარდა სხვა ახალი ამბავიც აუწყეს: იმ ყაზახთა წინამძღოლნი, რომელნიც ნემენცებთან ერთად მოდიან ნავებით, მოხუცი ბარაბაში და ქშეჩოვსკიაო.

ეს უკანასკნელი სახელი რომ გაიგონა, ხმელნიცკი ფეხზედ წამოხტა.

— ქშეჩოვსკიო? პერეიასლავის ყაზახთა პოლკოვნიკი?

მიუბრუნდა მის გარშემო მყოფ პოლკოვნიკებს და სთქვა:

— ამხედრდით ახლავე.—გასცა მან ბრძანება ომახიანად.

საათსაც არ გაუვლია, ლაშქარი კვლავ დაიძრა და გაუდგა გზას, თუმცა მზე უკვე ჩასავალს იყო და ღამეც არ იძლეოდა იმედს, რომ რიგიანი იქნებოდა. რაღაც საშინელი, სისხლის ფრად შეღებილი ღრუბლები აჰფარებოდა ცას დასავლეთად,

---

*) სამოელ ველიჩკოს სიტყვით, რესპუბლიკის ჯარი 22 ათასამდე იქნებოდაო, ეს შესაწყნარებელი არ უნდა იყოს.

თვითქო უზარ-მაზარ გველთა და ურჩხულთა რაზმებიაო, ერთ-მანეთის შესამუსრად განმზადებულებიო. ლაშქარი გაემართა მარცხნივ, დნეპრის კიდეებისაკენ. ახლა მდუმარებით მიდიოდნენ, უსიმღეროდ, უმუსიკოდ, იმდენად აჩქარებით, რამდენადაც ნებას აძლევდა ხშირი და მაღალი ბალახი. ცხენოსანი ჯარი გზას უქნიდა ურმებსა და ქვეითა ჯარსა, რომელიც მალე უკან დარჩა. დაღამდა. ამოვიდა უშველებელი გაწითლებული მთვარე.

შუა-ღამე იყო უკვე ძალზედ გადასული, როცა ყაზახთა და თათართ თვალ-წინ წარმოუდგათ რაღაც შავი ზვინი, რომელიც საკმაოდ გარკვევით მოსჩანდა ღამის ცრიაგს სიბნელეში.

ეგ ზვინი იყო ზღუდენი კუდაკისა.

მსწრაფლ-მსრბოლნი რაზმნი, ღამის წყვდიადით დაფარულნი, ჩუმად და სიფრთხილით მიეპარნენ ციხე-დარბაზის გალავნის მიდამოთა. ვინ იცის, იქნება შესაძლო იყოს ხელში ჩავიგდოთ უცბად მიძინებული ციხეო?

მაგრამ უეცრივ გაიელვა, გრგვინვამ შეარყია სიპი კლდენი დნეპრისა და ცეცხლივით წითელმა ყუმბარამ, გადიარა რა ცეცხლის რკალივით ცაზედ, დაეცა მინდვრის ხშირს ბალახებში.

თავ-პირ ჩამობნელებული ციკლოპი გროძიცკი ამით აუწყებდა, რომ ეფხიზლობო.

— აი ეგ ცალ-თვალა, ბრმა ძაღლი!—წასჩურჩულა ხმელნიცკიმ ტუღაი-ბეის,—ღამეც კი ჰხედავს.

ყაზახებმა გზა აუქციეს ციხე-დარბაზსა. ფიქრადაც არ იყო გასატარებელი, რომ შესაძლო იქმნებოდა ციხის აღება, მით უმეტეს, რომ ზემოდან სახელმწიფოს ჯარი მოდიოდა. პან გროძიცკი მაინც თავისას არ იშლიდა და ყუმბარას ყუმბარაზედ ადევნებდა გზაში ჯარს, იმდენად ზიანის მისაცემად არა, რამდენადაც იმიტომ, რომ საქმის ვითარება ვაუწყო ზემოდან წამოსულ ჯარს, რომელიც შესაძლოა აქვე ახლო-მახლოა სადმეო.

უპირველეს ყოვლისა, გრგვინვა კუდაკის ზარბაზნებისა გულს ჩასწვდა პან სქშეტუსკის. ახალგაზდა რაინდი, მძიმედ ავადმყოფი ამ ჟამად, ხმელნიცკის ბრძანებით, უკან მისდევდა ყაზახთა ლაშქარს. ხორტიცის ბრძოლაში, მართალია, მძიმედ არ დაიჭრა, მაგრამ სისხლისაგან კი თითქმის სულ დაიცალა. მისმა წყლულებმა, რომელიც შეუხვია მოხუცმა იასაულმა, ხელახლადა ჰქმნეს პირი; ამის გამო სქშეტუსკი გააცხელა და ახლა გათარანებული იწვა უგონოდ ყაზახთა ოთხ-თვლიანს ურემში. კუდაკის ზარბაზნებმა გააღვიძა და მოიყვანა გონს. გაახილა თვალები, წამოყელყელავდა ურემში და დაიწყო აქეთ-იქით ყურება. სიბნელით მოცული ყაზახთა ურდო მიდიოდა წინ, თითქო აჩრდილთა ფერხულში არიან ჩაბმულნიო, ხოლო ციხე მაინც ჰქუხდა და გრგვინავდა თავისის ზარბაზნებითა; გავარვარებული ყუმბარები ეცემოდა ძირს, შიშხინებდა და იღრინებოდა, თითქო გამძვინვარებული ქოფაკებიაო. ამ სურათის დანახვაზედ, ისეთმა სევდამ შეიპყრო პან სქშეტუსკი, რომ მზად იყო სიცოცხლე დაეთმო თავისუფლებისათვის. ომია, ომი! მე კი მტერთა ბანაკში ვარ, უიარაღო, ავადმყოფი; ურმიდან ვერ წამომდგარვარო! იქ კი, ლუბნში, ალბად, ჯარი ემზადება გამოსალაშკრებლად. თავადი ზის ახლა თავის გიჟს რაშზედ ცეცხლებრ აღგზნებულის თვალებით და ათვალიერებს ჯარებს... აი, პატარა ვოლოდიევსკი თვისის წვრილის ხმლით ხელში წინ უძღვის დრაგუნებს... მოფარიკავეა, რომ ტოლი არა ჰყავს; ვისაც დაშნაობას დაუწყებს, გათავებულია, წინადვე ანდერძი ააგებინოს.

ეი პოდბიპენტაკ. იღებს თვისს უზარმაზარს მახვილს. მოჰკვეთს თუ არა სამს თავს? ქსენძი იასკულსკი აკურთხებს დროშებს და ხელ-აღპყრობილი ევედრება ღმერთს... მეომრად ნამყოფია და თავი ვერ შეუმაგრებია, არ შეუძლიან არ შესწყვიტოს ლოცვა და საომარი რამ ასამაღლებელი ღაღადება არ წარმოსთქვას... ჯავშნიანები უკვე მზად არიან, რაზმნი გაემართნენ, გაიშალნენ, გზას გაუდვნენ... ომია, ომი!

უცბად ყოველივე იცვლება. დესპანის წინაშე სდგას ელენე, გაფითრებული, თმა-გაწეწილი და ეველრება შველასა: „დამიხსენ! ბოგუნი მომდევს შესაპყრობად!“ პან სქშეტუსკი გადმოხტება ურმიდან, მაგრამ ვიღასიც ხმა, ახლა კი სწორედ ნამდვილი ხმა, ამშვიდებს და ეუბნება:

— იწექ, იწექ... თორემ შეგკრავ.

ეს ხმა იასაულ ზაქარას ხმაა. იმას ჩააბარა ხმელნიცკიმ დესპანი და უბრძანა, გაუფრთხილდი, როგორც შენს თვალის ჩინსაო. იასაული აწვენს ისევ ურემში, აფარებს ცხენის ტყავს და ეკითხება:

— რა დაგემართა?

პან სქშეტუსკი გონზედ მოდის. ლანდი და ზმანება ჰქრება. ურმები ზედ დნეპრის ნაპირას მიდიან. მდინარიდან ცივი ნიავი მოდის, ღამე გატყდა და დაისია დაწყებული. წყლის ფრინველნი იღვიძებენ.

— გამიგონე, ზაქარ! კუდაკს გამოვსცდით?—ჰკითხავს პან სქშეტუსკი.

— გამოვცდით,—ეუბნება პასუხად იმიერ-ჭორომელი.

— ახლა სადღა მიდიხართ?

— რა მოგახსენოთ. ამბობენ, შებრძოლება უნდა მოჰხდესო და არ ვიცი კი სად.

პან სქშეტუსკის გაეხარდა. ეგონა, რომ ხმელნიცკი ომს კუდაკის გარშემო დგომით დაიწყებსო, ახლა კი ის სისწრაფე, რა სისწრაფითაც ყაზახნი მიდიოდნენ წინ, საბუთს აძლევდა ეფიქრა, რომ, შესაძლოა, რესპუბლიკის ჯარები აქვე ახლომახლო იყვნენ სადმეო.

„იქნება დიდ ხანს აღარ მალოდინონ და ღღესვე გამანთავისუფლონ“,—იფიქრა დესპანმა და მადლობით აღაპყრნა თვალნი ცად მიმართ.

## XIV

კუდაკის ზარბაზანთა გრიალი შეესმა აგრედვე იმ ჯარსაც, რომელიც წყალ-წყალ მისცურავდა მოხუცის ბარაბაშისა და ქშეჩოვსკის მხედართ-მთავრობით.

ეს ჯარი სულ ექვსი ათასი სიის ყაზახი იყო და ერთი რაზმი ნემენცების რჩეულ ქვეითის მეომრებისა, რომელთაც უფროსობდა პოლკოვნიკი განს ფლიკი.

პან ნიკოლოოზ პოტოცკი დიდ ხანს ყოყმანობდა და არ იცოდა, გაეგზავნა თუ არა ყაზახნი ხმელნიცკის წინააღმდეგ, მაგრამ რადგან ყაზახებს ძალიან უყვარდათ ქშეჩოვსკი, ხოლო ქშეჩოვსკის დიდად ენდობოდა გეტმანი, ამიტომ გადასწყვიტა ბოლოს და გაჰგზავნა ყაზახნი.

ქშეჩოვსკი გამოცდილი ჯარის-კაცი იყო და, თუ რამ შეძენილი ჰქონდა, სულ პოტოცკების ოჯახის წყალობა იყო: პოლკოვნიკის ხარისხიცა, აზნაურშვილობაცა და, დასასრულ, დიდ-ძალი მამულებიცა დნეპრისა და ლიადავის ნაპირებად.

რესპუბლიკასთანა და პოტოცკების ოჯახთან იმდენ ნაირად იყო დაკავშირებული, რომ მის წინააღმდეგ ვერავითარი ეჭვის ჩრდილიც კი ვერ დაებადებოდა გულში გეტმანსა. ამას გარდა, ქშეჩოვსკის, რომელიც ჯერ საიმისო ხნიერი არ იყო, ბრწყინვალე მომავალი ელოდა სამშობლოს სამსახურის ასპარეზზე. რა დიდის ხნის ამბავი იყო განა მაგალითი სტეფანე ხმელნიცკისა, რომელმაც უბრალო რაინდობით დაიწყო სამსახური და დაასრულა კიევის მოურავობითა და რესპუბლიკის სენატორობით? ქშეჩოვსკიზედ იყო დამოკიდებული იმავე გზას დასდგომოდა, მით უმეტეს, რომ წყურვილი სახელისა და სიმდიდრის მოხვეჭისა დიდი ჰქონდა. რამდენიმე ხნის წინად ძლიერა ცდილობდა ლიტინის უფროსობას, ხოლო როცა ეს უფროსობა კორბუტმა მიიღო, ქშეჩოვსკიმ დიდად იწყინა და კინაღამ ავად გახდა შურითა. ახლა, თითქო ბედი კვლავ უღიმოდა,—ახლა ასეთი საყურადღებო საქმე მიანდეს და სრული იმედი უნდა ჰქონოდა სახელი მისი მიაღწევდა მეფის ყურამდე. ხოლო ამისთანა ამბავს დიდ მნიშვნელობა ექმნებოდა, იმიტომ რომ მერე საკმაო იყო მხოლოდ თავი დაეკრა ხელმწიფისათვის და მიიღებდა სიგელს, რომელიც ასეთის, აზნაურშვილისათვის ესდენ სასიამოვნო სიტყვებით იქმნებოდა დაწყებული: „მოხვედი წინაშე ჩვენსა და გვეაჯე, რათა გვებოძები-

ნა წყალობა ჩვენი და ჩვენცა, გვახლოვს რა სამსახური შენი, შეგვიწყნარებია აჯა შენი და გვიწყალობებია" etc... ამ გზით იძენდნენ რუსეთში სიმდიდრესა და ხარისხს, კერძო კაცთა ამ გზით უვარდებოდათ ხელში უშველებელი მამულები, რომელიც ეკუთვნოდა წინად ღმერთსა და რესპუბლიკას, ამ გზით იძენდა აზნაურშვილობას უბრალო გლეხკაცი და შეეძლო დამტკბარიყო იმ იმედით, რომ ჩემნი შვილნი და შვილი-შვილნი სენატორთა შორის ისხდებიან სავაზიროდ სახელმწიფო დარბაზზეო.

ქშეჩოვსკის ის აწუხებდა მხოლოდ, რომ ჩემი უფლებახელმწიფება განაწილებულია ჩემსა და ბარაბაშს შორისო, თუმცა ეს განაწილება უფრო სახელით იყო, ვიდრე საქმით. ხნიერი პოლკოვნიკი ჩერკასისა სულ დაჩაჩანაკდა ამ ბოლოს დროს. ომის დაწყებისას ცოტაოდნად გამოცოცხლდა, საომარის ყაყვირის ხმამ აუდუღა გაცივებული სისხლი ოდესმე სახელოვანს რაინდს, მაგრამ გაემართა თუ არა ჯარი სალაშქროდ, ბარაბაში დააძინა ნიჩბის მოსმის ერთკილოვანმა შუილმა, ჯარის-კაცთა ნაღვლიანმა სიმღერების თქმამა და მოხუცი კვლავ გაიყინა ჩვეულებრივ. ქშეჩოვსკი განაგებდა ყოველსავე, ბარაბაში გაიღვიძებდა სადილად, გონება დაუტანებლივ იკითხავდა, როგორ მიდის საქმეო, მიიღებდა უგულო პასუხს, მერე ღრმად ამოიოხრებდა და გაიმეორებდა რამდენჯერმე: „მეგონა სხვა გვარს ომში დავდებ-მეთქი თავს, მაგრამ, სჩანს, ასეთია ნება უფლისა".

აღარავითარი ამბავი აღარ იცოდა ამ ჯარმა რესპუბლიკის იმ მხედრობისა, რომელიც ხმელეთად მოდიოდა. ქშეჩოვსკი ბრალსა სდებდა გუსარებსა და ლრაგუნებს, გვიანობენო, გეტმანის შვილს—გამოუცდელიაო, თვითონ კი ბრძანებას ბრძანებაზედ იძლეოდა, გასწით, წინაო.

ნავები სასწრაფოდ მისრიალებდა წყალ და წყალ, უაწლოვდებოდა კუდაკს და უფრო და უფრო შორდებოდა სახელმწიფოს ჯარს.

ბოლოს, მოისმა ერთხელ ღამე სროლა ზარბაზნებისა. ბარაბაშს ეძინა და არ გაჰღვიძებია, სამაგიეროდ ფლიკი, რომელიც ყველაზედ წინ იყო, გაეშურა ქშეჩოვსკისთან.

— პან პოლკოვნიკო, ეგ კუდაკის ზარბაზნებია. როგორ მოვიქცე?

— ნაპირზედ გავიდეთ. ღამე ლელიანებში გავატაროთ.

— ცხადია, ხმელნიცკი ციხეს შემოჰრტყმია გარშემო. ჩემის აზრით, საჭიროა მივეშველოთ.

— მე იმას კი არა გკითხავთ, რა აზრისა ხართ-მეთქი, გიბრძანებთ, ეს უფლება მე მეკუთვნის.

— პან პოლკოვნიკო...

— აქ გაჩერდეს ჯარი და ელოდოს! — შეჰყვირა ქშეჩოვსკიმ, მაგრამ, რაკი შეჰნიშნა, რომ შეუპოვარი ნემენცი თავის ქერა წვერებს იქირქნის და ისე არ უნდა წასვლა, თუ არ განვუმარტე საქმეო, დაუმატა ცოტა უფრო ტკბილად: — იქნება კაშტელიანმა მოგვისწროს ხვალ დილამდე, ხოლო ციხეს ერთს ღამეს ვერ აიღებენ.

— რომ ვერ მოგვისწროს?

— თუნდ ორს დღეს ვუცადოთ. თქვენ კუდაკის ამბავი არ იცით! ზედ შეელეწებიან იმის ზღუდეებს და იმას კი ვერას დააკლებენ. უკაშტელიანოთ-კი მისაშველებლად ვერ წავალ და არც ნება მაქვს. ეგ იმისი საქმეა!

სიმართლე ქშეჩოვსკისკენ იყო. ფლიკს მეტი ღონე აღარა ჰქონდა, ისევ თავის ნემენცებთან უნდა წასულიყო.

ნავები მალე მიუახლოვდა მარჯვენა ნაპირს და ჯარმა დაიწყო დამალვა ლელიანებში, რომელიც ატეხილი იყო ადიდებულ მდინარის მიდამოთა შორის. ძლივს მისწყდა ნიჩბების შუილი. ქშეჩოვსკიმ სასტიკად უბრძანა ხალხს, დიდის სიფრთხილით იყავითო და მართლაც სრული მდუმარება ჩამოვარდა გარშემო; ამ მდუმარებას არღვევდა მხოლოდ შორეული ბანი, რომელსაც აძლევდა ზარბაზნების გრიალს ტყე და მინდორი.

ნავებში, ბარაბაშს გარდა, არავის თვალი არ მოუხუჭნია. ფლიკი რაინდი იყო, მოტრფიალე ომ-ბრძოლისა და ჰნატრობდა ფრინველად გადაქცევასა, რომ კუდაკისკენ გადაფრენილიყო. ჯარის-კაცნი ჩურჩულითა ლაპარაკობდნენ, რა მოუვა ციხესაო, გაუმაგრდება მტერს, თუ ვერაო? ზარბაზნების გრიალი კი უფრო ძლიერდებოდა, ცხადია რიგიანს პასუხს აძლევს ციხე თავ-დამსხმელთაო. „ხმელნიცკი არა ჰხუმრობს, მაგრამ არც გროძიცკის უყვარს ხუმრობა!—ვინ იცის, ახლა დილა რას მოიტანს?“

ამასვე ეკითხებოდა თავის-თავს ქშეჩოვსკიცა. იჯდა თავის ნავში ღრმად შთანთქმული ფიქრითა. კარგად იცნობდა ხმელნიცკის, დიდად ნიჭიერ კაცად მიაჩნდა და ჰგონებდა, რომ მხოლოდ ასპარეზი აკლია თავის გამოსაჩენადაო,—ახლა კი ეჭვი დაებადა გულში. ზარბაზნებს კვლავ გრიალი გაჰქონდა. დავიჯერო, ხმელნიცკი გარს შემოერტყა კუდაკს?

„თუ ასეაო,—ჰფიქრობდა ქშეჩოვსკი, წასულა მისი საქმე! როგორ? ააღელვა იმიერ-ჭორომეთი, მოახერხა და ყველნს შემწეობა გამოსთხოვა, შეაგროვა იმოდენა ჯარი, რამოდენიც ჯერ არც ერთს ატამანს არ შეუგროვებია და იმის მაგიერ, რომ დაუყოვნებლივ გაილაშქროს უკრაინას და დაიპყრას ეს მხარე, ვიდრე რესპუბლიკის ჯარს არ შებრძოლებია, იმას, ხმელნიცკის, გამოცდილს მეომარს, იერიში მიაქვს შეუვალ ციხეზედ, რომელმაც შეიძლება მთელს წელიწადს დააბრკოლოს? და მერე უნდა იკისროს, რომ უკეთესი მისი ჯარი ზედ შეელეწოს კუდაკის კედლებს, როგორც დნეპრის ზვირთი შეელეწება ხოლმე ჭორომების სალს კლდეებს? და უნდა იცადოს კუდაკის მიდამოთა შორის, ვიდრე გეტმანები შემოიკრებენ ჯარებს და ისე მოიმწყვდევენ შუაში, როგორც მოიმწყვდიეს ნალივაიკა სოლონიცას ახლოსა?... წასულია მისი საქმე!—გაიმეორა ერთხელ კიდევ პან ქშეჩოვსკიმ. — თვითონ მისივე ყაზახები მისცემენ მტერს ხელში ამისთანა სარდალსა. უნაყოფო იერიში დაჰბადავს დრტვინვასა და უკმაყოფილებასა. ნაპერწკალი აჯანყებისა ისე გაჰქრება, რომ გაძლი-

ერებას ვერ მოასწრობს და ხმელნიცკი იმ ხმალზედ საშიში აღარ იქნება, რომელიც ზედ ვადაზედ არის გადატეხილი. სულელია! Ergo? Ergo, ხვალ გავიყვან ჩემს ჯარსა და ნემენცებს ნაპირად და მეორე ღამესვე მოულოდნელად დავესხმი თავს, გავფანტავ იმიერ-ჭორომელებს, ხოლო, შეკრულ-შებოჭილს ხმელნიცკის გეტმანს წარვუდგენ. მისივე ბრალია, რომ უკეთესი ვერა მოიგონა-რა.

აქ პან ქშეჩოვსკის აღვირ-წახსნილმა ფანტაზიამ გაშალა თავისი ფრთები. ძალიან კარგად ვიცი, რომ ხვალ დილისთვის ახალგაზდა პოტოცკი აქ მოსვლას ვერ მოასწრობს. მაშასადამე, ვინ მოჰკვეთავს თავს საშინელს ვეშაპს? ქშეჩოვსკი! ვინ ჩააქრობს ამბოხებას, რომელიც, შეიძლებოდა, მთელს უკრაინას მოსდებოდა? ქშეჩოვსკი! დიაღაც, მოხუცს გეტმანს ჯავრი მოუვა, რომ ყოველივე ესე მოხდა ჩემის შვილის დაუსწრებლადაო, მაგრამ ჯანაბას, მალე დამშვიდდება ისევ; ამასობაში კი ყოველივე წყალობა მეფისა უხვად მიეფინება გამარჯვებულსა და ძლევა-შემოსილსაო.

„არა! მეტი ღონე არ იქნება, ამ სახელსა და დიდებაში წილი უნდა დავუდო მოხუცს ბარაბაშსა და გროძიცკის!—პან ქშეჩოვსკი ძლიერ დაღონდა, მაგრამ ისევ გაუბრწყინდა სახე.—ამ ხნიერს მორგვს, ბარაბაშს, დღეს არა, ხვალ ჩაჰფლავენ შავს მიწაში, ხოლო გროძიცკის თვისის საყვარელის კუდაკის მეტი სხვა არა უნდა-რა; რჩება ერთად-ერთი ქშეჩოვსკი. ვითომ რა გასაკვირველია, რომ ამისთანა გარემოებაში უკრაინის გეტმანობაც ხელთ ვიგდო“.

ცაზედ ვარსკვლავნი ციმციმებდნენ, ხოლო პოლკოვნიკს ეგონა, რომ ეგ ძვირფასი თვლებია, რომლითაც იქმნება მოჭედილი ჩემი საგეტმანო კვერთხიო. ლელიანებში ქარი შრიალებდა, ხოლო იმას ეგონა, რომ ეგ დიდი საგეტმანო დროშა ფრიალებსო.

კუდაკის ზარბაზნები კვლავ ჰქუხდა და ჰგრგვინავდა.

„ხმელნიცკი სიცოცხლეს გამოეთხოვება... თავისივე ბრალია! შეიძლებოდა სხვაფრივ მომხდარიყო საქმე! მაშინვე რომ

უკრაინასა სცემოდა... დიალ, მაშინ სულ სხვა იქნებოდა! ეხლა იქ ყოველივე მოუსვენრობს, ჰმღელვარებს... ეხლა იქ თოფის წამალია მრავლად დაგროვილი და ნაპერწკალს-ღა ელის. რესპუბლიკა ძლიერია, მაგრამ უკრაინაში ჯარი არ არის, ხოლო მეფე მოხუცებულია, სნეული. უკრაინელების მარტო ერთს გამარჯვებას დიდი შედეგი მოჰყვება.“

ქშეჩოვსკიმ ხელები მიიფარა პირი-სახეზედ და ჩაფიქრდა.

ვარსკვლავთ სინათლე დაჰკარგეს, ბალახებში მიმალულმა მწყერებმა ნელ-ნელა მორთეს თავისი ჭუკჭუკი. გათენება მოტანებული იყო.

პოლკოვნიკმა საბოლოოდ გადასწყვიტა თავისი თათბირი. ხვალ შევუტევ ხმელნიცკის და სულ გავანადგურებო. იმისი გვამი საფეხური იქმნება, რომ მივაღწიო სიმდიდრესა და დიდებას, რესპუბლიკის სენატორის წოდებასა. იმიერ-ჭორომეთისა და თათრების დაძლევის შემდეგ აღარას დაიშურებენ ჩემთვისაო...

ლიტინის უფროსობა კი არ მომცეს.... პან ქშეჩოვსკიმ ამის გახსენებაზედ ათრთოლებით დაჰმუჭა ხელები. არ მომცეს უფროსობა, თუმცა ყოვლად ძლიერ მფარველებად ჩემდა იყვნენ პოტოცკეები, თუმცა ჩემი სამხედრო ღვაწლი და დამსახურება დიდია. არ მომცეს იმიტომ, რომ ვარ homo novus, ხოლო ჩემი მოცილე თავადიშვილია. ჩვენში საკმაო არ არის, რომ აზნაურშვილი იყო, უნდა იცადო კიდევ, რომ მაგ აზნაურშვილობას პრკე მოეკიდოს, როგორც ბოთლში დიდ ხანს დარჩენილს ღვინოს, ჟანგი მოედოს, როგორც რკინას.

ხმელნიცკის შეეძლო სულ სხვა წესწყობილება დაემყარებინა... მაგრამ საწყალმა ის ირჩია, რომ თავი კუდაკის ციხის კედელზედ გაეტეხნა.

პოლკოვნიკი ნელ-ნელა დამშვიდდა. არ მომცეს უფროსობა, მაგრამ რა ვუყოთ? მით უფრო ეცდებიან ეხლა, რომ უკეთესად დამაჯილდოვონ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გავიმარჯვებ, როცა უკრაინას დავამშვიდებ... რის უკრაინას! სრულიად რესპუბლიკას! მაშინ კი აღარაფრის უარს არ

მეტყვიან, მაშინ კი პოტოკკების შემწეობაც ალარ არის საჭირო...

ქშეჩოვსკიმ თავი ჩაქინდრა და პოლკოვნიკს ჩაეძინა; თან ძილში ზედ დასტრიალებდა ფიქრი და ოცნება უფროსობისა, კაშტელიანობისა და მეფის წყალობისა.

გაეღვიძა მაშინ, როცა ის-ის იყო ინათლა. გარშემო შეფობდა მდუმარება, რომელსაც არაფერი არა არღვევდა-რა. სწორედ ამ მდუმარებამ გამოაღვიძა კიდეც.

კუდაკის ზარბაზნები სრულიად გაჩუმდა.

„რა ამბავია?—იფიქრა ქშეჩოვსკიმ.—პირველი იერიში უკუ აქციეს, თუ კუდაკი აღებულ იქმნა?“

არა, ეს შეუძლებელია!

არა, ალბად უკუქცეული ყაზახნი სხედან და თავიანთ წყლულებს იხვევენ, ხოლო ცალ-თვალა გროძიცკი დაჰყურებს სათოფურებიდან და კვლავ უმიზნებს ზარბაზნებსა.

დილით კიდევ მიიტანენ იერიშს, მაგრამ ისევე უკუ-ქცეულ იქნებიან.

ახლა კი ძალზედ გათენდა. ქშეჩოვსკიმ გააღვიძა თავისნი მხლებელნი და კაცი გაუგზავნა პატარა ნავით ფლიკსა.

ფლიკი მაშინვე გამოცხადდა.

— პან პოლკოვნიკო,—უთხრა ქშეჩოვსკიმ,—თუ საღამომდე კაშტელიანი არ მოვიდა, ხოლო ამღამ კიდევ იერიში მიტანეს ციხეზედ, უნდა წავიდეთ მისაშველებლად.

— ჩემი ჯარი მზად არის,—უპასუხა ფლიკმა.

— დაურიგეთ ტყვია-წამალი.

— უკვე დარიგებული აქვთ.

— ამღამ ნაპირას გავიდეთ, ჩუმად გავიაროთ მინდორი და მოულოდნელად დავესხათ თავს.

— Gut! sehr gut! ცოტა მანძილი კი რომ ნავებით გავიაროთ, არ ემჯობინება? ციხემდე ოთხი მილია. ქვევითი ჯარი, ცოტა არ იყოს, დაიღლება.

— ქვევითი ჯარი ცხენოსან ჯარს შემოუსხდეს უკან ცხენებზედ.

— Sehr gut!

— მანამდე ჩუმად ისხდნენ ლელიანებში, ნაპირას ნუ გავლენ და ხმაურობას ნუ ასტეხენ. ცეცხლი არ გააჩინონ: კვამლი გაგვთქვამს. არავინ არ უნდა იცოდეს ჩვენი ამბავი.

— ბურუსია ისეთი, რომ კვამლს ვერც კი ვერავინ დაინახავს.

მართლაც ყოველივე გარშემო, მდინარეც, რომლის ნაპირებზედ ჩალა და ლელი იდგა, მინდორიც, სადამდინაც კი თვალი გასწვდებოდა, სულ ნისლითა და ბურუსით იყო დაფარული. ფლიკი წავიდა თავის ბინაზედ. ჯარის-კაცნი ნელ-ნელა იღვიძებდნენ თავიანთ ნავებში. ქშეჩოვსკის ბრძანებას ზედმიწევნით ასრულებდნენ და, ვისაც უნდა გაევლო შუა მდინარეში ნავით, ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ აგერ აქვე, ამ ლელიანებში დამალულია რამდენიმე ათასი კაციო. ცხენებს ხელით აჭმევდნენ თივა-ქერსა, ნავები შორს მიმალ-მომალეს.

უცებ ბალახებსა და ლელებში, ყოველ მხრიდან, უცნაური ხმები მოისმა.

— ფუღუ, ფუღუ!

და კვლავ ჩამოვარდა მდუმარება, თითქო ახლა პასუხს ელიანო. მაგრამ პასუხი არსით არ ისმოდა. ხმები კიდევ მოისმა მეორედ, მესამედ და ახლა უფრო გარკვეული, მოუთმენელი.

— ფუღუ, ფუღუ!

— ვინ არის?—მოისმა ბოლოს ნისლ-ბურუსიდან ხმა ქშეჩოვსკისა.

— ყაზახი ლუგელი.

ქშეჩოვსკის ჯარის კაცებს გულმა ცემა დაუწყო. იმათ კარგად იცოდნენ, რასაც ჰნიშნავდა ასეთი იდუმალი ხმაურობა. ამ სახით ეხმაურებოდნენ ერთმანეთს საზამთრო ბინებზედ იმიერ-ჭორომელნი, ამ სახითვე ომიანობის დროს იწვევდნენ სალაპარაკოდ სიისა და ქალაქების ყაზახებს, რომელთა შორისაც ბევრნი ერივნენ საიდუმლოდ ძმობის თანამგრძნობნი.

— რა გინდათ?—ჰკითხავდა ქშეჩოვსკი.

— ბაღდან ხმელნიცკიმ, იმიერ-ჭორომეთის გეტმანმა გვიბრძანა შეგატყობინოთ, რომ მისი ზარბაზნები ლელიანებსა აქვს დამიზნებული.

— უთხარით იმიერ-ჭორომეთის გეტმანს, რომ ჩვენი ზარბაზნები ნაპირებსა აქვს დამიზნებული.

— ფუღუ, ფუღუ!

— რაღა გინდათ კიდევ?

— ბაღდან ხმელნიცკის, იმიერ-ჭორომეთის გეტმანს უნდა ნახვა თვისის მეგობრისა, პან პოლკოვნიკ ქშეჩოვსკისა.

— მოგვცეს, მაშ, ამანათები.

— ათის კურენის ატამანს გამოგიგზავნით.

— თანახმა ვარ!

უცბად, თითქო რაღაც საარაკო ბრძანება გასცა ვინმემო, მდინარეს ნაპირნი გაივსო იმიერ-ჭორომელებით, რომელნიც მანამდე მუხლამდე დამალულნი იყვნენ ბალახებში, ხოლო მინდორში გამოჩნდა მათი ცხენოსანი ჯარი, ზარბაზნები, ათი და ასი დროშა, ალმები, საჩრდილობელნი. იმიერ-ჭორომელნი მოდიოდნენ სიმღერითა და მუსიკის კვრითა.

ყოველივე ესე ჰგვანდა უფრო მეგობრების სასიამოვნო შეხვედრას, ვიდრე მტერთა შეყრას შესაბრძოლებლად.

ქშეჩოვსკის ჯარის-კაცებმა პასუხად ერიამული და ყვირილი ასტეხეს. ბოლოს მოვიდა ნავებიცა, რომელშიაც კურენის ატამანები ისხდნენ. ქშეჩოვსკი გაემართა ნაპირად. მოართვეს ცხენი და გააცილეს ხმელნიცკისთან.

ხმელნიცკიმ, დაინახა თუ არა, ქუდი მოიხადა ოდნავ და მეგობრულად მიესალმა.

— პან პოლკოვნიკო,—სთქვა მან,—ძველო მეგობარო და ნათლი-მამავ! როცა ბატონმა რესპუბლიკის გეტმანმა გითხრა ჩემი, შეიპყარ და აქ მომგვარეო, შენ არამც თუ არ იკადრე ესა, არამედ მირჩიე, გაიქეცი და თავს უშველეო, რისთვისაც საუკუნოდ მადლობელი ვარ შენი!

ხმელნიცკიმ ხელი გაუწოდა, მაგრამ ქშეჩოვსკის მზე-მოკიდებული სახე ოდნავად არ შეიძრა.

— მერე ახლა, როცა აგრე გადაგარჩინე, პან გეტმანო,— გულ-ცივად სთქვა მან,—აიღე და ამბოხებაა დაიწყე?

— მოვდივარ, რომ სამაგიერო გადაუხადო, როგორც ჩემმის, ისე შენისა და მთლად უკრაინის შეურაცხყოფისა და შევიწროებისათვის; ხელთ მიჭირავს მეფის სიგელნი და წყალობის წერილნი; დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ყოვლად-მოწყალე ხელმწიფე დანაშაულად არ ჩამითვლის ყოველსავე ამას.

ქშეჩოვსკიმ თვალი-თვალში გაუყარა და შეუპოვრად ჰკითხა:

— კუდაკს ალყა შემოარტყი?

— მე? რაო, გავგიჟდი; თუ როგორ არის ჩემი ამბავი? ისე აუარე გვერდი, რომ ერთი სროლა წამალიც არ დამიხარჯავს, თუმცა ბებერმა ბრუტიანმა ყუმბარა ყუმბარაზედ მომაყოლა ციხიდან. მე კუდაკი არ მინდა; მე უკრაინა მინდა, მე შენ მინდიხარ, ძველო მეგობარო და კეთილის-მყოფელო.

— რა გინდა განა ჩემგან?

— წავიდეთ მინდორში და იქ მოვილაპარაკოთ.

ჰკრეს ქუსლი ცხენებსა და გაემართნენ მინდვრისაკენ. მათმა საუბარმა თითქმის ერთ საათამდე გასტანა. როცა უკან დაბრუნდნენ, ქშეჩოვსკის საშიში და გაფითრებული სახე ედო; მაშინვე გამოეთხოვა ხმელნიცკის, რომელმაც გზად მიმავალს შემდეგი უთხრა კიდევ:

— მხოლოდ ჩვენ ორნი ვიქნებით მთელს უკრაინაში; ჩვენი ბატონი იქმნება მეფე და სხვა არავინ.

ქშეჩოვსკი დაბრუნდა თავის ბინაზედ; ბარაბაში და ფლიკი მოუთმენლად ელოდნენ.

— აბა, რაიო? რაიო?—მისცვივდნენ აქეთ-იქიდან.

— ნაპირად იქმნას გაყვანილი ჯარი!—ბრძანების ტონითი სთქვა ქშეჩოვსკიმ.

ბარაბაშმა მაღლა აიწია დაბმიმებული ქუთუთოები, რალაც უცნაურმა ცეცხლმა გაიელვა რბის თვალებში.

— როგორ თუ?

— ნაპირად იქმნას გაყვანილი! ვნებდებით ხმელნიცკის!

ბარაბაშს გაფითრებული სახე წითლად აენთო. წამოდგა ზეზე, გასწორდა წელში და ეს ხუთად მოკაკული ბერი-კაცი უცბად გადაიქცა ბუმბერაზად, ჯან-ღონით აღსავსე მდევად.

— ღალატია!—გაისმა მისი ხმა გრგვინვასავით.

— ღალატია!—განიმეორა ფლიკმა და იტაცა ხელი დაშნასა.

მაგრამ, ვიდრე ის თავისს დაშნას ამოიწვდიდა, ქშეჩოვსკიმ შემოუქნია ხმალი და ერთის დაკვრით დასცა ძირს.

ქშეჩოვსკიმ ერთი კი იხტუნა და ჩადგა იმ ნავში, რომელიც იქვე ახლოს იდგა ოთხის იმიერ-ჭორომელითურთ. ჩადგა და დაიძახა:

— გასწით ნავებისაკენ!

ნავი გასრიალდა შურდულივით. პან ქშეჩოვსკი იდგა ნავის შუა-გულ, ხელში ეჭირა სისხლით შესვრილი ხმალი, რომელზედაც ქუდი იყო ჩამოცმული და ჰყვიროდა ხრინწიანის ხმით:

— ძმანო და შვილნო! ნუ დავხოცავთ ჩვენიანებს! გაუმარჯოს ბაღდან ხმელნიცკის, გეტმანს იმიერ-ჭორომეთისას!

— გაუმარჯოს!—გაიმეორა ასმა და ათასმა გრიალით.

— ამოსწყდნენ ლიახნი!

— ამოსწყდნენ!

ნავების ყვირილს ბანს აძლევდნენ იმიერ-ჭორომელნი.

შორეულს ნავებზედ ჯერ არ იცოდნენ, რა ამბავი იყო და, როცა გაიგო ყველამ, რომ ქშეჩოვსკი იმიერ-ჭორომელთა მხარეზედ გადავიდაო, გამძვინვარებულმა აღტაცებამ შეიპყრო რესპუბლიკის ჯარის-კაცნი. ექვსი ათასი ქუდი შეისროლეს მაღლა, ექვსი ათასი თოფი დასცალეს უცბად გრიალიფა. მაგრამ ვაი რომ ეს სიხარული უნდა შებღალულიყო სისხლის დაქცევითა: მოხუცი ბარაბაში სიკვდილსა რჩებოდა და ღალატს კი არა კისრულობდა იმ დროშისასა, რომლის ქვეშაც მსახურობდა მთელს თვისს სიცოცხლეში. ოციოდ-ორმოციოდე კაცი შერჩა ბარაბაშს და აი დაიწყო ბრძოლა, ხან-მოკლე, საშინელი, როგორიც არის ხოლმე ჩვეულებრივ იმისთანა ბრძო-

ლა, როცა ერთი მუჭა ხალხი, რომელიც შეწყალებას კი არა, სიკვდილს ელის და ისე ებრძვის მთელს ბრბოს. არც ქშეჩოვსკი და არც ყაზახნი არ ელოდნენ, რომ ასეთს წინააღმდეგობას გაგვიწევენო. მოხუცმა პოლკოვნიკმა მოიგონა ყმაწვილ-კაცობა და ისე იბრძოდა, როგორც ლომი. როცა შემოუთვალეს, იარაღი დაჰყარეო, პასუხად თოფს ესროდა მტერს და, კვერთხით ხელში, ჭალარა თმით, რომელსაც ფრიალი გაჰქონდა, ქუხილისა სიტყვებითა აძლევდა ბრძანებას მარჯვნივ და მარცხნივ, თითქო ოცდა ათის წლის ჭაბუკიაო. იმის ნავს მტერი ყოველ მხრივ შემოერტყა. იმ ნავთა კაცნი, რომელნიც შორს იყვნენ, ჰხტებოდნენ წყალში და გამძვინვარებით ებღაუჭებოდნენ ბარაბაშის ნავის გვერდებს ზედ ასასვლელად. წინააღმდეგობამ დიდ ხანს არ გასტანა. ბარაბაშის ერთგულნი ჯარის-კაცნი, დაჭრილნი, დაწყლულებულნი სათითაოდ დაიხოცნენ; მხოლოდ ის გადარჩა ცოცხალი, ამოწვდილის ხმლით ხელში.

ქშეჩოვსკი მიუახლოვდა, როგორც იყო, ამ სივიწროეში.

— დაჰყარე იარაღი!—შეჰყვირა მან.

— მოღალატე! სიკვდილის ღირსი ხარ შენა!—უპასუხა ბარაბაშმა და შემოუქნია ხმალი.

ქშეჩოვსკი სწრაფად მიიმალა ხალხში.

— დაჰკათ!—შესძახა მან ყაზახთა.

მაგრამ არავის არ უნდოდა, რომ პირველს მიეტანა ძალა მოხუცებულზედ. საუბედუროდ, პოლკოვნიკს სისხლში ფეხი მოუსხლტა და დაეცა.

წაქცეულს აღარ შეეძლო უკვე ის პატივისცემა ეგრძნობინებინა თვის მიმართ, ის შიში მიეცა გარშემორტყმულთათვის და ათმა და ოცმა შუბმა გაჰგმირა, დააცხავა მისი სხეული. ბარაბაშმა მხოლოდ ამ სიტყვების წარმოთქმა-ღა მოასწრო: „იესო, მარიამ!“

ბარაბაშის გვამი ნაკუწ-ნაკუწ აქციეს. თავი მოსჭრეს და ნავიდან ნავში ისე ისროდნენ, როგორც ბურთსა, ვიდრე ერთხელ უხერხულად არ გადისროლა ვიღამაც და წყალში არ ჩავარდა.

დარჩნენ ახლა ნემენცები, რომელთა დაძლევაც ისე ადვილი არ იყო; ნემენცების რაზმში იყო ათასი, ბრძოლაში ნაცადი და გაწვრთნილი ჯარის-კაცი.

მართალია, გულადი ფლიკი მოჰკლა ქშეჩოვსკიმ, მაგრამ დარჩა ცოცხალი იოჰან ვერნერი, პოდპოლკოვნიკი, ვეტერანი ოც და ათ წლოვანის ომისა.

ქშეჩოვსკი დარწმუნებული იყო, რომ გავიმარჯვებთო, მაგრამ მაინც უნდოდა, ხმელნიცკის მხარეზედ ყოფილიყო ასეთი საკმაოდ რიცხვ-მრავალი რაზმი საუკეთესო ქვეითის ჯარისა და ამიტომ მოლაპარაკება დაუწყო, იქნება დავიყოლიო მორიგებაზედაო.

ერთ-ხანად ვერნერი თითქო თანხმა იყო, შეეწყნარებინა წინადადება ქშეჩოვსკისა. ერთის წლის ჯამაგირს წინადვე მივცემთო, ხოლო წლის გასულს, საითაც უნდათ, იქით წავიდნენ, თუნდა ისევ რესპუბლიკის სამსახურში შევიდნენო.

ვერნერი თითქო ვარაუდობდა, როგორ ემჯობინებაო, მაგრამ ამასობაში ბრძანება გასცა საიდუმლოდ, რომ ნავები ერთმანერთს დაუახლოვდეს და შეუვალი წრე შეჰკრასო. მართლაც მტერს თვალ-წინ წარმოუდგა მწკრივად დაყენებული ზორბა და ძლიერნი ჯარის-კაცნი, ყვითელ კოლეტებით მოსილნი, ყვითელის ქუდებითა და ჯაზაირებით ხელში.

ვერნერი იდგა პირველ რიგობაში ამოწვდილის დაშნით და დიდ ხანს ჰფიქრობდა.

— ჰერრ პოლკოვნიკო,—სთქვა მან,—თანხმანი ვართ!

— არაფერს არ დაჰკარგავთ ახალს სამსახურში!—სიხარულით წარმოსთქვა ქშეჩოსკიმ.

— მაგრამ ერთის პირობით კი...

— წინ-და-წინვე თანხმა ვართ მაგ პირობისა.

— თუ აგრეა, მაშ კარგი. ჩვენის სამსახურის ვადა რესპუბლიკის წინაშე თავდება ივლისში. ივლისიდან თქვენს სამსახურში შემოვალთ.

ქშენჩოვსკიმ ველარ მოითმინა და წყევლა-კრულვით მოიხსენია ვერნერი. მაგრამ თავი ისევ მალე შეიკავა.

— თქვენ ჰხუმრობთ, პან ლეიტენანტო?—შეეკითხა ქშეჩოვსკი.

— არა,—გულ-დამშვიდებით უპასუხა ვერნერმა.—სახელი და პატიოსნება ჯარის-კაცისა გვავალებს, რომ მტკიცედ ვადგეთ პირობასა. სამსახური გვითავდება ივლისში. მართალია, ჯამაგირითა ვმსახურობთ, მაგრამ მოღალატენი კი არა ვართ. ასე რომ არა ყოფილიყო, სამსახურშიაც არავინ არ მიგვიღებდა; არც თუ თქვენ გვენდობოდით. ვინ გითავდებებდათ, რომ პირველსავე ბრძოლის შემდეგ კვლავ გეტმანებს არ მიეემხრობოდით?

— მაშ რა გინდათ?

— დაგვანებეთ თავი, რომ გაგეცალოთ აქედან.

— ეგ ყოვლად შეუძლებელია, სულელო და დამთხვეულო! ეხლავ ვუბრძანებ, რომ სულ ამოგწყვიტონ ერთიანად.

— მერე თქვენ რაღამდენი დაგეხოცებათ?

— ვერც ერთი თქვენგანი ცოცხალი ვერ წავა.

— თქვენც ნახევარს აქ გაუთხრით სამარესა.

ორივენი მართალს ამბობდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ ქშეჩოვსკის, რომელიც მეტად გააგულისა ნემენცის გულ-დამშვიდებულმა ლაპარაკმა, არ უნდოდა ჯერ ომის დაწყება.

— ვიდრე მზე ჩავიდოდეს,—დაიძახა მან,—კარგად იფიქრეთ კიდევ. შემდეგ კი ვუბრძანებ, რომ ზარბაზნებს დაუწყონ სროლა.—და ქშეჩოვსკი წავიდა, რომ ხმელნიცკის მოჰლაპარაკებოდა.

დადგა ჟამი ლოდინისა. ყაზახთა ნაევები გარს შემოერტყა ნემენცებს, რომელნიც სრულიად დამშვიდებულნი იყენენ მტერთა წინაშე, როგორც შეეფერება ჭეშმარიტ ჯარის-კაცთა. ყაზახნი იმუქრებოდნენ და იგინებოდნენ, ხოლო ისინი მდუმარებდნენ და ზიზღით შეჰყურებდნენ.

მზე ნელ-ნელა დაეშვა და ბოლოს ჩავიდა კიდეც.

საომარი საყვირი დაჰკრეს კარგა მოშორებით და გაისმა ხმა ქშეჩოვსკისა:

— მზე ჩავიდა! მოიფიქრეთ რამ და მოხვედით გრნსა თუ არა?

— დიალ, მოვიფიქრეთ! — უპასუხა ვერნერმა. მერე მიჰმართა თავის ლანსკნეხტებს და გაიქნია ამოწვდილი დაშნა.

— Feuer! — გასცა მან ბრძანება დამშვიდებულის ხმით.

მოისმა გრიალი ჯაზეირებისა. რამდენიმე გვამი ყაზახთა ჩავარდა წყალში. ზარბაზნებმა, რომელიც ნაპირად იდგა, დაიღეს თვისი ყბა და სეტყვასავით დაუშინეს ყუმბარები ნემენცების ნავებს. ხშირმა კვამლმა მოიცვა მთლად მდინარე და მხოლოდ სროლა ჯაზაირებისა თავ-თავის დროზედ ამტკიცებდა, რომ ნემენცები თავს იცავდნენ.

მზის ჩასვლის შემდეგ ომი არ შესწყდა, თუმცა სჩანდა, რომ წინანდელის გაცხარებით აღარ სწარმოებდა. ხმელნიცკი, ქშეჩოვსკი და ტულაი-ბეი რამდენისამე ატამანით ერთად მოვიდნენ და დაათვალიერეს ბრძოლის ადგილი. ხმელნიცკი თვისის გაგანიერებულის ნესტოებით ისუნთქავდა თოფის წამლის კვამლს და სტკბებოდა მისის სუნით; დიდის კმაყოფილებით უგდებდა ყურს დაჭრილ და წყალში ჩავარდნილ მომაკვდავ ნემეცების კვნესას. სამივე მეთაურ-სარდალი ისე უცქეროდნენ ამ ჩეხა-ჟლეტას, როგორც კარგის მომავლის მომასწავებელს ნიშანს. ომი სცხრებოდა. თოფის-სროლა შესწყდა და ისმოდა მხოლოდ ყაზახთა გამარჯვების ყიჟინა და ჟრიამული.

— ტულაი-ბეი, — სთქვა ხმელნიცკიმ, — ეს პირველი დღეა გამარჯვებისა.

— ტყვენი კი არსად არიან-და, — სთქვა ბუზღუნით მურზამ. — მაგისთანა გამარჯვება მე არ მეპიტნავება.

— უკრაინაში ბევრს იშოვი ტყვეს. მთლად სტამბოლსა და გალატს გაავსებ შენის ტყვეებითა!

— შენ მაინც წაგიყვან ტყვედ, თუ სხვა არავინ იქნება!

ნადირმა ტულაიმ ბოროტებით გადიხარხარა და შემდეგ დაუმატა:

— ემაგ „ფრანკებს“ კი უფრო სიამოვნებით წავიყვანდი.

ომი გათავდა. ტულაი ბეიმ ბანაკისაკენ გაატრიალა ცხენი. სხვებმაც იმის მაგალითს მიჰბაძეს.

— აბა, ახლა კი ყვითელ წყლებისკენ გავუსვათ!—დაიძახა ხმელნიცკიმ.

გრ. ე—ძე.

(შემდეგი იქნება)

# მთიულეთი 1804 წელსა

ისტორიული ამბავი

ათას რვაას ოთხის წლის აღელვებამ მთაში დიდად გაუჭირა საქმე საქართველოში ახლად დამკვიდრებულ რუსეთის მცირე მხედრობასა და მართვა-გამგეობას. ეხლანდელი საქართველოს სამხედრო გზა ერთად-ერთი გზა იყო კავკასიონის ქედზე, რომლის შემწეობითაც შეეძლო რუსეთს განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა ჰქონოდა საქართველოსთან. ამ გზით გადმოჰყავდათ ჯარები, მოჰქონდათ სამხედრო სურსათი და თოფიარაღი. სრულიად არც შაავი ზღვა და არც კასპიისა მაშინ რუსეთს არ ეკუთვნოდა, რომ იქიდან დახმარება გაეწია საქართველოში დაბანაკებულ ჯარისათვის გაჭირვების დროს, თუ ვინიცობაა დარიალის კარი დაიხშობოდა. მხოლოდ ამ გზითვე შეიძლებოდა მუდმივი სადიპლომატო მიწერ-მოწერა იმერეთთან და კავკასიის დანარჩენ დამოუკიდებელ სამფლობელოებთან.

რუსეთის მთავრობას, საქართველოს და მთიულთ კარგად ესმოდათ საქართველოს სამხედრო გზის დიდი მნიშვნელობა. უამგზოდ რუსეთი მკვიდრად ფეხს ვერ მოიკიდებდა საქართველოში და, მაშასადამე, ვერც დაიმორჩილებდა მთელს კავკასიას შავის ზღვის პირიდან მოკიდებული კასპიის ზღვის პირამდე, თერგისა და ყუბანის მიდამოებიდან არეზის კიდემდე. სწორედ ესაა მიზეზი, რომ იმპერატორი ალექსანდრე პირველი კურთხეული დიდად შესწუხდა და შეშფოთდა, როდესაც შეიტყო, რომ აჯანყებულმა მთიულებმა საქართველოს სამხედრო გზა შეჰკრეს და ჯარებს აღარ უშვებენ ლინიიდან

საქართველოშიო. იმპერატორმა ფიცხელი ბრძანება გასცა, მიიღეთ ყოველგვარი ღონისძიება, არა დაჰზოგოთ-რა, ოღონდ ეს საჭირო გზა დაუყოვნებლივ გახსენით როგორმეო. იმ ჟამად საქართველოს განაგებდა მხნე, უშიშარი, მამაცი და თან სასტიკი თავადი პავლე დიმიტრისძე ციციშვილი. მხედართ-მთავარი ერევნისკენ იყო გალაშკრებული, რაც რამ ჯარი მოიპოვებოდა, მეციხოვნეთა გარდა, სულ თანა ჰყვანდა წაყვანილი. რუსეთთან მოწყვეტა და გზის შეკვრა საქართველოს მეორე სამზღვარზე ლაშქრობის დროს სიკვდილი იყო მთავარ-მართებელისათვის. პეტერბურგსა და საქართველოში ყველას ეგონა, რომ ამ საშინელს განსაცდელს რუსეთი ვერ აიტანს, რომ თავად ციციშვილის მცირე მხედრობა, ისედაც შესუსტებული და დაქანცული, ცალკე უსურსათობით, და ცალკე საშინელის სიცხითა, სრულიად ამოწყდება სპარსელების ხელით, რადგან კავკასიის ლინიიდან მაშველი ჯარი ვეღარ მოვა მეამბოხეთა წყალობით და ამგვარად ბოლო მოეღება რუსეთის მართვა-გამგეობას საქართველოშიო.

მაგრამ შიში არ გამართლდა; რუსეთმა, თუმცა გაჭირვებით, მაინც შესძლო დაეთრგუნა ყოველგვარი დაბრკოლება. მთიულთა აჯანყების დროს ევროპაში ნაპოლეონ დიდი დანავარდობდა, სახელმწიფოებს და სამეფოებს ეს საკვირველი მეომარი ნაფოტსავით ამსხვრევდა. რუსეთის სამხედრო და საერო მოღვაწენი შიშითა და კრძალვით შესცქეროდნენ კორსიკანელს გმირს. ან ფულს, ან მომეტებულ ჯარს საქართველოს შესარჩენად როგორ გამოიმეტებდნენ, როდესაც განსაცდელი თვით რუსეთს მოელოდა დასავლეთიდან! თუ საქართველო სამუდამოდ არ დაჰკარგა მაშინ რუსეთმა, ეს მხოლოდ თავად ციციშვილის გენიოსობის წყალობით მოხდა. მთავარ-მართებელმა უაღრესი მხნეობა გამოიჩინა, შეჰკრიბა გაფანტული ჯარები, მოიშველია ლინიიდან მცირედი მხედრობა, შეკრული გზა გახსნა, უცბად ჩააქრო მთაში აღგზნებული ცეცხლი და ამით საბოლოოდ უზრუნველ-ჰყო რუსეთის მფლობელობა,

როგორც საქართველოში, აგრეთვე მთელს ამიერ კავკასიის მხარესა.

საგნად ამ ისტორიულ ამბისა ჩვენ ავიღეთ აი სწორედ ეს გაჭირვებული ხანა რუსეთის დამკვიდრებისა ჩვენს ქვეყანაში და ვეცდებით, რამდენადაც გარემოება და რუსულად დაბეჭდილი მასალა ნებას მოგვცემს, დაწვრილებით განვმარტოთ ყოველი წვლილი მთიულთა ამბოხებისა და სავსებით დავასურათოთ მიზეზნი, რომელთაც გამოიწვიეს მთიულების ჯიუტი და მედგარი ბრძოლა ახლად დამკვიდრებულ მთავრობის წინააღმდეგ. აქვე ბოდიში უნდა მოვიხადოთ მკითხველთან, რომ ამ საყურადღებო ამბის მოთხრობა ცოტა შორიდან დაგვჭირდება, რადგანაც უამისოდ ძნელია მიხვდეს ადამიანი, თუ რამ გაამწარა მთიულნი, რამ გააბედვინა იარაღის ხელში აღება ძლიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ და როგორ გაუწიეს თითქმის ხუთს თვეს ურჩობა რუსეთის მხედრობის სარდლებს და თვით ულმობელ თ. ციციშვილს. საჭიროდ ვსცანით აგრეთვე, გზა-გზა ავუხვიოთ ხოლმე ჩვენს საგანს და ხან სხოლიოებში, ხან თვითონ ტექსტში მოვიხსენიოთ ისეთი გარემოებანიც, რომელსაც პირდაპირი კავშირი არა აქვს ჩვენს მოთხრობასთან.

## I

რაკი რუსეთმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს სრულიად დაიმორჩილა ყირიმის ნახევარი კუნძული და მეფე ერეკლე მეორესთან ქალაქს გეორგიევსკში 24 მკათათვეს 1783 წ. დადებულ ხელშეკრულობის ძალით საქართველო თვისის მფარველობის ქვეშე მიიღო, ძალა-უხებურად უნდა ეზრუნა, რომ საქართველოსაკენ კავკასიონის ქედზე რიგიანი და უშიშარი გზა ჰქონოდა. ერთად-ერთი ხეობა, რომელზედაც რუსეთის მთავრობას ადვილად შეეძლო გადმოეყვანა საქართველოში თვისი მხედრობა, დარიალის ხეობა იყო და ამისათვისაც სწორედ ამ ვიწრო ხეობას მიაქცია ყურადღება მთავრობამ. არც ხარჯს და არც შრომას არ ერიდებოდა, რომ როგორმე და-

რიალი, ეს ბუნებით პირქუში ადგილი, მუდამ ხელში სჭერო-და და მის მიდამოს დამკვიდრებულ მთიულებს წინააღმდეგობა არ გაეწიათ ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ და განუწყვეტ-ლივ წინ მიმავალის რუსეთის მხედრობისათვის.

უხსოვარ დროიდან დარიალის ხეობას დიდი მნიშვნელო-ბა ჰქონდა ამიერ კავკასიის ერთათვის. ამ ვიწროების ბატონს მუდამ შეეძლო ებატონა მთელს კავკასიაზედ; ვისაც ბედი მის კლიტე გასაღებს ჩაუგდებდა ხელში, ის მცირე მფლობელიც რომ ყოფილიყო, უძლიერეს ფეოდალად გარდაიქცეოდა. მაშინ სწორედ მის ნება-ყოფლობაზე იქნებოდა დამოკიდებული, ვინ გაატაროს და ვის შეუკრას გზა. საბედნიეროდ რუსეთისა, ამ ვიწრო ხეობაში რამდენიმე მცირე მფლობელი იჯდა მეთვრა-მეტე საუკუნის დასასრულს და მეცხრამეტეს დასაწყისს. როცა ამათ აშკარად დაინახეს, რომ რუსეთი აღარა ჰხუმრობს და საფუძვლიანად სურს დამკვიდრდეს, როგორც მთასა, აგრედვე ამიერ კავკასიაში, ბევრმა მათგანმა ურჩობა დაიწყო, მაგრამ საჩუქრები, ჩინები და ორდენები სასწავლებრივ ჰმოქმედებდა ძათზე და მალე წყნარდებოდნენ. თაგაურელების სოფელ ჩიმის მამასახლისს პირდაპირ კაპიტნობა ებოძა, მოინათლა კიდეც და მიმრქმელად თვით გენერალ-პორუჩიკი პ. ს. პოტემკინი ჰყავდა[1]). სტეფანწმინდის ბატონს გაბრიელ ყაზიბეგს აგრედვე პირდაპირ მაიორის ჩინი ებოძა. ამ საჩუქარმა და წყალობამ ისეთი ერთ-გული გაჰხადა გაბრიელ ყაზიბეგი, რომ მთელს თავის სიცო-ცხლეში ერთხელაც არ უმტყუნია იმ მთავრობისთვის, რომელ-მაც ასე დააჯილდოვა პირველშივე, თუმცა, როგორც ქვემოდ დავინახავთ, გაბრიელს ბევრი შემთხვევა ჰქონდა ასეთის ღალა-ტისათვის.

დარიალის ხეობაში მცხოვრებ მებატონეთა ერთგულობა დიალ ფრიად სახეირო და სასარგებლო იყო რუსეთისათვის, მაგრამ ამასთანავე ცარიელ ერთგულობაზე საქმის სიმტკიცის

---

[1]) იხ. Матеріалы для новой исторіи Кавказа съ 1722 по 1803 г. П. Гр. Буткова, ч. II, стр. 131.

დამყარება მოუხერხებელი იქნებოდა და ამისათვის შეუდგნენ ციხე-სიმაგრეთა აგებას და შიგ მეციხოვნეთა ჩაყენებას. სარატოვისა და კავკასიის გუბერნიების გენერალ-გუბერნატორმა პავლე სერგეის-ძემ პოტემკინმა 1784 წელს ციხე-სიმაგრე ააგო თერგის ნაპირას, ინგუშების სოფელ ზაურთან და სახელად უწოდა ვლადიკავკაზი. ამავე წელს გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ამ ახალს ციხეში თორმეტი ზარბაზანი შეიტანეს. ამ სახით ქალაქი მოზდოკი ვლადიკავკაზის წყალობით მეტის-მეტად დაუახლოვდა საქართველოს. კავკავის ციხის აშენებამდის ქალაქი მოზდოკი, სადაც მთავრობის დაწესებულებანი იყო მოთავსებული და საკმარისი ჯარი დაბანაკებული მთიულებთან საბრძოლველად, თითქმის მოწყვეტილი იყო საქართველოს და საშინლად ძნელდებოდა მისვლა-მოსვლა მთავრობის მოხელეთა და მსწრაფლ-მსრბოლ შიკრიკთა. კავკავის აშენებით ეს დაბრკოლება ცოტად თუ ბევრად მოისპო.

ნაკლებად არ იყო საჭირო ხიდები მდ. თერგზე. საქართველომდე სულ 27 ხიდი იყო გასაკეთებელი, აქედან 13 თაგაურელების მამულზე და 14 საკუთრად საქართველოს მიწა-წყალზედ. პოტემკინმა რვაასი ჯარის-კაცი გააყოლა ობერ-კვარტირმეისტერს ფოხტს ხიდების გასაკეთებლად და ერთი ბატალიონი კიდევ, რომ ყური ეგდოთ და მთიულებს ხელი არ შეეშალათ მუშაობისათვის. გაკეთებული ხიდები პოტემკინმა ჩააბარა თაგაურელებს და შრომისა და ყარაულობისთვის წელიწადში 510 მანეთი გაუჩინა ჯამაგირად. თაგაურელები მოვალენი იყვნენ აგრედვე შიკრიკნი ანუ კურიერები მიეყვანა-მოეყვანათ მფარველობა გაეწიათ რუსის მგზავრთათვის. ამ გზით გამოიარა ორმა ბატალიონმა რუსის ჯარმა პოლკოვნიკ ბურნაშოვის უფროსობით და 3 ნოემბერს მშვიდობით ჩამოვიდა ტფილისს, სადაც მეფე ერეკლე დიდის მხიარულებით დახვდა. თვით ქალაქი გაჩირაღდნებული იყო, ნიშნად მხიარულებისა, რომ რუსეთის მხედრობა უვნებლივ მოვიდა ტანჯულ

ქვეყანაში აუარებელ მტრისაგან დასაცველად და საპატრონებლად[2]).

დარიალის ხეობის დიდი მნიშვნელობა რუსეთზე ნაკლებ არც ქართველებსა და სხვა კავკასიის ტომთ ესმოდათ. ამ საგნის შესახებ აი რა საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს პლატონ იოსელიანი: „ახალციხის ფაშის ელჩმა, აბრაიმ-ბეგმა, სთხოვა მეფე გიორგი XIII-სა, იტვირთე ხონთქრის სელიმის მფარველობა და აღგითქვამ ახალციხისა და სრულიად სამცხის შეერთებას საქართველოს სამეფოსთანა, ვითარცა იყო ძველადაო. მეფემ იწყინა აბრაიმ-ბეგის ნათქვამი და სრული უარი განუცხადა; ხოლო რომ უფრო გული მოეკლა ელჩისათვის, გაჰგზავნა რუსეთისათვის გზის გასაკეთებლად დარიალიდან შანშე ერისთავი, გლახა ბაბანას-შვილი და ქალაქის ნაცვალი მიკირტუმ სურგუნაშვილი. მაშინ თურმე სიტყვა-მარჯვე ჩერქეზმა და ახალციხის ფაშის მახლობელმა მოახსენა მეფესა: ბატონო მეფევ და კარის-კაცნო დარბაისელნო: რომ აღებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთ თვისსა დროსა დახშვასა მისსა? დახშვა კარისა ამისა, უბრძანა მეფემან, იქნება დახშვა ქრისტეანობისა კარისა; ამისათვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაცა ვეცავთ, იქმნება თვით მცველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ დახშავს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ“[3]).

კავკასიის ქედზე ეხლა გაკეთებულია მშვენიერი და სამაგალითო გზა-ტკეცილი, წელიწადში ორის შესანახად და შესაკეთებლად თითქმის ოცი ათასი თუმანი იხარჯება, მაგრამ, ვინ არ იცის, რა ძნელია ამ გზით მგზავრობა ზამთრობით, როდესაც ორ-სამ კვირაობით საქართველო მოსწყდება ხოლმე რუსეთს. ადვილი მისახვედრია, რა ძნელი და საშიში იქნებოდა

---

[2]) იხ. Матеріалы Буткова, ч. II. стр. 131 და 165.

[3]) იხ. ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა გვ. 148.

მისვლა-მოსვლა ამ გაუკეთებელ გზით ასის წლის წინად, ოდეს რუსის მხედრობა ხან-გამოშვებით ჩვენის ქვეყნისკენ მოდიოდა. 1769 წელს აგვისტოს თვეში გენერალ ტოტლებენმა თავის ჯარით გამოიარა დარიალის ვიწრო ხეობა და ათის ვერსის მანძილზე სოფელ სტეფანწმინდამდე, საქართველოს მაშინდელ საზღვრამდე, ათის ხიდის გაკეთება დასჭირდა მდ. თერგზე! ექვსი ხიდი ტოტლებენს თაგაურელებმა გაუკეთეს, სამი ქართველებმა და ერთიც თვით რუსებმა. ტოტლებენის ჯარს ადგილობრივმა გუბერნატორმა[4]), თავად ქაიხოსრო ანდრონიკაშვილმა ორასი ქართველი მიაშველა, რომელთაც სამის დღის განმავლობაში ხელით და ზურგით გადმოზიდეს ზარბაზნები, ტყიაწამალი და სხვა სამხედრო იარაღი. სტეფანწმინდიდან, თუმცა უვარგისი და ქვა-კლდიანი გზა იყო, მაგრამ ურემს მაინც შეეძლო წვალებით და გაჭირვებით გავლა და თულის ოსებისაგან თავდასხმის შიში აღარ იყო[5]).

თარხან-მოურავოვის შემდეგ[6]) ელჩად საქართველოში დედოფალმა ეკატერინე მეორემ გამოჰგზავნა გვარდიის კაპიტანი

---

[4]) ასე ეძახის პროფესორი ა. ა. ცაგარელი. იხ. Грамоты и другіе историческіе документы XVIII ст., относящіеся къ Грузіи. т. I, გვ. IX.

[5]) ibidem. გვ. 60—66. რაპორტი თ. ან. თარხან-მოურავოვისა გრაფ ნ. ი. პანინთან.

[6]) ანტონ რომანის ძე თარხან-მოურავოვი, რუსეთის ელჩი საქართველოში, რომელიც ტოტლებენის ჯარს მოჰყვა, დაიბადა რუსეთში. მამა მისი გადაჰყვა მეფე ვახტანგ ლეონის ძეს რუსეთში 1724 წელსა, ებოძა კაპიტნის ჩინი და მოკლულ იქმნა 1738 წ. ხოტინის აღების დროს. ანტონმა სწავლა მიიღო შლიახტების კადეტთა კორპუსში და 1753 წ. ებოძა პოდპორუჩიკობა ქართველთა გუსარის პოლკისა. მონაწილეობა მიიღო პრუსიასთან მომხდარ ომში. ამას შემდეგ მსახურებდა სამოქალაქო უწყებაში. ნადვორნი სოვეტნიკის ჩინით დაჯილდოვებული დაიხმარა რუსეთის სანდო ელჩად მეფე ერეკლეს და სოლომონის კარის წინაშე. ტოტლებენი გადაემტერა მოურავოვს და დაობეზღა იმპერატრიცასთან—როგორც ქართველი, ერეკლეს მიეშველა და რუსეთის ინტერესებს ჰღალატობდაო. ამისათვის დაიბარეს პეტერბურგსა, სამართალში მისცეს და, ბევრის წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, საქმე მოსპეს. ანტონმა მშვენივრად იცოდა ქართული და მოხიბლული მეფე ერეკლეს ნამდვილ მეფურის ხასიათით, საცა კი შემოხვევა ეძლეოდა, ყველგან ქებითა და დიდებით იხსენიებდა მეფესა. დაბრუნებული რუსეთად, დარიალის ხეობაში ოსებმა გაძარცვეს და სიკვდილს ძლივს გადარჩა. ასე ულმობელად მოეკიდა ბედი ამ პატიოსანს კაცსა. იხ. Грамоты, I, გვ. XXXV, 60, 366—367 და 418.

იაზიკოვი. ახალი ელჩი ასე აღგვიწერს თვისსა მოგზაურობას კავკასიის მთებში: სოფელ ჩიმიდან, რომელიც ეკუთვნის ერთ წარჩინებულ ოსს, გვარად ახმეტოვს, სოფელ სტეფანწმინდამდე ოც და ერთი ვერსია. სტეფანწმინდის ბატონი ყაზიბეგი თავის ხელქვეითის ხალხით ემორჩილება მეფე ერეკლეს.

დარიალის ვიწროებში გავლა ერთი უბედურება და ღვთის რისხვაა. მდ. თერგი შუილ-ღრიალით მოჰქუხს. თვალაუწვდენელ, ციცაბო კლდეებს შორის თერგის ღრიანცელი ადამიანს ყურს უჭედავს და თავბრუს ასხამს. მისი ზვირთები გულს უხეთქავს მგზავრსა. უხიდობის გამო თერგს წამ-და-უწუმ უნდა აუხვიო და ციცაბო კლდეებზე ცოცვითა და ფოფხვით გადიარო. შიშისაგან ჯერაც გონს ვერ მოვსულვარ; შეუძლებელია დაწვრილებით აღვწერო ყველა ის გაჭირვება, რაც ამ მგზავრობაში გამოვიარეო. ვისაც არ გადუვლია ამ საშინელ მთებზე, არ მოუსმენია თერგის გრგვინვა და ქუხილი, არ ჩაუხედნია მის ჩაბნელებულ უფსკრულში, ის ვერ წარმოიდგენს ამ გზის სიძნელეს. თერგი უშველებელ ლოდებს აგორებს და ხშირად რამდენისამე საჟენის სიმაღლიდან მედგრად გადაჰქუხს ძირსა. როდესაც მაღლა აიხედავ, ცას ძლივს დაინახავ, თავზე თითქო უშველებელი ლოდნი დაკიდულან და გემუქრებიან ჩანთქმას. ბილიკის სივიწროის გამო იძულებული ვიყავ ფეხთსაცმელი გამეხადა და რომ უფსკრულში არ გადავჩეხილიყავ, თოკებით შემკრეს ოსებმა და ისე მივყავდითო. ხანდისხან მთის ციცაბოდან მეწყერი და ზვავი ჩამოწვება ხოლმე და მგზავრთ სიცოცხლეს უსპობსო. მე მხოლოდ ერთი ყაზახი გადამეჩეხა უფსკრულში და ეს ღიდ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ხშირად მრავალი ხალხი იღუპება ამ წყეულ და შეჩვენებულ გზაზეო.

გაჭირვება და უბედურება მარტო ამითი არა თავდება. მთიულ-ოსებს სასყიდელი უნდა მისცე, თორემ უამისოდ ცოცხალს არ გაგატარებენ. წინად, ვიდრე ფულის ყადრს ისწავლიდნენ, უბრალო ხამსა სჯერდებოდნენ, ეხლა კი ამას ცოტაობენ, თუმცა ერთი ნევსის, ყვითელი ღილის და სარკის საკ-

ფასურში ქათამს მოგცემენო. ხოლო კაჟისა და ტყვია-წამალისთვის ყმად დაგისახლდებიანო. მაგრამ სამწუხაროდაო, ამბობს იაზიკოვი, ეს საჩუქრები ვერ იხსნიან მგზავრს გაჭირვებისაგან. ხშირად დასაჩუქრებული ოსები დაგხვდებიან სადმე ყრუ ალაგას და ისე გაგფცქვნიან, რომ დედი-შობილას გაგიშვებენო, ზარბაზნებისა ოსებს საშინლად ეშინიანთო, ამბობს იაზიკოვი და ამისათვის ურჩევს მთავრობას, რომ დარიალის ვიწროებში რამდენსამე ალაგას ააგოს სიმაგრენი, ჩააყენოს მეციხოვნენი და იქონიოს თითო სიმაგრეში ოროლი ზარბაზანი [7]).

ასეთი იყო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში საქართველოს სამხედრო გზა, რომლის შემწეობითაც შეეძლო მხოლოდ რუსეთს შემოეყვანა ჯარები საქართველოში და გადმოეზიდა სურსათი და სამხედრო იარაღი. უკეთესს მდგომარეობაში ვერა ვხედავთ ამ გზას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, როდესაც ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ შეუერთდა რუსეთსა. წინად თუ დროებით და ათასში ერთხელ მოდიოდა რუსეთის ლაშქარი, ეხლა, რაკი მეფობა მოისპო და რუსული მართვა-გამგეობა დამკვიდრდა, ცისამარა დღეს ახალ-ახალი ჯარები იგზავნებოდა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან. საქართველოს შეერთების შემდეგ რუსეთს სურვილი გაეღვიძა დაეპყრო მთელი მხარე კავკასიონის ქედიდან მოყოლებული მდინარე არეზამდე და შავის ზღვის კიდეებიდან კასპიის ზღვის ნაპირამდე. თავადი პავლე დიმიტრის ძის დროს (1802—1806 წ.) რუსეთს სულ სამოოთხი პოლკი ჰყავდა, საქართველოს სხვა-და-სხვა ალაგას გაბნეული, და გრაფ გუდოვიჩის მთავარ-მართებლობის დროს კი (1806—1808 წ.) უკვე დივიზიობით ითვლებოდა რუსეთის მხედრობა [8]).

დარიალის ხეობაში მცხოვრებთათვის სწორედ აუტანელ ბეგარად გარდაიქცა ეხლანდელი საქართველოს სამხედრო გზის

---

[7]) ibidem, გვ. 263—265.

[8]) იხ. В. Потто, т. I, выпускъ 3, з. 437. Кавказская война въ отдѣльныхъ очеркахъ, эпизодахъ, легендахъ и біографіяхъ.

კეთება. მარტო ხიდების შეკეთება მდინარე თერგზე, თოვლის გადახვეტა ზამთრობით და ღორღის მოცილება ზაფხულობით ყოველ ნიაღვრის შემდეგ იმოდენა შრომასა და ჯაფასა თხოულობდა მთიულთაგან, რომ თავიანთი საზრდოს მოსაპოვებლად დრო და მოცალეობა აღარა რჩებოდათ. მართალია, გასამრჯელო იყო დანიშნული, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ძალიან მცირე და მეორეც ისა, რომ ან დროზე არ აძლევდნენ წვრილმანი მოხელენი, ან თუ მოინებებდნენ და დაურიგებდნენ რასმემ, იმასაც დაკლებით ურიგებდნენ. ამ ნაირად მიდიოდა დრო 1804 წ. 19 აპრილამდე, როდესაც თ. ციციშვილს აცნობეს პეტერბურგიდან, რომ გზის შესაკეთებლად, ხუთის წლობით, გადადებულია 6,000 მ. ყოველ-წლიურად, იმ პირობით კი, რომ როდესაც საქართველოს შემოსავალი იმატებსო, ეს დანახარჯი სახელმწიფოს დაუბრუნდესო. [9])

რა თქმა უნდა მაშინდელ საქართველოს სამხედრო გზას ექვსი ათასი მანეთი წელიწადში პირს ვერ მოსწმენდავდა. ზარბაზნების გადმოსატანად იძულებულნი იყვნენ, ნაწილ-ნაწილ დაეშალათ და ისე ეზიდათ ზურგით, ან ცხენებით ვაკემდე. გზაზე გაჩხირული კლდის წვეტები ნაღმით არ იყო დანგრეული, ქვისა და რკინის ხიდების მაგიერ ხის ხიდები იყო გადებული მდ. თერგზე, რომელიც წყალდიდობას სულ ერთიანად ჰგლეჯდა და არღვევდა. ამისათვის გზის შესაკეთებლად გადადებული ფული მუშებს არ ეძლეოდათ და მხოლოდ სხვა-და-სხვა მასალისთვის იხარჯებოდა. რომ მუშებს სასყიდელს არ აძლევდა მაშინდელი მთავრობა, ეს ცხადადა სჩანს თვით მთავარ-მართებლის თ. ციციშვილის სიტყვებიდან. თ. ციციშვილმა, მთაში აღელვების დაწყნარების შემდეგ, მთიულებს დაუნიშნა კაცზე დღეში სამი შაური, მაგრამ თან ისიც უბძანა, რომ ეხლა უფასოდ უნდა შეაკეთოთ გზა, რადგან მთელს საქართვე-

[9]) იხ. Матеріалы П. Г. Буткова, ч. II, გვ. 503 და ч. III, გვ. 372.

ლოში არავის გაუგონია, რომ გზის გასაკეთებლად გლეხებს ფასს აძლევდნენო [10]).

კავკასიის მთაზე უხიფათოდ გადმოსვლას რუსეთის მხედრობისას საქართველოში ხელს უშლიდა აგრედვე ერთი მთის ბატონთაგანი, სოფ. ჩიმის მფლობელი ოსი დუდარუკო ახმეტი. დუდარუკო, თაგაურის თემის ჩამომავალი, ძლიერი კაცი იყო მთაში. მთელი თერგის ხეობა, კავკავიდან დაწყებული სოფ. სტეფანწმინდამდე, ამ მებატონეს ეკუთვნოდა და, მის დაუკითხავად, ფრინველიც ვერ გადმოფრინდებოდა ამ ვიწრო და უგზო-უკვლო ხეობაზე. საშუალო საუკუნის ფეოდალსავით დუდარუკოს დაემართნა საბაჟონი და გამვლელ-გამომლელისაგან უხვს ბაჟს იღებდა. ციხე-სიმაგრენი ბლომადა ჰქონდა სხვა-და-სხვა ალაგას და მეფურს განცხრომაში ატარებდა დროს ეს შფოთიანი და მოუსვენარი მთის ბატონი. რუსეთის მთავრობის წყალობას არა სჯერდებოდა და ხშირად მოზდოკიდან მომავალ რუსებს არბევდა და სძარცვავდა. ჩიმის მფლობელი ხშირ მიწერ-მოწერაში იყო ახალციხის ფაშა სულეიმანთან, რომელსაც დაწვრილებით ატყობინებდა ყოველსავე, რასაც კი რუსები განიზრახავდნენ. საიდუმლო ბარათებს რაჭისა და იმერეთის გზით უგზავნიდა ფაშას, რომ როგორმე რუსებს არ ჩაჰვარდნოდათ ხელში [11]).

დუდარუკოს ძარცვა-გლეჯისაგან მოთმინებიდან გამოსულმა გენერალ-ლეიტენანტმა კნორრინგმა განიძრახა სამაგალითოდ

---

[10]) იხ. Акты, собранные Кав. Археографическою Комиссіею. Тифлисъ, 1868 г. т. II, გვ. 319, 334—335.

[11]) ბუტკოვის აზრით, ასეთივე ერთგული კაცი ჰყოლია ახალციხის ფაშას, სულეიმანს, თვით საქართველოში. ამგვარ კაცად ბუტკოვს მიიჩნია თ. ზაალ ორბელიანი, თუმცა ეს ძნელი დასაჯერებელია. მეფე ერეკლეს თ. ზაალი დიდადა ჰყავდა მიჩნეული და კიდეც ენდობოდა. სანდო რომ არ ყოფილიყო ორბელიანი, ერეკლე ელჩად არ გაჰგზავნიდა რუსეთში. ორბელიანი დაესწრო ასპინძის ომს, დიდი მხნეობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა ამ ომში, როგორცა მოწმობს ან. რ. თარხანმოურავოვი. მეფე ერეკლემ თ. ზაალ ორბელიანის პირით აუწყა დედოფალ ეკატერინე მეორეს ასპინძის გამარჯვება და თან გაატანა ნიშნები ამ გამარჯვებისა: ორი ტყვე ოსმალი, ერთი ლეკი და მრავალი ბაირაღი. იხ. А. А. Цагарели, Грамоты, т. I, გვ. 172, 226, 232; Матеріалы, ч. II, გვ. 192.

დაესაჯა, რომ შემდეგში მაინც თავისუფლად ევლოთ მგზავრთა და ვაჭართა. მაიორს ბუტკოვს ჩააბარა ერთი როტა ჯარი, ორასი ყაზახი და უბრძანა, ჭკუა ასწავლე დუდარუკოსაო. ბუტკოვმა სინამდვილით შეასრულა უფროსის ბძანება, სოფ. ჩიმი სულ მთლად გადასწვა, ციხე-სიმაგრენი დაანგრია, დაანგრია აგრედვე ერთად-ერთი მეჩეთი, მტერად აქცია, მოუკლა 19 კაცი და 6 მძიმედ დასჭრეს ბრძოლაში. ერთის სიტყვით, დუდარუკოს სადგომ სოფელს ჩიმის ნაცარ-ტუტა ადინეს[12]). დუდარუკო მაინც თავისას არ იშლიდა, მაგრამ როცა აკლების მეორე დღეს ს. ჩიმს ზარბაზნები მოადგნენ კავკავიდან, მეტი ჯანი არ იყო, დაწყნარდა და ბედს დაემორჩილა. მოუსვენარი დუდარუკო დიდ ხანს არ დაწყნარებულა თავის სამფლობელოს აკლების შემდეგ. ქვემოდ ვნახავთ, რომ კიდევ გაუმკლავდა რუსებს და მცირე გაჭირვება არ მიაყენა[13]).

## II

რვა მაისს, 1802 წელსა, საქართველოს გამგემ[14]) გენერალ ლეიტენანტმა კარლო თეოდორეს ძემ კნორრინგმა დიდის ამბით გამოაცხადა ტფილისში უმაღლესი მანიფესტი, რომლის ძალითაც საქართველო სამუდამოდ უერთდებოდა რუსეთსა. ამავე დროს კნორრინგმა დააარსა უმაღლესი საქართველოს მმა-

---

[12]) Матеріалы... Буткова, ч. II, გვ. 524—525; ч. III, გვ. 365.

[13]) დუდარუკოს ამკლები მაიორი ბუტკოვი იყო კნორრინგის კანცელარიის გამგებელი და ავტორი კავკასიის ახალის ისტორიის მასალებისა, რომელიც ჩვენ, სხვათა შორის, ხელთა გვაქვს ამ ამბის საწერად. იხ. მ. ბროსსეს წინასიტყვაობა, გვ. I, დაბეჭდილი Матеріалы-ის პირველ ნაწილში.

[14]) ასე უწოდებს კნორრინგს პლატონ ოსელიანი. სრული. ტიტული კნორრინგისა იყო: Главнокомандующій въ Грузіи, Инспекторъ Кавказской линіи и Астраханскій военный губернаторъ. იხ. ცხოვრება მეფის ვიორგი XIII, გვ. 295 და Закавказье Н. Дубровина, გვ. 33.

რთველობა [15]). ამ დღესვე გამგებელმა თავისთან მიიწვია საქართველოს წარჩინებულნი თავადისშვილნი და მოქალაქენი, სადგურს სალდათები შემოარტყა და უმაღლესი მანიფესტი წაუკითხა სტუმრებს სადილზედ. მანიფესტის მოსმენის შემდეგ კნორრინგმა დააფიცა რუსეთის ტახტის ერთგულობაზე ყველა ქალაქში დამსწრე წარჩინებული თავადიშვილი და მოქალაქე.

კნორრინგისავე ბრძანებით მთელი ქალაქი რვა მაისს გაჩირაღდნებული იყო და შუშხუნებს უშვებდნენ. მართალია, ქალაქში დიდი მხიარულება იყო, მაგრამ თვით მთავარ-მართებელის სახლში, სადაც შეკრბენ საქართველოს დიდებულნი, მდუმარება და უკმაყოფილება სუფევდა. არავინ მოელოდა მეფობის მოსპობას და კნორრინგის მიერ წაკითხული მანიფესტი ელვასავით ეცა გენერლის სტუმრებს. ამას გარდა მთავარ-მართებლის უნდობლობამაც ბევრს ცეცხლი მოუკიდა. როგორ, გაიძახოდნენ სტუმრბი, რუსები ჩვენ მოვიწვიეთ, ვემუდარებოდით ჯარის შემოყვანას საქართველოს დასაცველად, და მთავარ მართებელი კი მანიფესტს გვიკითხავს, თითქო ჩვენ მტრები ვიყვნეთ რუსებისა, სახლს სალდათები შემოარტყა გარსა, თითქო ჩვენი დატუსაღება სურსო! ვინც კნორრინგის საქციელი შეურაცხებად ჩასთვალა, გამწყრალი და ამრეზილი დაბრუნდა სახლში და ერთგულობის ფიცი არ მიიღო: ამ ურჩობისათვის მრავალი მათგანი კნორრინგმა დაატუსაღა.

კნორრინგის უხერხულმა საქციელმა ხალხი მეტის მეტად გააბრაზა და ყველგან განაბნია თესლი უკმაყოფილებისა. შემდეგშიაც კნორრინგი ისე იქცეოდა, თითქო განზრახვა აქვს სულ მთლად ააღელვოს ქართველები და შეაძულოს მისგანვე დადგინებული ახალი მართვა-გამგეობაო. მანიფესტის გამოცხადების

---

[15]) რუსულად ერქვა: Верховное Грузинское Правительство, რომელიც იყოფებოდა ოთხს ექსპედიციად. შემდეგში თ. ციციშვილმა ოთხის ნაგიერ სამი ექსპედიცია დასტოვა. ოთხივე ექსპედიცია ექვემდებარებოდა კოვალენსკის. იხ. Бутковъ, Мат., ч. III, გვ. 351—352; Акты, II, გვ. 45—47.

შემდეგ გაგზავნა გენერალი ტუჩკოვი[16]) მარიამ დედოფალთან სამეფო რეგალიების ჩამოსართმევად. დედოფალმა ეს დიდად იუკადრისა და დიდად უსაყვედურა კნორრინგს, დაგვპირდი სამეფოს დაცვას და ახლა ასე გვღალატობო. მარიამს დედოფალმა დარეჯანმაც მხარი დაუჭირა და გამგებელს სულს უმწარებდნენ საყვედურით. კნორრინგმა რომ ველარა მოახერხა-რა, ის გამოუცხადა ორივე დედოფალსა, რომ მეფობის შესახებ არაეითარი ბრძანება არ მიმიღიაო და შემდეგ გაეშურა ლინიაზედ, სადაც ვითომ უსაჭიროესი საქმენი მოითხოვდნენ იმის იქ ყოფნას[17]). სამხედრო საქმეთა გამგეობა ჩააბარა გენერალ-მაიორს ლაზარევს და სამოქალაქო საქმეთა — კავალენსკის. უმაღლესის შშართველობის წევრებად დანიშნა თ. იოანნე ჩოლოყაშვილი და მდივნები ეგნატე და სულხან თუმანიშვილები[18]).

ქართველები განცვიფრებულნი და გაოცებულნი დარჩნენ კნორრინგის ასეთის საქციელით. საზოგადოდ, ძნელია იმედის გაცრუება და ერთი-ათად უფრო ძნელად ასატანია, თუ გაცრუებული იმედი შეეხება სამშობლოს ბედ-იღბალსა. ახალი მთავროობისა ქართველებს არა გაეგებოდათ-რა, ვერ მიმხვდარი-

---

[16]) გენერალი ტუჩკოვი იყო საქართველოში 1801—1804 წ. მისი სახელი ხშირად შეხვდება მკითხველს რუსთა საქართველოს დაპყრობის ისტორიაში. ტუჩკოვი ფრიად განვითარებული კაცი ყოფილა და ამ გენერლის თხოვნით დაუწერია ბატონიშვილს დავითს, საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, მოკლე ისტორია საქართველოსი. იხ. Краткая Исторія Царевича Давида. Тифлисъ 1893 г. გვ. VII—VIII.

[17]) პ. იოსელიანი მოგვითხრობს, რომ კნორრინგის მიერ გამოცხადებული მანიფესტი მეფობის მოსპობის შესახებ და მისივე გამოცხადება საქართველოს ერისადმი აღიბეჭდა ქართულად 4,000 ცალი მეფე გიორგი XIII-ს მიერ გამართულ სტამბაში. იხ. მეფე გიორგი XIII ცხოვრ. გვ. 297.

[18]) Закавк. Н. Дубровина, გვ. 25, 32—33. ლოფიცკიმ ცალკე წერილი მიართვა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, სადაც ამბობს, რომ კოვალენსკიმ სულ თავისი ნათესავები დანიშნაო უმთავრეს ადგილებზედ. მთავრობის სურვილი იყო, უმაღლესს სამმართველოში საყვარელი და ყველასაგან პატივცემული ქართველები ყოფილიყვნენ დანიშნულნი, კოვალენსკიმ კი სინიდისიერნი გააძევა და ისეთნი დანიშნა, რომელთა ღირსებაზედაც თავაზიანობა ნებას არ გვაძლევს ვილაპარაკოთო. Закавк. გვ. 49—50.

ყვნენ, ამ უცნაურ დაწესებულებაში სამართალი სად ეძებნათ. ქართველი კაცი, მიჩვეული მეფის სამართალს, იბნეოდა და ვერ მიმხვდარიყო, ვინაა უფროსი ამოდენა უფროსთა შორისო. კახეთი არ დაემორჩილა ახალ სასამართლოებს და აღელდა. რამდენიმე თავადისშვილი ერევანს გაიქცა ბატონიშვილ ალექსანდრესთან. აპირობდნენ გაქცევას აგრედვე ბორჩალოს თათრები. ტფილისში ვაჭრებმა დუქნები დაჰკეტეს, აღარც ხარჯს გადვიხდით და აღარც ვაჭრობა გვინდაო. სამოქალაქო საქმეთა გამგებელი კოვალენსკი სამსახურში არ დადიოდა, დანარჩენი უფროსნი მოხელენი, ზოგი ავადმყოფობის გამო და ზოგიც სიყმაწვილით ვერას აკეთებდნენ. ლოფიცკის სიტყვით, ქართველები რაკი სამართალს ვერა ჰპოულობდნენ, შინ დაღვრემილნი და გულ-ჩათუთქულნი ბრუნდებოდნენ. ყველა სწუხდა, რომ ვერ მიაღწია იმ კეთილ-დღეობას, რასაც ასე გულ-მხურვალედ ელოდა რუსეთის მთავრობისაგან. ერთის სიტყვით, რამდენადაც აქამდისინ ენატრებოდათ რუსეთის მართვა-გამგეობა, იმდენად დღეს უკმაყოფილონი არიანო, ამბობს ლოფიცკი [19]).

უფრო მკაცრისა და სასტიკის სიტყვებით იხსენიებს მაშინდელს გამგეობას სოკოლოვი [20]). უწესოება და ბოროტმოქმედება აუცილებელი იყო, რადგან უმაღლესად დამტკიცებულ მართვა-გამგეობის წესდებაში მთავარ-მართებელს და საქართველოს გამგებელს შეეძლოთ ისეთი ცვლილება მოეხდინათ, როგორიცა სურდათ და ხმის გამცემი არავინ იყო, რადგან პროკურორი მხოლოდ 19 მკათათვეს 1803 წ. დაინიშნა, როდესაც უკვე გვიან-ღა იყო. კოვალენსკიმ მთლად გააწყო ქალაქში ვერცხლისა და ოქროს ფული და თავის სახლი ნამდვილ ზარაფხანად გადააქცია. კოვალენსკის ხელს უწყობდა

---

[19]) იხ. Закавк. Н. Дубровина, გვ. 42—43.

[20]) სოკოლოვი იმერეთს იყო გაგზავნილი ბატონისშვილი კონსუანტინეს გასათავისუფლებლად. იქიდან ქართლზე გამოიარა და რაც უწესოება ნახა, მთავრობას მოახსენა. Закавк. Н. Дубр. გვ. 50.

მდიდარი ვაჭარი ივანე ბეგთაბეგიშვილი [21]). სასმელ-საჭმელი, სანოვაგე და სალეველი საშინლად გაძვირდა ტფილისში. ხალხი დრტვინავდა. კოვალენსკიმ კი იმოდენა ფულს მოუყარა თავი, რომ შეისყიდა, რაც საქართველოში მატყლი მოიპოვებოდა, რომ მოგებით სახაზინო მაუდის ქარხნისათვის მიეყიდნა. თვით ქარხანა ვითომ ხაზინის ხარჯით შენდებოდა, მაგრამ ბატონიშვილ დავითის სასახლე დაანგრიეს და ამ მასალით აშენებდნენ. ბატონიშვილმა იჩივლა, რომ საკუთარი სახლი დამინგრიესო, მაგრამ ყურიც არავინ გაიბერტყა [22]).

კავალენსკის იმდენად თავს გაუვიდა, რომ გარსევან ჭავჭავაძეც კი არ დაინდო და შეურაცხება მიაყენა. 1802 წ. ოქტომბრის გასულს პეტერბურგიდან დაბრუნდა საქართველოს ელჩად ნამყოფი გარსევან ჭავჭავაძე, დაჯილდოვებული დეისტვიტელნი სტატსკის სოვეტნიკის ჩინით. ყაზიბეგში ორასამდე ყაზახ-ბორჩალოს აღალარები და თათრები მიეგებნენ. რადგან კავალენსკისთან სადარბაზოდ არ მივიდნენ, საშინლად განრისხდა და ყველაზე წარჩინებული აღალარები და თავადიშვილები, რომელნიც გარსევანს ახლდნენ, ციხის დღით დაატუსაღა [23]).

სასამართლოებში მოხელენი სრულიად არ დაიარებოდნენ და არაფერს არ აკეთებდნენ. ჩვენის მისვლის მეექვსე დღესაო, სწერს თ. ციციშვილი შინაგან საქმეთა მინისტრს გრ. კოჩუბეის, შევედი სასამართლოში და ვერავინა ვნახე მდივანს გარდა, რომელმაც ბარათი წარმომიდგინა, ვითომც კოვალენსკი ამა და ამ დროს გამოცხადდა სამსახურში და ამა და ამ დროს წავიდაო, ესა და ეს საქმე მოისმინეს და სხვა და თან ისიც დაუმატა, რომ ყოველივე ეს ტყუილია და კოვალენსკის სამსახურში ფეხიც არ შემოუდგამსო [24]).

---

[21]) კოვალენსკიმ ივანე ბეგთაბეგიშვილი საგუბერნიო ხაზინადრად დაანიშნა. Ак. II, გვ. 14.

[22]) Закав. Н. Д—па, გვ. 49, 50, 52. Акты, II, 12.

[23]) ibidem, გვ. 52.

[24]) იხ. Акты, II, გვ. 20. ეს მართლის მოყვარე მდივანი ის ლოფიცკია, რომელმაც ალექსანერე პირველს ზემოდ მოხსენებული ცალკე წერილი მიართვა სხვა-და-სხვა უწესოების შესახებ.

თავადი პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი განცვიფრდა კოვალენსკის საქციელით. ქვეყნის მმართველი სამსახურში არ დაიარებოდა და თუ აკეთებდა რასმეს, მხოლოდ თავისს სახლში. ეს არაფერი. იმოდენა უფლება მიანიჭა თავისს თავსა და ნათესავებს, რომ თვით მთავარ-მართებელსაც არა ჰქონდა ასეთი უფლებანი და ციციშვილის სიტყვით, არც შეიძლება, რომ მიენიჭოსო [25]). უფრო სასტიკად იხსენიებს კოვალენსკის სოკოლოვი [26]). იმის სიტყვით, კოვალენსკი უზდელად ეკიდებოდა როგორც მეფეს და იმის სახლობას, აგრედვე ხალხსა. თავგასული და გამძვინვარებული მოხელე პატივს არავისა სცემდა, არც დიდებულსა, და არც უბირ კაცსა. ყველას ერთგვარად შეუბღალა სახელი და თავ-მოყვარეობა. მეფე გიორგიმ კოვალენსკის დიდის ამბით დაუნიშნა აუდიენცია. დარბაზი საესებით იყო სავსე დიდებულებით და ბატონიშვილებით. ყველა მოუთმენლად ელოდა რუსეთის იმპერატორის განსაკუთრებულ ელჩსა. კოვალენსკი პირდაპირ სამეფო დარბაზში შევიდა ქურქ-წამოსხმული, ფეხზე თბილი წაღები ეცვა და თავზე საგზაო ქუდი ეხურა. კოვალენსკიმ წინადვე შეუთვალა მეფეს,

---

[25]) რა აზრისანი უნდა იყვნენ კოვალენსკის საქციელის მნახველნი ქართველებიო, ამბობს გულს ცეცხლ-წაკიდებული თ. ციციშვილი ერთს თავისს მოხსენებაში, რუსულ მართვა-გამგეობაზეო და თითქმის ევედრება შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფს კოჩუბეის, რიგიანი, პატიოსანი და განვითარებული მოხელენი გამომიგზავნე საქართველოში, თორემ ახლს მმართველობას სულ ერთიანად სახელს გაუტეხენ კოვალენსკისთანა მოღვაწენიო. Акты, II, გვ. 19—20. Зак. გვ, 53.

[26]) იხ. სოკოლოვის საიდუმლო მოხსენება, გაგზავნილი სახელმწიფო კანცლერის გრაფ ა. რ. ვორონცოვის წინაშე, Акт. II, გვ. 5—6. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სოკოლოვი კოვალენსკის მეტის-მეტად საძაგელ კაცად იხსენიებს თავისს, მოხსენებაში და ჰკვირობს, როგორ უთმობდნენ ქართველები ამდენ უზრდელობას და ბოროტებით და მოკრთამეობით სავსე საქციელსაო. პ. იოსელიანი კი ამბობს, რომ მეფე გიორგი კოვალენსკის დიდის პატივისცემით ეპყრობოდაო. ვერ დააშოშმინა მხოლოდ მეფე გიორგიმ გენერალი ლაზარევი, კაცი მეტის-მეტად ფიცხელი და ანჩხლი. დედოფალი თითქმის ყოველ დღე მის ახალგაზდა ცოლს საჩუქრებს უგზავნიდა, საგრამ ამითიც არა გამოვიდა-რა. იხ. მეფე გიორგის ცხოვრება, გვ. 144. ბუტკოვიც ჰფიქრობს, რომ სოკოლოვი მტერი იყო კოვალენსკისა და იმისათვის დაბეზღაო. საგრამ ეს დასაჯერებელი არ არის. ციციშვილის გამოძიებამ ნათლად დაამტკიცა კოვალენსკის მოკრთამეობა. ამბობენ, დღესაც მის მემკვიდრეებს, პოლტავის გუბერნიაში, სახლი სავსე აქვთ საქართველოდან გაზიდულ ძვირფასის თვალ-მარგალიტით და ოქროსა და ვერცხლის ნივთებითაო.

რომ მისთვის განსაკუთრებული სავარძელი მოემზადებინა და შესვლისათანავე პირდაპირ მომზადებულ სავარძელში ჩაჯდა; სავარძელი ისე ახლო მიაწევინა მეფის საჯდომთან, რომ კოვალენსკის ფეხები მეფე გიორგისას ეხებოდა. მეფე გიორგის დიდად ეწყინა ასეთი უზრდელობა ელჩისა, როდესაც გარსევან ჭავჭავაძემ უამბო, რა დიდის მოწიწებითა და თავაზიანობით იქცევიან ხოლმე უცხო სახელმწიფოთა ელჩნი აუდიენციის დროსაო.

კოვალენსკი ამავე უცნაურის ტანთსაცმელით შევიდა დედოფალ მარიამთან და, შესვლისათანავე საათს დაჰხედა და, რადგან თორმეტი იყო, გამოაცხადა, რომ ეხლა საადმირალო საათია და დროა არაყის დალევისაო. დედოფალმა მაშინადვე უბრძანა, მოართვით არაყიო და კოვალენსკიც არ მოერიდა დედოფალს და ამ აუდიენციის დროს არაყი დალია. კოვალენსკის უწესო საქციელი მარტო ამ ამბით არ დასრულებულა. ერთხელ მეფე გიორგიმ სადარბაზო სადილი გაჰმართა და კავალენსკიც მიიპატიჟა. კოვალენსკიმ უარი შეუთვალა მეფესა, ავადა ვარო და სადილად ვერ გიახლებიო. თავის მაგიერ მეფეს აწვია თავისი მოსამსახურენი, თვითონ კი მალვით შეიპარა ქალების განყოფილებაში და უცქეროდა სადილად მსხდომ ქალებსა[27]).

ბოროტ-მოქმედება რუსის მოხელეთა უმაღლეს ხარისხამდე ავიდაო, ამბობს ნ. დუბროვინი. უვარგისობა ახალის მთავრობისა დღითი-დღე მატულობდა და ხალხი ძალა-უნებურად ძველს დროს სიამოვნებით და თან სინანულით იგონებდა. სასამართლოებში ქართველებს ლანძღავდნენ, აგინებდნენ და ხშირად მოშჩივარ-მოპასუხეს კიდეც სცემდნენო. საკმარისი იყო ვისმეზე მცირე ეჭვი შეეტანათ, მაშინვე დაატუსაღებდნენ, ხელებს ზურგზე თოკით გაუკრავდნენ, კისერზე საბელს წაებამდნენ და ამგვარად ტუსაღს ატარებდნენ ერთის ქალაქიდან

---

[27]) აი თვით დედანში როგორ სწერია: „а самъ (Коваленскій) инкогнито забрался на галерею, гдѣ сидять за рѣшетками у Азіятцовъ женщины и во все время, пока столъ продолжался, министръ черезъ рѣшетку глядѣлъ, по окончаніи же обѣда отправился домой“. Акт., II, зз. 5—6.

შეორემდე. ამასაც არა სჯერდებოდნენო, ამბობს იგივე დუბროგინი. მოხელენი სოფლებიდან ქალებს იტაცებდნენ და აუპატიურებდნენო. [28])

მართვა-გამგეობის საქმის აწეწ-დაწეწას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს ამ დროს რამდენიმე მოხელე განაგებდა. ყველა მათგანს ცალკე ინსტრუქცია ჰქონდა მიბოძებული და ამ ინსტრუქციის ძალით მოქმედობდა. ხალხი კი გონებასა ჰკარგავდა და ვერ მიხვედრილიყო, ვინაა მათ შორის უფროსი და ვის ეკითხება ქვეყნის წესი და ავლა-დიდებაო. ერთი რომ მოსჩივანს დაუკმაყოფილებელს გაისტუმრებდა, და შესტუქსავდა, მეორე უფროსი კიდეც დააკმაყოფილებდა და სანუგეშოსაც ბევრს რასმეს ეტყოდა, ხშირად ყურში იმასაც ჩააწკეთებდა, რომ მე ვარ აქ პირველი და ყველაფერი მე უნდა მეკითხებოდესო. ასეთმა წესმა და რიგმა სრულიად გააწბილა და გაათახსირა მართვა-გამგეობის საქმე.[29])

თ. ციციშვილის მთავარ-მართებლად დანიშვნამდე საქართველოში ოთხი მოხელე იყო: კოვალენსკი, სოკოლოვი, გენერალი ლაზარევი და მუსინ-პუშკინი, რომელნიც განკერძოებით მოქმედობდნენ. სხვათა შორის, ეს იყო მიზეზი, რომ ხალხში გავრცელდა ხმა, რუსები აქ დროებით არიან და საქართველოდან მალე წავლენო. [30])

---

[28]) იხ. უქვეშევრდომილესი მოხსენება თ. ციციშვილისა 9 თებერ. 1803 წ. თარიღით. Зак. гр. 53. Акт. II, гр. 17. მაიორმა ვერშინინმა ძალით მოსტაცა ბატონიშვილ ვახტანგის მეუღლეს ქეთევანს ქ. დუშეთში აღსაზრდელად აყვანილი ქალი (воспитанница) და გაიტაცა ქ. მოზდოკს. ციციშვილმა მაიორი დაითხოვა სამსახურიდან და მოტაცებული ქალი დაუბრუნა პატრონს. თუ ბატონიშვილებს არ ინდობდნენ ვერშინინები, ცხადია, სხვას უფრო თავისუფლად მოექცეოდნენ.

[29]) Акт. II, гр. 17.

[30]) დარიალის ხეობაში თ. ციციშვილმა თაგაურელებს პირდაპირ გამოუცხადა, ნუ ოცნებობთ ტყუილად, ვითომ რუსები საქართველოში დროებით არიან და მალე წავლენო. რუსები, რაკი რომელსამე ქვეყანას თავისს გუბერნიად დაჰსახავენ, ფეხს თავისს დღეში აღარ მოიცვლიან იქიდანაო. ამასვე ხშირად იმეორებდა ციციშვილი შემდეგში ამიერ კავკასიის ხანებთან მიწერ-მოწერის დროს. ხელმწიფე იმპერატორმა თ. ციციშვილს დიდი უფლებანი უბოძა. სრულიად მოსპო გახაწილება უფლებათა და მხოლოდ მთავარმართებელს ეკითხებოდა ყველაფერი. იხ. რესკრიპტი თ. ციციშვილის სახელობაზე ბოძებული 1803 წ. 30 იანვრის თარიღით. Акт. II гр. 17, 15—16.

თ. პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი მალე მიხვდა, რომ საჭიროა დავაწყნარო და დავამშვიდო აოხრებული და დაწიოკებული ქვეყანაო; მალე უნდა მოეღოს ბოლო მოხელეთა გარყვნილ და უზნეო საქციელს, თორემ შესაძლოა, ხალხმა მეტი ველარ მოითმინოს, აჯანყდეს და რუსეთის მცირე მხედრობა დიდ გაჭირვებაში ჩააგდოსო. ადვილად შეიძლებოდა, რომ 1802 წ. კახეთის აჯანყებას ერთიანი ამბოხება მოჰყოლოდა და მაშინ ვინ იქმნებოდა თავმდები, რომ რუსეთის მცირე რაზმი შესძლებდა თვისს გადარჩენასა და ქვეყნის დაწყნარებას. ამისათვის თ. ციციშვილი მოსვლისათანავე ტფილისში დაუხანებლივ შეუდგა გამოძიებას, თუ რა იყო მიზეზი ქართველების გაბოროტებისა და უკმაყოფილებისა. აღმოჩნდა, რომ ყველაფრის თავი მიზეზი იყო საქართველოს გამგებელი კოვალენსკი [31]).

ათის თვის განმავლობაში კავალენსკიმ ჭირსავით შეაძულა ქართველებს რუსები და მათ-მიერ განწესებული მართვა-გამგეობა. მისმა ბოროტ-მოქმედებამ, ამბობს თ. ციციშვილი, მოთმინება დააკარგვინა ქართველებს და აღუძრა სურვილი, რითაც კი შეიძლებოდა, ევნოთ რამე რუსეთისთვის და წინააღმდეგობა გაეწიათ. მთავარ-მართებელი ბოდიშს იხდის გრაფ კოჩუბეის წინაშე, რომ შეგაწუხე კოვალენსკის საზიზღარის საქციელის აღწერით, რომლის სახლი შეიქმნა უმთავრეს ბუდედ, საიდანაც იგზავნებოდა დატუსაღებისა, გამოძიებისა და საცხოვრებლის ჩამორთმევის უქაზებიო [32]).

მთავარ-მართებელი ციციშვილი იძულებული გახდა აღელვებულ და აღშფოთებულ საქართველოს დასამშვიდებლად მაშინადვე დაეთხოვნა სამსახურიდან კოვალენსკი. ამისი უფლება პეტერბურგშივე მიიღო ციციშვილმა იმპერატორ ალექსანდრე-

[31]) კოვალენსკის ბოროტ-მოქმედებაზე ხმამ თვით ხელმწიფემდინ მიაღწია. Зак. გვ. 54; Акт. II, 22; რუსის მოხელეთა უკანონო საქციელი აქვს აწერილი აგრეთვე ა. ბ. ბერეს. იხ. Русская Старина, 1880 წ. т. 28, გვ. 1—32.

[32]) თ. ციციშვილი შემოვიდა ტფილისში 1803 წლის პირველ თებერვალს. ბნორრინგი და კოვალენსკი 1802 წ. 9 აპრილს. იხ. Акты, II, გვ. 17, 23—25; Закавк. გვ. 31.

საგან. ციციშვილი საშინელი მკაცრის ხასიათის ადამიანი იყო. გულ-ჩვილობა და თავაზიანად ლაპარაკი თითქმის არავისთან ეხერხებოდა. ენა-მახვილი, გესლიანი, მხნე და მბრძანებლობით აღსავსე კილო მისი საშიშარი იყო, არამც თუ ხელ-ქვეითისთვის, არამედ ამხანაგთათვისაც. კოვალენსკიმ მალე იგემა ამ სასტიკის კაცის სიმკაცრე. ციციშვილმა დაიბარა თავისთან, სადაც შეკრებილი ჰყავდა მრავალი თავადიშვილობა და ამოდენა ხალხის წინაშე უბრძანა, საქმეები ჩაბარე შენს ძმას, როგორც უფროსს მოხელეს და თვითონ შენ წაბრძანდი ქ. გეორგიევსკს, სადაც უნდა იცადო, ვიდრე შენი ბედი ასე თუ ისე გადასწყდებაო. შემდეგ კოვალენსკი მისცეს სამართალში და რითი გათავდა მისი საქმე უმართებულეს სენატში, აქტებიდან არა სჩანს [33]).

არც საჭიროა ვიცოდეთ, რა განუჩინა სენატმა კოვალენსკის. ჩვენთვის ისიც საკმარისია ვიცოდეთ, რა კაცის ხელში ჩაგდო ბედმა მაშინდელი საქართველო და რომ ამ კაცის დასჯა საჭიროდ დაინახა უმაღლესმა მთავრობამ. კოვალენსკი ორჯელ იყო საქართველოში: პირველად როგორც უფლება-მოსილი მინისტრი და ელჩი მეფე გიორგი XIII-ს კარის წინაშე

[33]) ალბად ეს წამი აქვს პ. იოსელიანს სიტყვში, როდეს ამბობს: «კოვალენსკი 1803 წ. კნიაზმა ციციანოვმან დიდის შეურაცხებით განდევნა ტფილისიდან რუსეთად". იხ. მეფე გიორ. XIII ცხოვ. გვ. 138. უადგილოდ არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ, მაშინდელი დროის და მოღვაწეთა დასასურათებლად, შემდეგი: კოვალენსკი თავისს დათხოვნის რაპორტში, ავადმყოფობას გარდა, იმასაც ასახელებს, რომ შეურაცხება მომაყენეთო. „и по поводу пораженія чувствительности неожиданнымъ и незаслуживаемымъ пріемомъ, какой угодно было ему, Циціанову, при отверзтыхъ нарочно дверяхъ въ посрамленіе его, при множествѣ князей сдѣлать." ამაზე ციციშვილმა უპასუხა, რომ რაპორტი საჭიროა არ არის, რადგან სამსახურიდან გადაყენებული ხარო და შემდეგ დაცინვის კილოთი სწერს: „нѣжной чувствительности вашей пораженіе, буде было непритворное, то по крайней мѣрѣ было слѣдствіемъ той нечувствительности, которую вы полагали въ здѣшнихъ князьяхъ, когда оскорбляли ихъ своимъ поведеніемъ и тѣмъ заставили возненавидѣть правленіе до такой степени, что я нашелъ страшное колебаніе умовъ противъ Россійскаго Правленія. Двери же отворять я приказываю по собранію князей ко мнѣ ежедневно и при нихъ работаю для того, чтобы они на меня также не жаловались, какъ на ваше превосходительство, что по 5 дней васъ не видали и что не рѣдко дожидавшимся вашего лицезрѣнія царевичамъ отказывали подъ тѣмъ предлогомъ, что увасъ времени нѣтъ ихъ принять." Акт. II, стр. 20.

და მეორედ, როგორც გამგებელი სამოქალაქო საქმეთა. გენერალ-ლეიტენანტი კნორრინგი დიდად ენდობოდა კოვალენსკის და სამოქალაქო საქმეთა გარდა სამხედრო საქმეც კისერზედ მოახვია, თვითონ კი კავკასიის ლინიაზედ წავიდა. სულ ორი-სამი თვე დაჰყო ტფილისში კნორრინგმა და თავი ისახელა მხოლოდ მანიფესტის გამოცხადებით შესახებ მეფობის მოსპობისა და იმითი, რომ ქართველებს საქვეყნოდ აღუთქვა და დაჰპირდა მშვიდობას, მყუდროებას და ქონებრივს ხელ-შეუხლებლობას მრავალ სხვა წყალობასთან ერთად. დანაპირების სისრულეში მოსაყვანად კი არამც თუ არაფერი იზრუნა, ყურსაც არ უგდებდა თვისის ხელქვეითის მოქმედებას. კნორრინგის წასვლის შემდეგ ლინიაზედ, კოვალენსკი სრული გამგებელი გახდა საქართველოსი; მეფურად, მედიდურად ეჭირა თავი, გენერალ ლაზარევს ცისმარა დღეს ეჩხუბებოდა, უცხო ქვეყნიდან მოსული მე უნდა მივიღო ხოლმე და არა შენაო, ერეოდა სამხედრო საქმეებში, ბრძანებას აძლევდა მეციხოვნეთა უფროსთ და სხვა. ერთის სიტყვით, კოვალენსკი ისე ურევდა საქმეს, რომ შეუძლებელი იყო მცირე ხნის განმავლობაში რაიმე შფოთი და არეულობა არა მომხდარიყო-რა ქვეყანაში. ამასობაში თავგასული წვრილ-ფეხი მოხელენი მაზრებში ხალხს აწიოკებდნენ და ისე იქცეოდნენ, როგორც სურდათ, მით უმეტეს, რომ მაგალითის აღება შეეძლოთ თავიანთისავე უფროსისაგან.

ამგვარად კოვალენსკიმ მცირე დროს ისე გააბოროტა ქართველები, რომ თითქმის ყველა, დიდი და პატარა, ნატრობდა, როგორმე მოეშორებინათ თავიდან თავისს ნებითვე გამოწვეული მფარველობა მართლმადიდებელ სახელმწიფოსი. თ. ციციშვილის მოსვლის შემდეგაც უკმაყოფილება ერისა ძლიერდებოდა და ბოლოს შეგუბებულმა და გულში ჩამარხულმა უკმაყოფილებამ თავი ბევრს ალაგას იჩინა, რაიცა ქვემოდ იქნება ნაამბობი, მაგრამ მხნე და საკვირველის ენერგიისა და ნიჭის პატრონმა მხედართ-მთავარმა ყველა დაბრკოლება დასთრგუნა და საქართველო რუსეთის სკიპტრას შეარჩინა.

ა. ფურნელი

# სახალხო პოეზია

## და

## მისი საკედამოგვიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა

### V *)

ვიდრე ქრისტეანობის სხივი მოეფინებოდა ქვეყნიერობას და ცხოვრების ახალს მიმართულებას დაჰბადებდა, ან კაცობრიობის კულტურულს მსოფლიობაში ახალს ელემენტს გააჩენდა, კაცი,—როგორც ჯერ გონებრივად სრულებით განუვითარებელი არსება,—იყო გარეშე, ანუ ობიექტივურ ბუნების გავლენის ქვეშ. ეს გარეშე ბუნება იყო მისი ბატონი, მისი მოქმედების კანონი და ცხოვრების სარკე. ამ დროს კაცი იყო თითქმის უსულო დედოფალა, სათამაშო ბურთი ყოვლად ძლიერ ბუნების ხელში. მაგრამ რადგან ამ ბუნებას და მის სხვა-და-სხვა სტიქიონსა და მოვლენას საზოგადოდ ერთი საფუძველი, ნიადაგი, სარჩული აქვს, ერთს კანონს ემორჩილება იგი, ამრ-სათვის პირველი კაცის ცხოვრებას და კულტურის პირველს ნაბიჯს ერთ-ფეროვნება ეტყობა. ამ გარემოებამ გამოიწვია ასეთივე ერთ-ფეროვნება ხალხის შეხედულობაშიც, მის სიტ-ყვიერებასა და აზროვნებაშიც. მაგალითად, სხვა-და-სხვა ერთა გონებრივნი ნაწარმოებნი, რაც უნდა დიდად განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, მაინც პირველი, ანუ ქვედა-სარჩული, ე. ი. კოსმიური მათი ვითარება, თითქმის სრულებით ერთგვარია,

*) „მოამბე" № 2.

ერთფერია. ამას დაემატა შემდეგი გარემოებაც. უმეტესი ნაწილი ბუნების საგნების და მოვლინებათა, მაგ. წყალი, ცა, მიწა, ქარი, მზე, მთვარე, ვარსკვლავი, შიმშილი, წვიმა, ჭირი, მთა-ბარი და სხვანი—თითქმის ყველგან და ყველასათვის (უმეტესობისთვის მაინც) ერთფერი და ერთგვარია, რადგან ერთნაირად ჰმოქმედობს კაცზე. აგრედვე თვით კაცის ბუნებაც: სული, გონება, გრძნობა და სხვანი—ერთსა და იმავე კანონებს ემორჩილება და ამისათვის პირველი ხალხის ცხოვრების ბეჭედი სულ ერთი იყო. ამ ქარგაზე დაიქარგა პირველი კულტურა, კოსმიური ხანა, ამ ხანის ნაწარმოები, ნაყოფი პირველის დროისა და პირველ ერთა ერთგვარის მუშაობისა. ხალხის შეხედულება ბუნებაზე, საზოგადოდ, „ბუნდე, ძრწოლით სავსე გრძნობაა ბუნების ძალთა ერთობისა. ეს გრძნობა აქვს შეთვისებული ველურ კაცსაც,—ამბობს გუმბოლდტი,—გარეგანი ბუნება უნებურად ანუ კაცისაგან შეუმეცნებელად, უერთდება კაცის შინაგან საკვირველ-მოქმედს ბუნებას, მაგრამ ერთი არის წმინდა სარკე მეორესათვის. რაც ერთისათვის იდება ნატურალურ ფილოსოფიის საფუძვლად, ის მრავალ სხვა ტომისთვის რჩება მხოლოდ ინსტინქტის ნაყოფად“ [1]). ამ რიგად აქ კაცის შემეცნება ჰქრება ბუნების ძლიერების წინაშე. ყოველი კერძოობა ბუნებისა, ყოველი მოვლენა აქ კაცს აქვს წარმოდგენილი ერთად, როგორც ერთი რამ ვეებერთელა არსება, სულდგმული, რომლის ხელშიაც არის, მისის აზრით, ბედ-იღბალი ყოველის კაცისა. ამისათვის პირველნი ხალხნი (თითქმის ყველანი) ქვეყნიერობას ანუ მთელს გარეგანს ბუნებას „დედას“ უწოდებენ („мать сыра-земля“, „დედა-მიწა“). ეს ბუნება, ეს ქვეყნიერობა აქვსთ ამ ხალხთ წარმოდგენილი, როგორც, მაგალითებრ, „ყვერცხი“ [2]), ან კიდევ სხვა ნაირად,

---

[1]) „Историч. очеркъ народн. міросозерц. и суеверія“ (Жур. Мин. Н. Пр. 1863. ч. 117).

[2]) ibidem; შეადარე Карьеръ—Искусство, III, 244—295.

[3]) ibid.. შეადარე А. Розовъ—Происх. русск. былинъ, 73.

როგორც, მაგალითად, მტრედი [3]), ცეცხლი [4]), გველეშაპი [5]), ვეებერთელა ხე [6]) და სხვა. ასეთივე ერთგვარი შეხედულებაა ცის მნათობებზედაც. მზე, თითქმის ყველა ერთა შეხედულებით, მაგალითებრ, ბერძნების, ამერიკელების, დიდი ოკეანის კუნძულელების, გერმანელების, ჩვენ—ქართველების, რუსების, ოსების და მრავალ სხვა ხალხის პოეზიაში, არის რაღაც ცოცხალი არსება, რომელიც დღისით ცაზე დასცურავს და საღამ-საღამოთი დასავლეთისკენ, ოკეანესკენ მიდის, აქ ტანს იბანს დაღალული, გრილდება და ისვენებს, რომ მეორე დღეს უფრო ფხიზელი, ცოცხალი ამოვიდეს და უფრო მხურვალე, მცხინარე იქმნას [7]). ამისათვის ქართველი ხალხი, თუმცა ღრუბლებს მიჰმართავს ხოლმე, როგორც ცოცხალს რამეს:

ბურო, იარე, იარე,
ცხრამთას იქით გადიარე,
შენი ცოლი ორსულია, ორგულია,
სამი შვილი ყოლებია,
ერთი ბრუცი, ერთი გლახა,
ერთი ყველას სჯობნებია;
მალე მიხვალ,—მოგირჩება,
გვიან მიხვალ,—მოგიკვდება,

ვამბობ, თუ ჩვენი ხალხი ღრუბლებზე ასეთი შეხედულებისა არის, თანახმად სხვა ყველა ხალხისა,—მას მზეც აგრევე წარმოუდგენია:

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა.

ასევე უცქერის თავისს პოეზიაში გერმანელიც, რომელიც მზეს მიჰმართავს შემდეგის სიტყვებით:

---

[3]) Карьеръ—Искусство, III, 244—295.

[4]) Ѳ. Буслаевъ—Нар. поэзія, 1887, гл. III; А Веселовскій—Разысканія... 1883, VIII, 329; Тайлоръ—Доисторич. бытъ народовъ и начало цивилизаціи, 456.

[5]) А. Розовъ—Происх. русск. былинъ, 72—3.

[7]) Тайлоръ—ibid, 486 Веселовскій—Разыск.... VIII, 300.

Lewe Sunne, kumm wedder
Mit diner goldnen fedder და სხვ.

ასეთი შეხედულება, რომლის მიხედვითაც მზეს სული ედგმის, ოქროს ფთებიც ესხმება (mit diner goldnen fedder), მოგვაგონებს რუსების შეხედულებასაც:

Солнышко, солнышко,
Выгляди въ окошечко,
Твои дѣти плачутъ [8]).

მზეს, თითქმის ყველა ერთა შეხედულებით, უკან დასდევს მუდამ მთვარე, როგორც მისი ცოლი, ან და, ან დედა. ასეთი შეხედულებაა მაგ. ოსეთში [9]), საბერძნეთში [10]) და სხვა-განაც. ყველგან ეს ლეგენდები თითქმის ერთის ფერისაა, და, თუ განსხვავებაა რამ, მხოლოდ წვრილმანებში, მცირეოდენი რამ. კუნძულელების შეხედულებით, მთვარე არის კურდღელი, რომელმაც თავის თავი მიართვა ბუდდას საჭმელად, როცა უკანასკნელს მოშივდა უდაბნოში მარხულობის დროს; ევროპელების შეხედულებით, იგი არის ისააკი, რომელსაც შეშა მიაქვს ქორების მთის წვერზე; ასე აქვთ წარმოდგენილი მთვარე გერმანელებს, ესკიმოსებს და ზოგიერთ სხვებსაც [11]). ქართველების შეხედულებით კი, მთვარე არის ის პატარა ქალი, რომელსაც დედამ სცემა პურის ზელის დროს ცომიანის ხელით, მხოლოდ იმიტომ, რომ (მთვარეს) ძმამ აჯობა სირბილში და წინ გაუსწრო [12]).

ძლიერმა, შეუბრალებელმა და პირვანდელ კაცის დამჩაგვრელმა ბუნებამ მის ფანტაზიას, როგორც, თითქმის, თვის მორჩილ ყმასა, შეაქმნევინა თვისი მზგავსი, ერთფეროვანი გმირნიც, ბუმბერაზნი, რომელნიც თითქმის სრულიად კოსმიურს სარჩულზე არიან ამოსხმულნი, ამოყვანილნი და რომელთაც

---

[8]) А. Веселовскій—Разысканія въ обл. р. дух. стих. 1883. VIII, 300.
[9]) В. Миллеръ—Осетинскіе этюды. I, 255.
[10]) Весселовскій—Разысканія... VIII, 296.
[11]) Тайлоръ—Доист. бытъ нар. и нач. цивилизаціи, 446.
[12]) «ივერია» 1887 წ. № 37.

ერთბამად ყველას ერთფერი, მითოლოგიური, საკვირველ-მოქმედებითი ძალა აქვსთ. კაცის ფერი არა სდევთ იმათ. იგინი მოგაგონებენ ღვთაებას, ხან თვით ბუნებას, ზოგჯერ ბუნების ამა თუ იმ მოვლენას, ან დედა-მიწის რომელსამე ნაწილს,—მთას, ოკეანეს და სხვ. და სხვ. ბერძნების პრომეთეოზი, მიჯაჭვული კავკასიის მთაზე, ქართველების (ესე იგი საკუთრად თუშ-ფშავ-ხევსურთა, მეგრელთა, სვანთა), აგრედვე ოსთა, აფხაზთა ამირანი [13]), სომეხთა არტავაზდი [14]), ეგვიპტეთა ტიფონი, სპარსთა ბიურასპ აჟდახაკი [15]), ირანელთა აჯდახაკი [16]), რუსთა სვიატოგორი [17]), ინდიელთა, სპარსთა, თათართა, ჩვენი და სხვათაც დევნი, (რუსთა დიევები) [18]), სერბიელთა დიევების „მამასახლისები“ რიცხვით სამოც და ათი და უმცროსი გმირი მარკო კოროლევიჩი [19]), გერმანელთა ლოკკი, სკანდინავთა ვეინემეინი [20]) და მრავალნი სხვანი არიან ბუნების შვილნი, ან უკედ, მოვლენანი, წარმოდგენილნი კოსმიურ, ერთფეროვანის ხანასი, თუმცა ზოგს მათგანს შემდეგთა ხანათა კვალი, გავლენა და ბეჭედიც ატყვია. დასასრულ, ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ თითქმის ყველა ხალხს დედამიწაზე აქვს თქმულებანი რკინის ჭედვასა და მჭედელზე. არ არის ისეთი ხელობა კაცისა,—ამბობს შრადერი,—რომელიც უფრო მეტად იყოს გარშემორ-

---

[13]) А. Хахаповъ—Груз. изводъ сказ. о св. Георгіѣ. 33, 39; „ивѣрія“ 1887 №№ 212, 145; В. Миллеръ—Осет. этюды. I, XIII, 69,93, 145; его же—Жур. Мин. Н. Пр. 1883, ч. 225; Кавказскія преданія о великанахъ, прикованныхъ къ горамъ, газ. „Кавказъ“ 1854 г. № 28; 1858 № 28, 55; 1850 № 33. Н. Дубровинъ—Тысяча-восемьсотъ второй годъ въ Грузіи (Вѣстн. Ев. 1868 Апрѣль).

[14]) В. Миллеръ—Жур. Мин. Н. Пр. 1883. ч. 225.

[15]) М. Хоренскій—Истор. Арменіи, 1858, пер. Эмина. Москва стр. 72.

[16]) Жур. Мин. Н. Пр. 1883, ч. 225.

[17]) Ѳ. Буслаевъ—Нар. поэзія, 1887. гл. IV—V.

[18]) იხ. თათრულიდან ნათარგმნი ქართულზე ყარამანიანი.

[19]) Карьеръ—Искусство, III, 243—5; სანსკრიტული dewa, ბერძნების Zews, რომაელების deus, ნემეცების tiwos, ლიტოვცების dewas, იხ. Ѳ. Буслаевъ. Нар. поэзія 1887. Р. богат. эпосъ. ვილები (Потебня—О миѳич. знач. нѣк. обр. и суевѣрій. 1865. Москва 170—1.).

[20]) Ѳ. Буслаевъ—ibidem.

ტყმული ხალხურ თქმულებათა მიერ, როგორც ხელობა მჭედლისა; ყველა ხალხი ჰგონებს, რომ ეგ ხელობა გაჩნდა უძველესადვეო და ამიტომ შეამკო სხვა-და-სხვა მითოლოგიურისა და ლეგენდარულის შეხედულებით. როგორც „დაბადებაში“ (IV, 22) წარღვნის წინად იბადება თუბალკაინი, ოსტატ-ხელოსანი ყოველ მჭედლობაში, აგრედვე რიგვედაში ტვაშტა მრისხანე ინდრას უჭედავს ქუხილის ისარს, ზენდავესტში არის გენიოსი მადნეულობისა; ეს არის Kshathra vairya, ერთი შვიდ Amesha-spenta-თაგანი. ბერძნების ოლიმპიელებს უზიდავს უხვად ხელოვნურად გაკეთებულს ნივთებს ჰეფესტი, რომაელების ღმერთებს — ვულკანი, და carmen saliare-ში — რომაელების ცხოვრების ძალიან ძველ ნაწერებში—არის მოხსენებული დახელოვნებული მჭედელი მამური და ედდაში კი — „Асы собрались на полѣ Идекомъ, чтобы построить себѣ домъ и жилище съ высокою кровлею, построили горны и ковали мѣдь“ (Ödda Voluspa; строфа 7, по нѣмецкому изданію Симрока) [21]). ჩვენ ამას დავუმატებთ რაოდენსამე ისტორიულს ცნობებს სხვა ხალხთა შესახებ. ფინნების ალმარინი—მჭედელი დაიბადა ჩაქუჩით ხელში, რუსების „Змій Горыничъ“-ი და სკანდინავების ფაფნირი სცხოვრობენ კლდეში და ინახავენ ლითონს, მადნეულს [22]); ასეთივე როლი ქრისტიანულ ეპოქაში. რუსებმა მიაწერეს ბორისსა და გლებს[23]). ოსების თქმულებებში სოსლანი დიდის რჩევით მიდის ქალაქ გორიდან მზეთ-უნახავის მოსატაცებლად, გზაზე მგლებსა სწველის, მათი რძე მიაქვს მჭედელთან, რაც სჭირდება, აჭედინებს და იღებს ქალაქს, საიდანაც გამოჰყავს მზეთ-უნახავი [24]). ქართველების ამირანთან ყველგან აქვს კავშირი მჭედელს, იგი არ აძლევს სა-

[21]) Д-ръ О. Шрадеръ—Сравнительное языковѣдѣніе и первобытная исторія. Переводъ съ нѣмецкаго. СПБ. 1886 г., стран. 231; შეადარე Ѳ. Буслаевъ—Нар. поэзія. 1887. Р. бог. эпосъ. შეადარე Герберть Спенсеръ—Основ. соціологіи. СПБ. 1876 г. т. 1. стр. 354.

[22]) Ѳ. Буслаевъ—ibid. შეადარე М. Карьеръ—Искусство. III, 293.

[23]) Буслаевъ.—ibid.; Потебня—Миѳич. значеніе нѣкот. обряд. и суевѣрій, 1865. 4—11.

[24]) В. Миллеръ—Осет. этюды. I. 147.

შველს ტანჯულს ბუმბერაზს; დაჰკრავს ურიოს რკინის გრდემლზედ და ჩაჰფუშავს მიწურულს საქმეს [25]) და სხვ.

ეს შორეული მოსაზრებანი განგებ გავიხსენეთ, რომ ქვემორე გამოსახატავი აზრი უფრო გასაგები, ნათელი და ვრცელი გამოსულიყო. ასეთი კოსმიური ხანა შეურყეველი ვერ დარჩებოდა და მაშასადამე ამ ძლიერს ფაქტორსაც მეორე ფაქტორი მოჰყვებოდა. ამ პირველ ხანის წყვდიადს შემდეგი პერიოდების სხივი უნდა მოჰფენოდა უსათუოდ. ასეც მოხდა. კაცობრიობის ცხოვრებამ გაჩერება არ იცის, საზოგადოდ რომ გავსაჯოთ. ამ ცხოვრებაში, ასე თუ ისე, პროგრესსია ყოველთვის, თუ ბევრად არა, ცოტათი მაინც [26]). მონადირეობის ხანა უცლის ადგილს მწყემსობისას, ეს ხანა, თავის-თავად, უთმობს ბურთსა და მოედანს ხანას მიწის მუშაობისას, ფანტაზია ციდან მიწაზე ჩამოდის, მითოლოგიური წყვდიადი, ბინდი იბნევა და ისტორიულ ცხოვრების ჰორიზონტი გვიჩვენებს მოედანს, სადაც ამირანების, ტორების, ლოკკების, ვეინემეინეების, დევების, სვიატოგორების მაგიერ გამოდიან ჯერ მცირე გმირნი და ბოლოს ისტორიულნიც; კარლოსი, ბარბარუსი, ალექსანდრე, თამარი, გორგასლანი, ვლადიმერი და სხვანი (ლეგენდებში). იმ კოსმიურ ერთფეროვან ხანას მაგიერ დგება მეორე, ახალი ხანა, ხანა ისევე ფართო, ძლიერი და საზოგადო, როგორც კოსმიური. ეს ხანა, ციურ ელემენტთან შეერთებული, არის ქრისტეანობის ხანა. მოვიდა ქვეყნად ქრისტე, მოიტანა ახალი სჯული, ახალი მოძღვრება, დაგვისახა ყველას ახალი საგანი ცხოვრებისა, ახალი იდეალები კაცობრიობისა. ამ ახალმა ერამ მოჰბერა ახალი სიო, მოჰფინა ახალი სხივი ქვეყანას და რადგან ეს მოძღვრება შეწყნარებულ იქმნა წარმატებულთა ერთა მიერ: ბერძენთა, არაბთა, ევროპელთა, მცი-

---

[25]) В. Миллеръ—Жур. Мин. Нар. Пр. 1883. ч. 225; შეადარე Н. Дубровинъ—(Вѣстн. Евр. 1868. Апрѣль.); А. Хахановъ—Груз. изводъ сказ. о св. Георгіѣ. стр. 33, 39; ივერია 1887 № 145, 212.,

[26]) Тайлоръ—Доисторич. бытъ народовъ и начало цивилизаціи; 500. შეადარე Г. Спенсеръ—Основанія соціологіи. СПБ. 1876. VIII; 105.

რე-აზიელთა და სხვათაგან, ამისათვის მათს ცხოვრებას, მათის გონების ნაწარმოებსაც უნდა სხვა ფერი დასდებოდა, სხვა მიმართულება მისცემოდა, ფერი და მიმართულება ისევ ერთ-რიგი, ერთ-სახოვანი. ესეც ცოტაა. ამ ერთა უმეტესის ნაწილის გაქრისტიანებას მოჰყვა შედეგად მწერლობაც, რადგან ქრისტემდის მათს უმეტეს ნაწილს, მწერლობა არა ჰქონდა. ამისათვის მათს იმ წინანდელს გონებრივ ნაწარმოებს, რომლის ხასიათი ჩვენ ზევით განვმარტეთ და მათსავე ახალს მწერლობას ან ერთმანეთში ბრძოლა უნდა ასტეხოდათ და ერთმანეთი გაექროთ, გაეძევებინათ, ან, მეორეს მხრით, ერთად უნდა შეერთებულ-შედუღებულ-შეზავებულიყვნენ და გაჩენილიყო რაღაც დომხალი ცნებათა, რწმენათა, შეხედულებათა, ძველ-ახალ ჩვეულებათა. ასეც მოხდა.

თუმცა ქრისტეანობა იმდენად ძლიერი ფაქტორი იყო, რომ კაცობრიობის კულტურაში პირველი ადგილი დაიჭირა, მაგრამ არც წარმართობის გონებრივი ნაწარმოები იყო ისე სუსტი, რომ სრულებით დაეთმო ქრისტეანულ შეხედულებებისათვის თავისი ადგილი და თვითონ კი გამქრალიყო, როგორც უადგილო და არა-საჭირო. ცხოვრების კანონებმა და ისტორიულ-პროგრესიულმა მსვლელობამ კაცობრიობისამ შუა გზა ამოირჩია: ეს ორი ელემენტი, როგორც ერთნაირად ძლიერი, ერთად შეაზავა და დღეს ერთა გონებრივ ნაწარმოებში ვხედავთ ხალხურ შეხედულებათა და პირველ მწერლობის (საეკლესიერო ლიტერატურის, რადგან პირველი მწერლობა სასულიერო იყო თითქმის ყველგან) იმ შეზავებას, რომლის გაგებილვაც ჩვენი ვალია ამ ხანად.

თუმცა პირვანდელ კაცისათვის, ანუ უკედ ვსთქვათ, წარმართისათვის, პირველი წყარო შეხედულებისა იყო მისი გარეგანი გრძნობანი, წინ-გაშლილი მდიდარი და გულის წარმტაცი ბუნება, აგრედვე თვისი საკუთარი ფანტაზია,—მეორეს მხრით, ქრისტეანობის მაღალის იდეებით გულ-მოხიბლული კაცისთვის ამ ფაქტორებმა ასეთი მომხიბლველი ძალა დაჰკარგა, ან უფრო სწორედ, უკან დაიხია და პირველი ადგილი დაუთ-

მო სრულიად სხვა წყაროებს. ეს წყაროებია ახალი ქრისტეანებრივი რელიგიური გრძნობა, საღმრთო წერილი, ანუ ბიბლია (დაბადება), საეკლესიო ხელოვნება, ღვთის მსახურება და პირველი, სასულიერო მწერლობა. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს უკან დახევა, პირველ ადგილის დათმობა? აი რაში. ხალხის გენიოსობა არ მომკვდარა, არც დაჩლუნგებულა; ხალხს პოეტური მოწოდება, ნიჭიერება ისევ ისა აქვს ამ დროსა; მგოსნები ხალხს ისევა ჰყავს; ეს უკანასკნელნი ისევ სთხზავენ ლექსებს, ისევ უჭირავთ ხელში ამასთანავე სხვა-და-სხვა სამუსიკო ინსტრუმენტები, (იგულისხმე მხოლოდ ჟანგლორები, შპილლმანები, მასხარანი, პამპულები და სხვა ამისთანანი); იგინი ისევ მზად არიან გაქონ-გადიდონ, თუ ღირსი ხარ ქება-დიდებისა, ან მიწასთან გაგასწორონ, მასხარად აგიგდონ, თუ ჭკვაში არ მოსდიხარ. ვიმეორებ, ესე ყოველივე ისევა რჩება. მაგრამ ეს ჩანგი სრულებით სხვა რიგადა ჰკღეროის, ახლა სულ სხვა სიმებია ზედ აგებული, ამ წყაროდან სრულებით ახალი, სხვა ხასიათი, სხვა ელფერის ნაკადული მოსჩქეფს, სულ სხვა კილოს მღერა მოისმის; ერთის სიტყვით, გაჩნდა ახალი ნიადაგი, რომელზედაც იმავე ძალით, იმავე ზედმოქმედებით, სრულიად ახალნი პალატნი შენდება. მსოფლიო, საყოველ-ქვეყნო და საყოველ-ხალხო წიგნს, რომლის ფურცლებზედაც მაღალი იდეები ეცხადება ახლა კაცობრიობას,—დაბადებას, რაღა თქმა უნდა, ამ ხანაში პირველი ყურადღება უნდა მიჰქცეოდა პირველ ქრისტეანეთა მხრივ, რომელნიც თავ-დავიწყებით მიეცნენ ახალს მოძღვრებას. იგინი მართლაც დაეწაფნენ ახალს წყაროს და მათმა ფანტაზიამ, მათმა მუზამ პოეზიის ასპარეზზე ახალი ნაკადული გადმოაჩქეფა. წარმართი—მგოსანი ამკობდა ხეტყეს, კაცს, მზეს, სულებს, მკვდარს, საიქიოს [27]). ახალმა წყარომ —დაბადებამ მგოსანს—ქრისტიანეს არ წაართვა ეს საგნები. როცა მგოსანი მოინათლა, დაბადებაში ჩაიხედა და იქ კიდევ უკედ გაშალა თავისი აღფრთოვანებული ფანტაზია, რად-

[27]) Герберть Спенсеръ—Основанія соціологіи. СПБ. 1876. гл. XII, XIII, XIV, XV.

გან აქ დაინახა არა მარტო ის საგნებივე, არამედ ამასთან მათი საუცხოვო პოეტური აღწერილობაც, საუცხოვო შემკობა, ქება, დიდება, შედარება და სხვ. ამას დაემატა სხვა-და-სხვა ისტორიული ცნობაც, რომელიც მან დაბადებაში ჰნახა; მოსე მოუთხრობდა ქვეყნის შექმნის ამბავს, ედემში ცხოერებას, პირველ კაცის შეცდომას, წარღვნას, ზღვაში გასვლას და სხვ. მოუთხრობდა აგრედვე სხვა-და-სხვა სულიერის, წყალის, მცენარის, ცის მნათობთა, ფრინველთა, თევზთა შექმნის ისტორიას. ისტორიული წიგნები ბიბლიისა მოაგონებდნენ სხვა-და-სხვა ამბებს, გმირობას, ეპიზოდებს დაბადების, ცხოვრების შესახებს; მოუთხრობდა დაბადების ამბავს დავითისა, სამსონისა, გოლიათისა, ილიასას და სხვებისას. მგოსანი დავით თვალ-წინ უყენებდა ახალს წყაროს მგოსნის ფანტაზიას, საღმრთო ლირიკა მეფე-წინასწარმეტყველ-პოეტისა ქრისტეანე მგოსანს და მწერალს მშვენიერ მაგალითად ეშლებოდა თვალ-წინ. დავითისაგან შემკობილი ბუნება, შემკობილი ნაკადულები, მდინარენი, ცის-მნათობნი, სულის სხვა-და-სხვა მდგომარეობა და სხვ. უნდა მოშხიბლავ სურათად წარმოედგინა ღვთის-მოსავ ქრისტეანე-მწერალ-პოეტს, მის გონებრივ თვალს და ისე ჩამოეკრა თვისის ჩანგის სიმებისათვის.

ახალი აღთქმა რად ჩამორჩებოდა ამ შემთხვევაში ძველს აღთქმას? სად იყო იმდენი სურათები, რაოდენიც სახარებასა და აპოკალიპსში შეხვდებოდა? ამისათვის მწერალ-მგოსანი-ქრისტიანე აქ გამოდის და ღვთისმეტყველობს კიდეც. იოანეს სახარებამ აღუძრა რელიგიური ფანტაზია და ამისათვის მგოსანი გერმანელი ამბობს ამდროს:

dar was der ware Gotes sun.

ან კიდევ.

dar was der guote sun taseh.

ან კიდევ სხვა მგოსანი:

„პირველიდან იყო სიტყვა, იგი იყო ჭეშმარიტი ძე ღვთისა; ღვთის ერთი სიტყვიდან იქმნა, საკო სოფლისა. იგი იყო პატიოსანი კვირიაკე“...

ინგუშების სიტყვით, კვირიაკე არის ძე ღვთისა; იმას ჰყავდა ორი უფროსი ძმა: ელტა და ეთერი [28]).

ამ წყაროსთან ამ მგოსნის ფანტაზიაში შეერთდა მეორე, კიდევ უფრო უკეთესი წყარო; ეს წყარო არის საეკლესიო ხელოვნება: ხუროთ-მოძღვრება, მხატვრობა (იკონოგრაფია), მუსიკა და სხვა. პირველ საუკუნეთა ხელოვნების საგნად არის თითქმის მხოლოდ ისევ ის ბიბლია: ძველი და ახალი აღთქმა. პირველი მხატვარი ჰხატავს იმას, რასაც ჰპოვებს დაბადებაში. ხშირად მინიატიურებს მხატვრები განმარტებენ სიტყვებით და ამ ნახატებთან თქვენ ჰპოულობთ, როგორც მათს ახსნას, ისე გამოხატულის ისტორიასაც, მის ცხოვრების შესახებს ეპიზოდებსაც. ეს მოვლენა ძველს მწერლობაში და ამ სახით მასთან დაკავშირებულს ხალხურს რელიგიურს პოეზიაში იმდენად საყურადღებოა, რომ ღირს ცოტას ხანს დავაკვირდეთ და ზოგიერთი მაგალითები მოვიღოთ ზემო მოყვანილ აპრიორად გამოთქმულ მოსაზრების დასასაბუთებლად.

პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება სახარება, სომხურად დაწერილი მე-XVII საუკუნეში. აქ ტექსტს გარდა შეხვდებით ათასგვარ ნახატებს, ფიგურებს ფრინველთა, ცხოველთა, ჯვარისას, არწივისას და სხვ. აგრეთვე არიან მინიატიურებიც: ხარებისა, შობისა, მირქმისა, ნათლისღებისა, კანაში ქორწინებისა, განრღვეულის განკურნებისა, ფერისცვალებისა, ლაზარეს აღდგინებისა და სხვ. თითქმის ყველა შესანიშნავ შემთხვევისა, რომელნიც აწერილია სახარებაში[29]). იმავე საუკუნის „ბიბლიურ მოთხრობათა“ კრებულში, რომელიც ეკუთვნის ვახრამეევის წიგნთსაცავს, არის ერთად მოგროვილი მინიატიურებთანი მოთხრობანი, ძველისა და ახალის აღთქმისა ქვეყნის შექმნიდან დაწყებული სულის-წმიდის მოსვლამდე. ავტორი ხან ამასაც არ კმარობს; დაბადების მოთხრობას შე-

[28]) Веселовскій—Разысканія въ обл. р. д. стиха. 1883. VI. 1—30.

[29]) Н. Покровскій—Евангеліе въ памятникахъ иконографіи. СПБ. 1892 г. Введеніе XLI.

სწყვეტავს ზოგჯერ და, თუ რამ საყურადღებოსა ჰპოვებს სასულიერო ლიტერატურაში ამავე საგნის შესახებ, ამასაც ჩააკერებს შიგ. მაგალითად, აქ არის ჩართული ავტორისაგან სიტყვა ტიმოთესი, იერუსალიმელ მღვდლისა, ლაზარეს აღდგინებაზე, სიტყვა კირილე ალექსანდრიელისა ბზობის შესახებ და სხვ. [30]).

„მრავალს ვიზანტიელ ავტორს, — ამბობს პატივცემული პროფესორი ნ. პოკროვსკი, — აქვს მსჯელობა ქრისტეს ვნებათა და სიკვდილის შესახებ. ზოგჯერ ისინი ცდილობენ ამ ვნებათა პოეტურ და დრამატიულ გამოხატვა-აღწერასაც (მაგ. დრამა გრიგორი ღვთისმეტყველისა Χριστὸς Πάσχων (opera S. Gregorii Nar. t. II p. 253 sq. Ed Coloniae 1690)“[31]). დასავლეთში, — განაგრძობს იგივე პროფესორი, — მრავალი სალიტერატურო და სახელოვნებო ნაშთია, რომელშიც ჭეშმარიტება შეჰხვედრია წინ ფანტაზიის სიცრუეს და უდიდესი აქტი გამოხსნისა გამხდარა სასცენო მასხრობად“, [32]). „ხელოვნური მოძრაობა ამ მხრივ მიდის ლიტერატურასთან ხელჩაკიდებით, პარალელურად. შუა საუკუნოების მრავალს ტრაქტატებში არის ნაქებ-ნადიდები მშვენიერება და ძლევა ქრისტეს ჯვარისა, განმარტება მისი სასიმბოლო მნიშვნელობა და ისტორია სამოთხის ხისა ლეგენდარულ ვარდმოცემასთან ერთად; ჩნდებიან ქრისტეს ვნებათა დრამები, ჯერ ლიტურგიასთან დაკავშირებული, მერე (XIII საუკუნე) როგორც კერძო ღვთის მსახურების მოქმედებანი; იგინი თან-და-თან იზრდებიან; მე-XV საუკუნის დასასრულს ფართოვდებიან და გრებენის წყალობით (1472), რომელმაც გადააკეთა და გამოსცა იგინი, იღებენ სრულს სახეს (А. Веселовскій—Стар. театръ въ Европѣ, стр. 87—88). რომ დასავლეთს მე-XV—XVII საუკუნოებში ამათ აღძრეს დიდი ინტერესი, ამას ამტკიცებს: დაარსება ცალკე დრამატიულის ამხანაგობისა („страстной братій“),

[30]) ibidem XLI—III.
[31]) ibidem. XLIV.
[32]) ibid.

რომელმაც წარმოადგინა ვნებანი ქრისტესნი ჯერ სენ-მორეში (Карьер—Искусство, т. III, стр, 660. Веселовскій—цит. соч. 86), მერე პარიჟში; 1488 წელს ნიურენბერგში კრაფტისგან დაარსებული „შვიდი დგომანი იესო ქრისტესი"; მერე დასავლეთის ღვთის-მეტყველების მრავალნი დოგმატიურნი და ზნეობრივნი თხზულებანი ჯვარსა და ქრისტეს ვნებათა შესახებ, თხზულებანი კალდერონისა (+1681) და სხვ. ლიტერატურას არ ჩამორჩა უკან არც მხატვრობის ხელოვნება. მე-XVI—XVII საუკ. მონაწილეობას იღებდნენ ქრისტეს ვნებათა გამოსახვის საქმეში საუკეთესო მხატვარნი იტალიისა, ესპანიისა, ნიდერლანდიისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და ინგლისისა. სამხატვრო ხელოვნების არა ერთი კორიფეი მიჰმართავდა ხოლმე ამ თემას და სხვათა შორის ა. დიურერი, რომელმაც დაჰხატა დიდი და მცირე ვნებანი (Кугнеръ—Ист. живописи, стр. 574—575)... ჰბეჭდავდნენ დასურათებულს ბიბლიებსაც, როგორც, მაგალითებრ, ბიბლია პირკატორისა, ვეიგელისა" და სხ. [33]).

საყურადღებო წყაროდ ქრისტეან პოეტისათვის იყო უსათუოდ, ესრედ-წოდებული, „ბიბლია ვლახაკთა" (Biblia pauperum), რადგან ეს დაბადება იყო დასურათებული და განმარტებულს ტექსტსაც შეიცავდა. „მათი თვისება იყო ძველისა და ახალის აღთქმის ანტიტეზები და პარალლელიზმები" [33]). ხარება აქ არის შედარებული სამოთხეში (ედემში) ცდუნებასთან და გედეონის მატყლთან, შობა ქრისტესი აარონის კვერთხთან და სხვ. კიდევ უფრო საუკეთესო წყაროდ გადიქცა ამ მგოსნებისათვის ეწრედ-წოდებული „лицевыя псалтири", ე. ი. ისეთი დავითნები, სადაც, ტექსტის მოთხოვნილებისამებრ, არის დახატული როგორც კაცნი, აგრედვე საგნები და შემოხვევანიცა. თვით დავითნის ტექსტი იწვევდა ამ დასურათებას. სადაც ირდანეზეა ლაპარაკი, იქ ავტორი იგონებს ქრისტეს ნათელის ღებას და ჰხატავს ამ ნათლის-ღებას (ფს. 113); ან მარტავდნენ რომელსამე ადგილს და მოჰყავდათ სხვა-და-სხვა შედარებანი

[33]) ibid. XLIV—V.
[34]) ibid. LVII—IX.

ძველსა და ახალის აღთქმიდან და სხვ. [35]). აქედან წარმოსდგა ის მოვლენა საერელიგიო სახალხო პოეზიაში, რომ გმირებად გამოდიან დაბადებისვე მომქმედნი, როგორც ქვევით დავინახავთ, მაგალითებრ, ანტიქრისტე, პავლე, ილია (ელია), იოანნე ნათლის-მცემელი და სხვა [36]).

ამ ზემო-მოყვანილს ხელოვნებასთან დაკავშირებულია ღვთის მსახურება. ამისათვის ქრისტეანულ დროთა სახალხო პოეზიაში ვხედავთ ამის გავლენასაც. პირველი ქრისტეანე ხალხი თითქმის ყოველდღე ეკლესიაში დადიოდა და თუ რამ ესმოდა აქ, ჰნიშნავდა ხოლმე მხატვრობაში, მღვდელთა მოქმედებაში, გალობაში, კანონებში, წმიდანთა ქება-შესხმაში, ტროპარ-კონდაკებში, სვინაქსარებში,—ესე ყოველივე რჩებოდა ხსოვნაში, ფანტაზიაში და, როცა გარედ გამოდიოდა, მგოსანის შემწეობით, თავისებურად გადაკეთებით შეჰქონდა თავის გონებრივ ნაწარმოებში [37]). სხვა-და-სხვა საეკლესიო წიგნები იყო დასურათებული; მათში გამოხატული იყო წმიდანები, სახარებიდან ამოღებული შემთხვევანი, როგორც ეს ჩვენი დავით გარეჯელის გულანშია [38]). გულანს ამისათვის დიდი გავლენა ჰქონდა მგოსანის ფანტაზიაზე. აქ, საგალობლებში, ცამდის იყვნენ აყვანილი ქება-შესხმით სხვა-და-სხვა წმიდანები, აღგზნებულის გრძნობით იყო აქ მოთხრობილი მათი საქმენი, სასწაულთა მოქმედებანი ქრისტეანების მტრებთან ბრძოლა და მათ-მიერ გამოჩენილი გმირობა; ამას ყოველსავე მით უმეტეს ექნებოდა გავლენა, რომ იგი იყო დამოკიდებული საეკლესიო კალენდარზე; დღესასწაულნი მოდიოდა თვის ერთსა და იმავე რიცხვსა, რომელიც მეორდებოდა ყოველ წლივ იმავე დროს, ასე რომ კაცს აქ მოთხრობილი ამბავი უნებურად ახსოვნდებოდა და ებეჭდებოდა ფანტაზიაში [39]). დაარსდნენ ეკლესიაში დღესასწაულები

---

[35]) ibid. XLVI—XLVI.

[36]) А. Веселовскій—Разысканія... VIII, 338.

[37]) Жур. Мин. Нар. Пр. 1863. ч, 117. Историч. очерки нар. міросозерц.

[38]) იხილე ამაზე Н. Покровскій—Евангеліе, XLIX.

[39]) Ѳ. Буслаевъ—Народная поэзія.—Дух. стихи. 252.

და ის კალენდარი, რომელიც იყო ხმარებაში წარმართობის დროს, რომელსაც ემორჩილებოდა, ასე თუ ისე, წარმართი მგოსანიც, დღეს შეიცვლა საეკლესიო კალენდრითა. ამას თან მოჰყვა შეცვლა თვეთა, დღეთა, კვირათა სახელების და ამ შეცვლამ სრულებით დაუბნია დავთარი მგოსანს. წინად ლექსი შესთხზა და სთქვა, ამა და ამ დროსაო; ახლა ყველგან გაიძახიან სრულებით სხვას; ისიც რომ არ აჰყვეს და არ შესცვალოს ეს ადგილი, ხალხი მაინც შესცვლის, დრო მაინც წაჰშლის. ამასობაში შეირყა შინაარსი ნაწარმოებისა, ხალხმა ვეღარ გაარჩია ქრისტეანული ელემენტი წარმართულისაგან, ვერ გაიგო, რა ეკუთვნოდა იუპიტერის დღეობას და რა ქრისტეანულს დღესასწაულებს; რა იყო ბახუსისა და რა—ქრისტესი. აქედან არის ის მოვლენა, რომ თქვენ შეხვდებით ამ დროის არა სახელოვნებო პოეზიაში სხვა-და-სხვა დროის, სხვა-და-სხვა სარწმუნოებათა და სხვა-და-სხვა ცნებათა ელემენტების კვალს [40]).

მაგ. ხშირად ტაძრებში, კედლებსა და ხატებზე შეხვდებით ერთად რომელსამე წმიდანს და გველს, დათვს, ცხენს, ეშმაკს, ან სხვას რასმეს[41]). ზოგჯერ მათ შორის ომია გამართული. ან არის დახატული ნადირობა, როგორც, მაგალითებრ, კიევის სოფიოს სობორში. დასავლეთ-ევროპაში ამასაც არ დასჯერდნენ. იქ ტაძრების ნახატებზე თქვენ შეხვდებით საზიზღარს სცენებს. მაგ, სტრასბურგში კედელზეა დახატული ტიტველი კაცი; ან თავი კაცისა, რომელსაც მგლის ტანი აქვს, მოთამაშე მაიმუნები, ფრთიანი გველეშაპები, გრიფები, სალამანდრები, მხეცების პროცესსია, სადაც წინ დათვი მიუძღვის ყველას და უსუპით ასხურებს ნათლიღების წყლით; მას უკან მგელს მიაქვს ჯვარი, კურდღელს სანთელი; ყველას უკან მის-

---

[40]) ibid. შეადარე Веселовскій—Разысканія... VI, VII и др. Потебня—О миѳич. значеніи нѣкот. обряд. 1865. ст. 1—50. Н. Дубровинъ—Тысяча-восемьсотъ второй годъ въ Грузіи (Вѣстн. Европы. 1868г. Апрѣль).

[41]) ისილე, მაგალითებ, გელათის სახარება. ср. Миниатюры Гелатскаго монастыря, Покровскаго, 1887. СПБ.

დევს თხა. მეორე ბარელიეფში მონას აუღია ხელში ბარძიმი და სწირავს. ტრაპეზის წინ სდგას დიდყურა ვირი, რომელიც დიაკვნის როლს ასრულებს, გადუშლია წიგნი და საგალობლებს ამბობს. ფორკჰეიმში ტაძრების კედლებზე არის მგელი ფრაკითა, მელა კათედრაზე სდგას; დასასრულ რუაში (Pya) ბერი არის დახატული ღორის თავით და სხვ [42]). აქ წარმართულს ელემენტს სასულიერო ხელოვნება ერთვის, როგორც სჩანს, სატირა სამღვდელოების წინააღმდეგ. საზოგადოდ, ის მოვლენაა შენიშნული, რომ რამდენადაც ხელოვნებას პოეზიაზე ჰქონდა გავლენა, იმდენად თვით პოეზიას ხელოვნებაზე. თუ, რომელიმე სურათი მასალას აძლევდა სასულიერო მგოსნის ფანტაზიას,—ნაკლებ მასალას არც პოეზიაში ჰპოებდა მხატვარი...

გარნა ხელოვნებაზე უფრო მეტი გავლენა ჰქონდა პირველს სასულიერო მწერლობას, ვიდრე სახალხო სიტყვიერებასა. პირველი ადგილი აქ უნდა დაეთმოს ეგრედ-წოდებულს წმინდანების ცხოვრებათა (მარტიროლოგებსა და აგიოგრაფებს). რადგან, ამასთანავე, თითქმის ყველა ერმა ბერძნებისაგან მიიღეს პირველი სარწმუნოება, როგორც, მაგალითებრ, სლავიანებმა, რუსებმა, ქართველებმა, სომხებმა და ევროპის სხვა ერთაც, ამისათვის, ეჭვი არ არის, ბერძნების პირველს ქრისტიანულს მწერლობას, ანუ ეგრედ-წოდებულს ბიზანტიურს კულტურას (და რა ელლინურს) უნდა ჰქონოდა ამ ერთა პოეზიაზე დიდი გავლენა. ასეთი გავლენა მართლაც ეტყობა ყველა პოეზიებს თითქმის და ნამეტურ რუსებისას, ჩვენსას და სომხურს, რადგან ამათთან უფრო ახლო იდგნენ ბერძნები, როგორც მართლ-მადიდებლობით, ეგრედვე პოლიტიკურადაც. ქართულ ძველის მწერლობის საზოგადოდ და სასულიერო ხალხური პოეზიის ანუ სასულიერო სტიხის (духовный стихъ) შემსწავლი ამის გამო თითქმის ყოველს ნაწარმოებში აჰჩნევს ასეთს კვალს. სახელდობრ და კერძოდ, ხვდება კვალს ბიზან-

[42]) იხ. Труды Кіев. Дух. Акад. 1871 г. Мартъ. Фресковыя изобр. по лѣстн. на хоры Кіев. Соф. собора.

ტიურ პნევმატოლოგიისას, სანკტოლოგიისას და სხვას [43]). გაჩნდნენ რა პირველ საუკუნოებშივე ბიზანტიაში მრავალ წმიდანთა აგიოგრაფები, ცეცხლივით მოედვნენ იგინი სხვა მეზობელ ხალხებსაც, მათ-მიერ ქრისტეანობის მიღებისათანავე. დაარსდნენ ყველგან ამხანაგობანი და სკოლანი მათის ნაწერების მთარგმნელებისა, რის გამოც ათასობით შეგხვდებათ ჩვენს და სხვების ლიტერატურაში ასლი ასეთ ცხოვრებათა, როგორც, მაგალითებს, ცხოვრება წმ. გიორგისა, ღვთის მშობლისა, ნინოსი, წმ. ბარბარესი, დომინკისა, პარასკევასი, კვირიკესი, ვასილი დიდისა [44]), გრიგორისა, იოანნე ოქროპირისა და სხვებისა.

ამის მიბაძვით, თვით ამ ხალხებმა იწყეს თავად წერა ასეთის აგიოგრაფიებისა, როგორც მსოფლიო წმიდანებისა, აგრედვე ნაციონალური წმინდანებისაც, მაგალითებრ, ქართველებმა ნინოს ცხოვრების წერა დაიწყეს, სომხებმა—გრიგორ განმანათლებელისა, რუსებმა—ვლადიმერისა, ინგლისელებმა—პატრიკისი და სხ.

აქედან გაჩნდნენ ახალს სახალხო სიტყვიერებაში ახალი გმირები, ახალი მომქმედნი. აქ შეგხვდებათ ერთად წარმართულ გმირებთან წმიდა გიორგი [45]), ელია (ილია წინასწარმეტყველი), წმ. ნიკოლოზი, ეგორი (რუსებისა), მარიამ, ქრისტეფორე, პარასკევა, ბარბარე, ელენე, ვარლამი, იოსებ [46]). ამ გარემოებას უფრო ის უწყობდა ხელს, რომ ამ წმიდანთა ღღესასწაულები იყო დაარსებული; ღღესასწაულებზე ხშირად კითხულობდნენ მათი ცხოვრების [47]) აღწერას. ამასთანავე ყოველ ხალხს თავის პოეზიაში ჰყავს დასურათებულნი, როგორც

---

[43]) Жур. Мин. Народн. Пр. 1863. ч. 117; Ѳ. Буслаевъ.—Духов. стихи, 252; 449.

[44]) Веселовскій—Разысканія... IX, 438.

[45]) ов. Проф. Кирпичниковъ—Св. Георгій и Егорій Храбрый. Спб.1879. А. Хахановъ—Груз. взводъ сказан. о Св. Георгіѣ. 1892. 1—32. Карьеръ—Искусство, III, 529:

[46]) Ѳ. Буслаевъ—Дух. стихи. 254.

[47]) ibid. 443.

საზოგადო და ზიარი გმირნი, აგრედვე საკუთარი „პატრონებიც“, თავისი წმიდანი, ხატი, ჯვარი (მთიულების ძვარი), მფარველი[48]) და ხშირად ამ თავის „პატრონს“ უფრო მეტს პატივს სცემენ, ვიდრე სხვების ზიარსა. ასე, მაგალითად, წმ. გიორგის აქებენ და ადიდებენ ოსეთში[49]), საქართველოში[50]). ასეთ საკუთარს გმირებს ზოგიერთნი ერნი ეკლესიებს უშენებდნენ, ხატებს უჭედავდნენ და ამისათვის ხალხის ხსოვნა-ფანტაზიასა და პოეზიაში ეს ერთგულნი, წმინდანების პატივისმცემელნი თვითონაც გმირებად, მომქმედებად არიან დასურათებულნი. ბერმა ლამბერტიმ (misionaire de la propogation de la foy), რომელიც მე-XVII საუკუნეში მოგზაურობდა საქართველოში, დაგვიტოვა, მაგალითად, შემდეგი ცნობა იმაზედ, თუ როგორ დღესასწაულობდნენ სამეგრელოში წმ. გიორგის დღეობას, როგორ უკლავდნენ ხარს, რომელიც რაღაც სასწაულით ჩნდებოდა საყდრის გალავანში, ხალხის თქმულებით; როგორ ხმარობდნენ მისს ხორცს ნაწილებად, თითქმის მეფეც კი, ან როგორ ქადაგობდნენ ამ დროს, ან როგორ წინასწარმეტყველობდნენ ხოლმე ზოგნი და სხვ.[51]). ასეთსავე პატივს სცემდნენ წმ. გიორგის სხვა ხალხებიც, როგორც, მაგალითად, სერბიელები, ბოლკარები, გერმანელები, რუსები და სხვ.[52]).

აგრედვე პატივსა-სცემენ მარიამ ღვთის-მშობელსა. სხვადა-სხვა სახალხო თქმულებაში ზოგან იგი ბებიაობს, ან მონასტერში სცხოვრობს[53]), ზოგან კი ბავშვი—ქრისტე დაჰყავს და მდინარის პირად ჭინჭებს ურეცხავს, როგორც ეს სვანეთში სწამთ. შეგხვდებათ ლეგენდები სახალხო პოეზიაში კოზმაზე-

---

[48]) ibidem.

[49]) В. Миллеръ—Осет. этюды. I, 156.

[50]) А. Хахановъ—Груз. изводъ сказ. о Св. Георгіѣ, 1892. 1—32.

[51]) Записки Одесскаго общества исторіи и древностей, т. X. 178. შედარე მოკლე ცნობა ამაზე Переписка грузинскихъ царей съ русскими государями. СПБ. 1864 г., LIX.

[52]) Веселовскій—Разысканія... VIII, 344; Кирпичниковъ—Св. Георгій Егоръ Хр. 1872. СПБ.

[53]) М. Карьеръ—Искусство, III, 529.

დაც, პავლეზეც, ეროდიადებზე, პილატეზე, ანტექრისტეზე, დიოკლიტიანეზე, სისინოზე, ლაზარეზე და სხვ.[54]).

როგორც ჰხედავს მკითხველი, უმეტესი ნაწილი ამ გმირებისა არის პირები აგიოგრაფებისა. ზოგიერთი გმირი სხვა წყაროებიდან არის მოღებული, სახელდობრ, აპოკრიფებიდან. ასეთი აპოკრიფები არა ნაკლებ აგიოგრაფიისა იყო გავრცელებული და არა ნაკლები გავლენა ჰქონდათ სასულიერო მგოსნებზე. აქ ბევრი რამ ისეთი არის მოთხრობილი, რომელიც ფრთებს ასხამს მგოსნის ფანტაზიას და ამ გზით აკავშირებს სახალხო პოეზიასა და სახელოვნებო ლიტერატურას.

მაგრამ ამას გარდაც პირველ საუკუნოებში იყვნენ ისეთი მწერლებიც, რომელთ ნაწერებიც კიდევ უფრო დიდი მიზეზი გახდა ასეთის კავშირისა. ასეთებია ზოგიერთი ნაწერი ზოგიერთ წმიდა მამათა და სხვა საეკლესიო მწერალთა. ასეთს მწერლებს ეკუთვნიან ვასილი დიდი, გრიგორი ნოსელი, ეპიფანე კვიპრელი, იოანნე დამასკელი, გიორგი პისიდიელი. მაგალითებრ, იოანე დამასკელს, ვასილი დიდს და გრიგორი ნოსელს აქვთ თხზულება „ექვსთა დღეთა", რომელშიაც დაწვრილებით განმარტებენ ისტორიას ქვეყნის, ცხოველების, ფრინველების და მცენარეების შექმნას და სხვ. გიორგი პისიდიელს ეკუთვნის ფიზიოლოგიური პოემები, რომელთაც აგრედვე კავშირი აქვთ გარეშე ბუნებასთან და პოეტის ფანტაზიასთან. ყველაზე უფრო გავლენიან თხზულებათა რიცხვს ეკუთვნის კრებული გრიგორი ღვთის-მეტყველის სიტყვებისა (ქადაგებათა). აქ თქვენ შეხვდებით არა ერთს მითოლოგიურს სცენას, რაიცა ფრთებს ასხამდა ღვთის-მოსავს მგოსანს; აქვე შეხვდებით სცენებს პირდაპირ ცხოვრების შესახებს და მაშასადამე ხალხისათვის დიდად საინტერესოებს. აი რა ლანდშაფტები და რა სცენები აქვს ამ ავტორს აწერილი. „დედუფალი წლის დროთა, ამბობს გრიგორი ბზოვასა და მამანტის სიკვდილზე წარ-

---

[54]) Веселовскій—VI, 32, 213; 223, 370, 457 და სხვ.; Жур. М. Н. Пр. 1882. ч. 223—4. дубровинъ—(Вѣстн. Евр. 1868. Апрѣль). Ср. Потебня—О миѳич. знач. нѣк. обр. 14.

მოთქმულ სიტყვაში,—გამოვალს, რათა შეხვდეს დღეთა დედუფალს, გამოვალს და მიართმევს საჩუქრად ყველაფერს, თუ რამ მშვენიერი და სასიამოვნოა. დღეს ცა გაბრწყინვებულია, დღეს მზე უფრო მაღლა სდგას, უფრო ოქროსფეროვანია, დღეს მთოვარე უმეტეს განაბრწყინვებს და გუნდი ვარსკვლავთა უწმინდეს არს, დღეს ზვირთნი შეურიგდებიან ნაპირებსა, ღრუბელნი მზეს, ქარნი ჰაერს, მიწა მცენარეებს, მცენარენი თვალებს. დღეს წყარონი უფრო წმინდად გადმოსჩქეფენ, ახლა მდინარენი მორბიან უფრო სავსენი, გათავისუფლდნენ რა ზამთრის ბორკილთაგან, მინდორი სუნნელოვანებს, მცენარე ჰყვავის, მდელო მოიმკის, ბატკანნი ხტიან აყვავებულს მინდორზე. ხომალდი უკვე გამოდის ნავთსადგურთან და შემოისხამს ტილოს ფრთებს... მეხრე უკვე უშვებს მიწაში გუთანს, მწყემსნი ცხოვართა და ხართა უკვე აწყობენ სალამურს, დამღერებენ მწყემსურს სიმღერებს და მიეგებებიან გაზაფხულს ქვებსა და კლდეებ ქვეშ, მებაღე უკვე უვლის ხეებს, მონადირე აწყობს ბადეს... მეთევზე ჩასცქერის სილრმესა, სწმენდს ბადეს და ზის ქვებზედ" [55]). მხატვრები ასეთი აღწერილობის წყალობით აღფრთოვანებულნი, ჰხატავდნენ ყველა იმ სცენებს, რომელიც სიტყვაშია დასურათებული: ზღვაზე ხომალდს, მხვნელს გლეხს, ძინდორს ცხერის ფარით და მწყემსებით, ზევით მზეს და მთვარეს; აგერ მწყემსი დამჯდარა ხეს ქვეშ კლდოვან ადგილას და უკრავს სტვირს; ში გვერდით არის დახატული ძაღლი და ფარა და სხვ. და სხვ.[56]) თუ მხატვართა ფანტაზია ასე ააფრთოვანა ამ სიტყვამ, რაღა თქმა უნდა, რომ მგოსანს სულ გააგიჟებდა და მრავალს მშვენიერს ლექსს ჩააგონებდა, ბით უმეტეს, რომ მისთანა სურათები არა მარტო გრიგორის ნაწარმოებში გვხვდება, არამედ სხვა მწერალთა ნაწარმოებშიაც.

ამ გავლენას ხელი შეუწყო კიდევ უფრო იმ გარემოებამ, რომ ახალს სარწმუნოებას პირველად ყოველთვის თან მოს-

---

[55]) იხილე Н. Покровскій—Евангеліе въ помятникахъ иконографіи. XLVIII—XLIX.

[56]) ibid.

დევს ნამეტანი გატაცება მისი წარმომადგენელისა; ეს გატაცება ხანდისხან ფანატიზმადაც იქცევა. პირველ დროთა წმიდა მამანი ისე იყვნენ გატაცებულნი ქრისტეანობის ახალ იდეებით, რომ ყოველივე, რაც რომ ქრისტეანობისაგან განსხვავდებოდა, რაც დაბადებასა და წმიდა მამათა ნაწერების გარეშე იყო, ყოველივე ეშმაკის ნაწარმოებად ჰქონდათ მიჩნეული.[57]) მაშასადამე, სახალხო ძველს (წარმართულს) პოეზიას იგინი სრულებით ვერ შეურიგდებოდნენ და, თუ რამ შეეძლებოდათ, წინაც აღუდგებოდნენ და ეცდებოდნენ, რომ მისი სახსენებელი აღმოეფხვრათ, ვითარცა წარმართულის ნიშან-წყალისა. მაგალითებრ, მოსე ქორენელი, რომელიც ერთ ამ ფანატიკოს ბერნთაგანი იყო, ასე უსაყვედურებს ერთს თავის ბატონს (სომხების თავადს,—სააკ ბაგრატუნს), რომელმაც სთხოვა შეკრება სპარსულ ოქმულებათა, მაშინ სომხეთში გავრცელებულთა: „რას შეგყვარებია ეს უაზრო მითი ბიურასპ-აჟდახაკისა. ან რისთვის გვაყენებ სასჯელს . . . . ამ უაზრო ზღაპრების გამო... რაში გეჭირვებათ ეს ბრიყვული ზღაპრები, რომლებსაც არავითარი შემოქმედობითი ძალა არ ეტყობათ!“ [58]). ასე უცქეროდა მითოლოგიას უმეტესი ნაწილი პირველ ქრისტეან მწერლებისა [59]). ასეთს აზრებს ჰქადაგებდნენ იგინი თავიანთ ნაწერებშიაც, შესახებ მცენარეებისა, წყალისა, ცისა, მნათობთა, ცხოველებისა, კაცისა, სულისა, საიქიოსი და სხვა იმ საგნებისა, როლებზედაც მითოლოგიაში იყო ლაპარაკი; ამით უნდოდათ გაეძევებინათ ხალხის წარმოდგენიდან წარმართული კოსმოგონია, თეოგონია, პნევმატოლოგია და სხვ. ეს თავისებურნი შეხედულებანი ამისთანა კაცთა შეითვისეს მათის წიგნების კითხვის წყალობით ხალხმაც და აქედან წარმოსდგა სრულიად თავისებური კოსმოგონია, თეოგონიაც და სხვ.

---

[57]) იხ. Clem. Alex. Stromat. I. 6. 1. 4. VI. 8. Іустинъ философъ. I. Апологія, гл, 73; Увѣщ. къ Элл., гл. 21; Разговоръ съ Трифономъ, гл. 69; Минуцій Феликсъ—Октавій, гл. 26; Татіанъ—Рѣчь противъ Эллиновъ, 7.

[58]) М. Хоренскій—Исторія Арменіи. Пер. Эмина. Изд. 1858 г. Москва. стр. 72.

[59]) Жур. Мин. Нар. Просв. 1863 г. ч. 113.

ავიღოთ, მაგალითებრ, კოსმოგონია. რაზედ ეტყობა ამას ქრისტეანულ მწერლობის გავლენა? ამ საკითხის ასახსნელად შევუდაროთ მითოლოგიური და ეს ახალი კოსმოგონია ერთმანეთს. ფინნების შეხედულებით, პირველად იყო ჰაერი და წყალი. ჰაერში აშენებულს დარბაზებში სცხოვრობდა ქალწული—ილმატარი. ერთხელ ეს ქალწული დაეშვა ძირს წყალზე. ამ დროს ამოვარდა ქარი, რომელმაც გაიტაცა ქალი ზღვაზღვა. ამ ქარისაგან დაორსულდა და ჩაესახა მუცელში ვაჟი, რომელიც 700 წელს ატარა მუცლით. როდესაც გაუჭირდა შობა, დაიწყო ნანვა, ძირს რად ჩავედიო. მუცელში ბოლოს აღმოჩნდა შემოქმედი ქვეყნისა ბეინემეინი. მუცელში ჯდომა მოსწყინდა, გამოვიდა გარედ და მიჰყო ხელი მთების შექმნას. ამ დროს მოფრინდა მასთან არწივი; ბეინემეინმა გაუშვირა მუხლი, რომელზედაც არწივმა ბუდე გააკეთა და დასდო კვერცხი. მაგრამ ბეინემეინს ძლიერ დასცხა, გააქნია მუხლი და კვერცხები ძირს დაახალა; ამ კვერცხების ნაგლეჯებიდან გაჩნდა ქვეყნის სხვა-და-სხვა ნაწილი: მიწა, მზე, მთვარე და სხ. [60]). ეს შეხედულება თუმცა არც სამაგალითოა თვისის ლოღიკურისა და ეპიკურის ღირსებით და სხვა უფრო განვითარებულს კოსმიგონიას, როგორც, მაგალითად, ბერძნებისას, დიდად ჩამოუვარდება, მაგრამ როდესაც ქრისტეანობამ თავისი ახალი ელემენტი შეიტანა ფინნებში, მაშინ უფრო გაფუჭდა და, რაც ლოღიკა იყო შიგ, ისიც დააბნია. მაგალითებრ, ერთს აპოკრიფში სწერია, და ახალს სახალხო პოეზიაშიც გვხვდება ასეთი შეხედულება იმავე საგანზე, ყველაზე უწინ იყო უფალი საბაოთი, რომელიც სრხოვრობდა ჰაერში. ხალხის ფანტაზიამ ჰაერში დასახლებული აპოკრიფის საბაოთი, სახარების გავლენით, გადმოასახლა ტიბერიადის ტბის ნაპირად და აქედან აჩენინებს ყოველსავე. დარჩა შეუქმნელი მარტო მიწა. საბაოთმა დაინახა ერთი ფრინველი, რომელიც ბოლოს ეშმაკი გამოდგა. რადგან ღმერთს მასალა არა ჰქონდა, რისგა-

[60]) იხ. Ѳ. Буслаевъ—Народн. поэзія.—Р. богат. эпосъ, гл. I—III.

ნაც შესძლებოდა ქვეყნის შექმნა, ჩაჰგზავნა ეშმაკი ზღვის ძირას, საიდანაც ამოუტანა ღმერთს მიწა და ქვა და მის წინ დაიჭირა ხელში. ღმერთმა დაჰკრა კვერთხი, მიწას გასცვინდა ნაპერწკლები და ამ ნაპერწკალთაგან გაჩნდნენ მიქელ და გაბრიელი. ქვისგან კი ეშმაკმა შეჰქმნა უწმინდური სულნი [61]. სხვა ვარიანტებში ღმერთი მიწას სთესავს; ეშმაკი უსაყვედურებს, რატომ მეც არ გამაჩენინებ რასმეო! როცა ვერა პასუხი ვერ მიიღო ღვთისაგან, დაუმატა მან, რომ მე უფროსი ძმა ვიქნები და შენ უმცროსი იყავიო. ასეთმა ახირებულმა მეტიჩარობამ ღმერთს სიცილი აუტეხა. ამის შემდეგ ეშმაკმა სხვა პირობა დაუდო. მაგრამ, როცა ღმერთს სიცილიც მოსწყინდა და ეშმაკმაც თავი მოაბეზრა, გადასახა ჯვარი და ეშმაკმა შიშით ჯოჯოხეთში ამოჰყო თავი [62]. ასეა რუსულსა და სერბიულს სიტყვიერებაში.

ახლა ავიღოთ ჩვენი ხალხური შეხედულებაცა. პირველად იყო წყალი, ამასთანავე იყო ღმერთიც! სცხოვრობდა იგი კლდეში!! ერთხელ ეს ღმერთი კლდიდან გადმოხტა წყალში, აიტანა სიცივემ, დაიწყო კანკალი; მერე ტირილიც დაიწყო! გადმოვარდა თვალთაგან ორი ცრემლი, რომელნიც გადიქცნენ მიქელ და გაბრიელად (შეადარე ფინნების თქმულებას). წყალში ჩამხტარი ღმერთი ირჩობოდა; მაგრამ ახლად გაჩენილი ანგელოზები ამოუნგნენ იღლიებში და შეაჩერეს მაღლა. ბოლოს, სამივემ მოინდომეს მიწის გაჩენა (პოეტს დაჰვიწყებია, რომ ღმერთი კლდეში იჯდა წინად!), რომ ფეხი დაედგათ სადმე. დაუწყეს ამისათვის წყალს ბერვა. წყალი შუაზე გაირღვა და გამოჩნდა ძირი! როდესაც ჩაეშვნენ იქ, კვალი შეამჩნიეს და გაჰყვნენ ამ კვალს. გამოხტა ეშმაკი, ეცა ღმერთს ყელში და არჩობდა. თუ არ მომკლავო, უთხრა ხვეწნით ღმერთმა, ნახევარი ქვეყანა შენთვის დამითმიაო! [63])

---

[61]) Жур. Мин. Н. Пр. 1863. ч. 117.

[62]) ibid.

[63]) «ივერია» 1887 წ. № 30.

თუ ჩვენს თქმულებანში ასეთი დომხალია, მთიულეთისაში უფრო მეტიც უნდა იყოს, რადგან აქ ორ სარწმუნოებას კიდევ მესამე მიემატა—მუსულმანობა, და სამივე ერთმანეთში აირ-დაირია.

სვანეთში ანგელოზები, ღმერთი, ქრისტე, ეშმაკი, ღვთისშობელი ერთი-მეორეს გადაჰკიდებიან და ყველანი ერთად ჰქმნიან ქვეყანას. ქრისტე ამასთანავე დადის და მევენახობს, მებაღოსნობს [64]).

ასე აირ-დაირია კოსმოგონიური წარმოდგენანი ხალხისა სასულიერო ლიტერატურასთან კავშირის წყალობით.

შეიცვალა აგრედვე შეხედულება გარეშე ბუნებაზედაც საზოგადოდ. თუ წინად ბუნების მოვლენანი გასულდგმულებული იყო და თვითეული თავის-თავად გარბოდა ჰაერში, დღეს, მაგალითებრ, ჩვენსა და ოსეთში და ზოგან სხვაგანაც, ელვა-ქუხილი ელიასაგან არის; სვანეთში ეშმაკი უძღვის წინ [65]).

ხალხი ამბობს სასულიერო მწერლობისა და დაბადების წყალობით:

ავი დროება შეგვექნა,
მარტო ვერ წვება ქალია
. . . . . .
. . . . . .
ძლიერ გაჯავრდა ელია,
სეტყვა ისროლა მრგვალია.

ამ არეულ-დარეულ პოეზიაში ელია და გიორგი ერთმანეთის მოქიშპედ არიან დასურათებულნი. ამათ დაენათლიავდნენ ორნი ძმანი—ერთი ელიას და მეორე გიორგის.

ერთხელ რძლებმა ჩამოაგდეს
ნათლიებზე საუბარი:
„გიორგი სჯობს, თუ ელია,
დიდი ღრუბელთ წინამძღვარი“.

---

[64]) «ივერია» 1887 წ. № 33.
[65]) «ივერია» 1887 წ. № 51.

ერთმა სთქვა, რომ „ჩემს ნათლიას
ხელში შუბი ეპყრიაო;
ვისაც კი ჰკრავს, არ მოარჩენს,
ბევრი სისხლი უღვრიაო!..

—

ვეშაპები რომ დაჰფრენდნენ
და ადენდნენ პირით ალსო,
ისინი სულ მან გასწყვიტა,
ვენაცვალე იმის ძალსო!“

—

მეორემ სთქვა: „ჩემი ქვეყნად
არ ჩამოდის, სისხლსა არ ჰღვრისო,
მაგრამ ერთი თუ დასძახა,
დედამიწა შეიძვრისო!

—

ვენაცვალე!... ეტლით დადის...
ძვირად ადგამს დაბლა ფეხსო;
და, თუ უნდა, მაღლიდგანაც
ძირს დაახლის ჭექით მეხსო!“

ბოლოს ჩხუბი მოუვიდათ რძლებს და ერთმანეთის ნათლიები გამოჭლანძღეს! როცა მეორე დღეს ელია შეხვდა მოწყენილს ნათლის-დედას და მიზეზი შეიტყო, დაემუქრა მეორე ძმის ყანას, სულ სიცხით მოვხრუკავო; მაგრამ გიორგი იგებს მის ოინებს და თავის კლიენტს აყიდვინებს ყანას, რომელსაც მეორე ძმა ყიდულობს ისე, რომ ელიამაც არ იცის. ელიას მუქარა ამ სახით ისევ მის ნათლიმამას ატყდება თავსა. ეს რომ ელიამ გაიგო, წვიმას დაჰპირდა, მაგრამ გიორგიმ ისევ გამოაყიდვინა უმცროსს ძმას ყანა; ასე აწვალებს გიორგი ელიას! [66]).

ხან ელია და გიორგი ქრისტესთან ერთად დადიან. ხალხი აქაც წმიდა გიორგის უფრო თანაუგრძნობს, რადგან იგი გლეხთა მომხრეა; მათის პირუტყვის მფარველია. როცა ელია მიდის მეცხვარესთან და ქრისტესთვის ცხვარს სთხოვს, მეცხვარე უჯავრდება:

[66]) «ივერია» 1889 წ. №№ 258—259. იხ. წმ. ელია და წმ. ვიორგი ფაკისა.

რაო? რაო? შენ ის არ ხარ,
რომ გვიგზავნი ჩვენ სეტყვასო?
საბრალო ცხვრებს უმიზეზოდ
თავს უტეხ და აგლეჯ ტყავსო?

როცა გიორგი მიდის და სთხოვს,

მან მეტის სიამოვნებით
პირს დაიჩინა ნათელი

—

და უთხრა: „შენ ის არა ხარ,
მავნესგან რომ გვიფარაო?
მიირთვი, რამდენიც გნებავს!
ჰა! წაიყვანე ჩქარაო!“ [67])

თუ სასულიერო მწერლობის გავლენით ხალხმა ახლა ატმოსფერული მოვლენა ელიას მიაწერა და მას მოჰკიდა ზურგზე ცაში სატარებლად, მან მთელი ქვეყანა აგრედვე მოჰფინა ათასგვარ სულებითა. ზოგიერთ წმიდა მამის თხზულებაში და სხვა სასულიერო წიგნებშიაც ყოველს საგანს, ყოველს მოვლენას ქვეყანაზე ჰყავს მიჩენილი თავისი ანგელოზი. ამისი მაგალითი ჩვენს ძველს მწერლობაშიაც არა ერთი მოიპოვება. ავიღოთ, მაგალითებრ, შატბერდის სამეცნიერო ქრისტომატია. „სასწავლო წიგნში“ აქ არის ასეთი ადგილი. სთქვა რა, თუ როგორ გააჩინა ღმერთმა ექვს დღეს ქვეყანა, ავტორი ტრაქტატისა განაგრძობს: „და არიან ესე ᲐᲐ-სა დღესა ცანი ზესკნელნი და პირველსავე დღესა ქოვესკნელნი: ᲑᲑ: ქვეყანაᲒᲒ: ᲓᲓ. წყალნი. რომლისაგან არს თოვლი, მყინვარი, სეტყოვაᲔᲔ, თრთჳლი და ცოვარი. და ᲕᲕᲕ

დაბადებოვლთა მისთანი. ცათა შინა და ქვეყანათა ზედა. ოფსკრულთანი და ქოვლშე ქვეყანისანი: ე: ჯოჯოხეთისა და წარსაწყმედელისანი. და ბნელისანი. ზედა ოფსკროვლთა. წყალთანი"...[68])

რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი ადგილები უმეტეს ნაწილად წმიდა მამათა ნაწერებიდან არის ამოღებული, როგორც, მაგალითებრ, ეპიფანე კვიპრელის ნაწერებიდან და აღიარებულია მათ მიერ შეურყეველ ჭეშმარიტებად. ასეთი ადგილები მემატიანეთაცა აქვთ ჩართული თავიანთ მატიანეებში. ეპიფანეს, ასეთ ანგელოზებს გარდა, სწამდა კიდევ ხალხის გენიოსობა. კირილე ბელოზერელი თავის თხზულებაში ანდრია მოციქულს ეკითხება, საიდან არის ელვა და ქუხილიო; ანდრიაც უარს არ აბმობს და ეუბნება, აქედან და აქედან არისო; ესე იგი სხვადა-სხვა სულებისაგანაო!! ასეთს ნაწერებს უკითხავდნენ ხალხს, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ვითომც ანდრიას მართლა ჰქონოდეს ოდესმე ლაპარაკი კირილესთან და ამ წარმოდგენას ითვისებდა და გამოსთქვამდა სრულებით ხელ-უხლებლად თვისს სიტყვიერებაში [69]).

კავკასიის მთიულეთში სწამთ დიდი თხა (სული), რომელიც განიყოფება სამ. პირად: თხა შხუო, თხა. ფში. და შერგუფსი. პირველია შემოქმედი, მეორე დიდი ღმერთი, მესამე თავადი: ამათ გარდა სწამთ: ჯინი პადიშაჰი, ან თეთრი ბაბუა, რომელიც ითვლება ეშმაკების წინამძღვრად; შიბლე,—ღმერთი ქუხილისა, მეხისა, ცეცხლისა, წვიმისა; ზეიკუთხი—ღმერთი ავაზაკებისა და მოჯირითეებისა; კოდესი—თევზი (პოსეიდონი?); მეზითი—ნადირობის ღმერთი; თლეპსი—მჭედელი; კიდევ სწამთ ნიმფები, ფერიები და სხვ. [70]). ხალხი ეკლესიაში დადიოდა, სადაც კითხულობდნენ ხშირად, მაგალითებრ, მე-90 ფსალმუნს; როცა ამ ფსალმუნის კითხვის დროს ესმოდა: „და უბრძანებიეს ანგელოსთა თვისთა დაცვად შენდა ყოველთა შინა გზა-

[68]) იხ. მ. ჯანაშვილის „საუნჯე". გვ. 119.

[69]) Жур. Мин. Н. Пр. 1863. ч. 117.

[70]) იხ. თეატრი. 1890 წ. № 18.

თა შენთა[72], ხალხს ეგონა, ანგელოზები მართლა ყოველ ბიჯზე არიან მოფენილნიო. აქედან სარელიგიო სახალხო პოეზიაში არიან გამოყვანილი ანგელოზები მინდვრისა, წყალისა, ზღვისა, მთისა და სხვ. მათი დანიშნულება არის ეშმაკებთან, დემონებთან ბრძოლა და რამდენად ეშმაკები ულანდებოდნენ ყველგან ხალხს, იმდენად ცდილობდნენ გაემრავლებინათ ანგელოზებიც, რომ ომში არ დამარცხებულიყვნენ! თითქმის ყველა ხალხებს ჰყავთ ეს სულები.

მაგალითად, ბერძნებს ჰყავდათ: დემონი, პნევმა, აგათოს დემონი (კეთილი დემონი), კაკოს დემონი (ავი სული, მავნე), ნიმფი და სხვ.[71]). გერმანელებს და სკანდინავებს: Elfen vätten, döcka lfar, lisälfar [72]). სლავიანებს: воздушные духи, поднебесные, дивы, русалки, вилы და სხვ.[73]). ჩვენში სწამთ: ალი[74]) თაროს ანგელოზები, ბატონები, მავნე, ჭინკა, „მაჯლაჯუნა“, როკაპი და სხვ. კაცს და ყოველსავე იმ საგანს, რომელიც მისი საკუთრებაა, ჰყავს მტერი [75]). ამისათვის ხალხმა მიუჩინა ყველაფერს მცველნი ანგელოზნი. თუ საქმე გაჭირდა, შეულოცავ, მოიწვევ კეთილ ანგელოზს და ბოროტი სული ან გაჰქრება, ან ძალას დაჰკარგავს. აქედან ყველას აქვს თვალ-ნაკრავის ლოცვა, როგორც გერმანელებს: Wie Maria im kindbette lagdrei Engel ihrda pflagen: der erste hiess S. Michael, der ander S. Gabriel, der dritte hiess Rafael. მავნე სული პირუტყვებს უგზავნის, ხალხის შეხედულობით, მგლებს და აქმევინებს. მაგრამ საშუალებაც არის მათ წინააღმდეგ. ხალხის შეხედულებით, შეულოცავ ასე და ნადირს კბილი შეეკვრის:

ეკენია, ბეკენია,
ბეკენს ხატი ასვენია:
ასი სული საქონელი
საყდარ შამოსვენებია და სხვ.

---

[71]) Жур. М. Н. Пр. 1863. ч. 117.
[72]) ibid.
[73]) ibid.
[74]) Дубровинъ—(Вѣстн. Европы 1868 г. Мартъ); Веселовскій—Разыск... Дополн. 425 стр.
[75]) Г. Спенсеръ—Осн. соц. СПБ. 1876. гл. XVII, стр. 243.

კუდიანები ესევიან ოჯახებს, ვენახებს; რომ გადაარჩინო ესენი მათგან, უნდა შეულოცო. მავნე სულები წყალშიც არიან. ზოგი მათგანი მექრთამეა. ჩვენის ხალხის შეხედულებით, თუ მეთევზემ ქვაზე კარგი ძღვენი დაუდვა, ღამე ბევრს თევზს დააჭერინებს... „მავნე“ ხვდება კაცს კლდეში, ღრეში, გზაში, ეჭიდება, სცემს, თუ მოერია, კიდეცა ჰკლავს. ხალხის ფანტაზიით შემსხდარან იგინი ზოგნი დათვზე, ზოგნი კაცზე, მგელზე, კუდიან დედა-კაცებზე, კატაზე და დაუჯირითებენ: აღმა-დაღმა... ჭინკა იპარავს ღამ-ღამე ცხენებს, ფაფარს უსკვნის, ჯდება ზედ და აჭენებს, ჭინკა ოჯახშიაც ჰბუდობს; თუ ბავშვები მარტო დაიგულა, ქვაბში ხარშავს და თვითონ იპარება; მაგრამ თუ ფჩხილი მოსჭერი და დაუმალე, მაშინ დაჭერილია და მუდამ შენ გემსახურება...

სიკვდილი, ჩვენის ხალხის შეხედულებით, სულია, ცოცხალი არსებაა, გამხმარს სხეულში, თვალებ-ჩავარდნილი, ჭიქის ფეხებზე სდგას და დაწოწავს სოფელ-სოფელ ცელით ხელში. ფშაველებმა იგი შესევს ცხენზე, ატარებენ ყველგან და აძახებინებენ:

ზღვა ჩქეფით ჩამოვიარე,
შევკაზმე თავის ლურჯაი,
ხმელეთ სულ შამოვიარე
. . . . . .
ჩაველ და ისე ჩავთიბე,
როგორც ნალევმა თივაი. [76])

სხვა საშიშარი არსებაცა სწამს ჩვენს ხალხს. მაგალითად, ბულა გრძელ-ენიანი, დიდ-პირა, რომელიც ღამღამობით ბავშვებს ჰყლაპავს [77]). ამის გამო დაწოლისას ლოცვას ამბობენ:

ბაბუ ბუ, ბაბუ ბუ,
ბაბუ ბუ, ბაბუ ბუ,
ბაბუ ბუ, ბაბუ ბუ,

მშობიარე დედაკაცს ჰყავს შეჩენილი ალი,—სული—ქალი, ბავშვების მკვლელი; იგი სცხოვრობს ბაზალეთის ტბაში და სახით წარმოადგენს მშვენიერს, მომხიბლავს დედა-კაცს; იგი თვალთ-მაქცობს, იქცევა, მაგალითებრ, ეშვებიან ღორად და სხვ.

საყურადღებოა აგრედვე ლეგენდა სოლომონ ბრძენზე, რომელიც შენახულია თითქმის საქართველოს ყველა ნაწილში [78]). ცოლს ღალატობა შეუტყო სოლომონმა; მისი საყვარელი კუნძულელი მეფე აღმოჩნდა, რომელიც თვითონ არის ეშმაკი, კუდიანების წინამძღვარი. სოლომონი ეუბნება, აქეზებს, აბა თუ შენ და შენი ყმები—კუდიანები ამ ერთ ქოთანს გაავსებთო. იგინი ჩაცვივდნენ შიგ, სოლომონმა დაბეჭდა ქოთანი და ზღვაში ჩააგდო, რის გამოც ქვეყანაზე ეშმაკები მოისპნენ. მაგრამ ერთ დროს მეთევზეების ბადეს გამოჰყვა ქოთანი, იმათ ეგონათ, ოქროთი იქმნება სავსეო, გასტეხეს, გამოცვინდნენ ეშმაკები და მთელი ქვეყანა აავსეს: ზოგი ზღვაში ჩავარდა (русалки), ზოგი ტყეში გაიქცა (ქაჯები), ზოგნი მთებში, კლდეებში. იგინი დიდ-ხუთშაბათს იალბუზზე იკრიბებიან. ამისათვის ყველგან გლეხები ცეცხლს ანთებენ ამ დღეს და ჰხტებიან ზედ. ცეცხლს ანთებენ ვენახებშიაც (რადგან ზოგმა ეშმაკმა აქ დაიბუდა) და გაიძახიან მთელი დღე:

ჰერული კუდიანებსა,
ჰერული კუდიანებსა;
სხვის მამულში „კიმპლა, კიმპლა“,
ჩვენ მამულში „გოდრა, გოდრა“.

იწვრიან ბოლოებს, ასუფთავებენ ბუხრებს, ამწყვლეენ კატებს, არ მოგვპარონ და ცხენებად არ გაიხადონო და სხ. [79]).

ეს სულები დადიან და თან სნეულება დააქვთ. ვინც გააჯავრებს, ან უპატიოდ მოეკიდება, იმათ დაესევიან. ამ მოარულ სნეულებისაგანაც ლოცვები ათავისუფლებს სნეულებს;

---

[78]) «ივერია» 1891 წ. № 85; Дубровинъ—Вѣстн. Евр. 1868, Апрѣль.
[79]) Дубровинъ—ibid.

ამისათვის არის ლოცვა: მუცელასი, ყვავილისა, წითელისა, ცივებისა;

აბრამ, საბრამ, თურმან მთაო ცივებისა და სხვ. [80]).

ოსეთში სწამთ: ხუცაუ, ვაჩილლა, უასტრიცი, ტურირ, ავსატი, ბარასტირ, დონბიტირ, ძვარ, მადიამარიამ და სხვ.[81]); ამ გვარივე სულნი სწამთ სომხებსაც [82]) და სხვებს.

თუმცა ასეთი შეხედულებანი ძველ დროშიც გვხვდებიან, მაგრამ საზოგადოდ რომ განვიხილოთ, დავრწმუნდებით, რომ მათ ღრმად ატყვიათ ბეჭედი სასულიერო მწერლობისა, წმიდა მამების თხზულებათა გავლენისა.

მაგრამ აქ რომ შევჩერდეთ, კიდევ არ იქნება სრულიად დასურათებული, თუ რა გავლენა ჰქონია ძველ სასულიერო მწერლობას სახალხო რელიგიურს პოეზიაზედ. ღვთის-მოსავს სახალხო მგოსანს სხვა წყაროებიცა ჰქონდა. ამიტომ, რათა კიდევ უკეთ შევიგნოთ ეს გავლენა, უნდა აღვნიშნოთ ძველ მწერლობის სხვა ფორმებისა და ნაშთების გავლენაც ხალხის რწმენაზედ; უნდა აღვნიშნოთ, რა კვალი დააჩნია სახალხო სიტყვიერებას სხვა-და-სხვა საბუნების-მეტყველო კრებულმა. სახეში გვაქვს საფიზიოლოგიო კრებული, ცხოვრების სიმბოლიკა, კოსმოგრაფიული კრებული, ეფუთები, კალენდრები და სხვ.

ამ ზემო-მოყვანილ კრებულების წყალობით, ამ დროს შექმნილ სახალხო პოეზიაში შეგხვდებათ თითქმის ისეთივე მაგალითები, როგორც თვით კრებულშია. მაგალითებრ, რომელსამე კრებულში არის ავტორისაგან აღძრული რაიმე საინტერესო, სამეცნიერო ლაპარაკი გარეშე ბუნების შესახებ, ან ბატანიკიდან, ან ზოოლოგიიდან, ან გეოგრაფიიდან და ან კოსმოგრაფიიდან. ამასვე შეხვდებით სახალხო პოეზიაშიც. აქ გა-

---

[80]) ibid.

[81]) В. Миллеръ—Осет. этюды. 1. 237; Потебня—О миѳич. знач. нѣк. обр. 235.

[82]) იხ. Сборникъ матеріаловъ по этнографіи. Изд. при Дашковскомъ музеѣ В. Миллеромъ. Вып. I. „Общій очеркъ нар. арм. сказокъ“ Халатьянца.

მოდიან გმირები და ფილოსოფოსობენ თითქმის იმავე სიტყვებით; ეჯიბრებიან ერთმანეთს, აბა რომელი ვაჯობებთ ბუნების-მეტყველებაშიო, რომელს უფრო ბევრი გვინახავს, გაგვიგონია და გვესმისო! ხშირად მსჯელობენ კოსმოგონიაზე; იმაზედ, სახელდობრ, თუ ვინ შეჰქმნა ქვეყანა; რომელნი მხეცნი უკეთესნი არიან, რომელია მხეცებში მეფე და რომელი ქვეშევრდომი; ან კიდევ გეოგრაფიიდან, იმის შესახებ, თუ რომელი ზღვა, ან ტბა რომლის დედა არის[83]). აგრედვე შეგხვდებათ მსჯელობა გმირებისა მამალზე, არწივზე, გველზე, მელაზე, აქლემზე, მათ თვისებებზე და სხვ. [84]). პოეზიაში გამოყვანილი გმირი ამასაც არ სჯერდება. იგი მსჯელობს, ისევ იმ კრებულების წყალობით, კაცის სხეულზე, მის შენობაზე, ზნეობრივ ბუნებაზედ; უზნეო კაცს ღვთის-მოსავი მგოსანი ადარებს ლომს, მგელს, ხასიათით მელას და სხვ. ასეთმა ცხოველების სიმბოლიკამ სახალხო პოეზიაში ამოდ არ ჩაიარა არც ხელოვნებისათვის. თუმცა ხელოვნებას თვითონ ჰქონდა გავლენა პოეზიაზე, როგორც ზევით განვმარტეთ, მაგრამ არც პოეზიას ჰქონდა ამ შემთხვევაში ნაკლები გავლენა იმაზე. ხშირად მოხელეს, მხატვარს, მაგალითებრ, სახეში ჰქონდა ის გემოვნება, ის სახე, ის ნიშნები გამოსახატავ გმირისა, რომელიც მან ხალხის თქმულებაში ჰპოვა. ხალხში ხმა დადიოდა, ლეგენდები იყო გავრცელებული იმაზე, რომ თუ ამა და ამ წმიდანმა როგორ აჯობა მხეცს და როგორ მოჰკლა. ამის გამო მან სურათზეც ეს გამოჰხატა. წმინდანი გველს დასჭიდა, რაშზე შესვა და სხვ.[85])

ეს კიდევ არაფერი. ზოგი წმიდანი და თითქმის ღმერთიც კი ზოგჯერ გამოყვანილია ლორის, ხარის, მგლის, ირმის სახით[86]). ცხოველებს ახლა კაცი უყურებს, როგორც სასარგებლო, კეთილს არსებას. ესა და ეს ცხოველი, ღვთისნიერ ხალხის შეხე-

---

[83]) Ѳ. Буслаевъ—Дух. стихи. 449.

[84]) ibid.

[85]) ibid.

[86]) Потебня—О миѳич. знач. нѣк. обр. 1865, ст. 18. Ср. Труды Кіевской Дух. Акад. 1871. Мартъ.

დულებით ამა და ამ საქმის მომასწავებელია, აქედან ჩვეული ხალხის თქმულებაში თამაშობს ანგელოზის როლს. ახალ-წელს პირველად მას შეიყვანენ შინ, როგორც მევლეს, „მეფეს“ [87]). თუ რომელიმე ცხოველი მავნეა და არა-კეთილი, მხატვარი ამითაც სარგებლობს და სურათზე დასჯიდებს ხოლმე ამ ორ ცხოველს, კეთილს და უკეთურს [88]). წმიდა-ბასილა დიდ ღვთის-ნიერობით მოსილმა ფანტაზიამ მიაკერა როგორღაც გოჯის თავი. თითქმის ყველა ერის პოეზიაში, სადაც არის ვასილი ნახსენები, უთუოდ გოჯის თავიც არის მოყვანილი. პირველ იანვარს მისი დღეობაა. ამისათვის სუფრაზედ უთუოდ ღორის, ან გოჯის თავი უნდა იყოს. ეს ჩვეულება, აკადემიკოსის ვესელოვსკის სიტყვით, ყველგან არის: რუსეთში, რუმინიაში, ბოლგარიაში, სერბიაში, სიცილიაში, ინგლისში, გერმანიაში, სკანდინავიაში და სხვაგანაც [89]). ძველს საბერძნეთში და რომშიც ასეთი მტკიცე კავშირი იყო ხალხის თქმულებათა და ნამდვილ ისტორიას შორის. იქ ღმერთებს სწირავდნენ ღორს და ხალხშიაც ასეთი თქმულებანი გაჩნდა. ამის კვალი ქრისტეანობაშიც არ წაშლილა სრულებით. ჩვენშიც და სხვაგანაც ახალ-წელიწადს მოკმაზავენ კაცს დათვის სახით, ეძახიან „დათოს“, „ბერიკელებს“; ეს უკანასკნელი ღორის სახით არის მორთული. ამათ ორივეს დაატარებენ ქუჩებში. ასე წარმოსდგა ხალხის ჩვეულებაში „ალილო“, „ყეენობა“, გურული „კალანდობა“.

— კარი გამიღე!—ეუბნება გოჯის შემოსატანად გასული კაცი შინაურებს.

— ვინ მოგყავს?—უპასუხებენ შინიდან.

---

[87]) ibid.

[88]) Буслаевъ, 458

[89]) Разысканія... VII, 103—9; შეადარე Н. Дубровинъ—Вѣстн. Европы. 1868 г. Апрѣль; გოჯის თავის ბასილას სახელობაზე შეწვას ჩვენი ხალხი ასე ასაბუთებს. წირვის დროს წმ. ბასილას ვიღაცამ გოჯი შეუგდო საკურთხეველში; წმ. მამა შეშინდა და გულის ჯავრის ამოსაყრელად და თავის გასამართლებლად გოჯს კუდზე ფეხი დაუჭირა და ამისათვის მას შემდეგ, მის სახელობაზე სწვავენ; ამისათვისვე ღორის კუდის ბოლო პრტყელია, ფეხის დაჭირება ეტყობოდ.

— წმ. ბასილა მობრძანდება, ღვთისა და ბატონის წყალობა მოაქვს [90]).

რაღა კავშირი აქვს სახალხო პოეზიას ძველ ლიტერატურისა და ისტორიულ ნაშთების დანარჩენ ფორმებთან, რომელიც ზევით ჩამოვთვალეთ, მაგალითებრ, ეფუთებთან, კარაბადინებთან, კალენდრებთან, სამთვარიოებთან და სხვებთან? რაში გამოიხატა აქ ეს კავშირი?

დავიწყოთ იქიდან, რომ ეს კრებულები თითქმის ყველა ოჯახში მოიპოვებოდა მაშინ და დღესაც ხშირად შეხვდებით. მათი შინაარსი ცრუმორწმუნე და პრაქტიკულ ხალხისათვის დიდად საინტერესო იყო. სახლში თქმულებანი დადიოდა ავსულებზე, კუდიანებზე, როკაპებზე, რომელნიც ემტერებიან ყმაწვილებს, მშობიარე ქალებს და სხვ. მეორე მხრით, ხალხი იგებს, რომ ამა და ამ წიგნში ყველაფერი არის ამ საინტერესო საგანზე, არა თუ მარტო მოთხრობილია, არამედ ახსნილიც და წამალიც ნაჩვენებიაო; არის აგრედვე წინასწარმეტყველება, ანუ, როგორც ხალხი ეძახის, მკითხაობა, ბედის გაგება. როგორ არ მიმართოს ასეთს წიგნს და რასაც ამოიკითხავს, როგორ არ დაიხსოვნოს, გაავრცელოს, ფანტაზიით შეამკოს?

აქედან არის ის მოვლენა ხალხის ჩვეულებაში, რომ მელოგინე დედა-კაცს, არა მარტო ჩვენში, არამედ თითქმის ყველგან თავით უდევს ნაჯახი, უკიდია ბადე, ტკივილის დასაამებლად ასმეუენ ზღარბის ნაღველს და სხვ.. კარაბადინი ეუბნება, ვაჟი ეყოლება, თუ ქალი. ამისათვის სხვა-და-სხვა ნიშნებსაც უჩვენებს. გინდა გაიგო, შემდეგში, რა ბედი მოელის ახალ დაბადებულს. კარაბადინი გეუბნება, რომ ამისათვის ყველა დღე და მთვარე ერთი არ არის... ახალი მთვარე საზარალოა ყოველთვის, ძველი კი სასარგებლოა. ახალ მთვარეზე მოჭრილი ხე მკილიანდება, ჭია სჭამს; მაშინ დაბადებულს კაცსაც ხეირი არ დაეყრება... განსხვავდება ამ მხრივ თვის რიცხვებიცა. მარტის 9, 22, აპრილის 6, 25, მაისის 4, 29, ივნისის 5, 22, ივლისის 9, 26, აგვის-

[90]) Веселовскій—437—8; ср. Осетин. этюды. 1, 266.

ტოს 7, 29, სექტემბრის 3, 22, ოქტომბრის 6, 21, ნოემბრის 6, 20, დეკემბრის 5, 22, იანვრის 5, 27, ფებერვლის 9, 22, უსათუოდ უბედური დღეებია[91]). გსურს გაიგო ბავშვის ხასიათი, მიჰმართე სამთვარიოს და გუტყვის[92]): პირველ რიცხვში დაბადებული კარგი ხასიათისა გამოვა; მეორე რიცხვში დაბადებული გაირყვნება, ჯიუტი იქნება; მესამეს დაბადებული იქნება ფანატიკოსი, ცრუ, მაგრამ ბედნიერი; 4-ს სუსტი; 5-ს დიდ ხანს იცოცხლებს; მერვეში დაბადებული ბრძენი იქნება. 25 რიცხვი არის ანტიქსისტეს დღე; დაბადებული იქნება წითელი, ჭორფლიანი, გრძელ-კანჭებიანი, თხელ-თმიანი, მარჯვენა თვალი შუბლზე ექნება, მარჯვენა ყური—ქოჩორზე. საზოგადოდ, იქნება იგი ქვეყნის დამღუპავი[93]). თუ ყველა ეს უბედურება, ცუდი დღე, ცუდი მთვარე, ქალის დაბადება*) და სხვ. აიცდინა მამამ თავიდან, იგი ბედნიერია მაშინ; ბედნიერი შვილი ჰყავს და დიდი ლხინი ჰმართებს. იგიც ჰგრძნობს ამას და ჰმართავს „სირის კუდს“, „ვახშმის კუდს“ და სხვ.[94]).

ამ ნაირად, შეძლებისა დაგვარად, განვიხილეთ ის კავშირი, რომელიც უნდა ყოფილიყო და კიდეც ყოფილა სახალხო პოეზიასა და ძველ მწერლობას შორის. როგორც აღმოჩნდა, ეს ორი ნაწარმოები გონებისა,—ხელოვნური და არა-ხელოვნური, მწერლობა და ზეპირ-სიტყვიერება ისე ყოფილა ერთმანერთში ჩაწნულ-ჩახლართული, რომ ძნიად, თუ გაარჩიოს კაცმა, რა ეკუთვნის განათლებულ მწერალს, ან ლიტერატურას და რა ეკუთვნის სახალხო თქმულება-შეხედულებას, რომელი ელემენტი გადასულა მწერლობიდან ხალხის ნაწარმოებში და რომელი, პირ-იქით, ხალხის ნაწარმოებიდან მწერლობასა და ხელოვნებაში. მაშასადამე, ერთთან მეორეც უნდა ჩასთვალო ისტორიულ მასალად, ისტორიკოსისათვის დიდად საჭიროდ,

---

[91]) Дубровинъ—ib. Мартъ.
[92]) Газ. „Кавказъ“. 1853 г. № 73.
[93]) Дубровинъ—ibid.
*) ქალის დაბადება ჩვენი ხალხის შეხედულებით დიდად საწყენია.
[94]) Дубровинъ—ibid.

უუსაჭიროესად. მაშასადამე, როგორც ერთს უნდა შესწავლა და გამოკვლევა, როგორც ეს თავის ადგილზე განვმარტეთ, ისე მეორეს...

ახლა გადვიდეთ, დაპირებისამებრ, იმ საგნის ახსნაზე, თუ რა აძლევს ამ პოეზიას კიდევ ისტორიულ მასალის მნიშვნელობას. ამ მნიშვნელობას აძლევს ამ პოეზიას მისი ახლო კავშირი ფილოლოგიასთან, ცხოვრების იურიდიულ წყობილებასთან და მის სოციოლოგიურს ვითარებასთან.

მ. კელ—ძე

# რძე

## II *)

## რძის მოვლა და შენახვა

### ა) სიწმინდისა და სისუფთავის მნიშვნელობა

რძის მრეწველობაში პირველი და უმთავრესი საქმე სიწმინდე და სისუფთავეა. სისუფთავესა და სიწმინდეზეა დამოკიდებული შემოსავლის რაოდენობა და თითონ გასაყიდის მასალის ღირსება; ყოველი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი რძის მრეწველობაში, ყოველი ჭურჭელი და ადგილი, რძის შესანახი, დიდ სისუფთავეს და სიწმინდეს მოითხოვს. უამისოდ რძის შენახვა და გადაკეთება შეუძლებელია. ამ საჭიროების შესაგნებად საჭიროა გავსინჯოთ იმისი საფუძველი: სისუფთავისა და სიწმინდის წინააღმდეგი, რასაკვირველია ჭუჭყი და უსუფთაობა იქნება და, რაკი ჭუჭყსა და უსუფთაობაზეა ლაპარაკი, ადვილია წარმოვიდგინოთ, რაც უნდა იყო ეს უსუფთაობა რძის შესახებ: რძისთვის ჭუჭყსა და უსუფთაობას შეადგენს ყველა ის ნივთიერება, რომელიც რძეს გადაეცემა ან შესანახავ ადგილიდან, ან ჰაერიდან მოწველის დროს და ან გადატან-გადმოტანისა და შენახვის დროს თითონ შესანახავ ჭურჭლიდან. თუ ჭურჭელი სუფთა და გაწმინდავებული არ იყო და წინანდელი რძე ეცხო ეს წინანდელის რძის ნაშთი უეჭველად გაფუჭებული იქნება და ახალ რძესაც გააფუჭებს და წაახდენს. მაშასადამე, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჭუჭყი წარმომდგარია თითონ რძი-

*) «მოამბე» № 2.

დან, რძის ნაშთიდან და მის შემადგენელ ნაწილების გადაგვარებიდან. საიდანაც უნდა იყოს წარმომდგარი ეს ჭუჭყი, ყოველ შემთხვევაში და ან ხშირად შესდგება სხვა და სხვა გვარ ორგანიულ ნივთიერებიდან, რომელთა შორისაც პირველი ადგილი უჭირავთ წინანდელ რძის ნაშთს და ან წველის დროს ჩაცვივნულ ბალანს, პატივს და სხვა. ყველა ამგვარი ორგანიული ნივთიერება ძალიან კარგი საზრდო მასალა არის მრავალ სხვა-და-სხვა გვარი ჰაერში მყოფ წვრილმან ორგანიზმისათვის, ბაკტერიისათვის, რომლებიც ამ გარემოებაში ჩავარდნილნი, კარგად აღორძინდებიან და გამრავლდებიან, მეტადრე თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, ესე იგი თუ მათის ცხოვრებისათვის შესაფერი ტემპერატურა და სინოტივე არის. ეს ბაკტერიები, ამ ჭუჭყიდან რძეში გადასულნი, უფრო ძრიელ აღორძიანდებიან, უფრო ძრიელ გამრავლდებიან და თავიანთის სიცოცხლითა და არსებობით რძეში გააჩენენ იმისთანა სხვა-და-სხვა ნივთიერებას, როგორც მაგ. რძის სიმჟავე, ერბოს სიმჟავე, და ხან უფრო დიდად სცვლიან რძის შედგენილებას და ამით ძრიელ აზიანებენ, ახდენენ და აფუჭებენ. თუმცა ზოგჯერ საჭიროც არის ამ ბაკტერიების რძეზე ზედმოქმედობა, როგორც რძის შესადედებლად, მაწვნად შესასვენებლად, მაგრამ საზოგადოდ კი მათი მოქმედება და მათის ცხოვრების შედეგი სასურველი არ არის და ამისგამო ამ ბაკტერიების რძეში ჩაცვივნა უეჭველად აცილებული უნდა იყოს მტკიცე და მუდმივის სისუფთავით. თუ ძროხა ჯანმრთელი და საღია, იმის რძეში არავითარი ბაკტერია არ მოიპოვება, მაგრამ მოწველის შემდეგ კი მრავალი ჩნდება და, მაშასადამე, ან ჰაერიდან და ან ჭურჭლიდან უნდა ჩაცვივნულიყო. ამგვარი გაჭუჭყიანება, ამგვარი ბაკტერიების გამრავლება რძეს მალე ამჟავებს და ან იმისთანა ზიანი ეძლევა, რომელიც შემდეგ ძალიან უშლის რძის შემუშავებას და კარგის ერბოსა და ყველის მომზადებას. რძე იმდენად უფრო ჩქარა ფუჭდება, იმდენად უფრო ხშირად ზიანდება, რამდენადაც ეს რძე გაჭუჭყიანებულია. ამასთან, როგორც უკვე ვსთქვით; თითონ ჰაერის სიწმინდესაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ამი-

სათვის იმ ადგილების ჰაერსაც, სადაც რძე იწველება და ან ინახება, დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. რამდენადაც ჰაერი ნოტიო არის და რამდენადაც ვენტილაცია (ჰაერის გამოცვლა) კარგად არ არის მომხდარი იმ ადგილებში, სადაც რძე იწველება და ინახება, იმდენად ეს რძე ჩქარა გაფუჭდება.

ამ გარემოებათა ზედგავლენის შესაგნებად მოვიყვან აქ სოქსლეტის გამოკვლევას, რომელმაც ერთი და იგივე ძროხა ერთხელ მოაწველინა გომში და ამასთან არც ძროხის ძუძუები იყო დაბანილი წყალით და არც მწველელის ხელები და მეორედ კი იგივე ძროხა მოაწველინა გომის გარედ, ბაღში და ამასთან ძროხის ძუძუებიცა და მწველელის ხელებიც თბილის წყლით იყო დაბანილი. ორივე რძე იყო შენახული ერთსა და იმავე ადგილას და ერთსა და იმავე გარემოებაში. პირველი რძე აიჭრა 50 საათის შემდეგ და მეორე კი მხოლოდ 88 საათისა. აქედან ცხადია, რა დიდი გავლენა აქვს როგორც ჰაერის სისუფთავეს, ისე თითონ ძროხისა და მწველელისას. ყველა ის საშუალება, რომელიც ნახმარია სიწმინდისა და სისუფთავის დასაცველად, ყველა ეს უშლის ბაკტერიების რძეში ჩაცვივნას და თუ მაინც როგორმე ჩაცვივდნენ, ნებას არ აძლევს გამრავლებისას. მაშ სისუფთავის დაცვით აცრილებული იქნება ყველა ის მიზეზნი, რომელნიც რძეს აფუჭებს და ამისგამო რძე უფრო დიდ ხანს შეინახება საღად და გაუფუჭებლად. ამას გარდა სისუფთავის დაცვით თითონ წარმოებაც მოგებაშია, რადგანაც რამდენადაც როგორც ყველი და ერბო, ისე ნაღები და მაწონი სუფთად იქნება მომზადებული, იმდენად გემრიელი და კარგი შესანახავი იქნება და ამისგამო ფასიც კარგი ექნება. მაშასადამე, მოწველის შემდეგ რძეზე ბევრს გარემოებასა აქვს გავლენა და მათ შორის განსაკუთრებით შესანახავ და შესამუშაებელ ჭურჭელსა და ადგილს. რაც საზოგადოდ წინადა ვსთქვით სისუფთავეზე, იქიდან ცხადია, რომ ყველა სის ჭურჭელი და ყველა ის ადგილი, სადაც და რომელშიაც რძე უნდა

იყოს შენახული და შემუშავებული, სრულიად წმინდა და გასუფთავებული უნდა იყოს.

1) **შესანახავი ადგილი.** სიწმინდის გარდა შესანახავ ადგილში ჰაერი გრილი და მშრალი უნდა იყოს. ნოტიო ჰაერი საჭიროა მხოლოდ ყველის შესანახავ ადგილას. რძე ისეთი ნაზი და ფაქიზი სხეულია, რომ ძალიან მალე ფუჭდება ცუდს მდგომარეობაში; ამასთან ისეთი თვისებაცა აქვს, რომ ძალიან ადვილად და ჩქარა ითვისებს ყველა იმ ნივთიერებას და სუნს, რომელიც შესანახავ ადგილის და ან ჭურჭლის ჰაერში მოიპოვება. ამისგამო რძის შესანახავი ადგილი სრულიად გაცალკევებული და განშორებული უნდა იყოს იმ ადგილებიდან, სადაც მოსალოდნელია რამე აყროლებული სუნი და ან მტვერი. ჰაერის სიმშრალეს შესანახავ ადგილში ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ გარემოებაში ის სხვა-და-სხვა მიკროორგანიზმები, ის ბაკტერიები, რომლებიც ჩვეულებრივ რძეს აფუჭებენ, ვერ ახერხებენ კარგად დაბუდებას და აღორძინებას; მშრალი ჰაერი ხელს არ უწყობს იმათს გამრავლებას და მოქმედებას და ნოტიო ჰაერი კი ამის წინააღმდეგ ძალიან მარგებელია მათთვის და ხელს კარგად უწყობს იმათს აღორძინებას. ამისგამო რძის შესანახავი ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შესაძლებელი იყოს ხშირად ჰაერის გამოცვლა, ვენტილაცია და გასუფთავება; ამასთან, რასაკვირველია, მოშორებულიც უნდა იყოს გომებსა, სანეხვეებსა და ყოველ იმ ადგილებს, საიდანაც მოსალოდნელია ცუდი სუნი და გაფუჭებული ჰაერი გაჩნდეს. სარძეო ადგილს ამისათვის ოლრის მხრით უნდა ჰქონდეს ფანჯრები, რომ მათის შემწეობით ადვილად შეიძლებოდეს ადგილის გამონიავება (ვენტილაცია), ისე რომ წმინდა ჰაერი შემოდიოდეს ერთის მხრიდან და წამხდარი ჰაერი კი მეორე მხრიდან გადიოდეს. ყველას ის ემჯობინება, როცა წმინდა ჰაერი ოთახში ძირიდან შედის და წამხდარი კი ჭერში დატანებულ სანათურიდან გადის. სარძევე ადგილის გამონიავება აგრედვე შესაძლებელია ბუხრის მილის შემწეობით, თუ ეს მილი ძალიან მაღალი იქნება, ამასთან, თუ შეიძლება სარძევეს ნიადაგი მოკი-

რწყლული უნდა იყოს თლილის ქვით და ან დაქაშანურებულის აგურით და ან იმისთანა მასალით, რომელიც რძეს არ ისუტავს; უბრალო აგური და მიწა არ ვარგა, დაღვრილის რძით გაიღლინთება და ამ რძეში დაიბუდებს ყველა ის ბაკტერიები, რომლებისათვისაც რძე კარგი საკვები ნივთიერება არის და აქედან ადვილად გადავლენ შენახულ რძეში და გააფუჭებენ. თითონ ნიადაგი ერთი მხრისაკენ დაქვეითებული უნდა იყოს, რომ იმის გარეცხა და ნარეცხის გარედ გატანა კედელში დატანებულ ღარით შესაძლებელი იყოს. ის კი ემჯობინება რომ სარძევე ადგილას რძე არასდროს არ დაიღვაროს ნიადაგზე, ან კედლებს არ მეესხას. თუ დაიღვარა, მაშინვე კარგად უნდა გაირეცხოს ცხელის წყლით, ისე რომ დაღვრილის რძისა არაფერი არ დარჩეს ან ნიადაგზე ან კედლებზე; თუ ამას ყური არ ეგდო, რძე დამჟავდება და ჰაერს წაახდენს. ამას გარდა, რასაკვირველია, ყური უნდა ეგდოს, რომ სარძევეში ბუზები და ქინქლები არ შევიდნენ—ბუზი და ქინქლა დიდი მტერია რძისა, მათის შემწეობით ბაკტერიები შემოელენ სარძევეში და ჰაერს წაახდენენ. ამისთვის საჭიროა, რომ ყოველ ფანჯრის ჩარჩოში ჩამდგარი იყოს მსუბუქი ჩარჩო წმინდა ბადეთი გადაფარებული, რომ მან დაუშალოს ბუზებს სარძევეში შეფრენა.

ერთის სიტყვით, სარძევეში ჰაერის სიწმინდე პირველი და უმთავრესი საქმეა რძის კარგად და ხეირიანად ფამოსაყენებელად. წმინდა ჰაერი სარძევეში მიუცილებლად საჭიროა საზოგადოდ რძის ყოველგვარ წარმოებისთვის და განსაკუთრებით კარგისა, ნაზისა და გამძლე ერბოს მოსამზადებლად. ყველა იმ ოჯახმა, რომელსაც უნდა თავის რძიდან კარგი და გემრიელი ერბო შეამზადოს, უეჭველად კარგი და სუფთა სარძევე უნდა ააშენოს. ცოდნასა და მეცადინეობას გარდა, ერბოს ხარისხი და თვისება თვითქმის სრულიად დამოკიდებულია მოსამზადებელ ადგილის ისეთს მოწყობაზედ, რომ ყოველ დროს იქ ჰაერის შეცვლა შეიძლებოდეს. ბევრგან იყო შენიშნული, რომ ერთსა და იმავე სახლობაში და ერთსა და იმავე რძიდან სხვადასხვა

გემოსა და თვისების ერბო მზადდებოდა და ეს დამოკიდებული იყო მხოლოდ იმ ადგილზე, სადაც ეს ერბო მზადდებოდა; ეს მოვლენა მეტადრე ოლდენბურგში და ჰოლლანდიაში ხშირად იყო შენიშნული და შემოწმებული. ამისგამო პეტერსენი მართალია, როცა ამბობს: „იმ ოჯახისათვის, რომელიც რძეს აფასებს, სარძეევე ადგილი წმინდათა-წმინდა უნდა იყოს“.

2) **ჭურჭლის სასუფთავე.** ახლა გავსინჯოთ მოსაწველი და შესანახავი ჭურჭელი: ეს ჭურჭელი იმისთანა მასალიდან უნდა იყოს გაკეთებული, რომ შეიძლებოდეს იმისი კარაგად გარეცხვა და გასუფთავება და სუფთადვე შენახვა. ამისათვის, რამდენადაც რძის ჭურჭელი ადვილი გასარეცხი და გასაწმენდი იქნება, იმდენად სასურველია, ეხლოდ იმ პირობით, რომ ამასთან იმ ჭურჭლის თვისება სხვა მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდეს.

თუმცა ხის ჭურჭელს ბევრი კარგი თვისება აქვს: იაფია და ადვილად არ იმტვრევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მასალის ჭურჭლის გასუფთავება ძნელი მოსახერხებელია; ხე, როგორც ვიცით, ფოროვანია, რძეს იჟღენთავს გვერდებში და ამისგამო, რაც უნდა კარგად გასუფთავდეს მაინც მოსალოდნელია იმის გვერდებში რძის დარჩენა, შიგ დამჟავება და ამგვარად ჭურჭელში იქნება დაბუდებული რძის დამამჟავებელი ფერმენტი. ამის გამო, რაც უნდა გულმოდგენით და კარგად იყოს გარეცხილი, მაინც მოსალოდნელია, რომ რძის დამაზიანებელი ფერმენტი შერჩება, რძეში გადავა და დამჟავებს. ამისათვის ხის ჭურჭელი რძის მრეწველობაში სრულიად შესაწყნარებელი არ არის. ხის გარდა ხშირად ხმაროობენ ჭიქის ჭურჭელს, თიხისას და ქაშანურულს და ეს პირდაპირ თუჯისას მილანქარით, ცინკისას, თეთრის თუნუქისა, სპილენძისას და სხვანი.

კარგი ჭიქის ჭურჭელი, რასაკვირველია, ყველაზე კარგი იქნება, რადგანაც ამგვარ ჭურჭლის გარეცხვა და სრული გასუფთავება ადვილია; ამ ჭურჭელს ფოროები არა აქვს, და, მაშასადამე, რძეთაირ გაჟღენთება; ამას გარდ რძე გვერდებზე ძა-

ლიან არ ეკვრება, მაშასადამე, ადვილი გასარეცხია, რაც დიდს ეკონომიას შეადგენს რძის მრეწველობაში; მარტო გარეგანის შეხედვით ადვილად შეეტყობა, ჭურჭელი გასუფთავებულია თუ არა. ვისაც უნდა ჭიქის ჭურჭელი იქონიოს, საჭიროა ყიდვის დროს კარგად ამოარჩიოს, რომ გვერდები დაბურცული არა ჰქონდეს და ან დახეთქილი ან ფოსოები, რომ გარეცხის დროს შიგ რძე არ დარჩეს. თუმცა ჭიქის ჭურჭელი ასე კარგია და სასურველიც, მაგრამ, სამწუხაროდ, თავისი ნაკლულევანებაცა აქვს: ადვილად იმტვრევა, ცხელის წყალით რეცხის დროს სქდება და ამის გამო ძვირადა ჯდება.

თიხის ჭურჭელი ძალიან ფოროვანია, გვერდები რძით იჟღინთება და, მაშასადამე, ისეთივე ნაკლულევანება აქვს, როგორც ხის ჭურჭელს. მაგრამ თუ თიხა კარგად გამომწვარია და მჭირხნე, მაშინ შესუსტებულია ეს ნაკლულევანება და ამის გამო ხშირად გამოყენებაც შეიძლება ამგვარის ჭურჭლისა. შიგნიდან დაქაშანურებული თიხის ჭურჭელი სჯობია, რძით არ გაიჟღინთება და, მაშასადამე, კარგად გაირეცხება. ყიდვის დროს ესეც კარგად უნდა გაისინჯოს, კარგი და ერთგვარი ქაშანური უნდა ჰქონდეს, არსად არ იყოს დახეთქილი; უამისოდ ქაშანური მალე ჩამოეცლება ზოგიერთ ალაგას და აქ რძე მიეკვრება, შეისვაეს, გაიჟღინთება და ამის გიმო ძნელი გასარეცხი გახდება; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს უფრო ცუდი იქნება, ვიდრე უბრალო თიხის ჭურჭელი.

შიგნიდან დამილანქარებული თუჯის ჭურჭელი ძალიან მძიმეა და ამას გარდა მილანქარიც ძალიან ადვილად სცილდება და ჭურჭელი სრულიად უვარგისი ხდება—რკინა მჟავე რძეში გაიხსნება და გემოსა და თვისებას წაუხდენს.

ცინკის ჭურჭელი სრულიად არ ვარგა, რადგანაც ეს ლითონი ადვილად იხსნება დამჟავებულ რძეში და ამის გამო რძე მოიწამლება—ცინკი მავნებელია სტომაქისათვის.

ესევე შეიძლება ვსთქვათ სპილენძის ჭურჭელზედაც, თუ მოკალული არ არის; ამას გარდა მძიმეა და ძვირადაცა ღირს.

ყველა ჭურჭელს რძის წარმოებაში თეთრი თუნუქის ჭურჭელი სჯობია ყოველის მხრით: ადვილი გასარეცხია, არც ძვირადა ღირს და ამასთან სუმბუქიც არის; ამგვარის ჭურჭლის ყიდვის დროს, რასაკვირველია, ყურადღება იმაზედ უნდა იყოს მიქცეული, რომ სრულიად ერთგვარი და სუფთა გვერდები ჰქონდეს.

რა მასალიდანაც უნდა იყოს მომზადებული სარძევე ჭურჭელი, ყოველთვის და მუდმივ საყურადღებო ის არის, რომ ყოველთვის და მუდმივ სუფთა იყოს. ჭურჭლის ხმარების უმალვე, უეჭველად უნდა გაირეცხოს ცხელის წყალით და გაიწმინდოს; თუ დრო ნებას არ იძლევა, მაშინ ცივის წყალით მაინც უნდა იყოს გამოვლებული. ყოველთვის საჭიროა რძის ჭურჭლის რეცხვა დასტამლით და ცხელის წყლით. ამას გარდა კარგი იქნება, რომ კვირაში ერთხელ მაინც ჭურჭელი გამოიხარშოს ნაცრის ტეტეში, რომ ამით და მაღალის ტემპერატურით მოისპოს ყოველი ფერმენტი. ამით არ თავდება საქმე: აგრეთსავე მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ ჭურჭელი კარგად იყოს გამშრალი და ამონიავებული; თუ ამ გარემოებას ყური არ ეგდო, შიგ შენახული რძე უეჭველად ცუდ გემოს მიითვისებს და აგრედვე ერბო და ყველიც ცუდის გემოსი გამოვა, მეტადრე, თუ ჭურჭელი ხისა იყო. ამ გარემოების ზედგავლენა ისეთი ცხადია, რომ ყველა, ვისაც კარგი გამჭრიახი გემოვნება აქვს და განვითარებულია ამაში, უეჭველად შეატყობს ერბოს და ყველს, როგორს ჭურჭელშიაც იყო შენახული რძე. ამ გარემოებაში მომზადებულ ერბოს უფრო და უფრო ეტყობა შეხნიანებით ჭურჭლის გემო და სუნი და ამასთან თანდითან ფუჭდება რაღაცა ჯერ გამოუკვლეველის გადაგვარებით. ესეთივე ნაკლულევანება ეტყობა ამ გარემოებაში მომზადებულ ყველსაც.

როცა ჭურჭელი გარეცხილია და გასუფთავებული, თუ ზაფხულია, მაშინვე მზეზე უნდა გაიდგას თავისუფალ ჰაერში და, რასაკვირველია იმისთანა ადგილას, რომ შიგ მტვერი და სხვა უწმინდურება არ ჩაცვივდეს. რამდენსამე საათს შემდეგ

ჭურჭელი სრულიად მშრალი და გამონიავებული იქნება, თუ ჰავა ნოტიოა, ზაფხულია თუ ზამთარი, და თავისუფალ ჰაერში გაშრომა არ შეიძლება, მაშინ ჭურჭელს თბილ ოთახში გააშრობენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ოთახში კარგი ვენტილაცია იყოს. თუ გაშრობა რამე გარემოების გამო შესაძლებელი არ არის, მაშინ შეიძლება ჭურჭელი ყოველდღე არ გააშრონ, მაგრამ ვენტილაცია კი, ჭურჭელში ჰაერის გამოცვლა და გამონიავება ყოველთვის საჭიროა. აგრეთისავე ყურადღების ღირსია სადღვებელიც, რომელიც ხშირად ხისა არის. სამწუხაროდ, სადღვებელში ბევრი კუნჭულებია და მისი გარეცხვა და გაწმენდა ძნელი მოსახერხებელია: თუ სადღვებელი კარგად არ არის გამშრალი და ამონიავებული, მაშინ კარაქი უეჭველად ცუდის სუნისა და გემოსი გამოვა და მალეც წახდება. სადღვებელი უეჭველად მდუღარე წყალით უნდა გაირეცხოს და საბერველით შიგ მყოფი ჰაერი გამოიცვალოს.

რაღა თქმა უნდა, რომ აგრეთსავე სისუფთავეს და ყურადღებას თხოულობს ყველა ის ჭურჭელიც, რომელშიაც შემდეგ ერბო ან ყველი უნდა იყოს შენახული. ხომ უკვე ვიცით, რომ რძე ძალიან აზიზია და ჰაერიდან ადვილად ითვისებს ყოველგვარ აყროლებულ სუნს და მიკროორგანიზმებს, ამისგამო რძე დიდ ხანს არ უნდა დარჩეს გომებში, სადაც, რასაკვირველია, ჰაერი წმინდა არ არის; უეჭველად საჭიროა, რომ საწველელის გავსების უმალვე რძე გომიდან იყოს გამოტანილი.

**3) სისუფთავე წველის დროს.** აქ ორიოდე სიტყვას ვიტყვით თითონ ძროხის მოწველაზედაც. რასაკვირველია, საჭირო არ არის იმაზე ვრცლად ლაპარაკი, თუ ძროხა როგორ უნდა მოიწველოს; ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ ის კი მოვიგონოთ, რომ მიუცილებლად საჭიროა ძროხის ძუძუდან რძე მთლად გამოიწველოს, ძუძუ სრულიად უნდა დაცარიელდეს; როგორც ვიცით, ბოლოს რძე უფრო მსუქანია, უფრო ერბოიანია და, მაშასადამე, უფრო კარგი. ჩვენში თითქმის ყველგან ჩვეულებად არის ხბორების კვება ძროხის ძუძუთი და ამისგამო ძროხას მთლად არა სწველიან—ეს, რასაკვირველია, შესაწყნარებელი

არ არის; ხბოს კვება სხვანაირადაც შეიძლება და, თუ მაინც და მაინც რძით უნდათ ხბოს კვება, მაშინ პირველი გამოწველილი მიართვან, ამითიც კმაყოფილი იქნება; ამასთან ბოლოს რძე ხბოსთვის მარგებელიც არ არის, რადგანაც სისუქნის გამო ძნელი მოსანელებელია,

ძროხების კარგად მოვლა შეადგენს ერთს უმთავრეს პირობას კარგად და ბლომად მოწველისას; მეწველი ძროხა ყოველგვარ შეწუხებას და შეშინებას, ჯავრობას კარგად არ იტანს; ძროხა თუ ცუდად არის მოვლილი, მაშინ ცოტას მოიწველის და, თუ, ამასთან, როგორმე შეშინებული ან გაბრაზებულია, მაშინ წველაში ძალიან დაიკლებს; ყველა ოჯახის პატრონმა კარგად უნდა იცოდეს, რომ თუ ძროხა გომში ან მინდორში რამემ შეაწუხა, რძე შეუმცირდება და ხან დიდი ხნითაც, ხშირად სრულიადაც გაშრება. წინადაცა ვსთქვით და ეხლაც გავიმეორებთ, რომ როგორც სიცხე, ისე სიცივე ცუდად ჰმოქმედობს ძროხის ჯანმრთელობაზე და, მაშასადამე, წველაზედაც. თუ ძროხა ზაფხულობით გომშია დაბმული, ყური უნდა ეთხოვოს, რომ გომში ტემპერატურამ 17° ზევით არ აიწიოს და, თუ აიწია, მაშინვე დაეტყობა რძის შემცირება. ამისათვის საღამოთი გომები უნდა გაგრილდეს ვენტილაციით, მხოლოდ ამ ვენტილაციის დროს ჰაერი ძრიელ არ უნდა მოძრაობდეს, რადგანაც ამგვარი ნიავქარით ძროხებს ძუძუები ასტკივდებათ; ზამთარში, რასაკვირველია, სიცივეცა სწყინს, გომებში ტემპერატურამ 13° ძირს არ უნდა დაიწიოს.

აგრედვე საჭიროა ძროხებს ფეხქვეშ ჩალა ჰქონდეთ დაგებული და გომები ყოველ დღე იყოს დაწმენდილი; გომიდან ნეხვის გამოტანის დროს გომი არ უნდა გაცივდეს.

შემჩნეულია რომ ამ გარემოებაში გომის გაცივებით ძროხები რძეს იკლებენ. ამას გარდა ძროხები ხშირად უნდი იქმნან დაწმენდილნი, განსაკუთრებით ბალნის გამოცვლის დროს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ უამისოდ მოწველილ რძესაც ჩაჰყვება ბალანი და გაჭუჭყიანდება; თუ რძეში ბალანი ჩაცვივდა, მაშინ ძნელი მოსაშორებელია და ზერბოსა და ყველში

გადადის და მათს ღირსებას ამცირებს. ძროხა არას გზით არ უნდა იყოს შეწუხებული; მეწველ ძროხას სულ დაყვავებით და ალერსით უნდა ეპყრობოდნენ; გაჯავრება და ცემა რძეს შეუმცირებს. საკვებავიც საკმარისი უნდა ეძლეოდეს და ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, ფეხთ-საგებიც ხშირად უნდა ეცვლებოდეს; ყოველი უწესობა კვებასა და მოვლაში მაშინვე რძის დაკლებას გამოიწვევს.

ძროხა ძალიან საღი ცხოველია, ხშირად არა ხდება ავად, გარდა გადამდების სენისა, მაგრამ ორი ავადმყოფობა კი ხშირად იცის: ეგრედ წოდებული **რძის ტიკვება** და ფაღარათობა. პირველის ავადმყოფობით უფრო კარგად ნაკვები ძროხები ხდებიან ავად და ისიც ხბოს მოგების დროს და ფაღარათობა კი საჭმელსა და გაცივებაზედ არის დამოკიდებული. ორივე შემთხვევაში საფარაღათო უნდა მიეცეთ და შესაფერი საკვები; მათი რძე კი მორჩენამდე სხვა ძროხების რძეში არ უნდა აერიოს, რადგან სხვა რძესაც გააფუჭებს.

ძროხის წველის დროს დიდი ყურადღებაა საჭირო; საწველად ერთხელ დანიშნული დრო მტკიცედ უნდა იყოს დაცული; არას დროს, თუ შესაძლოა, დანიშნულ დროზე ან ადრე და ან გვიან არ უნდა მოიწველოს; ბევრს ექმნება შემჩნეული, რომ ძროხებმა კარგად იციან ეს დრო და შესწუხდებიან, თუ ამ დრომ გაიარა და არ მოსწველეს; ხშირად მომხდარა, რომ მოწველის დაგვიანებით ძროხებს ცური გასივებიათ და რძე დაუკარგავთ და გამშრალან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული ახალ-დედა ძროხებს, ხბოს პირველად მოგების დროს; ძროხა მხოლოდ მაშინ მოიწველის კარგად, როცა ჭკვიანადა სდგეს, თუ ტოკავს და აშფოთებულია, მაშინ ძალიან ცოტა რძეს მოიწველის. ეს გარემოება უფრო საჭიროა პირველ მოგებულებისათვის; თუ ძროხა კარგად არ გამოიწველა, შეიძლება სრულიად დაჰკარგოს რძე და გაშრეს. ამისათვის მაკე დეკეულები წინადვე უნდა მიაჩვიონ წველის პროცესს; მწველელმა დღეში ორჯელ ხელი უნდა გადაუსოს ძუძუებზე და ცოტათი თი-

თებიც მოუჭიროს. ასე მიჩვეული მაკე დეკეული ხბოს მოგების შემდეგ აღარ იუცხოვებს წველას და წყნარად იდგება. ამასთანავე ისიც საჭიროა, რომ როგორც ხბოს მოგების წინად, ისე ცოტა ხნით შემდეგაც ძუძუები კარაქით დაუზილონ ანუ კარაქი წასცხონ; უამისოდ ძროხებს ხშირად უსქდებათ ძუძუებზე ტყავი და ძუძუები სტკივათ.

საზოგადოდ ძროხა მიეჩვევა თავის მწველავს და როცა სხვა შეუდგება იმის მოწველას, სწუხს, ტოკავს. ზოგს, როგორც ამბობენ, მძიმე ხელი აქვს და ზოგს კი მსუბუქი და ამას ძროხები კარგად ჰგრძნობენ. აქედან ცხადია, რომ ყოველთვის ერთი და იგივე უნდა სწველიდეს ძროხას. გომში სიმშვიდე უნდა სუფევდეს, მეტადრე წველის დროს, ძროხები არაფერმა და არავინ არ უნდა შეაწუხოს. ყოველგვარი შეწუხება და ყოველგვარი აშფოთება მაშინვე რძის რაოდენობას დაეტყობა. მწველელმა თავის ყურადღება წველას უნდა მიაპყრას და ყოველთვის სწველოს მთელის ხელით, მთელის მუჭით და არა, როგორც ზოგან მიღებულია, ორის თითით; ორის თითით გამოსწველიან მხოლოდ ბოლოს რძეს. გამოწველილ რძის ჭეველი ძრიელი და ხანგრძლივი უნდა იყოს და, თუ წველის დროს რძე ქაფდება, ეს კარგი წველის ნიშანია. როგორც ვიცით, ძროხას ოთხი სარძეო ჯირკველი აქვს, რომლებზედაც ოთხი ძუძუა. წველის დროს ამას ყურადღება უნდა მიექციოს და არასდროს ოთხი ერთი მხრის ძუძუ ერთად არ უნდა გამოიწველოს; უნდა მოიწველოს ან ორი უკანა და ორი წინა ძუძუ ერთად და უფრო კარგია, როცა ერთის მხრის უკანა ძუძუ და მეორე მხრის წინა წუძუ ერთად იწველება, ამგვარად მთელი ცური კარგად ცარიელდება.

მწველელმა ძროხა არასდროს არ უნდა გააჯავროს და არც გაუჯავრდეს და არც ჯოხი დაჰკრას; ყოველთვის ალერსით და დაყვავებით უნდა მოექცეს; უამისოდ ძროხა ცოტას მოიწველის.

რაღა თქმა უნდა, რომ ძროხის ძუძუები მთლად უნდა გამოიწველოს; ყოველი ძროხის ძუძუში დარჩენილი წვეთი ამ-

ცირებს რძის რაოდენობას შემდეგისათვისაც. მხოლოდ კულ-ტურით მიაჩვიეს ძროხები ბევრის რძის წველას; რამდენადაც აღ-ძრული და გაძლიერებული იქნება რძის ჯირკვლის ფუნქცია, რამდენადაც ნავარჯიშევი იქნება, იმდენად ბევრს მოიწველის; მხოლოდ დაუღალავის შრომითა და ყურადღებით შეიძლება ძროხის ჯიშის გაუმჯობესობა და ამ მხრით განსაკუთრებულის ყურადღების ღირსნი არიან ახალგაზდა, ახლად ხბო-მოგებული ძროხები; იმას გარდა, რომ მათი რძე სრულიად უნდა გამოი-წველოს, მათი ძუძუები სრულიად დაცარიელდეს, საჭიროა, გა-მოწველის შემდეგაც ცოტას ხნით კიდევ სწველონ, თუმცა რძე აღარ მოდის; ამით რძის ჯირკვლის მოქმედებას გააცხოველებენ.

წველის დროს თვითონ რძის თვისებასაც ყური უნდა ეგ-დოს, ყოველ ძროხის რძე კარგად უნდა გაისინჯოს: ხშირად მოხდება, რომ გამოწველის დროს რძეში შედედებული ნამცე-ცები ურევია, ესე იგი ცოტაოდენი რძე ახაჭოვებულია და ან რძე წებოვანია და ან კიდევ შეღებილია სხვა-და-სხვა ფერად. ამგვარად დაზიანებულ რძეზე ჩვენ ქვემოდ მოვილაპარაკებთ, ახლა კი ვიტყვით, რომ ძუძუშივე რძის შედედების მიზეზი უფ-რო ხშირად ძუძუების ანთება და დასივება არის და ან რო-გორმე ძუძუა დაშავებული. ამგვარი რძე და საზოგადოდ რო-გორმე დაზიანებული რძე სხვა ძროხების რძეში არას დროს არ უნდა შეირიოს.

რადგანაც ძროხის მოწველა ბევრ დროსა და ჯაფას თხო-ულობს, ამისათვის გამოიგონეს იმისთანა მანქანები, რომელთა შემწეობითაც ძროხის მოწველა გაადვილებულია. ბევრნი ურ-ჩევდნენ ამ მანქანების ხმარებას, ბევრად და გაზვიადებით აქებდნენ მათ მოქმედებას, მაგრამ გამოცდილებამ დაამტკიცა მათი უვარ-გისობა; მანქანები ხელით მოწველის მაგიერობას ვერ ასრუ-ლებს, მით უფრო, რომ ამ მანქანებით მოწველის შემდეგ ძრო-ხა მაინც კიდევ ხელით უნდა მოიწველოს დარჩენილ რძის გა-მოსაწველად, მანქანები სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევა-ში, როცა ძროხებს ძუძუები სტკივათ და ან ისე ავად არიან, რომ ფეხზე დგომა არ შეუძლიანთ. ამ შემთხვევაშიაც მათი ხმა-რება შესაწყნარებელია მხოლოდ დროებით; როცა ხელით მო-

წველა შეიძლება, ამ მანქანებს თავი უნდა დაანებონ. ეს მანქანა წარმოადგენს ვიწრო მილს, გაკეთებულს ან სპილოს ძვლიდან, ან კაუჩუკისას და ან რამე ლითონისას, რომელიც დაევრცხლილი უნდა იყოს. (სურ. 3). ამ მილის სახე გვიჩვენებს, რომ ზემოთი თავი შეძერწილი, დახურული აქვს და ცოტა ქვემოდ გვერდებში მოგრძო ნახვრეტები აქვს. როგორც ვიცით, რძე ძროხის ცურის აუზშია მოგროვილი და, თუ თავისთავად არ გამოდის, ეს იმიტომ, რომ ყოველ ძუძუს თავში მოთავსებულია ერთგვარი ირგვლივ მდებარე მუსკული, რომელიც ძუძუს თავის ნახვრეტს ჰკუმშავს და ავიწროებს. თუ ამ ძუძუს თავის ნახვრეტში რამე მილს ჩაურჭობთ, მაშინ მილიდან რძე თავის-თავად გამოვა. როცა ძროხის მოწველა უნდათ ამ მანქანით, მაშინ იმას ფთხილად ძუძუში ჩაურჭობენ და ქვეშ საწველელს მიუდგამენ. ამ მილს ზემოთი თავი იმისთვისა აქვს შეძერწილი, რომ ძუძუში ჩარჭობის დროს ძუძუ არ დააშავოს. ხანდისხან ხმარობენ ოთხს მილს, რომელთა ბოლოებიც ერთად არის შეერთებული კაუჩუკის მილის შემწეობით (სურათი 4), რომ ოთხივე ძუძუს ერთ დროს გამოწველა შეიძლებოდეს. სამწუხაროდ, ამ მანქანების ხმარება ყოველთვის კარგი არ არის: ხშირად მათი ხმარება ძროხას აწუხებს და ამისგამო რძის რაოდენობაზედაც ცუდად ჰმოქმედობს. ამის გამო ეხლა ამ მანქანებს თითქმის ყველგან თავი დაანებეს. ხმარობენ მხოლოდ მაშინ, როცა ხელით მოწველა არ შეიძლება. საზოგადოდ, ამ მილების დიდის ხნის ხმარებით ძუძუს თავის მუსკულების შემკუმშავი ძალა სუსტდება და რძის შეკავება აღარ შეუძლიან; ერთის სიტყვით, მათი ხმარება მხოლოდ დროებით შეიძლება და ისიც გაჭირვების დროს.



სურათი 3 და 4.

ჩვენ წინად ვსთქვით, რომ რძის მრეწველობაში დიდი და უმთავრესი ადგილი უჭირავს სისუფთავეს; ეს პირველი და ძირითადი მოთხოვნილებაა; უამისოდ ძნელი წარმოსადგენია კარგისა და გემრიელ ერბოსა და ყველის მომზადება და რძის რამდენისამე ხნით საღად შენახვა. ასევე სიწმინდე და სისუფთავე საჭიროა ძროხების მოწველის დროსაც. რასაკვირველია, ადვილი წარმოსადგენია, რომ ძროხებს ძუძუები ყოველთვის სუფთა არ ექნებათ, ან შარდით და ან პატივით ექნებათ გასვრილი და, თუ ეს უწმინდურება წველის დროს რძეში გადავიდა, რძე მალე წახდება. ამისგამო მწველელმა ჯერ თითონ უნდა დაიბანოს ხელები და მერე ძროხასაც მოჰბანოს ძუძუები თბილის წყლით; ამის შემდეგ მობანილი ძუძუები წმინდა სამოსლით უნდა მოუწმინდოს და შეუშრეს. ძროხების ძუძუების დასაბანად ბევრი წყალის ხმარება არ არის საჭირო, მაგრამ მოწმენდა და გაშრობა კი მიუცილებლად საჭიროა. თუ ძროხას ძუძუები მშრალი არა აქვს, ტყავი მალე დაუსქდება და ეს ბევრად ავნებს რძის თვისებას და რაოდენობას.

მიწველილი რძე მოწველის უმალვე წმინდა საცერში უნდა იყოს გატარებული და ის უფრო კარგია, თუ საცერი ორკეცია, რომ რძეს სრულიად მოშორდეს შიგ ჩაცვივნული ბალანი და ან სხვა უწმინდურება; თუმცა ეს ბევრს ვერას შველის რძის გაწმინდავებას, მაგრამ მაინც კარგია, რომ თვალსაჩინო შერეული რამ მოშორდება და გარეგანი შეხედულებით მაინც იქნება გაწმენდილი.

რისთვისაც და როგორადაც უნდა იყოს რძე მოსახმარებელი, ჩვენ კიდევ გავიმეორებთ (ამას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ გამეორება მეტი არ იქნება), ყოველ შემთხვევაში საჭიროა ერთი უმთავრესი პირობა, ურომლისოდაც შეუძლებელია ნორმალურის რძის წარმოება: წველიდან დაწყებული რძიდან მომზადებულ ნივთიერებათა გაყიდვამდე, სისუფთავე და მკაცრი სიწმინდე მიუცილებლად საჭიროა. ეს სისუფთავე და სიწმინდე უნდა სუფევდეს ყოველ მოქმედებაში, ყოველ ჭურჭელში, ყოველ ადგილას, რომლებიც რძეს ან მისგან გაკე-

თებულ სხეულს ასე თუ ისე შეეხება. ამ მხრით დიდი სიმტკიცე, შეურყეველობა და თუნდ გასწორ-გასწორაობაც (პედანტობა) გადამეტებული არ იქნება. აქ მარტო ის კი არ არის საკმარისი, რომ რძეს გამოეცალოს ყოველი უწმინდურება, არამედ საჭიროა მუდმივი ზრუნვა, რომ რძეს მოშორებული ჰქონდეს ყოველი ის გარემოება, რომელშიაც კარგად ჰბუდობენ და მრავლდებიან სხვა-და-სხვა გვარი რძის წამხდენი ფერმენტები. ამ მხრით სულ ერთია თითონ რძეში იქნებიან ეს გარემოებანი, თუ გარეშე ადგილში. თუ სადმე გამოჩნდა ამ ფერმენტების ბუდე, მაშინვე და დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ რძეს ისეთი ნაზი თვისება აქვს, ადვილად ითვისებს ყოველ-გვარ სუნს და ყოველ იმ ნივთიერებას, რომელიც წარმომდგარია დალბობითა და დაობებით; სადაც უნდა იყოს ეს სუნი, ჰაერში თუ ჭურჭელში, რძე უეჭველად შეითვისებს და გაფუჭდება, ესე იგი სუსტდება რძისა და მისგან მომზადებულ სხეულების გამძლეობა და ამასთან თვისებაც უმცირდება, გემო უფუჭდება.

რძის ყოველ-გვარად მოხმარების დროს უეჭველად საჭიროა და მიუცილებელიც ის პირობა, რომ რძის დამჟავება შეფერხებული იყოს, რაც შეიძლება დიდის ხნით და ეს ხომ სისუფთავესა და სიწმინდეზეა დამოკიდებული. სხვა-და-სხვა გვარად დაზიანებული რძე არასდროს არ უნდა შეერიოს საღ რძეს და თითონ რძის დაზიანებაც ხომ უფრო ხშირად წარმომდგარია ჭუჭყისა და უსუფთაობის გამო. სადაც კი რძის წარმოება გავრცელებიულია: გერმანიაში, დანიაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში, საფრანგეთში და ამერიკაში და სხვ., ყველგან სადაც კი ეს წარმოება განვითარებულია და კარგ ფეხზე სდგას, იქ სიწმინდეს და სისუფთავეს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, ყოველ ამ ადგილებში და განსაკუთრებით ოლდენბურგში, ჰოლლანდიასა და დანიაში მწველელი დედაკაცები ისე სუფთად და სპეტაკად არიან ჩაცმულნი, თითქო ქორწილში ემზადებოდნენ და ყოველი სახმარებელი ჭურჭელიც ისე გაწმენდილი და გაპრიალებულია, თითქო სადღესასწაულო და სამე-

ჯლიშო სუფრაზე იყოს სახმარებელი. ამგვარი მკაცრი სიწმინდე მიუცილებლად საჭიროა ყოველ-გვარ რძის წარმოებაში და განსაკუთრებით, როცა ნაღებს ერბოდ აქცევენ და ნაღებ მოხდილ რძეს ყველად. მხოლოდ მაშინ ექნება სახელი, სიკეთე და ღირსება ერბოსა და ყველს, როცა დიდის სისუფთავით და სიწმინდით არის მომზადებული. ბოდიშს ვიხდით მკითხველების წინაშე, რომ ასე თავი მოვაბეზრეთ ამდენის ლაპარაკით ამ სისუფთავეზე, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენში ამ საგანს შესაფერს ყურადღებას არ აპყრობენ, მაშინ შემინდობთ ჩემს ჯიუტობას. ერთის სიტყვით, სისუფთავე საჭიროა რძის ყოველგვარ მრეწველობაში და ამის უარის ყოფას დიდი ვნება და ზარალი მოაქვს.

## ბ) რძის სხვა-და-სხვა გვარი ნაკლულევანება, ზიანი.

ხშირად მოხდება, რომ რძე ნორმალური არ არის, ან შესაფერი ფერი არა აქვს, ან გემო და ან სხვა გვარად არის შეცვლილი. ეს სხვა-და-სხვა გვარი ნაკლი ძალიან საზარალოა მთელის წარმოებისათვის და ამისგამო, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, რაკი რომელისამე ძროხის რძეს რომელიმე ნაკლულევანება დაეტყო, ამ ძროხის რძის სხვა ძროხების რძეში გარევა შესაწყნარებელი არ იქნება—ამით მთელი წარმოება დაზიანდება და დიდს ზარალსაც მოიტანს. სწავლულების ახალმა გამოკვლევამ ცხადად დაამტკიცა, რომ რძის მრავალი ზიანი გამოწვეულია სხვა-და-სხვა პატარ-პატარა ორგანიზმისაგან, სხვა-და-სხვა ბაკტერიისაგან, რომლებიც მრავალნი არიან ჰაერში და მიწაში და რომლებიც კარგად სცხოვრობენ და კარგ საზრდოს ჰპოვობენ რძეში. მათი არსებობა და ცხოვრება რძეში გამოიწვევს სხვა-და-სხვა გვარ გადაგვარებას და ამით რძეც დაზიანდება სხვა-და-სხვა გვარად. მაშ ყველა ის საშუალება, რომელიც ამ პატარა ორგანიზმებთან საბრძოლველად კარგია, ყველა ის საშუალება, რომელიც მათს მოქმედებას ან შეაფერხებს და ან მოსპობს, იგივე საშუალებანი კარგნი იქნებიან რძის დაზიანე-

ბის ასაცილებლად. ჩვენ ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი და ეხლა კი მოკლედ გავსინჯოთ, რა გვარნი არიან და რაში მდგომარეობენ რძის ნაკლულევანებანი:

**რძის გალურჯება.** ამგვარად რძის დაზიანება, რძის გალურჯება იმაში მდგომარეობს, რომ შენახულ რძეზე ერთისა, ორისა ან სამის დღის განმავლობაში (დრო დამოკიდებულია ტემპერატურაზე: თუ თბილა, მალე დაიჩნდება და თუ ცივა— გვიან) რძის პირას გამოჩნდება ლაჟვარდი ან ლურჯი წინწკლები (ხან ყვითელი და წითელი), რომლებიც თანდათან იზრდება და ბოლოს სრულიად მოჰფენს რძის პირს. ლაჟვარდი ფერი დაეტყობა, როცა მზე დამჟავებას დაიწყებს და სრულიად შოისპობა, როცა რძე სულ დამჟავდება და აიჭრება, თუმცა კი ამ ორ მოვლენათა შორის არავითარი კავშირი არ არის. წინად ეგონათ, რომ რძის გალურჯების მიზეზი ხაჭოში იყო, რომ ხაჭოსაგან იყო გამოწვეული, მაგრამ სწავლულების გამოკვლევამ, და განსაკუთრებით ნელსენისა (Neelsen) და გიუპპესამ (Hueppe), დაამტკიცა, რომ რძის ამგვარი გადაგვარება გამოწვეულია ერთგვარის ბაცილის მოქმედებით, რომელსაც Bacillus cyanogenus ეძახიან (ბაცილუს ციანოგენუს) და დამჟავება კი—რძის სიმჟავის ბაცილის ზედგავლენით. ამ ორ მოვლენას შორის მხოლოდ გარეგანი კავშირია, მაგ. ისა, რომ თუ რძეში სიმჟავე არ არის, მაშინ რძეს წმინდა ლაჟვარდი ფერი არა აქვს, არამედ ბუნდი ლურჯია და ხან ნაცრის ფერიც. მარტო რძის გამალურჯებელი ბაცილები რომ ყოფილიყო, რძე არ აიჭრებოდა. რძის აჭრის შემდეგ ლაჟვარდი ფერის შეფერხება იმით აიხსნება, რომ აჭრილი ხაჭო თან ჩაიყოლიებს ამ ბაცილებსაც და იმათ მოქმედება აღარ შეუძლიანთ შრატზე, ახლა ხაჭოში არიან გახვეული. ის გარემოება, რომ დაბალ ტემპერატურაში უფრო გვიან ლურჯდება რძე, ვიდრე მაღალში, იმით აიხსნება, რომ დაბალ ტემპერატურაში ბაცილებს არ შეუძლიანთ კარგად აღორძინება და გამრავლება და ამავე ტემპერატურაში თვითონ რძეც გვიან მჟავდება. გიუპპეს გამოკვლევით გამოჩნდა, რომ 10—12° მხოლოდ სუსტი ლაჟვარდი ფე-

რი ჩნდება; 15—18° ძალიან ძლიერდება და შემდეგ 25°-დინ უფრო აჩქარებით ლურჯდება, თუმცა ფერი კი არა ძლიერდება, და 37° ზევით კი სულ ვეღარ ჰმოქმედობს.

გალურჯებულ რძეს მწვავი მჟავე სუნი აქვს; მოხდილ ნაღებიდან ერბოს შედღვება შესაძლებელია, მაგრამ ერბო კარგი არ არის, ძალიან მაგარია და თეთრი და ცუდი ფერი აქვს. უწინ ეგონათ, რომ გალურჯებული რძე საწამლავიაო, მაგრამ ეს მართალი არ გამოდგა.

ხშირად მოხდება, რომ ერთსა და იმავე სარძეველში ერთ დღეს ერთ ჭურჭელში გალურჯდება, მეორე დღეს მეორეში და ხან კი არც ერთში; ხან კი სულ ამის წინააღმდეგია; ისიც მოხდება, რომ ერთისა და იმავე ძროხის რძე ერთ დროს მოწველილი ერთ ჭურჭელში ლურჯდება და იგივე მეორეში კი სრულიად საღი რჩება. აქედან ცხადია, რომ რძის გალურჯების მიზეზი ჭურჭელში უნდა იყოს; რომელი ჭურჭელიც სუფთა არ არის და ამ ბაცილას დაუბუდებია, იმაში გალურჯდება. ისიც შენიშნულია, რომ თუ გალურჯებული რძე საღ რძეს შეერია, მაშინ საღი რძეც გალურჯდება და გაფუჭდება.

ამ ბაცილების გამრავლების და აღორძინების ვითარება ამ ბოლოს ხანს კარგად გამოიკვლია გეიმმა და აღმოჩნდა, რომ თუ ერთის წუთით 80° გაცხელდა რძე, მაშინვე დაიხოცება; ამასთან ისიც აღმოჩნდა, რომ მრავალი ქიმიური საშუალებანი იმაზე სრულებით არ ჰმოქმედობენ, არც სიმჟავენი, არც ტუტი და ყველა ბაკტერიებზე გამძლენი გამოჩნდნენ.

აქედან სრულიად ცხადია, რა საშუალებაც უნდა იხმარონ ამ მოვლენის ასაცილებლად: დიდი სისუფთავე ჭურჭლისა, ადგილისა და ჰაერისა, სადაც კი რძე უნდა იქმნას შენახული. თუ ამის მიუხედავად ბაკტერია მაინც გაჩნდა და მისი მოცილება ჭურჭლის გამოხარშვით არ მოხერხდა, მაშინ სარძეველში გოგირდი უნდა დასწვან, გოგირდი უბოლონ და ისე, რომ ამ დროს ფანჯრები და კარები ორის საათის განმავლობაში დაკეტილი იყოს (ჯერ ფანჯრებს დაჰკეტენ, მერე გოგირდს აანთებენ, კარებსაც მიხურავენ და გამოვლენ სარძეველ-

დან და ორის საათის შემდეგ ფანჯრებს, და კარებს, გააღებენ, სარძევეს ჰაერს გამოანიავებენ).

ცუდად გამოსანიავებელი და თბილი გომები, ნოტიო და თბილი ჰაერი სარძევეში ხელს უმართავს ამ ბაცილის გაჩენას და აღორძინებას. სამწუხარო ის არის, რომ, თუ ერთხელ დაიბუდა სადმე ამ ბაქტერიამ, იმისი მოსპობა ძალიან ძნელია და ამისთვის რძის დიდ ხანს შენახვა კარგი არ იქნება; ყველას ის ემჯობინება, რომ ამ შემთხვევაში მოწველის შემდეგ მალე გადაკეთდეს რძე; როგორც ვნახეთ, ამ ბაცილის გაძლიერებას დრო ბევრი უნდა და, თუ რძე მალე გადაკეთდება, მაშინ ველარ ავნებს.—სხვა საშუალებაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ხანდისხან რძე ლურჯდება საკვების მოქმედებითაც; ბევრია იმისთანა ბალახი, რომელიც ლურჯ საფერავს შეიცავს და, თუ ძროხამ ეს ბალახი სჭამა, იმის წვენი რძეშიაც გადავა და გაალურჯებს. ამგვარ სილურჯეს არავითარი ვნების მოტანა არ შეუძლიან რძისთვის და საშიშიც არ არის.

**წითელი და ყვითელი რძე.** რძის გაწითლება ხშირად გამოწვეულია ან ძროხის საკვებავისაგან, ან სისხლისაგან და ან მიკროორგანიზმებისაგან. პირველი შემთხვევა მაშინ არის მოსალოდნელი, როცა ძროხის საკვებში ენდრო შეჰყვება (Rubia tinctorium); თუ ამ ენდროს წვენი რძეში გადავიდა, მაშინ რძე წითლად შეიღებება; სისხლით რძის შეღებვა მაშინ არის მოსალოდნელი, როცა ძროხას ძუძუს თავი დაშავებული აქვს, ან იარა აქვს რამე, ან ტყავი დახეთქილი აქვს და ან შიგ ცურში სისხლის მილები დაზიანებულია—ყოველ ამ შემთხვევაში მოსალოდნელია რძეში სისხლის გადასვლა და წითლად შეღებვა. ესევე გარემოება მოსალოდნელია, როცა ძროხა ავად არის ეგრედ-წოდებულ **სისხლის შარდით** და თითონ ეს ავადმყოფობა დამოკიდებულია ძროხის კვებაზე; ამბობენ, რომ თუ ძროხამ რძიანა (Euphorbia) სჭამაო, ანუ ჩაწყობილა (Ranuncalus), ჭილი (Juncus), ლელი (Scirpus), ისლი (Carex) და ქასრი (Equisetum), ეს ავადმყოფობა დაემართებაო, აგრედვე ზოგიერთ ხეების კვირტების ჭამით, როგორც თხემლა; აგრედვე ცუდი

მოქმედება აქვს გაზაფხულის ცუდს ამინდსაც. ამ სისხლის შარდისგან რძეში გამოწვეულ ცვლილებათა ასაცილებლად, რასაკვირველია, საჭიროა ძროხას ეწამლოს, ძროხა მორჩეს და მაშინ რძეც აღარ იქნება შეღებილი. ამისათვის ურჩევენ ეგრედწოდებულ ტყვიის შაქარს (ძმრის სიმჟავის ტყვიის მარილი) დღეში სამ-სამ გრამს, აგრედვე კარგია გვარჯილა, ან ქაფური და სხვ...

თუ რძეს წითელი ფერი მიეცა მოწველის შემდეგ, მაშინ ეს გადაგვარება გამოწვეულ იქნება ბაკტერიების ზედ-მოქმედებით, რომელთაგანაც პირველი ადგილი უჭირავს ეგრედ-წოდებულ Bacillus prodigiosus; ეს ბაცილა საზოგადოდ ბევრ შემთხვევაში აზარალებს სხვა-გვარ სასმელ-საჭმელსაც; ეს ბაცილა ჰმოქმედობს რძის ზედა პირზე. ამ ბაკტერიის გარდა კიდევ ბევრნი არიან, რომელნიც აგრედვე აწითლებენ რძეს, ოთხი თუ ხუთი ჯიშია ნაპოვნი, მაგრამ მათს მოხსენებას საჭიროდ არა ვსთვლით; ზოგი მათგანი სიბნელეში მოქმედობს,—ზოგი-სინათლეში. ამ ბაკტერიებისგან დაზიანებული რძე მალე იჭრება, ფერს იცვლის და ხან ყროლდება კიდეცა. სანუგეშოდ, ეს ბაკტერიები ძალიან იშვიათად ჩნდება; ყველაზე კარგი საშუალება მათს ასაცილებლად, რასაკვირველია, სისუფთავე, სიწმინდე და დეზინფექცია არის.

რძე ყვითლდება ერთგვარის ბაცილის ზედმოქმედებით, რომელსაც ეძახიან Bacillus synxanthus, და ხან სხვანიც იღებენ მონაწილეობას.

**ლორწოიანი რძე.** ამგვარად დაზიანებული რძე ისე თხელი აღარ არის, როგორც ნორმალური რძე, არამედ სქელია და რამდენადაც სენი გაძლიერებულია, იმდენად სქელდება და ხან ისე გასქელებულია, რომ შეიძლება სხვა-და-სხვა სიგძის ძაფებად გადაიქცეს, თუ მოვინდომებთ ამას გაწევ-გამოწევით. ლორწოიანი რძე ძალიან ძნელად იკეთებს ნაღებს და ამისგამო იმის ერბოდ გადაკეთება ძნელია. ამგვარი დაზიანება გამოწვეულია წვრილ-წვრილი რგვალი, ბურთის დაგვარის ორგანიზმის ზედმოქმედებით, რომელიც რძის შაქარზე ჰმოქმედობს

და ამ შაქარს ლორწოდ აქცევს (ლორწოს სიმჟავე ჩნდება), ანუ, როგორც ქიმიაში ამბობენ, **ლორწოიან დულილს აჩენს.** ამ დულილის გამო ხაჭო ეცლება რძეს, ხაჭო შედედდება ცომივით. ლორწოიანი რძე ძალიან მალე ლპება და ამ დალპობის დროს ჭურჭლის ძირში რძე ყვითლდება; ესე გაყვითლებული რძეც ჯერ სქელია და შემდეგ თან და თან ეხელდება. ეს ზიანიც გადამდებია; თუ ცოტაოდენი ესე დაზიანებულის რძისა შეერია საღ რძეს, ესეც უეჭველად დალორწოიანდება. ამ ლორწოს გამომწვევი ბაქტერია უფრო კარგად ჰმოქმედობს მაღალ ტემპერატურაში 30—40° და ამაზე მაღალში კი მათი მოქმედება სუსტდება და 60° სრულიად ისპობა; დაბალი ტემპერატურა ვნებას არ აძლევს ამ არსებას. ამას გარდა, კიდევ ცნობილია მეორე ბაცილა Bacillus viscosus, რომელიც აგრეედვე ალორწოვებს რძეს და რომელიც დაბალ ტემპერატურაში ძალიან სუსტად ჰმოქმედობს, რძის დასალორწოებლად უნდება სამი-ოთხი კვირა და მაღალ ტემპერატურაში კი 30—32°-ში ერთ დღეს აფუჭებს. ამ ბაცილის ზედმოქმედებით რძე ყვითლდება, სიმჟავე არ ეტყობა; ეს ბაკტერია უეჭველად ჰმოქმედობს ხაჭოზე; ხაქო ძალიან იცვლება, სიმჟავის მიმატებით რძე თითქმის არ ხაჭოვდება.

აქაც, რასაკვირველია, სიწმინდე და სისუფთავე არის საჭირო ამგვარ დაზიანების ასაცილებლად და, თუ საჭიროა, დეზინფექციაც. რაღა თქმა უნდა, რომ ასე დაზიანებული რძე საღ რძეს არ უნდა შეერიოს.

**რძესა და ნაღების აჭრა.** ხშირად მოხდება, რომ რძე და მოხდილი ნაღები უდროვოდ აიჭრება და ეს მხოლოდ ზაფხულში ხდება; რძესა და ნაღებს ახაჭოება ეტყობა ძალიან ჩქარა, ხშირად 12 საათის განმავლობაში და ყოველთვის მთელი ნაღების მოგროვების წინად. გასაკვირველი ის არის, რომ ამ გარეგმოებაში არც რძე და არც ნაღები დამჟავებული არ არის. სამწუხარო ის არის, რომ თუ ახაჭოება რძეს დაეტყო, მაშინ ეს რძე ნაღებს აღარ იხდის და თუ ნაღებს დაეტყო, მაშინ იმისი შედღვება ძნელია, ერბო არა გროვდება, ასე რომ ორივე შემ-

თხვევაში ერბოს გამოსავალი ძალიან შემცირებულია. ამგვარი რძის აჭრა უნდა მიეწეროს იმ ბაკტერიებს, რომლებიც ერბოს დუღილს აჩენენ. ეს ბაკტერიები ჰმოქმედობენ ხაჭოზე იმგვარადვე, როგორც დვრიტა; სიმჟავე არა ჩნდება და ახაჭოების შემდეგ ხაჭო იცვლება, პეპტონად იქცევა (გადაგვარებული აზოტური ნივთიერება); ამ გარემოებაში რძის სიმჟავე ანუ რძის დუღილი სრულებით არ ეტყობა და ან ძალიან სუსტია, თითქმის შეუმჩნეველი; ამ შემთხვევაში ერბოს სიმჟავის დუღილი ჰმოქმედობს. ამ ნაკლულევანების ასაცილებლად საჭიროა ან რძის მალე გადაკეთება და ან რძის შენახვა დაბალ ტემპერატურაში; ეს უკანასკნელი ძალიან უშლის ერბოს სიმჟავის ბაცილების გამრავლებას და ამისგამო რძე აღარ ხაჭოვდება. თუ რძე დიდ ხანს არის შესანახი,—მაშინ ამ ნაკლულევანების აცილება შესაძლებელია დამჟავებულ რძის მიმატებით; თუმცა ამ შემთხვევაში რძე მაინც იჭრება, მაგრამ ეს მხოლოდ რძის დუღილით,—რძის დამჟავებით, რომელიც ცუდად არ ჰმოქმედობს ერბოს გამოსავალზე. დამჟავებულ რძის მიმატებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ რძის სიმჟავის ბაცილებთან ერბოს ბაცილებს აღარ შეუძლიანთ მოქმედება.

**რძის დამწარება.** რძე ბევრის მიზეზით დამწარდება და ყველაზე პირველად ამის მიზეზი ძროხის საკვებავია; თუ ამ საკვებავში რამე მწარე ბალახი ურევია, როგორც მაგ. მყრალა ბალახი (Anthemis), აბზინდა და სხვანი, და ან როცა ეს საკვებავი დამპალი, დაობებული და გაფუჭებულია. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ამ ზიანის მოშორება შესაძლებელია საკვებავის გამოცვლით.

ამას გარდა, რძის სიმწარე ხშირად დამოკიდებულია თვითონ ძროხაზე; ზოგიერთი დიდ ხანს მწველელი ძროხა მწარე რძეს იძლევა ხან ოთხივე ძუძუებით და ხან კი რომელისამე მათგანით. ეს მოვლენა გასაკვირველი არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ დიდ ხანს მწველელი ძროხები, რომელთაც რძე მალე უნდა გაუშრეთ, ნორმალურად არ ჰმოქმედობენ, რძის მომზადება კანონიერი გზით არა სწარმოებს.

ამგვარი მწარე რძე სხვა ძროხების რძეს არ უნდა შეერიოს და ამ მწარე-რძიანი ძროხის პოვნა ხომ ძნელი არ იქნება; დამწარებული რძე კარგს და გემრიელ ერბოს არ იძლევა.

რძის სიმწარე ხშირად გამოწვეულია აგრედვე იმითაც, რომ ძროხებს ცური დასივებული აქვთ. ამგვარი ცურის ანთება ანუ გასივება გამოიწვევს რძის დამწარებას და ხაჭოს გადაგვარებას, დალპობას, რომელშიაც სხვა-და-სხვა გვარი ბაკტერიები ჩნდება და განსაკუთრებით Staphylococcus pyogenes aureus და Streptococcus pyogenes aureus.

რძის დამწარება აგრედვე გამოწვეულია ერთგვარ მიკროორგანიზმების ზედმოქმედებით, რომლებიც ჯერ კარგად არ არიან გამოკვლეულნი, თუმცა ერთი მათგანი მაინც ცნობილია, ეგრედ-წოდებული Proteus vulgaris, რომელიც რძეს ალპობს და ამწარებს. ეს ბაკტერია ერბოს სიმჟავეს აჩენს და ხაჭოს ალპობს და ამისგამო რძესაც მწარე გემოს აძლევს. ამგვარი დაზიანების მოშორება, რასაკვირველია, შესაძლებელია მხოლოდ დეზინფექციით და ძროხების ხშირად დაწმენდით.

**რძე, რომელიც ძნელად იდღვიბება და ცოტა ერბოს იძლევა.** ხშირად მოხდება, რომ რომელისამე რძისაგან ან სრულიად შეუძლებელია ერბოს მომზადება და ან ძალიან ცოტა ერბოს მომზადება შეიძლება. სადღვებელში კარაქის მავიერად რძე ძალიან ქაფდება, რძეს ქაფი ეკიდება და ამასთან ცუდი სუნი და გემო უჩნდება. ეს ნაკლულევანება ხშირად თვითონ რძეზე არ არის დამოკიდებული, ამის მიზეზი გარეგან გარემოებაშია: ან როცა რძეს ან ნაღებს შედღვების დროს ძალიან დაბალი ტემერატურა აქვს, ან როცა სადღვებელი წყნარად არის ნამუშავარი და ან დაძველებული რძე ან ნაღები არის ნახმარი. თუ ამას ყური ეგდო, ტემპერატურა თუ შესაფერი იქნება დღვების დროს და რძე ან ნაღები დაძველებული არ არის (დიდის ხნისა), მაშინ რძეც და ნაღებიც კარგად შეიდღვიბება და ხშირად კარგი ერბოც მოგროვდება.

ხშირად ძნელი შედღვება დამოკიდებულია თვითონ რძის თვისებაზედაც, თუ განსაკუთრებით ხსენი აქვს შერეული; აგ-

რედვე უსუფთაობა და ჭუჭყიც არის ამისი მიზეზი. დიდის ხნის მწველელ ძროხის მწარე რძე და ჭუჭყი ძალიან უშლის შედ-ღვებას.

**რძის სხვა-და-სხვა გვარი ზიანი.** ზემოდ-მოხსენებული რძის დაზიანების გარდა, რომელთა მიზეზიც ხშირად ბაკტე-რიებია, ცნობილია კიდევ სხვა-და-სხვა გვარი რძის დაზიანება, რომელთა მიზეზიც ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული, თუმ-ცა კი მათი გაჩენაც დამოკიდებული უნდა იყოს ძროხების ცუდს კვებასა და მოვლაზე. ამათ შორის ჩვენ აქ მოვიხსენებთ **რძის დუღილს**, ბერწის ძროხის რძეს, მლაშე რძეს, დაშხამულ რძეს და უდროოდ ახაჭოვებულს რძეს.

**რძის დუღილი** გამოწვეულია ან იმასთან ბაკტერიებისა-გან, რომლებიც ხაჭოზე ჰმოქმედობენ და ამ ხაჭოს ანაწილე-ბენ, ადუღებენ და ან იმისთანა სოკოებისაგან, რომლებიც რძის შაქარზე ჰმოქმედობენ, ამ შაქარს ანაწილებენ. რძის ამგვარი გადაგვარება ერთისა და ორის დღის განმავლობაში ჩნდება და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა რძე მაღალ ტემპერატურაშია (25—30°) შენახული; ამ შემთხვევაში რძეში რაღაცა ლაზები ჩნდება, თუმცა რძე არ იჭრება; რძე ხაჭოვდება მხოლოდ მეო-თხე დღეს და შრატი კი კარგა მეავეა, გამჭვირვალი და ყვით-ლად არის შეღებილი (ეს ის მოვლენაა, რაც დამწარებულ რძე-ში ვნახეთ). ხშირად ამგვარად ზიანდება დაძველებული რძე და ნაღები, რომლებიც შენახულია ყველის გასაკეთებლად. ამის-გამო თუ რძეს მალე გადააკეთებენ და ან დაბალ ტემპერატუ-რაში შეინახავენ, ამით აიცილებენ ამგვარ დაზიანებას.

**ბერწის რძე** სამ გვარია: მტკნარი, ცივი და მწარე და თვითეული მათ შორის ძალიან მიემსგავსება სხვა გვარად და-ზიანებულ რძეს; ამ რძეთაგან მომზადებული ყველი ხშირად იბერება, ჰმურცდება; მაშასადამე, ბერწის რძე ბევრად მიემსგავ-სება დალორწოებულ ანუ დამწარებულ რძეს.

**მლაშე რძე.** მლაშე რძე ის რძეა, რომელსაც ცხადი მლა-შე გემო აქვს; ამის მიზეზი ცურის დასივებაშია; თუ ცური ძლიერ დასივებულია, მაშინ შინაგანი ორგანებიც ნორმალურ მდგომა-

რეობაში არ არის და ამისგამო ძროხა ნორმალური რძეს არ იძლევა.

აი მლაშე რძის შედგენილება:

| | | |
|---|---|---|
| ერბო . . . . . | = | 2,76 % |
| ხაჭო . . . . . | = | 1,53 — |
| ალბუმინი . . . | = | 0,82 — |
| ალბუმინოიდი . | = | 0,63 — |
| შაქარი. . . . . | = | 2,54 — |
| ნაცარი. . . . . | = | 1,32 — |

მლაშე გემო გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობა მომეტებულია, არამედ იმითიც, რომ შაქარი ძალიან შეცოტავებულია და ხაჭო გადაგვარებული. ხშირად ძროხის მთელი რძე არ არის მლაშე, არამედ პირველად გამოწველილი და ხან რომელისამე ძუძუს რძეა ასეთი. ამგვარის რძის სხვა ძროხების რძიდან განცალკევება მიუცილებელია, რადგანაც ამგვარ რძიდან მომზადებული ყველი იბერება, ჰბურცდება. მლაშე რძეს ტუტი რეაქცია აქვს და დულილით არ იჭრება; დვრიტას მომატებითაც ძნელად ხაჭოვდება; შესანიშნავი ის არის, რომ ამ რძეში დიდრონი ერბოს წვეთები სრულებით არ არის.

**დაშხამული რძე.** დაშხამული რძე ის რძეა, რომელშიაც ერთგვარი შხამია, პტომაინი და რომელიც გამოწვეულია ზოგიერთ ბაკტერიების ზედმოქმედებით ხაჭოზე; ეს ბაკტერიები ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული.

**უდროოდ ახაჭოებული რძე.** უდროოდ რძის ახაჭოვება ანუ რძის დულილი გამოწვეულია უწმინდურობით, როცა რძის შესანახავ ჭურჭელში დარჩენილი იყო ძველი რძის ნაშთი, დამჟავებული რძე. მაშასადამე, ამგვარი რძის აჭრა გამოწვეულია რძის სიმჟავის ბაცილების ზედმოქმედებით. აქედან ცხადია, როგორც უნდა იყოს აცილებული ამგვარი დაზიანება: ჭურჭლის სისუფთავეა საჭირო.

**ქვიშიანი ანუ ხვაჟრიანი რძე.** იმ ჭროხების მოწველის დროს, რომელთა რძეც ამგვარად არის დაზიანებული, რძეს გამოსდევს იმისთანა სხეულები, რომელიც ქვიშას ანუ ქვებს მიემსგავსება. ეს ქვები ხშირად რძის გამოსასვლელ მილებშია გაჩხირული და რძეს აგუბებს; ამ შემთხვევაში ძუძუს რომ ხელი ჩამოუსვა, მაშინვე შეეტყობა, რომ შიგ რაღაცა მაგარი არის გაჩერებული; ეს ქვიშა შემდგარია ეგრედ-წოდებული რძის ქვათაგან, რომელთა წარმომავლობაც ფიურსტენბერგმა ლაბორატორიებით გამოიკვლია: რძის ქვები სამ-გვარია და სამივენი შესდგებიან კირისა ანუ მაგნეზიის მარილთაგან, რომელთაც შერეული აქვთ ორგანიული ნივთიერებანი და ხაჭო. აბა, რძის ქვის შედგენილება:

| | I | II |
|---|---|---|
| ნახშირ-მჟავე კირი . . . | 91,63% | 92,30% |
| ფოსფორის სიმჟავის მარილი . | 1,18 — | 2,78 — |
| ორგანიული ნივთიერებანი . . | 5,40 — | 3,14 — |
| ცხიმი . . . . . | 1,30 — | 0,93 — |
| წყალი . . . . . | 1,14 — | 0,85 — |

ამ რძის ქვების წარმომავლობას იმით ჰხსნიან, რომ ძროხის სისხლში საკვებავიდან ბევრი კირის მარილი გადადის და აქედანაც ძუძუებში გადმოდის, ჰხსნიან აგრედვე ცურის ანთების გამო. აი ამ შემთხვევაში კარგი გამოსადეგია საწველის მანქანის ხმარება; თუ ქვები დიდრონია, მაშინ კი ოპერაციაა საჭირო.

## გუ რძის შესანახავი საშუალებანი

თუ რძე გასაყიდია და ან სხვა-და-სხვა წარმოების მასალად არის სახმარებელი, იმისი სარგებლიანად მოხმარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ყოველი ღონისძიება არის მიღებული, რომ მალე არ წახდეს, მალე არ აიჭრას და დიდ ხანს შეინახოს შეუცვლელად. რძის გაფუჭება, შეცვლა ანუ დაჭიანი

ნება ორის სხვა-და-სხვა მიზეზისაგან სწარმოებს, რომელთა შორის ერთი თითონ ძროხის ძუძუებში, ძროხის ორგანიზმშია და მეორე კი თითონ რძის თვისებაში. თუ ძროხა ჯანმრთელია, იმისი რძეც მოწველის დროს სრულიად საღია და შიგ არავითარი ზადი არ მოიპოვება. მაშასადამე, ეს რძე კარგად და უვნებლად შეინახებოდა დიდ ხანს, თუ გარედან არა ჩაეარდა-რა ისეთი, რაც შემდეგ უეჭველად დააზიანებს. რძე წარმოადგენს ძალიან კარგს ბინას, რომელშიაც სიამოვნებით და ხალისით სცხოვრობენ და მრაველდებიან სხვა-და-სხვა გვარი წვრილმანი მიკროსკოპული ორგანიზმები, სხვა-და-სხვა სოკოები და ბაკტერიები. ჩვენი ჰაერი ხომ სავსეა ამგვარის ცხოველთა და მცენარეთა პარკებით, სპორებით და, მაშასადამე, ადვილი წარმოსადგენია და მოსალოდნელი მათი გაჩენა რძეში, როგორც ჰაერიდან, ისე სხვა-და-სხვა სახმარ ჭურჭლის შემწეობით. ეს არის მიზეზი, რომ რამდენისამე საათის განმავლობაში რძის მოწველის შემდეგ რძეში ვპოულობთ მრავალ ბაკტერიებს, რომელთა რიცხვიც დამოკიდებულია, როგორც თითონ რძის ტემპერატურაზე, ისე იმ დროზედაც, რამდენიც მოწველის შემდეგ გავიდა. ამ გარემოებათა ზედგავლენის შესაგნებად მოვიყვან აქ ფრეიდენრეიხის გამოკვლევას, რომელმაც რძე ჯერ მიკროსკოპით გამოიკვლია, ჰნახა, რომ ყოველ კუბიკურ სანტიმეტრში ეს რძე შეიცავდა 9,300 ბაკტერიას და ამას შემდეგ ეს რძე შეინახა სხვა-და-სხვა ტემპერატურაში სხვა-და-სხვა ხნით; აი შედეგი ამ გამოკვლევისა:

ბაკტერიების რიცხვი რძის ერთ კუბიკურ სანტიმეტრში:

| | 15°-ში | 25°-ში | და 35°-ში |
|---|---|---|---|
| სამის საათის შემდეგ | 10,000 | 18,000 | 39,000 |
| ექვსის საათის შემდეგ | 25,000 | 172,000 | 12,000,000 |
| ცხრა საათის შემდეგ | 46,000 | 1,000,000 | 35,280,000 |
| ოც და ოთხი საათ. შემ. | 5,700,000 | 50,000,000 | 577,000,000 |

აქედან ცხადია, რომ რამდენადაც მეტი დრო გადის მოწველის შემდეგ და რამდენადაც რძის ტემპერატურა მაღალია, იმდენად უფრო მრავლდება ეს ბაკტერიები.

ერთ გერმანელ სწავლულ კნოპის მოწმობით ბაზარში გასაყიდად გატანილ რძის ერთ კუბიკურ სანტიმეტრში ჩვეულებრივ მოიპოვება 200 ათასიდან 6 მილიონამდინ რიცხვი ბაკტერიებისა. მაშ მიკროსკოპით გამოკვლევას შეუძლიან კარგად და ცხადად შეამოწმოს, როგორც რძის ხნიანობა, ისე მისი სიწმინდე.

ბაკტერიები ბევრია ცნობილი, რამდენიმე ასი სხვა-და-სხვა ჯიშისა, მაგრამ რძეში მხოლოდ 20 თუ 25 ჯიშის ბაკტერიაა ნაპოვნი; მხოლოდ ამ ჯიშის ბაკტერიებისათვის ყოფილა რძე კარგი საცხოვრებელი ბინა, თუმცა ყოველი ჯიში თავისებურად ჰმოქმედობს და თავისებურად აზიანებს რძეს; ზოგი მათგანი ერბოზე ჰმოქმედობს, ზოგი—შაქარზე, ზოგი—ხაჭოზე და ზოგიც—მარილებზე, მაგრამ მათის მოქმედების შედეგი ორგვარია ადამიანის ორგანიზმის შესახებ: ერთი იმისთანაა, რომელიც ჩვენის ორგანიზმისათვის მავნებელი არ არის, როცა რძეში ისეთი არა ჩნდება-რა, რომ გვაწყინოს; ასეთია რძის დამჟავება, შედედება და სხვა გვარად თითონ რძის დაზიანება; მეორე კი იმისთანა ცვლილებაა, რასაც შედეგად იმისთანა ნივთიერების გაჩენა მოსდევს, რომელიც მავნებელი იქნება ადამიანისათვის; ეს მაშინ არის მოსალოდნელი, როცა რძე დაზიანებულია ეგრედ-წოდებული პატოგენიურ მიკროორგანიზმებისაგან. პირველი გვარი დაზიანება უფრო ხშირად გამოიხატება რძის დამჟავებით; რძის დამჟავება ანუ ეგრედ-წოდებული **რძის დუღილი** ის არის რომ რძეში მყოფი შაქარი ნაწილდება და ამ განაწილების შედეგი რძის სიმჟავეა; ამგვარი დამჟავება გამოწვეულია ერთგვარის ბაქტერიის მოქმედებით, რომელსაც Bacterium acidi lacti-ს ეძახიან (რძის სიმჟავის ბაქტერია); შეხედულობით ეს ბაკტერია პატარ-პატარა და წვრილ ჩხირებსა ჰგავს და იმის გამრავლების და მოქმედების ენერგია სხვა-და-სხვა არის სხვა-და-სხვა ტემპერატურაში: $10^0$ ქვეით მოქმედება და გამრავლება არ შეუძლიან და ამ ტემპერატურის ზევით კი, $40^0$-დინ, თანდითან მატულობს ტემპერატურის ამაღლების დაგვარად. ამას გარდა, როგორც ალკოგოლის გაჩენა ტკბილში

დუღილის დედის ენერგიას ამცირებს, ისე აქაც რძის სიმჟავის გაჩენა აფერხებ რძის დუღილის დედის, ამ ბაკტერიის მოქმედებას და ამისგამო რძის შაქარი მთლად არ ნაწილდება; როცა რძის შაქრის ნახევარი განაწილებულია და ამ განაწილებულ ნაწილის შესაფერი სიმჟავეა გაჩენილი, მაშინ სრულიად შესწყდება შაქრის განაწილება. თუ ამას შემდეგ ასე დამჟავებულ რძეს მივუმატებთ რამე ტუტს და სიმჟავეს დავანელებთ (კირის წყალით და ან სხვ.), მაშინ დანარჩენი შაქარიც განაწილდება.

რძის დამჟავების დროს ხშირად ერბოს სიმჟავეც ჩნდება (ბუტირინის სიმჟავე), რომელიც გამოწვეულია სხვა გვარის ბაქტერიის მოქმედებით, ეგრედ-წოდებულ ერბოს ბაცილითა (Bacillus butiricus); ეს სიმჟავე ძალიან მალე სჭრის რძეს, რომელიც ხაჭოვდება და ამასთან მწარე გემოც ეძლევა.

ზემოხსენებულნი ცვლილებანი თუმცა რძის თვისებას და შედგენილებას აზიანებენ, მაინც რძე საჭმელად გამოსაყენებელია, მავნებელი არ არის ადამიანის ორგანიზმისათვის, არავითარს ავადმყოფობას არ გამოიწვევს. რაც შეეხება პატოგენიურ ბაკტერიებს, ზოგი მათგანი თვითონ ძროხის ორგანიზმიდან გადმოდის რძეში, როცა ძროხა დასნეულებულია რაიმე გადამდებ ავადმყოფობით და ზოგი კი ან შესანახავ ჭურჭლიდან, როცა ჭურჭელი გარეცხილია იმისთანა წყალით, რომელშიაც ჩაბუდებული იყო რომელისამე სენის დედა, ფერმენტი და ან იმ ადგილიდან, სადაც რძე იყო შენახული, მაგ. როცა რძე შენახული იყო იმისთანა ოთახში, რომელშიც გადამდების სენით ავადმყოფი არის ან იყო, და უკანასკნელად თვითონ მომწველისაგან, თუ ავად არის რაიმე გადამდების ავადმყოფობით. ცნობილია სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, ძროხის რძის შემწეობით გადაცემული, როგორც ყვილეხი (ციმბირის ჭირი, ანუ ძროხის ყვავილი), ფილტვების ანთება, სეპტიცემია, ყვავილი, აკტინომიკოზა, ჭლექი, თურქული და სხვანი. ამგვარ ავადმყოფობათა გადაცემა მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, როცა თვითონ ძროხა არის ავად რომელისამე ავადმყოფობით. ამათ გარდა შენიშნულია რძითვე ავადგახდომა სახადით, წითელათი, ხუნაგით (დიფტერია)

და ხორველითა, როცა რძე შენახული ყოფილა-იმ ადგილას, სადაც რომელისამე სნეულებით ავადმყოფი წოლილა და ან თვითონ ავადმყოფს მოუწველია ძროხა. გადამდებ ავადმყოფობის გადაცემა რძის შეძწეობით შესაძლებელია აგრედვე გომის ჰაერის შემწეობით, სადაც რძე იყო მოწველილი, თუ ამ გომში ან ძროხა და ან ადამიანი იყო სნეული, მაგალ. ჭლექით.

სანუგეშოდ, ჩვენში უმ რძეს არ ეტანებიან და უფრო ადუღებული რძე უყვართ. ამისგამო იშვიათი უნდა იყოს ძროხისა და გომიდან და აგრედვე მწველელის მიზეზით დაზიანებულ. რძის წყენა, მაგრამ შესანახავი ადგილიდან გადამდებ სენის გადაცემა კი უეჭველად ხშირია. ცნობილია, რომ თბილ. რძეში (და მაშასადამე ადუღებულშიაც გაცივების დროს) უფრო ადვილად მრავლდება და ძლიერდება სენის გადამცემი ბაქტერიები; ამათ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ადუღებითაც. რძე ხშირად გათავისუფლებული არ არის გადამდებ სენისაგან და, მაშასადამე, პირველ კატეგორიის ავადმყოფობის გადაცემაც. მოსალოდნელია, როგორც ქვემოდ ვნახავთ.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ მოწველილი რძე ან ჩქარა არ დაზიანდეს, არ დამჟავდეს და ან სრულიად განთავისუფლდეს, თუ შიგ რამ სენის ფერმენტი არის? დიდი ხანია მრეწველობაში ებრძვიან ამ მოვლენათა აცილებას და, თუ აქამდე უებარი არა გამოუგონიათ-რა, ახლა მაინც ძნელი არ არის, როგორც რძის დამჟავების კარგა ხანს შეფერხება, ისე, ზოგიერთ შემთხვევაში, თვითონ გადამდებ სენის მოშორებაც. ახლა მრავალი საშუალება არის მოგონილი რძის წმინდად, უენებლად და დიდ ხანს შესანახად და ყველა ეს საშუალებანი ან ბაქტერიების გამრავლებას უშლიან ხალხს და ან სრულიად ჰხოცავენ და ამით რძეს სრულიად ანთავისუფლებენ.

იმ საშუალებათა შორის, რომელნიც რძის დამაზიანებელ ბაკტერიების გამრავლებას უშლიან ხელს და აფერხებენ, პირველი ადგილი უჭირავს **რძის გაცივებას**; იმ საშუალებათა შორის კი, რომლებიც ჰხოცავენ ამ ბაკტერიებს, აგრეთვე პირველი ადგილი უჭირავს **სითბოს.**

როგორც ყველამ კარგად იცის, თუ რამ ცხოველს შესაფერი გარემოება არა აქვს თავის ფუნქციების და მოქმედების დასაკმაყოფილებლად, ვერც გამრავლდება და ვერც იმოქმედებს. მაშ თუ იმ ბაკტერიებსაც, რომლებიც რძეს აზიანებენ, იმისთანა გარემოებაში მოვათავსებთ, სადაც მათი გამრავლება და მოქმედება შეფერხებულია, რასაკვირველია, რძე დიდ ხანს შეინახება უვნებლად. წინად ხსენებულ გამოცდილებით ვიცით, რომ დაბალი ტემპერატურა, და განსაკუთრებით 10°-ზე დაბალი, ძალიან უშლის ხელს ბაკტერიების მოქმედებას. მაშ თუ ჩვენს რძეს ამ ტემპერატურამდე და ან უფრო მეტად გავაციებთ, რძე, რასაკვირველია, დიდ ხანს შეინახება; ამასთან ესეც ხომ კარგად ვიცით, რომ თუ რომელსამე ცხოველს ანუ მცენარეს ძალიან გავათბობთ, გავაცხელებთ, ისე გავაცხელებთ, რომ მისნი აზოტურნი ნივთიერებანი აიჭრან, ესე იგი 70°-მდინ, მაშინ ის ცხოველნი და მცენარენი ყველანი დაიხოცებიან და ამ მხრითაც რძე განთავისუფლდება გადამდებ სენისაგან: აქედან ცხადია, რომ რძის შესანახავად ეს რძე, შემთხვევისა და საჭიროების დაგვარად, მოწველის უმალვე ან უნდა გაცივდეს და ან გაცხელდეს.

რაც შეეხება სიცივის მნიშვნელობას რძის მრეწველობაში, ამ მხრით ბევრი შესანიშნავი გამოკვლევაა და ყველა იმას გვაუწყებს, რომ გაცივებული რძე უფრო დიდ ხანს ინახება აუჭრელად და დაუზიანებლად, ვიდრე გაუცივებელი. ამ გამოკვლევათა შორის მკითხველების ყურადღებას მივაპყრობ სოქსლეტისას, რომელმაც ერთი და იგივე რძე გაჰყო რამდენსამე ნაწილად და ეს ნაწილები სხვა-და-სხვა ტემპერატურაში შეინახა; აი რომელ ტემპერატურაში რამდენი ხანი გასძლო რძემ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 39°-ში | შენახული | აიჭრა | 19 | საათის | შემდეგ. |
| 25° -ში | — | — | 48 | — | — |
| 17°,5 — | — | — | 63 | — | — |
| 15° — | — | — | 88 | — | — |
| 10° — | — | — | 99 | — | — |
| 2° — | — | — | 14 | დღის | შემდეგ. |

აქედან ცხადია, რომ რამდენადაც რძის ტემპერატურა შენახვის დროს დაბალია, იმდენად უფრო დიდ ხანს ინახება. სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის მოსახერხებელი ძალიან დაბალის ტემპერატურის გაჩენა, რადგანაც ყველას არ შეუძლიან იქონიოს ძვირად ღირებული საცივებელი მანქანები. მაგრამ ამის მიუხედველად მაინც ძნელი არ არის ისეთის სარძევეს გაკეთება, სადაც ტემპერიტურა 10—15°-ზე მაღალი არ იყოს და ამ გარემოებაში ხომ რძე სამ-ოთხ დღეს სრულიად უვნებლად შეინახება. დაბალის ტემპერატურის კარგი და სასარგებლო ზედმოქმედება ცხადად სჩანს აგრედვე კნოპფის გამოკვლევიდანაც. აი რაში მდგომარეობს ამ სწავლულის გამოკვლევა: ერთისა და იმავე ძროხის რძე იყო გაყოფილი ორ ნაწილად და ერთი მათგანი გაცხელებით ანუ აღუღებით სრულიად გააზატებული ბაკტერიებისგან. ეს გააზატებული და გაცივებული რძე სამად გაანაწილა და ყველა ნაწილს, სამივეს მიუმატა თითო კუბიკური სანტიმეტრი გაუაზატებელის რძისა, რომელშიაც დათვლილი იყო ბაკტერიების რიცხვი *). ეს სამივე ნაწილი შეინახა სხვა-და-სხვა ტემპერატურაში და აი როგორ გაბრავლდნენ ამ სხვა-და-სხვა ტემპერატურაში ეს ბაკტერიები:

| | 35°-ში შენახულ რძეში, | | | | | 12,°₅ | და 0° |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | საათში | 23ᲯᲔᲠ. | იმატა | იმათმა | რიცხვმა; | 4ᲯᲔᲠ. | ამ. ტემპერატურაში ძალიან შეფერხებული იყო მათი გამრავლება; რაც 12,°₅-ზე თითო საათში ჩნდებოდა, აქ მხოლოდ დღეობით გაჩნდა. |
| 3 | — | 60 — | — | — | — | 6 — | |
| 4 | — | 215 — | — | — | — | 8 — | |
| 5 | — | 1830 — | — | — | — | 26 — | |
| 6 | — | 3800 — | — | — | — | 935 — | |

*) როცა ამ წვრილმან ცხოველების და მცენარეების დათვლაზეა საქმე, რასაკვირველია, ძნელი მოსალოდნელია ნამდვილის მათის რიცხვის ცოდნა; ეს რიცხვი მხოლოდ დაახლოვებული რიცხვია. იმათ დასათვლელად ასე მოიქცევიან: აიღებენ ერთ კუბიკურ სანტიმეტრ რძეს და წმინდა გამოხდილის წყალით გააზავებენ და წყალს იმდენს მიუმატებენ (100 ᲯᲔᲠ, 1000 და საჭიროების დაგვარა უფრო მეტსაც), ვიდრე ამ ბაკტერიების რიცხვი ისე არ შემცირდება ერთ წვეთში, რომ ათიოდე ან ოცეოდე იყოს. რადგანაც წვეთის ტანი იციან და მიმატებული წყალის რაოდენობაც, აქედან ძნელი აღარ იქნება იმ ბაკტერიების რიცხვის გამოანგარიშება.

ამ მაგალითებით სრულიად ცხადია, რომ, თუ რძე შესანახავია უმადვე, აუდუღებლივ, ის მოწველის უმალვე უნდა გაცივდეს 10—15°-დინ და შემდეგ შენახულ იქმნას იმისთანა ადგილას, სადაც ამგვარი ცივი ტემპერატურა არის, მაშასადამე, სარდაფში.

რძის გასაცივებელი მანქანები ეხლა ძალიან ბევრია მოგონილი, მაგრამ ყველასაზრ ავწერ; მკითხველების ყურადღებას მივაპყრობ მხოლოდ ერთს, რომელიც უფრო გავრცელებულია და რომელიც ყველაზე კარგად ჰმოქმედობს და არც ძვირადა ჰღირს. ეს შმიდტის რძის საცივებელი ჭურჭელია (სურათი 5). ეს ჭურჭელი წარმოადგენს ცილინდრის მსგავსს მაღალ ლითონის ქვაბს (მოკალული სპილენძი, თუნუქა და სხვ.), რომელსაც გარშემო ბურღივით შემორტყმული აქვს ლითონისავე მილი (1—1), რომლის ერთი ბოლო (ზევითი) შიგ ქვაბში შედის და აქედან ქვაბის ძირში გადის და ონკანით თავდება (2); მეორე ბოლო (ქვემოთი) ცოტა გასწორებულია (3) და ქვაბის გარედან სჩანს. ამ ქვაბს სახურავი აქვს, რომელზედაც ბადია არის დამაგრებული (4). ამ ბადიას გვერდები ერთ რიგად ირგვლივ აქვს დახვრეტილი თითონ ქვაბი ჩამდგარია განიერ ტაშტში ანუ მათრათში (5), რომელიც ერთის მხრით ღარით (6) თავდება; აუზში ჩასხმულ ცივ წყალს მილის შემწეობით შეუერთებენ ამ საცივებელს (აუზის მილი




სურათი 5.

უნდა შეუერთდეს საცივებელის (3) მილს); ცივი წყალი გაივლის საცივებელის მილში ქვეიდან ზევით და აქედან ქვაბში ჩავა და აქედანაც ამ ქვაბის ქვეშ მიმდგარ ჭურჭელში ჩავა. როცა საცივებელის მილები კარგა გაცივებულია, მაშინ რძის ჩასხმასაც დაიწყებენ ცოტ-ცოტაობით და ერთგვარი ჭევლით ბადიაში, რომლის გვერდებიდამაც ირგვლივ გამოვა რძე და ირგვლივვე დაესხმება გაცივებულ მილზე, ქვეით ჩამოივლის და სულ გაცივებული ტაშტში ჩავა და აქედანაც ღარის შემწეობით ჩაისხმება შესანახავ ჭურჭელში. ამ ჭურჭელს სხვა-და-სხვა ტანისას აკეთებენ და ამის დაგვარად ფასიც სხვა-და-სხვა არის; იმ ტანის ჭურჭელი, რომელიც საათში 100 ლიტრ რძეს აცივებს, ღირს 20 მანეთი და იმისთანაც არის, რომელიც საათში 800 ლიტრს და ან 1800 გააცივებს; მეორე ტანისა ღირს 60 მანეთი და მესამე 110 მანეთი. გასაცივებლად სახმარებელი წყალი, რასაკვირველია, ცივი უნდა იყოს; თუ ცივი ჭის წყალი არ მოიპოვება, მაშინ ყინულით უნდა გაცივდეს.

რაც შეეხება სითბოს მნიშვნელობას რძის ნრეწველობაში, იმისი დანიშნულება საზოგადოდ ისეთივეა, როგორც გაცივებისა; რადგანაც სითბო ჰხოცავს რძის დამაზიანებელ ბაცილებს და ამისგამო რძე უფრო დიდ ხანს შეინახება, მალე აღარ აიჭრება, თუ, რასაკვირველია, რძეს ხელმეორედ არ შეერია ეს ბაცილები ჰაერისა და ჭურჭლის შემწეობით; მაშასადამე, ამ საშუალებითაც შეიძლება რძის შეუცვლელად შენახვა. სამწუხაროდ, გაცხელება და დუღილი რძეს ცოტაოდენ გემოს უფუჭებს, ცუდი გემო ეძლევა და ამასთან ცოტაოდნად ხაჭოვდება კიდეცა, როგორც უკვე ვიცით, ცოტა ნაწილი რძის ხაჭოსი მაგრდება და ეცლება რძესა. დრუკლოს გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ რძეს გემო უფუჭდება 70° ზევით გაცხელებით, მაშასადამე, ამაზე ზევით გათბობა არ შეიძლება რძის დაუზიანებლად. ამგვარ რძის გაცხელებას ანუ გათბობას პასტერიზაცია ჰქვიან. რძის გასაცხელებელი ჭურჭელნი ახლა ბერგვარია და ყველა ესენი ორ რიგად განიყოფებიან: ერთი რიგი ამ ჭურჭლებისა ისეა გაკეთებული (ძველებს), რომ მილებ-

ში გადის გაცხელებული წყალი, ან ორთქლი და მილებზე გარედან ესხმება რძე, რომელიც ამგვარად თბება. მაშ ეს ჭურჭელი იმგვარივეა, როგორც რძის გასაცივებელი, იმ განსხვავებით, რომ ცივი წყალის მაგივრად ახალა მილებში ცხელი წყალი მდინარეობს; ამისგამო რძის გასათბობად გამოსაყენებელი იქნება ის შიდტის რძის საცივებელი ჭურჭელიც, რომელიც ჩვენ ზევით ავწერეთ. ამგვარად აშენებულ სათბობ ჭურჭელს ის ნაკლულევანება აქვს, რომ გათბობის დროს რძეს ნადუღის გემო ეძლევა. გარედან გაცხელებულ მილებზე ჩამონადენი რძე, რასაკვირველია, ამ ჭურჭლის გვერდებს აშრება, მისი ხაჭო მილებს გვერდებზე ეკრობა და იწვება და ამ დამწვარს გემოს რძესაც აძლევს. ამას გარდა, რადგანაც მილები, ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ, ხაჭოში იქნება გახვეული, ამისგამო თვითონ ჭურჭლის მოქმედებაც მცირდება, წყლის სითბო კარგად არ გადაეცემა რძეს და ისე ვარ გათბება, როგორც სასურველია.

ამის ასაცილებლად ეხლა იმისთანა სათბობ ჭურჭელსა ჰხმარობენ, რომელშიაც სათბობი მილები თბილ წყალშია ჩამდგარი და გასათბობი რძე კი შიგ მილებში გადის, მაშასადამე, სრულიად მიემსგავსება ღვინის სათბობ ჭურჭელს. რადგანაც გასათბობი რძე დახურულში მოძრაობს, ამისათვის იმისი დაშრობა მოსალოდნელი აღარ არის და არც ისე დაზიანება, როგორც იმისთანა ჭურჭელში, როცა სათბობი რძე გარედან ესხმება სათბობ მილებს.

ამ ბოლოს ღროს შემოიღეს იმისთანა რძის სათბობი ჭურჭელი, რომლებიც შემდგარია ორის ერთმანეთში ჩამდგარ ქვაბისაგან: გარეგანს ქვაბში ცხელი წყალია და შიდა ქვაბში კი გასაცხელებელი რძე; ამავე ქვაბში ჩატანებულია რძის სარევი მოწყობილება, რომ რძე გათბობის დროს მუდამ მოძრაობაში იყოს, ქვაბის გვერდებს არ მიეკრას და არ დაიწვას.

უკანასკნელად სულ ახლად მოგონილია იმისთანა სათბობი ჭურჭელი, რომელიც აგრეთვე ორის ქვაბისაგან შესდგება; ეს ორი ქვაბი ერთი-ერთმანეთშია ჩადგმული, რომელთა-

განაც გარეგან ქვაბს ორ-კეცი გვერდები აქვს, ესე იგი თვითონაც ორი ერთმანეთში ჩადგმული ქვაბიდან არის შემდგარი. გარეგან ქვაბში ცხელი წყალია და შიდა ქვაბისა და გარეგანის ქვაბის გვერდებ შუა გასათბობი რძე ჩამომდინაროს და აქაც სარევი არის ჩატანებული, რომ რძე გვერდებს არ მიეკრას და არ დაიწვას. მე მხოლოდ ამ უკანასკნელ რძის გასათბობ ჭურჭლის სურათს მოვიყვან და მის ხმარებას ავწერ (სურათი 6). ეს ჭურჭელი მოგონილია დირკსისა და ველმანისაგან და აქ შუაზედ (თავის სიმაღლეზედ) გაჭრილი არის დახატული, რომ ამ გვარად იმის მუშაობის შეგნება უფრო ადვილად შეიძლებოდეს. გასათბობი რძე ჩადის ძაბრში (1) და აქედან მილში (2), რომელიც შიდა ქვაბის (3) შუაში არის ჩამაგრებული. ამ მილის შემწეობით ეს რძე ჩადის გასათბობ ადგილში (4—4); ამ გასათბობ ადგილში დატანებულია რძის სარევი (5—5); ეს გასათბობი ადგილი შემდგარია გარეგან ორ-კეცის ქვაბის (6—6) შიდა გვერდებიდან და შიდა ქვაბის (3) გარეგან გვერდებიდან. ძაბრის შემწეობით მილში ჩასხმული რძე ამ სათბობის ადგილის ძირში ჩადის და ამ ძირიდან რძის მიმატების დაგვარად ზემოდ ამოდის და თავში მიკეთებულის ღარით (7) ჩადის საცივებელ ჭურჭელში, რომელიც აქ ნაჩვენები არ არის. გარეთი ორკეცი ქვაბი (6—6) სავსეა წყალით, რო-



სურათი 6.

მელსაც ორთქლით გაათბობენ; ეს ორთქლი ჩადის ამ ქვაბში მილით (8), რომელსაც ერთგვარი მომართულება აქვს მიკეთებული (9) ორთქლის კარგად გასანაწილებლად. გარეთის ქვაბის სახურავზე (10) და ძირს მიკეთებულ ონკანზე (11) არის დამაგრებული შიდა ცარიელი ქვაბი; ამას გარდა ამ ოკანის დანიშნულება (11) ის არის, რომ ჭურჭლის ხმარების შემდეგ სათბობ ადგილში დარჩენილ გამთბარ რძის გამოშვება შეიძლებოდეს. ამავე გარეგან ქვაბში არის ერთი პირახდილი მაღალი მილი, რომელიც ქვაბის ძირში ონკანით თავდება (12), და რომლის დანიშნულებაც ის არის, რომ, თუ წყალის გათბობის დროს იმისმა ტანმა იმატა, ამ მეტისა ჭურჭლიდან გამოშვება შეიძლებოდეს. ამათ გარდა ძაბრის (1) კიდეებზე არის დამყარებული ერთი ორკაპი (13) და ამ ორკაპის ზურგში დატანებულია ნახვრეტი (14), რომელშიაც გატარებულია რძის სარევის ღერძი (15); ამ ღერძის ქუსლად 11 ონკანის მილის ბოლოა. ღერძს რომ დაატრიალებენ ხელით ან ორთქლით, იმაზე დამაგრებული სარევიც დატრიალდება და სათბობ ადგილში გავლილ რძეს არ მისცემს ნებას ქვაბების გვერდებს მიეკრას და დაიწვას. როცა მთელის რძის გათბობა გათავდება, მაშინ ორკაპის ქვეშ ღერძზე მყოფ ბურღს მოადუნებენ (16) და შიდა ქვაბს ამოიღებენ; ამას შემდეგ რძის სარევის ამოღებაც შეიძლება, რომ კარგად გაირეცხოს და გაშრეს ხელმეორედ სახმარებლად. ამ სათბობს სხვა-და-სხვა ტანისას ამზადებენ და ყველაზე პატარა საათში 65 ვედრო რძეს ათბობს და ღირს 80 მანეთამდე; დიდის ტანისა კი, რომელიც საათში 162 ვედრო რძეს გაათბობს ღირს 125 მანეთი.

ერთხელ გაცხელებული რძე ისევ უნდა გაგრილდეს და ისე შეინახოს; რომ შიგ არაფერი მავნე ფერმენტი აღარ ჩავარდეს; უამისოდ, რასაკვირველია, რძე დიდ ხანს არ შეინახება. ეს არის მიზეზი, რომ რძის გათბობის სარგებლობაზე სწავლულნი სხვა-და-სხვა აზრისანი არიან; ზოგს სასარგებლოდ მიაჩნია და ზოგი კი სრულიად უარჰ-ყოფს. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ გაცხელებული რძე ხან 30 საათს უფრო მეტსა

ს ძ ლ ებ ს, ვ ი დ რ ე გ ა უ მ თ ბ ა რ ი დ ა ხ ა ნ. მ ხ ო ლ ო დ 12 ს ა ა თ ი თ ა გ ვ ი ა ნ ებ ს რ ძ ის დ ა მ ჟ ა ვ ებ ს ა. ს წ ა ვ ლ ულ ებ ი ს ა დ ა პ რ ა ქ ტ ი კ ის ა მ გ ვ ა რ ი უ თ ა ნ ხ მ ო ებ ა დ ა ს ხ ვ ა-დ ა-ს ხ ვ ა ო ბ ა ა ზ რ ი ს ა, ჩ ვ ე ნ ი ს ფ ი ქ რ ი თ, გ ა მ ო წ ვ ე ულ ი ა ი მ გ ა რ ე მ ო ებ ი თ, რ ო მ ჩ ვ ე უ ლ ებ რ ივ დ ა ხ უ რ უ ლ ჭ ურ ჭ ელ ში ა რ ა ც ი ვ ებ ენ (ს ა ც ი ვ ებ ელ ში), ა ნ ჰ ა ე რ შ ი ვ ე ა ც ი ვ ე ბ ენ დ ა ა ნ ი ნ ა ხ ა ვ ენ პ ი რ დ ა პ ი რ შ ე ს ი ნ ა ხ ა ვ ჭ ურ ჭ ელ ში, რ ო მ ელ ი ც ხ შ ი რ ა დ ს უ ფ თ ა დ ა ფ ე რ მ ენ ტ ებ ი ს ა გ ან გ ა ა ზ ა ტ ებ ულ ი ა რ ა ა რ ის, რ ო გ ო რ ც ვ ი ც ი თ, ს ი თ ბ ო ში ბ ა კ ტ ე რ ი ებ ი უ ფ რ ო კ ა რ გ ა დ მ რ ა ვ ლ დ ებ ი ა ნ დ ა ჰ მ ო ქ მ ე დ ო ბ ენ დ ა ა მ ი ს გ ა მ ო რ ძ ე ს ა ც მ ა ლ ე ა მ ჟ ა ვ ებ ენ. რ ძ ის ს ა თ ბ ო ბ ჭ ურ ჭ ელ ს ა ც რ ო მ ზ ე დ ვ ე ჰ ქ ო ნ დ ე ს მ ი კ ე თ ებ ულ ი ს ა ც ი ვ ებ ელ ი, რ ო გ ო რ ც ეს ღ ვ ი ნ ის ს ა თ ბ ო ბ ქ ვ ა ბ ებ შ ი ა, მ ა შ ინ რ ძ ე, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ელ ი ა, უ ფ რ ო დ ი დ ხ ა ნ ს შ ე ი ნ ა ხ ებ ა. ს ა მ წ უ ხ ა რ ო დ, რ ძ ის მ რ ე წ ვ ელ ობ ა ში ჯ ერ ა რ ა ვ ინ ა რ ა ჰ ხ მ ა რ ობ ს ა მ გ ვ ა რ ს ა თ ბ ო ბ მ ა ნ ქ ა ნ ებ ს. — ზ ო მ ა ზ ე გ ა მ თ ბ ა რ ი დ ა მ ა შ ინ ვ ე გ ა ც ი ვ ებ ულ ი რ ძ ე დ ა ხ უ რ უ ლ ს ა ც ი ვ ებ ელ ჭ ურ ჭ ელ ში კ ა რ გ ა დ ა ც ი ნ ა ხ ებ ა დ ა ა მ ა ს თ ან ა კ ა რ გ ი მ ა ს ა ლ ა ც ა რ ის ს ხ ვ ა-დ ა-ს ხ ვ ა რ ძ ის წ ა რ მ ო ებ ი ს ა თ ვ ის: ნ ა ღ ებ ს კ ა რ გ ა დ ი ხ დ ის, ე რ ბ ო ს გ ე მ ო ა რ უ ფ უ ქ დ ებ ა დ ა ყ ო ვ ელ ის მ ო ს ა მ ზ ა დ ებ ლ ა დ ა ც უ რ ი გ ო ა რ ა ა რ ის.

რ ძ ის შ ე ს ა ნ ა ხ ა ვ ა დ ხ შ ი რ ა დ ქ ი მ ი ურ ს ა შ უ ა ლ ებ ა ს ა ც უ რ ჩ ე ვ ენ, რ ო მ ელ ი ც რ ძ ე შ ი დ ე ზ ი ნ ფ ე ქ ც ი ა ს ა ფ ა რ მ ო ებ ს; ა მ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა რ ი ც ხ ვ ს ე კ უ თ ვ ნ ის ბ ო რ ა ქ ს ის ა ნ ბ ო რ ის ს ი მ ჟ ა ვ ის მ ი მ ა ტ ე ბ ა, ა გ რ ე ც ვ ე ს ა ლ ი ც ი ლ ის ს ი მ ჟ ა ვ ი ს ა, მ ა გ რ ა მ ეს ს ა შ უ ა ლ ებ ა ნ ი ა დ ა მ ი ა ნ ის ო რ გ ა ნ ი ზ მ ი ს თ ვ ის მ ა ვ ნ ებ ელ ი ა დ ა ა მ ის გ ა მ ო მ ა თ ი ხ მ ა რ ებ ა ა ღ კ რ ძ ა ლ ულ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს. ა გ რ ე თ ი ვ ე გ ა ვ ლ ენ ა ა ქ ვ ს ფ ლ ო რ ი ს ს ი მ ჟ ა ვ ის მ ა რ ი ლ ებ ს ა ც; ხ შ ი რ ა დ რ ძ ის შ ე ს ა ნ ა ხ ა დ ხ მ ა რ ობ ენ ნ ა ხ შ ი რ ის ს ი მ ჟ ა ვ ის ნ ა ტ რ ი ა ნ მ ჟ ა ვ ე მ ა რ ი ლ ს ა ც — ე ს ე ც კ ა რ გ ა ხ ნ ი თ ა ფ ე რ ხ ებ ს რ ძ ის ა ჭ რ ა ს, თ უ მ ც ა კ ი დ ე ზ ი ნ ფ ე ქ ც ი ის მ ო ხ დ ე ნ ა ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ნ; ა მ მ ა რ ი ლ ის მ ო ქ მ ე დ ებ ა ი ს ა ა რ ის, რ ო მ რ ძ ე შ ი გ ა ჩ ე ნ ილ ი რ ძ ის ს ი მ ჟ ა ვ ე დ ა ა ნ ე ლ ო ს, რ ძ ე ნ ე ი ტ რ ა ლ ად შ ე ი ნ ა ხ ო ს დ ა ა მ ის გ ა მ ო ა ღ ა რ ა ი ჭ რ ა ს. — ე რ თ ის ს ი ტ ყ ვ ი თ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ქ ი მ ი ურ ი რ ძ ის შ ე ს ა ნ ა ხ ა ვ ი ს ა ს ა შ უ ა ლ ებ ა ა ღ კ რ ძ ა ლ ულ უ ნ დ ა ი ყ ო ს, რ ა დ გ ა ნ ა ც ეს გ ა ყ ა ლ ბ ებ ა ა რ ძ ის ა.

როგორც წინადაცა ვსთქვით, რამდენადაც ამ ბოლოს ხანს დაახლოვებით სწავლობენ რძის თვისებას და გარემოებას, იმდენად უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ რძეში მარტო იმისთანა ბაკტერიები არ არის, რომლებიც რძეს ამჟავებენ, არამედ იმისთანანიც, რომლებიც რძეს დიდად მავნებლად ჰხდიან და სხვა-და-სხვა ავადმყოფობას შეჰყრიან იმათ, ვინც ამ რძეს სჭამს.

ამისგამო ახლა მრეწველობაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული რძის გაფუჭების ანუ დაზიანების ამ კერძოობას და ცდილობენ რძე სრულიად უვნებელი გაჰხადონ ყველასათვის, ვინც კი იძულებულია იმის ჭამასა და ხმარებას აუდუღებლად. სნეულებათა ფერმენტები რძეში ორ მდგომარეობაში იმყოფება: ან აღორძინებული, გაცხოველებული, ეგრედ-წოდებულ ვეგეტატურს მდგომარეობაში და ან პარკებად, სპორების მდგომარეობაში. ბაკტერიების ამ ორ გვარ მდგომარეობაზე სითბო სხვა-და-სხვა გვარად ჰმოქმედობს: მაღალის ტემპერატურით, განსაკუთრებით 65—67°-დინ გათბობით, რძეში იხოცებიან ყველა ის ფერმენტები, რომელიც ვეგეტატურს მდგომარეობაში არიან (როგორც ისინი, რომლებიც რძეს ამჟავებენ, ისე ისინი, რომლებიც ავადმყოფობის გადამდებნი არიან) და ზოგიერთნი უფრო დაბალ ტემპერატურაშიაც; ის ფერმენტები კი, რომლებიც ჯერ არ აღორძინებულან, არ შესულან ვეგეტატურს მდგომარეობაში, ესე იგი სპორები, ამ ტემპერატურაში არ იხოცებიან და იმათ მოსასპობად ხშირად საჭიროა უფრო მაღალი ტემპერატურა 105°—110° და ხან უფრო მაღალიც. ესე მაღალი ტემპერატურა ხომ რძესა სწვავს და გემოს უფუჭებს და ამისგამო ამ უკანასკნელების მოსასპობად მრეწველობაში შემდეგს გზას დაადგნენ: რადგანაც სპორები ანუ პარკები სითბოში უფრო ადვილად და უფრო ჩქარა გადადიან ვეგეტატურს მდგომარეობაში, ე. ი. უფრო მალე ცხოველდებიან ანუ ცოცხლდებიან, ამისათვის მათს მოსასპობად რძეს ორჯელ ან სამჯერ ათბობენ; ჯერ გაათბობენ 65°—70°-დინ, რომ ვეგეტატურ მდგომარეობაში ბაკტერიები მოსპონ და მე-

რე რძეს გააცივებენ 30°—40°-დინ და ამ ტემპერატურაში რძეს ინახავენ რამდენისამე ხნით, რომ პარკებიც ვეგეტატურს მდგომარეობაში შევიდნენ და ამას შემდეგ ისევ ერთხელ ან ორჯელ 70°-დინ გააცხელებენ, რომ ესენიც დაჰხოცონ. უკანასკნელად რძის ტემპერატურას ძალიან ცოტა ხნით 100—102° აიყვანენ და მაშინ რძე სრულიად განთავისუფლებული იქნება ყველა სნეულების გადამდებ ბაკტერიებისაგან.

რძის ამგვარად გასათბობად ხმარობენ ნეიგაუზის, გრონვალის და ელმანის ჭურჭელს, რომელიც წარმოადგენს ოთხკუთხის სპილენძის ყუთს; მისი სიგძე 1,4 მეტრია, 1,6 სიგანე და 1,2 სიმაღლე; ამ ყუთს გერმეტულად დასახური სახურავი აქვს და შიგ მილები აქვს დატანებული ორთქლის ყუთში შესაშვებად. ამ ყუთში ჩასდგამენ ერთგვარად გაკეთებულ ლითონის კალათას, რომელსაც ძირში (სურათი 7) უჯრები ანუ ბუ-



სურათი 7.

დეები აქვს რძით სავსე ბოთლების ჩასაწყობად. ამ კალათზე დამაგრებულია ერთგვარი ხარიხა (ორკეცი), რომელიც ბურღების შემწეობით ან აიწევა და ან დაიწევა საჭიროების დაგვარად. თითონ ბოთლებს ერთგვარი მექანიური საცობლები აქვს ყელზე ჩამოცმული და მის შემწეობით ბოთლების გერმეტულად დაცობა შეიძლება. ამ საცობლებს გვერდზე მიკეთებული აქვთ მოგძო ნისკარტები, რომლის დაწევითაც ბოთლი დაიხურება და აწევით კი აიხდება. ბოთლები ისეა კალათში ჩაწყობილი, რომ

ეს ნისკარტები კალათზე დამაგრებულ მოძრავ ხარიხის ქვეშ მოჰყვეს; კალათში ჩაწყობის დროს ბოთლები დახურული არ არის. როცა ბოთლები თავის კალათით ჩაწყობილია გასათბობ ქვაბში, მაშინ ამ ქვაბს გერმეტულად დახურავენ და შიგ ორთქლს შეუშვებენ ბოთლების გასათბობად 80° დინ ოკიოდე წამს. ამას შემდეგ ბოთლებს კალათით ამოიღებენ ყუთიდან და გააცივებენ 30°-დინ და ასე შეინახავენ ერთს ან ორს საათს. შემდეგ კალათს ისევ ჩასდგამენ სათბობ ყუთში და ორთქლის შემწეობით 100° გაათბობენ; ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ამ ტემპერატურას უფრო მაღლა 103°—102° ასწევენ და შემდეგ ბურღების შემწეობით ხარიხას ძირს ჩამოსწევენ და ამით ყველა ბოთლები გერმეტულად დაიხურება. ახლა ყუთს ახდიან და ბოთლებს ამოიღებენ და გასაყიდად შეინახავენ. ამგვარად გაცხელებული რძე რამდენისამე თვეობითა და წლობით სრულიად შეუცვლელად შეინახება და ამასთან სრულიად განთავისუფლებული იქნება ყოველგვარ სენის ფერმენტისაგან; მაშასადამე, ამ რძის ხმარება სრულიად საშიში აღარ იქნება.

**შესქელებულის რძის მომზადება.** რძის დიდის ხნით შესანახად მრეწველობაში ჰხმარობენ ერთგვარ საშუალებასაც, რომელსაც რძის შესქელებას ანუ კონდესაციას ეძახიან. შესქელებული რძე უფრო დიდ ხანს ინახება, რადგანაც სქელ რძეში მიკროორგანიზმებს, ბაკტერიებს ცხოვრება და მოქმედება არ შეუძლიანთ. ამ საშუალებით რძის შესანახად წარსულ საუკუნის დამლევს აპპერტმა ეს რჩევა მოგვცა: „რძე უნდა დაშრეს ცეცხლზე $\frac{1}{3}$, მაშასადამე, შესქელდეს და შემდეგ ჩაისხას ბოთლებში, რომლებიც უნდა კარგად დაიცოს წმინდა საკობლით და რამდენიმე ხნით ადუღდეს. ამგვარად მომზადებული რძე დიდ ხანს შეინახება“. ამის შემდეგ ბალბეკმა საფრანგეთშივე ურჩია შესქელების დროს შაქრის მიმატება; ამ შაქრის მიმატებით რძე უფრო კარგად შესქელდება და უფრო კარგად შეინახებაო. აქ საქმე იმაშია, რომ თუ რძეს შაქრის მიუმატებლად ძალიან შევასქელებთ, მაშინ რძის შაქარი, რომელიც, როგორც ვიცით, ცოტა წყალში კარგად არ იხსნება, გამოე-

ცლება და ცუდ გემოს მისცემს (თითქო ქვიშა ერიოს რძეში); შაქარ-მიმატებული რძე შესქელების შემდეგ ჩასხმული იყო თეთრის თუნუქის ყუთებში, კარგად შეძერწილი და ცხელ წყალში გაცხელებული. ამის შემდეგ ნიუტონმა 1835 წელს ურჩია შაქარ-მიმატებული რძის შესქელება დაფუკულ ჰაერში. ამ საუკუნის ნახევარში ბევრნი სხვანიც ცდილობდნენ შესქელებულის რძის მომზადებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ცდა, როგორც ნიუტონისაც, უნაყოფო დარჩა, თუმცა კი ნიუტონის პრინციპზე დაფუძნებული რძის შესქელება ეხლა ყველგან შიღებულია. მხოლოდ ამერიკაში ამგვარ ცდას ნაყოფიც მოჰყვა; ამერიკელების მოწყალებით და მეცადინეობით შესქელებულ რძის მომზმდება და ვაჭრობა ეხლა ძალიან კარგს მდგომარეობაშია. ამ მხრით დიდი ღვაწლი დასდო ამ წარმოებას ბოსტონის პროფესორმა გორსფორდმა, რომელმაც 1849 წ. გამოიკვლია და იპოვნა ის შესაფერი გარემოებანი, რომლებშიაც შესაძლებელია დიდის ხნით შესანახავი და კარგად შესქელებულ რძის მომზადება. ამ სწავლულის საშუალება დაფუძნებულია ძალიან დაბალ ტემპერატურასა და ძალიან დაფუკულ ჰაერში რძის დაშრობაზედ, იმის დაგვარადვე, როგორც ტკბილს ასქელებენ. ამ პრინციპზე რძის შესასქელებლად 1854 წ. ქარხანაც დააფუძნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ქარხანა სხვა-დასხვა გარემოების გამო მალე მოისპო, გაუქმდა. მხოლოდ 1856 წ. გაილ ბორდენმა ნიუიორკში დააფუძნა დიდი ქარხანა, რომელშიაც რძის შესასქელებლად ხმაროობდნენ ერთგვარ ქვაბს, **ვაკუუმ აპპარატს**; ამ ქვაბში ჰაერის დაფუკვა და დაბალ ტემპერატურის ხმარება ადვილი მოსახერხებელი იყო; ამ ქარხანაში ჯერ რძეს ასქელებდნენ შაქრის მიუმატებლად და შემდეგ შაქრის მიმატებაც შემოიღეს. ამგვარად მომზადებულმა რძემ ვაჭრობაში თავი იჩინა და ამის გამო ამავე დროს ამერიკაშივე ბევრი სხვა ქარხანაც დააფუძნეს და ამის შემდეგ 1866 წელს ევროპაშიაც—ხამში, ცუგის კანტონში, შვეიცარიაში (Anglo-Swiss-Condesed-Milk-Company). ამგვარად, შესქელებულ რძის მრეწველობის დამაარსებლად ბორდენი უნდა ჩაითვალოს,

თუმცა კი სამეცნიერო საფუძველი ამ წარმოებისა გორსფორდს ეკუთვნის.

აი ეხლა რაში მდგომარეობს შესქელებულ რძის მომზადება:

ჯერ რძეს გააცხელებენ თითქმის ადუღებამდე რამე ჭურჭელში (ტემპერატურა რძისა 94°-ზე დაბალი არ უნდა იყოს) ან მდუღარე წყალში ჩადგმით და ან ორთქლის შემწეობით. შემდეგ ამგვარად გაცხელებულ რძეს ჩაასხმენ **ვაკუმში** ანუ დაფუკულ ქვაბში და აქ დააშრობენ, ისე რომ მეოთხედი დარჩეს (ოთხი ლიტრიდან ერთი ლიტრი უნდა დადგეს); შესასქელებელ რძეს ვაკუმში ჩასხმის წინად შაქარს მიუმატებენ ყოველ 8 ლიტრზე 1 კილო შაქარს. ქვაბში ჰაერი დაფუკულია სასრუტის შემწეობით, რომელიც რძის დაშრობის დროს შეუწყვეტელს მოქმედებაშია; ამგვარად ამოსრუტით ჰაერთან, რასაკვირველია, რძის ორთქლიც სცილდება. უფრო ჰაერის დასაფუკავად და ქვაბში ზედ-დაწოლის შესამცირებლად ამ ქვაბს ერთგვარი მოწყობილებაცა აქვს, რომელიც სასრუტის მოქმედებას შველის. ეს მოწყობილება მდგომარეობს შემდეგში: როცა ქვაბი ორთქლით სავსეა, იმაში, რასაკვირველია, ჰაერი ძალიან ცოტა იქნება და, თუ ჩვენ ამ ორთქლს ერთბაშად გავაცივებთ და წყალად ვაქცევთ, ქვაბში ზედ დაწოლის ძალა ძალიან შემცირდება. ამის მოსახდენად ასე იქცევიან: ქვაბი მაღლა სდგას და ზარფუშის შემდეგ მიკეთებული აქვს გრძელი და განიერი მილი, რომელშიაც ძირიდან ცივი წყალი შედის შადრევანივით; ეს წყალი ხვდება ორთქლს, აცივებს და შემდეგ სასრუტით ისევ გამოდის გარედ. ამგვარის ზედ-დაწოლის შემცირების გამო რძე ქვაბში სდუღს ძალიან დაბალ ტემპერატურაში, 40°—50° და ამისგამო ამ დაშრობის დროს რძეს გემო არ უფუჭდება. სამის საათის განმავლობაში რძის ტანი საკმარისად დაიკლებს და ახლა ამ გასქელებულ რძეს გამოუშვებენ, გააცივებენ 15° და ჩაასხამენ თუნუქის პატარა-პატარა კოლოფებში, რომლებიც შემდეგ გერმეტულად უნდა დაიხუროს და გასაყიდად შეინახოს.

შაქარ შერეული შესქელებული რძე სრულიად თეთრია, ხანდისხან ცოტა მოყვითანო, სისქე თხელის ფაფისა აქვს და ძალიან ტკბილია; თბილ წყალში კარგად იხსნება და გემოც კარგი და ნაზი აქვს.

აი შედგენილება შაქარ-შერეულ გასქელებულ რძისა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წყალი . . . | 24,70% | თუმცა | შესაძლებელია | აგრეთვე: | 12,40— | 35,6% |
| ერბო . . . | 10,24— | — | — | — | 6,8 — | 18,8 — |
| აზოტ. ნივთ. | 12,20— | — | — | — | 7,8 — | 20,2 — |
| შაქარი (მიმ. შაქარი). . . | 48,07— | — | — | — | 41,25— | 54,30— |
| ნაცარი . . . | 2,10— | — | — | — | 1,56— | 3,37— |
| | 100,00% | — | — | — | — | — |

აქ ნაჩვენები 48,07 შაქრის რაოდენობაში 10,02% რძის შაქარია და 38,05% ჭარხლის შაქარი.

თუმცა პირველის შეხედულობით სრულიად ძნელი არ არის შესქელებულ რძის მომზადება, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდინ ჯერ ძალიან ცოტაა იმისთანა ქარხანა, რომელიც მართლა და კარგ რძეს ამზადებდეს და ამის მიზეზი სხვა-და-სხვა არის: ქარხანას მთელის წლის განმავლობაში საკმაო და კარგი შესასქელებელი მასალა, რძე უნდა ჰქონდეს, რაც ყოველთვის მოსახერხებელი არ არის და ამასთან დიდი თანხაც სჭირდება.

შესქელებულ რძეში ასეთი დიდი რაოდენობა შაქრისა, რომელიც ანალიზმა გვიჩვენა, ყოველთვის კარგი არ არის, მეტადრე თუ რძე ყმაწვილების საკვებავად არის დანიშნული. ამისათვის ბევრნი ცდილობდნენ, რძე ისე შეესქელებინათ, რომ შაქრის მიმატება არა ყოფილიყო საჭირო. ჯერ ამერიკაში და ამ ოციოდე წლის წინად ევროპაშიაც დაიწყეს უშაქროდ შესქელებულ რძის მომზადება. ამგვარად მომზადებული რძე ისე ძალიან სქელი არ არის, როგორც შაქარ-მიმატებული და ამის გამო ისე დიდ ხანს ვერა სძლებს, როგორც შაქარ-მიმატებული და შესქელებული. თუ უნდათ, რომ უშაქროდ შეს-

თუმცა კი სამეცნიერო საფუძველი ამ წარმოებისა გორსფორდს ეკუთვნის.

აი ეხლა რაში მდგომარეობს შესქელებულ რძის მომზადება:

ჯერ რძეს გააცხელებენ თითქმის ადუღებამდე რამე ჭურჭელში (ტემპერატურა რძისა 94°-ზე დაბალი არ უნდა იყოს) ან მდუღარე წყალში ჩადგმით და ან ორთქლის შემწეობით. შემდეგ ამგვარად გაცხელებულ რძეს ჩაასხმენ **ვაკუმში** ანუ დაფუკულ ქვაბში და აქ დააშრობენ, ისე რომ მეოთხედი დარჩეს (ოთხი ლიტრიდან ერთი ლიტრი უნდა დადგეს); შესასქელებელ რძეს ვაკუმში ჩასხმის წინად შაქარს მიუმატებენ ყოველ 8 ლიტრზე 1 კილო შაქარს. ქვაბში ჰაერი დაფუკულია სასრუტის შემწეობით, რომელიც რძის დაშრობის დროს შეუწყვეტელს მოქმედებაშია; ამგვარად ამოსრუტით ჰაერთან, რასაკვირველია, რძის ორთქლიც სცილდება. უფრო ჰაერის დასაფუკავად და ქვაბში ზედ-დაწოლის შესამცირებლად ამ ქვაბს ერთგვარი მოწყობილებაცა აქვს, რომელიც სასრუტის მოქმედებას შველის. ეს მოწყობილება მდგომარეობს შემდეგში: როცა ქვაბი ორთქლით სავსეა, იმაში, რასაკვირველია, ჰაერი ძალიან ცოტა იქნება და, თუ ჩვენ ამ ორთქლს ერთბაშად გავაცივებთ და წყალად ვაქცევთ, ქვაბში ზედ დაწოლის ძალა ძალიან შემცირდება. ამის მოსახდენად ასე იქცევიან: ქვაბი მაღლა სდგას და ზარფუშის შემდეგ მიკეთებული აქვს გრძელი და განიერი მილი, რომელშიაც ძირიდან ცივი წყალი შედის შადრევანივით; ეს წყალი ხვდება ორთქლს, აცივებს და შემდეგ სასრუტით ისევ გამოდის გარედ. ამგვარის ზედ-დაწოლის შემცირების გამო რძე ქვაბში სდუღს ძალიან დაბალ ტემპერატურაზე 40°—50° და ამისგამო ამ დაშრობის დროს რძეს გემო არ უფუჭდება. სამის საათის განმავლობაში რძის ტანი საკმარისად დაიკლებს და ახლა ამ გასქელებულ რძეს გამოუშვებენ, გააცივებენ 15° და ჩაასხამენ თუნუქის პატარა-პატარა კოლოფებში, რცმლებიც შემდეგ გერმეტულად უნდა დაიხუროს და გასაყიდად მეინახოს.

შაქარ შერეული შესქელებული რძე სრულიად თეთრია, ხანდისხან ცოტა მოყვითანო, სისქე თხელის ფაფისა აქვს და ძალიან ტკბილია; თბილ წყალში კარგად იხსნება და გემოც კარგი და ნაზი აქვს.

აი შედგენილება შაქარ-შერეულ გასქელებულ რძისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წყალი . . . | 24,70 % | თუმცა შესაძლებელია აგრედვე: | | 12,40 — | 35,6 % |
| ერბო . . . | 10,24 — | — | — | — 6,8 — | 18,8 — |
| აზოტ. ნივთ. | 12,20 — | — | — | — 7,8 — | 20,2 — |
| შაქარი (მიმ. შაქარი). . . | 48,07 — | — | — | — 41,25 — | 54,30 — |
| ნაცარი . . . | 2,10 — | — | — | — 1,56 — | 3,87 — |
| | 100,00 % | — | — | — — | — |

აქ ნაჩვენები 48,07 შაქრის რაოდენობაში 10,02 % რძის შაქარია და 38,05 % ჭარხლის შაქარი.

თუმცა პირველის შეხედულობით სრულიად ძნელი არ არის შესქელებულ რძის მომზადება, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდინ ჯერ ძალიან ცოტაა იმისთანა ქარხანა, რომელიც მართლა და კარგ რძეს ამზადებდეს და ამის მიზეზი სხვა-და-სხვა არის: ქარხანას მთელის წლის განმავლობაში საკმაო და კარგი შესასქელებელი მასალა, რძე უნდა ჰქონდეს, რაც ყოველთვის მოსახერხებელი არ არის და ამასთან დიდი თანხაც სჭირდება.

შესქელებულ რძეში ასეთი დიდი რაოდენობა შაქრისა, რომელიც ანალიზმა გვიჩვენა, ყოველთვის კარგი არ არის, მეტადრე თუ რძე ყმაწვილების საკვებავად არის დანიშნული. ამისათვის ბევრნი ცდილობდნენ, რძე ისე შეესქელებინათ, რომ შაქრის მიმატება არა ყოფილიყო საჭირო. ჯერ ამერიკაში და ამ ოციოდე წლის წინად ევროპაშიაც დაიწყეს უშაქროდ შესქელებულ რძის მომზადება. ამგვარად მომზადებული რძე ისე ძალიან სქელი არ არის, როგორც შაქარ-მიმატებული და ამის გამო ისე დიდ ხანს ვერა სძლებს, როგორც შაქარ-მიმატებული და შესქელებული. თუ უნდათ, რომ უშაქროდ შეს-

ქელებულ რძესაც კარგი გამძლეობა ჰქონდეს, მაშინ იძულებულნი არიან მაღალ ტემპერატურაში შეასქელონ, რომ ამით მოისპოს ყოველი დამაზიანებელი ფერმენტი. სამწუხაროდ, ამ რძეს სხვა ნაკლულევანება ეძლევა ამით, ე. ი. ნადუღის გემო, რომელიც ძალიან უშლის ხელს იმის გავრცელებას. აი ამ რძის შედგენილება:

| | | |
|---|---|---|
| წყალი . . . . | 61,85% | ამ რძეს თუ ორი წილი წყალი მიემატა, იმის შედგენილება კარგის ძროხის რძეს მიემგვანება. |
| ერბო . . . . | 10,77— | |
| აზოტ. ნივთ. | 10,80— | |
| შაქარი . . . . | 14,50— | |
| ნაცარი . . . . | 2,25— | |

**ვ. პეტრიაშვილი**

(შემდეგი იქნება)

# ბიბლიოგრაფია

**А. А. Цагарели.—Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности. Томъ I. Выпускъ третій. Съ портретомъ профессора Д. І. Чубинова. С.-Петербургъ, 1894.**

რგა წელიწადია მას შემდეგ, რაც ბატიეცემული პროფესორი ს. ცაგარელი შეუდგა იმ ნაკლის შევსებას, რომელიც არსებობს ჩვენს ლიტერატურაში—ჩვენის მწერლობის ნაშთების სისტემატიურად მიმოხილვას და აღწერას, ესრეთ-წოდებულ კატალოგიზაციას. რადგან ჩვენ ჯერ არა გვაქვს ჩვენის ლიტერატურის ისტორია, ამიტომ ამ ყურადღებას უნდა დაგვერდეთ წესიერად შედგენილ მწერლობის ნაშთთა მიმოხილვასა და ხანდახან სხვა-და-სხვა წიგნებისა და ხელ-ნაწერების მარტივს ჩამოთვლასაც. ბ-ძს ცაგარელმა დიდი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას ბიბლიოთეკებისა და არქივების აღწერით, რაც, უეჭველია, ხანგრძლივსა და დაუღალავ შრომას მოითხოვდა. ამ მესამე წიგნით თავდება I ტომი ქართული მწერლობის ნაშთების მოხილვა-აღწერისა (პირველი წიგნი დაიბეჭდა 1886 წ., ხოლო მეორე 1889 წ.); ვისურვებთ, რომ ბატიეცემულმა პროფესორმა მალე დაჭბეჭდოს მეოთხე ტომიც, რომლის შედგენას დაგვპირდა, და ისრე არ დაგვიანოს, როგორც „ლრამოტებისა“ მეორე ტომის დაბეჭდვა...

ჩვენს ძველს მწერლობაშიც აქა-იქ ანუსხული იყო ზოგიერთთა ნაშთთა სიტა, მაგრამ უსისტემოდ და შეუმუშავებლად. ხან ავტორი, მთარგმნელი ანუ გადამწერი ტექსტის თავში ან ბოლოში მიაწერდა ან ჩამოსთვლიდა მის მიერ შედგენილ, გადმოთარგმნილ თხზულებათა, ხან თვით თხზულების ბატონი თვისის ძეირფასის

წიგნებ-სელნაწერების შესახებ საბიბლიოგრაფიო შენიშვნებს სწერდა და სს. ბროსსე პირველ კატალოგის შედგენას იოანე პეტრიწის (XI საუკუნეს)[1]) მიაწერს. შოთაც მოიხსენებს «კეთვსის-ტყაოსნის» უკანასკნელ ტაეპში ამს მაშინდელს პოეტს და მათს პოემებს, მეფე არჩილი თავის «არჩილიანში» გაგვაცნობს სხვა-დასხვა საუკეთესო 15 მწერალს და მათ თხზულებათა. კათოლიკოსმა ანტონ I-მა ერთი თავი «წყობილ-სიტყვაობისა» მოანდომა «სიბრძნის მოყვარეთა» და ჩამოთვლის 70 ქართველ მწერალს და ისესენიებს მოკლე საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო ცნობას, რომელიც შემდეგში, ამ წიგნის გამოტეგმის დროს, ჭდ. იოსელიანმა განაგრძელა და შეაგსო; წარსულ საუკუნის დამლევს მღვდელმა კეკელიძემ მეფის ირაკლის II ბრძანებით შეადგინა სია 7400 წიგნისა, რომელიც ტფილისში მე- XVIII საუკ. მე-80—90 წლებში იყო დაბეჭდილი. ამავე დროს თელავის სემინარიის რექტორმა დავით ალექსი-მესხიშვილმა შეადგინა კატალოგი თავისი ბიბლიოთეკის ხელთნაწერთა, რომელნიც 200 მდე ჭქონიდა. 1837 და

[1]) ბ-ნი ა. ცაგარელი ახალ ცნობას გვაძლევს და გვპირდება შემდეგს წიგნში უფრო ვრცლად გაგარკვევ, საიდან უნდა წარმომდგარიყოს ამ იოანეს მეტი სახელი—პეტრიწიო. როგორც ვიცით, ამისი აღსნა ვერ იტვირთა დიმიტრი ბაქრაძემ (Опись памят. древ. въ нѣк. кр. и мон. Грузіи. Пр. Кандакова стр. 34). «ეს პეტრიწიონის მონასტერი, რომლის ბერნი პეტრიწიონელებად (შემოკლ. პეტრიონი) იწოდებოდნენ, ცხადია, ის მონასტერია, რომელიც ცნობილი იყო რუმელიაში ბაჩკოვის მონასტრად და იმყოფებოდა ქ. ფილიპპოპოლიდან 20 ვერსის მანძილზედ... ბიზანტიის მწერლების (ანნა კომნენის) სტყვით, ეს მონასტერი დაფუძნებული იყო(?)1084 წ. ორის ძმის ქართველის (ივერიელის), პაკურიანების მიერ (უთუოდ ჯანბაკურ-ორბელიანის გვარისანი იყვნენ), რომელიც საქართველოდან წასულან, ბიზანტიაში შესულან სამსახურში და სასახლის უმაღლესის წოდებით—დიდის დომესტიკოსისა და დიდის მაგისტროსისა—იმპერატორის ალექსი კომნენის მიერ დაჯილდოვებულნი იყვნენ. ერთი ამ ძმათაგანი—გრიგოლი მოიკლა ბოლგარებთან და კომანებთან ომში 1086 წ... როდესაც ჯვაროსნებმა აიღეს და გაძარცვეს ეს მონასტერი, იმის წინამძღვარი ტომით ივერიელი იყო—ex Hiberia(Iberia)ortum;—ეს წინამძღვარი მიჰგვარეს ფილიპპოპოლში იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსას, რომელმაც წყალობით მიიღო... აქამომდე ამოსაკანი მე-XI საუკუნის განთქმულ სწავლულის და ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მეტი-სახელი ეხლა სრულიად ცხადად აიხსნება,—იოანე უთუოდ ამ პეტრიწიონის მონასტრის ერთი ძმათაგანი იყო. ჩვენ გვაქვს ეხლა ძლიერ საინტერესო წარწერა პეტრიწიონის დვთის-მშობლის ხატის ბუდისა, რომელიც ორ ძმას ქართველებს, ათანასესა და ოქროპირ ბერს 1311 წ. გაუკეთებიათ. ამ სახით ჩვენს ხელთაა შეურყეველი საბუთები ქართველების ყოფნისა ამ ზემოხსენებულს მონასტერში 1030 და 1311 წ.».

1838 წლ. ბრაუსსემ დაბეჭდა კატალოგები იმ წიგნებისა, რომელიც წაეკითხა და 1877 წ. მანვე დასტამბვინა საბიბლიოგრაფიო ცნობანი ქართულ საბუღალტერო ნაწერთა შესახებ. დ. ჩუბინაშვილმა კასუშტის ისტორიის წინასიტყვაობაში დაბეჭდა კრებული სიტ ქართულ მწერლობის ნაშთებისა. ალ. ცაგარელმა I წიგნში იაკობის Свѣд. о пам. დაბეჭდა ათონის ივერიის მონასტრის ქართულ ხელთნაწერების აღწერილობა, რომელიც იმერეთის უკანასკნელ მეფის სოლომონ II მოძღვარს ილარიონს შეუდგენია. ჰეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის აზიურს მუზეუმში იბოვება კრებული ხელთნაწერი კატალოგი იმ მანუსკრიპტებისა და ძველ დაბეჭდილ წიგნებისა, რომელიც იქ არის დაცული. ჰეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგში მოხსენებულია ის ქართული ხელთნაწერნი, რომელნიც 1883 წ. უოფილა იქ. ქართველ მწერლობის ნაშიების შესახებ ცნობანი მოჰყავთ აგრეთვე ოვიანთ ნაწერებში ბ. იოსელიანის და დიმ. ბაქრაძეს. აქამომდე აღმოჩენილ ქართულ მწერლობის ნაშთთა-რიცხვი ხუთი ათასამდის აღის.

ბ-ნ ცაგარელის ამ I ტომის მესამე ნაწილში მოთავსებულია ცნობანი და აღწერა იმ საისტორიო და საალიტერატურო ნაშთთა, რომელიც ავტორს დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში აღმოუჩენია; ამ წიგნშიეკე მოთავსებული განსვენებულ პროფესორის და ზოგიერთი იმის წინაპრის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის მასალა. რადგან ზემოსსენებული წიგნი რუსულად არის დაწერილი და მხოლოდ ზოგიერთის წიგნის სახელ-წოდებანია ქართულად აღბეჭდილი სიტ-ნუსხაში, ხოლო წიგნი კი ჩვენის ძველის ლიტერატურის შესახებ ბევრს იერიად საინტერესო ცნობას შეიცავს, ამიტომ ამ წიგნიდან მოვუთხრობ მკითხველთ ამ წიგნის უფრო შესანიშნავ ადგილთა შინაარსს.

ავტორს განხილული აქვს დასაწყისშიეკე ჩუბინაშვილის საგვარეულო სიბუთები, რომელიც, სსვათაშორის, შესანიშნავია საქართველოს ერის შინაგანის ცხოვრების და სამეფოს წესწყობილების შესასწავლად. მეფე ირაკლი II მღდ. დ. ჩუბინიძის (დ. ჩუბინაშვილის წინაპრის) ერთ ოსტატურ სიგუთარის ხელით განსჩენს სდებს: «ეს დაგით მღვდელი სტამბაში განწესებულია, ესეც საქვეყნიერო და საგუ-

ლის სამსახურია, ამის «მორიგეთ» ნუ გამოიყვანთ». ნ. ჩუბინაშვილს, ბრიგ. დ. ჩუბინაშვილის ბიძას, დაუკლია სამტხე და იმეფეთი 1842 წ. ავტორის სიტყვით, «იგი იყო ბიერგელი ქართველი და ქართული ენის მცოდნე, რომელმაც საარქეოლოგიო მოგზაურობა იკისრა». შემდეგ 1845 წმ. ადგილნი (იერუსალიმი) მოუკლია. თავის საარქეოლოგიო აღწერაში ნ. ჩუბინაშვილი ვრცლად ასწერს სასულოკან გელათის მონასტერს, რომელის საარქეოლოგიო საუნჯეთა შესახებ შემდეგსა სწერს ბრ. კონდაკოვი: «რუსის ელჩმა ხიკიეფორე ტოლოჩანოვმა, რომელიც 1650 წ. იყო იმერეთში, დაწვლილებით აღგიწერა წმ. გელათის ტაძარი, ამ მონასტერში ესლა დაცულია მსოფლიოდ მცირედი ნაწილი იმ საამდიდრისა, სულოკნებისა და ისტორიის მშვენიერის და ძვირფასის ნაშთებისა, რომელიც რუსეთის ელჩს ტოლოჩანოვს უნახავს იქ». იმის აზრით, 1650 წლიდან ჩვენამდე ამ საუნჯის მეშვიდე ნაწილს არ მოულწევია, სოლო, მიუსედავად ამისა, მინანქრის (ემალის) სულოკნებიო გელათის ტაძარს შემდეგ კენტიის წმ. მარკოზის ეკლესიისა ბიერგელი ადგილი უჭირავს.—ნ. ჩუბინაშვილსვე შეუდგენია აღწერა ქართულ ნაშთებისა იერუსალიმში, რომელიც ბ-ნ ცაგარელს ოთვის წიგნში დაუბეჭდია. ავტორი შეჭნიშნავს, რომ ეს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღწერა ბ-ნ ს. ქუთათელაძეს მიუწერია კიდევ ლორთქიფანიძე ბერისათვის, რომელმაც შეიძლება მსოფლიოდ გარდმოსწერა იგი აღწერაო. სოლო ბ-ნი ფორდანია, განაგრძობს ავტორი, შეედავა ქუთათელაძეს და თვითონაც შესტდა, როდესაც ეს აღწერა მიაწერა ბლ. იოსელიანს, რომელსაც კითომ ბალესტინა 1845 წ. მოეკლოს. კითომ, რომ ბლ. იოსელიანი წაკადა ათონს 1848—1849 წ. სოლო იმ სრულებით არ კითომ, რომ ოდესმე ბლ. იოსელიანს ბალესტინაში ემგზავრა. ჩვენ მიერ დაბეჭდილნი შენიშვნანი ნ. ჩუბინაშვილის საკუთარის. სელით ნაწერნი არიან, შედგენილნი მისგან 1845 წ. მიანში, ბალესტინაში ყოფნის დროს. ავტორი დასძენს, რომ ზემოხსენებულსავე წერილში ბ-ნი ფორდანია «ფრიადის სიდინჯით» მოგვითხრობს, კითომ თათრების სულთანს ეთხოვნოს ქართველ მეფეებისათვის, განდევნეთ იერუსალიმიდან სპარსნი და თქვენ თითონ დაეპატრონეთ ამ თქვენთვის წმინდა ქალაქსო და კითომ სამს ქართველს მე-

ოვეს გაელაშვრა ბალესტინაში და კიდეც წარმატებით. შეესრულებინა ამგვარი წინადადება სულტანისა 1527 წ.—პირველად უნდა შეენიშნოთ, განაგრძობს ავტორი, რომ თათრების შემოსვლამდე იერუსალიმს **სპარსელები** კი არა, არამედ **ეგვიპტის მამელუკები** (ავტორის კურსივია) ჰფლობდნენ; და მეორედ—და ეს უმთავრეს საქმედ მიგვაჩნია, თათრებმა დაიპყრეს **სირია**, ბალესტინა იერუსალიმით და ეგვიპტე **1516—1517 წ.** (კურსივი ავტორისაა) და აქამომდე ჰფლობენ; მაშასადამე, თათრების სულტანს არ შეეძლო ქართველები მიეწვია **1527 წ.** იერუსალიმიდან **სპარსი** (კურსივი ავტორისაა) განდევნეთო, რომელნიც იერუსალიმში მაშინ არ ყოფილან, რადგან თვით ფლმეფეს თათრებს ეს ქალაქი ათის **წლის** წინად ჰქონდათ დაპყრობილი. ეს ანაქრონიზმი, რომელიც კასუმტასაც მოსვლია, გამოვიგეზეთ ჩემს წიგნში: ქართული ნაშთნი წმ. ადგილებში და სინაზე. სპგ. 1888. გვ. 57, 62 და 63. სამწუხაროა, რომ ბ-ნს ყორდანიას საკმაოდ არ უნასავს წინადგე გაეტანა ამ საგნის შესახებ ლიტერატურა. ზემოხსენებული ჩვენი წიგნი რომ წაეკითხა, ამგვარ ასირებული ამბების (курьезы) აწერას ადგილად შეეძლო ასცდენოდა. ქართველთა ჯარი, მართალია, შეკიდა იერუსალიმში, სოლო ეს მოხდა 1303 წ.—აქეე ავტორი შეჭნიშნავს ერთს დიდს შეცდომას, რომელიც აღმოუჩენია ბ-ნ სიძაგელოვ-ივერიელის წერილში «მწყემსში» დაბეჭდილში. «მოსე ქორწილელის» მოწმობითაო, ამბობს ბ-ნი სიძაგელოვი, ნეტარ-სასენებულმა მესროვმა (V ს.) გადათარგმნა საქართველოს ტასტის მემკვიდრეობათვის, ხასიქადულო ხანდუხტისათვის ხასარება, ხამოტიქულო და ზოგიერთი საღვთის-მეტყველო წიგნი. ის, მ. ქორწილელის ხომხეთის ისტორია. ნ. III, თ. 60». ამაზე ხამართლიანად შეჭნიშნავს ავტორი, რომ «არც ზემო-მოყვანილ და არც სხვა ადგილებში თავის ისტორიაზა მოსე ქორწილელი ტაღის სიტყვითაც არ ისსენიებს, კითომ წმ. მესროფს რაღა გადაეთარგმნოს ქართულს ენაზე». ავტორის ეს შენიშვნები საფუძვლიანია და კეთილსინმებით კიდეც. სამწუხაროდ, მაგრამ ალია არა გვგონია ავტორი და ვერც კეთილსინმებით, როდესაც რაღაც დაცინვის კილოთი და ხან თითქო ბრაზით მოიხსენიებს განსვენებულს საქართველოს დაუვიწყარს ისტორიის მკვლევარს და არქეოლოგს დიმ. ბაქრაძეს. სარდონიკულის ღიმი-

ლიო ალნიშნავს ბაქრაძის ორ-სამ მტირე შეცდომას, რომელიც ყოველ დიდ შრომაში აუცილებლად მოუსდება ავტორს, სასოგადოდ ამტირებს ბაქრაძის მოდგაწეობას და გვარწმუნებს, რომ მე, ცაგარელს, «მსოლოდ ასდო სასებში შემსვდა იმის (ბაქრაძის) ისტორია ქართულს ენაზეო» (sic). ბ-ნი ცაგარელი ამასა სწერს 1894 წ. სოდო დ. ბაქრაძის «ისტორია საქართველოსი« დაიბეჭდა 1889 წ. ან შეგვიძლიან ან შეგნიშნოთ, რომ ტფილად უნებებია ქართულის ენისა და ლიტერატურის ერთად-ერთის კათედრის პროფესორს, რომ სუთისა თუ ექვსის წლის განმავლობაში, შემდეგ ბაქრაძის ისტორიის დაბეჭდვისა ანც კი წაუკითხავს ის, რის დაბეჭდვაც დაიდ თავლასჩინო ამბად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ლარაბს საისტორიო ლიტერატურაში.... ნუ თუ ეს ისტორია იმდენის უფრადლების ღირსი ან იყო, რომ ბ-ნს ცაგარელს ადრე წაეკითხა? მაგრამ იქნება ეს იმგვარი დაცინვის კალო იყოს, რომელიც ამ ბოლო დროს ჩვენს ლიტერატურაში შემოიღეს და რომელსაც დისსიმულაცია ჰქვია: აქაო და მე თქვენ ნაწერს ან კეთილგულობთ... ერთს ადგილს ბ-ნი ცაგარელი ისსენებს დიმ. ბაქრაძეს, ვითარცა ტნობის მოყვარე მწერალს (любознательный писатель—sic!), ე. ი. დიდლეტასტს, რაც ყოველის ეჭვის მიუტანელად ან შეეფერება ქართულის მწერლობისა და ისტორიის ამისთანა მოდგაწეს... suum cuique... მტრის ენამ შეიძლება სთქვას, რომ ჩვენი ავტორი გაიკვრებია იმ რამდენსამე შენიშვნას, რომელიც დიმ. ბაქრაძემ წარმოსთქვა ბ-ნ ცაგარლის ნაწერის შესახებ, მაგალითად, ბულარბის წაკითხვაზე ბუღასბის მაგიერ (ისტ. ნაქ. გვ. 246.).... მაგრამ ეს ხომ მტრის ენა იქნება....

შემდეგ ავტორი აგვიწერს დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკას, რომელიც «ძლიერ ძვირფასია, თუმცა კი ვერ შეედრება ბატონიშვ. თეიმურაზის, თ. ივ. გრუზინისკის და თ. მინგრელსკის ბიბლიოთეკებს» და რომელიც იმის მეშკიდრეებმა წერა-კითხვის «ასზოგადოებას» შესწირეს. ბ-ნი ცაგარელი იმედოვნებს, რომ ეს ასზოგადოება უფრო ვრცელს კატალოგს შეადგენს ამ ბიბლიოთეკისას და მით «დაამტკიცებს, რომ ქართველებს უნარი აქვთ, როგორც შეკრებისა და შეძენისა, ისე დაცვისა და თავის ძეხაძესის სარგებლობისაც». სხვა-და-სხვა შესა-

ნიშნავ წიგნთა შორის ავტორი ასახელებს შემდეგთა: 1) «დროსა მეფისა ირაკლისსა და მეფის გიორგისასა, ნებითა ამა ორთა მეფეთა, აღწერილი სოფლები, შენი და უშენონი, სოფლები ქართლისა და კახეთისა, რომელნიც აღწერა მეფის ძემ იოსემ» და სხ.—წიგნი შეიცავს სტატისტიკურ და გეოგრაფიულ ცნობათა ქართლსა და კახეთზე; 2) «წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნისა, შეკრებული მეფის გასტანგისაგან» (VI); 3) ფასიგისათვის; 4) წერილები ზოოლოგიაზე; 5) «ქმნილი მეფის ძის თეიმურაზის მიერ... განმარტება ლექსთა მათ მაღლისა ფრანსისათა,... აქა «ვეფხის-ტყაოსნისა» სტიხთა შ'ა სმარებულნი არიან» და სხვ. ძველ წიგნთა შორის ავტორს მოჰყავს წიგნები, დაბეჭდილი ქუთაისში 1807 წ., წესში (რაჭაში) 1811 წ., სიხსერეში (ზემო-იმერეთში) 1817 წ. და რომში 1629, 1732 და 1797 წწ. ამ ცნობათა მიერ რაოდენადმე შეიგსო საქართველოს ბეჭდვის საქმე, რომელიც ავტორმა ამ ტომის ბოლოს ნაწილში მოკლედ აგვიწერა.

ბატონიშვილის თეიმურაზის ბიბლიოთეკაზე ავტორი ამბობს, რომ «ეს ძვირფასი წიგნთ-საცავი სამეცნიერო აკადემიის აზიურმა შუზეუმმა შეიძინა 1848 წ. და ამ შესაძენის შეძენით მან ქართული ლიტერატურის ნაშთების მშვენიერი კოლექტია შეაგროვა, რაითაც ამ დაწესებულებას დიადიც შეუძლიან თავმოწონობდეს». ცნობილს ისტორიკოსს, რომელიც ფრიად ნასწავლი კაცი იყო, საკუთარის სელით დაუწერია თავის ბიბლიოთეკის კატალოგი, რომელიც შეიცავს 206 წიგნს. ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა წიგნებმა: № 118 ესტეტიკა ანსიღიონისა, ხელოვნება უმაღლესი რიტორობისა, მეფის ძის დავითის მიერ თარგმნილი; № 119 წიგნი ჰაღოდიკო—დიალექტიკა, ელინურისაგან თარგმნილი ძველი ქართველთ მთარგმნელთაგან; № 120 წიგნი სადიალექტიკო; № 121 წიგნი ბორეირი ფილოსოფიისა, ღასელისა, ტირულისა, ხუთთავის სმათა არისტოტელთა შეუვანილება; № 123 წიგნი კაკეირი ანუ სტოსია, ფილოსოფია ბროკლე დიადოხოსისა, ბლატონურისა, ღ'ის მეტუკელისა მარტიანისა, თარგმნილი ელინურისაგან ქართულ ენასა ზედ იოანე ფილოსოფოსისა ბეტრიწისა მიერ, დიდისა მოძღვრისა ჩვენ ქართველთასა ბერკელად და სხ.; № 124 წიგნი ათთავის

კატეგორიათა არისტოტელისათა, ქმნილი ანტონ ბირველისა მიერ; № 127 ლოგიკა—ფილოსოფია ქრ. ბაუმეისტერისა, თარგმნ. ლათინურისაგან კათ. ანტონის-მიერ; № 128 ფიზიკა—თეორია; სხვათა-და სხვათა აკთორთაგან შეკრებული კათ. ანტონის მიერ ბირველისა; № 129 ფიზიკა—ბრაკტიკა, შეკრ. სხ. და სხ. აკთორთაგან მეფის ძის დავითის მიერ; № 130 წიგნი ბუნებისათვის ღმერთთა-სა ტიტერონისა, თარგმნ. მეფის ძის თეიმურაზისაგან რუსულს ენით; № 132 წიგნი თითრი—ბოლეტიკა, სწავლანი მეფეთ და მთა-ვართათვის... თარგმ. ბერძნულისაგან ენისა წმ. იერუსალიმის ქართ. მონ. არქიმანდრიტის ბენედიკტის მიერ; № 133 წიგნი კიტაიის საბრძნე, ზნეთ სწავლებანი, თარგ. გაიოზისა და სხ.; № 135 წიგ-ნი, ქმნული მარკოზ აურელიანისა, რომის კეისრისაგან, ზნეთ სწავ-ლებანი, გაიოზ არსიმანდრიტისაგან თარგმნული; № 137 წიგნი არისტოტელისა ბორეტთათვის და კეთილისა განმარტება და ზნეთ სწავლება, თარგმ. ბატონიშ. თეიმურაზისაგან; № 141 მეფის ირა-კლის მეორის ისტორია, ს<sup>ა</sup>დ ქართლისა და კასეთისა სამეფოთა და სხვათა მეზობელისა; № 152 წიგნი მტირე-სარკეკად სახელდე-ბული, მეფის ძის დავითის მიერ ქმნილი, რომელი არს სუთად განყოფილი: 1) ისტორია ასურეთისა, 2) ბერძენთა, 3) მეკიპ-ტელთა, 4) რუსეთისა და 5) საქართველოისა; № 153 სამესხე-თისა... თუ კითარ, რომელ ყამსა დაიპყრეს ოსმალთა—მოთხრ. მეფის ძის თეიმურაზის მიერ; № 154 ხრონოგრაფი-ისტორია კრცე-ლი; სამღვდელონი და სასერონი მოთხრობანი დასაბამიდან სოფლისად-ისრაელთა, იუდაველთა, ასურთა, რომთა და ბერძენთა კიდრე ადებამ-დე თურქთაგან ოთომანისათა კონსტანტინეპოლისა, და ოთომანთა-ცა ისტორია არს ამას შინა შეტანილი; თარგმნ. ბერძნულისაგან ენისა სოლოლაშვილის მიერ ქართველისა... კიდრე მტირეს თეოდო-რის მეფობის დასრულებამდე... და შემდეგ არჩილ მეფეს შეწევ-ნითა სხვათა მთარგმელთა სრულ უქმნიეს... № 155 ტრიადის ის-ტორია, კრცლად აღწერილი და დარღვევა მისი, ქართველთ ძველთ მთარგმნელთაგან ნათარგმნი; № 156 ლირსნი ხსოვნისა აღწერანი ჩინებულთა ქალაქთა ევროპიისათსა, ლათინურისაგან ნათარგმნი იოა-ნე ბერის მიერ, ფილოსოფისა ქართველისა; № 157 მოთხრობა

შემოკლებით დალაილამისათვის; № 159 ბუნებითი ისტორია ასურისთანისა ნათარგმნი ქართულად ავთ. თუმანიშვილისაგან; № 161 წიგნი—თელემაკ, ფრანტიტულისაგან თარგმნილი... სარიდან ჩოლაყაშვილისა; № 162 წიგნი კელისარიანი... რუსულიდან თარგმნილი გაიოზ არსიერისაგან, რომელიც იყო თავადთა ბარათაშვილთანი. თაყაშვილი; № 179 რაზოკორი რუსული და ქართული, სოლომონ მსაჯულისა, მეფის ერეკლე მეორის მდივნის მიერ; № 189 ტაკტიკა... თარგმანი ფრანტიტულით მეფის ძის თეიმურაზის მიერ; № 190 მსედრობის დარიგება სპოლეონისაგან, თარგმანი მეფის ძის თეიმურაზისა; № 191 ფრანტიტულნი სჯულნი სამსედროთაგანთა შემტოდეთა გადასდგენებისათვის, მისივე ნათარგმნი; № 192 არტილერიის წიგნი და ხელოვნება და ზარბაზნის ჩამოსხმანი, რუსულით თარგმანი მეფის ძის დავითის მიერ; № 193 მტირე წიგნი პრაკტიკა არტილერიისა, მანკერეა და სხვ. დ.ს.ს. საგანთა არტილერიისათა, ქმნილი შემოკლებით მეფის ძის თეიმურაზის მიერ; № 194 საარისმეტიკოთა და საგეომეტრიოთა პროპორციათა, პროგრესსიის კანონთა და რომელთამე საგეომეტრიოთა საგანთათვის, ქმნ. მეფის ძის თეიმურაზის მიერ; № 195 გეოგრაფია მოკლედ მეფის ძის დავითის მიერ ნათარგ.; № 196 წიგნი, რომელსა ეწოდების ალთი (ანუ ალთი) სპარსულ. თარგ. კასტანგ (VI), რომელსა შინაც არიან რომელიმე ღეომეტრიულნიც და გეოგრაფიულნი შემეტნებანი; № 197 მონტესკიუ—ფრიად ჩინებული წიგნი სჯულთათვის, თარგმ. მეფის ძის დავითისა რუსულის ენიდან ქართულად; № 198 ინდოთ ბრაჰმანთა სარწმუნოება, ანუ ღ<sup></sup>ის მეტეუელება მათი, რუს. ჭკოთარგმნა ესე მეფის ძმან დავით; № 199 მითოლოგია შემოკლებით მეფის ძის დავითის მიერ თარგმნილი რუსულით და ინბანზე დაწერილი ქართულად; № 200 რომელიმე კოლტერის თხზულებათაგან, თარგმ. სხვა და სხვა საგანთათვის რუსულიდან ქართულად; № 201 მტირე ენციკლოპედიად სახელდებული და რომელსა შინაც არიან ზნეთ-სწავლებანი, თარგმანი რუსულისაგან ენისა ქართულსა ზედა ჩუგუნოვისა; № 203 შემოკლ. მოთხრობა არმაზისათვის, რომელსაც გერმან-მსაჯურებსა შინა თაყვანს სცემდეს ერნი საქართველოსანი და სადოდეს უფირველესს ღ<sup></sup>ად: ვინა იყო იგი და სადაჲთ?—ბოვნილი ძველთა

წერილთა შორის და გამოწერილი მეფის ძის თეიმურაზის მიერ; № 206 წიგნი სამზარეულოსი, მეფის ძის ბაგრატის მიერ ქმნილი. ამ კატალოგის დასასრულს ბატონიშვილის თეიმურაზის სელით მიწერილია თარიღები იმის კორესპონდენციისა 1833 წლ. 1836 წ., სადაც მოსსენებულნი არიან: უკანასკნელი მთავარი სამეგრელოისა დაკით დადიანი,—რომელსაც თეიმურაზი მეგობარს უწოდებს და სხვა და-სხვა წიგნებს უგზავნის,—არქიოლოგი ბ. იოსელიანი, ბარიატელი აკადემიკოსი შარმოა და ბრასსე; ამ უკანასკნელს თეიმურაზი ქართულად სწერს (ბრასსე ჯერ კიდევ არ იყო მოწვეული პეტერბურგში აკადემიკოსად და ბარიეში სწავლობდა ქართულ ენას).

ამ შესანიშნავის წიგნთ-საცავის აღწერის შემდეგ აკტორს მოჰყავს კატალოგი თ. ი. გრუზინსკის ბიბლიოთეკისა, რომელიც პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას 1880 წ. შეუძენია და რომლის სალეთისმეტყველო წიგნების აღწერა აკტორმა ბირველ წიგნში თავის «ცნობათა» და სს. უკვე დაბეჭდა. აკტორი ესლა ჩაბეჭდავს იმ ბიბლიოთეკის სამეცნიერო წიგნების კატალოგს, რომელშიაც განსაკუთრებულს ყურადღებას მიიქცევს ბუნებისა და სატესნიკო მეცნიერების მრავალი წიგნები: კოსმოგონიისა, კანსკვლავთ-მრიცხველობისა, ასტრონომიისა, არითმეტიკისა, ტრიგონომეტრიისა, გეომეტრიისა, ლოგარითმებისა, ფიზიკისა, ქიმიისა და აღქიმიისა, სამხედრო და სამეურნეო მეცნიერებისა და ბუნების-მეტყველობის შესახებ. აკტორი სამართლიანად დასძენს, რომ თუმცა ცხობანი ამ წიგნებში მოყვანილნი, ცხადია, არ შეეფერება მეცნიერების ესლანდელ მდგომარეობას და მხოლოდ ისტორიული ინტერესი აქვთ, მაგრამ ეს წიგნები ძლიერ საყურადღებოა, რადგან გვაუწყებს ძველ ბერძნებას, არაბების, სპარსების და, სარწმუნოა, სირიელებისა და ქალდეველების ტოდნასაც ზემო-აღნიშნულ მეცნიერებათა შესახებ, სოლო ზოგიერთი მათ შორის შეიცავს ქართველების სოფლურ ექიმობის აღწერას. ეს წიგნები გვიმტკიცებს აგრედვე, რომ სპბიბლიო და სალეთის-მეტყველო, სისტორიო, საფილოსოფოსო და საპოეზიო ნაწარმოებთა გარდა ქართველებს შეუსწავლიათ ბუნების მეტყველების მეცნიერებაც, შეუმუშავებიათ ამ მეცნიერების ნიმდვილი ტერმინოლოგია და იმის ადგილად გაგებისათვის ენა განუკითარებიათ,—

რაც ესლანდელ დროშიაც ეფრიად სასარგებლოა. მოგვყავს ზოგიერთ ამ შესანიშნავ წიგნის სასელი: № 100 ცნობანი ქიმიაზე, შეკრებილნი მეფის კასტანგის (VI) მიერ; № 341 მისიეე—ასტრონომია ანუ ცნობა ქმნილებათა, დაბეჭდ. ტფილისს 1721 წ. თარგმნ. სპარსულიდამ; № 342 ასტრონომია, სელთსაწერი; № 394 მზისა და მთვარის დაბნელებისათვის, რეული; № 269 ულუბეგ შაჰრუხის ძისაგან ქმნილი ასტრონომია; № 253 საეტლო წიგნი ძველი ქართული, ელდინურიდამ თარგმნილი ქართულად; № 243 ლათინურიდამ თარგმნილი ცის ქმნილებისა, კარსკელავთა, ხოდთ(?) და ბლანეტთათვის, რ<sup>ს</sup>ა <sup>ს</sup>ა არს მრავალი ფიგურა დასახული და ადრიცხვანი; № 337 ეკომეტრია, ნათარგმნი რუსულიდამ..... გასწორებული მეფის კასტანგის მიერ და შემდეგ შესრულებული იმის მდივნის მელქის. კაკაბაძისაგან; № 340 ლოგარიფმთათვის, რეული, რომლის ბოლოს აეტორი ისსენიებს თავის «ზოგადსა ეკომეტრიასა» შედგ. 1764 წ.; № 338 ეკომეტრია დასაზულებით ქართულად, სელთსაწერი იოანე ბატონიშვილს ეკუთვნოდა; № 339 ეკომეტრია; № 336 მათემატიკა (ი. ნაწილი არითმეტიკისა, ტრიგონომეტრიისა და სხ. და სხ.) სელთსაწერი; № 226 დიდი არიხმეტიკა, თავისის ფიგურით, სარიდან ჩოლაყაშვილისაგან გარდმოდებული რუსულიდამ; № 343 შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკული ანტონის ამ ბიბლიოთეკაში მოიპოვება მრავალი კარანდინები № 358-დამ № 381-მდი, იმათ რიცხვში № 379 სამკურნალო ცხენისა, ქმნილი ინდოთა, ბაღდადელთა და ეგვიპტეთა ბრძენთა, ე. ი. არს ჭინაპიურ რუსეფისა და საშიტისა, ნაწერი წიგნი; № 184 ქორის კარანდინი ძველი, ბერძნულიდამ თარგმნილი; № 200 ფრინველთ კარანდინი, იტალიურიდამ თარგმნილი; ერთი კარანდინი მეფის გიორგის ბრძანებით გადათარგმნილი იქმნა ლათინურიდამ ქართულად ფრანგების უფროს პატრის ანდრიასაგან; № 292 გულის-ხმის ყოფისათვის ჭსეულისა, მოსტესკიოსი; № 300 ლოდიკა აბბატ კონდილიაკისა; № 305 მოძღვრებაჲ ზნეობითი ფილოსოფიისა, შეთხზული ადამ ფერგიუსონისაგან, ედინბურღის უნივერსიტეტის პროფესორისა; № 308 განსჯაჲ სარკეტრიისათვის ფილოსოფიისა, ტაციტისათვის; № 317 სიტყვა ანსიდიონისა პრუსიის აკადემიის

წეკრისა; № 352 სამსჯდროთა თათბირთადმი შესასებელსი ბრუსსიის კოროლის ფრიდერიკოსი; № 353 ფორტიფიკაცია; № 354 ჭაზრი კავალერიისათვის. ამაკე კოლეკციაში არის ერთი სელთნაწერი არითმეტიკისა № 335 (XVIII საუკ.). დასაწყისი შესანიშნავია მინაწერებით: კიდეც უცნობი სწერს, რომ 1727 წ. აპრ. 17 მიეგბარე ენის სასწავლოთ ლამბერთს; 1727 წ. ქრისტეშობას მიეგებარე ბასოგეტს სასწავლოთ არხიტექტურისა, მიდიტერიისა და არტილერიისა; ფრანსიტულის ოსტატს (მიეგებარე) 1727 წ. მარტს;... ლამბერტის მიეგ სასწავლოთ ერთი თუმანი... ბ-ნი ცაგარელი ამბობს, რომ ეს გვაძლევს საბაბს მოვიფიქროთ რაოდენიმე მასალა სკოლის ისტორიის შესახებ საქართველოში».

მოგვაგს მოსაზრება ბ-ნ ცაგარლისა, რომელიც ჩვენ ფრიად საინტერესოდ ვთვლეთ: «უეჭველად, ზემოხსენებული ლამბერთი ან ბრეკეტი — კათოლიკეთა მისიონერები იყვნენ; ხოლო ეს ლამბერთი არ არის ის ცნობილი ლამბერტი, რომელიც დასავლეთ საქართველოში 1620 წ. იყო და ეგეიწერა თავისი მოგზაურობა კოლხიდაში... არ კიცით აგრედგე, კინ იყო ეს ცნობის-მოყვარე მოსწავლე, რომელსაც ეკუთვნის ამ არითმეტიკის მინაწერი... ცნობილს გეოგრაფეს და ისტორიკოსს ბატონიშვილი კახუშტის, როგორც ზეპირგაბმეტემა მოგვითხრობს, კათოლიკეთა მისიონერები ასწავლიდნენ, მაგრამ აღნიშნულ დროზე ტოტა ადრე, მაშასადაც, კახუშტი არ უნდა იყოს მინაწერების ავტორი. ჩვენ გვაქვს რამდენიმე მაგალითი, რომ ქართველები კათოლიკეთა მისიონერებთან სწავლობდნენ და ქართველების მხრით ეს ძალთან ბიბარეკა ხშირად თავდებოდა კათოლიკეთა სჯულის მიღებით (კახეტანგ და სხვა ორბელიანი). საქართველოს მეფენი სადიპლომატო მისდობილებით ევროპაში ხშირად ჭვზავნიდნენ კათოლიკეთა მისიონერებს. მეფე ერეკლეს ტოტლებენთან მოლაპარაკება ჰქონდა პატრის დომინიკის საშუალებით».

«რადგან ქართულ სკოლებზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, მოგვაგს აქ რამდენიმე ცნობა სასწავლებლის საქმის შესახებ, რომელზედაც, სამწუხაროდ, ზოგიერთს ერთობ ბუნდა და უკუმართი აზრი აქვს, ხოლო ზოგიერთნი თითქმის უარჰყოფენ თვით სკოლის არსებობას ძველ საქართველოში. სკოლები ძველად არსებობდნენ ჩვენში, ხოლო

ისინი სხვა გვარისა იყვნენ; უფრო მონასტრებში არსებობდა, ეკლესიებთან და ეპისკოპოსებისა და მღვდლების სელში იყო. ვიცით, მაგალ., რომ მღვდ. ჩუბინიაქეს XVIII საუკუნის მე-80 წლ. ჰქონდა სკოლა, რომელშიც 14 წლამდე სწავლობდა მისი შვილი სიკოლოზი; შემდეგ დიდის წარმატებით განაგრძო სწავლა ტფილისის კეთილშობილთ სასწავლებელში. ამ სასწავლებლის დირექტორი ბუკრინსკი, ქართველის ენის კარგად მცოდნე, ნიკ. ჩუბინიაქის წარმატებას მიაწერს იმის ადრინდელ მოამზადებას ქართულ სკოლაში, რომელსაც მისი მამა მართავდა. იესე ოსიასშვილის (XVIII საუკ.) სელთნაწერ დღიურში ჩვენ ვპოულობთ შემდეგს შენიშვნას იმის შესახებ, ვინთან და რა უსწავლია ამ იესეს და თითონაც შემდეგში როგორ უსწავლებია: «კარგად ვიცოდიო, ამბობს იგი დღიურში, — სუტურისა, მსედრულისა და მგრგლოვანის წერა; რამდენიმე კატეხორნია ბორიგორისა მ. კასტანგ (ორბელიანი) და კარდაბეტ ზაქარიასთან ვასწავლეო. სიონის ტაძრის ეზოში ვიდექი, მასწავლიდნენ ვითარცა, წერას და სალეკსიო ვალობას; შემდეგ (როდესაც დიაკვნად ყოფილა) ვიდეგ მუდრად ჩემს ოთახში, ვადაკსწერდი სადვთის-მეტყველო წიგნებს, ვყიდდი და ბით ვცხოვრობდიო. მე მუკადა 30 მოსწავლე, ზოგი სასულიერო და ზოგი საერო წოდებისა; ისინი ძალიან მეწოდნენ და ღმერთი გვარჩენდა ჩვენ».

«წერა-კითხვა საქართველოში გავრცელებული იყო განსაკეთრებით ეკლესიის წოდების—თვით გლეხების ქალთა შორის. ამ მხარეში, რომელშიც ვაყვანები განუწყვეტელ ომებში დროს ატარებდნენ, ქალების წილად სვლათ წერა-კითხვის დატვა და გავრცელება. ბორგელ-დაწყებითი სწავლას ბავშვები დედათაგან იმენდნენ. კვიტანი იაზიგოვი, რომელიც საქართველოში წარს. საუკ. მე 70 წლ. იყო, თავის აღწერილობაში სწერს: «რაც შეეხება კეთილშობილთ ქალებს, თითქმის ყველამ იციან წერა... თავად-აზნაურნი ასადგაზდა ქალებს ასწავლიან კითხვასა და წერასა». მე XI—მე XII საუკ. და სხვა შესახებ, ჩვენ ვპოებთ აქა-იქ გაფანტულს ამ ბიბლიოთეკაში ცნობას სკოლებისა და საძმოსწავლო საქმის მოწყობის თარობაზედ საქართველოში. სოლო მის თარობასა, თუ რაში მდგომარეობდა შემდეგს საუკუნეებში სკოლის ბრეგრამა ეკერიანის აღმაფდისა და სწავლე-

ბას,—რომელიც უფრო თავად-აზნაურებისა და სასულიერო წოდებისათვის იყო საკადდებულო, ჩვენ გვაქვს ძვირფასი ტნობანი მე XVII საუკ. მწერლისა, არჩილ მეფისა, დატულნი «არჩილიანში» (თავი საქართველოს ზნეობისათვის). თავად-აზნაურობის და სასულიერო წოდების მოზარდს თაობას უნდა შეესწავლათ შემდეგი საგნებიანა და წიგნის ტოდნა, უცხო ქვეყნის ამბის მოსმენა, სხვა და სხვა ენის ტოდნა, მწიგნობრობა, მთარგმნელობა, ღრმის სიტყვის ადვილად გამოთქმა, და მწერლობა (კალიგრაფია): ხუტურისა და მსედრულისა, მრგლოვანისა, ყვავის—ფანხოლოვანისა, ასომთავრულისა, მხატრობისა, მოანასაზღბისა (черченіе) ლექსთ-მთარგმნელობა (ანანა), გარდამავლობით ხუმრობის ადვილ შეტყობა, მოზიერობა (вести процессы), საამრთლისა მართლისა ქმნა, დიდი ბჭობა (умѣнье участвовать въ великомъ (государственномъ) совѣтѣ), ანგარაში და რიცხვთ-ტნობა, ჩაგდება, მეკანჯობა, მესტროლაბობა (астролябія).... ტრუდ თქმელა მებეჭობა (ბეჭზე მკითხობა სიტრუდ მიაჩნდათ),... ელჩობა, მოტიქულობა, სიტყვის დასწავლა, მელექსობა, შაირის თქმა... ამასთანავე არჩილს ბერძნების სასწავლო ბროგრამა მოჰყავს იმნაირად, როგორც თვითონ ესმოდა: «ეს არის სიბრძნე ბერძნებისა:—ბიერელ ფილოსოფოსობა, მგურნალობა, რიტორობა, მერმე ღრამატიკოსობა, ქვეყნის ზომვა, კარსკელავთ-აიტვა, სიტყვის-შეთზენა და ბრძოლის წესი, ხელოვნება, ძნელთა ნიეთთ-მეტყველება (მატერიისა), ბუნებათა მეტყველება, რიცხვთ-მეტყველება». შემდეგ ამისა მეფე არჩილ მოგვითხრობს: «ეს ეს მოშინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის (საქართველოში) საღმოთ და ანუ საერო... შესაფერობა, ალერსი, სიმღერა და დასდებელი, გარიგება, ხუთრის დრო მის-მის ალაგს კაცის დასმა, სიკვდილ დაკრა, ბეჭის გათლა, დანის მოსმა, ზმა და ხუმრობა, და სიცილი, საკარავი, ზაბი, ტეკვა, სამაი, ჯუბანა, ტანსა და ფეხსა გაწყობა, მეკინიბობა, მსედრობა, ტნობა ტხენისა, ფრინველისა და ძაღლისა, ყაბანი და ბურთის სროლა, კირითობა, მტურობა, მოტირლობა, გლოვა, ზარი, ჭადრაკის მღერა, ნარდისა, სტომა, მოგვერდი, ჯამბაზობა, წყლის წურვა და ბალის სროლა, ნადირობა, ისრის თლა, ჩოგნის მოსვრეტა, კმლის ტემა, ჯაჭვის ტოდნა.... მეფეთ-ბატონეთ ურთურთობა, ტოლთან, მეგობართან; უმტრესთან მასპინძლო-

ბა, სტუმრობა, მეკვლისობა, ბურადობა, რაზმობა, ცხენოსნობა, ჩა-ტმა-დასურვა, მისრა-მოსრა, შესვლა-გამოსვლა, მიწოდება და ბასი»...

ამავე თ. გრუზინსკის ბიბლიოთეკაში მოიპოვება სკოლის საქმის შესახებ მე XVIII საუკ. მრავალი საბუთები სასულმწიფო მარ-თვის რეფორმების პროექტში, რომელიც ბატონიშვილმა იოანემ 1799 წ. წარუდგინა თავის მამას, მეფე გიორგის, არის გამორ-კვეული სკოლის საქმეც და მოხსენებულია დავუძნება უმაღლესი სასწავლებლისა გორში, სადაც ორიგე ძველი ენა, ერთი ასალი (ფრანგიტული) და ამასთანავე კატეხორები (ლოღიკა), რეტორიკა და სხვ. უნდა ესწავლათ. ამავე წიგნთსაცავში არის დაცული მეფის ირაკ-ლი II თელავის სასულიერო სემინარიაში XVIII საუკ. მე 80 წლ. მაბრძანების აღწერა, რომელშიაც მოყვანილია სიტყვა მოსსენებული გაიოზის მიერ. იქვე დაცულია აღწერა აქტისა, რომელიც ჭმოწმობს, რომ დიდის ამბით გადუსდიათ სემინარიის დაარსების დღესასწაული 28 მაისს 1782 წ. და ამ აქტზედ სემინარიის რექტორს, იმავე არსიმ. გაიოზს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც მოყვანილია 12 სიღრმატიკო თემა სემინარიელთა მიერ თხზულებათა დასაწერად და სადისპუტოდ.

ავტორი შემდეგ ადგენს თ. მინგრელსკის ბიბლიოთეკას, რომელიც ამ უკანასკნელმა «წერა-კითხვის საზოგადოებას» შესწირა. ამ წიგნების აღწერა უფრო კრებულია წერა-კითხვის საზოგადოების კატალოგში 1887 წ. და მათ შორის შესანიშნავია: იოსიფოს ფლა-ვიოს 20 ტომი, მონტესკიოსი 2 ტომი, ტრაგედია ვოლტერისა «ალზაირ», ისტორია ლუდოვიკო XIV, მითოლოგია, ციცერონის წერილნი, წიგნი ირიდოტესი, ირიდოტეს ისტორია, 8 ტომი ბლუტარხის თხზულებანი, საზოგადო ისტორია 4 ტომი, ოვი-რესის ილიადა და ორი ტრაგედიის წიგნი. ავტორი აღგვიწერს შემ-დეგ კრაკოვის მუზეუმის ქართულ ხელთ-ნაწერთ; ამ ხელთ-ნაწერთა-თვის მიუგნია ბ-ნ სპასოვიჩის ჩვენებით. და ისინი უეიდნია თ. ჩარ-ტორიუსკის პორიაში. შემდეგ ჩამოსთვლის ქართულ ხელთ-ნაწერებს და მეფეებისა და ბატონიშვილების პარტრეტების სიას, რომელიც დარ-ჩენილა შემდეგ ბატონიშვილის დავით ბაგრატის ძის სიკვდილისა. სხვათა შორის, ამ სიაში მოხსენებულია სურათი, რომელიც ვეთოძე

რესთველისა უნდა იყოსო; მერმე აკტორს მოჰყავს ჯერ წმ. გიორგი მთა წმინდელის თხზულებთა სია და შემდეგ 8 ბრძანება და ერთი წერილი ივანეული II ისა, რომელსაც სასაკეს «სიოტყრ და შესანიშნავ მეფედ მეფეთა შორის, რომელთაც ოდესმე ეპყრათ ტასტი». აქვე აკტორს დაუბეჭდია ანტონ I ორი წერილი,—რომელიც რუსეთიდან მოუწერია დეკანოზ ალ.-მესხიშვილისათვის—და სამი წერილი: 1) წესი და განგება დარბაზობისა, რომელი აღსრულების მცხეთას კურთხევასა მეფისასა, 2) კურთხევა მირონისა და 3) განგება დარბაზობისა; ეს წერილები ხარკვეულებია ქართველის ისტორიისა, რომელიც შეუდგენია კათალიკოზ მიქელს (VII საუკ. ანჩიელ მეფისობას). ბოლოს აკტორს დაუბეჭდია რასინის ტრაგედია «ეფიგენია», ქართულად გადმოკეთებული 1795 წ. დავით ჩოლაყაშვილის მიერ.

ბ-ნი ცაგარელი დასძენს, რომ «ქართველს ლიტერატურაში, რომელიც მდიდარია ზოგიერთის საწარმოებით, სალიტიკო და საეკლესიოთი, ლექსებითა და ბრალითი, ორგანისლურითა და ნათარგმნითი, ჩვენ კერ გვოგებთ დრამას, გერ სასულიერო (მისტერიებს) და ვერ საერო, თუ დრამაად არ ჩავთვლიით ზოგიერთ სასულიერო და საერო თხზულებათა, რომლებშიაც დიალოგებია მოყვანილი. რამდენადაც კიცით, «ეფიგენია» უნდა ჩაითვალოს ქართველ დრამატიულ ბოეზიის პირველ ნაშთად, რომლის თარიღიც ცნობილია. აგრედვე არ კიცით, იყო თუ არა ძველს საქართველოში თეატრი იმ სახით, როგორც ახლა არსებობს ჩვენში. მხოლოდ ერთი კი არის უეჭველი, რომ მე-XVIII საუკ. ქართულ მწერლობაში თეატრისა და სასცენო ლიტერატურის საუკეთესული უძველი იყო. ამას გვიმტკიცებს «მეფის ძის კასტანგისაგან რუსულიდამ გარდმოდებული თეატრი, უცხო და ჩინებული, წერილ ალფაბეტსზე; Théatre par ordre alphabétique, avee figures, traduit du russe par le pr. Saridua Tcholaquachwili ბრალსე Bec. des aetes); სინნა კორნელისა, თარგმ. ალ. ჭავჭავაძისა; ტრაგედია «აგამემნონი და სხვ. ბერძნები» ქმნ. ალ. ჭავჭავაძის მიერ, აგაიოკლი, ტრაგედია კოლტერისა, თარგმნ. პეტრე ლარაძისა; Iphigénie par Racine, traduite par Saakadzé (Bec. des aetes). იქნება, აქ სააკაძის მაგიერ ჩოლაყაშვილი უნდა იგულისხმებოდეს. «ეე მაქვს ესლა რამდენიმე ორიგინალური სათეატრო პიესა, რომელთ შინაარსი

ჩვენს ცხოვრებასა და ისტორიას შეესება; სამწუხაროდ, არც ზმათა ავტორები და არც თარიღი დაწერისა არ არის მოხსენებული. მე 50 წ. ბატონიშვილმა ოქროპირმა გადაგვიყოს ტრაგედიათ «ეთეფსის-ტეოსანი», სოლო კარანტოვის განათლებულ მეგარველობის მეოხებით ტფილისში დაარსდა სათეატრო დასი და მას შემდეგ მრავალი ორიგინალური და ნათარგმნი სათეატრო პიესა გაჩნდა.

დავით, ჯიმშერის შვილი, ჩოლაყაშვილი იყო მდიგანბეგი ირაკლი II და ცნობილია, როგორც ქართველის ენის კარგად მცოდნე, კარგი პოეტი და მწერალი. მას დაუწერია სიწმინდეარმეტეველთა წიგნი, იობის წიგნი, ლექსნი, რომელნიმე საქებელნი და რაოდენიმე ჩადალობელნი. ზოგიერთი იმის ნარკვევი დბეჭდილია დ. ჩუბინაშვილის ქრისტომატიაში 1863 წ. ეს დრამა «ეთეგენია» უნდა იყოს თარგნილი ენიდან ნათარგმნი და ძალიან შემოკლებული ჩოლაყაშვილის მიერ. რასინს «ითეგენიაში» სუთი მოქმედება და 37 გამოსვლა აქვს, სოლო ჩოლაყაშვილს 9 მოქმედება და 8 გამოსვლა: ჩოლაყაშვილს ზოგიერთი ადგილები ჩაუმატებია ამ დრამაში. ავტორის აზრით, ჩოლაყაშვილს აგამენონად ირაკლი II გამოჰყავს.

როგორც წინადაც მოვისენიეთ, ავტორს ამ წიგნში დაუბეჭდია მასალები დ. ჩუბინაშვილის და ზოგიერთ იმის წინაშართა ცხოვრებისა და სალიტერატურო მოღვაწეობის ასაწერად. მოგვეცა ამ მასალათა რამდენიმე ადგილი. დეკანოზს იესეს დავითის ძის ჩუბინაშვილს ფორმულიარიდან სწერს, რომ «სწავლა მიეცა ტფილისის კეთილშობილთ სასწავლებელში, სადაც ქართველად შეუსწავლია სამღვთო სჯული, ქართული გრამატიკა და ლოღიკა, სოლო რუსულად რუსული გრამატიკა, რიტორიკა, ზნეობითი ფილოსოფია და არითმეტიკა»... «ტფილისის კეთილშობილთ სასწავლებლის დირექტორი ბუკრინსკი, ქართული ენის კარგად მცოდნე, ნ. ჩუბინაშვილის (დეკ. იესეს ძმა) ატესტატში იმის წარჩინებულ წარმატებას უმეტესად მიაწერს იმ გარემოებას, რომ ნ. ჩუბინაშვილმა, ვიდრე ამ სასწავლებელში შემოვიდოდა, გულმოდგინედ შეისწავლა ქართული ენა (ავტორის კურსივია) მშობლების სასლში სალვთო წერილის და სხვ. წიგნების კითხვითა». ბატიგენემული პროფესორი დასძენს, რომ «აზრი ბუკრინსკისა—სეფეულიანი ოდენ დედაენისა

ძლიერ უსდგილებს სსვა-და-სსვა საგნების შესწავლას და უცხო ენებისადგილად შეთვისებას—ასალი არ არის და სრული ჭეშმარიტებაცაა, და, რასაკვირველია, არცერთი საუფლოანი ბედგოგი ამას არ უარჰყოფსო». ჩვენ შეგნიშნავთ მხოლოდ, რომ ნეტარ არიან მორწმუნენი! «დრო, განაგრძობს ბროფესორი, ჩუბინაშვილის გარდა წარმოგვიდგენს რამდენსამე იმის მაგალითს, თუ რა საოცარის სისწრაფით და საფუძვლიანობით შეუსწავლიათ რუსული ენა იმის მეოსებით, რომ წინდაც კარგად სტოდნიათ დედა ენა (ავტორის კურსივია), ქართული, მაგ., ბლ. იოსელიანი, დიმ. ყიფიანი და სხვ.»

ამ ყურად ჩვენ დიდ სანს ვერ შეგწირავთ იმ მასალების მიმოსილვას, რომელიც დ. ჩუბინაშვილის ბიოგრაფიას შეეხება. რადგან ჩვენი საბიბლიოგრაფიო წერილი უამისოდაც გაგრძელდა. ამიტომ მოგვყავს მხოლოდ შესანიშნავი ადგილი ჩვენის ლიტერატურის შესახებ, წარმოთქმული ლეიპციგის კამოჩენილ ბროფესორის ბროკჰაუზის მიერ, რომელსაც ქართული ენაც სტოდნია. ეს ადგილი ბროკჰაუზს თავის ყურნალში Literarisches Centrasblatt-ში გამოუთქვამს. № 12 ამ ყურნალისა და წერილი დ. ჩუბინაშვილის მიმართ, რომელსაც ბროკჰაუზი მადლობას უთვლის ქართულ ქრისტომატიის გაგზავნისათვის, დაბეჭდილია დ. ჩუბინაშვილის ქადაღდებში. თვის საბიბლიოგრაფიო შენიშვნას ბროკჰაუზი ასე იწყებს: «ძრავალთ სხვა-და-სხვა ტომთა შორის, რომელნიც კავკასიაში და იმის მინდორ-ველობაში სცხოვრობენ, ქართველები ერთად-ერთი ერია, რომელმაც თვისი სასელმწიფო ცხოვრება წესიერად დააწყო და რომელსაც საკუთარი ისტორია და ლიტერატურა აქვს». შემდეგ ქართული ენის ხასიათსა და ქართულ მწერლობის ნაშთთა შესახებ ამბობს: «ქართულ ლიტერატურაში ადვილად შესამჩნევია ორი მიმართულება,—ერთის მხრით საქრისტიანო-ბიზანტიური, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ამ ერის ლიტერატურასა და განათლებაზე; ამ მიმართულების მეოსებით ქართველებმა შეჰქმნეს მატიანენი, წმინდათ ცხოვრებანი, საგულთ-დებულებანი და ამასთანავე, რასაკვირველია, საძღვრისმეტყველო ლიტერატურაც;

მეორეს მხრით სუბარსულ მწერლობასაც გაკლენა ჰქონდა ქართულ საეკლესიო ლიტერატურაზე, რომელიც როგორც თორეთით, ისე შინაარსით, სუბარსულ პოეზიის ნიმუშებს მოგვაგონებს. ამასთანავე ბრეკეპუზი ალნიშნავს ზოგიერთ ქართულ ნაწარმოებში გაკლენას სუბარსულის მუზის უმჯობესთ თხზულებათ, საიდანაც თხზულებანი გადმოუთარგმნიათ ან გადმოუკეთებიათ. პროფესორს მოეწონა ქართულ ლექსთ წყობიერების არაბული სასელწოდებანი და აგრედვე ბერძნული იამბიკოც, რომელსაც უფითმო სასულიერო ქართულ ლექსებში სმაროდნენ. შემდეგ პროფესორი წარმოსთქვამს იმ აზრს, რომ, ვიდრე ქართულ ლიტერატურის, ნამეტურ პოეზიის ოქროს ხანა (მე-12—13 საუკ.) დადგებოდა, საგულისხმოა, რომ მანამდე წინ მეუფლოდა მოსაემზადებლად ხანგრძლივი დრო ენისა, ლექსებისა და თხზვის გასაუმჯობესებლად—როგორც თორეთის მხრით, აგრედვე შინაარსის მხრითაც,—თუმცა უუძველესი საღიტერატურო ნაწარმოების სათანი (XI საუკ.) ჯერ კიდევ არ ალმოუჩენიათ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ გვაქვს ესეა შემდეგნი ძველნი ნაშთნი მწერლობისანი: მაგ. წმ. ჯვარის მონასტრისა, მცხეთის პირდაპირ, აარწერა მე-VII საუკ. და რამდენიმე ხელთნაწერი, ანნა გარდა—ორი პაპირუსის ნაშთი VII—VIII საუკ.—პალესტინის საადგილსაწყალო, დავითი სინაზე, ათიოდე ეტრატზე VIII—IX საუკ. ნაწერი: ასასარება, დავითი, კურთხევანი, წმ. მამათა თხზულებანი, დაწერილი წმ. საბბას პალესტინის მონასტერში, ჯრუჭის ოთხთავი თარიღით 936 წლ. და დიმ. ბაქრაძის გამოკვლევეთ, ურბნისისა და ქსნის ოთხთავნი, რომელთაგან პირველი მე-VI საუკუნისაა, ხოლო მეორე იმაზე ადრინდელია.

პრ. ბროსეს აზეზი სწერს, რომ ეკლესიაში მსოლოდ ამ უკანასკნელ დროს დაიწყეს ქართულის ენისა და ლიტერატურის შესწავლა; გერმანელი სწავლული იხსენიებს ბროსსეს ნაღვაწს, რომელიც ფრიად საფუძველიანია, აგრედვე დ. ჩუბინაშვილის ნაწერებსა და ნაშრომსა და ჩამოთვლის სასელებს იმ თხზულებათა, რომელნიც ნაწუკეტებად ჩუბინაშვილს თავის ქრისტომატიაში შეუტანია (1860 წ.); განსაკუთრებით ვრცლად მოუთხრობს მეითხველთ რუსთველის პოემის «კეფსის-ტყაოსნის» შინაარსს; ამბობს, რომ სუბარსული გაკლენა ამ

თსზულებასაც ატყვია, თუმცა არ შეგვიძლია დავასახელოთ, რომელ ბოემის მიბაძვა არისო,—და რომ ესტეტიკური დაფასება ამ «რომანტულის ეპოპეისა» ქართველთა და ევროპაელთა მიერ შეიძლება სხვა და სხვა იყოსო, მაგრამ ეს კი საარწმუნოა, რომ «იმ დროს დასავლეთის ევროპაში ვერ დავასახელებთ ვერც ერთის ბოეტურს თხზულებას, რომელსაც შეეძლოს რუსთაველის ბოემას შეედარონ ლექსთწყობიერების სილოვნებითა და რითმის ბეთილსმოვანებით». ბოლოს ბრალეულსი დასძენს: «ქართული ლიტერატურა და განსაკუთრებით იმის ბოეტიური დარგი, რაოდენადაც ვიცით, არ ეკუთვნის იმ ლიტერატურათა რიცხვს, რომელთაც კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ეპოქა შეჰქონეს (Epoche machenden), მაგრამ თუ მოვიხსენებთ, რომ საქართველო მიელს საშუალ საუკუნეების განმავლობაში სულ განაპირა, უმკიდურესი ქრისტიანობის ბურჯი იყო აღმოსავლეთისაკენ, რომ ეს მცირე ერი დაუღალავის ვაჟკაცობით თავს იცავდა მაჰმადიანთა, მონგოლთა, თათრთა და სხვა ბარბაროსთა თავ-დასხმისაგან, რომ ძან დაიცვა თავისი ზნე-ხვეულება, ქრისტეს რწმენა და, რამდენადაც შესაძლო იყო, ბოლბტიკური თვით-არსებობაც,—თუმცა ურიცხვ მტერთა შორისაც იყო მოძწყვდეული,—ამასთანავე მარადის სიფაკრულით ბრეზიასა და მეცნიერების განვითარებისა და შემუშავების ზრუნვაში იყო,—არ შეგვიძლიან თავი შეეიგავოთ და არ წარმოვსთქვათ ჩვენი განცვიფრება ამ ერის გეთილშობილურისა და ვაჟკაცურის სასიათის წინაშე (Sinne). ამას გარდა ქართველები დიდს მოვალეობას ასრულებდნენ, როგორც შუაკაცნი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთ შორის და მრავალნი რომანტულნი აღმოსავლეთის მოთხრობანი (Sagenstoff) გარდატემულნი იყვნენ ბიზანტიაში და დასავლეთს ევროპაში ეახ მიერ. ამ საგულტურო და ისტორიული მოგონების გაძმოკვლევა, რამდენადაც ვიცით, თითქმის სულ-უსულებელია და, რასაკვირველია, ჯერ საფუძველიანად არ ჰრის შემუშავებული».

დ. ჩუბინაშვილის ბიოგრაფიის მასალათა შიმოხილვის შესუდეთ ბ-ნი ცაგარელი დასასკვნის შემდეგს: ამ უკანასკნელ ნასეკარ საუკუნის განმავლობაში ირტერის აღმოსავლეთის შესწავლის ნაწილს—სამეცნიერო გამოკვლევისა და აკადემიურ სწავლების, შესა-

სებ—არ გამოუცდია ისეთი თავგადასავალი, როგორც ქართულის ენის შესწავლამ გამოსცადა რუსეთში. ყოველი ნაბიჯის გარდადგმაზე თავის არსებობისათვის ადგილის დასაფლობლად აღმოსავლეთის შემეცნებათ სხვა მეცნიერებათა შორის ქართულს უნდა ებრძოლნა და სწავლულთა და სამსწავლებლო მთავრობის ყურადღება უნდა მიეპყრა. იმის ცხოვრებაში იყო სანა, როგორც აღორძინებისა, აგრედვე კატაკლიზმისა და გულგრილობისაც. ამ საუკუნის დამდეგს ჭეიქრობდნენ, რომ ქართულ მწერლობაში დაბადებისა, საკვლესიო და საღვთისმეტყველო წიგნებს გარდა, მოიპოვება მხოლოდ ისტორიული კრებული «ქართლის ცხოვრება» და რამდენიმე სალთონწერა. ხოლო მე 30 წლ. ბრალსელ უკვე შეადგინა ქართულ ლიტერატურის ნაშთების სია და დაბეჭდა 1837 წ. შემდეგის სათაურით: Tableau raisonné de la litterature Géorgienne; 1838 წ. მანვე დაბეჭდა 300 მეტის ნაშთის კატალოგი (Catalogue de livres Géorgiens და სხვ.); ხოლო მე-80 წლ. ამ სწავლულის სიცოცხლის დამლეგს აღმოჩენილნი და თითქმის სიაითაც აღნუსხული იყო არა ნაკლებ ორი ათასის ნაშთისა. ამ უკანასკნელ 12—14 წელს კიდეკ ორი ათასზე მეტი ნაშთი აღმოჩნდა. ამნაირად ჩვენ გვაქვს დღეს პატიოსანი რიცხვი ქართულის მწერლობის ნაშთებისა, გარეუდით სუფთათას ეკზემპლიარამდე (მე VII—XVIII საუკ.) ამ რიცხვიდან აქამომდე სრულიად დაბეჭდილია მხოლოდ 30 პატიოსანამდე და 10-დე გადათარგმნილია ევროპიულ ენებზე, ხოლო დანარჩენებისთვის ჯერ წეირიანი და კრეული კატალოგიც არ არის შედგენილი. ამას გარდა აქამომდე ცნობილია სამი ათასამდე ეპიგრაფიული ნაშთი (VII საუკუნიდან) და აღმოჩენილია დიდძალი იმათი რიცხვი ჯერ კიდეკ გარდმოუღებელი და წაუკითხავი. ამ მოკლე აღნუსხვიდანა სჩანს, რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან ჩვენი ცნობანი ქართულ მწერლობის შესახებ თანდათან კრცელდება და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ თვით ასლო მომავალში ამ ნაშთების რიცხვმა არ მოიმატოს,—პირიქით, ეოველიკე გვარწმუნებს, რომ ეს ასე უნდა მოხდეს.

როდესაც შეეუდარებთ ქართულ ნაშთებს თანდათან გამრავლებას ქართულ ლიტერატურის კეთილდღეს მდგომარეობას, დაეინახავთ,

რომ ეს კათედრა სრულიად სხვა ფორმაშია. ქართულ სიტყვიერების შესწავლის ეპოქად მე-40 და მე-50 წლ. უნდა ჩაითვალოს: 1837 წ. ქართულ სიტყვიერების მეცნიერი ბრბასს პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის წევრად იქმნა მიწოდებული; 1899—1842 წლ. ეს სწავლული კითხულობდა ლექციებს ქართულ ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ ჯერ სამეცნიერო აკადემიაში და მერე უნივერსიტეტში; 1845 წ. ამ უნივერსიტეტში ქართულ ენის მასწავლებლის შტატის ადგილი დაფუძნდა. 1855 წ. აღმოსავლეთის ენების ასლად დაარსებულს ფაკულტეტზე განწესდა ქართულის ენის და სიტყვიერების სპეციალურად კათედრა, რომელიც უნივერსიტეტის ასად წესდების გამოცემის (1863 წ.) შემდეგაც დარჩა. სოლო 1884 წ. წესდებით ქართული კათედრა შეუერთეს სომხურს და ამასთან სამეცნიერო აკადემიაში მე 80 წლ. ქართულ ენისა და ლიტერატურის შესწავლას წარმომადგენელი აღარ ჰყავს.

ამ ნახევარ რუკვა დაიხნდა მსმენელების რიცხვისაც, რომელნიც კავკასიის სტიპენდიატები იყვნენ და რომელთათვისაც საკადრებულო იყო სწავლა ქართულის ენისა და ლიტერატურისა: 1845 წლ. პეტ. უნივერსიტეტში კავკასიის მკვიდრთათვის 5 სტიპენდია იყო დაფუძნებული; 1849 წ. ამ რიცხვმა კავკასიის სტიპენდიანტებისამ, რომელნიც კალდებულნი იყვნენ ქართული ესწავლათ, მიაღწია 20-მდე. 1849 წ., გარდა უნივერსიტეტისა, ქართულ ენას ასწავლიდნენ კავკასიის მოსწავლეთ სატასტო ქალაქის (პეტერბურგში) ათს უმაღლესს სამოსწავლო დაწესებულებაში. სოლო 1874 წ. ის 4 თუ 5 კავკასიის სტიპენდია, რომელიც დარჩენილი იყო აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე, სხვა ფაკულტეტებზე გადატანეს და კავკასიის სტიპენდიატებს აღარ დაეკალთ ქართული ან აღმოსავლეთის რომელიმე ენა ასწავლათ; ამნაირად დღეს ზემოხსენებულ ფაკულტეტზე აღარ არის არც ერთი კავკასიის სტიპენდია და სატასტო ქალაქის არცერთს სასწავლებელში, გარდა უნივერსიტეტისა, ქართულ ენას აღარ ასწავლიან.»

«ამ სასით, ვსედავთ, რომ 1837—1870 წლებამდე ქართულ კათედრის მდგომარეობა, როგორც სპეციალისტების—ქართულ ენის მეცნიერების,—აგრედვე ამ მეცნიერების მსმენლების მისედვით თან-

და-თან ძლიერდება და უმჯობესდება, სოლო იმ დროდან დაწყებული ბერძენთ თან და თან სუსტდება. ერთის სიტყვით ქართულ ენისა და ლიტერატურის შემუშავება და შესწავლა რუსეთში ესლა უფრო უარესს მდგომარეობაშია, ვიდრე მე 50 წელთა დამდეგს».

«ცნობილია, რომ ამ ნაირი რეკვა, 50 წლის განმავლობაში, ქართული ენის გამოკვლევის და სწავლების საქმეში ჩვეულებრივსა და სასურველ მოკლესად არ უნდა ჩაითვალოს: უწინ ჩვენის ენის რამდენიმე კათედრა გაქონდა სელთ, ესლა აღარც ერთი დამოუკიდებელი; უწინ სტასტო ქალაქის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეთაგან თხოულობდენ ქართულის შესწავლას, სოლო შემდეგ კავკასიის ყველა სტუდენტებისა—თვით აღმოსავლეთის ფაკულტეტზედაც—მოისურვა,—ჩვენის აზრით, ეს ამბავი ისეთი უკიდურესობაა, რომ უნდა ვეცადოთ წესიერ მდგომარეობის აღდგესას».

უმაღლესის სამოსწავლო მთავრობის გასკარგულება, რომელიც წელს გამოიცა, ჰმოწმობს, რომ ამ საგანს მიჰქცევია ყურადღება და იმედია, რომ ამგვარი არა-ჩვეულებრივი მდგომარეობა შეიცვლება».

---

დასასრულ, ბ-ნი ტაგარელი თავის აზრს გამოსთქვამს ჩვენის მწერლობისა და კულტურის შესახებ და ამასთანავე აცხადებს თვისს pia desideria-ს.

«არც გაზვიადება და არც დამცირება საქართველოს წარსულ დროთა და საისტორიო და საკულტურო ნაშთების მნიშვნელობისა მეცნიერებისთვის საეჭვო არ არის. 20 საუკუნის განმავლობაში ამ ერის ისტორიის გამოკვლევა შეგიძლია, როგორც ადგილობრივისა, ისე უცხო ტომთა ნაშთთა შესწავლით. რაკდენისამე ათი ათასის წლის განმავლობაში ადმოსნდებოდა და იღუპებოდა სოლმე აუარებელი რიცხვი სხვა-და-სხვა ტომთა, რომელთაც არავითარი კვალი თვისი არსებობისა არ დაუტოვებიათ; ძველ ერთა შორის მხოლოდ ზოგიერთმა შეიმეშავა მწერლობა. და სასულიერო წესწყობილება, სოლო მრავალთა სხვა ერთაგან კაცობრიობის მატიანეში დარჩა მხოლოდ სასალი და უფრო ძერავალესთა სასალიც აღარ დარჩენილა. ზოგიერთ ქვეყნიერობის დამეურობელთ სამეფოთ და ერთაგან მხოლოდ მცირედნი-ღა ნაშთი დაგვრჩა იმათის საისტორიო და საკულტურო ცხოვრებისა.

ამიტომ ყოველი ცნობა და ყოველ-გვარი ერთა საკულტურო ნაშთი წარსულის სკვ-ბედისა, სამეტურ ისტორიული, ჩვენთვის ძვირფასი უნდა იყოს, მით უმეტეს, როდესაც ამ კულტურის ნაშთთა შემომქმედთ არა თუ მოუღწევიათ ჩვენ დრომდე, არამედ დაუთრგუ-

ნავთ ოკეანეზე გაწერეგება და სულშემშეფლი გარემოება და თვისი საკულტურო სუფლე ჩვენამდე დაუცავთ და ბერბერიელებთან ათასწლოვან ბრძოლაში იგი ან გაუფასტავთ. აღმოსავლეთის 6—7 ერთა ძალის, რომელთაც შეუმუშავებია მოქალაქობა, ქართველებიც ერთნ ნიველერნი ასეთი, საქართველოში ხანგრძლივი, მე VI საუკუნემდე მაინდწეკენ ქ. შ. წ.; წერილობითი ნაშთი კი, ჩვენამდე დაცულნი, ეკუთვნიან ქრისტიანობის მიღების დროს, მე-IV—V საუკ ქ. შ. შ.. სოლო ამ ქრისტიანულ მწერლობასა და ნელოვნებაში ჩანს, როგორც საამართლიანად შეინიშნავს ბრ. ბროკჰაუზი,—„ეკლი უძველეს დროთა და წარმართთა, ებრაელთა და მაჰმადიანთა ნაშთებისა, რომელნიც საქართველოში აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შემოჭქონდათ».

«საქართველომ თვისის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრების განმავლობაში იმდენი ერა-ჩვეულებრივი მსხვერპლი მესწირა ქრისტიანობას, ცივილიზაციას და თვეის ეროვნებების დაცვას და ბოლოს თვისი სულ-ბედი ქრისტიანს ასულმწიფოს შეუკავშირა, ალბად იმიტომ რომ კვლავ შეეძლო კულტურული ცხოვრების განგრძობა, განვითარება და ძეიმუ ძაგო ესა, ლიტერატურა, სელოვნება, დაკიცვა და შეინარჩუნოს ამ ძობლობის ძველთა დროთა ნაერიცხელნი ნაშთნი, გაკეთებულ ბესო ოკეანე-ცხოვრებისა,—მოკლედ კიტეთი—„ეძველია, იმიტომ რომ განგრძო ბოლებრივი და ზნეობრივი წარმატებაო. სოლო ამ სურვილის შესასრულებლად ერა აქვს დღეს ამ ერს ერა თვისი საკუთარი ანდაქია, ანდ რომელიმე სხვა საკუთარი სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულება ანუ საზოგადოება,—ამის შესახებ ზრუნვა მოვრობამ იგისრა. ასულმწიფოს კენი, როგორც გრ. უკეროვი, თ. ეორონტოვი, გრ. მუსინ-პუშკინი და მრავალნი სხვანი ამ მოსაზრებით ნელმძღვანელობდნენ, რომელსაც ქართველის ენის და ლიტერატურის შესწავლის მეთვრეულობის უწეკდნენ. ზრუნვა შესახებ ქართველთა ერის საკულტურო ძოთხოვნილებათაგის, იმ ერისა, რომელიც ოკეანეთის მზად ერის გასათლებისა და გასვითარების ასასრგებლად თვეისი წვლილი მოინაღვწა,—ოკეანის ეჯვის მიუტასნელად, შემდეგ მიც ასულის და დიდებასა მოუპოვებს რუსეთს მოელის განათლებულ ქვეყნიერების და მადლიერ თანამოაზეობის წინაშე, განსაკუთრებით აღმოსავლეთის საქრისტიანო ერთა, რომელთ აზრსა და თანაგრძნობას უნდა ითვესებდეს ოკეანე. რუსი, რომელსაც კი ესმის რუსეთის საკულტურო და საისტორიო დანიშნულება აღმოსავლეთშიც.

**სიმ. ლოდობერიძე**

# სალიტერატურო შენიშვნები

ახალი მოძღვარი მესამე დასისა—ყარიბი.—პოეტი რუს-იმერელი.—«კვალის» კვეხნა-ბაქიაობა.—«კვალის» ორი წლის ნაღვაწი ბ. წერეთლისა.—საზზნაურო სკოლები და «წერაკითხვის» საზოგადოება.—გ. წერეთელი და მოკლე-ვადიანი კრედიტი.—სამეურნეო თანხა.—«კვალი» და სამეურნეო სწავლ-ცოდნა.—ი. როსტომაშვილის წერილები.—აკაკის «განცხადებასავით».—მესამე დასის ისტორიკოსები.—გ. წერეთელი, ძალად ბელადი მესამე დასისა და ბ-ნი ჯიბლაძე.—პასუხი ცრუ-მოწამეს—ბ-ნ სიკო მუხიანელს.

მესამე დასის წარმომადგენელთა კალმის კარჯიშობამ ასე თუ ისე მწერლობის უურადღება მიიქცია. რამდენიმე წერილი ამ დასის პროგრამას და მიმართულებას «იკერიამ» უძღვნა, მტირე შენიშვნა ჩვენც შევაწიეთ. რასაკვირველია, ეგ წერილები და შენიშვნა «კვალის» რედაქციამ უპასუხოდ არ დასტოვა და უზომო რისხვა ამ წერამ შემოგვითვალა. მესამე დასის ერთბაშად, მოულოდნელად მოკლენილმა ბელადმა, ბ-ნმა გ. წერეთელმა ხმა გაჭეშმინა და «კვალის» რედაქციამ კიდევ ყარიბი გამოასტუნა. არ ვიცით და არც საჭიროა ვიცოდეთ, ბ-ნი ყარიბი ვინა ბრძანდება—ახალ-გაზდა მოხუცია თუ მოხუცებული ახალგაზდა; საქმე ისაა, თუ რა საუალებას ხმარობს ეს დარაჯი ესამე დასის მიმართულებისა ჩვენდა ასაგებად; საჭიროა ვიცოდეთ—რა ზრდილობით, მართებულობით, ლოღიკით და ცოდნითაა აღჭურვილი ჩვენზედ სათარეიმოდ წარმოგზავნილი რაინდი «კვალისა». ბ-ნმა ყარიბმა ზრდილობა და პატიოსნება შეგვიგინა, «ჯოსაი ტასზე» შეგვასეუა, «ძელს, სამსასურიდან დასათხოეს «ჩინოვნიკს» დაგვადარა, ამ ძელის ჩინოვნიკის «ძრახვები» და «ეოტირიმული კვასტები» თავზე მოგვასხეა, «საზოგადოებაჭეშურისაკენ» ხელის გაწვდენა შეგვწამა, ჩვენის ინიციალების შესა-

სებ ავლაბრული ოხუნჯობა გადმოსტეორცნა, ჩვენს გულწრფელობას ჩრდილი მიაყენა და სხვ.; კერემენის საპასუხოდ «ზეკსის» სასლში კარები შეამტვრია, იმის შინაურ ცხოვრებას ფარდა ასადა და «კვალის» მკითხველებს ეუბნება—მოდით და ნახეთ „ზევსის მიერ ხშირად გამართული მდიდრული სუფრა, სადაც მთელი „მეგუნდრეკეთა“ რაზმი, კახურით შუბლ-გახურებული, გადაუხსნის ზევს გულსა და ქვეყნის ბურჯად ადღეგრძელებსო“... ალბად ამგვარი საპოლემიკო ფარხმალის ხმარება «კვალის» რედაქციას და ბ-ნ ყარიბს ზრდილობის, მართებულობის ნაყოფად დაუსახავთ; სოლო მესამე დასის წარმოადგენელთ ჩვენის ცხოვრების, კაპიტალისტურის წეს-წყობილების ბუნებისა და პოლიტიკურის ეკონომიის ანბანის არცოდნა რომ გუკიყინეთ, ეს კი დიდ დანაშაულობად, მომაკვდინებელ ცოდვად ჩამოგვართვა. ავლაბრულს სიტყვა-პასუხსა და ტილის-წამებაში «კვალის» რედაქციასა და ასლად მოგონილს მოძღვარს მესამე დასისას მეტოქეობას ვერ გაუწევთ. საამისოდ არც კალამი გეიჭრის და ზრდილობაც არა გვლალატობს. ამისთანასებში პირველობა ყარიბისათვის დაგვილოცნია, სოლო იმას კი ვერ დავსთმობთ, რომ სამწერლო კეთილ-სინიდისიერება, ლოღიკა და ცოდნა არ გავუსინჯოთ, ესე იგი, ისეთს მსარეს არ შეეკოთ იმის ნაწერისას, ს

ზე ისეთი აზრისა და სიტყვების მოხვევა, რომელიც არასოდეს არ უთქვამს, საკუთრივ ყარიბის თვისება არაა; ეგეთი ზნე «კვლის» «დედა-ბოძებსაც» სჯირსთ და, თუ ოდესმე საჯიროდ ესტანით, სიბუთებსაც მოგახსენებთ. მართალია, ბ-ნ ყარიბს ზეიოდ მოსსენებული ვითომ-და ჩვენის წერილიდან ამოღებულ სიტყვებისათვის შემდეგი ფრაზა გადუბამს: «ასე უფიქრნია ბ-ნ ნა—ლსაო», მაგრამ თავს ამით კერ გაამართლებს; იმიტომ კერ გაამართლებს, რომ ჩვენ რომ თავზე სიტყვები მოგვასვია, განსსვავებულის ასოებითაა დაბეჭდილი და ფრჩხილებში მოქცეულია. ასე მოკლეა ბ-ნ ყარიბის ზრდილობა, მართებულება და კეთილ-სინდისიერობა. ესლა ენასოდ ლოდიკა და ცოდნა რა სიღრმე-სიგანისა აქვს.

ბ-ნი ყარიბი ბრძანებს:

„მესამე დასზე, გარდა „კვალში“ დაბეჭდილი ცნობებისა, ჩვენმა ლიტერატურამ მეტი არაფერი იცის. დამერწმუნებით, რომ ეს მცირეოდენი ცნობები საკმაო არ არის **მთელ ასალ-თაობაზე** აზრის შესადგენად: აქ მხოლოდ წარმოთქმულია კრიტიკული შეხედულობა «ძველ მოდვაწეებზე და გატარებულია ის აზრი, თუ რას და როგორ უნდა ემსახუროს ახალ-გაზდობა». (№ 48, 1894 წ. გვ. 3).

ერთი ისა, «მესამე დასი» და «მთელი ასალთაობა» ვინ გაერთა, ან რა უფლება აქვს «კვლის» რედაქციას და ბ-ნს ყარიბს «მთელის ასალთაობის» სასელით ალაპარაკოს; მეორეც ისა, სად იყო გატარებული ის აზრი, ძველსას, ერს რა საშუალებით, «როგორ უნდა ემსახურო ასალთაობა», სად იყო «წარმოთქმული კრიტიკული შესედულება ძველს მოდვაწეებზე»? ალბად ბატონ ყარიბს ან ხსოვნა ჭდალტობს, ან ჯერეოვნად კერ გაუგია ბ. ჯიბლაძის და დამსწრეს ნაწერები და გ. წერეთლის მიერ შეთსზული პროგრამა «მესამე დასისა». ამ წერილებსა და პროგრამაში არავითარი კრიტიკული აზრი არა ეოფილა წარმოთქმული; პირიქით, პითიასებურად ბრძანებდნენ, რომ ძველი მოდვაწეები «ებრძვიან ერთმანეთს უწმინდურის საშუალებით, დაპირებითა და ქრთამით. საგანი მათი მოქმედებისა კი არის სიმდიდრის მოხვეჭა, პირად სარგებლობის ძიება და პარზე ნიღაბი ქვეყნის მოდვაწეობისა ჩამოუფარებითო... ამ მესამე დასმა საგნად აირჩია ისეთი მოქმედება, რომ

გაუნათლებელ სალხში მოჭვინოს წერა-კითხვა» და სხვ. «ჩვენშიო, ბრძანებდა ბ-ნი ჯიბლაძე, კაპიტალისტური წეს-წყობილობა დამყარებულაო,—ერთის მხრით ფიზიკური და გონებრივი ძრომის წარმომადგენელნი დამკვიდრებულან, ხოლო მეორე მხით—მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტებიო». ეი სიტყვა ასე მოკლედ მოსწრა მესამე დასმა ძველის თაობისა და თვისის საკუთარის პროგრამის შესასებ. ბ-ნ ყარიბს რომ ესმოდეს კრიტიკული აზრი რა არის, ისიც ეცოდინება, რომ კრიტიკულს აზრს დასაბუთება სჭირია, რომ ორისამიოდე წერილით ოკოლად მოუხერხებელია მთელს თაობას წესი აეგოს. განა მესამე დასის პროგრამაში კრიტიკული აზრია გატარებული, განა აღნიშნულია, თუ როგორ უნდა მსასურებდეს ასალი თაობაჰ როგორც სედავთ, მესამე დასს და მისს წარმომადგენელთ მეტის-მეტად «ძეცარი განაჩენი» დაუდგიათ ძველის თაობისთვის, ხოლო ჩვენმა მწერლობამ საკმაოდ რომ მიუზღო, როცა მათი ლოღიკა და «მეცნიერობა» დაანასვა მკითხველს საზოგადოებას, მაშინ წერომით გაიძახიან:

„ამ მესამე დასზე, გარდა „კვალ"ში" დაბეჭდილი ცნობებისა, ჩვენმა ლიტერატურამ მეტი არაფერი იცის. დამერწმუნებით, რომ ეს მცირეოდენი ცნობები საკმაო არ არის მთელ ახალთაობაზე (?) აზრის შესადგენად".

აქედან ის გამოდის, რომ ძველმა თაობამ ჯიბლაძისა, ყარიბის და სხვათა ნაწერები ზეტისაგან მოკლენილ განაჩენად უნდა მიიმჩნიოს და სამუდამოდ დასდუმდეს. ასე გასინჯეთ, მესამე დასის აზრით, ამ დასის პროგრამას ხელი არავინ უნდა შეახოს, ჯიბლაძისა და ბ-ნ დამსწრეს ნაწერები საკმაო არ არის აზრის შესადგენად, ხოლო ერთის კალმის მოსმა კი საკმაოდ მიაჩნდათ დიდის სნის ნაშრომ-ნაღვაწი მრავალის მოღვაწისა დედა-მიწის ზურგიდან აღსაგვეღად. არა, ბ-ნო ყარიბო, როცა თქვენი დასის მომღვარნი ბრძანებენ—ჩვენმა დასმა «საკენად აიჩრია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელს სალხში მოჭვინოს წერა-კითხვა», ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ ძველი თაობა დიდი სასია ამ ფრიად საპატიო საგანს ემსახურება. სხვა რომ არა ვსთქვათ, ისიც საკმაოა მოგაგონოთ, რომ იმ შრომის გაძღოლას, რაც ერთმა წარმომადგენელმა ძველის თაობისამ, სახელდობრ ბ-ნ ი. გოგებაშვილმა იტვირ-

თა წერა-კითხვის გასავრცელებლად და მეცნიერებისაგან შეწყნარებულის საშედეგოგიო აზრების დასამკვიდრებლად ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში, ორმოცი ათასი თანამშრომელი «კვალისა» ვერ შესძლებს.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ იმას, თუ რა სამეცნიერო აკვადიდების ბატრონი ბრძანდება «კვალი» და მისი ასალ თანამშრომელი, ბ-ნი ყარიბი. წარსულს წერილში ჩვენს გცდილობდით ის აზრი გამოგვეთქვა, რომ საქართველოში ჯერ-ჯერობით კაპიტალისტური წესწყობილება არ დამკვიდრებულა; ამისი ზოგი სიბუთიც მოვიხსენიეთ. როგორც სჩანს, ბ-ნს ყარიბს ამ სიბუთების ძალა და მნიშვნელობა ვერ შეუგნია და ჩვენის აზრის დასარღვევად ეი რასა ბრძანებს:

„დღეს ჩვენში უფაბრიკოთ და უქარხნოთაც ადვილი დასანახია კაპიტალისტური წეს-წყობილება: **ნუ თუ ჩვენი «ჩხიკვიძე-მებუკეები», ჩვენი მოშა-შალომეები და ჩვენი მეჩარჩე-ვაჭრობა,** რომელთაც მთელი ქართლ-კახეთის საუკეთესო მამულები ხელში ჩაუგდიათ და **სოფლის ხალხს ტყავს აძრობენ, მექარხნეებზე** ნაკლებ სასტიკათ **ეპყრობიან მშრომელს ხალხს? თუ ქარხნები და ფაბრიკები** არა გვაქვს, **იმიტომ ვერ დაცინცლეს ხელიდან ჩვენმა გორტფილიანის-სიღნაღის კაპიტალისტებმა ძამულ-დედული ადგილობრივ მკვიდრთ“?**

ეი, რას ბრძანებს ყარიბი და ის კი არ ესმის, თუ რას ამბობს. ასე გასინჯეთ, რომ მეკახშეობა კაპიტალისტური წეს-წყობილების ნიშნად მიუჩნეია. სოლო საშოლიტიკო ეკონომიის ანბანი წაკითხული რომ ჰქონდეს, ასეთის რისითა და კადნიერებით ამ უოველად შეუწყნარებელს აზრს მკითხველს არ მიაწვდიდა. მართალია, საქართველოში მეტად გავრცელებული და ფეს მოკიდებულია მეკახშეობა, რომელიც სულს უსუთავს აზნაურობას, ძალიერობს, მაგრამ ეს კაპიტალისტურის წეს-წყობილების ბრალი კი არაა. ის ანბანი რომ წაეკითხა ბ-ნს ყარიბს, შეიტყობდა, რომ ს

იქ კაცრობა, მრეწველობა, წარმოება ძლიერი, ფრთა-შესხმულია, ამიტომ ფულიც ბევრია, ფულის ტრიალიც ჩქარი და ძლიერია და ყოველად შეუძლებელია ფულის პატრონმა ფული სადმე რიგიანად დაბინაოს, თუ რომ პროცენტის სიდიდეს გამოეკიდა; ხოლო სიმედო ბინა თუ უშოვა, სიმედო წარმოებას, მრეწველობას თუ წაწყდა, მაშინ მცირე პროცენტსაც სჯერდება. სულ სხვა ჩვენში, წარმოება, მრეწველობა, კაცრობა, სწავლა-განათლება ნაკლებია, აქა-იქ დღეს იდგამს ფესვს; საყოველთაო სელმისაწვდომი კრედიტი არა გვაქვს, ფული ტოტა ტრიალებს სალხში და ამიტომ ვისაც აქვს, დიდს პროცენტს თხოულობს და მთხოვნელი იძულებულია ფულის პატრონს სელში ჩაუკრდეს. უმეტესი ნაწილი ფულის მაძიებელთა კრედიტის შოვნას იმიტომ კი არა ცდილობს, რომ სესხი რაიმე წარმოებას, რაიმე საქმეს მოანდომოს, არამედ იმიტომ, რომ დღეკანდელს გაჭირვებას თავი დააღწიოს, ხვალინდელ დღემდე სული მოიბრუნოს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ «კაპიტალისტები» ფულს საზოგადოდ დიდის პროცენტით, სხვათა შორის, იმიტომ იძლევიან, რომ მოსესხე არც მწარმოებელია, არც მრეწველი, არც არაკეთარს მოქცემიანს საქმეს ადგია. ისიც უნდა დაუმატოთ, რომ კრედიტი იქ უფრო იაფი და სელმისაწვდომია, სადაც კანონი და საბართალი მკვიდრს საძირკველზეა აგებული, სადაც სესხის გამცემს იმედი აქვს ჩემს ფულს დროზე და უდაოდ არაბოდ დაიბრუნებ და სადაც მსესხებელს ის აზრი აქვს შეგნებული, რომ ნასესხს ფულს რიგიანად მოხმარება უნდა და რომ კალის გადახდა ისეთი მოვალეობაა, რომლის შეუსრულებლობა არ-შესაწყნარებელია. ერთის სიტყვით, სადაც კულტურა და განათლება მატულობს და იზრდება, იქ პროცენტიც კლებულობს. სწორედ ასეთია ბუნება კრედიტისა, და იქნება ბ-ნმა ყარიბმა ესლა მაინც გაიგოს, თუ რა მიზეზია, რომ «კაპიტალისტები» სალს ტყავს აძრობენ, სიასლს სწო�en და სალი რადა ვარდება ამის ბასრს კალაჩებში.

შესაძლოა, ყარიბმა ეს გარემოება იმის საბუთად არ იგმარონ, რომ ჩვენში ჯერ კაპიტალისტური წეს-წყობილება არ დამკვიდრებულა. ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ ამ წეს-წყობილების თავი-დათავი ნიშანი დაკუსასელოთ. კაპიტალისტური წეს-წყობილება ეკუსს

იქ იკიდებს და იზრდება, ს

ჩხრეკას რომ შეეშდგებით, იმედი გვაქვს—მკითხველს უფრო სათ-ლად დავანახვებთ სიღრმე-სიგანეს ბაქია გაზეთის ლოღიკისას, სწავ-ლულ-მეცნიერებისას. იქნება ვინმემ შენიშვნა მოგვცეს, ნასატებიანს გა-ზეთს რომ ერთიორი რამ შესცდეს საპოლიტიკო ეკონომიაში, რა ბევრი დანაშაულობა არისო. დეე, ასეც იყოს, სოლო ყველას რომ დიდის რიხითა და კადნიერებით ეკიდება, ამიტომ ჩვენს თავს ნებას ვაძ-ლევთ—ხანდისინ ანა-ბანა მოვაგონოთ. ნასატებიანს გაზეთს თუ ბეჭერი არა მოეთხოვება-რა, მაგალითად საპოლიტიკო ეკონომი-ადან, სამაგიეროდ დიდ დანაშაულობად უნდა ჩამოვართვათ პოეზი-ის, ესტეტიკის და ენის შელახვა. ამის ნიმუშსაც გიჩვენებთ. «ეკვა-ლის» მე-46 №-ში დაბეჭდილია რუს-იმერელის ლექსი—«ეკვაკის». იმის წინააღმდეგ არა ითქმის-რა, რომ მწერალმა თავისს უფროსს მო-ძმე-საყვარელს პოეტს პროზა ან ლექსი უძღვნას და ქება-დიდება შესახვა, სოლო ამგვარს საწერშიაც დაცული უნდა იყოს ზომიერ-ება, ლოღიკა, ესტეტიკა, ენა და გრამატიკა. ეხლა ვნახოთ, რო-გორ შესრულა რუს-იმერელმა ეს პირობა და «ეკვალმაც» რა მას-პინძლობა გაუწია. რუს-იმერელს თუ დავეკერება, ან რატომ არ უნ-და დავუჯეროთ, არავითარი მიზანი არა აქვს ამ წუთი სოფელში და თეთრსა და შავს კერ არჩევს: აი, როგორ მიმართავს ეკაკის:

„ძე რა მრეკის შენსა ხსენებას
ცოდვილს, უბრალო მომაკვდავს,
უმიზნოთ მავალს ამ ქვეყნად,
ვინც ვერ გავარჩევ თეთრს და შავსო.

ასე ბრძანებს რუს-იმერელი და ჩვენც ვერწმუნოთ. რა თქმა-უნდა, ისეთ კაცს რომელსაც «მიზანი», ცხოვრების საგანი არა აქვს, რომელიც თეთრსა და შავს კერ არჩევს, არ უნდა ეკითხებოდეს არც სამშობლოს ჭირი და ლხინი და არც არავითარი წერილმანი და მსხვილმანი საზოგადო ცხოვრებისა და ეს ლექსი რომ ამოიკითხეთ სწორედ ასე ვიფიქრეთ: გეგეგონა თავის ზნრს რუს-იმერელი ბო-ლომდე უერთგულებდა და გაატარებდა, მაგრამ ძლიერ შეეცდით. თურ-მე, ნუ იტყვით, სამშობლოს იმის ტრემლიც დასდენია:

„შემინდევ ეს თქმა, ნუ დამგმობ!
ბენი სამშობლოს შვილი ვარ,

და მისთვის ხომ მეც ჩემ წილად
**ბევრ გზის** ცრემლ-დადენილი ვარ".

სად უსაგნობა, უმიზნობა და თეთრისა და შავის გაურჩევლობა და სად სამშობლოსათვის **ბევრ გზის ცრემლ-დადენილობა?**

იქნება გინდათ იცოდეთ რუს-იმერელი რა სურვილს, რა გრძნობას შეუპყრია?

„მსურის მონად შენ გახლდე
ჰირსა და სიხარულშიაო,"

ეუბნება აკაკის, დიაღაც გვრწამს, რომ ამნაგრი სურვილი და გრძნობა უნდა ითვრთოვანებდეს

„უმიზნოდ მავალს ამ ქვეყნად,
ვინც ვერ გაარჩევს თეთრს და შავს";

სოლო ის კი კერ წარმოგვიდგენია, რომ ამ სურვილმა და გრძნობამ გაიტაცოს ადამიანი, **რომელიც სამშობლოსათვის ბევრ-გზის ცრემლ-დადენილია,** ესე იგი, ის კაცი, რომელსაც მიზანი აქვს და თეთრისა და შავის გარჩევა შესძლებია. ესლა ენის სიმშვენიერეც გავუსინჯოთ. აკტორი ეუბნება აკაკის:

„კურთხეულ იყოს სიმები
შენი უკვდავი ჩანგისა,
კურთხეულ იყოს **მარჯვენა**
მათი **უსუსტრად** მეღერალი".

ჰო, რა ჩინებული ნათქვამია!? ეს მარჯვენა ვისია—აკაკისა თუ სიმებისა? სიტყვაც «უსუსტრად» როგორ მოგწონს, მკითხველო? «უსუსტარი», «უსუსტრად»— რა კარგი ქართულია!?

ენახოთ ეგეთის ალიტერატურო ზრდილობის, ლოდიკის, დრამატიკისა და ანას-მტოდნე გაზეთი აბა რა თვალით უყურებს თავისს თავს, რა მედიდურად ეპყრობა სხვებს, რა ღირსებისა ჰგონია თავისი მოდვაწეობა. ამის გამოსარკვევად მიეგმართოთ «კვალის» 52 №-ს, სადაც სარედაქციო **ეპიდოგი—ბოლო სიტყვაა** დაბეჭდილი. ამ წერილიდან შეეიტყობთ, თუ კადნიერება რამოდენად სელს უმართავს «კვალის» რედაქტორს და რასებს არ აღაპყრაკებს.

„როგორც ოლიმპის ღმერთები შეაშფოთა ღერმესის დაბადებამ, ისე „კვალმა“ გამოჩენისათანავე **დაუფრთხო ძველი** განებრივებულს ჩვენს ძველს თაობას... კვალმა დასაწყისშივე გამოარკვია **ახალი მიმართულება** და გამოთქვა ყოველ საზოგადო საქმეში **თავისებური** შეხედულობა, ასე გასინჯეთ, **ადგილ-გასაგები ენაც** კი შემოიღო.

რასაკვირველია,ასეთს მოღვაწეობას «კვალისას» თავისი საყოფიც უნდა მოეტანა. რედაქციას თუ დაუჯერეთ:

„კვალმა გაიტანა თავი, მოიპოვა საზოგადოების თანაგრძნობა და, რაც კიდევ უფრო ძვირფასია მისთვის, მან **შეიძინა ჩვენი მედროგე ახალგაზდობისა და ახალი მოზარდი თაობის** თანაგრძნობა“.

რა თქმა უნდა, «კვალს» ეს თანაგრძნობა ამხნევებს; ამიტომ **იმდენად უფრო გამოიჩენს იგი სულგრძელობას** და მტკიცედ დაადგება თავისს **ახალ გაკვალულს გზას.** ეროდენი კვეხნა-ბაქიობა, ტრაბასობა, თავგასულობა ერთს ბატარა ორმოტ-სტრეიქოსიანს წეროლშია მოქცეული, და ამ კვეხნა-ბაქიობით «კვალმა» წარსული წელიწადი დასრულა, ახალში თვისი შემოსდგა და ეგ კვეხნა-ბაქიობა, ტრაბასობა და კადნიერება დაეკვეთა კიდევ ერთ სასალხო საგულისხმო ლექსს მოგაგონებთ:

«კარგი ვარ, იმას ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუწყებ ქებასა...
კარგი სხვასაც მოეწონება,
ცუდი არც თავისს დედასა».

ახალი წელიწადი დადგა თუ არა, «კვალის» რედაქციამ განიზრახა თვალი გადაეყლო თავის ორის წლის ნაღვაწისათვის. რასაკვირველია, ამ განზრახვას ბ. წერეთლის უკვე ბერავინ შესრულებდა და ამიტომ ამ მწერალმა კვალის ორის წლის ნაღვაწს ოთხი წერილი უძღვნა (№№ 1, 3, 5, 6). ამ წერილებში უნდა გამოერკვია მესამე დასისა და «კვალის» მიმართულობა, ბროგრამა, ძველის თაობის უაზრობა, უსაგნობა, უკან-ჩამოტოვება და სხვ. და სხვ. ეს ოთხი წერილი მართლაც რომ კარგს მასალას გვაძლევს ახალის მიმართულებისა და მისის ორგანოს მსჯელობისას. მართალი მოგახსენოთ, ბ. წერეთლის ნაწერში ისე არეულ-დარეულია ერთმანეთთან მოუთავსებელი,

მოურიგებელი აზრები, ავტორს ნასტომი ისე ხშირად ეშლება, რომ დიდი ყურადღებაა საჭირო, ე�ულა მისს «ოინბაზობას» კაცმა კვალ და კვალ მისდიოს. დიაღ, ძნელი საქმეა, მაგრამ ტოტას ხნით თავი მოიძულოთ და «ასალ-მიმართულობის აბდა-უბდას» თვალი გადაკაკლოთ.

თავი და თავი ბრალი და ცოდვა, რომელსაც მესამე დასის ამირბარია ამირბარი, გ. წერეთელი, სწამებს ძველს თაობას, ის არის, რომ ეგ თაობა საზნაურო ჰრინციპების მქადაგებელი იყო და არისო, ესე იგი, გარეშე აზნაურობისა ერად არავინ მაჩნიაო და ამ მიმართულების მოწინააღმდეგად მესამე დასი გამოსულაო. რაკი ბ-ნი გ. წერეთელი ამ ასალის მიმართულობის სასელით ლაპარაკობს, საბუთი ეკაჭვს კიფიქროთ, რომ მესამე დასი არ გეისაკვედურებს, გ. წერეთლის თანამოზიარად თუ ვსცანით.

საჭიროა კიცოდეთ, «კვალის» მწერალნი რა თვალით უყურებენ აზნაურობას. დაკიწყოთ აკაკიდან. თუ არა ვსცდებით, ბ-ნ აკაკის საკუთრივ აზნაურობის შესახებ «კვალში» გადაბეჭილი აზრი არა წარმოუთქვამს-რა. ამიტომ მიგმართოთ მისს ღირს-სახსოვარს წერილს, რომელიც Нов. Обозрѣніе-ში იყო დაბეჭდილი 4-ს მაისს, წარსულის წლისას. ამ წერილს გზას აუსკეკდით, მაგრამ რა გაეწყობა: «კვალის» რედაქციას ეოველი სიტყვა აკაკისა ზეკარდმო შთაგონებული ჭკონია და ეოველგან ბანს აძლევს; ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვსვ ამ შემთხვევაშიაც «კვალი» აკაკის აზრის თანამოზიარად ვცნათ. სადგილ-მამულო ბანკების დაარსების დროს აკაკი თურმე ბრძანებდა:

**«ჩვენის ხალხისათვის** ამ გვარის დაწესებულებათა (ე. ი. საადგილ-მამულო ბანკებისა) გამართვა იმას უდრის, რომ ბავშვს ხელში ბასრი სამართებელი მისცეთ. **მერმისი** დაგვანახვებს, **რომ ჩვენს ხალხს** ჩვენივე ხაფანგი და „რულეტკა“ დავუდგით. ბოლოს და ბოლოს ჩვენი მებატონე-მემამულეები გაღატაკდებიან და ზნეობრივი ფიზიონომია **ჩვენის ცხოვრებისა** დაჰკარგავს თავისს პატრიარქალურს (ალბად მამა-პაპურს) ფერს“.

აშკარაა, ბ-ნ აკაკის აზრით, საკმაო იყო იმ თავითვე დღეკანდელი ბანკები არ დაარსებისათ, ჩვენი **მებატონე-მემამულეები** უბედურობას გადარჩებოდნენ და ზნეობრივი **ხასიათი** ჩვენის ცხოვ-

ჩრებისა, ძველებური—ჩვენებური დარჩებოდა და ხალხს სამართებლით ველს არ გამოვაკრეკინებდით. აკაკი იმ თავითვე იმ აზრისა ყოფილა, რომ სალხის გადარჩენა თუ გვინდოდა უბედურობისაგან, საჭირო იყო ჩვენი მებატონე-მემამულეები, ესე იგი, აზნაურობა არ გადატაკებულიყო, რომ ამ გზით ძველებური—ჩვენებური ცხოვრება ვირქვე არ დაგვემხო. როგორც სედავთ სულ ტოტადა ყოფილა საჭირო ძველებური ზნეობრივი სასიათი დაგვეცვა, ის ძველებური ზნეობრივი სასიათი ცხოვრებისა, რომელიც ბატონ-ყმობაზე იყო აგებული, ესე იგი უსამართლობაზე, ადამიანის ღირსების უარყოფაზე. «კვალის» რედაქტია და მესამე დასის მწერალნი თუ არ გეიწყენენ, ეგეთი აზრი ბ-ნ აკაკისა სრულიად არ ეთანხმება მესამე დასის პროგრამას, მიმართულებას. ბ-ნი აკაკი იმ თავითვე ამ აზრისა ყოფილა და დღესაც ამასვე ადგია. ეხლა ვნახოთ, რას ბრძანებს ბ-ნი პ. პეტრიძე. ამ მწერლის აზრით, აზნაურობას არა ეშველებარა, უნდა მოისპოსო; იმის საშველად რაც უნდა ვიმოქმედოთ, ვერას გავხდებითო; ამ შემთხვევაში მსოფლიო ევოლიუტია მოქმედობსო:

„საფრანგეთშიო, ბრძანებს პ. პეტრიძე, მე-XVI საუკუნიდან დაწყებული სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყო იმისაკენ, რომ თავად-აზნაურობა ყოფილიყო ქვეყნის სათავეში და პირველობა ქონებოდა. წინაალმდეგ ამისა არა თუ აზნაურობა, მისი მფარველი მეფობაც კი მოისპო. აშკარაა, ისეთი ევოლიუცია ყოფილა, სადაც თვითოეულის კაცის შრომა (და ისიც გვირგვინოსანის), ძალა და ღონე ამაოა, ვერას გახდება“. (№ 34 1894 წ.

ამ რიგად აკაკის აზრით, ჩვენებურის—ძველებურის, ესე იგი ბატონ-ყმურის საძირკველზე აგებული ცხოვრების დასაცველად სულ ტოტა რამ იყო საჭირო: საადგილ-მამულო ბანკები არ უნდა დაეარსებინა; ამით მებატონე-მემამულეები არ გადატაკდებოდნენ და ხალხი სათანგს და «ჩალეწვას» ასცდებოდა. ესე ფიქრობდა და ფიქრობს ბ-ნი აკაკი, რომელსაც «კვალს» თუ დაკვეკერეთ, „წინასწარმეტყველობა თან დასდეკს“, პეტრიძის აზრით კი, ბანკები გინდ ყოფილიყოს, გინდ არა, აზნაურობას არა ეშველებოდა-რა და არც არა ეშველება-რა. ამ სასით, ბატონი პეტრიძე აკაკის წინასწარმეტყველობას სრულიად უარ-ყოფს. აბა ბ-ნი გ. წერეთელი რას გვეუბნე-

ბა, აზნაურობას რა გულ-მტკივნეულობით ეკიდებაო? აკაკისავით ესეც ბანკებიდან იწყებს:

„ბანკებმა ნელ-ნელა **დაავალიანა ჩვენი თავად-აზნაურობა** და ბოლოს **თავის ადგილ-მამულზე დააწყებინა ხელის აღება.** საადგილ-მამულო ბანკები შეიქმნენ ჩვენთვის პრიკაზზე უარესი და უფრო შეუბრალებელი. გაადვილდა საჯაროთ ჩვენი ადგილ-მამულის გაყიდვა, **ასე რომ დღეს ჩვენი** საადგილ-მამულო ბანკები გადაქმნილან, ქართველი ერის მიწა-წყლის გამყიდველათ და არა შემძენათ. **ამ სახით «კავალმა» გამოაცხადა** ის აზრი, რომ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები ერთი იმ კაპიტალისტურ დაწესებულებათაგანია, რომელიც შეუნიშნავთ **ატლის ხელიდან ერს** მიწა-წყალს და ჰხდის ნელ-ნელა **თავად-აზნაურობას ბროლეტარად**“...

ამ განსაცდელის ასაცდენად, გ. წერეთლის აზრით, სასაგვარო ბანკები იყო საჭირო, ისეთი ბანკები, რომელსაც მოკლე-ვადიანი სესხი უნდა ეძლიათ. ამ სესხნაირს ბანკებს და მოკლე ვადიანს სესხს ჩვენ ქვემოდ მოვაგონებთ გ. წერეთელს; ესლა კი ისევ აზნაურობას დავუბრუნდეთ. მკითხველი შენიშნავდა, რომ ამ მწერლის აზრით აზნაურობის ხელიდან ადგილ-მამულის გაცლა უბედურება ყოფილა არა მარტო აზნაურობისათვის, არამედ მთელის ერისათვის, რომ საადგილ-მამულო ბანკები გარდაქმნილან ქართველი ერის მიწა-წყლის გამყიდველად, არა-რა შემძენად და შეუნიშნავად ატლის ხელიდან **ერს** მიწა-წყალს. (№ I—1895 წ.)

როგორც ხედავთ, ბბ. აკაკი და გ. წერეთელი ბლიან ეურჩებიან «მსოფლიო ეკონომიკასს», რომელმაც, შეტრიბის აზრით, საზოგადოდ ყველა აზნაურობა და კერძოდ ქართველი სრულიად უნდ მოსპოს, უნდა აღგვაოს დედა-მიწის ზურგიდან. აი, ეგ წყეული ბანკები რომ არ დაეარსებინათ, რომელი სასა ერი იქნებოდა «ჩვენისითანა ბედნიერი»?! ბბ. აკაკის და გ. წერეთელს თუ დაკუჯერეთ, ბანკები რომ არ დაეარსებინათ, აზნაურობა, მეპატრონე-მემამულეები გადარჩებოდნენ უბედურობას და ქართველი ხალხი, ერი გამამულიანებული და მაძღარი იქნებოდა. ამისათვის თურმე საკმარო იყო აზნაურობისათვის გვეზრუნა.

ამას, სხვათა შორის, ის მწერალიც ბრძანებს, რომელიც «ეგ. ნინოშვილის სიყვარულზე პირველად შესდა ასად გუნდს ჩვენის ქვეყნის მოღვაწეებისას» და რომელიც მოგვითხრობს, რომ მესამე დასმა «უარჭყო წოდებათა განკერძოება და ათაზე მზრუნველობა»... და «ვამოაცხადა სიკვნად თავის მზრუნველობისა მთელი საქართველოს ერი, განურჩეველად წოდებისა, შთამოებისა და მოსელობისა».

ვსთქვათ ეს ასეა, ბ-ნო გ. წერეთელო; ხოლო ერია რამ გვიბრძანეთ: მესამე დასმა თქვენის მეოხურობით «წოდებათა განკერძოებასთანა» ერთად იკით წოდებანი უარჭყო თუ არა? ეს ძლიერ საჭიროა კიცოდეთ. რადგან თქვენ ასრე გადაჭრილს ბასუხს არ მოგვცემთ, ამიტომ კეტდებით თქვენივე ნაწერიდან შეკვიტეოთ და გამოვარკვიოთ. ტოტად ზემოდ ხომ დაგასახვეთ, რომ, თქვენის აზრით, აზნაურობის სელიდან მიწა-წყლის გატლა, აზნაურობის პროლეტარად გარდაქმნა ერის უბედურებას მოასწავებსო. ამას თქვენა ბრძანებთ კვლის 1-ს №-ში. მე-6-№-ში კვითხულობთ:

საქართველოს ერი მარტო გლეხ-კაცობა, ან მარტო თავად-აზნაურობა კი არ არის, არამედ ეს არის შეკრებულობითი არსება, რომელშიც გლეხიც არის, თავად-აზნაურიც, მღვდელიც, ვაჭარიც, მოხელეც და მოქირავე ყმაც. ამ შემკრებელობითს არსებას ეწოდება საქართველოს ნაცია, ისტორიული **კულტურით ზრდილი და გამაგრებული თავისი ენით, თავისი ნაციონალური სარწმუნოებით და თავისი ნაციონალური თვით-არსებობით.** აი, საგანი ჩვენი ყურადღებისაო".

აქედან აშკარაა, რომ გლესიც გრწამსთ, აზნაურიც, კაჭარიც მოსელეც და მოქირავე ყმაც და ესენი არიან ნაცია, გამაგრებული თავისის ენით, სარწმუნოებით და სხვანი. სჩანს, რომ, თქვენის აზრით, თავი და თავი საგანი ჩვენის ყურადღებისა უნდა იყოს კულტურა, რომელსაც ეგი შეიტანს ენაში, სარწმუნოებაში და სხვანი. «ძუძა მიწეთ მუშაობდეს, შეომარი გულოვნობდეს», «თხა და ძაღელი ერთად სძოვდეს», ოღონდ ერი, ენა და სარწმუნოება იქმნას დაცული, ესე ეგი ყოველივე, რაც ჩვენს კულტურას შეიტანს. განა ასე არ არის, ბ-ნო გ. წერეთელო? ესლა ისიც გვითხარით, აქვს თუ არა თქვენთან საერთო რაზე «მესამე დასს», რომლის წინამძღო-

ლობასაც სჩემობთ და რომლის სასელით ეგოდენს ფართი-ფურთობთ? გადაჭრით მეკე უნდა გიპასუხოთ, რომ თქვენთას საერთო არა უნდა ჰქონდეს-რა. რაკი თქვენს მეთაურობაზე ეჭვი მიგიტანე, მესამე დასის მიმართულების გასოსარგებლად უნდა მაგმართოთ ახალგაზდა წარმომადგენელს მესამე დასისას, ბ-ნ ჯიბლაძეს. ეს ახალგაზდა აკტორი გვიმოძღვრებს რომ:

„ჩვენი ახალი ბატონი ის ნივთიერებაა, რომელსაც ფულს ეძახიან; ამ ახალი კერპის გახურებულ თითებზე იხრაკება შეუბრალებლად ურიცხვი მსხვერპლი, მის წინაშე იდრეკენ მუხლს ძველი ყმაცა და ბატონიც... ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით—ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით—მუქთა-ხორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, რად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგი ხანია ჩატეხილიცაა. აი რად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგა ხანია გარღვეულიცაა“. (№ 22—94 წ.).

მაშასადამე, მესამე დასის უტეუარის წარმომადგენელის სიტყვით, თავი და თავი საგანი ჩვენის ეურადღებისა უნდა იყოს კაპიტალისტთან ბრძოლა, კლასთა ეკონომიური ბრძოლა. აქ რა შეაშია, ბ-ნო გ. წერეთელო, ესა, სარწმუნოება და სხვანი. თუ ეკონომიური ბრძოლა კლასთა შეა თავი და თავი საგანია ეურადღებისა, თუ მართლაც მთელი ერი ორ ნაწილადაა გაყოფილი და მათ შორის ხიდიცაა სატესილი და ეფსკრულიც გარღვეულია, ესა, სარწმუნოება რა მოსატანია. ამგვარს ბრძოლაში ესას და სარწმუნოებას ვის დაგიდეგს? ამგვარს მდგომარეობაში თავი და თავი საგანი ეკონომიურის სასიათისა უნდა იყოს და არა ეროვნულისა. მართალია, ბ-ნი გ. წერეთელი კაპიტალისაგან დასაგვრას ტირის (№ 5—95 წ.), მაგრამ კაპიტალთან ბრძოლა იმის �რით რომ თავი და თავი საგანი არ არის, მეითხველს ზემოდ დავასახელეთ. ამის დასამტკიცებლად გ. წერეთლის ნაწერიდან კიდეე ერთს სიტყვას მოეიყვან (№ 3). ეს სიტყვა ქართველთა და სომეხთა ურთიერთობას ესება. გ. წერეთელი მოძღვრობს:

„ქართველი ერი და სომხისა ისტორიულს გარემოებას ერთს ფარგალში მოუმწყვდევია. მათი ეროვნული წარმატება ბევრ შემთხვევაში მათ

ურთი-ერთობაზეა დამოკიდებული; მათი საერთო მოსაგერებელი მავნე გარემოება ის არის, რაც ეწინააღმდეგება მათს ბუნებითს აღორძინებას. მაშასადამე ისინი ყოველთვის ხელი-ხელთ ჩაკიდებული უნდა ეწინააღმდეგონ ყოველს ასეთს გარემოებას, რაც კი დაუშლის **მათს თვით-არსებობას, მათს ეროვნულ წარმატებას...** ცხადად უნდა შეიგნოს ყველამ, რომ გვარტომობის წარმატებაში ქართველნი და სომეხნი განუყრელნი ძმები უნდა იყონ... აი ამ **ბრძანებების** ძალით ჩვენ ვეწინააღმდეგეთ მაშინ (ე. ი. ქალაქის არჩევნების დროს) ისეთს პიროვნულს მოქმედებას, რომელსაც შეეძლო გვარტომობის ურთიერთობაში კეთილი დამოკიდებულება დაერღვია"...

„მართალიაო,—განაგრძობს ავტორი,—„ეკონომიური ბრძოლა" ქართველთა და სომხებს შუა დიდს უბედურებას შეადგენს; მაგრამ არა, მარტო „ვინ ხარ მამაცის" ძახილით და შურის ძიებით ვერას გავარიგებთ. ამითი ისევე ჩვენ თავს ვავნებთ... ეკონომიური ბრძოლა განა თვით ჩვენს შინაურობაში კი არ არის? თვით ჩვენი შეძლებული, ფულით გამდიდრებული იმერლობა თავისსავე საწყალს გაღარიბებულს მოძმე იმერელს სულსა წვდის და, როგორც მოგეხსენებათ, გინდ მგელს შევუპამივარ, გინდ მგლის-ფერ-ძაღლს; სულ ერთია. საქმე იმაშია, რომ **ეკონომიურს ბრძოლას არაფერი საერთო არა აქვს რა გვარტომობის ურთიერთობასთან,** იმ დროს, როდესაც მდიდარი **იმერელი ღარიბი იმერლის მიწა-წყალს ბეჭლობს,** წარმოიდგინეთ, ოსმალები შემოგვესიენ, რას ვნახავთ? მაშინვე ეს მდიდარი და ღარიბი, ერთმანერთის დაუძინებელი მტერი ხელს მისცემენ ერთმანერთს და ძმურად შეკავშირდებიან ოსმალების მოსაგერებლად"...

დაუკვირდით, ბ-ნო გ. წერეთელო, ოქვენსავე სიტყვებს; აბა, გამოიცანით—რომელია თავი-და-თავი საგანი ჩვენის ყურადღებისა? როგორც გეტყობათ, გული-გულის ალგაგა არა გაქვთ, რაკი გვარტომობაზე, ეროვნებაზე, ენაზე, საწყენოებაზე ეგრეთ ზრუნავთ, ალბად ენა, ერი, გვარტომობა ჯერ მკვიდრს საფუძველზედ აგებული არ გეგულებათ.

ასე თავგზიანად ეკიდება გ. წერეთელი სომხობასა; ჩვენ ამას საწინააღმდეგო არა გაქვს-რა, სოლო ფიცი მწამს, ბოლო კი მაკვირვებსო, ტყუილად არ არის ნათქვამი. იმავე გაზეთში, საცა გ. წერეთელი სომხობას ელაქუცება და გვარწმუნებს, რომ «ეკონომიურს ბრძოლას» არაფერი საერთო არა აქვს გვარტომობის ურთიერთობა-

სთან», მეორე მწერალი მესამე დასისა, ბ-ნი ყარიბი, რომლის წერილის დედა-აზრი სრულიად ეთანხმება ბ-ნ ჯიბლაძისას, და რომელიც ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური «ტუაკის-გაძრობის პროცესი დიდი სასია თავისუფლად დათარეშობს ჩვენშიო», რომლის აზრით პროცესთან ბრძოლა თავი-და-თავი საკანია ჩვენის უურადღებისა, სომსობას სსვათა შორის, აი, როგორ იხსენიებს:

„დღეს ჩვენში უფაბრიკოდ და უქარხნოთაც ადვილი დასანახია კაპიტალისტური წეს-წყობილება, ნუ თუ ჩვენი „ჩხიკვაძე-მებუკეები", ჩვენი მოშა-შალომეები და ჩვენი მეჩარჩე-ვაჭრობა, რომელთაც მთელი ქართლ-კახეთის საუკეთესო მამულები ხელში ჩაუგდიათ და სოფლის ხალხს ტყავს აძრობენ, მექარხნეებზე ნაკლებ სასტიკად ეპყრობიან მშრომელ-ხალხს? თუ ფაბრიკები და ქარხნები არა გვაქვს, იმიტომ ვერ დაცინცლეს ხელიდან ჩვენმა **გორ-ტფილის-საგანახის კაპიტალისტებმა** მამულ-დედული ადგილობრივ მკვიდრთ... რწყილს ნესტარიც ეყოფაო... და ჩვენი ღარიბი ხალხისთვის ეს წვრილმანი კაპიტალისტიც საკმაოა"... (№ 48, 1894 წ.).

მოდით, და მოათვალეთ ერთმანეთთან გ. წერეთლისა, ჯიბლაძისა და ყარიბის ნაწერები! ჩვენ, პირადად, ჯიბლაძისა და ყარიბის მესამე-დასობა უფრო გვრწამს, ვიდრე გ. წერეთლისა, თუ ვნებავთ იმიტომ, რომ ჯიბლაძე და ყარიბი ჯერ-ჯერობით «სულ ასალ-გაზდანი» ესდა იყვნენ, «გონებრივი ღონით სავსენი». უკატრავად, რომ გაგებედეთ და ყარიბი და ჯიბლაძე სულ ასალ-გაზდებად მოიხსენიეთ. უკატრავად იმიტომ, რომ იქნება მისაუკედურონ—თქვენ რა გრჯის ასალგაზდანი ვრიან თუ მოხუცებულნიო, იქნება კიდეკ ერთხელ შემოგვწერნენ და გვიბრძანონ:

„ახალი გუნდობა წლოვანებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მიმართულებაზე და მისწრაფებაზე; ახალ მუშაკთა გუნდში, შესაძლებელია, მოხუცებულნიც ერიონ და უწლოვანო ახალგაზდებიც. მესამე დასი წლოვანებით კი არ განსაზღვრავს თავის პროგრამას, მოქმედებას, არამედ იდეით, პრინციპით". (კვალი № 5, წერ. გ. წერეთლისა).

ეგეგეე გვიბრძანა ყარიბმაც კვალის მე-48 №-ში. დიაღაც მართალია, რომ მიმართულება წლოვანებით არ გაისაზღვრება, შესაძლოა ასალს მიმართულებას მოხუცებული წარმომადგენელნი იცავდეს, სოლო ჩვენ თუ «სულ-ასალგაზდობა» მესამე დასის წარმომა-

დგენელთა განსსკვეულ თვისებად ვსცანით, იმიტომ რომ ბ-ნმა დამსწრემ აკი შეგვატყობინა წარსულის წლის «კვალის» მე-21 №-ში, რომ მესამე დასის წევრნი «სულ ახალ-გაზდანი არიან გონებრივი ღონით საგსენი». ჩვენც, რასაკვირველია, ამ სიტყვებს ვერწმუნეთ და იმიტომ გავიკვირვეთ,—როგორ მოჰხდა, რომ გ. წერეთელი, ეგ ძველი მწერალი, მესამე დასში გაერია ნინოშვილის დასაფლავების დროს და გადაეფთხვა კიდეც და იმ «სულ-ახალგაზდა» ყმაწვილებს წაა-წიას აძახებინებს. მაროალია, ყარიბმა და გ. წერეთელმა გვისაუბედურეს, მაგრამ ჩვენ მაინც იქა ვართ, რომ მესამე დასში ვერ-ვერობით შუა ხნისა და მოსუცი არავინაა.

ისევ ჩვენს საგანს დავუბრუნდეთ. აი, ასე არეულ-დარეულია მესამე დასის მწერალთა აზრი, პროგრამა და მიმართულება. ესლა შესაძლოა ვიკითხოთ, რა საბუთი აქვსთ, რომ «ძველს თაობას» აზნაურობის პრინციპის ქადაგებას, წოდებათა განკერძოებას სწამებენ? იმათის აზრის დასარღვევად ამ ოც და ათის წლის მწერლობას არ მიეშართავთ; ეს ბევრს დროს მოითხოვს და იმედია მესამე დასის მწერალნი თვითონვე ეცდებიან დასასუბუთონ თავიანთი აზრი და მაშინ ჩვენც შემოსვევა ფიქრება კიდევ ერთსელ გამოვედაპარაგოთ. ესლა სან კი ვნახოთ, თუ როგორ ეკიდებიან «ძველის თაობის» ნამოქმედარს.

„ჩვენო, ესე იგი მესამე დასის მწერალნი, ანუ კვალის რედაქცია, გვარწმუნებს გ. წერეთელი, ჩვენი პრინციპის ძალით არ თანავუგრძნობთ, მაგალითად ყოველსავე დაწესებულებას, რომელსაც ჰქვია ან მარტო თავად-აზნაურობის სახელი, ან მარტო გლეხობის, ან ვაჭრობის სახელი“ (№ 5).

კარგი და პატიოსანი! სააზნაურო სკოლებს ხომ საკუთრივ აზნაურობის სახელი ჰქვია; აბა გვითხარით, ამ სკოლებს თანაუგრძნობთ თუ არა? ეგ რა საკითხვაია, გვეპასუხებს ბ-ნი გ. წერეთელი. როცა სააზნაურო სკოლების გადაკეთების შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, განა ჩვენ არ გამოვესარჩლეთ ამ სკოლებს და გადაკეთებას, გაუქმებას გადავარჩინეთო?

„კვალმა უჩვენა, თუ რამ აიძულა ჩვენი თავად-აზნაურობა სწორეთ ასეთი ტიპის და პროგრამის სკოლები დაეარსებინა და შეეწყო ხელი თუ-

ვის შვილებისათვის, რომ მათის გონებისა და ტვინისათვის შეემსუბუქებინა მძიმე ტვირთი უცხო ენაზე სწავლის შეთვისებისა და გონების ბუნებითად განვითარებისა“..

სამეურნეო სკოლების გულისათვის, განაგრძობს გ. წერეთელი,

„ჩვენმა საზოგადოებამ სხვა ღონე უნდა იღონოს, და სხვა მატერიალური საშვალება მოიპოვოსო, მხოლოდ რაცა გვაქვს, იმას ნუ დავკარგავთ, **სათავად-აზნაურო სკოლებს ნუ შეეხებიოთ: იმათ ერის ნიშნობლივი თავისუფლობის დაცვა აწევთ მოვალეობათ** და ეს ძვირფასი დარგი ყოველის ქართველისათვის წმინდათა-წმინდათ უნდა გადაიქცესო“ და სხვა. (კვალი № 1).

ხომ სედავთ, ბ-ნო გ. წერეთელო, რომ საზნაურო სკოლები, რომლებსაც საკუთრივ აზნაურობის სახელი ეწოდება, რა წმინდა საგანს ემსახურებიან, რომ ამ სკოლის ტიპისა და პროგრამის საჭიროება, ერის ნიშნობლივის თავისებურების დაცვა რომ საჭიროა, ჩვენს აზნაურობას რამდენი ხანია შეგნებული აქვს და რომ თავი და თავი საგანი, რომელსაც თქვენ ყურადღება ათხოვეთ, თუ-რმე ეგ ტიპი და პროგრამა ყოფილა. მაშ ამ სკოლებს ხომ თანაუგრძნობთ, თუმცა საკუთრივ აზნაურობის სახელი ეწოდებათ? დიადაც, რომ თანაუგრძნობთ, თუმცა შიგ გლეხის შვილები არა სწავლობენ. მართლია, «კვალის» მე-5-№-ში თქვენნა ბრძანებთ: «ჩვენ დიდ ბედხიერებად მიკიმჩნევდით, მაგალითად, იმას, რომ ჩვენს საზნაურო სკოლებში აზნაურის შვილს გვერდით გლეხის შვილიც მჯდარიყო», მაგრამ თქვენის ნაწერებიდან ისა სჩანს, რომ თავი და თავი ღირსება და დანიშნულება ამ სკოლებისა ის კი არ არის, რომ გლეხის შვილი აზნაურისას სკოლაში გვერდით უსხდეს, არამედ ისა, რომ საზნაურო სკოლებს მოკალეობად აწევს!

**«მძიმე ტვირთი უცხო ენაზე სწავლის შეთვისებისა და გონების ბუნებითად განვითარებისა»** გაუადვილოს თავად-აზნაურთა ყმაწვილებს, და **«ერის ნიშნობლივი თავისებურობა»** დაიცვას.

სწორედ ამიტომ, ბ-ნო გ. წერეთელო, თქვენ ეგოდენი თანაგრძნობა ალმოუჩინეთ საზნაურო სკოლებს და ძლიერი მოსარჩლეობა გაუწიეთ, თუმცა, სამწუხაროდ, ამ სკოლებში გლეხის შვი-

ლების ადგილი არა ჭქონიათ და არცა აქვთ. დიაღ, საქმე ისაა, რომ თქვენ თანაუგრძნობთ დანიშნულებას, მიმართულებას სკოლისას. ესლა გეიბრძანეთ, ვინაა მშობელი და აღმზრდელი ამ სკოლებისა, თუ არა ძველი თაობა, რომელსაც ვინ იცის რას არა სწამებთ? როცა ეგ სკოლები იმართებოდა, რასაკვირველია, თქვენს გარდა, დღევანდელი შესამე დასის მწერალნი და წარმომადგენელნი ფესვზე ძლიგსა დგებოდნენ. იმის მიზეზი, რომ საზზნაურო სკოლებში გლეხის შვილები არა სწავლობენ, გ. წერეთელს კარგად უნდა მოესსენებოდეს; ხოლო მიზეზი ის კი არაა, ვითომ ძველს თაობას ინტელიგენტიისას სწადდეს აზნაურობა ქვეყანას გაუბატონოს და გლეს კაცობა დაუჩაგვრინოს. თუ არ მოესსენება, საგანს ისტორიულად, პირუთვნელად თვალი გადაავლოს და მაშინ შეიტყობს. იმასაც შეიტყობს, რომ, თუ ძველს თაობას ამ მსრით რაიმე ცოდვა-ბრალი მიუძღვის, ამ ცოდვა-ბრალში თვითონაც დიდი წილი აქვს.

იმ აზრის გასამტყუნებლად, ვითომ ძველს თაობას წოდებათა განკერძოება სწადიან, ესლა სხვა საბუთს მიემართოთ. მოვისსენიოთ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება». ეს დაწესებულება არც აზნაურობის და არც სხვა რომლისამე წოდების სასელს ატარებს და წოდებათა განკერძოება თვიქრშიაც. არა ჭქონია და არცა აქვს; ერის ერთის ნაწილის სხვებზე გაბატონება გულში არასოდეს არ გაუტარებია. პირიქით, საგნად ისა აქვს, რომ წოდებისა, გვარიშვილობის მიუსედავად ქართველთა შორის წერა-კითხვა, პირველი დასაწყისი სწავლა-განათლება მოჭვინოს; რაც სკოლები გაუმართავს, ყველაში, თავადიშვილი იქნება, აზნაურისა თუ გლესისა, შეუძლია თავი შეაფაროს. ვინაა მშობელი და ამღზრდელი ამ საზოგადოებისა, თუ არ ძველი თაობა? ეგ დაწესებულება რომ იმართებოდა და საძირკვლად ეს წმიდა აზრი დაიდო, შესამე დასის წარმომადგენელნი, გ. წერეთელს გარდა, სად იყვნენ?

საზოგადოდ უნდა შეენიშნოთ, რომ ისტორიკოს-არქეოლოგოსი გ. წერეთელი პუბლიცისტიკას რაკი სელს ჩასწიდებს, მოვალეობად არა სთვლის ჩვენს ამ ოც და ათის წლის წარსულს ისტორიულად თვალი გადაავლოს; ისე სჯის, თითქო არც ეს წარსული

ახსოვს, არც აწმყოს აკვირდება. ეს სენი რომ არა სჭირდეს, ადვილად შენიშნავდა, რომ ამ ოც და ათის წლის განმავლობაში ჩვენს თვით ცნობიერებას ცოტად თუ ბევრად გონებრივი და ზნეობრივი ზრდა და მატება დაეტყო, რომ ამის მიზეზი, სსკათა შორის, ჩვენი მწერლობა და ძველი თაობაა, რომელსაც თვით გ. წერეთელი ეკუთვნის.

პუბლიცისტიკაში გ. წერეთელს სსოვნასა და სამართლიანობის გარდა ზოგჯერ «მეცნიერობაც» ჭლადატობს. ეგ რომ ცილის წამებად არ ჩამოგვართვას, საჭიროა სიბუთაც მოვასსენოთ. წლეკანდელის «კვალის» I-ს №-ში, ს

პროცენტი იყო, ამის გამო ბანკებმა ნელ-ნელა დაავალიანა ჩვენი თავადაზნაურობა".

სჩანს, გ. წერეთლის სიტყვით, ჩვენი ადგილ-მამულიდ ღღეგანდელ სასადგილ-მამულო ბანკების პროცენტს კერ უძლებდა და კერც უძლებს იმიტომ, რომ ჩვენი მეურნეობა განუვითარებელი იყო და კიდევაც არის, სოლო **იმ თავითვე სხვანაირის ბანკების საშუალებით**, რომელიც უნდა დაარსებინათ **მოკლე ვადიანის სესხის გაცემით ჭირნახულის მეპატრონის ხელის გასამართავად**, ბანკის პროცენტსაც გაუძლებდით, ალბად ადგილ-მამულსაც შეკიმენდით და გაათეტებულს სარგებლობას გამოიღებდით. ალბად გ. წერეთლის აზრით **ის სხვანაირი მოკლე ვადიანი სესხის გამცემა** ბანკები ოთხს პროცენტზე ნაკლებს დაგკერდებოდა. ასე თუ ფიქრობს, კრედიტის ბუნება მისთვის სრულიად გაუგებარი, ჩინური ანბანი ყოფილა. ერთი ისა, ბ-ნო გ. წერეთელო, რომ მოკლე ვადიანი სესხი გრძელ-ვადიანზე მეტს პროცენტსა თხოულობს; ფულის პატრონი, სესხის კამღები იმასა ცდილობს, რომ ფული მკვიდრად, სანგრძლივად დაბინაოს, არ გაცდინოს, სესხი თუ მოკლე ვადით გაიღო და თვეისს დროზე დაბრუნა, ფულის გაცდენა უნდა იკარაულოს და გიორგის პატრონს ამ გაცდენაშიაც პროცენტი უნდა აართვას. ა. სადაა იმის მიზეზი, რომ გრძელ-ვადიანი სესხი მოკლე-ვადიანზე იაფია, **იმ თავითვე ის სხვანაირი ბანკების გასამართავად** სომ სხვებისთვის უნდა მიგეკემართნა, რადგან საკუთარი ფული არა გაქონდა და ისეთს კულ-მტკივნეულობას ვინ გამოიხენდა, რომ ჩვენთვის თავი გაეწირა და ფული ოთხ პროცენტზე ნაკლებად გაეღო, ესე იგი იმ პროცენტზე, რომელსაც, თქვენის სიტყვით, ჩვენი ადგილ-მამული იძლევა. ეს ერთი. მეორე ისაა, რომ ჩვენში **იმ თავითვე** მეურნეობა ხომ **განუვითარებელი** იყო და რაც ჭირნასული გაქონდა, დღევანდელზე სუთჯერ მაინც ნაკლები იყო, ისიც იანგარიშეთ, რომ, როცა ჩვენი ბანკები იმართებოდა, ჩვენს ჭირნასულს არც ბაზარი ჰქონდა და კიდევაც რომ ჰქონოდა, გზა და ხიდი სად იყო, ალბ-მიტემობის უნარი ვისა ჰქონდა? ამ ყოფაში მოქცეულ მემამულეებს, რომელთაც ჭირნასული არა ჰქონდათ, და რაც ჰქონდათ, იმის გასაღებაც არ შეეძლოთ, მოკლე ვადიანს სესხს

ვინ მიწოდებდა? ისეთი გიჟი და ბრიყვი ვინ იქნებოდა? «მელიორატიულს კრედიტს» რომ ბრძანებთ, უნდა გაიხსენიოთ, რომ ამგვარი კრედიტი იქ არის მოსახსენებელი, სადაც სამეურნეო კულტურა მკვიდრი, განვითარებული და სანდოა. სადაც ეს პირობა დაცული არ არის, იქ ფულის პატრონი მკვიდრს, შეურყეველ გირაოს ითხოვდეს და ასეთი გირაო ადგილ-მამულია და არა ზირნახული. ესლა რომ მელიორატიული კრედიტი აიღეთ, ამ ოცდა ათის წლის განმავლობაში სადა ბრძანდებოდით; რამდენადაც გვახსოვს, არც ერთხელ არ გისესხებია და, ბ-ნ გრ. გველესიანს რომ «კვალში» თავისი წერილები არ დაებეჭდნა, არც კი მოგაგონდებოდათ. რაკი მაგ გვარს კრედიტზე ჩამოაგდეთ ლაპარაკი, სამართლიანობა მოითხოვდა,— მოგესესებია, რომ წარსულს წელს ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებამ, მაგ გვარს კრედიტს რომ ოდესმე საძიერკელი დაედვა, სამეურნეო თანხის დაარსება განიზრახა (сельскохозяйственный капиталъ). ამ თანხას დანიშნულება ისა აქვს, რომ მაზრებში გამართულ იქმნას სამეურნეო სკოლები, სამეურნეო მაშინებისა ან ხელსაწყო იარაღების საწყობები ან საბელოსნოები, ს

სალოდნელი იყო, რომ ქართულ-კასეთის თავად-აზნაურობა, რომელსაც ადგილ-მამული დღითი-დღე სელიდან ეცლება, რომლის ზოგი წევრი სრულიად ბოგანად გარდაქმნილა, ამ აზრს ორსაგე სელით ჩაეწიდებოდა. მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, ასე არ მოხდა. აზნაურობამ, მსხვილ-თვესამ და წვრილ-თვესამაც ეგ აზრი უარჰყო და სამეურნეო თანხის დაარსება ისურვა. ეს ისეთს დროს მოჰხდა, როცა რუსეთის ზოგი გუბერნიის აზნაურობა მხოლოდ იმასა ცდილობს, რომ ადგილ-მამული გაურყელად შეირჩინოს. ვგონებთ, ჩვენის საზოგადოების ცოტად თუ ბევრად გადემოკრატებაში, სხვათა შორის, ჩვენს ძველს თაობას და მწერლობასაც წილი უდევს.

რა თქმა უნდა, გ. წერეთელს დაკთრები სულ-ერთიანად აბნევია მას აქეთ, რაც მესამე დასი აღმოაჩინა და ამ დასის ძალად-ბელადობას ჩემულობს. ერთს მწერალს, თუნდაც ისეთს, როგორიც გ. წერეთელი ბრძანდება, ეგ უბედურობა რომ მოუვიდეს, დიდი არაფერია; ასე თუ ისე, შესაძლოა კაცმა გულ-მტკივნეულობა აღმოუჩინოს და შეუნდოს, სოლო დიდი უბედურება ისაა, როცა ეგ ერთი მწერალი მთელის ეურნალისა თუ გაზეთისა და მწერალთა მთელის გუნდის დაკთრებსა ჭრეკს და მით მკითხველს საზოგადოებას გზა-კვალს უბნევს. ეს არეკ-დარეკა დაკთრებისა კვალის რედაქტიას ძლიერ ეტეობა. ზოგი ალთას, ზოგი ბალთას, ასე რომ მკითხველს საშუალება არ აქვს ერთს რომელსამე გარკვეულს აზრს, პროგრამას დაადგეს. «კვალის» პროგრამის არეკ-დარეკის საბუთები ზოგი ზემოდ მოვიხსენიეთ, ზოგსაც ესლა მოგახსენებთ. შორიდან დავიწყოთ.

წარსულის წლის «მოამბის» პირველს №-ში ნათქვამი იყო, რომ

„საუკეთესო ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ კარგად სცნა, რომ ჩვენთვის ისეთი სწავლა-ცოდნაა საჭირო, რომელმაც ხელიდან ადგილ-მამული არ უნდა გაგვაშვებინოს... ვსცანით, რომ დროსა და ვითარების შესაფერი სწავლა-ცოდნაა საჭირო... ხელში ისეთი ფარ.ხმალი უნდა ავიღოთ, რომ ჩვენი ადგილ-მამული, სამშობლო, შეგვარჩინოს. ეს ფარხმალი, სხვათა შორის, ხომ სამეურნეო სწავლა-ცოდნაა, ურომლოდაც ყოვლად შეუძლებელია ქვეყანას **შესაფერი** სიმდიდრე გამოვაღებინოთ და კეთილ-დღეობა დავიმკვიდროთ... აი, ეს სასიკეთო აზრი, რომელმაც, ჩვენ-

და საბედნიეროდ, თავი იჩინა, როგორც ჩვენს მწერლობაში, ისე საზოგადოებაშიც“.

ეს იყო და ეს. ესლა ისიც გავიხსენიოთ, რომ ბ-ნმა პეტრიძემ ამის თაობაზე «კვალში» ერთი ალიაქოთი ასტეხა და «მოამბის» მექრონიკეს კუდით ქვა ასროლინა. როგორ გაბედეთ და სამეურნეო სწავლა-ცოდნა ერის წარმატების ერთად-ერთ საშუალებად მიიჩნიეთო და სხვ. «მოამბემ» პასუხი გასცა, მაგრამ ამ პასუხს რა შეეძლო. «კვალის» პუბლიცისტები ხომ ისეთი ჯიუტები და თავმოყვარენი ბრძანდებიან, რომ ერთსულვე ნათქვამის გარდათქმა რა მათი საკადრისია, მას აქეთ სწორედ ერთი წელიწადი გავიდა, და «კვალმა» ბ-ნი როსტომაშვილის წერილი დაბეჭდა (№№ 3 და 6). ძლიერ გაიკვირვეთ, რომ ბ-ნ როსტომაშვილს «კვალმა» თითქმის იგივე ათქმევინა, რისათვისაც ჩვენი მექრონიკე ჯვარს ატვა. ბ-ნი ი. როსტომაშვილი აღნიშნავს რა ჩვენის დაქვეითებისა ამბავს, ჩვენს დაბეჭვებას, მოგვითხრობს:

„მისმა (ე. ი. ერისამ) მუშაობაში საუკუნოებით განმტკიცებულმა მარჯვენამაც კი ვერა გააწყო-რა და ნივთიერი კეთილ-დღეობა და დამოუკიდებელი ცხოვრება, მაინცა-და-მაინც, ვერ მოიპოვა... აღმოჩნდა, რომ ლიტონი ძალ-ღონე მკლავისა და მცირე ცოდნა-გამოცდილება არ კმარა კეთილ-დღეობის მოსაპოვებლად. აღმოჩნდა, რომ საჭიროა ბონებითი განვითარება **დროს შესაფერი ცოდნაც**“ (№ 3).

ესლა ვნახოთ, **დროს შესაფერი ცოდნაც** რომელია. «კვალის» მე-6 №-ში იგივე ავტორი მოგვითხრობს:

„აუცილებლად საჭიროა, რომ სკოლა იმავე დროს (ე. ი. პირველ დაწყებითი წერა-კითხვასთან ერთად) ამ ხალხის სამეურნეო და ტეხნიკურს ცხოვრებას დაეხმაროს... მიეცით ჩვენს ხალხს ტეხნიკო-აგრონომიული ცოდნა და მაშინ ნახავთ“.

ეს სალსი რა სასწაულ-მოქმედებას გვიჩვენებსო.

„ამ ტეხნიკურ-აგრონომიული ცოდნის ნაკლებობას და საჭიროებას გრძნობს დღეს ჩვენში **ყველა:** თავად-აზნაურიც და გლეხიც, ბერიც და ერიც... ახლა, რითი შეიძლება ჩვენი ქვეყნის ამ დაცემული მეურნეობა-ხელოვნებათა და **თვით ჩვენი თავის** აღორძინება? რასაკვირველია,

იმითივე, რითაც აღორძინებულნი არიან ევროპიელნი, ე. ი. **ტესნაკურ-აგრონომიული ცოდნის** მოფენითა ჩვენ ხალხში“.

„ახლა რა გზით და რა საშუალებით მოვახერხოთ ყოველი ეს?.. ეს საშუალება გახლავთ ოვით-შველა, ე. ი. საკუთარივე მეცადინეობა“.

„ამ მიზანს უნდა ვემსახუროთ დღეს ყველა: მთავრობაც, ადმინისტრაციაც, სამოსწავლებლო უწყებაც, კერძო პირნიც და საზოგადო დაწესებულებანიც“.

კარგი და პატიოსანი. მაშ «მოამბის» მექრონიკე და მთელი ეურნალი ბ-ნმა ვეტრიმემ ამ ერთის წლის წინად ეკვარს რად აცვა და რად აწამა? იმის მეტი, რაც ბ-ნ როსტომაშვილს უთქვამს, «მოამბის» ქრონიკაში რა იპოვა? ალბად იმიტომ, რომ ეკ ანა-ბანა «მოამბეს» წაუკითხა მკითხველს და არა «კვალმა». სამართალო, სად-სარ!?

ესლა «კვალის» პუბლიცისტებს მიეგმართოთ და დაკეკითხოთ: თავი-და-თავი სიკანი ჩვენის მწერლობისა და საზოგადოების ეურადღებისა რომელია? ბ. წერეთელი გვეპასუხებს: მთელი საქართველოს ერი, რომელშიაც ეკლესიც არის, აზნაურიც, ღვიდლიც, კაცურიც, მოსელეც და მოქირავე ემაც, ერთი ისტორიული კულტურით ზრდილი და გამაგრებული თავისი ენით, სარწმუნოებით... ეი საკანი ჩვენი ეურადღებისაო; ყარიბსა და ეიბლიძეს რომ ჰკითხოთ—კლასთა ბრძოლაო, კაპიტალიზმთან ჭიდილიო, ეი, საკანი ჩვენის ეურადღებისაო; როსტომაშვილის აზრით კი, ტესნიკურ-აგრონომიული სწავლა-ცოდნა, რომლის გავრცელებას **ყველა** უნდა ვემსახუროთ—დიდი და პატარა, მთავრობა და კერძო მოღვაწენიცა. თავისას ყველა რომ ეერე გადაჭრით გვიმოძღვრებენ! რომელს ერთს დაეუჯეროთ? ნუ აჩქარდებით, მკითხველო, მოთმინებითა თქვენითა, მოიპოვეთ სული თქვენი და «კვალის» მე-6 №-ში აკაკის წერილის («განცხადებასავით») დასაწყისი წაიკითხეთ, თუ გინდა გარკვეულს აზრს დაადგეთ:

„ქართველებს რომ დღეს ბევრი სწვა და სხვა საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთად, ეს ვინ არ იცის? (ოღონდაც!) მაგრამ ერთი კი მათგანი ისეთი **საჭირო** და **სასწრაფო** არ არის, რომელიც „ზეპირ-გადმოცემების“ შეკრება და შეგროვება!.. შედარებით ამ

დიდ საქმესთან სხვები ყველა თითქმის «ჩხირ-კედელობათ» უნდა ჩითვალოს, მაგრამ ჩვენ კი მაინც ამოდენი ხანი განზე ეუდექით ამ საპირო საქმეს".

«

როგორ მოგწონსთ, მკითხველო, ეგ «თითქმის ჩხირ-კედელობა»? განა გ. წერეთლის ერი, რომელშიაც ბატონიც არის და მოქირავე ყმაც, ერთის ისტორიულის კულტურით ზრდილი «თითქმის ჩხირკედელობაა?» განა კაპიტალიზმთან ჭიდილი, კლასთა ბრძოლა «თითქმის ჩხირ-კედელობაა? განა ტესნიკური აგრონომიული სწავლა-ცოდნის გავრცელებაც «თითქმის ჩხირ-კედელობაა»? მაგრამ ნუ სწუსართ. რასაკვირველია, აკაკის უნდა ერწმუნოთ, იმ აკაკის, რომელსაც, «კაკალის» მოწმობით, (№ 6, «ქართული საერო საქმე») «წინასწარმეტყველური წინაგრძნობა ეოველთვის თანდასდევს».

«ზეპირ-კადმოტქმების» შეკრება დიაღაც საჭიროა და საპატიო საქმეა, სოდო ამ ჭეშმარიტების სათქმელად ისეთის გაზვიადებულის ენრის წამოგორება რა იყო, კითომ ყველა «ჩვენი საჭიროება» და აუარებელი საქმე «თითქმის ჩხირკედელობაა». ან რა წინასწარმეტყველური წინაგრძნობა-ღაა საჭირო იმის სათქმელად, რომ სალი თასდათან ივიწყების ზეპირ-გადმოტქმებს, რომ მათი შეკრება ფრიად საჭირო საქმეა? ეს ჭეშმარიტება რამდენჯერ ეოფილა ჩვენს მწერლობაში ადნიშნული, ზოგს კიდეკიც შეგნებულიქვს და ცოტ-ცოტად კიდეკიც აგროვებენ ზღაპრებს, ლექსებს და სხვა და სხვა. არ ვიცით, რა საჭირო იყო იმის თქმა, რომ ამ დიდს საქმესთან შედარებით სხვა ყველა საჭირო საქმე «თითქმის ჩხირ-კედელობაა». იმ აზრს, რომ ზეპირ-გადმოტქმებს დიდი მნიშვნელობა აქვთ და შეკრება უნდა, თორემ სალი დაიკიწყებსო, უიმისოდაც საარწმუნოდ მიგიმხნევდით და ბ-ნი აკაკი უიმისოდაც მადლობის ღირსი იქნებოდა ეგ ფრიად საჭირო საქმე კიდეკ ერთსელ რომ მოგვაგონა.

რად მოსდის «კაკალს», რომ დაკთარი ეგრე სშირად ებსეკა? ალბად ეიმიტომ, რომ ერთი გარკვეული ბრინციპი არა აქვს, არ იცის ცენტრალური საგანი რომელია, ისეთი საგანი, რომელიც სხვა ყველა საგანს მწერლობისას, საზოგადო მოღვაწეობისას თვისის ფერსა

და იერს უნდა ამჩნევდეს, ეოველს ეპოქას, ეოველს გუნდს მწერლობისას ერთი გარკვეული ბრინციპი უნდა ჰქონდეს, ერთს მთავარს საგანს უნდა ემსახურებოდეს. რასაკვირველია, იმ საგანთან ერთად სხვაც მრავალია და აი მწერლობის საქმეც ისაა, რომ მათ შორის დამოკიდებულობა იპოვოს და მკითხველს გააგებინოს—ცენტრალური საგანი რომელია, სხვა საგნების კვლეკა-ძიება რა გზით უნდა წარმოებდეს, რომ მწერლობა და საზოგადოება იმ დედა-აზრს დაუახლოვოს. კსთქვათ—თავი-და-თავი სასწრაფო საგანი ზეპირ-გარდმოცემების შეკრებაა, სოლო ეოველივე სხვა საკითხება «თითქმის ჩხირკედელობაა». ეს თუ მართალია, მაშ თითქმის მთელი ჩვენი შრომა და ეურადღება იმას უნდა მოანდომოთ. ამასობაში «კლასთა ბრძოლაზე», «კაპიტალიზმზე», ამ «თითქმის ჩხირ-კედელობაზე» სომ თითქმის სელი უნდა აიღოთ. ამასობაში სალსი ეკონომიურად სულ ერთიანად დაიქსაქსება და მაშინ ჩვენთვის ზეპირ-გარდმოცემებს რა მნიშვნელობა ექნება! ამგვარს მაგალითებს ბევრს მოვიეანდით, მაგრამ ამ გზობით საკითხოდ არ მიგვაჩნია. იქნება სხვა დროს შეეეხოთ, ესლა კი მესამე დასს მივმართოთ.

მართალი მოგასსენოთ, ასალს დასს, რომელიც «კვალში» დაბუდებულა, **მესამე** რად ეწოდება, დღემდე ვერ გაგვიგია. რატა ერთ-ერთს ჩვენს წერილში ვსთქვით, რომ მესამე დასის მწერალთა ნაწერებიდან იმის მეტი ვერა ამოვიკითხეთ-რა, რომ ამ დასს **მესამე დასი** ჰქვიანო, ვეგონებთ, ბ-მა ყარიბმა, ესლა კარგად არ გვასსოვს, ძალიან გვისაუკვედურა. მას აქეთ კარგა სანი გავიდა, რამდენიმე სხვა მწერალიც გამოვიდა სარბიელზე, რომელნიც მოგვითხრობენ მესამე დასის ისტორიას, გვირკვევენ «მესამე დასი» რადა ჰქვიან, მაგრამ მაინც ვერა გავიგეთ-რა. იქნება ჩვენი გაუგებრობის ბრალი იყოს! ბ. წერეთელი, ეგ ძალად-ბედადი მესამე დასისა, მოგვითხრობს:

„ამ სახით, როგორც თვით მკითხველი დაინახავს, სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩნდა ორი დასი: ერთი,—რომელიც ქადაგებდა თავად-აზნაურობის კეთილ-დღეობის პრინციპს, მეორე—რომელიც მარტო გლეხ-კაცობის ბედის-წერის გაუმჯობესობაში ხედავდა საქართველოს ერის ხსნას.

„კვალის მეთაურებმა უარ ჰყვეს პირველი დასის შეხედულობაც და მეორისაც, რადგან ორივე იყო ცალკერძა და ულრული... „კვალი“ დიდი

სიხარულით და აღტაცებით მიეგება იმ ახალ გზაზე მოსიარულე „მესამე დასს“, რომელმაც უარ-ჰყო წოდებათა განკერძოება და მათზე მზრუნველობა. იმან გამოაცხადა საგნათ თავის ზეგავლენისა მთელი საქართველოს ერი... (№ 5).

ასეა თუ ისე, გ. წერეთელს რატომ არ უნდა კერწმუნოთ? კერწმუნეთ კიდეც, და სადარდელი ის-და გვქონდა, რომ თავისს დროზე კერ გამოვატანით—ასალს დასს «მესამე» რადა ჭქვიან. გავიდა ერთი თვე და ბ-ნი ჯიბლაძე შეუდგა წერილების ბეჭდვას. ამანაც განიზრახა მესამე დასის ისტორიის დაწერა, აბა ვნახოთ ეს მწერალი რას მოგვითხრობს:

„ამ ნაირად ჩვენი **ეროვნული ინტელიგენცია** დაადგა ძველი თაობის გზას (ალბად თავად-აზნაურობის კეთილ-დღეობის პრინციპის ქადაგებისას). მათი მიზანია მოიგდონ ხელში ტარი ისტორიული ჩარხისა და უკან ატრიალონ. ამ პირველი დასის სრულს მოწინააღმდეგე ძალას შეადგენს ახალ-დაბადებული—დღეს **მესამედ წოდებული დასი** ამ დასმა შეიგნო ახალი ისტორიული ძალა და ამოუდგა გვერდში. ეს ის ძალაა, რომელიც გამოძვრა იმ ხოკოდან (ხოკერიდან), რასაც დღეს ასეთი ერთგულებით იცავს ჩვენი რეაქციონური დასი“.

ეს ხომ პირველი დასი და მესამე, მეორე სადღა? ჯიბლაძე განაგრძობს:

«**შუათანა დასის გაკანსიას დაცქერიან** მრავალი ღონიერი კანდიდატები, **ეს გახლავთ ბურჟუა-ლიბერალები**».

თურმე მეორე დასის კაკანსია თავისუფალი ეროვნულ და სასმ ბურჟუა-ლიბერალები მოასწრობდნენ თავისუფლის კაკანსიის ხელში ჩაგდებას, შესამე დასი გამოჩეკილა. სისწრაფეც სწორედ ასეთი უნდა. ჩვენ კი გვეგონა, რომ მეორე დასი ის იყო, რომელიც მე-80-ე წლებში «ბლუსკატობის ბედის-წერის გაუმჯობესობაში ხედავდა საქართველოს ერის სასნას», ესე იგი «დასი народникъ-ებისა»—«დასი ტეტიაობის მოტრფიალეთა», რომლის ერთი ნაწილი «დაინთქა ცხოვრების ახალ მიმართულების მორევში», ხოლო მეორე კი «იეერიის» რედაქციამ ჩაყლაპა. თურმე, ნუ ეტუკით, მეორე დასის კაკანსია თავისუფალი ეროვნულ, ბურჟუა-ლიბერალები უთვალ-

თვალებს, მოდიან, მოიმღერიან, სოლო კაკანსიამდე კერ მიუღწევიათ. განსვენებულის ნინოშვილის შესახებ რომ სწერდით, აგე ბრძანებდით:

„ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს, ერთი მხრით—ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით—მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტებიო“...

წელს რომ მესამე დასის ისტორიის წერას შეუდექით, ეგ სიტყვები რად არ გაიხსენიეთ, თქვენ ალბა რად არ დაეკითხეთ—მეორე მხრით თუ «მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები» დამკვიდრებულან, ეს ბურჟუა-ლიბერალები სად შერჩენ, რად იგვიანებენ, კაკანსიას რად ატდენენ? ან იქნება გ. წერეთლის народник-ები ბურჟუა-ლიბერალებად გარდაქმნილან?

აი, ორი ისტორია მესამე დასისა—ერთი გ. წერეთლის შეთხზული და მეორე—ჯიბლაძისა. რომელს ერთს დავუჯეროთ? ბ-ნი ჯიბლაძე უმეტეს შეუდგა თავისის «საყურადღებო» წერილების ბეჭდვას. როცა დასრულებულს, იქნება მაშინ დავუბრუნდეთ, რაც სათქმელი აქვს, დეე სთქვას. ესლა კი არ შემიძლია ორიოდე სიტყვა ბ-ნს სიგო მუსიანელსაც არ შევუბრუნო («კვალი», № 7).

საკვირველია, არ მიმაჩნია სიგო მუსიანელის წერილის ბედა-აზრს გამოკეკიდო; გამოსაკიდებელი შიგ არაფერია, სოლო არ შემიძლია არ შევეხო იმ სამწერლო ზნე-ჩვეულებას, რომელსაც ს. მუსიანელი და ზოგი სხვა თანამშრომელი «კვალისა» მიზდეკენ. ბ-ნი სიგო მუსიანელი ჩემს კინაობას ეხება; სადური კარ, სად კმასურობ, რა აზრების მიმდევარი ვიყავი,—აი, სხვათა შორის, რის გამოცნობას ცდილობს. ეს ალბად იმიტომ მოსდის, რომ ბ-ნი ა. ნა—ლი კინა ბრძანდება ადვილი გამოსაცნობია: ან ნაცვალიშვილი იქნება, ან ნალბანდიშვილი ანა და ნანეიშვილი, სოლო ყარიბი და მუსიანელი კინა ბრძანდებიან, ძნელი გამოსაცნობია. ეგ ბრეკდონიმები გ. წერეთელსაც კარგად მოერგება თავზედა და ბევრს სხვასაცა. თქვენ რა გრჯის, ბ-ნო მუსიანელო, მე კინა კარ, სადური კარ, «ორბირელი» ოუ ზღვის ბირელი. ჩემს წარსულს რად ეხებით და ისიც რა საშუალებით გეტყობათ, კარგად იცით, საქმე კისთანა გაქვთ, სოლო

თქვენ კი სადღაც ჯურღმულში იმალებით. თუ გინდათ კამათობაში გამმეთანასწორეთ, ნიღაბ-ასდილი გამობრძანდით და, რაკი ჩემს წარსულს იმ აზრით ისესენიებთ, რომ ჩემს ვინაობას ჩრდილი მიაყენოთ, მეც საშუალება მექნება თავი ვისმაროთ და თავი არ გავათელვინოთ. იეო დრო, როდესაც განსვენებული ნ. თავდგირიძე, ნ. ზედგინაძე, თვით ბ-ნი ა. ნა—ლი, და მათ რიცხვში თქვენი უმორჩილესი მოსა სიკო მუსიანელი, ერთგვარ აზრებს შეკუნულობინობდითო. ანა იმ კაცს რა ეთხრა, რომელიც წარსულს ვისსენიებს, მკვდრებს იმოწმებს და თითონ კი სოროში მიძვრება—არავინ დამისახოსო. თქვენი ვინაობა გამოაცხადეთ, მუხიანელო, მოწმეებად ცოცხლები დასახელეთ და მაშინ შესაძლოა ვამოვარკვიოთ ვისთან და რა აზრებს «შესუნულობინებდითო». ნუ თუ მუსიანელს და სრულიად «კაცლის» რედაქციას არ ესმის, რომ ეგეთი ზნე-ჩვეულება სალიტერატურო კამათში საკადრისი არ არის? ნუ თუ ის აზრი კერ შეგესახათ, რომ ანგარიში ნაწერს უნდა გაუწიოთ და არა თვით დამწერის ვინაობას: საქიოდან მოწმების მოწოდებით, ესთქვათ, მკვდრების მოწმებად მოწოდებაა დიდი დანაშაული არ არის,—ალბად იმიტომ მოუვიდა, რომ ცოცხლები კერ უმოწმებია. უბედურება ისაა, რომ მუსიანელი თითონაც ტრუ მოწამე ბრძანებულა. ათი და ოცის წლის ამბავი როგორ დაეკერება, საამის თვის იმბავი რომ გადასვავეერებია, თავისებურად გარდუქმნია. აი ამისი საბუთიც: სიკო მუსიანელი მეკამათება რა აკაკის სიტყვის შესახებ, ბრძანებს:

„რად ახსენა მშრომლები აკაკიმ იმ სუფრაზე, სადაც მუშათაგანი არავინ ყოფილა და **მხოლოდ წვრილ-ფეხა** თავად-აზნაურობა იყოვო? ბ-ნო ნა—ლო, როგორ გგონიათ, იმ წვრილ-ფეხა თავად-აზნაურობაში ცოტა ერეოდა ნამდვილი მუშა და ოფლის მღვრელი, ღირსი თანაგრძნობისა?“

ბ-ნო მუსიანელო, განა მე კამბობდი, რომ იმ სუფრაზე **მხოლოდ** წვრილ-ფეხა **თავად-აზნაურობა იყო?** აი მე რასა ვსწერდი წარსულის წლის «მოამბის» მე-X №-ში (გვ. 131).

«ამ სადილზე, საცა **მსხვილ-ფეხა** და **წვრილ-ფეხა** **აზნაურობა ბევრი** იყო, ბ-ნმა აკაკიმ, სხვათა შორის, ბრძანა» და სხვ.

რა ფერისაა თქვენი აზრები, ბ-ნო მუხიანელო, სხვათა შორის, აი, საიდანა სჩანს. თქვენა ბრძანებთ: აკაკიმ თავად-აზნაურთა კრებაში ბეჩავი მუშები იმიტომ ახსენაო და ჰირდაჰირ მუშა, ოთელის მღვრელს თავად-აზნაურობაზე იმიტომ არ მიუთითაო, რომ ამას უბრალო ზრდილობა მოითხოვდაო. განა აკაკი უზრდელობას, სამარცხვინო რასმე ჩაიდენდა აზნაურობისათვის, რომ ეთქვა—მშრომელი, ოთელის მღვრელი სართ და შრომას და გარჯას ნუ დაერიდებითო, ნუ ირცხვენთო? ვგონებთ, რომ ამისათვის მადლობას არც აკაკი გიბრძანებთ. მართლაც რომ ძველებურის ზრდილობის მიმდევარი ბრძანებულხართ, ბ-ნო მუხიანელო!

ა. ნა—ლი

# შინაური მიმოხილვა

## ბათუმის არჩევნები

დაგვიანებული მსჯელობა.—მრუდე ხეს რა გაასწორებს?—რა გვღუპავს?—რა ურჩია ნოტარიუსმა ადვოკატს.—ქიშპობა ურთიერთშორის.—სხვაგან როგორ მოიცილეს ეს სენი.—საფედერაციო პრინციპი.—შვეიცარიაში სამის ტომის ხალხი როგორ სცხოვრობს ერთად, ძმურად.—სურათი ჩვენის ქვეყნის მდგომარეობისა.—ზოგიერთი რამ ჩვენის თაობის წარსულისა.—მორიგება და ლალატი.—კვლავ ერთობა და ხელმეორე ლალატი.—განსვენებულ იზმაილოვის როლი ამაებში.—მისი დროშა განკერძოვებისა.—მიზეზი მისის მოქმედების უსაყოფობისა.—წინასწარგაფთხილება ბათუმელებისა.

ხმოსნების არჩევამ ბათუმში, შემოდგომაზე, ისე ჩაიარა, რომ მწერლობას მის თაობაზე მსჯელობა არა ჰქონია, თუმცა ეს საგანი მეტად ღირსი იყო ქართველობის ყურადღებისა. ჯერ იმ გარემოებამ შეუშალა მწერლობას ხელი, რომ არჩევნებზე საჩივარი ატყდა, ისე რომ დამტკიცება საეჭვოდ შეიქმნა. მერე კი, მოურავის და გამგეობის არჩევაში რომ შევიდა საბჭო, ხმოსნების არჩევის საქმე დავიწყებული გახდა. დღეს, თვით ბათუმელებს გარდა, მგონია არც კი არავის ახსოვს ეს საქმე, რომელიც, ამ ოთხიოდე თუ ხუთიოდე თვის წინად, ჩვენში ყველას გულს გრძნობით აძგერებდა. საჭიროა დავუბრუნდეთ ამ საგანს, და ჯეროვანის, დამშვიდებულის ყურადღებით გამოვიძიოთ მისი ავ-კარგიანობა, რასაკვირველია, მარტო იმ განზრახვით, რომ მომავალში უფრო გამოცდილი ვიქნეთ...

ყველამ იცის, რაში მდგომარეობდა განკერძოვებული ხასიათი შარშანდელის არჩევანებისა ბათუმში. რადგანც ამ ქალაქში ქართველებს უფრო მეტი კენჭი ჰქონდათ, ვინემ სომხებს, იქაურმა ჩვენმა თანამემამულეებმა განიზრახეს სწორედ იმავე რიგით გამოერიცხათ ბათუმის საბჭოდან სომხები, როგორც სომხებმა ამას წინად ქართველობა გამოსდევნეს ტფილისის, ახალციხეს და ყველა იმ ქალაქის საბჭოდან, საცა კენჭის უმრავლესობა მათ ეკუთვნოდათ. რიგიანი იყო, თუ ურიგო ეს განზრახვა და საქციელი, ეს სულ სხვა საგანია. აქ მტკიცედ დასახსოვნებელი მარტო ის არის, რომ ბათუმელი ქართველობა ამ შემთხვევაში მიბაძვის გზას ადგა, და სწორედ იმ საწყაულს ხმაროობდა, რომელიც წინად ტფილისში გასჭედეს და ახალციხეს მოჰკალეს მისმა მოწინააღმდეგეებმა. მაშასადამე, ყველა ის ავი, ან. კარგი, რაც კი იმ ბათუმის არჩევნებზე ითქმის, ერთიანად და ერთიანთად უნდა ითქვას ტფილისის და ახალციხეს არჩევნებზედაც; ბათუმელმა ქართველობამ წაჰბაძა მხოლოდ ტფილელ და ახალციხელ სომხობას, წაჰბაძა იმ განზრახვით, რომ გახრილ ხის გასასწორებლად აუცილებლად საჭიროა მეორე მხრისკენ გადაღუნვაო...

ამას ხომ გაკვრით აღვნიშნავ, სამახსოვროდ, თორემ, რაღა თქმა უნდა, ჩვენის მსჯელობის საგანი ქართველებს და სომხებს შუა გასამართლება კი არაა, მარტო იმისი გამოკვლევაა, თუ რა გზა ან საქციელი უფრო მოგვიხდება, სასხომინდლოდ, ამ გვარ არჩევნების დროს.

ამას წინადაც აღვნიშნე „მოამბეში“ უმთავრესი ნაკლი ჩვენის მდგომარეობისა, და ყველაზე უფრო თვალსაჩენი განსხვავება ჩვენსა და ჩვენზე უფრო ბედნიერ ერთა ბედს შუა. სხვაგან ერის ღონე და მეცადინეობა ახალ-ახალ სიკეთის თუ სიმართლის შეძენისკენაა მიზიდული. ჩვენ კი იმასაც ვერ ავდივართ, რაცა გვაქვს, ის დავიცვათ, ის შევირჩინოთ. ჩვენი გონება და ენერგია მარტო პასივურ ბრძოლას უნდება, მაშინ, როცა დაწინაურებულნი ერნი აქტივურად ჰმოქმედებენ. რა გინდ მუყაითი იყოს ადამიანი, აბა რა ხეირს ჰნახავს, თუ

ბაღი შემოულობავი აქვს და მეზობლებად შემსევი ხალხი ჰყავს, რომელსაც განკითხვა არა აქვს თვისისა და სხვისას შუა? განვითარებულ ქვეყნებში კაცის მუყაითობას ფრთას ასხამს ის გარემოება, რომ მის ქონებას და უფლებას რიგიანი ზღუდე იცავს, მეზობლების ზნეობრივი თავ-შეკავება და კანონისგან, მართებლობისაგან მკვიდრად განმარტებული სიმართლე. ამაების მეოხებით, იქ მუშაკს გულ-დანდობით შეუძლია იშრომოს თავისი ბაღის წარმატებისათვის. ჩვენი მშრომელი კი დღე-და-ღამ, დილიდან საღამომდე და საღამოდან-დილამდე, მთელს თავისს მხნეობას და სიმარდეს მარტო მწყემსობას უნდა ალევდეს, ღორების დენას, ხვადაგის ჭერას, ქურდის ზვერას და სხვ. ღმერთს ჩვენთვის არ მოუნიჭებია ის ცოდნა და იარაღი, რომლითაც დღეს განათლებულნი ერნი თავიანთის შრომის ნაყოფს ჩვენზე ერთი-ასად უფრო მეტად უმატებენ. ამიტომაც, იმათოდენსაც რომ ვშრომობდეთ, იმათოდენს ნაყოფს ვერ მოვიმკით. ჩვენდა საუბედუროდ, მას არხეინად შეუძლიან იღვაწოს, ჩვენ კი, ხელცალიერები, მარტო შემსევთა მოგერებას ვუნდებით...

ერთხელ, ერთ პაწია ქალაქში, უნცროს ნოტირიუსისას ვიჯექი, მეტად მეცადინე და მუყაითი კაცია ეს ნოტარიუსი, მეტადაც ხელმოჭერით ინახავს იმ ერთ-ფიორა შეძლებას, რომელიც თითო-ოროლა გროშობით ოც და ათის წლის შრომით შეუძენია. შემოვიდა მასთან ერთი დოლონაკი ადვოკატი, მოხერხებული, მაგრამ ყველაფერზე ხელ-აღებული, მატყუარა და ცბიერი. დაუწყო ამ კაცმა ლაქუცი და ცდუნება ნოტარიუსს: გამიამხანაგდი, ასი თუმანი მომეცი, ყოველ-წლივ ერთი-ორს მაგდენს მოგაგებინებო, და სხვ. უყურა, უყურა მის სხარტულს ნოტარიუსმა, დიაღ, უფრო უყურა, ვინემ ფსმინა, და ბოლოს შეუტია:

— შე ოჯახ-დაქცეულო, მე რა მაქვს, ჩემს გაგლეჯას რომ ცდილობო? ღმერთს შენთვის ნიჭი და მოხერხება მოუცია, თუ მადა გაქვს, მოსკოვს წადი, ან ამერიკაში: იქ ამდენის მეცადინეობით, რასაც აქ ჩემზე ჰხარჯავ, აქნამდი ას თუმანს კი არა, მგონი მილიონსაც შეიძენდი და გამორჩებოდი, თო-

რემ მე რაც მაქვს, მთლადაც რო მოგცე, ერთ თვესაც ვერ გი-
საგძლებს. მთელი ჩვენი ქალაქის ქონება ექვს თვეში შემოგე-
ხარჯება. თუ გული გერჯის, თუ მადა გაქვს, ჩემს ღატა-
კობას კი ნუ შემოსჩერებიხარ, ქვეყანაში გაიხედ-გამოიხედე და
იქითკენ გაემგზავრე, საცა საშოვარი მოიძვება, თორემ ჩემის-
თანა გლახაკის ნაოხრალით სხვა ვინ გაკეთებულა, შენ რომ
ელი გამდიდრებასაო?

თქვენი მტერია, გაშრა და წახდა გასლექილი ადვოკატი,
ისე რომ ხმა-ამოუღებლად, კუდ-ამოძუებული გაძვრა გარშე-
მოხვეულ მსმენლებს შუა და გაჰქრა ოცნებასავით...

ჩვენი მდგომარეობაც ამ გვარიევა. არაფერი გვაბადია,
არც ჩვენ, არც ჩვენს მეზობლებს. ყველანი, თითქმის უმეტ-
ნაკლებოდ, ერთნაირად ღატაკნი ვართ, არა თუ მარტო პო-
ლიტიკურად, ეკონომიურადაც. და მის მაგიერ, რომ საერთოდ,
და გინდ ცალ-ცალკე ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესობისთვის
ვშრომობდეთ, იმის მაგიერ, რომ რასმე ვიძენდეთ, ვსწავლობ-
დეთ, ვეკეთებდეთ, ერთმანეთს მივდგომივართ და ვწეწთ, ვგლეჯთ,
ვაოხრებთ ერთმანერთს, და როცა გასაოხრებელიც არა გვრჩე-
ბა-რა ხელში, სხვასაც ვაცდენთ, და ჩვენს თავსაც, ამ ყოვლად
უნამყოფო ურთიერთს-შორისის ბრძოლით. ვინ ოხერმა დაგვწყე-
ვლა ყველანი ასე მწარედ: „წამკიდებელო წაჰკიდე, ორივეს
თავი წასწყვიტეო“, ვინ გაიგებს! სწორედ ასე დაწყევლილი კი-
ვართ ყველანი, და სწორედ ეს ბედიც გველის...

საკუთრივ ჩვენზე, მართალია, როდი ითქმის, ვითომ ვისმე
შეესეოდეთ ან ვაოხრებდეთ, ვისმე რასმე ვართმევდეთ; თუ ვი-
ბრძვით ამ მხრით, მარტო საკუთარს სახლს-კარს ვიცავთ, სა-
კუთარს ქონებას და ვინაობას. ამგვარი ბრძოლა (оборонитель-
ная борьба) სრულიად კანონიერია თვით იმათს თვალ-
შიაც, ვინც ყველა სხვანაირ ომსა და ბრძოლას ჰგმობს ან ცო-
დვად სთვლის. მაგრამ საქმე აქ იმაში ხომ არაა, კანონიერი,
სინიდისიანია ეს ბრძოლა, თუ არა. საქმე მარტო იმ მხრით
ისინჯება აქ, და უფრო იმით გვაწუხებს, რომ ეს ბრძოლა
ტყუილ-უბრალოდ დროსა და ღონეს გვაკარგვინებს სრუ-

ლიად უნაყოფოდ, სწორედ ისე, როგორც მშრომელს მებაღეს ხვადაგის ნიადაგი უკან დევნა მისი დროის უფრო ნაყოფიერად ხმარებას უშლის... ვიმეორებ, დაწინაურებულ ქვეყნებში ერის ძალა როდილა ილევა ამგვარ პასივურ ჯაფაში... იმიტომაც მათი წარმატება ასე თვალსაჩინოა ყველასთვის, მაშინ როდესაც ჩვენ კიბოებსავით ვფორთხავთ, ამიტომ რომ კიბოებსავით ერთმანეთის კბენაში—და არა ჭამაში—ვართ. შეჭმა რომ შეგვეძლოს ერთმანეთის, დაე, რაც გახდეს, გახდეს. სამწუხარო ისაა, რომ კბილიც კი არ გვაბადია, და კბენით კი ვკბენთ ერთმანეთს...

ამ მხრით ჩვენი კავკასია დღეს იმ მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც რამდენისამე საუკუნის წინად იმყოფებოდნენ ევროპაში ის ქვეყნები, რომელთა გეოგრაფიული მდგომარეობა და, მაშასადამე, ბედი ჩვენსას ჰგავს. მართლაც, ბევრი მხარეა ევროპაში ჩვენისთანა, ბევრგან, მცირე ადგილზე, რამდენიმე სხვადა-სხვა მოდგმის და სჯულის ხალხი სცხოვრობს ერთად, არევ-დარევით თუ მეზობლად. უწინ მათშიაც უთავბოლო წეწვა-გლეჯა იყო, ბრძოლა, სისხლის-ღვრა, ერთმანეთის დევნა, ლეწვა, მუსრვა. მაგრამ იქ გონიერებამ დასძლია. ყველა მიხვდა ნელ-ნელა, დიდი სისულელე მოგვდის, ერთმანეთის სისხლს რომ ვსვამთო: არავის ჩვენგანს ეს სასმელი სახეიროდ არ ადგებაო, ყველას ერთნაირად გვწამლავსო, ყველას გვასუსტებს კი არა, გვკლავსო და რაკი ეს აზრი მათ თავში და ძარღვებში გაუჯდათ, იწყეს მეცადინეობა, თუ როგორ მოაწყონ საერთო ცხოვრება უდავიდარაბოდ, უშფოთოდ, როგორც გონიერ მეზობლებს შეეფერებათ. იფიქრეს, ეცადნენ, იმეცადინეს, ეძებეს და მოახერხეს, ისეთ ნაირი კანონების დადგენა ერთმანეთში, ისეთი წესების მოგონება და დაწყობა, რომ დღეს ღვიძლ ძმებზე უფრო ტკბილად და მეგობრულად სცხოვრობენ და მათი გაყრა, მათი წაჩხუბება ყოვლად შეუძლებელი საქმე გახდა. მას აქეთ, რაც ურთიერთ-შორის შური და მტრობა მოსპეს, იმათთანა რიგიანი, შემძლე, მდიდარი და თავისუფალი ხალხი, იმათთანა ნეტარის ცხოვრების მქონებელი, მთელს დედა-მიწის ზურგზე

არც კი მოიძებნება. ამგვარრა, მაგალითად, შვეიცარიის მდგომარეობა. შვეიცარიაც გზატკეპილი იყო სხვა-და-სხვა მოზდილ-სამეფოებს შუა და ამიტომ მას ხან ერთი ერი აოხრებდა და იფლობდა, ხან მეორე. ბოლოს შიგ სამი სხვა-და-სხვა ფერის მოდგმის ერი ჩარჩა. ერთი მხარე ფრანგების მოდგმას უჭერია, მეორე—გერმანელისას და მესამე—იტალიელს. უმეტეს ნაწილებში კი სამივე ეს ერი არევ-დარევით სცხოვრობენ. სჯულიც მათ სხვა-და-სხვა გვარი აქვთ, რასაკვირველია: ზოგი კათოლიკეა, ზოგი—პროტესტანტი, ზოგი—სექტანტი, ზოგი კი სრულიად ურწმუნო, მაგრამ მათ შორის კავშირი ისეთია, რომ შვეიცარიელ იტალიელს, ყელიც კი რომ გამოსჭრათ, იტალიისკენ ვერ გადიბირებთ, ვერც შვეიცარიელ ფრანგს—საფრანგეთის რესპუბლიკისკენ, ვერც შვეიცარიელ გერმანელს—გერმანიის იმპერიისაკენ. აი რა თვისება ჰქონია თურმე ხეირიან განწყობილებას, რიგიან წესს და კანონმდებლობას: არა ბრუ მტრები დაამეზობლა და ძმებად გადაქცია, თვით საკუთარ გვარ-ტომობაც კი დაავიწყებინა მათ და სამი გადამტერებული, სხვაგან ყოველგან ერთმანეთის მებრძოლე ხალხისგან ერთი ახალი ეროვნება დაჰბადა. რამ მოახდინა ეს სასწაული, ეს ძლიერება, ეს სიკეთე? იმ ყოვლად უბრალო პრინციპმა, რომელსაც მეცნიერებაში **საფედერაციო პრინციპი** ჰქვია და რომელსაც ჩვენებურად ასე გადმოსთარგმნის კაცი: „მეც ვიყო და შენც იყავიო!“ როცა მებრძოლე მეზობლები ურთიერთ შორის ბრძოლაში ერთიანად დაიქანცებიან და თან სამუდამოდ დარწმუნდებიან ეს ბრძოლა უნამყოფოაო, მათ, რასაკვირველია, ის აზრი მოსდით: მოდი, მტრობას თავი დავანებოთ, მოვრიგდეთ, დავმშვიდდეთ, დავლაგდეთ: ჩემი მე მქონდეს, შენი შენაო; შენსას მე აღარ შევეხები, ჩემსას შენ ნუღარ ისურვებო. რაკი ამგვარი მორიგება და განწყობილება მართლა გულწრფელი, მართლა სამუდამო და შეურყეველი გახდება, მას შემდეგ ორსავე მეზობლის ძალა, ერთმანეთის გაბათილების და გაქარწყლების მაგიერ, ერთი მეორისას ერთვის და ერთი-ორად მატულობს. მეზობლები ერთმანეთის ქონებას და უფლებას განსაზღვრენ და

გაჰყოფენ მაგარის ლობეებით თუ პირობებით. თვითეული თავის სახლ-კარში სრული ბატონია; მის განკარგულებაში მეზობელი როდი ეჩრება: შენია, ჩემო კეთილო, როგორც გნებავდეს, ისე მოიხმარე, რაც გსურდეს ის ჰქენიო. როდი ეჩრება მის გამო, რომ არც სხვისი გარევა სურს მის საკუთარს საშინაო საქმეებში. მაღალი, გადუვლელი ზღუდე უდევთ ერთმანეთ-შუა, ისე რომ თავ-თავის ეზოში ყოველი კაცი სრული მეუფე იყოს, სრულიად დაცული იყოს სხვისის შესევისა და შეჭრისაგან. მაგიერად, ყოველს საერთო საქმეში და საჭიროებაში, საზიარო ჭირში თუ ლხინში, ყველა თანასწორი მონაწილეა. „თანასწორი“ აქ ისე კი არ უნდა გავიგოთ, ვითომ ხარჯი და შემოსავალი სამად იყოფა და ნაწილდება. არა. რიცხვის რაოდენობაზეა დამყარებული გარდასახადის და უფლების უმეტესის ნაწილის განაწილება. მარტო ზოგიერთ საქმეებსა და საგნებზე ერთხელ სანიადაგოდაა გადაწყვეტილი, რომ მთელს მახარეში სამსავე ენას და ყოველგვარ სარწმუნოებას სრული თანასწორობა ჰქონდეს... აი, ეს უბრალო „პრინციპი“ გამოდგა ისეთ ცემენტად, რომ მისგან აყვანილს შენობას სრულიად ვერა დააკლეს-რა იმისთანა მებრძოლეებმა, როგორნიც იყვნენ ნაპოლეონ დიდი, გარიბალდი და ბისმარკი...

კავკასიის მდგომარეობა მოითხოვს ამ ცემენტის ხმარებას. აქ ისტორიას სამოციოდე სხვა-და-სხვა ფერი ხალხი მოუთავსებია ერთად. არც ერთი მათგანი იმდენად ძლიერი არ ყოფილა, რომ მთელს მხარეზე კიდით-კიდემდე, საკუთარი ბეჭედი დაესვა, ან მტკიცე ერთობა დაედგინა. დღეს, გვინდა თუ არა, სულ ერთია, მეზობლები უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისა, ერთისა და იმავე ჭაპნის მწეველნი, ერთნაირ უფლებათა პატრონი, ერთისა და იმავე მოვალეობის მტვირთველნი. დროა მივხვდეთ ყველანი, რომ რაკი ამ მდგომარეობიდან არცერთს ჩვენგანს არც გაქცევა შეუძლია, არც სხვების გადენა, მეტი საშველი არავისა გვაქვს: უნდა ერთმანეთში მოვთავსდეთ და მოვრიგდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება ცხოვრება იყოს, და არა სრულიად უსაგნო, უგუნური წეწვა-გლეჯა ერთმანეთისა, ვინ იცის ვის სასარგებ-

ლოდ. მორევა რომ ვისმე შეეძლოს, ამ მდგომარეობაში, ყველა-სი, ვინ ამბობს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, რა გაეწყობა: ძალა ალმართსა ჰხნავსო. მაგრამ როცა ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ძალა არავისა აქვს ჩვენგანს, ტყუილა უბრალოდ თავს რად ვიღალავთ, რად ვიღუპავთ ამ უსაგნო და უგუნურის ბრძოლით? რასაკვირველია, ყოველი ერი ვალდებულია, სანამ კი შეუძლიან, იბრძოლოს თვისის მამულის, რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნობის დასაცველად, შესანახავად. მაგრამ ნუ თუ შვეიცარიელებმა თავიანთი ან ენა დაჰკარგეს, ან რწმენა, ან ვინაობა, ან ეროვნება? ნუ თუ მათ მიერ ამხანაგურად დაარსებული წესი და კანონი, საუკუნოების განმავლობაში, ლამპრად არ უნათოდა ყოველმხრივ მათ მეგვარტომე ფრანგებს, იტალიელებს და გერმანელებს, და ყველა ამ ერისათვის გზის მაჩვენებელ კანდელად არ შეიქმნა, მათის ამაღლების და დახსნის იარაღადაც?... თვითოეულს ჩვენგანს შეუძლია მტკიცედ დაიცვას გულში და ცხოვრებაში საკუთარი ვინაობის პატივი და მსახურება, და თან რიგიანი გაწყობილება ან მეზობლობა იქონიოს ყველა სხვებთან. არც საჭიროა, მაინც და მაინც, რომ გულითადი სიყვარული გინდ პატივისცემა გვქონდეს ამ მეზობლებისა. შესაძლოა კიდეც, რომ ძალიანაც გვძულდეს, ან სრულებითაც არ შეგვეფერებოდეს მათი ხასიათი, ჩვეულება, საქციელი. წესი, კანონმდებლობა, რიგიანი გაწყობილება სწორედ იმიტომ გამოუგონია კაცობრიობას, რომ სიყვარულის ადგილი დაიკავოს იქ, საცა ეს ძლიერი გრძნობა არ არსებობს. თორემ საცა სიყვარულია, იქ რა საჭიროა ან კანონი, ან წესი, ან მართველობა? მაგარი ისაა, რომ სიყვარული ერთობ ძვირობს დედამიწაზე, და საცა კია, ნამეტნად მოძრავი, დაუდეგარი გრძნობაა, ზედ ერთა ცხოვრება კი არა, თვით კერძო კაცთა გაწყობილებაც ძნელად დასაფუძნებელია. მასზე ბევრად უფრო გამოსადეგი, ამ მხრით, ყოველგან და ყოველთვის ყოფილა კაცობრიობისათვის სიმართლე, პირობა, მორიგება, ანგარიში, მტკიცე წესი. ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ სიმართლეს და სამართალს მტრები შეერიგებინოს და შეეყვარებინოს ერთმანე-

თისთვის... გვიყვარს, თუ გვძულს ერთმანერთი, სულ ერთია, ბედმა ერთს სადგომში შეგვამწყვდია, რომლის დაცლა ან დაცლევინება არ ძალგვიძს. ამიტომაც, თუ არ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადიქცეს, ისეთი გაწყობილება უნდა გავმართოთ ერთმანეთში, რომ ადამიანური, გონიერი, სახეირო იყოს: სხვისას ნურას მოვინდომებთ, სხვისი ნურაფერი გვშურდეს, ნურც ჩვენსას ნურაფერს გავატანთ და დავანებებთ ვისმე. ვეცადოთ, ჩვენს პაწია წრეში ჩვენთვის სრული თავისუფლება დავიმკვიდროთ ზრდისა და ცხოვრებისა, და სხვას ყველას ჯვარი გადავსახოთ, დაე იმათაც იცხოვრონ და იზარდონ, როგორც მათი ბუნება, გონება და გარემოება მოითხოვდეს, ან ნებას აძლევდეს. სანამ ყველანი ერთიანად აი ამ უბრალო მცნებას არ შევითვისებთ, არაფერი სიკეთე ჩვენ არ გველირსება, რადგანაც მთელი ჩვენი ძალა და მხნეობა მარტო ჩვენის ვინაობის, ჩვენის ქონების დაცვას უნდა მივალიოთ, და არა მის ამაღლებას ან მიმატებას.

თავდაპირველად, რასაკვირველია, ამგვარი მორიგება მეტოქე ან მოცილე ერთა შუა თითქმის ყოველთვის მატყუარია. ამრიგად ზოგიერთი მოკლე-გონებიანი მეთაური იმედოვნობს, მიაძინოს მოწინააღმდეგე, რომ უფრო ადვილად შეეძლოს მისი მორევა და დამხობა. მაგრამ, თითქმის ყოველთვის ამ შემთხვევაში, როგორც ყველა სხვებში, უფრო მოტყუებული თვითონ მატყუარა რჩება, იმ კანონის ძალით, რომელიც ბრძანებს—სიცრუეს მოკლე ფეხები აქვსო. ჩვენც ვსცადეთ ამ კანონის სიმტკიცე ჩვენს საკუთარს თავზე... როცა ჩვენს ქვეყანაში ჩვენმა თაობამ მიძინებულ საზოგადოებას თვითმმართველობის და თვით-მოქმედების იდეალი დაუდგინა, ყოვლად შეუძლებელი იყო ჩვენთვის, განსაკუთრებით ტფილისში, თავდაპირველადვე არ დავჯახებოდით იმ სიძნელეს, რომელსაც ჩვენის ქვეყნის წარმატებას წინ უდგამს მისი ძრავალ-რჯულიანობა, მრავალ-ენაობა, მრავალ-მოდგმობა. ბევრი ვეძებეთ მაშინ, ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ სხვა გზა და ბარალი ვერა ვიშოვეთ-რა, ეს ამ საფედარაციო პრინციპის

მეტი. ვერა ვიშოვეთ-რა და მარტო მასზე დავმკვიდრდით თვით ის ეთნიც (როგორც მე, მაგალითად), ვინც რწმუნებით, მოაზრებით ნამდვილი ცენტრალისტებიც იყვნენ. ნუ ინებებთ იფიქროთ, ვითომ თავიდამვე არ გვესმოდა, რომ ადრე, თუ გვიან, ის მეზობლური, გინდ ძმური გრძნობა, ან გაწყობილება, რომელსაც ჩვენ სხვებთან ვიკავებდით, არ დაირღვეოდა და მეტოქეობად, მტრობადაც არ გადიქცეოდა. ჩინებულად ვიცოდით, რომ საუკუნოების განმავლობაში ჩანათესს და აღზრდილ ქიშპობას ხუთიოდე ახალ-გაზდა კაცის მორიგება ან მოაზრება ვერ მოსპობდა.... წინადაც რომ არ მცოდნოდა, რომ ამ ნიადაგზე ბრძოლა აგვიტყდებოდა, ნუ თუ 1878—1880 წლების მაგილითი თვალს არ ამიხელდა, არ დამანახვებდა, რომ სამუდამო კი არა, სანდოც არ იყო 1870-ში დადგენილი ჩვენი საერთო პროგრამა? წინადაც ვიცოდით, მეთქი, და 1878—1880-ის ბრძოლამაც დაგვანახვა, რომ სანდო არ იყო ის კავშირი, მაგრამ მაინც 1880-ის შემდეგაც ბევრს უნახავს ჩვენი და ბ-ნ იზმაილოვის ერთად შრომა, ერთად სვლა ერთ და იმავე, თუ სხვა-და-სხვა გვარ მიზნისაკენ. ვინც ამ საქციელს, ამ პოლიტიკურ პროგრამას იწუნებს, იმან უნდა სხვა რამე გვიჩვენოს, უფრო მტკიცე, უფრო ხანგრძლივი, უფრო გამოსადეგი ჩვენის ხალხისათვის. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ 1870-ში დადგენილი პროგრამა მარტო ჩვენა და სომხებს კი არ შეეხებოდა: შიგ, ერთსა და იმავე პრინციპის ძალის ქვეშ, მოყოლებული იყვნენ ყველა ის ერნი, რომელნიც ჩვენს მხარეში სცხოვრებენ. ჩვენი პროგრამა საყოველთაო სიკეთისკენ იყო მიმართული, რადგანაც, უამისოდ, ყოველად შეუძლებელია ცალკე რომელისამე ერის განვითარება: მას ყველა სხვების ჯიბრი და მტრობა დაამხობს...

ვიმეორებ, ჩინებულად გვესმოდა, რომ რამდენისამე წლის მშვიდობიანობის შემდეგ, ან ერთს ამ ერთათაგანს, ან მეორეს, რაიმე უბრალო მიზეზით მადა გაეხსნებოდა. ვიცოდით, აგრედვე, რომ ყოველგან საკმაოა იმისთანა სუსტ მომქმედთა რი

ცხვი, რომელთაც გავლენის შესაძენად, მეზობლებს შუა მტრობის ჩამოგდება უფრო უადვილდებათ, ვინემ სხვა რამე, უფრო სახეირო სამსახურის გაწევა, გინდ სარგებლობის მოტანა. ამისთანა კაცთა წაქეზებით, რასაკვირველია, მეტად ადვილი იქნებოდა ერთა შუა გასაღვიძებლად მზად მყოფის ქიშპობის გაძლიერება... მაგრამ როდი შევუშინდით ამ სურათს, ამ მოლოდინს, ამ აუცილებელს მომავალს, როგორც არავინ არ შეუშინდება აუცილებლად მოსალოდნელს სიკვდილს: ვფიქრობდით: სანამ ეს მოსალოდნელი შფოთი ატყდება, „ცუდად“ და ფუჭად „ხომ მაინც არ ჩაივლის“ ის აქტივური შრომა და მოქმედება თვით-არსებობის და თვით-მმართველობის ასპარეზზე, რომელიც ჩვენში მოსახერხებელია მარტო ამ მოლოდინების, ამ მშვიდობიანობის ჩამოგდების ძალით.—დღესაც ვფიქრობთ, ღალატისა და მატყუვრობით დამარცხების შემდეგ, რომ შემცდარი როდი ვიყავით და რაც უფრო მეტად ვივლით, ვიშრომებთ, ვიბრძვით, ვიტანჯვით ცალ-ცალკე, მით უფრო ძლიერად, მით უფრო შეურყეველად დავრწმუნდებით ყველანი, რომ სხვა რამ გზა, სხვა პროგრამა, სხვა ასპარეზი არა მოიძვება-რა ჯრჯვისთვის ჩვენს ქვეყანაში.

ერთი მიზეზი ამ გაცალკევებისა, ამ კერძოობის უნაყოფობისა წელან მოგახსენეთ: არც ერთი ხალხი არ მოიძვება ჩვენს ქვეყანაში იმდენად ძლიერი და განვითარებული, რომ განკერძოვებით შეეძლოს ყველა დანარჩენ ერთა წინააღმდეგობის ატანა. მათ შეერთებულ სიძულვილის და ძალის წინ აუცილებლად, უსათუოდ შეიმუსრება თვით უძლიერესის უპირატესობაც... მეორე მიზეზი არა ნაკლებ საგულისხმო და ბეჯითია. ეს კანონი მსურდა განსვენებულ იზმაილოვისთვის ამეხსნა 1878-ში, რომ მით ბევრი მისი შეცდომა მომესპო, მაგრამ არ იქნა, ვერ მოვახერხე. ვეუბნებოდი და ვუწერდი: რაკი მაგ დროშას ჰშლით, ძალა-უნებურად ჰკარგავთ ყოველგვარ მოწინავე მნიშვნელობას, არა თუ კავკასიაში, თვით თქვენის საკუთარი ხალხისთვისაც. ყოველის ჩვენის ერის ინტელიგენციის ერთობას აუცილებლად შეუძლია სამსრადისოდ აღუ-

ხო

ზოგს ისეთს მოვლენას, რომელიც განათლებულ ხალხის თვალში სათაკილოთ ითვლება. მკითხველი მიხვდა, რომ გაზეთს სიმართლის ძიება კი არა აქვს სახეში, ფულის პატრონების მსახურება უნდაო. ამ მიზეზით თუმცა გაზეთს ბევრი ნიჭიერი თანამშრომელი ჰყავდა, მისი ზნეობითი გავლენა ერთიანად მოისპო, და ბოლოს დროს, 1880-ის დამდეგს, სულ მარტო 370 ეგზემპლიარი საღდებოდა. გაზეთს ბოლო მოუღო თვით იმ განკერძოვებამ, რომელიც ბ-ნ იზმაილოვისთვის საჭირო იყო გაზეთის ვითომ-სადღეგძელოდ, საშვალების საშოვნელად. სწორედ ამავე ნაირად და ამავე მიზეზით ბ-ნმა იზმაილოვმა იგივე დროშა განკერძოვებისა გაშალა 1891-ში, როცა ტფილისის საბჭოში ოციოდე ქართველი ხმოსანი აირჩიეს....

რაც ეხლა ბათუმში მოხდა—ცხადი დამამტკიცებელია ამ ჭეშმარიტებისა. მართლაც, იქ, ტფილისელ არჩევნების საპასუხოდ, გაშლილ იქნა ქართველობაში აგრედვე განკერძოვებული დროშა. ამ გვარი დროშა ყოველგან ყველაზე უფრო უადკილესი იარაღია კენჭაობის დროს გამარჯვების შოვნისათვის. მართლაც, გამარჯვება ქართველობას დარჩა. უმეტესი ნაწილი ხმოსნებისა ჩვენნები არიან. მაგრამ გამარჯვება მარტო იმაში ხომ არ მდგომარეობს, რომ ჩვენი ხმოსნები გვყვანდეს, ან ჩვენი მოურავი ავარჩიოთ. გამარჯვება მაშინ შეგვრჩება, მაშინ გვასახელებს, როცა აი ეს ჩვენი უმრავლესობა ხეირიანს რასმე გააწყობს ბათუმში, ისეთს, რომ ძეგლად დარჩეს ჩვენის ერის გენიოსობისა, ჩვენის გამჭრიახობისა, ჩვენის ერთგულობისა საზოგადო სიკეთისადმი, ჩვენის ბეჯითობისა და საქმის ცოდნისა. როცა ჩვენი ხმოსნები შეიკრიბნენ ბათუმში იმ პლანის დასადგენად, თუ რა საქმეები გამოიწყონ, რა შრომა იკისრონ, ვინ იწინამძღვრონ, მაშინვე აღმოჩნდა ის უსწორ-მასწორობა, ის შინაგანი განხეთქილება, რომელიც სჩვევია ყოველს კულტურაში ახლად ფეხ-შემდგმელ ხალხს. ჩვენი გრუპპა—როგორც სომხებისა ტფილისის საბჭოში—ვერ შეთანხმდა ვერცერთს პლანზე, ვერცერთს პიროვნობაზე... ღმერთმა ჰქნას, რომ შემდეგში შესძლებოდეს საქმის გამოკეთება, ყოველს შემთხვევაში ბათუმში

ეს უფრო ადვილია, ვიდრე ტფილისს, რადგანაც იქ უფრო სატეხნიკო საჭიროებანი უძევს წინ თვით-მმართველობას და არა იურიდიული ან ზნეობრივი, როგორც ტფილისს...

სულ სხვაფრივ იქნებოდა საქმე ყველა კავკასიელ ერთა ინტელიგენცია იმგვარადვე რომ შეთანხმდებოდეს ხოლმე თვით-მმართველობის ასპარეზზე, როგორც ტფილისში მოხდა. 1879-ში. სწორედ იმავე დროს, როცა „Тифл. Вѣстникъ-ს და Обзоръ-ს შუა გაცხარებული ბრძოლა იყო გამართული, წელან მოგახსენეთ რა იდუმალ საფუძველზე, ამ გაზეთების და ყველა სხვების თანამშრომლებმა საჭიროდ იცნეს შეთანხმება კენჭის-ყრის დროს. 1879-ის საბჭოში ხმოსნებად შევიდა თითქმის მთელი ტფილელი ინტელიგენცია. მარტო მისი შემწეობით მოხერხდა ახალგაზდა ბ-ნ მატინოვის მოურავად არჩევა და იმ მრავალ-გვაროვანი და ფართო პლანების განხორციელება, რომლის მეოხებითაც ტფილისი განახლდა და გაძლიერდა... ცალ-ცალკე ვერც სომხები, ვერც ქართველები, ვერც თვით რუსები შეასრულებდნენ ამ დიდ საქმეს. მათმა შეერთებულმა ინტელიგენციამ კი ადვილად დაამარცხა და განაძევა ის ძველი კერპები, ის ჯიბე და სვინიდის-გაქვავებული ბობოლაები, რომელნიც ყოველგან ეწინააღმდეგებიან ერის სიკეთეს და ყოველთვის ცდილობენ მარტო მათ ერგოთ ბედნიერება და კეთილდღეობა... ის პროგრესი, რომელიც აღბეჭდა ტფილისის ცხოვრებაში მაშინდელმა ერთობამ სხვა-და-სხვა ტომთა ინტელიგენციისამ—ერთნაირად სასარგებლო გამოდგა, როგორც მოგეხსენებათ, ყველასთვის: ვერვინ იტყვის, რომ ქართველების მდგომარეობა და იღბალი ტფილისში დღეს უარესი იყოს, ვინემ 1875-ში. მართალია, 1875-ში სომხებისაგან შემდგარმა საბჭომ ქალაქის მოურავად ქართველი კაცი, დიმიტრი ყიფიანი აირჩია, მარშანწინ კი სომხებმა თითქმის ყველა ქართველი ხმოსნები გაგვაშავეს, მაგრამ ეს არაფერია. საქმით კი, ბრძისა და მტრის მეტი, ყოველი გონიერი კაცი დამეთანხმება, რომ არა თუ მარტო სომხებისთვის, ქართველებისთვისაც, რუსებისათვისაც და ყველა დანარჩენ ერისათვისაც სახეირო იყო ის წარმატება, რომელიც მიანიჭა ტფილისის ქალაქს სხვა-და-სხვა ტომთა ინტელიგენციის შეთანხმებამ 1879—1890-მდე.

სამართალი კი იმას მოითხოვს, რომ საზოგადო საქმეებში, თვით-მმართველობაში ყოველს ტომს, სარწმუნოებას, მიმართულებას იმდენი რიცხვი ხმოსნებისა ან წარმომადგენელებისა მიეცეს საბჭოში თუ გამგეობაში, რამდენიც შეეფერება ამ ტომის, სარწმუნოების, მიმართულობის სიმრავლეს ქალაქში ან მაზრაში. ეს პროპორცია ადვილი შესადგენია, და მისის შედგენის, მის ასრულების შემდეგ, როდილა ვის შეეძლება სამდურავი სთქას ჩვენზე, ჩვენს გაუმაძღრობაზე, ჩვენს ვითომ-განკერძოებაზე. ამგვარი სამართლიანობა რეალურად ჩვენ სრულიად არაფერს დაგვაკლებს, და ზნეობრივ კი დიდ ძალას და შეღავთს მოგვცემს, თუ გინდ მით, რომ ყველას მხრით მტრობას და წინააღმდეგობას მოსპობს...

როგორც სომხებმა ვერ იქონიეს ამგვარი შორს-გამჭვრეტ ლობა ტფილისში,სწორედ იმნაირადვე—და, რასაკვირველია,იმავე შიზეზით—ქართველებმაც ვერ მოახერხეს ეს წრეულს ბათუმში. ჩვენებს ეს მიეტევებათ, რადგანც პირველი ნაბიჯია მათი ამგვარ საქმეებში, და გამოცდილება აკლიათ, რომელიც ტფილისში როდი ვის აკლდა. განსაკუთრებით ის არის საწყენი ბათუმის არჩევნებში, რომ გამგეობის შედგენის დროს ქართველებმა წესიერად ვერ დაიცვეს შეთანხმება, ხმოსნების არჩევის ხანებში დადგენილი სხვა-და-სხვა ტომებთან, განსაკუთრებით რუსებთან. ნუ გვგონია, რომ ოთხი წელიწადი—საუკუნო იყოს; ეს ხანი ისე მალე დაილევა, როგორც ერთი წამი. საქმე იმაშია, რომ ამ ოთხის წლის შემდეგაც გავლენა შეგვრჩეს საქმეების მართვაზე. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ მარტო კენჭის იმედით კი არ ვიქნებით, სიმართლის გზას არ გადავუხვევთ და ნამდვილს, თვალ-საჩენს სარგებლობას მოვუტანთ იმ ქალაქის მცხოვრებლებს, რომლის ბედი და მომავალი ამ ჟამად ქართველობაშ იკისრა...

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მართლა ასე იქნება, თუმცა ძნელი დასაჯერი კია ეს მას შემდეგ, რაც ბათუმის საურთიერთო კრედიტის მმართველობა შესდგა. ამ ბანკის საქმე, როგორც გაგვიგონია, უფრო ქართველობისაგან იყო დაწყებული, და განსაკუთრებით ქართველ ვაჭრების შესაწევრად იმართებოდა. წარმოიდგინეთ, ეხლა, ჩვენი გაკვირვება, როცა არჩევნები გამგეობისა ისე გათავდა, რომ შიგ ერთი ქართველიც კი არ შეუშვიათ. ნამდვილ როგორ იყო საქმე, რა მოგახსენოთ:

ამაზე მწერლობაში ხმა არავის ამოუღია. შორიდან კი ისე სჩანს, ვითომ რუსი, სომეხი და ბერძენი შეერთებულან ქართველის წინააღმდეგ... თუ ეს მართლა ასეა—ეს კიდევ ერთი ახალი დამამტკიცებელი საბუთია იმ ჭეშმარიტებისა, რომ განკერძოვებას ნიადაგ ყველა დანარჩენის ტომის შეერთება მოსდევს... მაგრამ ისიც კი შესაძლოა, რომ საქმე სხვაფრივ მომხდარიყოს. იქნება, ხმოსნების ამორჩევის დროს ვინც მეთაურობდა, ის ეხლა ბრძოლაში აღარ გარეულა, ან გულ-დაწყვეტილებით, ანა და რამ სხვა მიზეზით. ვინ იცის... ყოველს შემთხვევაში სამწუხაროა, რომ ეს საკრედიტო დაწესებულება თითქო თავიდამვე ჩვენს წინააღმდეგ იწყებდეს მოქმედებას. ან იქნება ეს მარტო გამაფრთხილებელ წინასწარ ჩვენება იყოს იმ მომავლისა, რომელიც ქართველ მმართველობას გათუმში მოელის, თუ საკმაოდ ფრთხილად და ჯეროვანის თავაზით არ მოექცა ქალაქის ყველა მცხოვრებლებს, მათის გვარტომობის და რჯულის მიუხედავად...

ნ. ნიკოლაძე

---

## რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) **ისტორია მართლ-მადიდებლის ეკკლესიისა ეკკლესიათა განყოფამდე,** კ. ბ. ბობედონოსცევისა, თარგმნილი ძლგ. ი. ჯაჯაშვილის-მიერ. ტფილისი 1895 წ., ფასი ერთი მანათი.

2) **ცოდვა სიყვარულისა** (Crime d'amour), რომანი ბოლ ბურჟესი, თარგმნილი გრ. ყიფშიძის-მიერ, ტფილისი 1895 წ., ფასი 70 კაპ.

3) **ლექსები კნ. ნინო ორბელიანისა,** (ავტორის სურათით) მეორე გამოცემა კ. თავაართქილაძისა № 36. ახალ-სენაკი 1895 წ., ფასი ათი შაური.

4) **ავაკის ნაკვესები,** წიგნი პირველი, შეკრებილი და გამოცემული თ. სახოკიას მიერ. ტფილისი 1895 წ., ფასი 20 კაპ.

5) **რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფის სოლომონისა,** თქმული იოახე ბეგეჭორისაგან, გამოცემა ზ. ჭიპინაძისა. ტფილისი 1895 წ., ფასი 10 კაპ.

რედაქტორი ალექსანდრე ჭეოანია

გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი

გამოვიდა და იყიდება

ახალი ქართული წიგნი

# ცოდვა სიყვარულისა

(Crime d'amour)

რომანი,

პოლ ბურჟესი

თარგმნილი

გრ. ყიფშიძის მიერ

ფასი 70 კაპ.

# 1895

# „მოამბე“

## თვიური ჟურნალი

(წელწადი მეორე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში

იმავე პროგრამით

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში. | **10** მან. | **6** მან. | **4** მან. |
| საზღვარ გარედ . . . . | **13** მან. | **7** მან. | **5** მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—**4** მან., 1 აპრილამდე—**3** მან. და 1 სექტემბრამდე—**3** მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № **13**.

**წიგნის მაღაზიებს,** რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კომისიისა და ფულის გამოგზავნისთვის **ათი შაური,** ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, **არაფერი დაეთმობათ.**

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია. გაიგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* **„Моамбе“.**

ვინც წლიურ ფასს ერთბაშად შემოიტანს, მიიღებს კედლის ქართულს კალენდარს 1895 წ—სას.

# „ქართველთა ამხანაგობის“
# წიგნის მაღაზიაში

## ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

| | |
|---|---|
| | მ.—კ. |
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით, ფ ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე: . . . . . | 1—20 |
| იგივე მშვენიერ ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2—50 |
| ოთხი ტომი ერთად . . . . . | 9— |
| სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა. . . . . | 1—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . | „—80 |
| იგივე მშვენიერიის ყდით . . . . . | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა—პოემა ბაჩანასი . . . . . | „—15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი . . . . . | „—30 |
| იგივე ყდით . . . . . | „—75 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . | „—40 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . | „—90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I . . . . . | 1—20 |
| იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერის ყდით . . . . | 2—50 |
| ტომი II . . . . . | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . . . | 2—50 |
| ტომი III . . . . . | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით . . . . | 2— „ |
| ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . . . | 3— „ |
| ჩანგი . . . . . | 1— „ |
| სოფლისე კუნწულა, დ. მაჩხანელისა. . . . . | „—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I . . . . . | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . . . | 2—50 |
| თხზულებანი მისივე ტომი II. . . . . | 1— „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . . . | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . . . . . | „—75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე. . . . . | 1—50 |

# სტამბა

## წიგნების გამომცემელ

## ქართველთა ამხანაგობისა

ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი № 13.

სტამბაში მიიღება დასაბეჭდად

## ყოველ გვარი სასტამბო საქმეები:

წიგნები, გაზეთები, აფიშები, ბლანკები და სხვა-და-სხვა წერილმანი საქმეები.

ყველა საქმეს სტამბა ასრულებს სუფთად და თავის დროზედ.

აგრეთვე კისრულობს წიგნების კორრექტურასაც, უკეთუ ავტორი ისურვებს.

ნა-
ბეჭ—
ი—

## ქრონიკა:

XIII შინაური მიმოხილვა.—ბათუმის არჩევნები.— დაგვიანებული მსჯელობა.—მრუდე ხეს რა გაასწორებს?—რა გვდუპავს?—რა ურჩია ნოტარიუსმა ადვოკატს.—ქიშპობა ურთიერთშორის.—სხვაგან როგორ მოიცილეს ეს სენი.—საფედერაციო პრინციპი.—შვეიცარიაში სამის ტომის ხალხი როგორ სცხოვრობს ერთად, ძმურად.—სურათი ჩვენის ქვეყნის მდგომარეობისა.—ზოგიერთი რამ ჩვენის თაობის წარსულისა.—მორიგება და ღალატი.—კვლავ ერთობა და ხელმეორე ღალატი.—განსვენებულ იზმაილოვის როლი ამაებში.—მისი დროშა განკერძოვებისა.—მიზეზი მისის მოქმედების უნაყოფობისა.—წინასწარგაფთხილება ბათუმელებისა.—ნ. ნიკოლაძისა. 160

XIV განცხადებანი.

---

## არ დაიბეჭდება

„ახალ გზაზედ“ და „ვერა, ვერ მოვესწრები“ (ორგინალი მოთხრობები); „აღდგომა“ და „აღსარება“ (ლექსები); „მგზავრობა ჩინეთისკენ“ ლიუდოვიკო კომიდისა (თარგმანი); „გაჭირება მიჩვენე—გაქცევას გიჩვენებ“ (სტატია).

304
636/66

# „მოამბე“

წელიწადი მეორე

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7—10 თაბახი (224—320 გვ.)

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ-გარედ . . . . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანონს: პირველად—4 მან., 1 აპრილამდე—3 მ., და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა ადრესის გამოცვლისათვის **ათი** შაური უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,— მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლიარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრეედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
**ალექსანდრე ჭეოანია**

გამომცემელი
**ალექსანდრე ჯაბადარი**